ათასი
მოელვარე
მზე
ხალიდ ჰოსეინი

## პირველი ნაწილი

### 1

მარიამი ხუთი წლის იყო, სიტყვა „ჰარამი“(ჰარამი — უკანონო, აკრძალული.) პირველად რომ გაიგონა.

ეს ხუთშაბათს მოხდა. ნამდვილად ხუთშაბათი უნდა ყოფილიყო, რადგან როგორც მარიამს ახსოვდა, იმ დღეს თავს მოუსვენრად გრძნობდა და ფიქრებში ჩაძირულიყო. ეს კი მხოლოდ ხუთშაბათობით ხდებოდა, როცა ჯალილი მის ქოლბას(ქოლბა — ქოხი. ) სტუმრობდა.

სანამ, ბოლოს და ბოლოს, ჰორიზონტზე გამოჩნდებოდა როგორ მოაპობდა ის მუხლამდე ბალახს, მარიამი დროის გასაყვანად სკამზე აძვრა და დედამისის ჩინური ჩაის სერვიზი ჩამოიღო. ეს სერვიზი ერთადერთი რელიკვია იყო, რომელიც მარიამის დედას — ნანას დედამისისგან სახსოვრად დარჩენოდა. დედა რომ გარდაეცვალა, ნანა ორი წლის იყო. იგი სათუთად უვლიდა ლურჯ-თეთრად შეღებილ ფაიფურის თითოეულ ჭურჭელს, ჩაიდნის ტუჩის გრაციოზულ მომრგვალებას, ხელით მოხატულ ნიბლიებსა და ქრიზანთემებს, საშაქრეზე გამოსახულ დრაკონს, რომელსაც ბოროტი ძალებისგან უნდა დაეცვა.

სწორედ ეს უკანასკნელი გაუსხლტა მარიამს ხელიდან, ხის იატაკზე დაეცა და ნამსხვრევებად იქცა.

როდესაც ნანამ გატეხილი საშაქრე დაინახა, სახე აელეწა და ზედა ტუჩი აუთრთოლდა. მარიამს ისე მიაშტერდა, რომ თვალიც კი არ დაუხამხამებია. ნანას შეშლილმა მზერამ მარიამი შეაშინა. გაიფიქრა, დედაჩემის სხეულში ისევ ჯინმა(ჯინი — ავი სული.) არ დაიდოს ბინაო. თუმცა ამჯერად ავი სული არ გამოჩენილა. სამაგიეროდ, ნანამ მარიამს ორივე მაჯაში ჩაავლო ხელი, თავისკენ მიიზიდა და კბილებს შორის გამოცრა:

– შე მოუქნელო პატარა ჰარამო, ეს ხომ ჯილდო იყო იმ ყველაფრისთვის, რაც გადავიტანე. მოუქნელო პატარა ჰარამო!

მაშინ მარიამი ვერ მიუხვდა. არ იცოდა, რას ნიშნავდა სიტყვა ჰარამი. იმხელაც არ იყო, რომ ეს უსამართლობა შეეფასებინა; გაეაზრებინა, რომ დამნაშავეები ჰარამის მშობლები არიან და არა თავად ჰარამი, რომლის ერთადერთი ცოდვა ისაა, რომ დაიბადა. მარიამის აზრით, ჰარამი უშნოს, საძაგელს ნიშნავდა, რომელიც რაღაც მწერს, მაგალითად, ტარაკანას წააგავდა, ისეთს — ნანა წყევლა-კრულვით რომ ხვეტდა ქოლბადან.

მოგვიანებით, როდესაც წამოიზარდა, მარიამი ყველაფერს მიხვდა. ნანა ამ სიტყვას ისე წარმოთქვამდა, რომ გოგონა მწვავე ტკივილს განიცდიდა. მაშინ გაიგო, დედა რასაც გულისხმობდა; რომ ჰარამი არასასურველი არსებაა; რომ იგი უკანონოდ იყო შობილი და ვერასდროს წამოაყენებდა კანონიერ მოთხოვნებს სიყვარულზე, ოჯახზე, სახლზე, აღიარებაზე, ყველაფერ იმაზე, რისი უფლებაც სხვა დანარჩენებს ჰქონდათ.

ჯალილი მარიამს სახელით იშვიათად მიმართავდა. ეუბნებოდა, რომ მისი პატარა ყვავილი იყო. მუხლებზე ისვამდა და სხვადასხვა ისტორიას უყვებოდა ქალაქ ჰერათზე, სადაც მარიამი 1959 წელს დაიბადა, რომელიც ერთ დროს სპარსული კულტურის აკვანი, მწერლების, მხატვრებისა და სუფიების ნავსაყუდელი იყო.

— აქ ფეხს ისე ვერ გაშლიდი, პოეტისთვის რომ არ წამოგეკრა, — იცინოდა ჯალილი.

მარიამს უყვებოდა დედოფალ გაუჰარ შადის ისტორიას, რომელმაც მეთხუთმეტე საუკუნეში საქვეყნოდ ცნობილი მინარეთები ააშენებინა; უყვებოდა მწვანე ხორბლის ყანებზე, ხეხილის ბაღებზე, მწიფე ყურძნის ვენახებზე, ქალაქის ხალხმრავალ, თაღოვან ბაზრებზე.

— იქ ფსტის ხე დგას, — უთხრა ერთ დღეს ჯალილმა, — და მის ქვეშ, ჩემო ძვირფასო მარიამ, უდიდესი პოეტი ჯამია დაკრძალული.

შემდეგ კი მისკენ გადაიხარა და ჩასჩურჩულა:

— ჯამი დაახლოებით ხუთასი წლის წინ ცხოვრობდა. ერთხელ იმ ხესთან მიგიყვანე. მაშინ პატარა იყავი. არ გემახსოვრება.

მართალი იყო. მარიამს არ ახსოვდა. მიუხედავად იმისა, რომ თავისი ცხოვრების პირველი თხუთმეტი წელი ჰერათთან ძალიან ახლოს გაატარა, არც ეს ხე და არც ცნობილი მინარეთები არასდროს უნახავს; ხილიც არ დაუკრეფია ჰერათის ბაღებში და არც ხორბლის ყანებში უსეირნია. მაგრამ როდესაც ჯალილი ამ ყველაფრის შესახებ უყვებოდა, გოგონა მოჯადოებულივით უსმენდა. უკიდეგანო ცოდნის გამო აღმერთებდა; ამაყობდა, რომ ჰყავდა მამა, რომელმაც ამდენი რამ იცოდა.

— რა მდიდარი წარმოსახვაა! — იტყოდა ხოლმე ნანა ჯალილის წასვლის შემდეგ. — მდიდარი კაცი მდიდარი ტყუილებით. არანაირი ხის სანახავად არ წაუყვანიხარ. და ნუ აძლევ საშუალებას, რომ მოგხიბლოს. შენმა საყვარელმა მამამ გვიღალატა. თავისი მდიდრული სახლიდან ისე გამოგვყარა, თითქოს არაფერს წარმოვადგენდით. და ეს სიამოვნებით გააკეთა.

მარიამი მორჩილად უსმენდა. ნანას ვერასდროს შეჰბედავდა იმის თქმას, რომ არ მოსწონდა მისი ამგვარი საუბარი ჯალილზე. სიმართლე რომ ითქვას, ჯალილთან ერთად თავს ჰარამად არ გრძნობდა. ხუთშაბათობით, ერთი-ორი საათის განმავლობაში, როდესაც ჯალილი მის სანახავად მოდიოდა, მისი ღიმილი, ალერსი, საჩუქრები მარიამს არწმუნებდა, რომ მთელ იმ სილამაზესა და გულუხვობას იმსახურებდა. სწორედ ამის გამო უყვარდა მამა, თუნდაც მისი სხვებთან გაყოფა დასჭირვებოდა.

ჯალილს სამი ცოლი და ცხრა შვილი ჰყავდა. ცხრავე კანონიერი. მარიამი მათგან არც ერთს არ იცნობდა. ჯალილი ჰერათის უმდიდრესი კაცი იყო. ფლობდა კინოთეატრს, რომელიც მარიამს არასდროსენახა, მაგრამ დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ ჯალილის მონათხრობიდან შეიტყო, რომ ფასადი ლურჯი და ღია ყავისფერი ტერაკოტის ფირფიტებით იყო მოპირკეთებული; საპატიო სტუმრების ლოჟა და შპალერით დაფარული ჭერი ჰქონდა. კარი, რომელიც

ორივე მიმართულებით იღებოდა, კერამიკული ფილებით მოპირკეთებულ ვესტიბიულში გადიოდა, სადაც ინდური ფილმების აფიშები სპეციალურ, შემინულ ადგილას იყო გამოკრული.

— სამშაბათობით, — თქვა ერთ დღეს ჯალილმა, — ბუფეტის დახლთან ბავშვებს ნაყინს უფასოდ ურიგებენ.

ამ სიტყვებზე ნანამ თავშეკავებით ჩაიცინა. დაიცადა, სანამ კაცი ქოლბას დატოვებდა, შემდეგ კი კბილებში გამოსცრა: — უცხო ბავშვებს ნაყინს ჩუქნიან. და შენ რას იღებ, მარიამ? მხოლოდ ამბებს ნაყინზე.

კინოთეატრის გარდა, ჯალილის საკუთრებაში იყო მიწა ქარუხში, ფარაჰში, ხალიჩების სამი მაღაზია, ტანსაცმლის მაღაზია და 1956 წლის გამოშვება, შავი ფერის „ბიუიკ როუდმასტერი“. ჰერათში ჯალილს კარგი კონტაქტები ჰქონდა, მერისა და პროვინციის მმართველის მეგობარი იყო. ჰყავდა მზარეული, მძღოლი და სამი შინამოსამსახურე ქალი.

ნანაც ერთ-ერთი შინამოსამსახურე იყო, სანამ მისმა მუცელმა ზრდა არ დაიწყო.

ხოლო როდესაც ეს მოხდა, როგორც ნანა თავად ყვებოდა, ჯალილის ოჯახის კოლექტიურმა შფოთვამ მთელი ჰერათი მოიცვა. მისი ცოლის მშობლებმა დაიფიცეს, რომ სისხლს დაღვრიდნენ. ცოლები ნანას სახლიდან გაძევებას მოითხოვდნენ. ნანას მამამაც კი, რომელიც მოკრძალებული ქვის მთლელი იყო მეზობლად მდებარე სოფელ გულ დამანში, შვილს ზურგი აქცია. მისი საქციელით შერცხვენილმა, თავისი ნივთები შეაგროვა, ავტობუსით ირანში გაემგზავრა და გადაიკარგა.

– ზოგჯერ, – დაიწყო ერთ დილას ნანამ, თან წიწილებს აჭმევდა, – ვნატრობ, რომ მამაჩემს თავისი ერთ-ერთი დანა აელესა და რაიმე საშინელება ჩაედინა. ასე აჯობებდა. — კიდევ ერთი მუჭა მარცვალი ამოიღო, შეყოვნდა და მარიამს გახედა. – ალბათ, შენთვისაც ასე აჯობებდა. თავიდან აიცილებდი გულისტკივილს, რომელსაც მას შემდეგ განიცდი, რაც გაიგე, სინამდვილეში ვინ ხარ. მაგრამ მამაჩემი მშიშარა იყო. მას საამისო დელი(დელი — გული. აქ: გამბედაობა, სიმამაცე. ) და გული არ ჰქონდა.

როგორც ნანა ამბობდა, ჯალილსაც არ ეყო იმდენი დელი, რომ გმირობა ჩაედინა; წინააღმდეგობა გაეწია თავისი ოჯახისთვის, ცოლებისთვის, მათი მშობლებისთვის და საკუთარ საქციელზე პასუხისმგებლობა აეღო. ნაცვლად ამისა, დახურულ კარს მიღმა მისი რეპუტაციის გადასარჩენად მაშინვე გარიგება შედგა. მომდევნო დღეს კი ჯალილმა ნანას მოახლეთა საცხოვრებელში რამდენიმე ნივთის შეგროვება აიძულა და გაისტუმრა.

— სხვათა შორის, თავის გასამართლებლად ცოლებს იცი რა უთხრა? რომ ეს მე ვიძალადე მასზე, რომ დამნაშავე მე ვიყავი. დიდი?(დიდი? — ხედავ?) აი, რას ნიშნავს — იყო ქალი ამ სამყაროში.

ნანამ ქათმებისთვის განკუთვნილი თასი ძირს დადო, მარიამის ნიკაპს ხელით შეეხო და თავი მაღლა აუწია.

— შემომხედე, მარიამ.

მარიამმა უხალისოდ ასწია თავი.

— შვილო, კარგად დაიმახსოვრე: ჩრდილოეთისკენ მიმართული კომპასის ისრის მსგავსად, მამაკაცის ბრალმდებელი თითიც ქალისკენ გზას ყოველთვის პოულობს. ყოველთვის. დაიმახსოვრე, მარიამ.

## 2

ჯალილის ცოლებისთვის მე ჭიაფერა ვიყავი. აბზინდა. ასევე შენც. თუმცა მაშინ ჯერ დაბადებულიც კი არ იყავი.

— აბზინდა რა არის? — იკითხა მარიამმა.

— სარეველა, — უპასუხა ნანამ, — რაღაც იმის მსგავსი, რომ მოგლეჯ და გვერდით მოისვრი.

მარიამი მოიღუშა. ჯალილი მას სარეველასავით არ ეპყრობოდა. ასე არასდროს მოქცეულა. თუმცა ამჯობინა, თავისი უკმაყოფილება არ გაემჟღავნებინა.

— სარეველასგან განსხვავებით, მე სხვა ადგილას გადამრგავდნენ, საკვებსა და წყალს შენს ხარჯზე მომცემდნენ. ასეთი იყო გარიგება, რომელიც ჯალილმა თავის ოჯახთან დადო.

როგორც ნანა ამბობდა, მან ჰერათში ცხოვრებაზე უარი თქვა.

— რისთვის უნდა დავრჩენილიყავი? მეყურებინა, როგორ დაატარებდა თავის ქინჩინი(ქინჩინი — კახპა.) ცოლებს ქალაქში?

გადაწყვიტა, რომ არც მამამისის გამოცარიელებულ სახლში ეცხოვრა სოფელ გულ დამანში, რომელიც ჰერათის ჩრდილოეთით, ორ კილომეტრში, ციცაბო გორაკზე მდებარეობდა. სადმე მოშორებით, განცალკევებით სურდა დაედო ბინა, სადაც მეზობლები მის გამობზეკილ მუცელს არ მიაშტერდებოდნენ, მასზე არ მიუთითებდნენ, დამცინავად არ იხითხითებდნენ, ან კიდევ უარესი, გულს არ გაუწყალებდნენ თავიანთი ყალბი თანაგრძნობით.

— დამიჯერე, — განაგრძო ნანამ, — ჩემი გაუჩინარება მამაშენისთვისაც შვება იყო. მას სწორედ ეს სურდა.

მუჰსინმა, ჯალილის უფროსმა ვაჟმა პირველი ცოლისგან, ხადიჯასგან, რეკომენდაცია გულ დამანის შემოგარენში მდებარე ველობს გაუწია. ამ ადგილამდე მისაღწევად დაღარული, აღმავალი ტალახიანი ბილიკი უნდა გაგევლო, რომელიც ჰერათსა და გულ დამანს შორის არსებული ძირითადი გზის განშტოებას წარმოადგენდა. ბილიკის ორივე მხარე თეთრი და კაშკაშა ყვითელი ყვავილებით დაწინწკლული, მუხლამდე ბალახით იყო დაფარული. ბილიკი მაღლობისკენ მიიკლაკნებოდა და მდელომდე მიდიოდა, სადაც სხვადასხვა სახეობის ვერხვი იზრდებოდა. ამ ადგილიდან, ჟანგათი დაავადებული განაკაფი ტყის გავლით, გულ დამანის ქარის წისქვილისკენ ეშვებოდი. ბილიკის ბოლოს კალმახით მდიდარი პატარა მდინარე იყო, რომელიც საფედქოჰის მთებიდან გულ დამანის მახლობლად ჩამოედინებოდა. დინების საწინააღმდეგო მიმართულებით ორას იარდში, წრიულად, ორივე მხარეს ტირიფის ხეები ჩამწკრივებულიყო. ცენტრში, სწორედ ამ ტირიფების ჩრდილქვეშ, გადაშლილიყო ველობი.

ჯალილი ადგილის სანახავად წავიდა. როდესაც დაბრუნდა, ნანამ კაცის საუბარი ციხის უფროსის ბაქიაობას შეადარა, მის საპატიმროში სუფთა კედლებისა და გაპრიალებული იატაკის გამო რომ იკვეხნის.

— და მამაშენმა ეს სამალავი აგვიშენა.

თხუთმეტი წლის ნანა კინაღამ გათხოვდა. ხელის მთხოვნელი შინდანდელი ბიჭი გრძელკუდა თუთიყუშის ახალგაზრდა გამყიდველი იყო. ეს ამბავი მარიამს თავად ნანასგან ჰქონდა მოსმენილი, და მიუხედავად იმისა, რომ ერთ ეპიზოდს გვერდი აუარა, ნანას თვალებში ჩამდგარმა სევდიანმა სხივმა მარიამი მიახვედრა, რომ მაშინ დედა თავს ნამდვილად ბედნიერად გრძნობდა. შესაძლოა, ნანას მოსალოდნელ ქორწილამდე პერიოდი ერთადერთიც კი იყო მის ცხოვრებაში, როდესაც მან ჭეშმარიტი ბედნიერება განიცადა.

დედა ამ ამბებს რომ უყვებოდა, მარიამი მუხლზე შემოუსკუპდა და საკუთარ წარმოსახვაში ნანა საქორწილო კაბაში გამოაწყო. წარმოიდგინა ცხენზე შემომჯდარი, პირბადის მიღმა მორცხვად მოღიმარი; ხელისგულები ინით ექნებოდა შეღებილი, თმა ვერცხლის ბზინებით შუაზე გაყოფილი, ნაწნავები ხის ფისით ერთმანეთთან მჭიდროდ მიმაგრებული. მარიამმა მუსიკოსებიც წარმოიდგინა, რომლებიც შაჰნაიზე(შაჰნაი — სალამურის მსგავსი ჩასაბერი ინსტრუმენტი. ), ფლეიტაზე უკრავდნენ და დოჰოლს(დოჰოლი — დოლი.) ურახუნებდნენ; ქუჩის ბავშვები კი სტვენით მისდევდნენ უკან.

ქორწილის დათქმულ თარიღამდე ერთი კვირით ადრე ნანას სხეულში ჯინი ჩაუსახლდა. მარიამს დეტალური აღწერა არ სჭირდებოდა, რადგან ამის მომსწრე თავადაც არაერთხელ გამხდარა: დედა უეცრად ძირს ეცემოდა, სხეული ეჭიმებოდა, უძრავად იწვა, თვალები გადაუტრიალდებოდა, შემდეგ ხელები და ფეხები აუცახცახდებოდა; თითქოს ვიღაც ყელში უჭერდა, პირიდან თეთრი, ზოგჯერ კი ვარდისფერი სისხლიანი დუჟი სდიოდა. მერე მშვიდდებოდა, მაგრამ ორიენტაციას კარგავდა, დაბნეულად ლუღლუღებდა.

როდესაც ამ ამბავმა შინდანდამდე მიაღწია, გრძელკუდა თუთიყუშების გამყიდველის ოჯახმა ქორწილი ჩაშალა.

— შეშინდნენ, — ასე განმარტავდა ნანა მათ საქციელს.

საქორწილო კაბა შეინახეს. მას შემდეგ კი სხვა ხელის მთხოვნელი აღარ გამოჩენილა.

ველობზე ჯალილმა და მისი ორმა ვაჟმა, ფარჰადმა და მუჰსინმა მცირე ზომის ქოლბა ააშენეს. სწორედ აქ გაატარებს მარიამი ცხოვრების პირველ თხუთმეტ წელიწადს. კედლები ალიზით ამოიყვანეს და ტალახითა და ერთი მუჭა ჩალით მოაპირკეთეს. ქოხს ერთი ფანჯარა ჰქონდა; ორი პატარა საწოლი, ხის მაგიდა და ორი სკამი იდგა; თაროები კედელზე ლურსმნებით იყო მიმაგრებული, სადაც მოგვიანებით ნანამ თიხის ქოთნებსა და თავის საყვარელ ჩინურ ჩაის სერვიზს მიუჩინა ადგილი. ჯალილმა ზამთრისთვის თუჯის ღუმელი შემოიტანა და დაპობილი კუნძები ქოლბას უკან ერთმანეთზე დააწყო. პურის გამოსაცხობად გარეთ დამატებით თონე დადგა და მესრით შემოღობილი საქათმეც მოაწყო. რამდენიმე ცხვარი მოიყვანა და მათ გამოსაკვებად ბაგა გამართა. ფარჰადისა და მუჰსინის დახმარებით, წრიულად განლაგებული ტირიფებიდანასი იარდის მოშორებით, ღრმა ორმო გათხარა და იქ საპირფარეშო ააშენა.

ჯალილს შეეძლო, რომ ქოლბას ასაშენებლად მუშები დაექირავებინა, მაგრამ, ნანას თქმით, ასე არ მოქცეულა.

— მისი აზრით, ამით დანაშაული გამოისყიდა.

მარიამი რომ დაიბადა, იმ დღეს ნანას დასახმარებლად არავინ მისულა. ეს 1959 წლის გაზაფხულზე, ერთ ნისლიან, მოქუფრულ დღეს, ზაჰირ შაჰის ორმოცწლიანი მეფობიდან ოცდამეექვსე წელს მოხდა. ნანას თქმით, ჯალილს ექიმის, ან თუნდაც ბებიაქალის გამოსაძახებლად თავი არ შეუწუხებია, იმის მიუხედავად, რომ იცოდა, ქალის სხეულს, შესაძლოა, კვლავაც ჯინი დაპატრონებოდა. ის სრულიად მარტო იწვა თავის ქოლბაში, იატაკზე, გვერდზე დანა ედო და ოფლში იწურებოდა.

— ტკივილი რომ გამიძლიერდა, ბალიშის კბენა დავიწყე და ხმის ჩახლეჩამდე გულსაკლავად ვყვიროდი. თუმცა ერთმა ადამიანმაც კი

არ მომაკითხა, ჩემთვის სახეზე ოფლი რომ მოეწმინდა ან ერთი ჭიქა წყალი მაინც მოეწოდებინა. შენ კი, ჩემო ძვირფასო მარიამ, სულ არ ჩქარობდი. მაიძულე, რომ თითქმის ორი დღე იმ ცივ, უხეშ იატაკზე გამეტარებინა. არც მიჭამია და არც დამიძინია, მხოლოდ ვიჭინთებოდი და ვლოცულობდი, რომ დროზე გამომძვრალიყავი.

— ძალიან ვწუხვარ, ნანა.

— ჭიპლარი ჩემი ხელით გადავჭერი. დანა სწორედ ამისთვის მჭირდებოდა.

— ძალიან ვწუხვარ.

ამ დროს ნანა ნაზად იღიმოდა. მარიამი ვერასდროს ხსნიდა, ეს საპასუხო ბრალდებას ნიშნავდა თუ უხალისო მიმტევებლობას. ახალგაზრდა მარიამს თავში აზრად არ მოსვლია, რომ ასეთი დაბადების გამო მობოდიშება უსამართლობა იყო.

იმ დროისთვის, როდესაც ამ საკითხზე ფიქრი დაიწყო, მარიამი უკვე ათი წლის იყო და ნანას მონათხრობი აღარ სჯეროდა. იგი ჯალილის ვერსიას უფრო სარწმუნოდ მიიჩნევდა, რომლის თანახმადაც, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში თავად წასული იყო, მან ნანა ჰერათის საავადმყოფოში გადააყვანინა და ექიმიც მიუჩინა. ქალი სუფთა საწოლში, კარგად განათებულ ოთახში იწვა. როდესაც გოგონამ დანის შესახებ უამბო, ჯალილმა თავი დანანებით გაიქნია.

მარიამი იმ ფაქტსაც ეჭვის თვალით უყურებდა, რომ მის გამო დედა ორი დღის განმავლობაში იტანჯებოდა.

— მე მითხრეს, რომ ყველაფერი ერთ საათში დასრულდა, — უთხრა ჯალილმა. — კარგი ბავშვი იყავი, ჩემო მარიამ. დაბადებიდანვე — შესანიშნავი ქალიშვილი.

— იქ არც კი ყოფილა! — შფოთავდა გაცეცხლებული ნანა, — თახთ-ე-საფარში იყო და თავის ძვირფას მეგობრებთან ერთად ჯირითობდა.

— როდესაც შეატყობინეს, რომ ქალიშვილი შეეძინა, — არ ცხრებოდა ქალი, — ჯალილმა მხრები აიჩეჩა, თავისი ცხენის ფაფრის ვარცხნა განაგრძო და თახთ-ე-საფარში კიდევ ორ კვირას დარჩა.

— სიმართლე ის არის, რომ სანამ ერთი თვის არ გახდი, ხელშიც კი არ აუყვანიხარ. შემდგომშიც მხოლოდ დაგხედავდა, უკმაყოფილებას გამოთქვამდა შენი მოგრძო სახის გამო და შენს თავს ისევ მე მომაჩეჩებდა.

მარიამს ამ ამბის არც ხსენებული ეპიზოდის სჯეროდა. დიახ, ჯალილი აღიარებდა, რომ თახთ-ე-საფარში საჯირითოდ იმყოფებოდა, მაგრამ ახალი ამბავი რომ ამცნეს, მხრები არ აუჩეჩავს. მაშინვე უნაგირს შემოახტა და ჰერათისკენ გამოეშურა. გოგონას ხელში აბურთავებდა, ცერა თითს აქერცლილ წარბებზე უსვამდა და იავნანას უღიღინებდა. მარიამი წარმოსახვაშიც კი არ უშვებდა, რომ ჯალილი მის სახეს მოგრძოს უწოდებდა, თუმცა სინამდვილეში, მართლაც, გრძელი სახე ჰქონდა.

ნანა ყვებოდა, რომ სახელი მარიამი თავად შეურჩია, რადგან დედამისს ერქვა. ჯალილმა კი უთხრა, ეს სახელი დაგარქვი, რადგან მარიამი — ტუბეროზა მშვენიერი ყვავილიაო.

— შენი საყვარელი ყვავილია? — ჰკითხა მარიამმა.

— დიახ, ერთ-ერთი საყვარელი, — უპასუხა ჯალილმა და გაუღიმა.

## 3

მარიამის ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი მოგონება ურიკის რკინის თვლების ჭრიალს უკავშირდებოდა. მის ორ ნახევარძმას, როგორც წესი, მუჰსინსა და რამინს, ზოგჯერ კი რამინსა და ფარჰადს, თვეში ერთხელ ბრინჯით, ფქვილით, ჩაით, შაქრით, ზეთით, საპნითა და კბილის პასტით დატვირთული ურიკა მოჰქონდათ. ტალახიანი ბილიკების, კლდეებისა და რიყის ქვების, ორმოებისა და ბუჩქების გავლით ბიჭები ურიკას მანამდე მოათრევდნენ, სანამ პატარა მდინარემდე არ მიაღწევდნენ. იქ პროდუქტებისგან ცლიდნენ და მდინარეზე ხელით ეზიდებოდნენ. შემდეგ ურიკაც გადაჰქონდათ და ხელახლა ტვირთავდნენ. მომდევნო ორასი იარდის მანძილზე კვლავ აწვებოდნენ და ამჯერად მა-

ღალ, გაუვალ ბალახსა და ჩირგვებში იკვლევდნენ გზას. გზაზე ბაყაყები დახტუნავდნენ. ძმები ოფლიანი სახიდან კოღოებს ხელით იშორებდნენ.

— მსახურები ხომ ჰყავს, — უკვირდა მარიამს, — შეეძლო მსახური გამოეგზავნა.

— ამ საქციელით ცოდვის გამოსყიდვას ცდილობს, — პასუხობდა ნანა.

ურიკის ხმაზე ქალები გარეთ გამოდიოდნენ. მარიამს არასდროს დაავიწყდებოდა, როგორ აკვირდებოდა ნანა დღის რაციონს. მაღალი, ძვალმსხვილი, ფეხშიშველა ქალი შესასვლელ კარს ეყრდნობოდა. ზარმაც თვალს ისე ჭუტავდა, რომ ქუთუთოებს შორის ვიწრო ნაპრალიღა რჩებოდა, ხელებს კი გამომწვევად გადაიჯვარედინებდა. მის მოკლედ შეჭრილ, დაუვარცხნელ თმას მზე ანათებდა. ყელამდე შეკრული ნაცრისფერი პერანგი ტანზე საშინლად ადგა. ჯიბეები კაკლისოდენა კენჭებით ჰქონდა სავსე.

ბიჭები მდინარის პირას ჩამოსხდებოდნენ და ელოდნენ, სანამ მარიამი და ნანა სურსათ-სანოვაგეს ქოლბაში შეზიდავდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ნანას ცუდი მიზანი ჰქონდა და ქვების უმეტესობა მის სამიზნეს დიდი მანძილით სცდებოდა, ძმებმა იცოდნენ, რომ ოცდაათ იარდზე ახლოს არ უნდა მისულიყვნენ. ნანა თან ბრინჯით სავსე ჩანთებს მიათრევდა და თან ბიჭებს უყვიროდა; ისეთი სიტყვებით მიმართავდა, რომელთა მნიშვნელობა მარიამს არ ესმოდა; მათ დედებს წყევლიდა, საძაგლად ემანჭებოდა. თუმცა ბიჭები შეურაცხყოფითვე არასდროს პასუხობდნენ.

მარიამს ძმები ეცოდებოდა. თანაუგრძნობდა, ასეთი მძიმე ტვირთის თრევა რომ უწევდათ. დარდობდა, ხელები და ფეხები ძალიან რომ ეღლებოდათ. უნდოდა, მათთვის წყლის შეთავაზების უფლება ჰქონოდა, მაგრამ ხმას ვერ იღებდა. თუკი ისინი ხელს დაუქნევდნენ, გოგონა იმავეთი ვერ პასუხობდა. ერთხელ ნანას საამებლად თავადაც უყვირა მუჰსინს; მიაძახა, რომ პირი ხვლიკის უკანალს მიუგავდა. თუმცა, მოგვიანებით, დანაშაულისა და სირცხვი-

ლის გრძნობამ შეიპყრო და თან შეშინდა, ეს ამბავი ჯალილის ყურამდე არ მისულიყო. ამაზე ნანამ ისე გულიანად გაიცინა, ყველა კბილი ფესვიანად გამოუჩნდა. მარიამს შეხედა და უთხრა:

— კარგი შვილი ხარ.

დაცარიელებულ ურიკას ბიჭები უკან მიათრევდნენ. მარიამი მათ იქამდე არ აცილებდა თვალს, სანამ მუხლამდე ბალახსა და აყვავილებულ სარეველებში არ გაუჩინარდებოდნენ.

— მოდიხარ?

— ახლავე, ნანა.

— დაგცინეს. გავიგონე.

— მოვდივარ.

— ჩემი არ გჯერა?

— აქ ვარ.

— ხომ იცი, რომ მიყვარხარ, მარიამ-ჯო.

დილაობით შორიდან მოღწეული ცხვრის ბღავილი და მეცხვარის სალამურის ხმა აღვიძებდათ. გულ დამანელი მეცხვარე თავის ფარას ბალახით დაფარული გორაკის ფერდობისკენ მიერეკებოდა. მარიამი და ნანა თხებს წველიდნენ, ქათმებს აჭმევდნენ და კვერცხებს აგროვებდნენ. პურს ერთად აცხობდნენ. ნანა აჩვენებდა, როგორ მოეზილა ცომი, დაენთო თონე და გაბრტყელებული ცომი შიგ ჩაეკრა; გარდა ამისა, ასწავლიდა კერვას, ბრინჯისა და სხვადასხვა კერძის, მაგალითად, შალყამის(შალყამი — თალგამი.) რაგუს, საბზით(საბზი — მწვანილი.) შენელებული ისპანახის, ჯანჯაფილიანი ყვავილოვანი კომბოსტოს მომზადებას.

ნანა სტუმრების და, ზოგადად, ადამიანების მიმართ თავის უარყოფით დამოკიდებულებას არ ფარავდა, თუმცა არსებობდა რამდენიმე გამონაკლისი. ერთ-ერთი მათგანი გულ დამანის მმართველი, სოფლის არბაბი(არბაბი — ბატონი, თავკაცი, პატრონი.) ჰაბიბ ხანი იყო — პატარათავიანი, წვეროსანი კაცი, მოზრდილღიპიანი. იგი თვეში ერთხელ ან ორჯერ მოდიოდა, ფეხდაფეხ მსახური მოსდევდა, რომელსაც

მარიამისთვის ხან წიწილა, ზოგჯერ კი ქოთნით ქიჩირი(ქიჩირი — ოსპის ფლავი. ) ან კალათით შეღებილი კვერცხები მოჰქონდა.

კიდევ ერთი საპატიო სტუმარი მოხუცებული ქალი იყო, რომელსაც ნანა ბიბი(ბიბი — მიმართვის ფორმა ხანდაზმული ქალისადმი.)-ჯოს(ჯო — ერთვის სახელებს და აწარმოებს ალერსობით ფორმებს, მნიშვნელობით: ძვირფასო, საყვარელო. ) ეძახდა. მისი განსვენებული მეუღლე მოქანდაკე იყო და ნანას მამასთან მეგობრობდა. ბიბის მისი ექვსი რძლიდან ერთ-ერთი და ორიოდე შვილიშვილი მუდმივად თან ახლდა. ქალი კოჭლობდა და, სანამ ველობამდე მოაღწევდა, მთელი გზა ბუზღუნებდა; თეძოებს ისრესდა, შემდეგ ტკივილისგან ამოიოხრებდა და ნანას მიერ შეთავაზებულ სკამზე ჩამოჯდებოდა. ბიბი-ჯოსაც ყოველთვის ჰქონდა მარიამისთვის საჩუქარი — ერთი ყუთი დიშლამე(დიშლამე — კვნიტი შაქარი და მისთ., რომელსაც ჩაისთან მიირთმევენ. ) ან კალათით კომში. ნანასთან თავის ჯანმრთელობაზე წუწუნებდა და თან ჰერათიდან და გულ დამანიდან ჭორები მოჰქონდა; ყველაფერს დაწვრილებით და გულმოდგინედ უყვებოდა. ამ დროს კი რძალი ზურგს უკან ეჯდა და მთელი ყურადღებით უსმენდა.

ჯალილის შემდეგ მარიამს ყველაზე მეტად მოლა ფაეზულა, ყურანის ყველაზე ხანდაზმული მასწავლებელი, ახუნდი(ახუნდი — სასულიერო პირი, ძველი დაწყებითი სკოლის მასწავლებელი.) უყვარდა. იგი მარიამისთვის ხუთი, ყოველდღიურად შესასრულებელი ნამაზისა(ნამაზი — მუსლიმთა სავალდებულო ლოცვა, რომელიც დღეში ხუთჯერ სრულდება. ) და ყურანის შესასწავლად გულ დამანიდან კვირაში ერთხელ ან ორჯერ მოდიოდა. პატარაობისას ნანასაც ზუსტად ასე ამეცადინებდა. მარიამსაც მან ასწავლა კითხვა; მხარს მიღმა მოთმინებით აკვირდებოდა, როგორ წარმოთქვამდა სიტყვებს ჩურჩულით, თან საჩვენებელ თითს თითოეულის ქვეშ მთელი ძალით, ფრჩხილისა და თითის ბალიშის გათეთრებამდე აყოლებდა, თითქოს ასე სიმბოლოების მნიშვნელობას ჩასწვდებოდა. მოლა ფაეზულამ ააღებინა მარიამს ხელში ფანქარი, პირველი

ალიფი(ალიფი — არაბული ანბანის პირველი ასო.) და ბა(ბა — არაბული ანბანის მეორე ასო.) სწორედ მან მოახაზვინა.

მოლა ჩამომხმარი, მხრებში მოხრილი მოხუცებული იყო. კბილები აღარ შერჩენოდა, თეთრი წვერი კი ჭიპამდე სწვდებოდა. წესისამებრ, ქოლბაში მარტო მოდიოდა, თუმცა ხანდახან თავისი ჟღალთმიანი ვაჟი — ჰამზაც მოჰყავდა. იგი მარიამზე რამდენიმე წლით უფროსი იყო. როდესაც მოლა ფაეზულა გოგონას ესტუმრებოდა, მარიამი ხელზე ემთხვეოდა და ისეთი შეგრძნება ეუფლებოდა, რომ კანგადაკრულ წვრილ ტოტებს კოცნიდა. მოლა კი გოგონას შუბლზე ეამბორებოდა და მერე სამეცადინოდ შიგნით შეჰყავდა. გაკვეთილის დასრულების შემდეგ, ქოლბას გარეთ სხდებოდნენ, კედრის კაკალს მიირთმევდნენ და მწვანე ჩაის წრუპავდნენ. ხიდან ხეზე მოხტუნავე მგალობელ ფრინველებს აკვირდებოდნენ. ზოგჯერ ჩამოცვენილ ბრინჯაოსფერ ფოთლებსა და შავი თხმელის ბუჩქებს შორის სეირნობდნენ. მოლა ფაეზულა თან თასბიჰის(თასბიჰი — კრიალოსანი.) მძივებს მარცვლავდა და თან მარიამს მთრთოლავი ხმით უყვებოდა ახალგაზრდობისდროინდელ ამბებს — ხან ორთავიან გველზე, რომელიც ირანში, ისპაანის ოცდაცამეტთაღიან ხიდზე იპოვა, ხან საზამთროზე, მაზარში ლურჯი მეჩეთის გარეთ შუაზე რომ გააპო, რათა ენახა თესლები, რომლითაც ერთ მხარეს სიტყვა ალაჰი(ალაჰი — უფალი.), მეორე მხარეს კი აქბარი(აქბარ — (არაბ.) დიდი, დიდებული. ) გამოსახულიყო.

მოლა ფაეზულამ მარიამთან აღიარა, რომ ყურანის ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობა არ ესმოდა. მაგრამ არაბული ენის მომაჯადოებელი ჟღერადობა ხიბლავდა, სიტყვები კი ამშვიდებდა და გულს უმსუბუქებდა.

— შენც განუგეშებს, მარიამ, — ეუბნებოდა მასწავლებელი, — შეგიძლია, საჭიროების დროს გამოიყენო და არ გაგაწბილებს. ღვთის სიტყვა იმედს არასდროს გაგიცრუებს, ჩემო გოგონა.

მოლა ფაეზულა ამბებს ისმენდა და თავადაც ყვებოდა. მარიამის მონათხრობს ყოველთვის გულდასმით უგდებდა ყურს. თავს მშვიდად უქნევდა და მადლიერების ნიშნად უღიმოდა, თითქოს დიდი პატივი

დასდესო. მარიამს ისეთ თემებზეც უადვილდებოდა მოლა ფაეზულასთან საუბარი, რაზეც ნანასთან ხმის დაძვრასაც ვერ გაბედავდა.

ერთ დღეს, სეირნობისას, მარიამმა თავის მასწავლებელს გაუმხილა, რომ სკოლაში სიარული სურდა.

— ნამდვილ სკოლას ვგულისხმობ, ახუნდ საჰიბ(საჰიბი — ბატონი. ), თავისი საკლასო ოთახებით. ისეთს, მამაჩემის დანარჩენი შვილები რომ სწავ-

ლობენ.

მოლა ფაეზულა შეცბა.

ერთი კვირის წინ ბიბი-ჯომ ამბავი მოიტანა, რომ ჯალილის ქალიშვილები — საიდე და ნაჰიდი ჰერათში, მეჰრის ქალთა სკოლაში შედიოდნენ. მას შემდეგ, მარიამს გასაქანს არ აძლევდა ფიქრები საკლასო ოთახებსა და მასწავლებლებზე, ხაზებიან რვეულებზე, რიცხვების სვეტებსა და კალმებზე, რომლითაც მუქ, სქელ ნიშნებს დასვამდა. საკუთარ თავს საკლასო ოთახში თანატოლ გოგონებთან ერთად წარმოიდგენდა. გულით ეწადა, რომ ფურცლებზე სახაზავის დახმარებით მნიშვნელოვანი ხაზები გაევლო.

— ნამდვილად გინდა ეს? — ჰკითხა მოლა ფაეზულამ და თავისი თბილი, წყლიანი თვალებით შეხედა. წელში მოხრილს ხელები ზურგს უკან შემოეწყო, მისი ჩალმის ჩრდილი კი აყვავებულ ბაიებს ეცემოდა.

— დიახ.

— და გსურს, რომ დედაშენს ნებართვა მე ვთხოვო.

მარიამმა გაუღიმა. იგი ფიქრობდა, რომ ჯალილის შემდეგ, მოხუც მასწავლებელზე უკეთ მისი არავის ესმოდა.

— მითხარი, როგორ მოვიქცე? ყველას გვაქვს ღვთისგან ნაბოძები სისუსტეები, და ჩემს მრავალრიცხოვან სისუსტეებს შორის ერთ-ერთი ის არის, რომ, ჩემო ძვირფასო, შენთვის უარის თქმა არ შემიძლია, — უთხრა მარიამს და ნიკაპზე ართრიტიანი თითი მიუკაკუნა.

მოგვიანებით, როდესაც მოლა ფაეზულამ ეს საკითხი ნანასთან წამოჭრა, დანა, რომლითაც ხახვს ასუფთავებდა, ქალს ხელიდან გაუვარდა.

— რისთვის?

— თუკი გოგონას სწავლა სურს, ნება დართე. მიეცი შესაძლებლობა, რომ განათლება მიიღოს.

— სწავლა? რა სწავლა, მოლა საჰიბ? — მკვახედ მიუგო ნანამ, — რა უნდა ისწავლოს?

გამჭოლი მზერა მიაპყრო შვილს.

მარიამი საკუთარ ხელებს დასჩერებოდა.

— შენისთანა გოგოს სკოლაში სიარულს რა აზრი აქვს? ეს იგივეა, რომ სანერწყვებელი გაანათო. ამ სკოლებში ღირებულს ვერაფერს ისწავლი. ერთადერთი უნარი, რომელიც ჩვენნაირ ქალებს ცხოვრებაში გამოადგებათ, სკოლებში არ ისწავლება. შემომხედე.

— შვილო ჩემო, გოგონას ასე ნუ ელაპარაკები, — ჩაერია მოლა ფაეზულა.

— შემომხედე.

მარიამი დანებდა.

—ერთადერთი უნარი-მეთქი! ეს თაჰამოლია(თაჰამოლი — თმენა, ატანა. ), თმენა.

— რისი თმენა, ნანა?

— ოჰ, თქვენ ნუ ღელავთ, — უთხრა ნანამ, — კარგად ვიცი — ამის ნაკლებობა არ ექნება.

ქალი გაუჩერებლად ყვებოდა, როგორ ეძახდნენ ჯალილის ცოლები უშნოს, მდაბიო ქვის მთლელის ქალიშვილს; როგორ აიძულებდნენ, თეთრეული გარეთ სიცივეში სახის გათოშვამდე და თითებში შეგრძნების დაკარგვამდე ერეცხა.

— ეს ჩვენი ხვედრია, მარიამ. ჩვენნაირი ქალების ხვედრი. ვითმენთ. სულ ეს არის, რისი გაკეთებაც შეგვიძლია. გესმის? გარდა ამისა, სკოლაში დაგცინებენ. ნამდვილად ასე იქნება. ჰარამის დაგიძახებენ. შენზე საშინელებებს ილაპარაკებენ. ამის გადატანა არ მინდა.

მარიამმა თავი დაუქნია.

— და სიტყვა აღარ გავიგონო სკოლის შესახებ. მხოლოდ შენ მყავხარ. არ მინდა, მათ გამო დაგკარგო. შემომხედე! დავამთავროთ სკოლაზე ლაპარაკი!

— ნანა, კეთილგონიერება მოიკრიბე. თუკი გოგონას სურს... — კვლავ წამოიწყო მოლა ფაეზულამ.

— ახუნდ, მიუხედავად თქვენდამი ღრმა პატივისცემისა, უნდა გესმოდეთ, რომ ასეთი სულელური აზრების წაქეზება არ შეიძლება. თუ ნამდვილად მასზე ზრუნავთ, უნდა აუხსნათ, რომ იგი აქ, სახლში უნდა იყოს დედასთან ერთად. გარეთ მისთვის სასარგებლო არაფერი ხდება. არაფერი, გარდა უარყოფისა და გულის ტკივილისა. ვიცი, ახუნდ საჰიბ, ეს დანამდვილებით ვიცი.

## 4

მარიამი ქოლბაში სტუმრებს — სოფლის არბაბს თავისი საჩუქრებით, მტკივანთეძოიან, ჭორებით დახუნძლულ ბიბისა და, რაღა თქმა უნდა, მოლა ფაეზულას — სიამოვნებით იღებდა. მაგრამ ჯალილის დანახვაზე მეტად არაფერი ახარებდა.

მღელვარება სამშაბათ ღამით მატულობდა. მარიამს ცუდად ეძინა; შიშობდა, რომ რაღაც გადაუდებელი საქმე ჯალილს ხუთშაბათს მასთან სტუმრობაში ხელს შეუშლიდა და მთელი მომდევნო კვირა კვლავაც მამის ნახვის მოლოდინში უნდა გაეტარებინა. ოთხშაბათობით გოგონა ქოლბას გარშემო ბოლთას სცემდა, წიწილების საკვებს საქათმეში უგულისყუროდ აბნევდა, უაზროდ მიდი-მოდიოდა, ყვავილებს ფურცლებს აცლიდა და მის მკლავებზე შემომსხდარ კოღოებს გაუაზრებლად იშორებდა. ხუთშაბათობით, კედელს მიყრდნობილი, ნაკადულს მიშტერებოდა და ელოდა. თუ ჯალილს შეაგვიანდებოდა, საშინელი ძრწოლა იტანდა. მუხლები ისე უკანკალებდა, დაწოლასაც ძლივს ახერხებდა.

უეცრად ნანა შესძახებდა: „აგერ, გამოჩნდა მამაშენი, მთელი თავისი დიდებულებით!“

მარიამი ფეხზე წამოხტებოდა, ნაკადულს ქვებზე ხტუნვა-ხტუნვით გადაირბენდა. ჯალილს უღიმოდა და ხელს უქნევდა. გოგონამ იცოდა, რომ ნანა უყურებდა; მის რეაქციას აკვირდებოდა. მიუხედავად ამისა, თავს ვერ იკავებდა, რომ მამას კართან მოთმინებით დალოდებოდა; შორიდან ეცქირა, როგორ უახლოვდებოდა და მისკენ არ გაქცეულიყო. ჯალილი მაღალ ბალახს მოაპობდა, პიჯაკი მხარზე ჰქონდა გადაგდებული, სიო წითელ ჰალსტუხს უფრიალებდა.

როდესაც ველობში შემოაბიჯებდა, კოსტიუმს თონეზე მიაგდებდა და ხელებს გაშლიდა. თავდაპირველად, მარიამი მისკენ ნელი სვლით მიდიოდა, მაგრამ მალევე სირბილს იწყებდა. ჯალილი გოგონას მკლავებში მოიქცევდა და ჰაერში აიტაცებდა. ისიც ბედნიერებისგან კიოდა.

მარიამი ზემოდან დაჰყურებდა ჯალილის სახეს, მის ფართო, მრუდე ღიმილს; ორად გაპობილ ნიკაპს; მოსწონდა მისი მოხდენილი ულვაში; უხაროდა, რომ ამინდის მიუხედავად, ყოველთვის თავისი ყავისფერი კოსტიუმი ეცვა, გულის ჯიბეში სამკუთხა ცხვირსახოცი ედო. ჩვეულებისამებრ, წითელი ჰალსტუხი ეკეთა. მარიამი საკუთარ ანარეკლს — აფრიალებულ თმას, აღტაცებისგან გაცისკროვნებულ სახესა და ცას თავს ზემოთ — ჯალილის ყავისფერ თვალებში ხედავდა.

ნანა მარიამს აფრთხილებდა, ერთხელაც ხელიდან გაუსხლტები, მიწაზე დაეცემი და რამეს მოიტეხავო. მაგრამ გოგონას ვერ წარმოედგინა, რომ ჯალილს შეიძლება ძირს დავარდნოდა. ღრმად სწამდა, მის მოვლილ ხელებში ყოველთვის უსაფრთხოდ იქნებოდა.

მამა-შვილი ქოლბას გარეთ, ჩრდილში სხდებოდნენ. ნანა ჩაით უმასპინძლდებოდა. ის და ჯალილი ერთმანეთს მადლობას უხერხული ღიმილითა და თავის დაკვრით უხდიდნენ. ქვების სროლისა და წყევლის გამო ჯალილი ნანას არასდროს საყვედურობდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჯალილის მოსვლამდე ქალი მასზე აღშფოთებით საუბრობდა, მისი გამოჩენისთანავე თავაზიანი ხდებოდა. ყოველთვის თავდაბანილი, კბილებგახეხილი, საუკეთესო ჰიჯაბით(ჰიჯა-

ბი — მუსლიმი ქალის შესამოსელი, რომელიც მას სხეულსა და თმას უფარავს, ჩადრი.) ხვდებოდა. მშვიდად იჯდა კაცის მოპირდაპირე სკამზე და ხელები მუხლებზე ეწყო. თვალს არ უსწორებდა და მისი მისამართით უხეშ გამონათქვამებს არ იყენებდა. სიცილისას, გაფუჭებული კბილების დასამალად, ქალი პირს მუშტით იფარავდა.

ნანა მისი საქმიანობის, ცოლების შესახებ კითხვებს უსვამდა. როდესაც ერთხელ უთხრა, ბიბისგან შევიტყვე, შენი ყველაზე ახალგაზრდა ცოლი, ნარგიზი მესამე შვილს ელოდებაო, ჯალილმა თავაზიანად გაუღიმა და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— ბედნიერი უნდა იყო, — არ მოეშვა ნანა, — მერამდენე შვილი იქნება? მეათე? მაშალლა.(მაშალლა — (არაბ.) „რაც უფალს სწადია“. გამოიყენება შექებისას და გაკვირვებისას — ყოჩაღ! აფერუმ! ) მეათე?

ჯალილმა დაუდასტურა.

— მეთერთმეტე, თუ, რა თქმა უნდა, მარიამსაც თვლი.

მოგვიანებით, ჯალილის წასვლის შემდეგ, ამ კითხვის გამო დედა-შვილს მცირე კამათი მოუვიდა. შვილმა ნანა ჯალილის გაცურებაში დაადანაშაულა.

ჩაის სმის რიტუალის შემდეგ, მარიამი მამასთან ერთად ყოველთვის სათევზაოდ მიდიოდა. იგი აჩვენებდა, როგორ გადაეგდო ანკესი და როგორ ამოეყვანა წყლიდან კალმახი. ასწავლიდა თევზის გამოშიგვნას, გასუფთავებასა და ხელის ერთი მოძრაობით ხორცის ფხისგან განცალკევებას. თევზის ანკესზე წამოგების მოლოდინში მამა-შვილი ხატავდა. ჯალილი გოგონას ქაღალდიდან ფანქრის აუღებლად სპილოს დახატვას აჩვენებდა. ლექსებსაც ასწავლიდა. ერთად მღეროდნენ კიდეც:

ბეღურების წყლის ჭურჭელი
დგას ჭუჭყიან ბილიკზე,
ჭიჭყინა ჩამომჯდარა კიდეზე და სვამს,
ფეხი დაუსხლტა და ჩაიძირა წყალში.

ჯალილს ჰერათის გაზეთ Ittifaq-iIslam-იდან ამონაჭრები მოჰქონდა და მარიამს უკითხავდა. ის იყო მარიამის დამაკავშირებელიც ქოლბას, გულ დამანისა და ჰერათის გარდა არსებულ უფრო დიდ და განსხვავებულ სამყაროსთან, და მტკიცებულებაც, რომ ეს სამყარო ნამდვილად არსებობდა; ეს იყო პრეზიდენტების სამყარო ძნელად წარმოსათქმელი სახელებით, მატარებლებით, მუზეუმებით, ფეხბურთითა და კოსმოსური ხომალდებით, რომელიც დედამიწის ორბიტაზე მოძრაობდა და მთვარეზეც კი ჯდებოდა. ყოველ ხუთშაბათს ჯალილს ამ სამყაროს ნაწილი ქალიშვილთან ქოლბაში მიჰქონდა.

1973 წლის ზაფხულის ერთ დღეს (მაშინ მარიამი თოთხმეტი წლის იყო) ჯალილმა ზაჰირ შაჰზე წამოიწყო საუბარი. შაჰზე, რომელიც ქაბულიდან ორმოცი წლის განმავლობაში მართავდა ქვეყანას, და რომელიც უსისხლო სახელმწიფო გადატრიალების გზით ჩამოაგდეს.

— ეს მისმა ბიძაშვილმა, დაუდ ხანმა მაშინ ჩაიდინა, მეფე იტალიაში მკურნალობის კურსს რომ გადიოდა. დაუდ ხანი ხომ გახსოვს? მის შესახებ გიყვებოდი. შენ რომ დაიბადე, იგი პრემიერ-მინისტრი იყო. ახლა ავღანეთში მონარქია აღარ არის, მარიამ. როგორც იცი, უკვე რესპუბლიკაა, დაუდ ხანი კი — პრეზიდენტი. ხმები დადის, რომ ძალაუფლების ხელში ჩაგდებაში მას ქაბულელი სოციალისტები დაეხმარნენ. წარმოგიდგენია? თვითონ სოციალისტი არ არის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც დაეხმარნენ. თუმცა ეს მხოლოდ ჭორებია.

მარიამმა ჰკითხა, სიტყვა სოციალისტი რას ნიშნავსო. ჯალილმაც ახსნა დაუწყო, მაგრამ გოგონას მისი თითქმის აღარ ესმოდა.

— მისმენ?

— კი.

ჯალილმა შენიშნა, რომ მარიამი მისი პალტოს გვერდითა ჯიბის გამოზნექილ ადგილს მიშტერებოდა.

— ხო, რა თქმა უნდა. მაშინ, აგერ. ნუღარ გავწელავთ...

ჯიბიდან მომცრო ყუთი ამოაცურა და მარიამს გადასცა. ასე დროდადრო იქცეოდა, მისთვის პატარ-პატარა საჩუქრები მოჰქონდა. ერთხელ სარდიონის სამაჯური, მეორედ კი — ლაზურიტის თვლებით გაწ-

ყობილი ყელსაბამი აჩუქა. იმ დღეს მარიამმა ყუთი გახსნა და შიგ პაწაწინა მონეტებით აწყობილი ფოთლის ფორმის კულონი აღმოაჩინა, რომელზეც მთვარე და ვარსკვლავები იყო ჩამოკიდებული.

— გაიკეთე, მარიამ-ჯო.

გოგონა ასეც მოიქცა.

— აბა, რას იტყვი?

ჯალილი გაიბადრა:

— დედოფალს ჰგავხარ!

მისი წასვლის შემდეგ ნანამ მარიამის კისერზე კულონი შენიშნა.

— მომთაბარე ხალხების ნაკეთობაა, — თქვა მან, — ჩემი თვალით მაქვს ნანახი, როგორ ამზადებენ. იმ მონეტებს, რომელსაც ხალხი მათ ესვრის, ადნობენ და შემდეგ სამკაულებს აკეთებენ. ვნახოთ ერთი, შენი ძვირფასი მამა შემდეგ ჯერზე ოქროს თუ მოგიტანს. ვნახოთ.

ჯალილის წასვლის დრო რომ ახლოვდებოდა, მარიამი ყოველთვის გასასვლელ კარში დგებოდა და ველობისკენ მიმავალს თვალს არ აშორებდა; ფიქრობდა იმ ერთ კვირაზე, რომელიც უზარმაზარი უძრავი საგანივით იყო გაჩხერილი მისი და ჯალილის მომდევნო შეხვედრას შორის. მარიამი მამას თვალს არ აცილებდა და თან სუნთქვას იკავებდა. ჩაისუნთქავდა და გონებაში წამებს ითვლიდა. წარმოიდგენდა, რომ თითოეული წამისთვის, როდესაც კი არ სუნთქავდა, ღმერთი ჯალილთან ერთად გატარებული კიდევ ერთი დღით დაასაჩუქრებდა.

ღამღამობით მარიამი წვებოდა და გონებაში ჰერათის სახლს წარმოიდგენდა. მამასთან ერთად ცხოვრებაზე და მის ყოველდღე ნახვაზე ოცნებობდა. საკუთარ წარმოსახვაში ხედავდა, როგორ აწვდიდა პირსახოცს წვერის გაპარსვის შემდეგ და თუ შემთხვევით პარსვისას კანს გაიკაწრავდა, მაშინვე ანიშნებდა; უმზადებდა ჩაის, უკერებდა აწყვეტილ ღილებს. ერთად სეირნობდნენ ჰერათის თაღოვან ბაზარშიც, სადაც, ჯალილის თქმით, ნებისმიერ რამეს იპოვიდი, რასაც ისურვებდი. მამას მანქანით ივლიდნენ, ხალხი კი მათზე

მიუთითებდა და იტყოდა, — აი, ჯალილ-ხანი მოდისო ქალიშვილთან ერთად. ის კი აჩვენებდა სახელგანთქმულ ხეს, რომლის ძირშიც პოეტი იყო დაკრძალული.

ერთ დღესაც მარიამმა გადაწყვიტა, თავისი ოცნებები მამამისისთვის გაენდო. როდესაც ჯალილი ამ ყველაფერს მოისმენდა და დაინახავდა, როგორ ენატრებოდა იგი მარიამს, ნამდვილად თავისთან წაიყვანდა. მარიამიც ჰერათში, მის სახლში, ჯალილის დანარჩენ შვილებთან ერთად იცხოვრებდა.

## 5

ვიცი, რაც მინდა, — მიმართა მარიამმა ჯალილს.

ეს 1974 წლის გაზაფხულზე მოხდა. ამ წელს მარიამი თხუთმეტისა გახდა. სამივე გარეთ, ტირიფების ჩრდილში სამკუთხედად განლაგებულ დასაკეც სკამებზე ისხდნენ.

— ვიცი, დაბადების დღის საჩუქრად რასაც ვისურვებდი.

— მართლა? — ჰკითხა ჯალილმა და გამამხნევებლად გაუღიმა.

ორი კვირის წინ, მარიამის დაჟინებული თხოვნით, ჯალილმა გოგონას გაუმხილა, რომ მის კინოთეატრში განსაკუთრებული ტიპის ამერიკული ფილმი გადიოდა, რომელსაც თურმე მულტფილმს უწოდებდნენ. როგორც მამამ აუხსნა, ფილმი ათასობით ნახატისგან შედგებოდა. როდესაც ისინი ფილმად აქციეს და ეკრანზე გაუშვეს, ნახატების სწრაფმა ცვლამ მოძრაობის ილუზია შექმნა. ჯალილმა მოუთხრო, რომ ფილმი მოხუცებულ, უშვილო სათამაშოების ოსტატზე იყო. მარტოსულს სასოწარკვეთამდე სურდა, ვაჟიშვილი ჰყოლოდა. ამიტომ გამოკვეთა ხის ბიჭუნა, რომელიც სასწაულის ძალით გაცოცხლდა. მარიამმა სთხოვა მამას, კიდევ მოეყოლა მათზე რამე. მანაც განაგრძო: მოხუც კაცსა და მის თოჯინას უამრავი თავგადასავალი გადახდათ; მოხვდნენ სიამოვნების კუნძულზე, ცუდი ბიჭები ვირებად გადაიქცნენ. ბოლოს თოჯინა

და მამამისი ვეშაპმაც კი გადაყლაპაო. მარიამმა ფილმის შესახებ მოლა ფაეზულასაც კი უამბო.

— მინდა შენს კინოთეატრში წამიყვანო, ანიმაციური ფილმის და სათამაშო ბიჭუნას ნახვა მსურს!.. — ჯალილთან საუბარი განაგრძო მარიამმა.

გოგონამ გააცნობიერა, რომ თავისი მოთხოვნით ძვრებს მოახდენდა. მშობლები ადგილებზე გაიყინნენ. მარიამმა იგრძნო, როგორ გაცვალეს მათ მზერა.

– კარგი აზრი არ არის, – უთხრა ნანამ. მშვიდი ხმა ჰქონდა. ტონალობას აკონტროლებდა, ზრდილობინად საუბრობდა, ისე, როგორც ჯალილის თანდასწრებით ჩვეოდა ხოლმე. მაგრამ მარიამი მის ინტენსიურ, საყვედურის გამომხატველ მზერას გრძნობდა.

ჯალილი სკამზე წრიალებდა. ჩაახველა და ყელი ჩაისუფთავა.

– იცი, – დაიწყო მან, – ფილმი უხარისხოა. არც ხმა უვარგა, ამას წინათ კი პროექტორიც მწყობრიდან გამოვიდა. დედა მართალია. იქნებ სხვა საჩუქარი მოიფიქრო, ძვირფასო.

– აი, – თქვა ნანამ, – ხომ ხედავ? მამაც მეთანხმება.

მოგვიანებით, ნაკადულთან მარიამმა მამას კვლავ გაუმეორა:

– წამიყვანე.

– აი, რას გეტყვი, – უპასუხა ჯალილმა, – შენს წასაყვანად ვინმეს გამოვგზავნი. იქამდე დავრწმუნდები, რომ კარგი ადგილი შეგირჩიეს და შენთვის ტკბილეულობაც მოიმარაგეს.

– ნა(ნა — არა. ). მინდა, რომ შენ წამიყვანო.

– ჩემო ძვირფასო.

– და კიდევ მინდა, რომ ჩემი და-ძმებიც მოიყვანო. მათთან შეხვედრა მსურს. ჩემი სურვილია, რომ ყველანი ერთად წავიდეთ.

ჯალილმა ამოიოხრა. განზე, მთებისკენ იყურებოდა.

მარიამს ახსოვდა, მამა რომ უყვებოდა, ეკრანზე ცოცხალი არსებები სახლების ოდენა მოჩანან; ავტოავარიის ამსახველი სცენისას კი გრძნობ, ლითონი ძვლებში როგორ გესობაო. გოგონამ წარმო-

იდგინა, რომ საპატიო ლოჟის სკამზე იჯდა, ნაყინს ლოკავდა, მის გვერდით კი მისი და-ძმა და ჯალილი ისხდნენ.

– აი, რა მინდა, – თქვა მან.

ჯალილმა უიმედო მზერა მიაპყრო.

— ხვალ. შუადღეს. აქ შევხვდეთ, კარგი? ხვალ!

— ჩემთან მოდი, – დაყვავებით უთხრა კაცმა. თავისკენ მიიზიდა და ასე დიდხანს, ძალიან დიდხანს იყვნენ.

ნანა ქოლბას გარშემო ბოლთას სცემდა, ნერვიულობისგან მუშტებს კრავდა და შლიდა.

– ყველაზე უმადური ქალიშვილი ღმერთმა მე რატომ მარგუნა? ყველაფერს შენ გამო ვიტანდი! როგორ ბედავ! ჩემს მიტოვებას როგორ ბედავ, შე მოღალატე, პატარა ჰარამო! – თქვა და გამოაჯავრა. – რა სულელი გოგო ხარ! ნუთუ ფიქრობ, რომ შენზე ღელავს? რომ მის სახლში ვინმეს სჭირდები? გგონია, ქალიშვილად გაღიარებს და სახლში შეგიყვანს? რაღაცას გეტყვი. კაცის გული საზიზღარი რამ არის, მარიამ. დედის საშვილოსნოს არ ჰგავს. ის სისხლს ვერასდროს დაღვრის. ვერ გაფართოვდება, რომ მოგათავსოს, ოთახი მოგიწყოს. მე ერთადერთი ვარ, ვისაც ნამდვილად უყვარხარ. ჩემ გარდა არავინ გყავს, მარიამ და მე რომ აღარ ვიქნები, მარტო დარჩები. აღარაფერი გექნება. შენ არარაობა ხარ!

შემდეგ სცადა, გოგონაში დანაშაულის გრძნობა აღეძრა.

– თუ წახვალ, იცოდე, მოვკვდები! ჯინი დამეპატრონება და კრუნჩხვაში ჩავვარდები. ენას გადავყლაპავ და მოვკვდები. არ დამტოვო, ძვირფასო. გთხოვ, ჩემთან დარჩი. შენ თუ წახვალ, მოვკვდები...

მარიამს კრინტი არ დაუძრავს.

– ხომ იცი, როგორ მიყვარხარ.

მარიამმა უპასუხა, რომ სასეირნოდ მიდიოდა.

შიშობდა, თუ დარჩებოდა, თავისი სიტყვებით ნანას გულს ატკენდა. ეტყოდა, რომ იცოდა — ჯინის ამბავი მისი მოგონილი იყო; რომ ჯალილმა უამბო ნანას დაავადების შესახებ, რომლის მკურნალობაც წამლებით შეიძლებოდა, ის კი ჯალილის ექიმთან მისვლაზე უარს აცხადებდა;

ჰკითხავდა, რატომ არ სვამდა ჯალილის ნაყიდ წამლებს; ეტყოდა, რომ აღარ სურდა მის ხელში ბრმა იარაღი ყოფილიყო, ტყუილებით გაესულელებინა, დაედანაშაულებინა და გამოეყენებინა; რომ დაიღალა მათი ცხოვრების შესახებ ნანას მოგონილი ტყუილების მოსმენით; არ უნდოდა, თავადაც ყველაფრითუკმაყოფილო ადამიანად ქცეულიყო.

შესაძლოა ეთქვა: „ნანა, შენ გეშინია. გეშინია, რომ მე არ ვიპოვო ბედნიერება, რომელიც შენ არასდროს გღირსებია. არ გინდა, რომ ბედნიერი ვიყო. ჩემთვის კარგი ცხოვრება არ გემეტება. სწორედაც რომ, შენ ხარ საზიზღარი გულის პატრონი!“

ველობის ბოლოდან ხედი იშლებოდა. სწორედ იქ უყვარდა ხოლმე მარიამს ყოფნა. ახლაც მშრალ, თბილ ბალახზე იჯდა იმ ადგილას, საიდანაც ჰერათი ხელისგულივით მოჩანდა: ქალების ბაღი ქალაქის ჩრდილოეთით, ჩარ სუყის ბაზარი და ალექსანდრე დიდის ციხესიმაგრის ნანგრევები კი — სამხრეთით. შორი მანძილიდან მინარეთები გოლიათის დამტვერილ თითებს წააგავდა. მარიამის წარმოდგენით, ქალაქის ქუჩები ხალხით, ურმებითა და ჯორებით უნდა ყოფილიყო სავსე. ხედავდა, მერცხლები მის თავზე როგორ დაფრინავდნენ. შურდა ფრინველების. მისგან განსხვავებით ისინი ჰერათში ნამყოფები იყვნენ. ქალაქის მეჩეთების, ბაზრების თავზე დაფრინავდნენ და, შესაძლოა, ოდესღაც ჯალილის სახლის კედლებსა და მისი კინოთეატრის საფეხურებზეც კი შემომსხდარიყვნენ.

გოგონამ ხელში ათი ცალი რიყის ქვა აიღო და ვერტიკალური მიმართულებით, სამ სვეტად განალაგა. ამ თამაშს მარტო ყოფნისას თამაშობდა, მაშინ, როცა ნანა არ უყურებდა. პირველი სვეტი, რომელიც ოთხი ქვისგან ააგო, ხადიჯას შვილებისთვის იყო განკუთვნილი, მეორე და მესამე სვეტები, სამ-სამი ქვით აშენებული, აფსუნისა და ნარგიზის შვილებისთვის; სულ ბოლო, მეოთხე სვეტი კი, ეული, მეთერთმეტე რიყის ქვისგან შედგებოდა.

მეორე დილას მარიამი კრემისფერ, მუხლამდე სიგრძის კაბაში გამოეწყო, ბამბის ქსოვილის შარვალი ჩაიცვა და თავზე მწვანე ჰიჯაბი

გაიკეთა, რომელიც დიდად არ მოსწონდა, რადგან მწვანე ფერი კაბას არ უხდებოდა. მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა, თეთრი ფერის ჩრჩილმა შეუჭამა.

საათი გადაამოწმა. მოლა ფაეზულას ნაჩუქარი ძველი მაჯის საათი ჰქონდა, მწვანე ციფერბლატზე შავი ისრები მოძრაობდა. უკვე ცხრა იყო. ფიქრობდა, ნეტავ, ნანა სად არისო. გარეთ გასვლას და მის მოძებნას აპირებდა, მაგრამ დაპირისპირებას და დედის საყვედურით აღსავსე მზერას მოერიდა. ნანა ღალატში დაადანაშაულებდა. მცდარი განზრახვის გამო მასხრად აიგდებდა.

მარიამი ჩამოჯდა. დროის გასაყვანად დაუსრულებლად ხატავდა სპილოს ქაღალდიდან ხელის აუღებლად, ისე, როგორც მამამ ასწავლა. ჯდომისგან სულ მთლად გაბუჟდა, მაგრამ ცოცხალი თავით არ წვებოდა, ეშინოდა, კაბა არ დაჭმუჭნოდა.

როდესაც საათის ისრებმა თორმეტის ნახევარი უჩვენა, მარიამმა თერთმეტივე რიყის ქვა ჯიბეში ჩაიდო და გარეთ გავიდა. ნაკადულისკენ რომ მიდიოდა, მტირალი ტირიფების ჩრდილქვეშ სკამზე მჯდომი ნანა შენიშნა. დარწმუნებული არ იყო, ნანამაც დაინახა თუ არა.

მდინარესთან იმ ადგილას გაჩერდა, სადაც წინა დღეს ჯალილმა შეხვედრა დაუნიშნა. ცაზე ნაცრისფერი, ყვავილოვანი კომბოსტოს ფორმის ღრუბლები მოჩანდა. ერთხელ ჯალილმა აუხსნა, ღრუბელი ნაცრისფერი იმიტომ ხდება, რომ მისი სქელი ნაწილი მზის შუქს ეფარება და თავისივე ჩრდილქვეშ ექცევაო.

— სულ ეს არის, რასაც ხედავ, ჩემო მარიამ, ჩრდილები უხილავ სივრცეში, — უთხრა მაშინ კაცმა.

ცოტა ხნის შემდეგ მარიამი ქოლბაში დაბრუნდა. ნანასთვის რომ თავი აერიდებინა, ველობს დასავლეთის მხრიდან მოუარა. დრო გადაამოწმა. უკვე თითქმის პირველი საათი იყო.

— ის ხომ ბიზნესმენია, — თავისთვის ფიქრობდა მარიამი, — ალბათ რაღაც საქმე გამოუჩნდა.

ისევ ნაკადულთან დაბრუნდა და კიდევ ცოტა ხანს მოიცადა. მის თავზე შაშვები დაფრინავდნენ, შემდეგ კი ბალახში იმალებოდნენ. ნარშავის ძირში მოზოზინე მუხლუხს დააკვირდა.

იცდიდა, სანამ ფეხები არ დაუმძიმდა. მაგრამ ამჯერად ქოხში აღარ დაბრუნებულა. შარვლის ტოტები მუხლებამდე აიკეცა, მდინარე გადაიარა და ცხოვრებაში პირველად გორაკიდან ჰერათისკენ დაეშვა.

როგორც ჩანს, ნანას ჰერათის შესახებ მცდარი წარმოდგენა ჰქონდა. მარიამისკენ თითი არავის გაუშვერია. არავის დაუცინია. გოგონა ხმაურიან, ხალხით სავსე, მწკრივად ჩარიგებული კვიპაროსის ხეებიან ბულვარებს მიუყვებოდა, სადაც ფეხით მოსიარულეთა, ველოსიპედით მოსეირნეთა, ჯორზე შებმული გარების(გარი — ორთვალა, საზიდარი.) ნაკადი არ წყდებოდა. მიუხედავად ამისა, მისთვის ქვა არავის უსვრია; ჰარამი არავის უწოდებია. ზედაც კი არავინ უყურებდა. მისთვის სრულიად მოულოდნელად, აქ თავი ჩვეულებრივ ადამიანად იგრძნო.

მარიამი ცოტა ხნით ოვალური ფორმის აუზთან, დიდი პარკის შუაგულში შეჩერდა, იქ, სადაც კენჭებით დაფარული ბილიკები ჯვარედინად იკვეთებოდა. თითები ინტერესით გადაუსვა იქვე მდგომ ულამაზეს მარმარილოს ცხენებს, რომლებიც აუზის კიდის გასწვრივ განლაგებულიყვნენ და წყალს უაზრო თვალებით დაშტერებოდნენ. მარიამი თვალს ადევნებდა ბიჭების ჯგუფს, წყალში ქაღალდის გემებს რომ უშვებდნენ. ირგვლივ ყველგან ყვავილები — ტიტები, შროშანები, პეტუნიები იყო, რომელთა ფურცლებიც მზის შუქზე ელვარებდა. ხალხი ბილიკებს მიუყვებოდა, სკამებზე სხდებოდნენ და ჩაის წრუპავდნენ.

გოგონასთავის ეს ყველაფერი დაუჯერებელი იყო. გულს მღელვარებისგან ბაგაბუგი გაუდიოდა. ნატრობდა, ნეტა ახლა, ასეთ გამბედავსა და გულადს, მოლა ფაეზულა მაინც მხედავდესო. ეს სწორედ ის ცხოვრება იყო, ახალ ქალაქში მამასთანდა და-ძმებთან ერ-

თად რომ ელოდა; ცხოვრება, რომელიც სიყვარულს ყოველგვარი პირობის, განრიგისა და სირცხვილის გარეშე პირდებოდა.

მარიამი ხალისით დაბრუნდა პარკთან ახლოს მდებარე განიერ ქუჩაზე. გვერდით ჩაუარა ჭადრის ჩრდილქვეშ მჯდომ მოხუც, მკაცრი გამომეტყველების გამყიდველებს, რომლებიც ალუბლების პირამიდებსა და ყურძნის გორებს ამოფარებულები, მას თვალს გულგრილად აყოლებდნენ. ფეხშიშველა ბიჭები მანქანებსა და ავტობუსებს უკან მისდევდნენ და კომშით სავსე ჩანთებს უქნევდნენ. მარიამი ქუჩის კუთხეში იდგა და გამვლელებს აკვირდებოდა. ვერაფრით მიმხვდარიყო, გარშემო არსებული საოცრებების მიმართ ისინი ასეთ გულგრილობას როგორ იჩენდნენ.

გარკვეული ხნის შემდეგ მარიამმა ძალა მოიკრიბა და ცხენებშებმული გარის ხანშიშესულ მეპატრონეს ჰკითხა, თუ იცოდა, სად ცხოვრობდა კინოთეატრის მფლობელი ჯალილი. მოხუც კაცს სავსე ლოყები ჰქონდა და ცისარტყელას ფერებიანი ზოლიანი ჩაპანი(ჩაპანი — მამაკაცის ხალათის მსგავსი სამოსი. ) ეცვა.

— შენ ჰერათიდან არ ხარ, არა? — ჰკითხა გულღიად, — აქ ყველამ იცის, სად ცხოვრობს ჯალილ-ხანი.

— შეგიძლია მიმასწავლო?

კაცმა ფოლგაში გახვეული კანფეტი გახსნა და ჰკითხა:

— მარტო ხარ?

— დიახ.

— ამოდი, წაგიყვან.

— ვერ გადაგიხდით. ფული საერთოდ არ მაქვს.

მეეტლემ კანფეტი მიაწოდა და უთხრა: უკვე ორი საათია უქმად ვარ, მაინც სახლში წასვლას ვაპირებდი და თან ჯალილის სახლიც გზად არისო.

მარიამი გარიში ავიდა და მეეტლის გვერდით მოკალათდა. გზას ჩუმად მიუყვებოდნენ. გოგონამ თვალი მოჰკრა მცენარეების მაღაზიებს; ფორთოხლებით, მსხლებით, წიგნებითა და თავსაფრებით სავსე დახლებს; შევარდნებითაც იქვე ვაჭრობდნენ. ბავშვები მტვერში დახატულ

წრეებში მარმარილოს ბურთებით თამაშობდნენ. ჩაის სახლების წინ, ხალიჩაგადაფარებულ ხის ბაქნებზე, მამაკაცები ჩაის მიირთმევდნენ და ნარგილეს ეწეოდნენ.

— შეხედე. იღბლიანი ხარ, დოხთარ-ჯო(დოხთარ-ჯო — გოგონი. ). აი, მისი მანქანაც.

გოგონა ეტლიდან ჩამოხტა. გაიღიმა და გზა განაგრძო.

მარიამს მანქანა ასე ახლოდან აქამდე არასდროს ენახა. თითები ძარას გადაატარა. შავი ფერის მანქანის მოელვარე ბორბლებში საკუთარი გაწელილი ანარეკლი შენიშნა. შიგნით თეთრი ტყავის სალონი მოჩანდა. საჭის მიღმა გოგონამ მრგვალი მინის პანელი დაინახა, რომლის უკანაც ისრები იყო მოთავსებული.

ერთი წუთით მარიამს ნანას დამცინავი ხმა ჩაესმა, მისი ღრმად ფესვგამდგარი იმედის გაქარწყლებას რომ ცდილობდა. აკანკალებული ფეხებით გოგონა შესასვლელ კარს მიუახლოვდა. ხელებით მაღალ კედელს მიეყრდნო. ჯალილის კედლები ისეთი მიუწვდომელი, ისეთი ავის მომასწავებელი იყო. კისერი უნდა წაგეგრძელებინა, მათ გადაღმა ამოშვერილი კვიპაროსები რომ დაგენახა. სიო ხის კენწეროებს ისე არხევდა, თითქოს მარიამს თავის ქნევით ეგებებიანო. გოგონა დამშვიდებას და მოზღვავებული მღელვარების დაოკებას ცდილობდა.

კარი ახალგაზრდა, ფეხშიშველმა ქალმა გაუღო. ქვედა ტუჩის ქვეშ ტატუ ჰქონდა.

— ჯალილ-ხანის ნახვა მინდა. მარიამი ვარ, მისი ქალიშვილი.

გოგონას დაბნეულობა შეეტყო. შემდეგ კი უცებ გონს მოეგო. გაუბედავად გაიღიმა და სახეზე მოსალოდნელი მღელვარებით გამოწვეულმა აღფრთოვანებამ გადაურბინა.

— აქ მოიცადე, — სწრაფად უთხრა და კარი მიუხურა.

რამდენიმე წუთის შემდეგ კარი კაცმა გააღო. მაღალი იყო, კვადრატული ფორმის მხრები, ნამძინარევი თვალები და მშვიდი სახე ჰქონდა.

— მე ჯალილ ხანის მძღოლი ვარ, — უთხრა მან თავაზიანად.

— მისი ვინ?

— მისი მძღოლი. ჯალილ ხანი არ არის.

— მაგრამ მისი მანქანა აქ დგას.

— გადაუდებელ საქმეზეა წასული.

— როდის დაბრუნდება?

— არ უთქვამს.

მარიამმა უთხრა, დაველოდებიო. მამაკაცმა კარი მიხურა. გოგონა ჩამოჯდა და მუხლები მკერდთან მიიტანა. უკვე საღამო ჟამი იყო. მარიამს მოშივდა. მხოლოდ მეეტლის მოცემული კანფეტი ჰქონდა ნაჭამი. ცოტა ხნის შემდეგ მძღოლი კვლავ კარში გამოჩნდა.

— შინ უნდა დაბრუნდე, — უთხრა მან, — ერთ საათში დაბნელდება.

— სიბნელეს მიჩვეული ვარ.

— თან აცივდება. სახლში წაგიყვან. ჯალილ ხანს ვეტყვი, რომ მოსული იყავი.

მარიამმა მდუმარედ შეხედა.

– მაშინ სასტუმროში მიგიყვან. იქ მოხერხებულად დაიძინებ. დილით რამეს მოვიფიქრებთ.

— სახლში შემომიშვი.

— აკრძალული მაქვს. არავინ იცის, ჯალილი-ხანი როდის დაბრუნდება. შესაძლოა, რამდენიმე დღე არ იყოს.

მარიამმა მკლავები გადაიჯვარედინა.

მძღოლმა ამოიოხრა და გულთბილად, მაგრამ საყვედურით შეხედა.

წლების განმავლობაში მარიამს უხვად მიეცემა იმაზე ფიქრის საბაბი, როგორ წარიმართებოდა მოვლენები, იმ დღეს მძღოლისთვის მისი შინ, ქოლბაში დაბრუნების უფლება რომ მიეცა. მაგრამ ასე არ მოიქცა. მთელი ღამე ჯალილის სახლთან გაატარა. აკვირდებოდა, როგორ ბინდდებოდა, როგორ ნთქავდა ჩრდილები მეზობელი სახლების შესასვლელებს. ტატუიანმა გოგონამ ცოტა პური და ერთი თეფში ბრინჯი გამოუტანა, მაგრამ მან ჭამაზე უარი განაცხადა. გოგონამ ლანგარი იქვე დაუტოვა. დროდადრო მარიამს ქუჩაში ფეხის ხმა, ღია კარის ქანაობის,

მისალმების მოგუდული ხმები ესმოდა. გარე განათებები ჩაირთო, ფანჯრებიდან მკრთალი ნათება აღწევდა, ძაღლები ყეფდნენ. შიმშილს მეტად რომ ვეღარ გაუძლო, ბრინჯი და პური შეჭამა. ბაღებიდან ჭრიჭინების ჭრიჭინი აღწევდა. მის თავს ზემოთ ღრუბლები ფერმიხდილი მთვარის გასწვრივ დასრიალებდნენ.

დილით ვიღაცამ გამოაღვიძა. ნახა, რომ ღამით მისთვის საბანი გადაეფარებინათ.

მძღოლი ანჯღრევდა.

— საკმარისია. რა სცენები მოაწყვე? ბას(ბას! — კმარა!)! წასვლის დროა.

მარიამი წამოჯდა და თვალები მოიფშვნიტა. ზურგი და კისერი სტკიოდა.

— უნდა დაველოდო.

— მისმინე, — უთხრა მან, — ჯალილ-ხანმა მიბრძანა, რომ ახლავე შინ დაგაბრუნო. ახლავე. გესმის? ეს ჯალილ-ხანის ბრძანებაა. — მანქანის უკანა კარი გამოაღო და დაუყვავა. — ბია(ბია — მოდი.), კარგი რა...

— მისი ნახვა მინდა! — არ იშლიდა მარიამი, თვალები ცრემლებით ავსებოდა.

მძღოლმა ამოიოხრა:

— მოდი, სახლში წაგიყვან, დოხთარ.

მარიამი წამოდგა და მისკენ დაიძრა. თუმცა ბოლო წუთს მიმართულება შეცვალა და შესასვლელისკენ გაიქცა. მძღოლი გოგონას მხრებში ჩააფრინდა, მაგრამ ხელიდან დაუსხლტა და მარიამი ღია კარში შევარდა.

ერთ წამის შემდეგ უკვე ჯალილის ბაღში იყო. თვალი უცებ მოავლო სინათლეზე მოელვარე, მცენარეებით სავსე მინის კონსტრუქციას. ვაზს, რომელიც სპეციალურ ჩარჩოზე გაეყვანათ; ნაცრისფერი ქვებისგან აშენებულ თევზსაშენს, ხეხილს, სხვადასხვა ფერის ყვავილებს. მხოლოდ ამის შემდეგ შენიშნა სახე, რომელიც ზედა სართულის ფანჯრიდან დაჟინებით უმზერდა. ეს მხოლოდ ერთ წამს

გაგრძელდა, თუმცა მარიამმა მაინც მოასწრო მისი თვალებგაფართოებული მზერისა და პირდაფჩენილი სახის დანახვა. შემდეგ ის უცებ გაუჩინარდა, ვიღაცის ხელმა ფარდა სწრაფი მოძრაობით ჩამოაფარა.

უეცრად გოგონას ორი წყვილი ხელი ჩააფრინდა. მარიამი დაეცა და ჯიბიდან ქვები გადმოუცვივდა. მანქანისკენ მიათრევდნენ და მარიამიც არ წყვეტდა წიხლების ქნევასა და ტირილს მანამ, სანამ ცივ, ტყავის უკანა სავარძელზე არ დასვეს.

მძღოლი ხმადაბლა ელაპარაკებოდა და ცდილობდა, მისთვის ნუგეში ეცა. მარიამს არაფერი ესმოდა. მთელი გზა ტიროდა. მწუხარების, ბრაზის, იმედგაცრუების ცრემლები სდიოდა. მაგრამ ყველაზე მეტად სირცხვილის გრძნობა ახრჩობდა იმის გამო, რომ ჯალილს ასე სულელურად მიენდო; კაბისა და ჰიჯაბის შეხამებაზე დარდობდა; აქამდე ამხელა გზა გამოიარა, უკან დაბრუნებაზე უარი თქვა და მთელი ღამე მაწანწალა ძაღლივით ქუჩაში გაატარა. შერცხვა, რომ ნანას განმგმირავ მზერასა და მის შეშუპებულ თვალებს თავს არიდებდა. დედამისი აფრთხილებდა და იგი მართალი აღმოჩნდა.

მარიამი ფიქრობდა იმ სახეზე, ფანჯარაში რომ გაიელვა; იმაზეც, ჯალილმა მას ქუჩაში ძილის უფლება რომ მისცა. ქუჩაში! მარიამი არ ჯდებოდა, იწვა და ისე ტიროდა. არ უნდოდა, რომ ვინმეს დაენახა. ალბათ, უკვე მთელმა ჰერათმა იცოდა, თავი როგორ შეირცხვინა. ნატრობდა, მოლა ფაეზულა ახლოს ჰყოლოდა, მის კალთაში თავი ჩაედო, ახუნდს კი ენუგეშებინა.

ცოტა ხნის შემდეგ მანქანა უკვე ჰერათისა და გულ დამანის დამაკავშირებელ ოღროჩოღრო აღმართს მიუყვებოდა. ნანასთვის რა უნდა ეთქვა? ბოდიში როგორ მოეხადა? თვალებში როგორ შეეხედა?

მანქანა გაჩერდა და მძღოლი მარიამს გადმოსვლაში დაეხმარა.

— მიგაცილებ, — უთხრა მან.

მძღოლი გზას მიიკვლევდა. ცხრატყავა და ბამბაცა იქვე, ბილიკთან ამოზრდილიყვნენ. გარშემო ფუტკრების ბზუილი ისმოდა, რომლებიც მინდვრის ყვავილებს თავს დასტრიალებდნენ. მდინარე ერთად გადა-

ლახეს. კაცმა ლაპარაკი მოსალოდნელ ქარებზე ჩამოაგდო, რომელიც დილიდან საღამომდე არ ჩადგებოდა და თან უამრავ სილას მოიტანდა. მოულოდნელად საუბარი შეწყვიტა, მარიამს წინ გადაუდგა, თვალებზე ხელი ააფარა და უკან გასწია.

— წადი! არა, არ შეხედო, მიბრუნდი!

მაგრამ მისმა მცდელობამ ფუჭად ჩაიარა. ქარმა უეცრად დაუბერა და ტირიფის ტოტები ფარდასავით აქეთ-იქით გადაყარა. მარიამმა თვალი მოჰკრა, რა ხდებოდა ხეებქვეშ: სწორზურგიანი სკამი გადმობრუნებული ეგდო. მაღალ ტოტზე შებმული თოკის ბოლოში კი ნანა იყო ჩამოკიდებული.

## 6

ნანა გულ დამანის სასაფლაოს კუთხეში დაკრძალეს. მარიამი, დანარჩენ ქალებთან ერთად, ბიბის გვერდით იდგა, მოლა ფაეზულა კი საფლავთან ლოცვას აღავლენდა. ამასობაში, მამაკაცებმა ნანას სუდარაში გახვეული სხეული მიწას მიაბარეს.

ჯალილმა მარიამი ქოლბამდე მიაცილა და მათი თანმხლები სოფლის მცხოვრებლების დასანახავად შვილზე ზრუნვის წარმოდგენა დადგა — გოგონას ნივთები შეაგროვა და ჩემოდანში ჩააწყო, შემდეგ მის საწოლთან ჩამოჯდა და დანიავება დაუწყო, შუბლზე ხელი გადაუსვა და დამწუხრებული სახით ჰკითხა, რამე ხომ არ სჭირდებოდა.

— მოლა ფაეზულას ნახვა მინდა, — უპასუხა მარიამმა.

— რა თქმა უნდა. გარეთ არის. ახლავე დავუძახებ.

მოლა ფაეზულას გამხდარი, მხრებში მოხრილი სილუეტი კარში გამოჩნდა თუ არა, მარიამს იმ დღეს პირველი ცრემლები გადმოსცვივდა.

— ჩემო ძვირფასო გოგონა.

მოლა გვერდით ჩამოუჯდა და მისი სახე ხელებში მოიქცია.

— იტირე, მარიამ, იტირე. სამარცხვინო არაფერია. მაგრამ არ დაივიწყო ყურანის სიტყვები: „კურთხეულია იგი, ვის ხელშიცაა მეუფება და იგია შემძლე ყოველივესი. რომელმან შექმნა სიკვდილი და სიცოცხლე, რათა გამოეცადეთ, რომელი თქვენგანი უმჯობესია საქმით. და იგია ძლევამოსილი, შემწყნარებელი“.(ყურანი, სურა LXVII, აია 1-2, არაბულიდან თარგმნა გიორგი ლობჟანიძემ, კავკასიური სახლი, 2006.) ყურანი მხოლოდ სიმართლეს ღაღადებს, ჩემო გოგონა. ღმერთის მიერ მოვლენილ ნებისმიერ განსაცდელს თავისი მიზეზი აქვს.

მაგრამ მარიამი ღვთის სიტყვებში ნუგეშს ვერ პოულობდა. მით უმეტეს, იმ დღეს. ყურში მხოლოდ ნანას სიტყვები ჩაესმოდა, — შენ თუ დამტოვებ, მოვკვდები. უბრალოდ, მოვკვდები. ახლა კი მხოლოდ ტირილი შეეძლო. მისი ცრემლები მოლა ფაეზულას გაცრეცილ, დალაქავებულ ხელის მტევნებს ეცემოდა.

ჯალილი მარიამთან ერთად შინ ბრუნდებოდა. მანქანაში უკანა სავარძელზე იჯდა და ხელი გოგონასთვის შემოეხვია.

— ძვირფასო, შეგიძლია, ჩემთან დარჩე, — უთხრა მან, — უკვე ვთხოვე, რომ ოთახი მეორე სართულზე მოგიმზადონ. ვფიქრობ, მოგეწონება. შენი ფანჯრიდან ბაღის ხედი იშლება.

ცხოვრებაში პირველად მარიამი ჯალილის სიტყვებს ნანას ყურით უსმენდა. ამ წუთას ისე აშკარად გრძნობდა მის მუდმივად ყალბი დამაჯერებლობით შენიღბულ არაგულწრფელობას. ჯალილისკენ არც კი გაუხედავს.

როდესაც მანქანა სახლის წინ გაჩერდა, მძღოლმა მამა-შვილს უკანა კარი გაუღო, შემდეგ კი გოგონას ჩემოდანი გადმოიტანა. ჯალილი მეგზურობას უწევდა, ორივე ხელის გული მის მხრებზე დაეყრდნო. ზუსტად იმ ადგილს მიუახლოვდნენ, სადაც ორი დღის წინ მარიამმა მთელი ღამე მამის მოლოდინში გაათენა. ორი დღის წინ მხოლოდ იმაზე ოცნებობდა, რომ მასთან ერთად ამ ბაღში შეებიჯებინა და ახალი ცხოვრება დაეწყო. ახლა კი საკუთარ თავს ეკითხებოდა, ყველაფერი ასე სწრაფად როგორ შეიცვალაო. თვალები ძირს დაეხარა და ნაცრისფერ ქვის ბილიკზე მიმავალი საკუთარ ფეხებს დაშტერებოდა. მიუხედავად ამი-

სა, ბაღში შეკრებილი, მოჩურჩულე ადამიანების სიახლოვეს, ფანჯრებიდან მოთვალთვალეთა მზერის სიმწვავეს მაინც გრძნობდა.

არც სახლში შესვლისას აუწევია თავი. ლურჯი და ყვითელი რვაკუთხა ორნამენტებით გაფორმებულ შინდისფერ ხალიჩას მიუყვებოდა. თვალს ქანდაკებების კვარცხლბეკების, ვაზების ძირების, მდიდრული ფერებით ნაქსოვი გობელენების გაცვეთილი ბოლოებისკენ აპარებდა. განიერი კიბეც, რომლითაც ის და ჯალილი ზედა სართულზე ავიდნენ, იმავე ხალიჩით იყო დაფარული და თითოეულ საფეხურზე ლურსმნით მიმაგრებული. კიბე რომ აიარეს, ჯალილმა მარცხნივ გაუხვია და ახლა გრძელ დერეფანს გაუყვნენ. კაცი ერთ-ერთ კართან შეჩერდა, გააღო და გოგონა შიგნით შეუშვა.

— აქ ხანდახან შენი დები, ნილუფარი და ათიე თამაშობენ, — უთხრა ჯალილმა, — მაგრამ უმეტესად სტუმრების დასაბინავებლად ვიყენებთ. ვფიქრობ, თავს მოხერხებულად იგრძნობ. ხომ მოგწონს?

ოთახში საწოლი იდგა. მასზე მწვანე ყვავილებიანი, მჭიდროდ, ფიჭისებურად ნაქსოვი საბანი გადაეფარებინათ. ბაღის გამოსაჩენად ბოლომდე გადაწეული ფარდები საბნისთვის შეეხამებინათ. საწოლის გარდა, ოთახში სამუჯრიანი კომოდი იდგა, რომელზეც ყვავილების ვაზა იყო შემოდგმული. მარიამისთვის უცნობი ადამიანების სურათები ჩარჩოებში ჩაესვათ და კედლებზე დამაგრებულ თაროებზე დაეწყოთ. ერთ-ერთ თაროზე გოგონამ ზომის მიხედვით ხაზზე ჩამწკრივებული ერთნაირი ხის თოჯინების კოლექცია შენიშნა.

ჯალილმა მის მზერას თვალი გააყოლა.

— „მატრიოშკებია“. მოსკოვში ვიყიდე. თუ მოგწონს, შეგიძლია ითამაშო. წინააღმდეგი არავინ იქნება.

მარიამი საწოლზე ჩამოჯდა.

— რამე ხომ არ გინდა?

გოგონა ხმაამოუღებლად დაწვა და თვალები დახუჭა. ცოტა ხნის შემდეგ გაიგონა, როგორ გაიხურა კარი ჯალილმა.

მარიამი ქვედა სართულზე მხოლოდ სააბაზანოსთვის თუ ჩავიდოდა. დანარჩენ დროს ოთახში ატარებდა. ტატუიან გოგონას, რომელმაც იმ დღეს ჭიშკარი გაუღო, მისთვის, უმეტესწილად, ლანგარზე დაწყობილი ბატკნის ქაბაბი, საბზი და აში(აში — ბოსტნეულისა და პარკოსნებისგან დამზადებული წვნიანი. ) მოჰქონდა. მარიამი თითქმის არაფერს ჭამდა. ჯალილი დღეში რამდენჯერმე შემოუვლიდა, საწოლზე ჩამოუჯდებოდა და ეკითხებოდა, ყველაფერი რიგზე გაქვს თუ არაო.

— შეგიძლია ქვევით, ჩვენთან ერთად მიირთვა,— სხვათა შორის ეტყოდა ხოლმე და გოგონას პასუხს, რომ მარტო ჭამა ერჩივნა, რატომღაც მყისიერად გაგებით ეკიდებოდა.

ახლა მარიამი ფანჯრიდან გულგრილად უყურებდა იმ ყველაფერს, რაზეც აქამდე ოცნებობდა და რაც მისი ცხოვრების უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა: ჯალილის ყოველდღიურ მისვლა-მოსვლას; მსახურებს, ჭიშკართან რომ მიმორბოდნენ. მებაღე ორანჟერეაში მუდმივად ბუჩქებს კრეჭდა და მცენარეებს რწყავდა. ქუჩაში გრძელი, მბზინავძარებიანი მანქანები ჩერდებოდა. იქიდან კი კოსტიუმებში, ჩაპანებსა და კრაველის ქუდებში გამოწყობილი მამაკაცები, ჰიჯაბმოხვეული ქალები და მოხდენილად თმადავარცხნილი ბავშვები გადმოდიოდნენ. და როცა მარიამი აკვირდებოდა, როგორ ესალმებოდა ჯალილი უცხოებს და მკერდზე ხელებგადაჯვარედინებული როგორ უკრავდა თავს მათ ცოლებს, ნანას სიმართლეში რწმუნდებოდა. თვითონ ამ სამყაროს ნამდვილად არ ეკუთვნოდა.

— მაშინ, სად არის ჩემი ადგილი? ახლა როგორ მოვიქცე?

„მარიამ, შენ ჩემ გარდა არავინ გყავს. მე რომ აღარ ვიქნები, აღარაფერი გექნება. აღარაფერი. არარაობა გახდები!“ — ახსენდებოდა ნანას სიტყვები.

ასეთ დროს გოგონას ენით აუწერელი წყვდიადი სწორედ ისე წამოუქროლებდა ხოლმე, როგორც ქარი ქოლბას გარშემო მდგარ ტირიფებს.

მეორე დღეს მარიამთან ოთახში პატარა გოგონა შევიდა.

— რაღაც უნდა ავიღო, — უთხრა მან.

მარიამი ლოგინზე წამოჯდა, ფეხები გადაიჯვარედინა და საბანი კალთაზე მიიფარა. გოგონამ კარადის კარი სწრაფად გამოაღო და ოთხკუთხა ნაცრისფერი ყუთი გამოაძვრინა.

— იცი, ეს რა არის? — ჰკითხა მან მარიამს და ყუთი გახსნა, — გრამოფონს ეძახიან. ფირფიტების დასაკრავია. მუსიკის. გრამოფონი.

— შენ ნილუფარი ხარ. რვა წლის.

პატარა გოგონამ გაიღიმა. ზუსტად ჯალილის ღიმილი და ნიკაპზე მისნაირი ფოსო ჰქონდა.

— საიდან იცი?

მარიამმა მხრები აიჩეჩა. არ გაუმხილა, რომ მისი სახელი ერთხელ რიყის ქვასაც კი დაარქვა.

— სიმღერის მოსმენა გინდა?

მარიამმა კვლავ მხრები აიჩეჩა.

ნილუფარმა გრამოფონი ჩართო. ყუთის თავსახურის ქისიდან პატარა ფირფიტა ამოაცურა. გრამოფონზე დადო და ნემსი დაუშვა. მელოდია აჟღერდა.

ყვავილის ფურცლებს ქაღალდად გამოვიყენებ
და ტკბილ წერილს მოგწერ.
შენ ჩემი გულის სულთანი ხარ,
ჩემი გულის სულთანი.

— ეს სიმღერა მოსმენილი გაქვს?

— არა.

— ირანული ფილმიდან არის. მამაჩემის კინოთეატრში ვნახე. არ გინდა, რამეს უყურო?

სანამ მარიამი პასუხს გასცემდა, ნილუფარი ძირს დაემხო და ხელისგულებითა და შუბლით მიწას შეეხო. შემდეგ ფეხისგულებს დაეყრდნო და თავდაყირა დადგა სამქულიან პოზაში.

— ასე შეძლებ? — ქოშინით ჰკითხა მარიამს.

— ვერა.

ნილუფარმა ფეხები ძირს დაუშვა და ბლუზა გაისწორა.

— შემიძლია გასწავლო, — უთხრა და თან აწითლებული წარბებიდან თმა გადაიწია, — აქ რამდენ ხანს დარჩები?

— არ ვიცი.

— დედამ მითხრა, რომ მიუხედავად შენი მტკიცებისა, ჩემი ნამდვილი და არ ხარ.

— მე არასდროს მითქვამს, რომ ვარ, — იცრუა მარიამმა.

— დედამ თქვა, რომ ასე ამბობ. თუმცა ჩემთვის სულერთია. იმას ვგულისხმობ, რომ სულერთია, ეს თქვი თუ არა, ან ჩემი და ხარ თუ არა. ჩემთვის სულერთია.

მარიამი წამოწვა:

— დავიღალე.

— დედამ ისიც თქვა, რომ ჯინმა დედაშენი აიძულა, თავი ჩამოეხრჩო.

— შეგიძლია, შეწყვიტო? — მისკენ გადაბრუნდა მარიამი, — მუსიკას ვგულისხმობ, — იქვე დაუმატა.

იმ დღეს მის სანახავად ბიბი-ჯოც მოვიდა. წვიმდა. საწოლის გვერდით მდგარ სკამზე სახის მანჭვით დაეშვა.

— ეს წვიმა, მარიამ-ჯო, ჩემი თეძოებისთვის მომაკვდინებელია. გეუბნები, მომაკვდინებელი. იმედი მაქვს... ოჰ, მოდი ჩემთან. მოდი ბიბისთან, ჩემო პატარავ. ნუ ტირი. საბრალოვ. ჩუუ, დამშვიდდი, შე საბრალო!..

იმ ღამით მარიამმა დიდხანს ვერ დაიძინა. საწოლში იწვა და ცას შესცქეროდა. აყურადებდა ქვედა სართულიდან მოღწეულ ფეხის ხმას, კედლები რომ ახშობდა; უსმენდა წვიმის დგაფუნს ფანჯრის მინებზე. შემდეგ ჩაეძინა, მაგრამ მოულოდნელად ყვირილმა გამოაღვიძა. ქვევიდან მკვეთრი და მრისხანე ხმები ისმოდა. მარიამმა სიტყვები ვერ გაარჩია. ვიღაცამ კარი მიიჯახუნა.

მეორე დილას გოგონას სანახავად მოლა ფაეზულა მოვიდა. როდესაც მარიამმა კართან თავისი თეთრწვერა, უკბილო, სანდომიანად მოღიმარი მეგობარი დაინახა, თვალის კუთხეებიდან ცრემლებმა გამოჟონა. საწოლიდან წამოხტა, მისკენ გაექანა და ხელზე ემთხვია. რო-

გორც ყოველთვის, ფაეზულამ გოგონას შუბლზე აკოცა. მარიამმა სკამი მიუჩოჩა. მოლა ჩამოჯდა და მისთვის წამოღებული ყურანი გადაუშალა.

— მიზეზს ვერ ვხედავ, რატომ არ უნდა გავაგრძელოთ მეცადინეობა.

— გაკვეთილები აღარ მჭირდება, მასწავლებელო. ყურანის ყველა სურა(სურა — ყურანის თავების სახელწოდება.) და აია(აია — სურის მუხლი.) შენ წლების წინ შემასწავლე.

მოლა ფაეზულამ გაუღიმა და დანანების ნიშნად ხელები აღმართა.

— მაშინ გამოგიტყდები. გამომააშკარავე. მაგრამ შენს სანახავად მიზეზს მაინც მოვძებნი.

— არაფრის მომიზეზება არ გჭირდება.

— როგორი თავაზიანი ხარ, ძვირფასო.

მოლამ გოგონას ყურანი გაუწოდა. წესისამებრ, მარიამი ყურანს სამჯერ ეამბორებოდა, თითოეული ამბორის შემდეგ შუბლით ემთხვეოდა, შემდეგ კი წიგნს მასწავლებელს უკან უბრუნებდა.

— როგორ ხარ, ჩემო გოგონა?

— ვაგრძელებ, — დაიწყო მარიამმა. შემდეგ შეჩერდა, იგრძნო რომ ყელში რაღაც გაეჩხირა, — ნანას გაფრთხილებებზე ფიქრს ვაგრძელებ. იგი...

— ნა, ნა, ნა, — მოლა ფაეზულამ გოგონას ხელი მუხლზე დაადო, — მარიამ-ჯო, დედაშენი, ალაჰმა შეუნდოს ცოდვები, მშფოთვარე და უბედური ქალი იყო. საშინელება ჩაიდინა. საშინლად შესცოდა საკუთარი თავის, შენ და ალაჰის წინაშე. ღმერთი შეუნდობს, რადგან ის მიმტევებელია, თუმცა ალაჰი დაამწუხრა მისმა საქციელმა. ის არ ამართლებს არც საკუთარი და არც სხვისი სიცოცხლის ხელყოფას, რადგან სიცოცხლე წმინდაა. იცი? — უთხრა, სკამი მასთან ახლოს მიაჩოჩა და გოგონას ხელი თავის ხელებში მოაქცია, — დედაშენს შენს დაბადებამდეც ვიცნობდი. სულ პატარა რომ იყო, თავს მაშინაც უბედურად გრძნობდა. ვშიშობ, რომ იმის მარცვალი, რაც ჩაიდინა,

კარგა ხნის წინ იყო დათესილი. მინდა გითხრა, რომ, რაც მოხდა, შენი ბრალი არაა, ჩემო გოგონა.

— არ უნდა მიმეტოვებინა. უნდა...

— შეწყვიტე. ეს ფიქრები კარგს არაფერს მოგიტანს, მარიამ-ჯო. გესმის ჩემი? კარგს არაფერს მოგიტანს. ის თანდათან გაგანადგურებს! შენი ბრალი არაა, არაფერი დაგიშავებია, არა!..

მარიამმა თავი ინსტინქტურად დაუქნია, მაგრამ როგორც არ უნდა მოენდომებინა, მოლას სიტყვებს მაინც ვერ ირწმუნებდა.

ერთი კვირის შემდეგ, საღამო ჟამს, კარზე კაკუნი გაისმა და ოთახში მაღალი ქალი შემოვიდა. ღია ფერის კანი, წითური თმა და გრძელი თითები ჰქონდა.

— მე აფსუნი ვარ, — თქვა მან, — ნილუფარის დედა. მარიამ, ხელპირს რატომ არ იბან და ქვევით რად არ ჩამოდიხარ?

გოგონამ მიუგო, რომ ოთახში დარჩენას ამჯობინებდა.

— არა, ნაფაჰმიდი(ნაფაჰმიდი — ვერ გაიგე. ). ვერ მიმიხვდი. ქვევით უნდა ჩამოხვიდე. სალაპარაკო გვაქვს შენთან. ეს მნიშვნელოვანია.

## 7

ჯალილი და მისი ცოლები მარიამის მოპირდაპირე მხარეს გრძელ, მუქ ყავისფერ მაგიდას შემოსხდომოდნენ. მაგიდის შუაგულში გულყვითელებით სავსე ბროლის ვაზა და დაორთქლილი წყლის დოქი იდგა. ჟღალთმიანი ქალი, რომელიც მარიამს ნილუფარის დედა აფსუნად გაეცნო, ჯალილის მარჯვნივ იჯდა; დანარჩენი ორი, ხადიჯა და ნარგიზი, კი — მარცხნივ. სამივეს სიფრიფანა, შავი შარფები ყელზე მსუბუქად, დამატებით აქსესუარად შემოეხვიათ. გოგონასთვის ძნელად დასაჯერებელი იყო, რომ მათ შავები ნანას გარდაცვალების გამო ეცვათ. ამიტომ იფიქრა, რომ შარფები ერთ-ერთი ცოლის ან თავად ჯალილის მოთხოვნით მანამ მოიხვიეს, სანამ მარიამს თავისთან მოიხმობდნენ.

აფსუნმა დოქიდან წყალი ჩამოასხა და ჭიქა მარიამს წინ, დაღარულ ნაჭრის სადგამზე დაუდგა.

— გაზაფხული ახლახან დადგა და უკვე როგორ დათბა, —საუბრის წამოწყება სცადა მან და ხელის სწრაფი მოძრაობით დაინიავა.

— თავს ხომ მოხერხებულად გრძნობ? —კითხა ნარგიზმა, რომელსაც პატარა ნიკაპი და შავი, ხვეული თმა ჰქონდა, — იმედი გვაქვს, რომ აქ კომფორტულად ხარ. ეს... განსაცდელი... ალბათ, შენთვის ძალიან მძიმე გადასატანია. როგორი რთულია.

დანარჩენი ორი ქალიც მაშინვე დაეთანხმა. მარიამი მათ ამოქნილ წარბებსა და შემწყნარებლურ, მკრთალ ღიმილს აკვირდებოდა და თავში უსიამოვნო ზუზუნს გრძნობდა. ხახა ეწვოდა. ცოტა წყალი მოსვა.

ჯალილის ზურგს უკან, ფართო ფანჯარაში აყვავებული ვაშლის ხეების მწკრივი მოჩანდა. ფანჯრის გვერდზე მუქი ფერის ხის, შემინული კარადა იდგა, რომელშიც საათი და ჯალილისა და სამი ახალგაზრდა ვაჟის ჩარჩოში ჩასმული ფოტო იდო. ხელში თევზი ეჭირათ, რომლის ქერცლიც მზის სხივს ირეკლავდა. ჯალილი და ბიჭები იღიმოდნენ.

— მოკლედ, — დაიწყო აფსუნმა, — მე, უფრო სწორედ, ჩვენ აქ იმისთვის დაგიბარეთ, რომ ძალიან კარგი ამბავი გაცნობოთ.

მარიამმა თავი ასწია და თვალი მოკრა, როგორ გაცვალეს მზერა ჯალილის ცოლებმა. კაცი მხრებში მოხრილი იჯდა და

წყლის დოქს მიშტერებოდა. ხადიჯამ, რომელსაც ასაკით დანარჩენ ქალებზე უფროსის შეხედულება ჰქონდა, მარიამს თვალი შეავლო. გოგონა მიხვდა, რომ ხადიჯას როლიც მის ჩამოსვლამდე წინასწარ განხილული და შეთანხმებული იყო.

— ხელის მთხოვნელი გამოგიჩნდა, — უთხრა ქალმა.

მარიამს რაღაც ჩასწყდა.

— რა? — გამოსცრა უეცრად გაბუჟებული ტუჩებიდან.

— ხასთეგარი.(ხასთეგარი — ხელის მთხოვნელი.) მთხოვნელი. რაშიდი ჰქვია, — განაგრძო ხადიჯამ, — მამაშენის საქმიანი პარ-

ტნიორის მეგობარია. პუშტუნია, წარმოშობით ყანდაარიდან, მაგრამ ქაბულში ცხოვრობს, დეჰ მაზანგის რაიონში, საკუთარ ორსართულიან სახლში.

აფსუნი თანხმობის ნიშნად თავს აქნევდა.

— ისიც სპარსულად ლაპარაკობს, ჩვენსავით. ასე რომ, პუშტუს სწავლა არ მოგიწევს.

მარიამს მკერდი დაეჭიმა. ოთახში ყველაფერი თავდაყირა დატრიალდა.

— ხარაზია, — განაგრძობდა ხადიჯა, — მაგრამ უბრალო ქუჩის მოჩი(მოჩი — მეწაღე.) არ გეგონოს. საკუთარი მაღაზია აქვს და ქაბულში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ხარაზია. ფეხსაცმელს დიპლომატებისთვის, პრეზიდენტის ოჯახისა და მაღალი წრის წარმომადგენლებისთვის კერავს. აი, ნახავ, შენი შენახვა ნამდვილად არ გაუჭირდება.

მარიამმა მზერა ჯალილზე გადაიტანა. გული გამალებით უცემდა.

— ეს სიმართლეა? მართალია, რასაც ის ამბობს?

მაგრამ ჯალილს მისთვის არც კი შეუხედავს. ქვედა ტუჩის კუთხის კვნეტას განაგრძობდა და წყლის დოქს თვალს არ აშორებდა.

— შენზე ცოტა უფროსი კი არის, — საუბარში აფსუნიც ჩაება, — მაგრამ ორმოცზე მეტის არ იქნება. ყველაზე მეტი ორმოცდახუთის. ხომ მართალი ვარ, ნარგიზ?

— დიახ. მაგრამ მინახავს, ცხრა წლის გოგონებს შენს მთხოვნელზე ოცი წლით უფროს მამაკაცებზე რომ ათხოვებენ! შენ რამდენი წლის ხარ, თხუთმეტის? შესანიშნავია, გასათხოვებლად შესაფერისი ასაკია!

ქალები დიდი ენთუზიაზმით დაეთანხმნენ. გოგონას შეუმჩნეველი არ დარჩენია, რომ არავინ ახსენა მისი ორი ნახევარდა — საიდე და ნაჰიდი, ორივე მარიამის ასაკის, ჰერათში მეჰრის სკოლის სტუდენტები, ქაბულის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების გეგმებით. სავარაუდოდ, მათ შემთხვევაში, თხუთმეტი წელი გასათხოვებლად კარგი და შესაფერისი ასაკი არ იყო.

— კიდევ რა, — არ ჩერდებოდა ნარგიზი, — მასაც ცხოვრებაში დიდი დანაკარგი აქვს გადატანილი. როგორც ვიცით, ცოლი ათი წლის წინ, მშობიარობისას გარდაეცვალა. სამი წლის წინ კი ვაჟი ტბაში დაეხრჩო.

— რა სევდიანი ამბავია. ბოლო წლებია საცოლეს ეძებს, მაგრამ შესაფერისი ქალი ვერ იპოვა.

— არ მინდა, — წამოიძახა მარიამმა და ჯალილს შეხედა, — არ მინდა. ნუ მაიძულებთ.

სძულდა თავისი მუდარის შემცველი ხმა, მაგრამ ვერაფერს უხერხებდა.

— გონიერება გამოიჩინე, მარიამ, — მიმართა ერთ-ერთმა ცოლმა.

მაგრამ გოგონა ყურადღებას აღარავის აქცევდა. ჯალილს დაჟინებულ მზერას არ აშორებდა, ელოდა, ხმას როდის ამოიღებდა და ამ ყველაფერს უარყოფდა.

— დარჩენილ ცხოვრებას აქ ხომ ვერ გაატარებ?!

— არ გინდა, რომ საკუთარი ოჯახი გყავდეს?

— საკუთარი სახლი, ბავშვები.

— უნდა გათხოვდე.

— რა თქმა უნდა, ჯობდა, ადგილობრივ მცხოვრებზე, მაგალითად, ტაჯიკზე გათხოვილიყავი, მაგრამ რაშიდი შენით დაინტერესდა. ის მდიდარია, საკუთარი სახლი და საქმე აქვს. ყველაზე მნიშვნელოვანი ეს არ არის? ქაბული კი ძალიან ლამაზი და ამაღელვებელი ქალაქია. ასეთი შანსი მეორედ აღარ მოგეცემა.

მარიამმა ცოლებს გადახედა.

— მოლა ფაეზულასთან ვიცხოვრებ, — უეცრად თქვა მან, — ის წამიყვანს. ეჭვი არ მეპარება, რომ წამიყვანს.

— ეს კარგი აზრი არ არის, — უპასუხა ხადიჯამ, — მოხუცებულია და...

შესაფერისი სიტყვა ვერ იპოვა, თუმცა მარიამმა ზუსტად იცოდა, რასაც გულისხმობდა: „და ისე ახლოს არის“. მათ განზრახვას ხვდე-

ბოდა. „ასეთი შესაძლებლობა მეორედ არ გექნება“, ეუბნებოდნენ მარიამს, თუმცა გულისხმობდნენ, რომ მეორე შანსი თვითონაც არ ექნებოდათ. მარიამის დაბადება მათ სახელს ჩრდილს აყენებდა, ამიტომ მთელი ძალით ცდილობდნენ, რომ ჯალილის სამარცხვინო შეცდომის კვალი თავიანთი ცხოვრებიდან ერთხელ და სამუდამოდ წაეშალათ; აქედან შორს გაეგზავნათ, რადგან იგი მათი სირცხვილის მოსიარულე, ცოცხალი განსახიერება იყო.

— ის ისეთი მოხუცი და სუსტია, — ბოლოს და ბოლოს, აზრი დაასრულა ხადიჯამ, — და მისი გარდაცვალების შემდეგ რას იზამ? მის ოჯახს ტვირთად ხომ არ დააწვები?

„ისევე როგორც ჩვენ“. მარიამი ზუსტად ისეთი სიცხადით ხედავდა ხადიჯას მიერ ჯერაც წარმოუთქმელ სიტყვებს, როგორც ცივ დღეს — ორთქლიან ამონასუნთქს.

გოგონამ თავი წარმოიდგინა უზარმაზარ, უცნაურ, ხალხით სავსე ქაბულში, რომელიც, როგორ ერთხელ თავად ჯალილმა უთხრა, ჰერათის აღმოსავლეთით, ექვსას ორმოცდაათი კილომეტრის დაშორებით მდებარეობდა. მთელი ექვსას ორმოცდაათი კილომეტრით. თავისი ქოლბადან ყველაზე შორი გზა, ორი კილომეტრი, დღემდე მხოლოდ ჯალილის სახლამდე ჰქონდა გავლილი. როგორ უნდა ეცხოვრა ქაბულში, ასე მოშორებით, უცხო ადამიანის სახლში, ანგარიში გაეწია მისი გუნება-განწყობილებისთვის და მის მოთხოვნებს დამორჩილებოდა! ეს კაცი სუფთად უნდა ჰყოლოდა, მისთვის სადილი მოემზადებინა და ტანსაცმელიც დაერეცხა. გარდა ამისა, ნანასგან იცოდა, რომ იმ მოვალეობის რეგულარულად შესრულება მოუწევდა, რასაც ყველა ქმარი ითხოვდა ცოლისგან. მარიამის წარმოდგენაში, ინტიმური კავშირი ბიწიერი, მტკივნეული აქტი იყო და მასზე ფიქრისას შიშით ივსებოდა და ცივ ოფლს ასხამდა.

ისევ ჯალილს მიუბრუნდა.

— უთხარი, უთხარი მათ, რომ ამის უფლებას არ მისცემ!

— ფაქტობრივად, მამაშენმა თავისი პასუხი რაშიდს უკვე უთხრა, — საუბარში აფსუნი ჩაერთო, — რაშიდი ჰერათშია. ქაბულიდან სპეცია-

ლურად ჩამოვიდა. ნექაჰი(ნექაჰი — ქორწინება.) ხვალ დილით შედგება, შუადღეს კი ქაბულის მიმართულებით თქვენი ავტობუსი გავა.

— რამე უთხარი! — ყვიროდა გოგონა.

ქალები გაჩუმდნენ. მარიამი მიხვდა, რომ ახლა ისინიც ქმარს შესცქეროდნენ და მის რეაქციას ელოდნენ. ოთახში სიჩუმემ დაისადგურა. ჯალილი თავის საქორწილო ბეჭედს ატრიალებდა და უმწეო გამომეტყველებით იყურებოდა. კარადიდან საათის წიკწიკის ხმა ისმოდა.

— ძვირფასო ჯალილ, — დუმილი დაარღვია ერთ-ერთმა ქალმა.

კაცმა ნელ-ნელა ამოიხედა, თვალებით მარიამის მზერას გადააწყდა, ერთი წამით შეყოვნდა და ისევ ძირს დახარა. რაღაცის სათქმელად პირი გააღო, მაგრამ მხოლოდ მტანჯველი კვნესა აღმოხდა.

— რამე თქვი! — არ ეშვებოდა მარიამი.

ჯალილმა გაცრეცილი ხმით დაიწყო:

— ღმერთმა დასწყევლოს, მარიამ, ასე ნუ მექცევი... — და ეს სიტყვები ისე შესაბრალისად წარმოთქვა, თითქოს სწორედ მას უშავებდნენ რამეს.

ამის თქმა და მარიამმა იგრძნო, რომ ოთახში დაძაბულობა იმავე წამს გაქრა.

ჯალილის ცოლებმა კიდევ ერთხელ, ამჯერად უფრო ენერგიულად წამოიწყეს გოგონას დარწმუნება და მანაც თავი დახარა. მარიამის თვალები მაგიდის ფეხის დაკლაკნილ კუთხეებს, პრიალა, მუქი ყავისფერი ზედაპირიდან არეკლილ მკრთალ ნათებას წააწყდა. შენიშნა, რომ ყოველ მის ამოსუნთქვაზე, ზედაპირი იორთქლებოდა და მამამისის მაგიდიდან უჩინარდებოდა.

მარიამი მეორე სართულზე აფსუნის თანხლებით დაბრუნდა. როდესაც ქალმა კარი გაიხურა, გოგონას გასაღების გადატრიალების ხმა შემოესმა.

## 8

დილით მარიამს გრძელმკლავიანი, მუქი მწვანე კაბა და თეთრი ბამბის შარვალი ჩააცვეს. აფსუნმა მწვანე ჰიჯაბი და შესაფერისი სანდლები მისცა.

იმ ოთახში შეიყვანეს, სადაც გრძელი, ყავისფერი მაგიდა იდგა. მაგიდის შუაგულში თასით დაშაქრული ნუშის კანფეტები, ყურანი, მწვანე ვუალი და სარკე ეწყო. ორი კაცი, სავარაუდოდ მოწმეები, და მოლა, რომლებიც მარიამს აქამდე არასდროს ენახა, უკვე მაგიდასთან ისხდნენ.

ჯალილმა გოგონა სკამამდე მიაცილა. ღია ყავისფერი კოსტიუმი ეცვა და წითელი ჰალსტუხი ეკეთა. თმა დაბანილი ჰქონდა. მარიამს სკამი რომ გამოუწია, მის გასამხნევებლად გაღიმება სცადა. ამასობაში ხადიჯა და აფსუნიც მაგიდასთან მარიამის მხარეს დასხდნენ.

მოლამ ხელით ვუალზე მიანიშნა და, სანამ ადგილს დაიკავებდა, ნარგიზმა ის მარიამს თავზე მოარგო. გოგონა საკუთარ ხელებს დაშტერებოდა.

— შეგიძლია უკვე დაუძახო, — ვიღაცას მიმართა ჯალილმა.

მარიამმა კაცის სურნელი მის დანახვამდე იგრძნო. ნესტოებში სიგარეტის კვამლისა და, ჯალილის ოდნავ შესამჩნევი არომატისგან განსხვავებით, ოდეკოლონის მოტკბო სუნი ეცა. ვუალს მიღმა, თვალის ცალი კუთხიდან გოგონამ მაღალი, ღიპიანი და მხარბეჭიანი კაცი დაინახა. მისმა სიდიდემ ლამის სუნთქვა შეუკრა და თვალი სწრაფადვე მოაცილა. გული გამალებით უცემდა. იგრძნო, რომ რაშიდი ოთახში შემოვიდა. მის ნელ, მძიმე ნაბიჯებს მაგიდაზე შემოდგმული კანფეტების თასი წკრიალით აჰყვა. მამაკაცი მარიამის გვერდზე ბუტბუტით ჩამოჯდა. ხმაურით სუნთქავდა.

მოლა მიესალმა და თქვა, რომ ტრადიციული ნექაჰი არ ექნებოდათ.

— ვიცი, რომ რაშიდ აღას(აღა — ბატონი.) ქაბულში მიმავალი ავტობუსის ბილეთები უკვე ნაყიდი აქვს. დრო რომ მოვიგოთ, ტრადიციულ ცერემონიალს ოდნავ შევამოკლებთ.

მოლამ ისინი რამდენჯერმე დალოცა და მოკლედ ისაუბრა ქორწინების მნიშვნელობაზე. ჯალილს ჰკითხა, ამ კავშირის საწინააღმდეგო რამე ხომ არ გაქვსო. ჯალილმა თავი გაიქნია. შემდეგ მოლა რაშიდს მიუბრუნდა, ნამდვილად გსურს თუ არა მარიამთან ქორწინებაო? რაშიდმა თანხმობა განუცხადა. მისმა უხეშმა, ხრინწიანმა ხმამ გოგონას შემოდგომისას ფეხქვეშ მოშრიალე გამხმარი ფოთლების შარიშური მოაგონა.

— და შენ, ჩემო მარიამ, ამ კაცს შენს ქმრად აღიარებ?

მარიამი დუმდა. აქა-იქ უხერხულად ჩაეხველეს.

— რა თქმა უნდა, — წამოიძახა ჯალილის ერთ-ერთმა ცოლმა.

— ეს თავად უნდა გვითხრას. წესით, შეუძლია პასუხი მანამ დაიყოვნოს, სანამ შეკითხვას სამჯერ არ დავუსვამთ. ძირითადი არსი ის არის, რომ კაცი ცდილობს ქალის მოპოვებას, და არა პირიქით, — განუმარტა დამსწრე საზოგადოებას მოლამ.

კითხვა ორჯერ გაუმეორა. მარიამმა არც ამჯერად უპასუხა, ამიტომ შეკითხვა კიდევ ერთხელ დაუსვა, ამჯერად მეტი დაჟინებით. მარიამი გრძნობდა, მის გვერდით მჯდომი ჯალილი სკამზე როგორ წრიალებდა, მაგიდის ქვეშ ხან ფეხს ფეხზე გადაიდებდა, ხან კი ჩამოიღებდა. ვიღაცამ ისევ ჩაახველა. პატარა, ფითქინა ხელმა მაგიდიდან ინსტინქტურად მტვერი გადმოწმინდა.

— მარიამ, — ჩასჩურჩულა ჯალილმა.

და უეცრად გოგონას აკანკალებული ხმა გაისმა:

— თანახმა ვარ.

ვუალის ქვეშ მარიამს საკუთარმა სახემ სარკეში პირველად გაუელვა. გოგონამ დაინახა თავისი უფორმო წარბები, თხელი თმა, ნაღვლიანი მწვანე თვალები, რომლებიც ერთმანეთთან იმდენად ახლოს განთავსებულიყო, რომ, შესაძლოა, ელამი გგონებოდა. უხეში, უსიცოცხლო, დამუწუკებული კანი ჰქონდა. მისი ერთი შე-

ხედვით მოგრძო, სამკუთხედის ფორმის სახე მეძებარი ძაღლისას წაგავდა. გაიფიქრა, როგორი განიერი წარბები, ვიწრო ნიკაპი და თხელი ტუჩები მქონიაო. არაფრით გამორჩეული ნაკვთების მიუხედავად, მარიამმა დაასკვნა, რომ, შესაძლოა, მის გარეგნობას ლამაზი არ ეთქმოდა, თუმცა არც უსიამოვნო შესახედი იყო.

სარკეშივე შეავლო გოგონამ თვალი პირველად რაშიდსაც: დიდი, ოთხკუთხა, წითური სახე; მოკაუჭებული ცხვირი; აწითლებული ლოყები, რაც მთლიანობაში ეშმაკური მხიარულების გამომეტყველებას აძლევდა. წყლიანი, ჩასისხლიანებული თვალები; ერთმანეთზე მიჯრილი კბილები, რომელთაგან წინა ორი ორფერდა სახურავს მიუგავდა. სქელი, უხეში, ჭაღარაგარეული თმა შუბლის წარმოუდგენლად დიდ ადგილს იკავებდა და ხშირი წარბებისგან ორი თითის დაშორებით იყო გამოყოფილი.

მათი მზერა ერთმანეთს სულ ერთი წამით, სარკეში შეხვდა და მაშინვე გაუჩინარდა.

„ეს ჩემი ქმრის სახეა“, — გაიფიქრა გოგონამ.

წყვილმა ერთმანეთში გაცვალა თხელი ოქროს ბეჭდები, რომლებიც რაშიდმა პალტოს ჯიბიდან ამოაცურა. კაცს დამპალი ვაშლის შიგთავსის მსგავსად, მოყვითალო-მოყავისფრო ფრჩხილები, ზოგიერთი თითის წვერი კი ჩახვეული და ამობურცული ჰქონდა. როდესაც მარიამი მის თითზე ბეჭდის წამოცმას ცდილობდა, ხელები უკანკალებდა. რაშიდი დაეხმარა. მარიამის ბეჭედი ოდნავ ვიწრო იყო, მაგრამ კაცს მისი გოგონას თითზე მორგება არ გასჭირვებია.

— აი, ასე, — თქვა მან.

— რა მშვენიერი ბეჭედია, — აღნიშნა ჯალილის ერთ-ერთმა ცოლმა, — ძალიან ლამაზია, მარიამ.

— ახლა მხოლოდ კონტრაქტზე ხელის მოწერაღა დაგვრჩა, — ჩაერია მოლა.

მარიამმა თავისი სახელი ასო-ასო დაწერა. ხვდებოდა, რომ ყველას მზერა მისიხელისკენ იყო მიმართული. ოცდაშვიდი წლის შემდეგ მას

კიდევ ერთხელ მოუხდება დოკუმენტზე ხელის მოწერა, და მაშინაც მოლას თანდასწრებით.

— ცოლ-ქმრად გაცხადებთ, — თქვა მოლამ, — თაბრიქ(თაბრიქ! — გილოცავთ!)!

რაშიდი ფერად ავტობუსში იცდიდა. მარიამი ჯალილთან ერთად გარეთ, უკანა ბამპერთან იდგა. აქედან ქმარს ვერ ხედავდა, მხოლოდ მისი სიგარეტის კვამლს ამჩნევდა, რომელიც ღია ფანჯრიდან ბოლქ-ბოლქვად გამოდიოდა. მათ გარშემო ყველა ერთმანეთს ემშვიდობებოდა, ყურანს ემთხვეოდნენ და მის ქვეშ გაივლიდნენ. ფეხშიშველა ბიჭები მგზავრებს ფეხებში ედებოდნენ. სახეები საღეჭი რეზინებისა და სიგარეტის კოლოფებში ჰქონდათ ჩამალული.

ჯალილი მარიამს უხსნიდა, რომ ქაბული ძალიან ლამაზი ქალაქი იყო; მოგოლთა იმპერატორმა, ბაბურმა ითხოვა, სიკვდილის შემდეგ იქ დამკრძალეთო. მარიამმა უკვე იცოდა, რომ ახლა ჯალილი ქაბულის უმშვენიერეს ბაღებზე, მაღაზიებზე, ხეებსა და ჰაერზე ჩამოაგდებდა სიტყვას. შემდეგ კიდევ ერთხელ მოუყვებოდა, როგორ გააცილებდა, ავტობუსში ჩამჯდარს გვერდზე გაჰყვებოდა და ხელს მხიარულად, თავდაუზოგავად დაუქნევდა.

მარიამს მეტის ატანა აღარ შეეძლო.

— მე თაყვანს გცემდი, — უეცრად თქვა გოგონამ.

ჯალილს სიტყვა გაუწყდა. ხელები გადაიჯვარედინა, შემდეგ ისევ ჩამოუშვა. ახალგაზრდა ინდოელმა წყვილმა მათ შუა გაიარა. ცოლს ხელში ბავშვი ეჭირა, ქმარი კი ჩემოდანს მიათრევდა. ჯალილი საუბრის დროებით შეწყვეტით კმაყოფილი ჩანდა. მგზავრებმა მოუბოდიშეს და მანაც თავაზიანი ღიმილი შეაგება.

— ყოველ ხუთშაბათს, საათობით შენ გელოდი. სულ იმას ვშიშობდი, რომ არ მოხვიდოდი.

— გრძელი გზა გელის. რამე უნდა შეჭამო, მარიამ. პურსა და თხის ყველს გიყიდი.

— სულ შენზე ვფიქრობდი. ღმერთს შევთხოვდი, რომ ასი წელი გეცოცხლა. არ ვიცოდი. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ჩემ გამო გრცხვენოდა, — არ ცხრებოდა გოგონა.

ჯალილმა თვალები დახარა. ბავშვივით ფეხსაცმლის წვერით მიწის ჩიჩქნა დაიწყო.

— ჩემ გამო გრცხვენოდა!

— შენ სანახავად ჩამოვალ, — ჩაილუღლუღა კაცმა, — ქაბულში ჩამოვალ და გნახავ. ჩვენ...

— არა, არა, — სიტყვა არ დაამთავრებინა მარიამმა, — არ ჩამოხვიდე. შენი დანახვაც არ მინდა! შენზე არაფრის გაგონება არ მსურს. აღარასდროს. აღარასდროს. გესმის?!

ჯალილმა დაჭრილის მზერა მიაპყრო.

— ჩვენ შორის ყველაფერი აქ დასრულდება. თქვი შენი გამოსათხოვარი სიტყვები.

— ასე ნუ დამტოვებ, — გაცრეცილი ხმით შეევედრა ჯალილი.

— არც კი ეცადე, ჩემთვის დრო მოგეცა, რომ მოლა ფაეზულას დავმშვიდობებოდი, — თქვა მარიამმა, ზურგი აქცია და ავტობუსისკენ გაემართა. ხვდებოდა, რომ ჯალილი უკან მოსდევდა. ავტობუსის კართან რომ მივიდა, მისი ხმა გაიგონა.

— მარიამ, ძვირფასო.

გოგონა კიბეზე ავიდა და მიუხედავად იმისა, რომ თვალის კუთხიდან ხედავდა, ჯალილი ავტობუსს მის პარალელურად მიჰყვებოდა, ფანჯარაში არ გაუხედავს. სკამების რიგებს შორის გზა ავტობუსის უკანა ადგილებისკენ გაიკვალა, სადაც რაშიდი იჯდა და მარიამის ჩემოდანი ფეხებს შორის მოექცია. თავი არც მაშინ მიუბრუნებია, ჯალილმა ხელი ფანჯრის მინას რომ მოაბჯინა და გამალებით დაიწყო კაკუნი, და არც მაშინ, დაძრულ ავტობუსს ნელი სირბილით რომ მისდევდა გვერდით. მარიამს იმის დანახვაც არ სურდა, თანდათან როგორ ჩამორჩა მათ ჯალილი და გამონაბოლქვსა და მტვერში გაუჩინარდა.

რაშიდმა, რომელსაც ადგილები ფანჯარასთან და მის გვერდით ჰქონდა დაკავებული, მარიამს თავისი მსხვილი მკლავი გადახვია.

— აი, ასე, ჩემო გოგონა, — თქვა მან და თვალმოჭუტულმა ფანჯარაში გაიხედა, თითქოს მისი ყურადღება რაღაც უფრო საინტერესომ მიიპყრო.

## 9

რაშიდის სახლში მომდევნო დღის საღამო ჟამს მივიდნენ.

— დეჰ მაზანგში ვართ, — თქვა კაცმა. გარეთა მხარეს, ტროტუარზე იდგნენ. რაშიდს ცალ ხელში მარიამის ჩემოდანი ეჭირა, მეორეთი კი ხის ჭიშკრის გახსნას ცდილობდა. — ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ზოოპარკიც აქვეა და უნივერსიტეტიც.

მარიამმა თავი დაუქნია. უკვე ესწავლა, რომ მიუხედავად იმისა, ესმოდა თუ არა მისი ნათქვამი, ყურადღება მაინც უნდა გამოეჩინა. გოგონა მიუჩვეველი იყო ქაბულურ სპარსულს და რაშიდის მშობლიურ ყანდაარულ კილოს, რომელსაც საფუძვლად პუშტუს ენა ედო. თუმცა ჰერათის სპარსულის გაგება კაცს არ უჭირდა.

მარიამმა რაშიდის სახლისკენ მიმავალი ვიწრო, მოუკირწყლავი გზა სწრაფად შეათვალიერა. სახლები ერთმანეთზე იყო მიჯრილი და ზოგიერთს საერთო კედელიც კი ჰქონდა. წინ პატარა გალავანშემოვლებული ეზოები მოეწყოთ. სახლების უმეტესობა გადახურული იყო გამომწვარი აგურის ბრტყელი სახურავებით, ნაწილი კი იმავე ფერის ტალახით, ქალაქს შემორტყმულ მთებს რომ დაჰკრავდა. არხები, რომელიც გზას ორივე მხრიდან ჩამოუდიოდა და რომელშიც ტალახიანი წყალი მიედინებოდა, ტროტუარებს გზისგან აცალკევებდა. მარიამმა შენიშნა, რომ აქა-იქ დაყრილ ნაგვის გორებს ბუზი ეხვეოდა. მისი აზრით, რაშიდის ორსართულიანი სახლი ერთ დროს ლურჯად უნდა ყოფილიყო შეღებილი.

კაცმა წინა კარი გააღო და მარიამი პატარა, მოუვლელ ეზოში აღმოჩნდა. მიწის მომცრო ნაკვეთზე ყვითელი ბალახი ამოსულიყო. მარჯვენა მხარეს, ეზოს განაპირას საპირფარეშო იდგა, მარცხნივ კი

— ხელით სატუმბი ჭა და ხმობაშეპარული ნორჩი ხეების რიგი. მასთან ახლოს ხელსაწყოების ფარდული იყო, კედელთან კი ველოსიპედი მიეყუდებინათ.

— მამაშენმა მითხრა, თევზაობა უყვარსო, — თქვა რაშიდმა.

ამასობაში მარიამმა შენიშნა, რომ სახლს უკანა ეზო არ ჰქონდა.

— ჩრდილოეთით ვაკე ადგილებია. მდინარეებში ძალიან ბევრი თევზია. შეიძლება ერთ დღეს წაგიყვანო.

რაშიდმა სახლის კარი გახსნა და გოგონა შიგნით შეუშვა.

მისი სახლი ჯალილისაზე ბევრად პატარა იყო, მაგრამ მარიამისა და ნანას ქოლბასთან შედარებით სასახლედ მოგეჩვენებოდა. ქვედა სართულზე დერეფანი, მისაღები ოთახი და სამზარეულო იყო, სადაც კაცმა ქოთნები, ჭურჭელი, ჰერმეტული ქვაბი და ნავთის ოშთუბი(ოშთუბი — პრიმუსი.) აჩვენა. მისაღებ ოთახში ღია მწვანე ტყავის დივანი იდგა. ქვედა მხარეს განახევი ადგილები ამოეკერათ. კედლები მოშიშვლებული იყო. ოთახში ასევე მაგიდა, ორი მოწნულდასაჯდომიანი და ორიც დასაკეცი სკამი, კუთხეში კი — შავი, თუჯის ღუმელი იდგა.

მარიამი მისაღები ოთახის შუაგულში აღმოჩნდა. გარშემო იყურებოდა. თავის ქოლბაში ჭერს ხელის თითებით სწვდებოდა. შეეძლო დასაკეც საწოლზე წოლილიყო და დღის ნებისმიერი დრო ფანჯრიდან შემოღწეული სინათლის დაცემის კუთხის მიხედვით გამოეცნო. ანჯამების აჭრიალებამდე ხვდებოდა, რომ მის კარს შემოაღებდნენ. ხის იატაკის ოცდაათივე ფიცრის თითოეული ხიჭვი და ნაპრალი იცოდა. ახლა კი სრულიად უცხო გარემოში აღმოჩნდა. ნანა ცოცხალი აღარ იყო, თავად კი ამ უცხო ქალაქში გადმოხვეწილს, ჩვეული ცხოვრებისგან დაბლობები და თოვლით დაფარული მთაგრეხილები, უდაბნოები აშორებდა. მისთვის სრულიად უცხო ადამიანის სახლში მოხვედრილიყო, სადაც განსხვავებული ოთახები, სიგარეტის კვამლის სუნი, უცნობი კარადები უცნობი ჭურჭლით, მუქი მწვანე, მძიმე ფარდები და ჭერი იყო, რომელსაც ხელით ვეღარ მისწვდებოდა. ეს სივრცე მარიამს სულს უხუთავდა. ნანას, მოლა ფაეზულას, თავისი ძველი ცხოვრების მონატრების გრძნობა შიგნიდან ღრღნიდა. უეცრად ტირილი აუვარდა.

— რატომ ტირი? — გაბრაზდა რაშიდი. ხელი ჯიბეში ჩაიცურა, მარიამს მუშტი გაუშალა და შიგ ცხვირსახოცი ჩაუდო. თვითონ სიგარეტს მოუკიდა და კედელს მიეყრდნო. აკვირდებოდა, მარიამი ცრემლებს როგორ იწმენდდა.

— მორჩი?

თანხმობის ნიშნად მარიამმა თავი დაუქნია.

— დარწმუნებული ხარ?

— დიახ.

შემდეგ იდაყვში წაავლო ხელი და მისაღები ოთახის ფანჯარასთან მიიყვანა.

— ეს ფანჯარა ჩრდილოეთის მხარეს გაჰყურებს, — უთხრა მან და საჩვენებელი თითის მოკაუჭებული ფრჩხილით მინაზე დააკაკუნა. — ზუსტად ჩვენ პირდაპირ ასმაის მთა არის, ხედავ? მარცხნივ კი — ალი აბადის. მის ძირში უნივერსიტეტია. ჩვენ უკან, აღმოსავლეთით, შირ დარვაზას მთაა. აქედან არ ჩანს. ყოველ შუადღეს მთიდან ქვემეხს ისვრიან. ახლავე შეწყვიტე ტირილი. სერიოზულად გეუბნები.

მარიამი მსუბუქად შეეხო თვალებს.

— ერთადერთი, რასაც ვერ ვიტან, — თქვა რაშიდმა და გაბრაზებით შეხედა გოგონას, — ქალის ტირილის ხმაა! მაპატიე. ამის ატანა არ შემიძლია.

— სახლში მინდა, — ამოილუღლუღა მარიამმა.

რაშიდმა გაღიზიანებით ამოიოხრა. მისი კვამლნარევი ამონასუნთქი გოგონას სახეში ეცა.

— ამ სიტყვებს საკუთარ თავზე არ მივიღებ. ამჯერად.

მარიამს იდაყვში კიდევ ერთხელ წაავლო ხელი და ზედა სართულზე აიყვანა.

აქაც ვიწრო, სუსტად განათებული დერეფანი და ორი საძინებელი იყო განთავსებული. უფრო მოზრდილი საძინებლის კარი ოდნავ შეღებული დახვდათ. მარიამმა დაინახა, რომ, როგორც ყველა ოთახში, აქაცძალიან ცოტა ავეჯი იდგა: კუთხეში მიდგმული საწოლი ერთი ბალიშითა და ყავისფერი საბნით, კარადა და ტუალეტის

მაგიდა. პატარა სარკეს თუ არ ჩავთვლით, კედლები ცარიელი იყო. რაშიდმა კარი მიხურა.

— ეს ჩემი ოთახია. შენ კი შეგიძლია, სტუმრების ოთახით ისარგებლო. იმედი მაქვს, წინააღმდეგი არ იქნები. მარტო ძილს ვარ მიჩვეული.

გოგონას არ გაუმხელია, მისმა სიტყვებმა როგორი შვება მოჰგვარა.

მარიამის ოთახი იმ ოთახზე ბევრად პატარა აღმოჩნდა, სადაც ჯალილის სახლში ცხოვრობდა. აქ საწოლი, ძველი ნაცრისფერი ტუალეტის მაგიდა და პატარა კარადა იდგა. ფანჯარა ეზოში გადიოდა და მასში ქუჩის ნაწილიც მოჩანდა. რაშიდმა გოგონას ჩემოდანი კუთხეში დადგა.

მარიამი საწოლზე ჩამოჯდა.

— ვერ შენიშნე, ხომ? — ჰკითხა კაცმა, რომელიც, მხრებში ოდნავ მოხრილი, შესასვლელში იდგა. — ფანჯრის რაფას შეხედე. იცი, ეს რა არის? აქ ჰერათში წამოსვლამდე დავაწყვე.

მარიამმა ახლაღა დაინახა ფანჯრის რაფაზე შემოდგმული კალათა, საიდანაც ტუბეროზებს გადმოეყოთ თავები.

— მოგწონს? გესიამოვნა?

— დიახ, — მოკლედ უპასუხა მარიამმა.

— მაშინ, შეგიძლია მადლობა გადამიხადო.

— გმადლობთ. მაპატიეთ. თაშაქორ(თაშაქორ — გმადლობთ.).

— კანკალებ. იქნებ ჩემი გეშინია. ჩემი გეშინია? ნუთუ გაშინებ?

მარიამი არ უყურებდა, მაგრამ კაცის სიტყვებში რაღაც ეშმაკურად ანცური იგრძნო, თითქოს მის გამოწვევას ცდილობდა. თავი სწრაფად გაიქნია და მიხვდა, რომ მათ ქორწინებაში პირველი ტყუილი თქვა.

— არა? კარგი მაშინ. შენთვის უკეთესი. მოკლედ, ახლა ეს შენი სახლია. აქ მოგეწონება. აი, ნახავ. უკვე გითხარი, რომ ელექტროენერგია გვაქვს? დღის უმეტეს დროს და ყოველღამე.

რაშიდმა ოთახიდან გასვლა დააპირა. კართან შეჩერდა და სიგარეტის კვამლის გამო თვალები მოჭუტა. მარიამმა გაიფიქრა, რაღაცის

თქმას აპირებსო, მაგრამ კაცს ხმა არ ამოუღია. კარი გაიხურა და გოგონა თავის ჩემოდანთან და ყვავილებთან მარტო დატოვა.

## 10

პირველი რამდენიმე დღის განმავლობაში, მარიამს ოთახი თითქმის არ დაუტოვებია. ყოველ გარიჟრაჟზე აზანის(აზანი — ლოცვისაკენ მოწოდება, რომელსაც მუეძინი (პიროვნება, რომელიც მინარეთიდან ამცნობს მორწმუნეებს ლოცვის დროის დადგომას) წარმოთქვამს.) შორეული ხმა აღვიძებდა და სალოცავად უხმობდა. შემდეგ კვლავ საწოლში ბრუნდებოდა. ჯერ ისევ მწოლიარეს ესმოდა, რომ რაშიდი აბაზანაში შედიოდა. მაღაზიაში წასვლამდე მარიამს ოთახში აკითხავდა. გოგონა ფანჯრიდან აკვირდებოდა, როგორ გადიოდა კაცი ეზოში, როგორ დებდა ლანჩისთვის გამზადებულ ფუთას ველოსიპედის სამგზავრო კალათში, შემდეგ ველოსიპედი ეზოდან ქუჩაში გაჰყავდა. მარიამი თვალს არ აცილებდა, სანამ მისი მხარბეჭიანი ფიგურა ქუჩის ბოლოში არ გაუჩინარდებოდა.

დღის უმეტეს დროს გოგონა საწოლში ატარებდა. თავს მარტოსულად გრძნობდა. ზოგჯერ ქვედა სართულზე, სამზარეულოში ჩადიოდა. ხელს შეავლებდა წებოვან, ცხიმით დალაქავებულ დახლს, ვინილის ყვავილებით მოჩითულ ფარდებს, დამწვარი საჭმლის სუნი რომ ასდიოდა; ერთმანეთთან შეუსაბამო უჯრებში იყურებოდა, სადაც შეუხამებელი კოვზები და დანები, ქაფქირი და კიდეებჩამომტვრეული ხის ბრტყელი კოვზები ეწყო. ეს ყველაფერი მისი ახალი ცხოვრების ყოველდღიური ხელსაწყოები უნდა გამხდარიყო და იმასაც ახსენებდა, თუ როგორ დაენგრა ცხოვრება; თავს გადახვეწილად, გაძევებულად, სხვის ცხოვრებაში შეჭრილ, დაუპატიჟებელ სტუმრად აგრძნობინებდა.

ქოლბაში მადას არ უჩიოდა. აქ კი იშვიათად შივდებოდა. ზოგჯერ მისაღებ ოთახში თეფშზე დარჩენილი თეთრი ბრინჯი და პურის

პატარა ნაჭერი შეჰქონდა და ფანჯარასთან ჯდებოდა. აქედან უყურებდა ერთსართულიანი სახლების სახურავებს; ეზოებს; ქალებს, რომლებიც სარეცხს ფენდნენ და ბავშვებს ერეკებოდნენ; ქათმებს, ნაგავში რომ იქექებოდნენ; ბარებსა და ნიჩბებს; ხეებთან მიბმულ ძროხებს.

მარიამი სიამოვნებით იხსენებდა ზაფხულის იმ ღამეებს, ნანასთან ერთად ქოლბას ბრტყელ სახურავზე რომ ეძინა და გულ დამანის მანათობელ მთვარეს უყურებდა. ცხელ ღამეებში პერანგები მკერდზე ისე ეკვროდათ, როგორც ფანჯარას სველი ფოთოლი. ენატრებოდა ზამთრის საღამოები, მოლა ფაეზულასთან ერთად ქოლბაში რომ კითხულობდა, სახურავს ხეებიდან ჩამომდნარი ყინულის ლოლუების წვეთები წკრიალით ეცემოდა, დათოვლილ ტოტებზე კი ყვავები ჩხაოდნენ.

სახლში მარტო დარჩენილი მარიამი სამზარეულოდან მისაღებ ოთახამდე ბოლთას სცემდა, თავის ოთახში ადიოდა, შემდეგ კი ისევ ქვევით ჩამოდიოდა. ბოლოს საძინებელში ბრუნდებოდა, ლოცვას კითხულობდა ან საწოლზე იჯდა, დედა ენატრებოდა, გულისრევის შეგრძნება და სახლზე ფიქრი სტანჯავდა.

მზის ჩასვლასთან ერთად, მარიამის მღელვარება მატულობდა. კბილს კბილზე აცემინებდა იმ ღამეზე ფიქრისას, როცა, ბოლოს და ბოლოს, რაშიდი გადაწყვეტდა, რომ მისთვისაც ის გაეკეთებინა, რასაც ცოლს ყველა ქმარი უკეთებდა. სანამ რაშიდი ქვედა სართულზე მარტო მიირთმევდა, მარიამი ლოგინში ნერვებდაჭიმული იწვა.

კაცი მის ოთახთან ყოველთვის ჩერდებოდა და თავს შემოყოფდა ხოლმე.

— არ შეიძლება უკვე გეძინოს. ჯერ მხოლოდ შვიდი საათია. გღვიძავს? მიპასუხე.

არ ეშვებოდა, სანამ მარიამი სიბნელიდან არ უპასუხებდა:

— აქ ვარ.

მაშინ რაშიდი მარიამის კართან ჯდებოდა. გოგონა კი ლოგინიდან უთვალთვალებდა მის უზარმაზარ ფიგურას, გრძელ ფეხებს, კვამლს, რომელიც მისი მოკაკულცხვირიანი პროფილის გარშემო ტრიალებდა, სიგარეტის ქარვისფერი წვერის მკრთალ ნათებას. კაცი განვლილი

დღის ამბებს უყვებოდა. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილისთვის, რომელიც ფეხსაცმელს მხოლოდ მისგან ყიდულობდა, ერთი წყვილი მოკასინი შეეკერა; პოლონელი დიპლომატისა და მისი მეუღლისგან კი სანდლების შეკვეთა მიეღო. უყვებოდა ფეხსაცმელთან დაკავშირებულ ცრურწმენებზე. ზოგიერთი ფიქრობდა, რომ თუკი ფეხსაცმელს საწოლზე დააწყობდა, ოჯახში ვინმე მოკვდებოდა, ან თუ პირველად მარცხენა ცალს ჩაიცვამდა, ჩხუბი არ ასცდებოდა.

— თუკი ამას უნებლიედ პარასკევს გააკეთებ. — თქვა მან. — ასევე, იცოდი, ფეხსაცმელებს ერთმანეთზე თასმებით თუ გადააბამ და ლურსმანზე ისე ჩამოკიდებ, ცუდის ნიშანი რომ არის?

თავად რაშიდს არც ერთი ამ ცრურწმენის არ სჯეროდა. მისი აზრით, ეს ყველაფერი მეტწილად ქალური გატაცება უფრო იყო.

შემდეგ ქუჩაში ყურმოკრული ამბების მოყოლაზე გადადიოდა. მაგალითად, სკანდალის გამო როგორ გადადგა თანამდებობიდან ამერიკის პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი.

მარიამს არაფერი სმენოდა ნიქსონისა და, მით უმეტეს, იმ სკანდალის შესახებ, რის გამოც პრეზიდენტი გადადგა, ამიტომ რაშიდს არაფერს პასუხობდა. ერთი სული ჰქონდა, კაცს საუბარი სწრაფად დაესრულებინა, სიგარეტი ჩაექრო და მისი ოთახიდან გასულიყო. როდესაც რაშიდი თავის საძინებელში ბრუნდებოდა, მარიამი შვებით ამოისუნთქავდა ხოლმე. ერთ ღამეს კაცმა სიგარეტი ჩააქრო და ნაცვლად იმისა, რომ გოგონასთვის ღამე მშვიდობისა ესურვებინა, კარს მიეყრდნო და ჰკითხა:

— ოდესმე შენი ჩემოდნის ამოლაგებას აპირებ? გავითვალისწინე, რომ მოსაშინაურებლად ცოტა დრო დაგჭირდებოდა, მაგრამ ეს უკვე აბსურდია. ერთი კვირა გავიდა და... მოვითხოვ, რომ ხვალ დილიდან ცოლის მოვალეობების შესრულებას შეუდგე. ფაჰმიდი? გასაგებია?

მარიამს ყბა აუკანკალდა.

— პასუხს ვითხოვ.

— დიახ.

— ძალიან კარგი, — თქვა მან, — შენ ფიქრობ, რომ სასტუმროში ხარ ან მე სასტუმროს მეპატრონე ვარ? მოკლედ...ოჰ, ოჰ. ლა ილაჰა ილლა ლ-ლაჰუ(ლა ილაჰა ილლა ლ-ლაჰუ — (არაბ.) არა არს ღმერთი, თვინიერ ალაჰისა.). მე ხომ გაგაფრთხილე, მარიამ? ტირილთან დაკავშირებით რა გითხარი?

მეორე დილას, როდესაც რაშიდი სამსახურში წავიდა, მარიამმა ჩემოდანი ამოალაგა და თავისი ნივთები კარადაში შეაწყო. ჭიდან ერთი სათლი წყალი ამოიღო და თავისი საძინებლის და მისაღები ოთახის ფანჯრები დაწმინდა. იატაკები მორეცხა, ოთახის კუთხეებიდან აბლაბუდები ჩამოწმინდა, ფანჯრები გააღო და სახლი გაანიავა.

სამი ფინჯანი ოსპი ქოთანში ჩაალბო, დანა მოძებნა და ცოტაოდენი სტაფილო და ორი ცალი კარტოფილი ჩააჭრა. სანელებლების ჭუჭყიანი ქილების უკან ფქვილი იპოვა და ცომი ისე მოზილა, როგორც ნანა ასწავლიდა. შემდეგ ზემოდან ფქვილი მოაყარა და ნოტიო ქსოვილში გაახვია. თავზე ჰიჯაბი მოიხვია და საზიარო თონის მოსაძებნად გარეთ გავიდა.

რაშიდისგან იცოდა, სადაც იყო: ქუჩის ბოლოში, მარცხნივ და შემდეგ მარჯვნივ. ქალებისა და ბავშვების ნაკადი იმავე მიმართულებით მოძრაობდა და მარიამიც უკან გაჰყვა. ბავშვები დედებს აბრაზებდნენ და მათ წინ დარბოდნენ. დაკემსილი პერანგები და ზომაზე დიდი ან პატარა შარვლები და სანდლები ეცვათ, რომელთა დაფლეთილი თასმები აქეთ-იქით ეხლებოდა. ველოსიპედის ძველ, გამოუსადეგარ თვლებს ჯოხებით მიაგორებდნენ.

ქალები სამ-სამად ან ოთხ-ოთხად მიუყვებოდნენ გზას. ზოგი ბურკას ატარებდა, ზოგი კი — არა. ხმამაღლა ლაქლაქებდნენ და იცინოდნენ. მარიამი გზას თავდახრილი მიუყვებოდა და მის ყურთასმენას ავადმყოფ ბავშვებსა და ზარმაც, უმადურ ქმრებზე ქალების საუბრის ფრაგმენტები სწვდებოდა.

„თითქოს სადილი თავად მზადდებოდეს“.

„ვალლაჰი-ბილლაჰი(ვალლაჰი-ბილლაჰი — (არაბ.) ალაჰს ვფიცავ, ღმერთმანი.), არც ერთი წუთი მოსვენება!“

„და ის მე მეუბნება, გეფიცები, სიმართლეს ვამბობ, მეუბნება, რომ...“

ეს უსასრულო, გულის მომკვლელი, მაგრამ უჩვეულოდ ხალისიანი მუსაიფი წრიულად ბრუნავდა და გრძელდებოდა ქუჩებში, მოსახვევებში, თონის რიგში. ქმრები, რომლებიც ფულზე თამაშობდნენ, რომელთაც ბრმად უყვარდათ თავიანთი დედები და ცოლებს ერთ რუპიასაც კი არ დაახარჯავდნენ. მარიამს უკვირდა, როგორ შეიძლება, ამდენ ქალს ასეთი საშინელი, ერთნაირი ბედისწერა სტანჯავდეს, როგორ მოხდა, რომ ყველა ასეთ საზიზღარ კაცზე დაქორწინდაო?! ან იქნებ ეს ცოლების თამაში იყო, ყოველდღიური რიტუალი, ბრინჯის დალბობისა და ცომის მომზადების მსგავსად, რომლის შესახებაც თვითონ არაფერი იცოდა? ნუთუ მათ მალე მარიამიც შეუერთდებოდა?

თონის რიგში რამდენიმე ქალის მზერა დაიჭირა და ჩურჩულიც შემოესმა. ხელები გაუოფლიანდა. წარმოიდგინა, თითქოს ყველა მათგანმა იცოდა, ჰარამი რომ იყო, საკუთარი მამისა და მისი ოჯახის სირცხვილის მიზეზი, რომელმაც დედას უღალატა და თავი შეირცხვინა.

თავისი ჰიჯაბის კუთხით ზედა ტუჩიდან ოფლი მოიწმინდა და შეეცადა, თავი ხელში აეყვანა. რამდენიმე წუთის განმავლობაში თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა. შემდეგ კი ვიღაც მხარზე ხელით შეეხო. მარიამი მიბრუნდა და ღია ფერის კანის სრული ქალი დაინახა, რომელიც მასსავით ჰიჯაბს ატარებდა. მოკლედ შეჭრილი, შავი, ხვეული თმა, სათნო მრგვალი სახე და მარიამზე სრული ტუჩები ჰქონდა, ქვედა ოდნავ ჩამოვარდნილი — თითქოს ტუჩის კონტურზე წამომჯდარი ხალი ქვემოთ ექაჩებოდა. დიდი, მწვანე თვალები მარიამს მაცდურად შეანათა.

— შენ რაშიდის ცოლი არ ხარ? — ჰკითხა ქალმა და გაუღიმა, — ჰერათიდან. როგორი ახალგაზრდა ხარ! მარიამი გქვია, არა? მე ფარიბა ვარ. შენს ქუჩაზე ვცხოვრობ, ხუთი სახლის მოშორებით, მწვანე ჭიშკარი რომ აქვს. ეს ჩემი ვაჟი ნურია.

ბიჭს მხიარული სახე და დედასავით ხვეული თმა ჰქონდა. მარცხენა ყურის ბიბილოზე, მომცრო ადგილას შავი თმა ამოსვლოდა. თვალებში ანცი, ეშმაკური სხივი უკიაფებდა. ნურმა მარიამს ხელი გაუწოდა:

— სალამ, ხალა-ჯან(სალამ, ხალა-ჯან — გამარჯობა, დეიდა.).

— ნური ათი წლის არის. უფროსი ვაჟიც მყავს, აჰმადი ჰქვია.

— ის ცამეტისაა, — საუბარში ჩაერთო ნური.

— მეთოთხმეტეში. — გაიცინა ქალმა, — ჩემს ქმარს ჰაქიმი ჰქვია,

მასწავლებელია დეჰ მაზანგში. ერთ დღეს უნდა გვესტუმრო, ჭიქა...

მაგრამ უეცრად, თითქოს გამბედაობა შეემატათო, დანარჩენმა ქალებმა ფარიბა გვერდზე გასწიეს და მარიამს გარს შემოეხვივნენ.

— რაშიდის ახალგაზრდა ცოლი შენ ხარ?

— ქაბული როგორ მოგწონს?

— ჰერათში ნამყოფი ვარ. იქ ბიძაშვილი მყავს.

— პირველი შვილი ბიჭი გინდა თუ გოგო?

— მინარეთები! ოჰ, რა სილამაზეა! როგორი დიდებული ქალაქია!

— ბიჭი ჯობია, მარიამ, საყვარელო. გვარის გამგრძელებელი იქნება.

— სისულელეა! ბიჭები ქორწინდებიან და მიდიან. გოგონები კი რჩებიან და სიბერეში გპატრონობენ.

— ვიცოდით, რომ ჩამოდიოდი.

— ტყუპები ჯობია. ქალ-ვაჟი. მაშინ ყველა ბედნიერია.

მარიამმა უკან დაიხია. სუნთქვა გაუხშირდა, ყურები დაუგუბდა, პულსი აუჩქარდა, მზერა ერთიდან მეორეზე გადაჰქონდა. კიდევ რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია, მაგრამ წასასვლელი აღარსად ჰქონდა, ქალებს ალყაში მოექციათ. მარიამმა მოღუშულ ფარიბას მოჰკრა თვალი. ქალი ხვდებოდა, გოგონა როგორ იტანჯებოდა.

— თავი დაანებეთ! — უეცრად წამოიძახა მან, — გაიწიეთ! თქვენ მას აშინებთ!

მარიამმა ცომი მკერდზე მიიკრა და მის გარშემო შეკრებილი ბრბო გაარღვია.

— სად მიდიხარ, ჰამშირა(ჰამშირა — და; მიმართვის ფორმა, რომელსაც ქალების მიმართ იყენებენ. )?

გოგონა უკანმოუხედავად მირბოდა. მხოლოდ მაშინ შეჩერდა, როდესაც მიხვდა, რომ გზა აერია. მიმოიხედა და სხვა მხარეს გაიქცა. ძირს დაეცა და მუხლი იტკინა, მაგრამ წამოდგა, სირბილი განაგრძო და ქალებს გვერდზე ჩაუქროლა.

— რა დაგემართა?

— სისხლი მოგდის, ჰამშირა!

მარიამმა ერთ კუთხეში შეუხვია, შემდეგ მეორეში და ნაცნობი ქუჩაც გამოჩნდა. მაგრამ უეცრად აღმოაჩინა, რომ რაშიდის სახლი აღარ ახსოვდა. თითქმის ატირებულმა ქუჩა ქოშინით ჩაირბინა და ყველა კარი შეაღო. ზოგი დაკეტილი დახვდა, ზოგის მიღმა კი უცნობ ეზოებს, მყეფარ ძაღლებსა და დამფრთხალ წიწილებს წააწყდა. წარმოიდგინა, რომ შინ მომავალი რაშიდი გზააბნეულს, მუხლიდან სისხლმდინარეს, საკუთარ ქუჩაზე დაკარგულს იპოვიდა. ახლა კი ნამდვილად ტირილი დაიწყო. კარების მოსინჯვას განაგრძობდა, ლოცვებს ისტერიულად ბუტბუტებდა და ცრემლებს იწმენდდა. მოულოდნელად ნაცნობი ეზო, საპირფარეშო, ჭა, ხელსაწყოების ფარდული დაინახა და შვებით ამოისუნთქა. კარი ზურგს უკან მიიჯახუნა და ურდულით ჩაკეტა. იქვე, კედელთან ჩამოჯდა და ფეხები გაშალა. ასე მარტოსულად თავი არასდროს უგრძნია.

როდესაც ღამით რაშიდი შინ დაბრუნდა, თან ყავისფერი ქაღალდის ჩანთა მოიტანა. მარიამს იმედი გაუცრუვდა, კაცმა გაწმენდილი ფანჯრები და იატაკი რომ ვერ შენიშნა. თუმცა იმით კი კმაყოფილი ჩანდა, გოგონას სადილისთვის თეფში მისაღები ოთახის იატაკზე, სუფთა ჭილოფზე რომ დაეხვედრებინა.

— დალი(დალი — ოსპის, ბარდის და მისთ. შეჭამანდი, რომელიც ბულიონით მზადდება.) მოვამზადე, — უთხრა მარიამმა.

— კარგია. ძალიან მშია.

მარიამმა რაშიდს ხელი აფთაბათი(აფთაბა — ვიწროყელიანი დოქი, რომელსაც განბანვისას იყენებენ. ) დააბანინა. სანამ იგი

პირსახოცით იმშრალებდა, გოგონამ ჯამით ცხელი დალი და თეფშით ფაფუკი თეთრი ბრინჯი დაუდგა. ეს მისთვის მომზადებული პირველი სადილი იყო. თონის რიგში მომხდარი ამბის გამო, მზარეულობისას ჯერ ისევ კანკალებდა. ამიტომ შემდეგ მთელი დღე დალის ფერზე, მის შემადგენლობაზე წუხდა, ვაითუ რაშიდს მოსჩვენებოდა, რომ პურს საკმარისი ჯანჯაფილი ან კურკუმა არ ჰქონდა.

კაცმა კოვზი ოქროსფერ დალში ჩაყო.

მარიამი ოდნავ შეირხა. იმედი რომ გაცრუებოდა ან გაბრაზებულიყო? იქნებ უკმაყოფილების ნიშნად თეფში გვერდზე გადაედგა?

— ფრთხილად, ცხელია, — მხოლოდ ამის თქმა მოახერხა დამფრთხალმა გოგონამ.

რაშიდმა ტუჩები მომუწა და შეუბერა, შემდეგ კი კოვზი პირში ჩაიდო.

— კარგია, — თქვა მან, — ცოტა მარილი აკლია, მაგრამ კარგია. უფრო კარგია, ვიდრე უბრალოდ კარგი.

მარიამმა შვებით ამოისუნთქა. კაცის ჭამას აკვირდებოდა. სიამაყის გრძნობა დაეუფლა და თან გააოცა იმ მღელვარებამ, მასში რაშიდის ერთმა პატარა ქათინაურმა რომ გამოიწვია. იმ დღევანდელმა უსიამოვნო შემთხვევამ ნელ-ნელა უკანა პლანზე გადაინაცვლა.

— ხვალ პარასკევია, — თქვა რაშიდმა, — რას იტყვი, აქაურობა რომ დაგათვალიერებინო?

— ქაბული?

— არა, კალკუტა.

მარიამმა თვალები აახამხამა.

— გაგეხუმრე. რა თქმა უნდა, ქაბული. აბა, მეტი რა? — უთხრა და თან ყავისფერ ქაღალდის ჩანთაში ხელი ჩაყო, — მაგრამ, პირველ ყოვლისა, მინდა რაღაც გითხრა.

ჩანთიდან ცისფერი ბურკა(ბურკა — პირბადე, რიდე, რომლითაც მუსლიმი ქალების ერთი ნაწილი სახეს იფარავს.) გამოაცურა. ზევით რომ ასწია, გოფრირებული ქსოვილი მუხლებზე გადმოეშალა. შემდეგ ხელზე დაიხვია და გოგონას შეხედა.

— მარიამ, მე მყავს კლიენტები, რომელთაც ცოლები ჩემს მაღაზიაში მოჰყავთ. თავდაუხურავი ქალები თვალებში უსირცხვილოდ მიყურებენ და ისე მესაუბრებიან. მაკიაჟს იკეთებენ და მუხლები მოუჩანთ. ზოგჯერ, ზომის აღებისას, ჩემ თვალწინ, ფეხს ფეხზე გადაიდებენ, მათი ქმრები კი იქვე დგანან და ამ ყველაფერს გულგრილად უცქერენ. ნებას რთავენ. სულ არ ეუხერხულებათ, მათი ცოლების შიშველ ფეხებს რომ ვეხები! თავი თანამედროვე, მოაზროვნე კაცები ჰგონიათ, ვფიქრობ, იმის ხარჯზე, რომ განათლება აქვთ მიღებული. ვერ ხვდებიან, რომ ეს მათ ნანგსა(ნანგი — სირცხვილი, ღირსება.) და ნამუსს(ნამუსი — პატიოსნება, რეპუტაცია.), ღირსებასა და სიამაყეს ლახავს.

რაშიდმა თავი გაიქნია.

— ისინი, ძირითადად, ქაბულის მდიდარ უბნებში ცხოვრობენ. ერთხელ წაგიყვან და ნახავ. მაგრამ ასეთი რბილი ხასიათის კაცები ჩვენს სამეზობლოშიც არიან. ქუჩის ბოლოში მასწავლებელი, ჰაქიმი ცხოვრობს. მისი ცოლი, ფარიბა ქუჩაში თავზე მხოლოდ შარფშემოხვეული დადის. გულწრფელად რომ გითხრა, თავს უხერხულად ვგრძნობ ისეთი კაცების გამო, რომლებსაც თავიანთ ცოლებზე გავლენა აქვთ დაკარგული, — თქვა და გოგონას დაჟინებული მზერა სტყორცნა, — მაგრამ მე მამაკაცების სხვა კატეგორიას მივეკუთვნები, მარიამ. საიდანაც მე მოვდივარ, იქ ერთი არასწორი გამოხედვა, ერთი უადგილო სიტყვა და მაშინვე სისხლი იღვრება. საიდანაც მე მოვდივარ, ქალის სახეს მხოლოდ მისი ქმარი უნდა ხედავდეს. მინდა, რომ ეს დაიმახსოვრო. ჩემი გესმის?

თანხმობის ნიშნად მარიამმა თავი დაუკრა. რაშიდმა ქაღალდის ჩანთა გადასცა.

ცოტა ხნის წინანდელი ქათინაურისგან მიღებული სიამოვნება უკვალოდ გაქრა. მის ნაცვლად კი შიშმა დაისადგურა. ამ კაცის ნება მარიამს ისეთსავე საფრთხეს შეუქმნიდა, როგორსაც საფედქოჰის მთები გულ დამანს.

— როგორც ჩანს, ყველაფერი გავარკვიეთ. მაშინ ცოტა დალი კიდევ დამიმატე.

## 11

მარიამს ბურკა აქამდე არასდროს სცმოდა. ამიტომ მის მოსარგებად რაშიდის დახმარება დასჭირდა. რბილი საფენით გატენილი თავსაბურავი თავის ქალაზე შემოეტმასნა და დაამძიმა. ბადის ნიღბიდან სამყარო უცნაურად მოჩანდა. ბურკაში გამოწყობილი ოთახში სიარულში ვარჯიშობდა, მაგრამ კიდეებს ფეხს აბიჯებდა და ბორძიკობდა. პერიფერიული მხედველობის დაკარგვა აშინებდა და არც ის სიამოვნებდა, გოფრირებული, პირზე მიბჯენილი სამოსი სუნთქვას რომ უკრავდა.

— მიეჩვევი, — უთხრა რაშიდმა, — დარწმუნებული ვარ, დროთა განმავლობაში, მოგეწონება კიდეც.

შარ-ე-ნაუს პარკთან ავტობუსით მივიდნენ. ბავშვები ერთმანეთს საქანელებზე აქანავებდნენ და ხეებზე მიმაგრებული დაფლეთილი ბადის იქით ბურთს გაშლილი ხელისგულებით ისროდნენ. მარიამი და რაშიდი სეირნობდნენ, ერთმანეთს გვერდიგვერდ მიჰყვებოდნენ და ფრანებით მოთამაშე ბიჭებს აკვირდებოდნენ. დროდადრო მარიამს ბურკას ბოლოები ფეხებში ებლანდებოდა და ბორძიკობდა. მეორე საუზმისთვის რაშიდმა გოგონა ჰაჯი იაყუბის მეჩეთთან ახლოს მდებარე პატარა საქაბაბეში წაიყვანა. იატაკი გაწებილი, ჰაერი კი კვამლით სავსე იყო. კედლებს უმი ხორცის სუნი ასდიოდა და მუსიკას, რომელიც, რაშიდის თქმით, ლუგარის(ლუგარი — ავღანური მუსიკის სახეობა.) უწოდებდნენ, ხმამაღლა ამღერებდნენ. გამხდარი მზარეული ბიჭები ცალი ხელით შამფურებს იქნევდნენ, მეორეთი კი კოღოებს იგერიებდნენ. მარიამი რესტორანში პირველად იყო, ამიტომ, თავდაპირველად, ხალხით სავსე ოთახში ჯდომა, სადაც მასთან ერთად ამდენი უცნობი ადამიანი იმყოფებოდა, ეუცნაურა. პირში ყოველი ლუკმის ჩადე-

ბისას ბურკას იწევდა. ისეთსავე მღელვარებას გრძნობდა, როგორც იმ დღეს, თონის რიგში დგომისას მუცელში უეცრად რომ დაუარა. თუმცა რაშიდის სიახლოვე ერთგვარ სიმშვიდეს ჰგვრიდა და ცოტა ხანში დიდად აღარც მუსიკა, არც კვამლის სუნი და არც იქ მყოფი ადამიანები აწუხებდა. მისდა გასაოცრად, აღმოაჩინა, რომ ბურკაში თავს მოხერხებულადაც კი გრძნობდა; ეს სამოსი ცალმხრივ ფანჯარას ჰგავდა, საიდანაც მეთვალყურე თავად იყო და უცნობების ცნობისმოყვარე თვალისგან თავს დაცულად გრძნობდა. ახლა არც იმაზე დარდობდა, რომ ვინმე მისი წარსულის სამარცხვინო საიდუმლოებებს ერთი შეხედვითვე შეიტყობდა.

ქუჩაში რაშიდი სხვადასხვა შენობას აჩვენებდა და მასში განთავსებულ დაწესებულებებსაც აცნობდა.

— ეს ამერიკის საელჩოა, ეს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

მანქანებზეც მიუთითებდა, მათ სახელებსა და გამომშვებ ქვეყნებს უსახელებდა: საბჭოთა „ვოლგები“, ამერიკული „შევროლეები“, გერმანული „ოპელები“.

— ყველაზე მეტად რომელი მოგწონს? — ეკითხებოდა რაშიდი.

მარიამი ჯერ ყოყმანობდა, შემდეგ ვოლგაზე უთითებდა, რაშიდი კი იცინოდა.

ჰერათის იმ მცირე მონაკვეთთან შედარებით, რომელიც მარიამს ჰქონდა ნანახი, ქაბული ბევრად ხალხმრავალი იყო. აქ ძალიან ცოტა ხეს და ოთხთვალას თუ შენიშნავდი, სამაგიროდ, უფრო მეტი მანქანა, მაღალი შენობა, შუქნიშანი და მოკირწყლული გზა იყო. მარიამს ქალაქისთვის დამახასიათებელი დიალექტი ყოველი ფეხის ნაბიჯზე ესმოდა: „ძვირფასი“ „ჯოს“ ნაცვლად „ჯონ“ იყო; „დის“ მნიშვნელობით „ჰამშირეს“ მაგივრად „ჰამშირას“ იყენებდნენ და ა. შ.

ქუჩაში მოვაჭრეებთან რაშიდმა მარიამს ნაყინი უყიდა. გოგონამ ნაყინი მაშინ პირველად გასინჯა. ვერასდროს წარმოიდგენდა, სასაზე ენით ასეთი ოინების გათამაშება თუ შეიძლებოდა. ბრინჯის პაწაწინა ნამცეცებიანი მთლიანი თასი, რომელსაც ფსტის ნატეხები

ჰქონდა მოყრილი, სულმოუთქმელად შთანთქა. მისი მომაჯადოებელი შემადგენლობა, მისი სიტკბო აოცებდა.

სეირნობისას ქუჩეიე მორყჰაზე — წიწილების ქუჩაზე აღმოჩნდნენ. იქვე ახლოს ვიწრო, ხალხმრავალი ბაზარი იყო, რომელიც, რაშიდის თქმით, ქაბულში ერთ-ერთ ყველაზე მდიდრულად მიიჩნეოდა.

— ამ მიდამოებში უცხოელი დიპლომატები, ბიზნესმენები, სამეფო ოჯახის წევრები და მათი წრის სხვა წარმომადგენლები ცხოვრობენ. ჩვენნაირები არა.

— აქ წიწილებს ვერსად ვხედავ, — თქვა მარიამმა.

— ეგ ერთადერთია, რასაც წიწილების ქუჩაზე ვერ იპოვი, — გაუცინა რაშიდმა.

მთელ ქუჩაზე ჩამწკრივებულ მაღაზიებსა და პატარა დახლებზე ბატკნის ბეწვის ქუდები და ცისარტყელას ფერებიანი ჩაპანები იყიდებოდა. რაშიდი ერთ-ერთ მაღაზიაში ვერცხლის გრავირებულ ხანჯალთან, მეორეგან კი ძველ შაშხანასთან შეჩერდა. მაღაზიის მფლობელი რაშიდს არწმუნებდა, შაშხანა ბრიტანეთთან პირველი ომის დროინდელი რელიკვიააო.

— და მე მოშე დაიანი ვარ, — ჩაიბუტბუტა რაშიდმა და ჩაიღიმა. მარიამს მოეჩვენა, რომ ეს ღიმილი მხოლოდ მას ეკუთვნოდა და პირადული, ცოლქმრული ღიმილი იყო.

წყვილმა ხალიჩების, ხელნაკეთი ნივთების, საკონდიტრო ნაწარმის, ყვავილების, ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის მაღაზიებს ჩაუარა. მაქმანებიანი ფარდის უკან მარიამმა გოგონები შენიშნა, ღილებს აკერებდნენ და საყელოებს აუთოებდნენ. დროდადრო რაშიდი მის ნაცნობ მაღაზიის მფლობელებს ხან სპარსულად, ხან კი პუშტუზე ესალმებოდა. როდესაც ისინი ერთმანეთს ხელს ართმევდნენ და ლოყაზე კოცნიდნენ, მარიამი მოშორებით იდგა. რაშიდი მას თავისთან არ უხმობდა, არც არავის აცნობდა. კაცმა სთხოვა, ნაქარგების მაღაზიის გარეთ დაეცადა.

— მფლობელს ვიცნობ, — უთხრა მან, — ერთი წუთით შევალ და მივესალმები.

მარიამი რაშიდს ხალხმრავალ ტროტუარზე უცდიდა. აკვირდებოდა მანქანებს, რომლებიც წიწილების ქუჩაზე ნელა მოძრაობდნენ, ქუჩაში მოვაჭრეთა ურდოებსა და ქვეითებს შორის ძვრებოდნენ, უძრავ ბავშვებსა და ვირებს სიგნალს აძლევდნენ; თვალს ადევნებდა დახლებში მდგომ, დაღლილ ვაჭრებს, რომლებიც ეწეოდნენ ან თითბერის სანერწყვეებში აფურთხებდნენ. ჩრდილს შეფარებულები, შიგადაშიგ წინ წამოიწევდნენ, ქსოვილებით რომ ევაჭრათ და ბეწვის საყელოიანი ქურქები, ფუსთინები(ფუსთინი — ქურქი.), გამვლელებისთვის შეეთავაზებინათ.

მარიამის განსაკუთრებული ინტერესი ქალებმა გამოიწვიეს.

ქაბულის ამ ნაწილში ქალები განსხვავდებოდნენ ისეთ ღარიბი უბნების მკვიდრთაგან, სადაც მარიამი და რაშიდი ცხოვრობდნენ. იქ ხომ ძალიან ბევრი ქალი თავიდან ფეხებამდე დაფარული დადიოდა. აქაური ქალები კი, როგორც რაშიდი ამბობდა, „თანამედროვეები“ იყვნენ. დიახ, თანამედროვე ავღანელი ქალები ცოლად მიყვებოდნენ თანამედროვე ავღანელ მამაკაცებს, რომელთაც სრულიადაც არ ანაღვლებდათ, მათი ცოლები უცნობებს შორის მაკიაჟითა და თავსაბურავის გარეშე რომ დადიოდნენ. მარიამი ხედავდა, როგორ დაუბრკოლებლად დასეირნობდნენ ქუჩებში, ზოგჯერ მამაკაცთან ერთად, ზოგჯერ მარტო, ზოგჯერ კი ლოყებღაჟღაჟა ბავშვებთან ერთად, რომელთაც გაპრიალებული ფეხსაცმელები ეცვათ და ტყავის სამაჯურიანი საათები ეკეთათ, მაღალსაჭიან ველოსიპედებზე ისხდნენ, რომელთა თვლებსაც ოქროსფერი მანა ჰქონდა და სულაც არ ჰგავდნენ დეჰ მაზანგელ ბავშვებს, ლოყებზე ქინქლების ნაიარევები რომ აჩნდათ და ძველი ველოსიპედების თვლებს ჯოხებით დაატარებდნენ.

ყველა ეს ქალი ხელჩანთის ქნევითა და ქვედაბოლოს შრიალით დადიოდა. მარიამმა ისიც შენიშნა, რომ ერთ-ერთი მათგანი სიგარეტს მანქანას მოფარებული ეწეოდა. გრძელი ფრჩხილები ვარ-

დისფრად ან ნარინჯისფრად ჰქონდათ შეღებილი, ტუჩები კი — ტიტასავით წითლად. მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებით ისე სწრაფად დადიოდნენ, თითქოს გამუდმებით გადაუდებელი საქმეებით იყვნენ დაკავებული. მუქი ფერის მზის სათვალეებს ატარებდნენ, და გვერდზე რომ ჩაუვლიდნენ, მარიამი მათი არომატის სუსტ სურნელს გრძნობდა. გოგონას ვარაუდით, თითოეულ მათგანს უნივერსიტეტის დიპლომი, ოფისში სამუშაო და საკუთარი მაგიდა ექნებოდა. ალბათ, იქ ბეჭდავდნენ, ეწეოდნენ და ტელეფონით მნიშვნელოვან ადამიანებთან მნიშვნელოვან საქმეებს აგვარებდნენ. ეს ქალები მარიამს თავგზას უბნევდნენ; მათი შემყურე თავის მდაბიურობას, უბადრუკ შეხედულებებს, მისწრაფებების არქონას და გაუნათლებლობას სრულად აცნობიერებდა.

რაშიდმა მარიამს მხარზე ხელი მსუბუქად დაჰკრა და რაღაც გადასცა.

მუქი შინდისფერი, მძივებითა და ფოჩებით გაწყობილი აბრეშუმის თავსაფარი იყო, კიდეები ოქროს ძაფით ჰქონდა ამოქარგული.

— მოგწონს?

მარიამმა ახედა და რაშიდის გულისამაყუჩებელი ჟესტი დაიჭირა. კაცმა გოგონასკენ მალულად გაიხედა, შემდეგ კი მის მზერას თვალი უმალ აარიდა.

მარიამს ჯალილი გაახსენდა, მისი კატეგორიული და, ამავდროულად, ხალისიანი მანერა, რომლითაც მას სამკაულებს ჩუქნიდა; მის ყოვლისმომცველ მხიარულებას თავდაჭერილი მადლიერებით პასუხობდნენ. ჯალილის საჩუქრებზე ნანა სიმართლეს ამბობდა. ეს მისი უგულო სინანულის ნიშანი, ყალბი, არაკეთილშობილური ჟესტი იყო, მხოლოდ სინდისის დასაშოშმინებლად გამიზნული. მარიამი მიხვდა, რომ ამჯერად, ეს თავსაბურავი ნამდვილი საჩუქარი იყო.

— ლამაზია, — უპასუხა მან.

იმ ღამეს რაშიდი მარიამს ოთახში კვლავ ესტუმრა. მაგრამ შესასვლელში დგომისა და თამბაქოს მოწევის ნაცვლად, შიგნით შევიდა და გოგონას საწოლზე ჩამოჯდა. საწოლი რაშიდისკენ გადმოიხარა და ლოგინის ზამბარებმა ჭრიალი დაიწყო.

კაცი ერთი წამით შეყოვნდა, შემდეგ კი მარიამის კისერს ხელით შეეხო, სქელი თითები უკანა მხარეს განლაგებულ ბურცებს ფრთხილად გადაატარა. ცერა თითი ქვევით ჩააცურა და ახლა ხელს ლავიწის ძვალს ზემოთ განთავსებულ ფოსოზე უსვამდა, შემდეგ კი მის ქვევით რბილ ადგილას გადაინაცვლა. მარიამმა კანკალი დაიწყო. რაშიდის ხელი სულ დაბლა და დაბლა მიცოცავდა, ფრჩხილები მისი ბლუზის ბამბის ქსოვილს ედებოდა.

— არ შემიძლია, — ჩახლეჩილი ხმით ამბობდა მარიამი და რაშიდის მთვარის შუქით განათებულ პროფილს, მსხვილ მხრებსა და განიერ გულმკერდს, გადაღეღილი საყელოდან ამოშვერილ ნაცრისფერ თმას მიშტერებოდა.

კაცს ხელი ახლა უკვე მარიამის მარჯვენა მკერდზე ედო, ბლუზის გარედან ხელს ძლიერად უჭერდა და ცხვირით მძიმედ სუნთქავდა.

რაშიდი საბნის ქვეშ, მის გვერდით შეცურდა. გოგონა გრძნობდა, რომ ცალი ხელით თავის ქამარსა და შარვლის თასმას აწვალებდა. მარიამს ზეწარი მუჭში მოექცია. კაცი მას ზემოდან მოექცა, ირხეოდა და წრიალებდა, ამ დროს კი მარიამი ზლუქუნებდა; თვალები დაეხუჭა და კბილებს აჭრიალებდა.

ტკივილი მოულოდნელი და განსაცვიფრებელი აღმოჩნდა. მარიამს თვალები გაეხილა, ჰაერს კბილებს შორის ისრუტავდა და ცერა თითის სახსარს კბენდა. თავისუფალი მკლავი რაშიდს ზურგზე დაადო და თითები პერანგს გარედან ჩაასო.

კაცმა სახე მის ბალიშში ჩარგო, მარიამი კი ფართოდ გახელილი თვალებით მის მხარს ზემოდან ჭერს მიშტერებოდა, კანკალებდა, ტუჩები მოეკუმა, რაშიდის გახშირებული სუნთქვის სიმხურვალეს თავის მხარზე გრძნობდა. მათ შორის არსებულ სივრცეში თამბაქოს, ხახვისა და ცოტა ხნის წინ ნაჭამი, მაყალზე შემწვარი ბატკნის ხორცის სუნი ტრიალებდა. რაშიდის ახლად გაპარსული ლოყა ყურზე უსიამოვნოდ ეხახუნებოდა.

ყველაფერი რომ დასრულდა, კაცი მარიამისგან ქოშინით ჩამოცოცდა. ხელი წარბებზე გადაისვა. სიბნელეში გოგონა მისი საათის

ლურჯ ისრებს არჩევდა. ცოტა ხანს ორივე ზურგზე იწვა, ერთმანეთს არ უყურებდნენ.

— მარიამ, ამაში სამარცხვინო არაფერია, — ჩაიბუტბუტა რაშიდმა, — ამას ყველა დაქორწინებული წყვილი აკეთებს. წინასწარმეტყველი და მისი ცოლებიც კი ასე იქცეოდნენ. ასე რომ, სამარცხვინო არაფერი გაქვს.

რამდენიმე წუთში კაცმა საბანი გადაიხადა და ოთახიდან გავიდა, გოგონას ბალიშზე თავისი ქალის გამოსახულება დაუტოვა. მარიამი ტკივილის გაყუჩებას უცდიდა. უყურებდა გაყინულ ვარსკვლავებსა და ღრუბელს, რომელიც მთვარეს საქორწინო პირბადესავით გადაფარებოდა.

## 12

1974 წელს რამადანი შემოდგომაზე დაიწყო. მარიამმა პირველად ნახა, როგორ გარდაქმნა ნახევარმთვარის გამოჩენამ მთელი ქალაქი, შეცვალა მისი რიტმი და განწყობილება. ქაბული მთვლემარე სიწყნარემ მოიცვა. ტრანსპორტი შენელდა, შემცირდა და მიჩუმდა კიდეც. მაღაზიები დაცარიელდა. რესტორნები ჩაბნელდა და გამოიკეტა. გოგონა ქუჩებში მწეველებს ვეღარ ამჩნევდა, ფანჯრის რაფებზე შემოდგმული ჩაის ჭიქებიდან ამომავალი ორთქლიც აღარსად ჩანდა. იფტარის(იფტარი — გახსნილება რამადანის მარხვისას, მზის ჩასვლის შემდეგ.) დროს კი, როდესაც მზე დასავლეთით ჩაეშვებოდა და შირ დარვაზას მთიდან ქვემეხებს ისროდნენ, მარხვას მთელი ქალაქი წყვეტდა. მარიამიც ასე იქცეოდა — პურსა და ფინიკს მიირთმევდა და რელიგიურ გამოცდილებას თხუთმეტი წლის განმავლობაში პირველად ეზიარებოდა.

რაშიდი მარხვას მხოლოდ რამდენიმე დღე იცავდა და ამ დღეებშიც შინ გაღიზიანებული ბრუნდებოდა. შიმშილის გამო უკმეხი, აგზნებული და მოუსვენარი ხდებოდა. ერთ ღამეს მარიამმა სადილი რამდენიმე წუ-

თით დაუგვიანა, მან კი პურისა და ბოლოკის ჭამა დაიწყო. ცოტა ხანში გოგონამ ბრინჯი, ბატკნის ხორცი და ყორმა(ყორმა — ერთგვარი კერძი, ყაურმა.) მიართვა, მაგრამ კაცმა ხელი არ ახლო. არაფერი უთქვამს, გაბრაზებული პურის ღეჭვას განაგრძობდა, საფეთქლები გამალებით უმუშავებდა, შუბლზე ვენა უკრთოდა; თავის წინ სივრცეს დაჟინებით გასცქეროდა. როდესაც მარიამი გამოელაპარაკა, თავი მექანიკურად მიაბრუნა, მაგრამ გოგონასთვის ზედაც არ შეუხედავს და პირში პურის კიდევ ერთი ნაჭერი ჩაიდო.

რამადანი დასრულდა და მარიამმა შვებით ამოისუნთქა.

რამადანის შემდეგ იდ-ოლ-ფიტრის(იდ-ოლ-ფიტრი — მუსლიმური დღესასწაული, რომელიც რამადანის დასრულებას აღნიშნავს.) პირველი სამი დღის განმავლობაში, ჯალილი მარიამსა და ნანას ქოლბაში სტუმრობდა ხოლმე. კოსტიუმსა და ჰალსტუხში გამოწყობილს საჩუქრები მოჰქონდა. ერთ წელს მარიამს შალის შარფი უსახსოვრა. სამივე ჩაის მიუსხდებოდნენ ხოლმე, შემდეგ კი ჯალილი მოიბოდიშებდა. „დღესასწაული ხომ თავის ნამდვილ ოჯახთან ერთად უნდა აღნიშნოს!“ იტყოდა ნანა, როგორც კი კაცი ნაკადულს გადაივლიდა და ხელის ქნევას მოჰყვებოდა.

დღესასწაულზე მოლა ფაიზულაც მოდიოდა. მარიამისთვის ფოლგაში გახვეული შოკოლადის კანფეტები, კალათით შეღებილი კვერცხები და ნამცხვრები მოჰქონდა. მასწავლებლის წასვლის შემდეგ გოგონა თავის შესაქცევად რომელიმე ტირიფზე აძვრებოდა, მაღალ ტოტზე ჩამოჯდებოდა და მოლას მორთმეული შოკოლადების ჭამას შეუდგებოდა ხოლმე. ფოლგის ქაღალდები, რომლებსაც ძირს ყრიდა, ხეს გარშემო ვერცხლისფერი ყვავილებივით ეფინებოდა. შოკოლადის დასრულების შემდეგ ნამცხვრებზე გადადიოდა, კვერცხებს კი ფანქრით სახეებს ახატავდა. მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ მცირეოდენ სიამოვნებას თუ ანიჭებდა. მარიამს ზაფრავდა იდ-ოლ-ფიტრი, სტუმრიანობისა და ზეიმის პერიოდი, როდესაც ოჯახები საუკეთესო სამოსში გამოეწყობოდნენ და ერთმანეთს სტუმრობდნენ. მის წარმოსახვაში ჰერათში ამ დროს დიდი მხიარუ-

ლება სუფევდა. ხალისიანი, თვალებგაბრწყინებული ხალხი ერთმანეთისთვის ალერსსა და კეთილ სურვილებს არ იშურებდა. გოგონას მარტოობა სუდარასავით ეხვეოდა ხოლმე და დარდი მხოლოდ დღესასწაულის დასრულების შემდეგ თუ ჩამოეხსნებოდა.

თავისი ბავშვობისდროინდელი წარმოსახვები იდ-ოლ-ფიტრის შესახებ მარიამმა საკუთარი თვალით იმ წელს პირველად იხილა.

ცოლ-ქმარმა ქუჩებს მიაშურა. ასეთი მხიარულებით გარშემორტყმული მარიამი არასდროს ყოფილა. სუსხიანი ამინდის მიუხედავად, ოჯახებმა ქალაქი მოიცვეს და ყველა ნათესავი მოინახულეს. თავიანთ ქუჩაზე მარიამმა ფარიბა და მისი კოსტიუმში გამოწყობილი ვაჟი, ნური შენიშნა. ფარიბას თეთრი შარფი შემოეხვია და დაბალი ტანის, მორცხვ, სათვალიან კაცს გვერდზე მიჰყვებოდა. უფროსი ვაჟიც თან ახლდათ. მარიამს ახსოვდა თონის რიგში ფარიბას მიერ ნათქვამი მისი სახელი, აჰმადი. ღრმად ჩამჯდარი თვალები და აზრიანი, თავის უმცროს ძმაზე სერიოზული სახე ჰქონდა, რაც ადრეულ მოწიფულობაზე მიანიშნებდა. მის ძმას კი ჯერაც ბავშვური ონავრობა შერჩენოდა. აჰმადს ყელზე ალაჰის გამოსახულებიანი მოელვარე კულონი ეკიდა.

ფარიბამ ბურკაში გამოწყობილი და რაშიდის გვერდზე მიმავალი მარიამი ამოიცნო. ხელი დაუქნია და გამოსძახა, — იდ მობარაქ!(იდ მობარაქ! — დღესასწაულს გილოცავთ! )

მარიამმა ბურკადან მხოლოდ ოდნავ შესამჩნევად დაუკრა თავი.

— ამ ქალს, მასწავლებლის ცოლს იცნობ? — ჰკითხა რაშიდმა.

მარიამმა უთხრა, რომ არ იცნობდა.

— უმჯობესია, მისგან თავი შორს დაიჭირო. დიდი ჭორიკანა ვინმეა. მის ქმარსაც თავი განათლებულ, მოაზროვნე ადამიანად მოაქვს, თუმცა სინამდვილეში მხოლოდ ერთი მშიშარა კაცია. შეხედე, თაგვს არ ჰგავს?

რაშიდმა და მარიამმა გეზი შარ-ე-ნაუსკენ აიღეს. ახალ პერანგებსა და ფერად, მძივებით მორთულ მაისურებში გამოწყობილი ბავშვები იდ-ოლ-ფიტრზე მიღებულ საჩუქრებს ერთმანეთს აჩვენებდნენ. ქალები ლანგრებზე დაწყობილი ტკბილეულით თავს იწონებდნენ. მარიამი

მაღაზიების ვიტრინებზე გადმოკიდებულ სადღესასწაულო ფარნებს ათვალიერებდა, უსმენდა მუსიკას, რომელიც მეგაფონებში ისმოდა. გზად სრულიად უცნობი გამვლელები ეუბნებოდნენ, — იდ მობარაქ!

ცოლ-ქმარი იმავე ღამეს შამანში(შამანი — ადგილი, უბანი ქაბულში, სადაც გასული საუკუნის 60-70-იან წლებში დამოუკიდებლობის დღეს საზეიმოდ აღნიშნავდნენ ხოლმე. ) წავიდა. რაშიდის ზურგს ამოფარებული მარიამი ფოიერვერკით მწვანედ, ვარდისფრად და ყვითლად განათებულ ცას შეჰყურებდა. მოლა ფაეზულასთან ერთადქოლბას გარეთ ჯდომა, ჰერათის თავზე გაშვებული ფოიერვერკის შორიდან ყურება ენატრებოდა. უეცარი ფერადი ნათება მისი მასწავლებლის მშვიდ, კატარაქტიან თვალებში ირეკლებოდა. მაგრამ ყველაზე მეტად ნანა აკლდა. მარიამი ოცნებობდა, რომ დედა ცოცხალი ყოფილიყო და ამ ყველაფრის შუაგულში მყოფი მარიამი თავისი თვალით ენახა. ბოლოს და ბოლოს, მიმხვდარიყო, რომ კმაყოფილება და სილამაზე მიუწვდომელი ცნებები არ იყო, მათნაირი ადამიანებისთვისაც კი.

იდის დღესასწაულზე რაშიდმა და მარიამმა რაშიდის მეგობრები სტუმრად შინ მიიღეს. ყველა მათგანი კაცი იყო. როგორც კი კაკუნი გაისმებოდა, მარიამმა უკვე იცოდა, რომ ზევით, თავის ოთახში უნდა ასულიყო, კარი ჩაეკეტა და იქ დარჩენილიყო, სანამ ქვედა სართულზე კაცები რაშიდთან ერთად ჩაის წრუპავდნენ, ეწეოდნენ და მუსაიფობდნენ. რაშიდს მარიამი გაფრთხილებული ჰყავდა, სტუმრების წასვლამდე ქვევით არ გამოჩენილიყო.

გოგონას საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. სიმართლე რომ ითქვას, ამით კმაყოფილიც კი იყო. მასთან კავშირს რაშიდი წმინდად და ხელშეუხებლად მიიჩნევდა. ცოლის პატიოსნებასა და ღირსებას გულმოდგინედ იცავდა. მარიამი მის ზრუნვას აფასებდა და დიდ მნიშვნელობასაც ანიჭებდა.

იდის მესამე და ბოლო დღეს რაშიდი მეგობრების მოსანახულებლად წავიდა. მარიამს მთელი ღამე გულის რევის შეგრძნება აწუხებდა, ამიტომ წყალი აადუღა და მწვანე ჩაი გასრესილი ჯანჯაფილით

მოიმზადა. გასული ღამის სტუმრიანობის შემდეგ მისაღები ოთახის დალაგებას შეუდგა. გადმობრუნებული ჭიქები ყველგან მიმოეფანტათ, ნახევრად დაღეჭილი გოგრის თესლები ლეიბებს შორის ჩაცვენილიყო, თეფშებზე კი საჭმლის ნარჩენები მიმხმარიყო. მარიამმა დალაგება დაიწყო. უკვირდა, ასეთი ენერგიული მამაკაცები, ამავდროულად, ასეთი ზარმაცები როგორ იყვნენ.

რაშიდის ოთახში შესვლა არც უფიქრია, მაგრამ მისაღები ოთახი რომ დაალაგა, კიბეებზე, შემდეგ კი ზედა სართულის დერეფანში, ბოლოს კი მისი ოთახის კართან აღმოჩნდა. შიგნით რომ შევიდა, მიხვდა, ქმრის ოთახში პირველად იყო. მის საწოლზე იჯდა და თავს სხვის ტერიტორიაზე უნებართვოდ შეპარულივით გრძნობდა.

მძიმე, მწვანე ფარდას შეავლო თვალი. ერთი წყვილი გაპრიალებული ფეხსაცმელი კედელთან კოხტად ელაგა. კედლის კარადის კარს ნაცრისფერი საღებავი გადასცლოდა და მის ქვეშ ხის ფაქტურა მოჩანდა. საწოლის გვერდით მდგარ კომოდზე მარიამმა სიგარეტის შეკვრა შენიშნა. ერთი ღერი პირში ჩაიდო და კედელზე ჩამოკიდებულ ოვალურ სარკეში ჩაიხედა. პირიდან კვამლივით გამოშვებული ჰაერი სარკეს შეაბოლა, შემდეგ კი ვითომ დააფერფლა. სიგარეტი უკანვე ჩადო. ქაბულელი ქალების მოწევის მოხდენილ მანერას ვერასდროს მოირგებდა, არ უხდებოდა და სასაცილოდ გამოიყურებოდა.

დანაშაულის გრძნობის მიუხედავად, კომოდის ზედა უჯრა მაინც გამოაცურა.

პირველად თვალში იარაღი მოხვდა. შავი ფერის იყო, ხის ტარი და მოკლე ლულა ჰქონდა. ხელში აღებამდე მარიამი ჯერ დარწმუნდა, რომ მისი პირვანდელი მდებარეობა ზუსტად დაიმახსოვრა. იარაღი შეათამაშა. იმაზე მძიმე გამოდგა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა. ტარი ხელიდან უსხლტებოდა, ლულის ტუჩი ცივი იყო. მარიამი შეშფოთდა, რადგან რაშიდს რაღაც ისეთი ჰქონდა, რასაც სხვა ადამიანისთვის სიცოცხლის მოსწრაფება შეეძლო. თუმცა იგი იარაღს უთუოდ მათი, უფრო სწორედ — მისი უსაფრთხოების დასაცავად ინახავდა.

იარაღის ქვეშ რამდენიმე გვერდებაპრეხილი ჟურნალი შენიშნა. მარიამმა ერთ-ერთი მათგანი გადაშალა. უეცრად თითქოს რაღაც ჩასწყდა. ყბა თავისით ჩამოუვარდა.

ყველა გვერდზე ქალები, ლამაზი ქალები იყო გამოსახული. პერანგები, შარვლები, წინდები, საცვლები არ ეცვათ. სრულიად შიშვლები იყვნენ. მიყრილ-მოყრილი ზეწრების გროვებზე იწვნენ და მარიამს მინავლებული თვალებით შესცქეროდნენ. ფოტოების უმეტესობაში ქალებს ფეხები ერთმანეთისგან ჰქონდათ განცალკევებული და მარიამი მათ შორის არსებულ მუქ ადგილს სრულიად გარკვევით ხედავდა. ზოგან პირქვე იმგვარად იყვნენ დამხობილები, როგორც (ღმერთი ამის გაფიქრებასაც კი კრძალავდა) ლოცვის დროს საჯდას(საჯდა — მუხლმოყრა ნამაზის დროს.) შესრულებისას. მოწყენილები მხრებს მიღმა ზიზღით იყურებოდნენ.

გაბრუებულმა მარიამმა ჟურნალი სასწრაფოდ თავის ადგილას დააბრუნა. ვინ იყვნენ ეს ქალები? თავს ასეთი ფოტოების გადაღების უფლებას როგორ აძლევდნენ? ზიზღისგან გული ერეოდა. იმ ღამეების განმავლობაში, როდესაც რაშიდი მასთან არ შედიოდა, ამით იყო დაკავებული? ნუთუ მარიამი იმედს უცრუებდა? მაშინ რას ნიშნავდა მისი ქადაგება წესიერებისა და ღირსების შესახებ? რატომ კიცხავდა იმ ქალ კლიენტებს, რომლებიც ფეხსაცმლის მოსარგებად, ბოლოს და ბოლოს, მის წინაშე მხოლოდ ტერფებს იშიშვლებდნენ? ამბობდა, რომ ქალის სახე მხოლოდ მის ქმარს უნდა ენახა. ამ ფურცლებზე გამოსახულ ქალების ნაწილს აუცილებლად ეყოლებოდათ ქმრები, ძმები მაინც. მისგან რატომ მოითხოვდა სახის დაფარვას, თუკი თავად სხვა მამაკაცების ცოლებისა და დების ინტიმურ ადგილებს ათვალიერებდა?

შეცბუნებული და საგონებელში ჩავარდნილი მარიამი ქმრის საწოლზე ჩამოჯდა. სახეზე ხელები აიფარა და თვალები დახუჭა. ჰაერს მთელი ძალით ისუნთქავდა, სანამ ცოტა არ დამშვიდდა.

თანდათან ამ ყველაფერს ახსნა თავადვე მოუძებნა. ბოლოს და ბოლოს, რაშიდი კაცი იყო. მარიამზე დაქორწინებამდე, წლების

განმავლობაში მარტო ცხოვრობდა. მისგან განსხვავებული მოთხოვნილებები გააჩნდა. ამდენი თვის შემდეგაც, მათი სქესობრივი კავშირი კვლავაც მხოლოდ ტკივილთან შეგუება იყო. რაშიდს კი დაუოკებელი, ზოგ შემთხვევაში თითქმის ძალადობრივი მისწრაფებები ჰქონდა. გოგონას ბოჭავდა, მკერდზე ხელს მძლავრად უჭერდა, თეძოებს გაშმაგებით ამოძრავებდა. კაცი იყო და მთელი ამ წლების განმავლობაში ქალის გარეშე ცხოვრობდა. იმის გამო ხომ ვერ გაკიცხავდა, ღმერთმა ასეთი რომ შექმნა?

მარიამმა იცოდა, ქმართან ამ თემაზე დალაპარაკებას ვერასდროს გაბედავდა. ასეთი რამ არ ითქმოდა. მაგრამ იყო კი რაშიდის საქციელი უპატიებელი? უმალ სხვა მამაკაცი გაიხსენა თავისი ცხოვრებიდან. ჯალილმა, იმ დროისთვის სამი ქალის ქმარმა და ცხრა შვილის მამამ, ნანასთან ქორწინების გარეშე დაამყარა კავშირი. რა უფრო უხამსი იყო, რაშიდის ჟურნალები თუ ჯალილის საქციელი? და მაინც, სოფლელ ჰარამის ქმრის განსჯის უფლება ვინ მისცა?

მარიამმა კომოდის ბოლო უჯრაშიც ჩაიხედა.

სწორედ იქ აღმოაჩინა ბიჭის შავ-თეთრი ფოტო. იუნუსი იყო. ოთხი ან ხუთი წლის იქნებოდა. ზოლიანი პერანგი ეცვა და ჰალსტუხი ეკეთა. პატარა, ლამაზი ბიჭი იყო, ნატიფი ცხვირი, ყავისფერი თმა და მუქი ფერის, ოდნავ ჩაცვენილი თვალები ჰქონდა. შემცბარი ჩანდა, თითქოს კამერის სინათლის უეცარმა გაელვებამ თვალი მოსჭრაო.

მის ქვეშ მარიამმა კიდევ ერთი შავ-თეთრი ფოტო იპოვა, ოღონდ წინაზე ოდნავ უფრო გლუვი. ფოტოზე ქალი იჯდა, მის უკან კი გამხდარი, ახალგაზრდა, შავთმიანი რაშიდი იდგა. ქალი ლამაზი იყო. ალბათ, არც მთლად ჟურნალის ქალებივით ლამაზი, მაგრამ მაინც ლამაზი ეთქმოდა. ყოველ შემთხვევაში, მარიამს ნამდვილად სჯობდა. გრძელი, შავი თმა შუაზე გაეყო; დახვეწილი ნიკაპი, მაღალი ღაწვები და ნაზი შუბლი ჰქონდა. მარიამმა საკუთარი სახე, თხელი ტუჩები და გრძელი ნიკაპი წარმოიდგინა და გულში მაშინვე ეჭვიანობის ნაპერწკალმა გაჰკრა.

გოგონა ფოტოს დიდხანს აკვირდებოდა. ქალის მხრებზე რაშიდის ხელის მოხვევაში რაღაც ბუნდოვნად შემაშფოთებელი იგრძნობოდა.

კაცი თითქოს ცოლს ემუქრებოდა. უცნაური იყო რაშიდის მძაფრი, მომუწული ღიმილი და ქალის გაუღიმარი, პირქუში სახე. მისი სხეული წინ ნაზად იხრებოდა, თითქოს ქმრის ხელებიდან დასხლტომას ლამობდა.

მარიამმა ყველაფერს პირვანდელი ადგილი მიუჩინა.

მოგვიანებით, სარეცხის რეცხვისას, ქმრის ოთახში მალულად შეპარვა ინანა. ასე რატომ მოიქცა? რაშიდის შესახებ რა ჭეშმარიტება შეიტყო? ის, რომ იარაღი ჰქონდა, რომ კაცი იყო მამაკაცური მოთხოვნილებებით? ცოლ-ქმრის ფოტოსაც ამდენ ხანს არ უნდა დაშტერებოდა. მისმა თვალებმა წამიერად დაფიქსირებული სხეულის შემთხვევითი პოზის მნიშვნელობა ამოიკითხა.

დამძიმებული სარეცხის თოკი მარიამის წინ ზევით-ქვევით ხტუნავდა, ის კი ახლა მხოლოდ რაშიდზე დარდობდა. მასაც რთული ცხოვრება ჰქონდა გამოვლილი. ცხოვრება, რომელიც დანაკარგებითა და ბედის უკუღმართობით იყო აღსავსე. მარიამი ფიქრებით რაშიდის შვილს, იუნუსს დაუბრუნდა. მან ამ ეზოში ერთხელ თოვლის ბაბუა გააკეთა; ამ კიბეებზე დარბოდა ბაგაბუგით. იგი რაშიდს ტბამ გამოსტაცა ხელიდან. ისევე ჩაყლაპა, როგორც ყურანში გადაყლაპა ვეშაპმა ბიჭის სეხნია წინასწარმეტყველი. ამ ფიქრებმა მარიამს გული ატკინა; ძლიერი ტკივილი მიაყენა იმის წარმოდგენამ, როგორმა თავზარდამცემმა შიშმა და უმწეობის განცდამ მოიცვა მაშინ რაშიდი; როგორ დარბოდა წინ და უკან ტბის სანაპიროზე და ემუდარებოდა, რომ მისი შვილი ხმელეთზე გამოერიყა. და მაშინ თავის ქმართან სულიერი სიახლოვე პირველად იგრძნო. საკუთარ თავს შთააგონა, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ერთმანეთისთვის კარგი თანამგზავრები გახდებოდნენ.

13

ექიმისგან ავტობუსით შინ რომ ბრუნდებოდნენ, მარიამს ძალიან უცნაური რამ შეემთხვა. საითაც არ უნდა გაეხედა — უღიმღამო, ნაცრისფერი ბეტონის სახლებისკენ, თუნუქის სახურავიანი, ღია მაღაზიებისკენ, ტალახიანი წყლისკენ, რომელიც არხში მიედინებოდა, — ყველგან კაშკაშა ფერებს ხედავდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ცისარტყელა მის თვალებში ჩამდნარიყო.

რაშიდი ხელთათმანიან თითებს ათამაშებდა და რაღაც სიმღერას ღიღინებდა. ყოველ ჯერზე, როცა კი ავტობუსი გზაზე შემხვედრ ორმოსთან მკვეთრად ამუხრუჭებდა, კაცი მარიამს მაშინვე მუცელზე ხელს მზრუნველად წაავლებდა.

— ზალმაიზე რას ფიქრობ? — ჰკითხა რაშიდმა, — მშვენიერი პუშტუნური სახელია.

— გოგო რომ იყოს? — თქვა მარიამმა.

— ვფიქრობ, ბიჭია. დიახ, ბიჭი.

ავტობუსში ბუტბუტის ხმა გაისმა. ზოგი მგზავრი რაღაცაზე მიუთითებდა, სხვები კი მის დასანახად თავიანთი ადგილებიდან წინ იხრებოდნენ.

— შეხედე, — უთხრა რაშიდმა და თითი მინაზე მიაკაკუნა. თან იღიმოდა, — აი, იქ. ხედავ?

მარიამმა შენიშნა, რომ ქუჩაში მიმავალი ხალხი გზაზე ჩერდებოდა. შუქნიშანზე მგზავრებს სახეები მანქანების ფანჯრებზე ჰქონდათ მიბჯენილი და ციდან ჩამოცვენილ სინაზეს შეჰყურებდნენ. მარიამი მიზეზზე ფიქრობდა, რითი იყო სეზონის პირველი თოვლი ასეთი მომნუსხველი? რაღაც არამიწიერის, ჯერაც ხელუხლებლის ნახვის შესაძლებლობას რომ იძლეოდა? ან იქნებ ხიბლი ახალი სეზონის უცაბედ მიმზიდველობასა და სასიამოვნო დასაწყისთან მანამდე ზიარებაში იყო, სანამ მას შელახავდნენ და ფეხქვეშ გათელავდნენ?

— გოგო თუ იქნება, — თქვა რაშიდმა, — მე კი არ მგონია, მაგრამ თუ მაინც გოგო იქნება, მაშინ სახელი თავად შეურჩიე.

მეორე დილას მარიამი ხერხვისა და ჩაქუჩის ბრახუნის ხმამ გამოაღვიძა. შალი შემოიხვია და დათოვლილ ეზოში გავიდა. გასულ ღამეს

დაწყებული ძლიერი თოვა შემწყდარიყო. ახლა მხოლოდ ნათელი, ბზრიალა ფიფქები უღიტინებდა ლოყებზე. ქარი აღარ უბერავდა და მხრჩოლავი ნახშირის სუნი იგრძნობოდა. ქაბულში შემაძრწუნებელი სიჩუმე იდგა და აქა-იქ თეთრი კვამლის ხვეულები მიიკლაკნებოდა.

მარიამმა რაშიდი ხელსაწყოების ფარდულში იპოვა, ხის ფიცარზე ლურსმნებს აჭედებდა. გოგონა რომ შენიშნა, პირის კუთხეში მოქცეული ლურსმანი გამოიღო.

— შენთვის სიურპრიზის მოწყობა მინდოდა. საწოლი დასჭირდება. სანამ არ გავაკეთებდი, არ უნდა გენახა.

მარიამს რაშიდის ქცევა არ ესიამოვნა. ასე არ უნდა დაიმედებულიყო, თითქოს აუცილებლად ბიჭი შეეძინებოდათ. რამდენადაც თავისი ორსულობა აბედნიერებდა, იმდენად ქმრის მოლოდინი ტვირთად აწვებოდა. გუშინ რაშიდი სახლიდან გავიდა და შინ ბიჭის ზამშის საზამთრო პალტოთი დაბრუნდა. შიგნიდან ცხვრის ბეწვით იყო დათბილული, სახელოები კი ნაზი წითელი და ყვითელი აბრეშუმის ძაფით ჰქონდა მოქარგული.

რაშიდმა მაღალი, ვიწრო ფიცარი აიღო. მის შუაზე გადახერხვას შეუდგა და თან თქვა, კიბე მანერვიულებსო.

— მოგვიანებით, როცა წამოიზრდება და ხოხვას დაიწყებს, იმ კიბეს რაღაც უნდა მოვუხერხოთ.

ღუმლის გამოც დარდობდა, დანები და ჩანგლებიც მიუწვდომელ ადგილას უნდა გადაემალათ.

— საკმარის სიფრთხილეს ვერ გამოიჩენ. ბიჭები დაუდევარი ქმნილებები არიან.

მარიამმა სუსხისგან თავის დასაცავად შარფი შემოიხვია.

მეორე დილას რაშიდმა გამოუცხადა, ამ ამბის აღსანიშნად, მეგობრების დაპატიჟება მსურსო. მთელი დილა მარიამი ოსპს ასუფთავებდა და ბრინჯს ალბობდა. ბორანისთვის(ბორანი — კერძი, რომელიც მოხარშული ბოსტნეულითა და მაწვნით მზადდება.) ბადრიჯანი დაჭრა; აშაქისთვის(აშაქი — ავღანური კერძი, რომელიც მზადდება პრასის პელმენით, ტომატის საწებელში მოთუშული ხორცით,

ნივრითა და პიტნიანი მაწვნით. ) პრასი და დაქუცმაცებული ძროხის ხორცი მოამზადა; მიუხედავად იმისა, რომ თოვლი ისევ წამოვიდა, იატაკი დაგავა, ფარდები გაბერტყა, სახლი გაანიავა, მისაღებ ოთახში ლეიბები და ბალიშები მოაწესრიგა, მაგიდაზე კი თასით კანფეტები და მოხალული ნუში დადგა.

საღამოს, პირველი სტუმარი მამაკაცის მოსვლამდე, მარიამი უკვე თავის ოთახში იყო. როგორც კი ქვევიდან შეძახილების, სიცილისა და მასხრობის ხმამ ამოაღწია, გოგონა ლოგინში დაწვა. მუცელზე ხელის მოსმისგან თავს ვერ იკავებდა. იმ არსებაზე დაფიქრდა, რომელიც იქ იზრდებოდა და ბედნიერება მასში ისევე შემოიჭრა, როგორც ძლიერი ქარი ღია კარში. თვალები აუწყლიანდა.

მარიამს ჰერათიდან დასავლეთით, ირანის საზღვართან ახლოს, ქაბულის აღმოსავლეთ ნაწილამდე რაშიდთან ერთად ავტობუსით გამოვლილი ექვსას ორმოცდაათი კილომეტრი გაახსენდა. დიდი და პატარა ქალაქები, პატარა სოფლები ერთი-მეორის მიყოლებით ჩნდებოდნენ. გამოიარეს მთები და გადამწვარი უდაბნოები, მიემგზავრებოდნენ ერთი პროვინციიდან მეორეში. ახლა კი აქ, რიყის ქვებისა და გვალვისგან დამსკდარ გორაკებს მიღმა, საკუთარ სახლში ცხოვრობდა. ქმარი ჰყავდა, და ყველაზე მთავარი, საპასუხისმგებლო საქმისთვის — დედობისთვის ემზადებოდა. როგორი მომხიბლავი იყო ამ ბავშვზე, თავის შვილზე, მათ შვილზე ფიქრი. როგორი მნიშვნელოვანი იყო იმის ცოდნა, რომ მისმა სიყვარულმა დაჩრდილა ყველაფერი, რაც კი აქამდე განეცადა; რომ რიყის ქვებით თამაში მეტად აღარ დასჭირდებოდა.

ქვევით ვიღაცამ ჰარმონიუმი მომართა. ჩაქუჩის დარტყმისას ტაბლი(ტაბლი — ერთგვარი დოლი.) ჩხარუნის ხმას გამოსცემდა. ვიღაცამ ჩაახველა. მარიამს სტვენა, ტაშისკვრა, შეძახილები და სიმღერა შემოესმა.

გოგონამ მუცელზე ხელი ნაზად გადაისვა.

— ფრჩხილის ხელაა, — უთხრა ექიმმა.

დედა გავხდები, — ფიქრობდა თავისთვის.

— დედა გავხდები, — თქვა მარიამმა და სიცილი დაიწყო. ამ სიტყვებს დაუსრულებლად იმეორებდა და მისი სმენით ტკბებოდა.

როდესაც მარიამი თავის შვილზე ფიქრს იწყებდა, გული შიგნიდან უსივდებოდა. უსივდებოდა და უსივდებოდა, სანამ მისი ცხოვრების ყველა დანაკარგი, ყველა დარდი, მარტოობა და დამცირება გულიდან არ ამოერეცხა. ღმერთმა ხომ ამისთვის მოიყვანა ამ ადგილას, მთელი ქვეყანა სწორედ ამის გამო გამოატარა. ახლა ეს დანამდვილებით იცოდა. ყურანიდან მოლა ფაეზულას მიერ ნასწავლი ერთი მუხლი გაახსენდა: „ალაჰისაა აღმოსავლეთიც და დასავლეთიც, და საითაც მიბრუნდებით — მისი სახეა...“,(ყურანი, სურა II, აია 109 (115). ) იატაკზე სალოცავი ხალიჩა დააგო და ნამაზი შეასრულა. ბოლოს ხელებს თასის ფორმა მისცა, სახესთან მიიტანა და ღმერთს შესთხოვა, ასეთი ბედნიერება არასოდეს წაერთმია.

ჰამამში(ჰამამი — აბანო.) წასვლა რაშიდს მოაფიქრდა. მარიამი აბანოში ნამყოფი არ იყო, მაგრამ როგორც ქმარმა აუხსნა, არაფერი იყო იმაზე სასიამოვნო, ვიდრე იქიდან გამოსვლა და ცივი ჰაერის პირველი ჩასუნთქვა; იმის შეგრძნება, როგორ ამოდის სიმხურვალე კანის ზედაპირზე.

ქალების ჰამამში, მარიამის გარშემო, წყლის ჭავლთან ახლოს სხეულის სხვადასხვა ფორმა მოძრაობდა, აქეთ თეძოები გაიელვებდა, იქით კი — მხრის კონტური. ზურგებს იხეხავდნენ და თმას იქაფებდნენ, თან ახალგაზრდა გოგონების ჭყივილი, მოხუცებული ქალების ბუზღუნი და წყლის ნაკადის ხმა კედლებს შორის ექოდ გაისმოდა. მარიამი, შორეულ კუთხეში, თავისთვის დაჯდა და პემზის ქვით ქუსლების დამუშავება დაიწყო. მასსა და გამვლელ-გამომვლელებს შორის ორთქლის კედელი აღმართულიყო.

უეცრად სისხლი შენიშნა და კივილი დაიწყო.

სველ რიყის ქვებზე ფეხების ტყაპუნის ხმა გაისმა. ორთქლიდან სახეები დაჟინებით მისჩერებოდნენ, თან კაკანებდნენ.

იმავე ღამეს, მოგვიანებით, საწოლში ფარიბამ ქმარს უთხრა, რომ როდესაც კივილის ხმაზე გაიქცა, რაშიდის ცოლი კუთხეში მი-

ყუჟული, მუხლებზე ხელებშემოხვეული ნახა, ფეხებთან სისხლის გუბე ედგა.

— ჰაქიმ, ისე კანკალებდა, საწყალი გოგოს კბილების კაწკაწს გაიგებდი.

— მარიამმა რომ დამინახა, — მოყოლას განაგრძობდა ფარიბა, — თითქმის ყვირილით, მუდარის გამომხატველი ხმით მკითხა, — ეს ხომ ნორმალური მდგომარეობაა? ასე არ იცის? ხომ ჩვეულებრივი ამბავია?

რაშიდთან ერთად ავტობუსით მგზავრობა კიდევ ერთხელ მოუხდა. ისევ თოვდა. ამჯერად, ბარდნიდა და ფიფქები ტროტუარებსა და სახლის სახურავებზე ხვავდებოდა, აქოჩრილი ხეების ქერქზე გროვდებოდა. მარიამი უყურებდა, როგორ ასუფთავებდნენ თოვლისგან ვაჭრები თავიანთი მაღაზიების შესასვლელებს. ბიჭების ჯგუფი შავი ფერის ძაღლს უკან მისდევდა. ავტობუსს ხელს ხალისიანად უქნევდნენ. გოგონამ რაშიდს გახედა. თვალები დაეხუჭა, მაგრამ არ ხვრინავდა. მარიამი სკამის საზურგეს თავით მიეყრდნო და თვითონაც თვალები დახუჭა. ნატრობდა, რომ სველი წინდების, ტანზე შემოტმასნილი ნამიანი შალის სვიტრის გახდა შეძლებოდა და ერთი სული ჰქონდა, ამ ავტობუსიდან თავი დაეღწია.

შინ რომ დაბრუნდნენ, მარიამი დაწვა, რაშიდმა კი საბანი გადააფარა, თუმცა ეს ჟესტი რაღაცნაირად ცივად და ზედაპირულად გააკეთა.

— ეს რა პასუხი იყო? — კვლავ გაიმეორა რაშიდმა, — ასეთი რამ შეიძლება მოლამ თქვას. ექიმს ფულს იმიტომ უხდი, რომ იმაზე უკეთესი პასუხი მიიღო, ვიდრე „უფლის ნებით“ არის.

მარიამმა საბნის ქვეშ ფეხები მოხარა და ქმარს უთხრა, ცოტა დაისვენეო.

— უფლის ნებით, — არ ცხრებოდა კაცი. ოთახში იჯდა და მთელი დღე სიგარეტს ეწეოდა.

მარიამი საწოლში იწვა, ხელები მუხლებს შორის მოექცია. თოვლის ბარდნას, ფანჯრის გარეთ მოფარფატე და ჰაერში სწრაფად მობზრიალე ფიფქებს გაჰყურებდა. ნანას სიტყვები გაახსენდა. ერთხელ უთხრა, თითოეული ფიფქი ოხვრაა, რომელიც მსოფლიოს რომელიღაც კუთხე-

ში შეურაცხყოფილ და გულნატკენ ქალს აღმოხდაო. ყველა ეს ოხვრა, ცაში ატაცებული, ღრუბლებში გროვდება, შემდეგ პაწაწინა ნაწილაკებად იმსხვრევა და ადამიანებს თავზე უხმოდ აცვივაო.

— იმის შესახსენებლად, თუ როგორ იტანჯებიან ჩვენისთანა ქალები, — უთხრა დედამ, — როგორ უხმოდ იღებენ თავიანთ ხვედრს.

## 14

დარდი და მწუხარება მარიამს კვლავაც მოულოდნელად ესხმოდა თავს. ხელსაწყოების ფარდულში მოთავსებულ დაუმთავრებელ საწოლზე ან რაშიდის კარადაში შენახულ ზამშის პალტოზე ფიქრებს თავს ვერ აღწევდა. ბავშვი გამოცოცხლდა და მარიამს მისი დამშეული ბუზღუნი, ბუყბუყი და ლუღლუღი ესმოდა. მკერდთან მისი ცხვირის სრუტუნს გრძნობდა. დარდმა წალეკა, ყველაფერი გამოაცალა და თავდაყირა დაუყენა. გოგონას აოცებდა, როგორ აკარგვინებდა წონასწორობას იმ არსების მონატრება, რომელიც თვალითაც კი არ ენახა.

ამას მოჰყვა დღეები, როდესაც მარიამს სევდა არც ისე უმოწყალოდ ეჩვენებოდა. დღეები, როცა თავის ჩვეულ ცხოვრებასთან დაბრუნებაზე ფიქრი ისეთი დამქანცველი აღარ იყო. დიდი ძალისხმევა არ სჭირდებოდა, რომ საწოლიდან წამომდგარიყო, ლოცვა აღევლინა, სარეცხი გაერეცხა, რაშიდისთვის სადილი მოემზადებინა.

მარიამს გარეთ გასვლა აშინებდა. მოულოდნელად მეზობლის ქალებისა და მათი ბავშვების სიმრავლის შეშურდა. ზოგიერთს შვიდი ან რვა შვილი ჰყავდა და ვერც კი აცნობიერებდა, როგორ გაუმართლა; როგორი დალოცვილი იყო, მისი ბავშვები მის საშვილოსნოში რომ გაიზარდნენ, მის მკლავებში ცმუკავდნენ და მის მკერდს წოვდნენ; ბავშვები, რომლებიც რომელიღაც აბანოს საკა-

ნალიზაციო მილში, სისხლთან ერთად, საპნიანი წყლისა და უცნობი ადამიანების სხეულის ჭუჭყისთვის არ გაუტანებიათ. მარიამი ღიზიანდებოდა, როდესაც შემთხვევით ყურს მოკრავდა, როგორ წუწუნებდნენ მშობლები მათი უწესო ვაჟებისა და ზარმაცი ქალიშვილების გამო.

შინაგანი ხმა მის დამშვიდებას სწორად გათვლილი, მაგრამ ფუჭი ნუგეშისცემით ცდილობდა.

„სხვებიც გეყოლება, ინშაალლა(ინშაალლა — (არაბ.) რაც ალაჰს სურს, ალაჰის ნებით. გამოიყენება იმედის გამოთქმისას.). ახალგაზრდა ხარ. უსათუოდ, კიდევ არაერთი შესაძლებლობა მოგეცემა“.

მაგრამ მარიამის მწუხარება უმიზნო და განზოგადებული არ იყო. იგი თავის შვილზე, ამ კონკრეტულ ბავშვზე დარდობდა, რომელმაც სულ ცოტა ხნით, მაგრამ მაინც უსაზღვრო ბედნიერება მიანიჭა.

ხან ფიქრობდა, რომ შვილი მისთვის დაუმსახურებელი წყალობა იყო; რომ იგი ნანას წინაშე ჩადენილი დანაშაულის გამო ისჯებოდა. განა დედამისს თავი ყულფში თვითონ არ გააყოფინა? მოღალატე ქალიშვილები დედობას არ იმსახურებენ, და ამიტომაც დაისაჯა. იმპულსურ სიზმრებს ხედავდა, თითქოს ნანას ჯინი ღამით მის ოთახში მალულად იპარებოდა, თავის ბრჭყალებს მარიამის საშვილოსნოში აფათურებდა და ბავშვს პარავდა. მის სიზმრებში შურისძიების სურვილით შეპყრობილი ნანა სიამოვნებისგან ხორხოცებდა.

მარიამს ხან ბრაზი ახრჩობდა. ყველაფერს რაშიდის ნაადრევ ზეიმს, მაინცდამაინც ვაჟიშვილის დაბადებასთან დაკავშირებულ მის წინდაუხედავ ახირებას, სახელის წინასწარ შერჩევას აბრალებდა, ღვთის სურვილი გარდაუვალ რეალობად რომ მიიჩნია. აბანოშიც ხომ ქმრის სურვილით წავიდა. წყლის ჭავლმა, ჭუჭყიანმა წყალმა ან საპონმა, ან რაღაც სხვამ გამოიწვია ის, რაც შემდეგ მოხდა. არა. რაშიდი არა. დამნაშავე თავად იყო. საკუთარ თავზე მძვინვარებდა, რადგან ძილისთვის არასწორი პოზიცია ჰქონდა შერჩეული, ზედმეტად ცხარე საკვებს იღებდა, საკმარის ხილს არ ჭამდა და დასაშვებზე მეტ ჩაის სვამდა.

ღმერთს გამასხარავებაში ადანაშაულებდა, რადგან მისთვის ის ვერ გაიმეტა, რასაც სხვა უამრავი ქალისთვის არ იშურებდა. ფუჭი იმედი ჩაუსახა, შემდეგ კი უდიდესი ბედნიერება ხელიდან გამოსტაცა.

მაგრამ სხვების დადანაშაულება, მამხილებელი სიტყვები, რომელიც თავში მოსდიოდა, მარიამს შვებას ვერ ჰგვრიდა. ეს ხომ ქოფრი(ქოფრი — მკრეხელობა, ურწმუნობა.) იყო, ამ ფიქრებით მკრეხელობდა. ალაჰი ღვარძლიანი არ იყო, არასდროს წვრილმანდებოდა. გოგონას გონებაში მოლა ფაეზულას სიტყვები ჩაესმოდა: „კურთხეულია იგი, ვის ხელშიცაა მეუფება და იგია შემძლე ყოველივესი. რომელმაც შექმნა სიკვდილი და სიცოცხლე, რათა გამოეცადათ, რომელი თქვენგანი უმჯობესია საქმით...“(ყურანი, სურა ლXVII, აია 1(1)-2(2).)

ცოდვით დამძიმებული მარიამი მუხლს მოიყრიდა და თავისი ფიქრების გამო ღმერთს შენდობას სთხოვდა.

ამასობაში, აბანოს შემთხვევის შემდეგ, რაშიდი შეიცვალა. როდესაც ღამით შინ ბრუნდებოდა, თითქმის არ ლაპარაკობდა. ჭამდა, ეწეოდა და წვებოდა; ზოგჯერ მარიამთან შუაღამისას, ცოტა ხნით, საკმაოდ უხეში სქესობრივი აქტის შესასრულებლად თუ შევიდოდა. იმ დღეებში ისეთი გაღიზიანებული იყო, რომ სადილს მუდმივად უწუნებდა, ეზოში არეულობის ან სახლში მცირედი უწესრიგობის გამოც კი უკმაყოფილებას გამოთქვამდა. დროდადრო, პარასკეობით მარიამი ქალაქში ადრინდელივით მიჰყავდა, მაგრამ ახლა ტროტუარზე სწრაფად და მისგან რამდენიმე ნაბიჯით დაწინაურებული, უხმოდ მიდიოდა. მარიამი, რომელიც თითქმის სირბილით მისდევდა, საერთოდ არ ახსოვდა. სეირნობის ხალისი დაეკარგა. მარიამისთვის აღარც ტკბილეულსა და საჩუქრებს ყიდულობდა, არც შენობებთან ჩერდებოდა მათი დანიშნულების ასახსნელად. მისი შეკითხვები აღიზიანებდა.

ერთ ღამეს ორივე მისაღებ ოთახში ისხდნენ და რადიოს უსმენდნენ. ზამთარი მილეულიყო. ძლიერი ქარი, რომელიც თოვლის

ფიფქებს სახეს აწებებდა და თვალებს აწყლიანებდა, ჩადგა. თოვლის ვერცხლისფერი ქულები მაღალი თელის ხეების ტოტებზე დნებოდა და მათ ადგილას რამდენიმე კვირაში მსხვილი, ღია მწვანე ფერის კვირტები ამოიბურცებოდა. ჰამაჰანგის(აბდულ-აჰმად ჰამაჰანგი (1936-2012) — ცნობილი ავღანელი მომღერალი და მუსიკოსი.) სიმღერისას ტაბლის ცემას რაშიდი უგულისყუროდ აყოლებდა ფეხს.სიგარეტის კვამლის გამო თვალები მოეჭუტა.

— ჩემზე გაბრაზებული ხარ? — ჰკითხა მარიამმა.

რაშიდმა არ უპასუხა. სიმღერა დასრულდა და ახალი დაიწყო. ქალის ხმა გადმოსცემდა, რომ პრეზიდენტმა დაუდ ხანმა საბჭოთა კონსულტანტების კიდევ ერთი ჯგუფი, კრემლის მოსალოდნელი უკმაყოფილების მიუხედავად, მოსკოვში გააბრუნა.

— ვღელავ, რომ გაბრაზებული ხარ.

რაშიდმა ამოიოხრა.

— მართლა? — მზერა მარიამს მიაპყრო, — გაბრაზებული რატომ უნდა ვიყო?

— არ ვიცი, მაგრამ ბავშვის ამბის შემდეგ...

— იმ ყველაფრის შემდეგ, რაც შენთვის გავაკეთე, ასეთ კაცად მიმიჩნევ?

— არა. რა თქმა უნდა, არა.

— მაშინ თავს ნუღარ მაბეზრებ!

— მაპატიე. ბებახშ(ბებახშ — მაპატიე. ), რაშიდ. მაპატიე.

კაცმა სიგარეტი გასრისა და ახალს მოუკიდა. რადიოს ხმა აუწია.

— თუმცა მე ვფიქრობდი, — კვლავ წამოიწყო მარიამმა, თან ხმას აუწია, რომ რადიოს ხმა გადაეფარა.

რაშიდმა კიდევ ერთხელ ამოიოხრა. ამჯერად, მეტი გაღიზიანებით და რადიოს კიდევ ერთხელ ჩაუწია. შუბლი ზლაზვნით მოისრისა.

— კიდევ რა?

— ვფიქრობდი, რომ იქნებ შესაფერისი დაკრძალვა უნდა მოგვეწყო? ბავშვს ვგულისხმობ. მხოლოდ ჩვენ, რამდენიმე ლოცვა, სხვა არაფერი.

მარიამი ამაზე ცოტა ხანს დაფიქრდა. არ სურდა თავისი შვილის დავიწყება. ფიქრობდა, რომ ეს დანაკარგი რაღაც მუდმივი ნიშნით რომ არ აღბეჭდეს, არასწორი იყო.

— რისთვის? რა სისულელეა.

— ვფიქრობ, ამის შემდეგ თავს უკეთ ვიგრძნობ.

— მაშინ შენ თვითონ გააკეთე, — უკმეხად უპასუხა რაშიდმა, — მე ერთი ვაჟი უკვე დავმარხე. მეორეს დაკრძალვა აღარ მინდა. ახლა კი, თუ წინააღმდეგი არ ხარ, მინდა, რომ მოვისმინო.

რადიოს კიდევ ერთხელ აუწია, თავი უკან გადახარა და თვალები დახუჭა.

იმავე კვირაში, ერთ მზიან დილას, მარიამმა ეზოში ადგილი შეარჩია და ორმო ამოთხარა.

— ალაჰის სახელით და ალაჰთან ერთად, და ალაჰის წინასწარმეტყველის სახელით, რომელზეც ალაჰის მადლი და სიმშვიდე გადავა, — ჩურჩულით წარმოთქვა და ნიჩაბი მიწას შეახო. რაშიდის ნაყიდი ზამშის პალტო ორმოში ჩადო და მიწა მიაყარა.

— შენ ღამეს დღედ აქცევ და დღეს ღამედ, შენ სიკვდილისგან დასაბამს აძლევ სიცოცხლეს და სიკვდილს სიცოცხლისგან, და ვისაც გსურს, მათ აძლევ განუსაზღვრელ საზრდოს.

ნიჩბის ზურგით მიწა მოასწორა. მიწაყრილთან ჩაიცუცქა და თვალები დახუჭა.

მომეცი საზრდო, ალაჰ.

მომეცი მე საზრდო.

## 15

1978 წლის აპრილი

1978 წლის 17 აპრილს, იმ წელს, როდესაც მარიამი ცხრამეტი წლის გახდა, მირ აქბარ ხაიბარი(მირ აქბარ ხაიბარი (1925-1978) — ავღანელი ინტელექტუალი და ავღანეთის სახალხო-დემოკრატიუ-

ლი პარტიის — „ფარჩამის“ ფრაქციის ლიდერი.) მოკლული იპოვეს. ორი დღის შემდეგ ქაბულში ხალხმრავალი დემონსტრაცია მოეწყო. სამეზობლო ყველა ქუჩაში იყო გამოფენილი და ყველა ამაზე საუბრობდა. მარიამი ფანჯრიდან ადევნებდა თვალს, მეზობლები როგორ მოძრაობდნენ, აღელვებულები საუბრობდნენ, პორტატული რადიომიმღებები ყურებზე ჰქონდათ მიბჯენილი; იქვე შენიშნა ფარიბა, რომელიც, თავისი სახლის კედელს მიყრდნობილი, დეჰ მაზანგში ახლად გადმოსულ ქალს ელაპარაკებოდა. ფარიბა იღიმოდა, ხელის გულები გამობურცულ მუცელზე დაეწყო. მეორე ქალი, რომლის სახელიც მარიამმა ვერ გაიხსენა, ფარიბაზე ასაკით უფროსს ჰგავდა, მის თმას უჩვეულო მეწამული ელფერი დაჰკრავდა. პატარა ბიჭის ხელი ეჭირა. მარიამმა იცოდა, რომ ბიჭს თარიყი ერქვა, რადგან გაიგონა, როგორ დაუძახა ქალმა ბავშვს ქუჩაში.

მარიამი და რაშიდი მეზობლებთან არ გასულან. რადიოში ისმენდნენ, რომ დაახლოებით ათი ათასი კაცი ქუჩებს მიასკდა და ქაბულის სამთავრობო უბანში მსვლელობა მოაწყო. რაშიდმა თქვა, მირ აქბარ ხაიბარი სახელგანთქმული კომუნისტი იყო, და მისი მხარდამჭერები ხაიბარის მკვლელობაში პრეზიდენტ დაუდ ხანის მთავრობას ადანაშაულებენო. ეს ისე ჩაილაპარაკა, რომ მარიამისთვის ზედაც არ შეუხედავს. ბოლო დღეების განმავლობაში გამუდმებით ასე იქცეოდა, ამიტომ მარიამი დარწმუნებული არც იყო, ეს ყველაფერი მას უთხრა, თუ არა.

— კომუნისტი რას ნიშნავს? — იკითხა გოგონამ.

რაშიდმა დაიფრუტუნა და ორივე წარბი აქაჩა:

— არ იცი, კომუნისტი რას ნიშნავს? ასეთი მარტივი რამ... ეს ხომ ყველამ იცის! საყოველთაოდ ცნობილია. შენ არ... ვაჰ. არც კი ვიცი, რატომ მიკვირს. — შემდეგ ფეხები მაგიდაზე გადაიჯვარედინა და ჩაიბუტბუტა, — კომუნისტი ის არის, ვისაც კარლ მარქსის სჯერა.

— კარლ მარქსი ვინ არის?

რაშიდმა ამოიოხრა.

რადიოში ქალის ხმა გადმოსცემდა, რომ თარაქი, ავღანეთის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ფრაქცია „ხალყის“, ავღანეთის კომუნისტური პარტიის ლიდერი ქუჩაში გამოჩნდა და დემონსტრანტებს ემოციური სიტყვებით მიმართავდა.

— იმას ვგულისხობდი, რომ მაინტერესებს, რა უნდათ? — იკითხა მარიამმა, — ამ კომუნისტებს, რისი სჯერათ?

რაშიდმა ჩაიხითხითა და თავი გაიქნია. გოგონამ მისი ხელების გადაჯვარედინებაში, თვალების ტრიალში დაუნდობლობა დაინახა. — შენ არაფერი იცი, ხომ ასეა? ბავშვივით ხარ. თავი ცარიელი გაქვს. მასში არანაირი ინფორმაცია არ არის.

— იმიტომ ვიკითხე, რომ...

— ჩოფ ქო!(ჩოფ ქო — მოკეტე, გაჩუმდი.)

მარიამი ასეც მოიქცა.

ადვილი არ იყო ქმრის ასეთ საუბრის მანერასთან შეგუება; უპატივცემულოდ მოპყრობის, აბუჩად აგდების, შეურაცხყოფის ატანა, ქმრის თვალში მხოლოდ შინაური კატის როლში ყოფნა. ოთხწლიანმა თანაცხოვრებამ მარიამს ნათლად დაანახა, რომ შეშინებულ ქალს ბევრი რამის მოთმენა შეეძლო. მას კი ეშინოდა. იგი ქმრის ცვალებადი ხასიათის, ფიცხი ტემპერამენტის შიშით ცხოვრობდა. მუდმივად საჩხუბრად მომართული რაშიდი, ხშირ შემთხვევაში, მუშტის ან გაშლილი ხელის გულის, წიხლის დარტყმისგანაც კი არ იხევდა უკან. ყოველთვის არა, თუმცა ზოგჯერ, დანაშაულის ბილწი გზით გამოსყიდვას ცდილობდა.

აბანოში მომხდარი შემთხვევიდან ოთხი წლის განმავლობაში მარიამს იმედი ექვსჯერ გაუჩნდა და გადაეწურა. და ყოველი მომდევნო დანაკარგის, კრახის, ექიმთან ვიზიტის შემდეგ, გოგონას სულ უფრო ურთულდებოდა ცხოვრება. ახალი იმედგაცრუების შემდეგ, რაშიდი ცოლს სულ უფრო შორდებოდა და გულისწყრომით ივსებოდა. მარიამის გაკეთებული, ყველაფერი აღიზიანებდა. გოგონა სახლს ალაგებდა, მისი სუფთა პერანგები მუდამ მომარაგებული ჰქონდა, ქმრის საყვარელ კერძებს ამზადებდა. ერთხელ, საბედის-

წეროდ, კოსმეტიკაც კი შეიძინა და მისი გულის მოსაგებად მაკიაჟი გაიკეთა. მაგრამ, როდესაც რაშიდი შინ დაბრუნდა, მხოლოდ თვალი შეავლო და ზიზღისგან სახე ისე შეეცვალა, რომ მარიამი მაშინვე აბაზანაში გაიქცა და მაკიაჟი ჩამოიბანა. სირცხვილის ცრემლები საპნიან წყალს, ფერუმარილსა და წამწამების საღებავს ერეოდა.

როგორც კი რაშიდი საღამოს შინ დაბრუნდებოდა, მარიამს მაშინვე ძრწოლა იტანდა. გასაღების ჩხარუნის, კარის ჭრიალის გაგონებაზე, გული ბაგაბუგს უწყებდა. საწოლიდან აყურადებდა მისი ქუსლების კაკუნს, ფეხის ნაბიჯებს, ყრუდ რომ ისმოდა, მას შემდეგ, რაც ქმარი ფეხზე გაიხდიდა. სმენადქცეული, მის ქმედებებს აღნუსხავდა: იატაკზე სკამი გააჩოჩა, სკამზე ჩამოჯდა და ლერწმის დასაჯდომი შესაბრალისად აჭრიალდა, კოვზთან შეხებისას თეფშმა გაიწკარუნა, გაზეთის ფურცლები შარიშურით გადაშალა, წყალი შეხვრიპა. მარიამს გული გამალებით უცემდა და თავისთვის ფიქრობდა, ნეტავ, ამაღამ რა საბაბს მოძებნის, თავს რომ დამესხასო. გაშმაგებისთვის, რაშიდი ყოველთვის პოულობდა რაღაც უმნიშვნელო მიზეზს. მის საამებლად, მარიამს რაც არ უნდა გაეკეთებინა, როგორ გულდასმითაც არ უნდა მოკიდებოდა ქმრის სურვილებსა და მოთხოვნებს, რაშიდი მაინც უკმაყოფილო რჩებოდა. ვაჟიშვილს ვერ დაუბრუნებდა. მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხში მარიამმაშვიდჯერ გაუცრუა იმედი და ახლა ქმარს მხოლოდ ტვირთად აწვა. ამას გოგონა ქმრის მზერაში ხედავდა, რა თქმა უნდა მაშინ, თუკი საერთოდ შეხედავდა. რაშიდისთვის იგი მხოლოდ ტვირთი იყო.

— ახლა რა მოხდება? — ჰკითხა მარიამმა ქმარს.

რაშიდმა ალმაცერად გახედა. რაღაც ოხვრის თუ კვნესის მსგავსი ხმა გამოსცა, ფეხები მაგიდიდან ჩამოაწყო, რადიო გამორთო და ზედა სართულზე, თავის ოთახში აიტანა. კარი მოიხურა.

27 აპრილს მარიამის კითხვას გრუხუნითა და ძლიერი, უეცარი ღრიალით უპასუხეს. გოგონამ ფეხშიშველმა ჩაირბინა მისაღებ ოთახში. რაშიდი უკვე ფანჯარასთან იდგა. პერანგის ქვეშ ჩასაცმელი მაისური ეცვა, თმა აბურძგნოდა და ხელისგულები მინისთვის მიებჯინა. მა-

რიამიც ფანჯარასთან მივიდა. ქმრის თავს ზემოთ სამხედრო თვითმფრინავები შენიშნა ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის მიმართულებით წუილით დაფრინავდნენ. მათი გამაყრუებელი ხმა ყურებს სტკენდა. მოშორებით, ხმამაღალი გუგუნი ისმოდა და კვამლის უეცარი ღრუბელი ცაში იჭრებოდა.

— რაშიდ, რა ხდება? — აღმოხდა გოგონას, — ეს ყველაფერი რას ნიშნავს?

— ღმერთმა უწყის, — ჩაიბუტბუტა კაცმა. რადიო მოსინჯა, მაგრამ ის დუმდა.

— რას ვიზამთ?

მოთმინებადაკარგულმა ქმარმა უპასუხა:

— დავიცდით.

იმავე დღეს, მოგვიანებით, რაშიდმა კიდევ ერთხელ სცადა რადიოს ჩართვა. მარიამი სამზარეულოში ბრინჯს ისპანახის სოუსით ამზადებდა. მას ჯერ კიდევ ახსოვდა ის დრო, როდესაც ქმრისთვის სიამოვნებით მზარეულობდა. ახლა კი მხოლოდ მოზღვავებული მღელვარების დასაცხრობად ფუსფუსებდა. რაშიდისთვის ყორმა მუდამ მარილიანი და უგემური, ბრინჯი — ცხიმიანი ან გამომშრალი, პური კი — ჩაცომებული ან ზედმეტად ხრაშუნა იყო. რაშიდის შარიანობის გამო მარიამს საკუთარ მზარეულობაში ეჭვი ეპარებოდა.

ქმარს თეფში რომ მიუტანა, რადიოდან ეროვნული ჰიმნი ისმოდა.

— საბზი გავაკეთე, — უთხრა მარიამმა.

— დადგი და გაჩუმდი.

მუსიკის შემდეგ რადიოში მამაკაცის ხმა გაისმა. თავი საჰაერო ძალების პოლკოვნიკ აბდულ ყადერად წარადგინა. გამოაცხადა, დღეს დილით აჯანყებულმა მეოთხე ჯავშნოსანმა დივიზიამ აეროპორტი და ქალაქის მნიშვნელოვანი ობიექტები დაიკავაო. ქაბულის რადიოსადგური, კომუნიკაციების, შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა სამინისტროების შენობებიც ხელში ჩაეგდოთ. სიამაყით განაცხადა, რომ ახლა ქაბული ხალხის ხელში იყო. „მიგის“ ტიპის

ავიაგამანადგურებლებმა იერიში პრეზიდენტის სასახლეზე მიიტანეს. ტანკები მის კუთვნილ ტერიტორიაზე შეიჭრნენ და სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. აბდულ ყადერმა იმედისმომცემი ხმით განაცხადა, დაუდის ერთგული ძალები დამარცხებული არიანო.

რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც დაუდ ხანის რეჟიმის თანამოაზრეები კომუნისტებმა სასწრაფოდ სიკვდილით დასაჯეს, და ქაბულში ხმები გავრცელდა, რომ ფოლ-ე-ჩარხის ციხეში თვალებს სთხრიდნენ და გენიტალიებს ელექტროდენით აცლიდნენ, მარიამმა პრეზიდენტის სასახლეში დატრიალებული მასობრივი ხოცვა-ჟლეტის შესახებ შეიტყო. დაუდ ხანი მოკლეს, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც აჯანყებულმა კომუნისტებმა მისი ოჯახის ოცამდე წევრი, ქალები და ბავშვებიც დახოცეს. ხმები ვრცელდებოდა, თითქოს ხანმა თავი მოიკლა, გააფთრებული ბრძოლის დროს ესროლეს; ზოგი კი ამბობდა, ბოლო წუთამდე ცოცხალი იყო; აიძულეს, საკუთარი ოჯახის ამოჟლეტა ენახა, შემდეგ კი დახვრიტესო.

რაშიდმა ხმას აუწია და რადიოსკენ დაიხარა.

— შეიქმნა შეიარაღებული ძალების რევოლუციური კომიტეტი, და დღეიდან ჩვენს ვათანს(ვათანი — სამშობლო.) ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკა ერქმევა. — თქვა აბდულ ყადერმა. — ჰამვათანებო(ჰამვათანი — თანამემამულე.), არისტოკრატიის, ნეპოტიზმისა და უთანასწორობის ერა დასრულდა, ტირანიას ბოლო მოვუღეთ. ძალაუფლება ახლა მასებისა და თავისუფლებისმოყვარე ხალხის ხელშია. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში დიდებული ხანა იწყება. ახალი ავღანეთი დაიბადა. თანამემამულე ავღანელებო, ნურაფრის გეშინიათ. ახლად დამყარებული რეჟიმი მაქსიმალურად პატივისცემით მოეპყრობა როგორც ისლამურ, ისე დემოკრატიულ პრინციპებს. ზეიმისა და დღესასწაულობის ჟამი დადგა.

რაშიდმა რადიო გამორთო.

— ეს ცუდია თუ კარგი? — იკითხა მარიამმა.

— როგორც ჩანს, ცუდია მდიდრებისთვის, — თქვა რაშიდმა, — თუმცა, შესაძლოა, ჩვენთვის არც ისე ცუდი იყოს.

მარიამი ჯალილზე ფიქრებმა წაიღო. კომუნისტები ჯალილს თუ შეიპყრობდნენ, მაშინ რა მოხდებოდა? ციხეში ჩასვამდნენ? მის შვილებსაც დააპატიმრებდნენ? საქმესა და ქონებას წაართმევდნენ?

— თბილია? — იკითხა რაშიდმა და თვალით ბრინჯზე მიანიშნა.

— ქვაბიდან ეს-ეს არის გადმოვიღე.

კაცმა ჩაიბუტბუტა და მარიამს უთხრა, მისთვის თეფში მიეწოდებინა.

როდესაც ღამით ქუჩაში უეცრად წითელ-ყვითელმა სინათლემ გაიელვა, ღონემიხდილი ფარიბა იდაყვებს დაყრდნობოდა. ოფლში ამოსვრილი თმა აბურდვოდა, ზედა ტუჩი კი დაცვარული ჰქონდა. ხანდაზმული ბებიაქალი ვაჯმა უყურებდა, როგორ ევლებოდნენ გარს ჩვილს ფარიბას ქმარი და შვილები, რომლებიც აღტაცებაში მოჰყავდა ბავშვის ღია ფერის თმას, ვარდისფერ ლოყებს, დანაოჭებულ, ვარდის კოკორივით ტუჩებსა და მოყვითალო-მომწვანო თვალებს, შეშუპებული ქუთუთოების ქვეშ რომ ამოძრავებდა. ერთმანეთს გაუღიმეს, როდესაც პირველად გაიგონეს ბავშვის ხმა; ტირილი, რომელიც ჯერ კატის კნავილს წააგავდა, თანდათან ჯანსაღ, ხორხისმიერ კივილად გადაიქცა. ნურმა თქვა, ბავშვს თვალები ძვირფას ქვებს მიუგავსო. აჰმადმა, რომელიც ოჯახში ყველაზე რელიგიული იყო, თავის პაწაწინა დას აზანი უმღერა და სახეში სამჯერ შეუბერა.

— ესე იგი, ლაილა? — იკითხა ჰაქიმმა და ქალიშვილი ხელში შეათამაშა.

— დიახ, ლაილა, — თქვა ფარიბამ და დაღლილმა გაიღიმა, — ღამის მშვენება. ჩინებულია!

რაშიდმა თითებით ბრინჯის გუნდა გააკეთა. პირში ჩაიდო, სანამ სახე დაემანჭებოდა და სუფრაზე გადმოაფურთხებდა, ჯერ ერთხელ გაღეჭა, შემდეგ კიდევ ორჯერ.

— რა მოხდა? — ჰკითხა მარიმმა მობოდიშების ტონით, რომელიც ასე ძალიან აღიზიანებდა. გრძნობდა, რომ გულისცემა აუჩქარდა, კანი დაეჭიმა.

— რა მოხდა? — გამოაჯავრა და მასსავით ამოიზლუქუნა რაშიდმა, — რა მოხდა და ის, რომ კვლავაც იგივე გაიმეორე.

— მაგრამ მე ხომ ხუთი წუთით დიდხანს ვხარშე, ვიდრე ჩვეულებრივ.

— ურცხვად იტყუები.

— გეფიცები...

გაბრაზებულმა ბრინჯი თითებიდან დაიბერტყა და თეფშს ხელი ჰკრა, სოუსი და ბრინჯი სუფრაზე გადმოიყარა. რაშიდი ჯერ მისაღები ოთახიდან, შემდეგ კი, კარის ჯახუნით, სახლიდანაც გავარდა.

მარიამმა მუხლი მოიყარა. ცდილობდა, ბრინჯის მარცვლები ისევ თეფშზე მოეგროვებინა, მაგრამ ხელები მეტისმეტად უკანკალებდა. დაიცადა, სანამ დამშვიდდებოდა. ძლიერი შიშისგან მკერდი შეეკუმშა. სცადა, რამდენჯერმე ღრმად ჩაესუნთქა. საკუთარ გაფითრებულ გამოსახულებას თვალი ჩაბნელებული მისაღები ოთახის ფანჯარაში მოჰკრა და მყისვე მზერა მოარიდა.

შემდეგ გაიგონა, როგორ გაიღო ჭიშკარი და რაშიდი მისაღებში დაბრუნდა.

— ადექი, — უთხრა მან, — აქ მოდი! ადექი-მეთქი!

მარიამს ხელი წაავლო, მუჭი გაუხსნა და კენჭებით გაუვსო.

— პირში ჩაიყარე.

— რა?

— ჩაიყარე! ყველა! პირში.

— შეწყვიტე, რაშიდ! მე...

თავისი ღონიერ ხელები რაშიდმა გოგონას ყბებში წაავლო. ორი თითი პირში ჩაუყო და ძალით გააღებინა. შემდეგ კი, ცივი, მაგარი კენჭები იძულებით ჩასჩარა. მარიამი წინააღმდეგობას უწევდა, თან ლუღლუღებდა, მაგრამ რაშიდი თავისას არ იშლიდა. ზედა ტუჩი დამცინავად დამანჭვოდა.

— ახლა დაღეჭე! — უთხრა მან.

მიუხედავად იმისა, რომ პირი ქვიშითა და კენჭებით ჰქონდა სავსე, მარიამი ლუღლუღით შეწყალებას ითხოვდა. თვალის კუთხეებიდან ცრემლები მოჟონავდა.

— ახლავე დაღეჭე! — ღრიალებდა რაშიდი. მისი კვამლიანი ამონასუნთქი მარიამს სახეში ეხლებოდა.

მარიამმა დაღეჭა. პირის უკანა მხარეს რაღაცამ გაიტკაცუნა.

— ძალიან კარგი! — თქვა რაშიდმა. ლოყები უცახცახებდა, — ახლა უკვე იცი, რა გემო აქვს შენს ბრინჯს. ახლა ხვდები, რაც მივიღე შენგან ამ ქორწინებით. ცუდი საჭმელი, და სხვა არაფერი!

ეს თქვა და წავიდა. მარიამი დატოვა, რომ პირიდან კენჭები, სისხლი და ორი საღეჭი კბილის ნამსხვრევები გადმოეფურთხებინა.

## მეორე ნაწილი

## 16

ქაბული, 1987 წლის გაზაფხული

როგორც ყოველ დილას, ცხრა წლის ლაილას ახლაც თავისი მეგობრის, თარიყის მონატრებით გამოეღვიძა. იმ დილას უკვე იცოდა, რომ მეგობარს ვერ ნახავდა.

— რამდენი ხნით მიდიხარ? — ჰკითხა თარიყს, როდესაც ბიჭმა უთხრა, რომ მშობლებს სამხრეთით, ქალაქ ღაზნიში, მამამისის ძმის მოსანახულებლად მიჰყავდათ.

— ცამეტი დღე.

— ცამეტი დღე?

— არც ისე დიდი დროა. ტყუილად იმანჭები, ლაილა.

— არ ვიმანჭები.

— ტირილს ხომ არ აპირებ?

— სულაც არა! მით უმეტეს შენი თანდასწრებით. არასდროს.

გოგონამ თარიყს წვივში წიხლი ჩასცხო, პროთეზში კი არა, ნამდვილი ფეხის წვივში. ბიჭმა კი ხუმრობით კეფაში წამოარტყა.

ცამეტი დღე. თითქმის ორი კვირა. უკვე ხუთი დღე გასულიყო მას შემდეგ, რაც ლაილამ დროის ჭეშმარიტი არსი შეიცნო: იმ აკორდეონის მსგავსად, რომელზეც თარიყის მამა ზოგჯერ ძველ პუშტურ სიმღერებს უკრავდა, ლაილასთვის დროც იმისდა მიხედვით იწელებოდა ან სწრაფად გარბოდა, თარიყი გვერდით ჰყავდა თუ არა.

ქვევით ლაილას მშობლები ისევ ჩხუბობდნენ. გოგონამ მოვლენების განვითარების დადგენილი მიმდევრობა უკვე ზეპირად იცოდა: დედა — მრისხანე, დაუმორჩილებელი — ბოლთას სცემდა და აღშფოთებული ლაპარაკობდა; დარცხვენილი და გაოგნებული ბაბი(ბაბი — მამა.) კი იჯდა, თავს მორჩილად უქნევდა და ქარიშხლის გადავლას ელოდა. ლაილამ ოთახის კარი მიიხურა და ტანსაცმელი გამოიცვალა. მშობლების ხმა მის ყურთასმენას მაინც სწვდებოდა. დედამისის ჩხუბი ისევ ესმოდა. ბოლოს კარის ჯახუნი გაიგონა; ამას ფეხების ბრაგაბრუგი მოჰყვა. დედას საწოლი ხმამაღლა გაჭრიალდა. ბაბი, როგორც ჩანს, ცოცხალი გადარჩა.

— ლაილა! — დაუძახა კაცმა, — სამსახურში მაგვიანდება.

— ერთი წუთით!

გოგონამ ფეხსაცმელი ჩაიცვა და მხრებამდე ჩამოზრდილი ქერა კულულები სარკეში სწრაფად გადაივარცხნა. დედა ლაილას ყოველთვის ეუბნებოდა, რომ თმის ფერი, ისევე როგორც ხშირი წამწამები, ფირუზისფერი თვალები, ფოსოებიანი ლოყები, მაღალი ღაწვები და გამობერილი ქვედა ტუჩი მემკვიდრეობით მისგან გადმოეცა, დედამ კი ბებიისაგან მიიღო. როგორც ფარიბა ამბობდა, ბებიამისი ნამდვილი ანგელოზი იყო, კალმით ნახატი, სილამაზით მთელ ხეობაში ჰქონდა სახელი გავარდნილი. „ბებიას მემკვიდრეობამ ჩვენს ოჯახში ორი თაობის ქალები გამოტოვა, მაგრამ შენთვის ნამდვილად არ აუვლია გვერდი, ლაილა“. ხეობა, რომელზეც დედა საუბრობდა, ფანჯშირში მდებარეობდა. ეს იყო ქაბულის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ასი კილომეტრის მოშორებით მდებარე ტაჯიკური რეგიონი, სპარსულენოვანი მოსახლე-

ობით. დედაც და მამაც, რომლებიც ბიძაშვილები იყვნენ, ფანჯშირში დაიბადნენ და გაიზარდნენ. იმედით აღსავსე, თვალებგაბრწყინებული ახალდაქორწინებულები კი ქაბულში 1960 წელს ჩავიდნენ, მაშინ, როდესაც ბაბი ქაბულის უნივერსიტეტში მიიღეს.

იმის იმედით, რომ მომდევნო რაუნდის ჩასატარებლად დედა ოთახიდან ჯერ არ გამოვიდოდა, ლაილამ კიბეზე ფაცაფუცით ჩამოირბინა. ბაბის შირმასთან ჩაემუხლა.

— ლაილა, ეს ნახე?

შირმა ორი კვირის წინ გარღვეულიყო. ლაილა მისკენ დაიხარა, — არა, ახალი უნდა იყოს.

— ფარიბას ამას არ ვეუბნებოდი?! — ბაბი აღელვებული და მობუზული ჩანდა. დედასთან ჩხუბის შემდეგ ყოველთვის ასე იყო, — ამბობს, ფუტკრებს ვერ აკავებსო.

ლაილას მთელი გულით უყვარდა მამა. ბაბი ტანდაბალი კაცი იყო, ვიწრო მხრები და წვრილი, ნატიფი ხელები ქალისას მიუგავდა. ღამით, როდესაც ლაილა ბაბის ოთახში შედიოდა, კაცს თავისი ნაღვლიანი პროფილი მუდამ წიგნში ჰქონდა ჩარგული. სათვალე ცხვირის წვერზე მოერგო. ზოგჯერ გოგონას იქ ყოფნას ვერც კი ამჩნევდა. თუ შენიშნავდა, წიგნში გვერდს მოინიშნავდა, შემდეგ კი თავშეკავებით, გულღიად გაუღიმებდა. ბაბიმ რუმისა და ჰაფეზის ყაზალები(ყაზალი — არაბულ-სპარსული სალექსო ფორმა, ლირიკული ლექსი.) ზეპირად იცოდა. შეეძლო, დაწვრილებით ესაუბრა ბრიტანეთსა და რუსეთის იმპერიას შორის ავღანეთის დასაკავებლად გაჩაღებულ ომზე; იცოდა განსხვავება სტალაქტიტსა და სტალაგმიტს შორის, და იმის თქმაც შეეძლო, რომ დედამიწასა და მზეს შორის მანძილი ქაბულსა და ღაზნის შორის მანძილს მილიონნახევარჯერ აღემატებოდა. მაგრამ თუკი ლაილას ტკბილეულის ქილის გახსნა დასჭირდებოდა, დედისთვის უნდა ეთხოვა. ამით კი თითქოს მამას ღალატობდა. ბაბის უბრალო ხელსაწყოებიც კი თავგზას უბნევდა. მისი მეთვალყურეობით ჭრიალა კარის ანჯამაც კი არასდროს შეუზეთავთ; ბაბის შეკეთებული ჭერიდან წყალი ისევ ჟონავდა; სამზა-

რეულოს კარადებში ობის სოკო უტიფრად იზრდებოდა. დედა ამბობდა, რომ სანამ აჰმადი, ნურთან ერთად, 1980 წელს საბჭოელების წინააღმდეგ საბრძოლველად ჯიჰადს შეუერთდებოდა, მთელ საშინაო საქმეებს სწორედ იგი, თან პირნათლად და სრული პასუხისმგებლობით წარმართავდა.

— მაგრამ თუკი წიგნი გულდასმით გაქვს წასაკითხი, — ამბობდა ფარიბა, — ჰაქიმზე უკეთესს ვერავის იპოვი.

ამისდა მიუხედავად, ლაილა თავიდან ვერ იშორებდა შეგრძნებას, რომ ოდესღაც, სანამ აჰმადი და ნური საბჭოელების წინააღმდეგ ბრძოლას გადაწყვეტდნენ, მამა კი მათ ომში წასვლას დაუშვებდა, ბაბის წიგნიერებით დედა თავადაც აღფრთოვანებული იყო; ერთ დროს ქალი ქმრის გულმავიწყობასა და მოუხერხებლობას მომხიბვლელადაც კი მიიჩნევდა.

— აბა, დღეს რა ხდება? — ჰკითხა ბაბიმ, თან მორცხვად იღიმოდა. — მეხუთე დღეა? თუ მეექვსე?

— რაში მაინტერესებს? დღეებს კი არ ვითვლი, — იცრუა ლაილამ და მხრები აიჩეჩა. როგორ უყვარდა მამა იმის გამო, ეს რომ ახსოვდა! თარიყის წასვლის შესახებ დედას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა.

— უკან მოხედვასაც ვერ მოასწრებ, მოციმციმე შუქი ისე გამოჩნდება, — თქვა ბაბიმ. იგი ლაილასა და თარიყის ყოველ ღამეულ თამაშს გულისხმობდა, სიბნელეში ფანრით ერთმანეთს სიგნალს რომ აძლევდნენ. ამ თამაშის წამოწყებიდან უკვე იმდენი დრო გასულიყო, რომ, კბილის გახეხვის მსგავსად, ესეც ძილის წინა რიტუალად ექცათ.

ბაბიმ გარღვეულ ადგილს თითი გადაუსვა:

— როგორც კი შესაძლებლობა მომეცემა, მაშინვე შევაკეთებ. ახლა კი ჯობს, წავიდეთ, — ხმას აუწია და ცოლს მხარს ზემოთ გასძახა, — მივდივართ, ფარიბა! ლაილა სკოლაში მიმყავს. მისი წამოყვანა არ დაგავიწყდეს!

გარეთ, როდესაც ბაბის ველოსიპედის კოფოზე ცოცდებოდა, ლაილამ შენიშნა მანქანა, რომელიც ქუჩაში, იმ სახლის წინ იდგა, სადაც მეწაღე რაშიდი თავის კარჩაკეტილ ცოლთან ერთად ცხოვრობდა.

„ბენცი“ იყო, მათი სამეზობლოსთვის მეტად უჩვეულო ავტომობილი. სქელი, თეთრი ზოლები ლურჯ ძარას, სახურავსა და საბარგულს შუაზე ჰყოფდა. მანქანაში ლაილამ ორი მამაკაცი გაარჩია, ერთი საჭესთან, მეორე კი უკანა სავარძელზე იჯდა.

— ვინ არიან? — იკითხა გოგონამ.

— რა ჩვენი საქმეა, — უპასუხა ბაბიმ, — ამოძვერი, გაკვეთილზე დაგაგვიანდება.

ლაილას მშობლების კიდევ ერთი კამათი დაამახსოვრდა. მაშინ დედა ბაბის წინ იდგა და არაბუნებრივი ხმით ეუბნებოდა: „ეს შენი საქმეა, არა, ბიძაშვილო? არაფრის კეთებაა შენი საქმე! საკუთარი ვაჟებიც კი ომში გაუშვი! როგორ გემუდარებოდი, მაგრამ იმ წყეულ წიგნებში ჩარგე ცხვირი და შენს ვაჟებს, თითქოს ჰარამები ყოფილიყვნენ, წასვლის ნება დართე!“

ბაბი სატერფულებს ატრიალებდა, ლაილა უკან იჯდა და მკლავები მის მუცელზე შემოეხვია. ლურჯ „ბენცს“ რომ ჩაუარეს, გოგონამ სწრაფად შეავლო თვალი უკანა სავარძელზე მჯდომ

მამაკაცს: გამხდარი, ჭაღარა, მუქ ყავისფერ კოსტიუმში იყო გამოწყობილი, გულის ჯიბეში სამკუთხედად დაკეცილი ცხვირსახოცი ედო. იმ მოკლე დროში გოგონამ კიდევ ერთი რამის შემჩნევა მოასწრო — მანქანას ჰერათის სანომრე ნიშნები ჰქონდა. დანარჩენი გზა მდუმარედ გაიარეს, მხოლოდ მოსახვევებში ბაბი ფრთხილად ამუხრუჭებდა და ამბობდა:

— ლაილა, ჩამეჭიდე! ვანელებთ, ვანელებთ. აი, ასე.

იმ დღეს, გაკვეთილზე, ლაილას ყურადღების მოკრება უჭირდა, თარიყის არყოფნასა და მშობლების კამათზე ფიქრობდა. ამიტომ, როდესაც მასწავლებელმა გაიძახა და რუმინეთისა და კუბის დედაქალაქების დასახელება მოსთხოვა, გოგონა მოულოდნელობისგან დაიბნა.

მასწავლებელს შანზაი ერქვა, მაგრამ ზურგს უკან მოსწავლეები ხალა(ხალა — დეიდა.) რანგმალს(რანგმალი — მღებავი. ), „დეიდა მღებავს“ ეძახდნენ. მეტსახელს უკავშირებდნენ მის მოძრაობას,

რომლითაც მოსწავლეებს უტყაპუნებდა — ხელისგული, შემდეგ მტევნის უკანა მხარე, და ასე, წინ და უკან იქნევდა, ფუნჯმომარჯვებული მღებავივით. ხალა რანგმალი ახალგაზრდა ქალი იყო, მკვეთრი სახის ნაკვთები და ხშირი წარბები ჰქონდა. პირველივე გაკვეთილზე მოსწავლეებს სიამაყით გამოუცხადა, რომ იგი ხოსთში მცხოვრები ღარიბი გლეხის შვილი იყო. წელში გამართული იდგა, გიშრისფერი თმა უკან მჭიდროდ გადაეწია და კეფაზე ისე დაეხვია, რომ როდესაც უკან შებრუნდა, ლაილამ მის კისერზე მუქი ფერის ბალანი შენიშნა. ხალა რანგმალი არც მაკიაჟს იკეთებდა და არც სამკაულებს ატარებდა. თავს არ იფარავდა და მოსწავლე გოგონებსაც უკრძალავდა ამის გაკეთებას. იგი ამტკიცებდა, ქალები და მამაკაცები ყველაფერში თანასწორები არიან, ამიტომ არ არსებობს მიზეზი, რის გამოც ქალებმა თავდახურულებმა უნდა იარონ, თუკი მამაკაცები იმავეს არ აკეთებენო.

ხალა რანგმალი ამბობდა, ისევე როგორც ავღანეთი, საბჭოთა კავშირიც მსოფლიოში საუკეთესო სახელმწიფოაო. იქ მშრომელებს გულისხმიერად ეპყრობოდნენ, და ყველა ადამიანი თანაბარი უფლებით სარგებლობდა. საბჭოთა კავშირში ბედნიერად და მეგობრულად ცხოვრობდნენ. სულაც არ ჰგავდა ამერიკას, სადაც ბოროტმოქმედების შიშით, ხალხი სახლებს ვერ ტოვებდა. მისი სიტყვებით, როგორც კი პროგრესის მოწინააღმდეგე, განუვითარებელი ყაჩაღები დამარცხდებოდნენ, ავღანეთშიც ყველა ბედნიერად იცხოვრებდა.

— აი, რატომ ჩამოვიდნენ 1979 წელს ჩვენი საბჭოთა მეგობრები. იმისთვის, რომ მეზობლებისთვის დახმარების ხელი გაეწვდინათ; შეშველებოდნენ იმ პირუტყვების დამარცხებაში, რომელთაც სურთ, რომ ჩვენი სამშობლო ჩამორჩენილი, პრიმიტიული ქვეყანა იყოს. ბავშვებო, საბჭოელებს დახმარება თქვენც უნდა გაუწიოთ. ინფორმაცია მიაწოდოთ ნებისმიერ ადამიანზე, ვინც შესაძლოა, რომ მეამბოხეების შესახებ რამე იცოდეს. ეს თქვენი მოვალეობაა. უნდა მოუსმინოთ და შემდეგ დაასმინოთ, თუნდაც იგი თქვენი მშობელი, ბიძა ან დეიდა იყოს, რადგან არც ერთ მათგანს ისე არ უყვარხართ, როგორც თქვენს ქვეყა-

ნას. დაიმახსოვრეთ, სამშობლო უპირველეს ყოვლისა! მეც და თქვენი ქვეყანაც თქვენით იამაყებს.

ხალა რანგმალისმაგიდის უკან, კედელზე საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის რუკები, ასევე უკანასკნელი კომუნისტი პრეზიდენტის — ნაჯიბულას ჩარჩოში ჩასმული ფოტო ეკიდა. ის, როგორც ბაბი ამბობდა, ერთ დროს ავღანური საიდუმლო პოლიციის, საშინელი „ხადის“(ხად — აბრევიატურა: ხადამათე ამნიათე დავლათი — სახელმწიფო უშიშროების სამსახური.) ხელმძღვანელი იყო. კედელზე სხვა ფოტოებიც გამოეფინათ. უმეტესად, ახალგაზრდა საბჭოთა ჯარისკაცების, რომლებიც გლეხებს ესალმებოდნენ, ვაშლის ნერგებს რგავდნენ, სახლებს აშენებდნენ და მუდამ გულღიად იღიმოდნენ.

— კარგი, — თქვა ხალა რანგმალმა, — ოცნებაში ხელი ხომ არ შეგიშალე, ენყელაბო(ენყელაბი — რევოლუციონერი.) გოგონა?

რადგან 1978 წლის აპრილის გადატრიალების ღამეს დაიბადა, ლაილას მეტსახელად „რევოლუციონერი გოგონა“ შეარქვეს. თუკი ვინმეს კლასში სიტყვა „გადატრიალება“ წამოსცდებოდა, ხალა რანგმალი საშინლად ბრაზდებოდა და დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ეს ენყელაბი, რევოლუცია, უთანასწორობის წინააღმდეგ მშრომელი ხალხის აჯანყება იყო. ჯიჰადი კიდევ ერთი აკრძალული სიტყვა გახლდათ. როგორც თავად ამბობდა, პროვინციებში ომი არც კი ყოფილა, ეს მხოლოდ პროვოკატორების მიერ გამოწვეული ხანმოკლე შეტაკებები იყო წესრიგის დამრღვევებთან. და, რაღა თქმა უნდა, მისი თანდასწრებით ვერავინ, ვერავინ გაბედავდა გავრცელებული ჭორების გამეორებას იმის შესახებ, თითქოს რვაწლიანი ბრძოლის შემდეგ, საბჭოელები ომს აგებდნენ. მეტადრე ახლა, როდესაც ამერიკის პრეზიდენტმა რეიგანმა, საბჭოთა შვეულმფრენების ჩამოსაგდებად, მოჯაჰედებს „სტრინგერის“ ტიპის რაკეტები გამოუგზავნა. საერთო საქმეს, ახლა უკვე, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები მუსლიმები უერთდებოდნენ. მათ შორის იყვნენ: ეგვიპტელები, პაკისტანელები, მდიდარი საუდელებიც

კი, რომლებმაც თავიანთი მილიონები მიატოვეს და ავღანეთში ჯიჰადის წინააღმდეგ საბრძოლველად ჩამოვიდნენ.

— ბუქარესტი. ჰავანა, — გონება მოიკრიბა ლაილამ.

— და ისინი ჩვენი მეგობარი ქვეყნებია თუ არა?

— დიახ, მოალიმ(მოალიმი — მასწავლებელი.) საჰიბ, ჩვენი მეგობარი ქვეყნებია.

ხალა რანგმალმა თავი უკმეხად დაუქნია.

გაკვეთილების შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, დედა არ გამოჩენილა. ლაილა სახლში თავის ორ თანაკლასელთან, გითისა და ჰასინასთან ერთად წამოვიდა.

გითი მუდმივად დაძაბული, პატარა, ძვალმსხვილი გოგონა იყო. ორი ცალი კიკინა ელასტიკური ზონრებით შეეკრა. მუდმივად იბღვირებოდა, წიგნები მკერდზე ფარივით ჰქონდა მიკრული და ისე დადიოდა. ჰასინა თორმეტის იყო, ლაილასა და გითიზე სამი წლით უფროსი, მაგრამ სკოლის მესამე საფეხური ერთხელ, მეოთხე კი ორჯერ ვერ გაიარა. განათლების ნაკლებობას ჰასინა ანცობითა და სამეტყველო აპარატით ავსებდა, რომელიც, გითის თქმით, საკერავ მანქანასავით უმუშავებდა. ხალა რანგმალსაც მეტსახელი სწორედ ჰასინამ შეურჩია. იმ დღეს გოგონა, აბეზარი თაყვანისმცემლების მოსაგერიებლად, რჩევებს იძლეოდა.

— მარტივი მეთოდია, გარანტირებული შედეგით. სიტყვას გაძლევთ.

— რა სისულელეა. ძალიან პატარა ვარ იმისთვის, რომ თაყვანისმცემლები მყავდეს! — თქვა გითიმ.

— სულაც არ ხარ პატარა.

— ჩემი ხელი არც არავის უთხოვია.

— ეს იმიტომ, რომ წვერი გაქვს, ჩემო ძვირფასო.

გითიმ ნიკაპზე ხელი მოისვა და შეშინებულმა ლაილას შეხედა, რომელიც თანაგრძნობით იღიმოდა. ლაილას გითის მსგავსი იუმორის გრძნობას მოკლებული ადამიანი სხვა არ ენახა. გამამხნევებლად გაიქნია თავი.

— მოკლედ, ქალბატონებო, გაინტერესებთ თუ არა, როგორ უნდა მოიქცეთ?

— აბა, მიდი, — თქვა ლაილამ.

— ლობიო. მინიმუმ ოთხი თუნუქის ქილა. და საღამოს უკბილო ხვლიკი შენი ხელის სათხოვნელად მოდის. მაგრამ დროის შერჩევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ქალბატონებო. სანამ ჩაის არ მიართმევ, ფოიერვერკი ნაადრევია.

— დავიმახსოვრებ, — თქვა ლაილამ.

— ისიც ასე მოიქცევა.

ლაილას შეეძლო ეთქვა, რომ ეს რჩევები არაფერში სჭირდებოდა, რადგან ბაბი მის გათხოვებას ახლო მომავალში საერთოდ არ აპირებდა. მიუხედავად იმისა, რომ განათლება უნივერსიტეტში ჰქონდა მიღებული, მამამისი „სილოში“, ქაბულის უდიდეს პურის ქარხანაში მუშაობდა. სიმხურვალითა და დანადგარების გუგუნით იყო გარემოცული და მთელი დღის განმავლობაში, მასიურ ღუმლებს ცეცხლს უკეთებდა და ხორბალს ფქვავდა. სანამ კომუნისტები არ გამოაგდებდნენ, უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგი იყო. ეს 1978 წლის გადატრიალების შემდეგ მალევე მოხდა, საბჭოელების შემოჭრამდე წელიწად-ნახევრით ადრე. ბაბიმ ლაილას პატარაობიდანვე შთაუნერგა, რომ უსაფრთხოების შემდეგ, ყველაზე მნიშვნელოვანი მისი განათლება იყო.

— ვიცი, ჯერ კიდევ პატარა ხარ, მაგრამ მინდა, რომ ეს უკვე გაიაზრო და ისწავლო, — უთხრა ბაბიმ, — გათხოვება მოიცდის, განათლება კი — ვერა. შენ ძალიან გონებაგახსნილი გოგონა ხარ. ნამდვილად ასეა. ყველაფერი გამოგივა, ლაილა. ზუსტად ვიცი. ისიც ვიცი, რომ როდესაც ეს ომი დასრულდება, ავღანეთს შენ ისევე დასჭირდები, როგორც მამაკაცები. შეიძლება, უფრო მეტადაც კი, რადგან იმ საზოგადოებას, რომელსაც გაუნათლებელი ქალები ჰყავს, წარმატების შანსი არ გააჩნია, ჩემო გოგონავ.

თუმცა ლაილას ჰასინასთან ბაბის დარიგებების შესახებ სიტყვა არ დასცდენია; არც ის უთქვამს, ასეთი მამის ყოლით ძალიან ბედ-

ნიერი რომ იყო; ან როგორ ამაყობდა, ბაბი მასზე ასე რომ ზრუნავდა; ან როგორ სურდა, თავადაც ისევე გაეგრძელებინა განათლების მიღება, როგორც ეს მამამ გააკეთა. ბოლო ორი წლის განმავლობაში, ლაილამ ავვალნომრას(ავვალნომრა — პირველი ნომერი, ანუ საუკეთესო მოსწავლე.) სერთიფიკატები მიიღო, რომლითაც წლის საუკეთესო მოსწავლეებს აჯილდოებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მამამისი ჭირვეული ტაქსის მძღოლი იყო, რომელიც, ლაილას აზრით, ორ-სამ წელიწადში ქალიშვილს ნამდვილად გაათხოვებდა, მეგობრისათვის ეს ყველაფერი მაინც არ გაუმხელია. ერთხელ ლაილასთან სერიოზული საუბრისას, რაც ჰასინას მხრიდან იშვიათობას წარმოადგენდა, მან თქვა, რომ ოცი წლით უფროს ბიძაშვილზე გათხოვება უკვე გადაეწყვიტათ. იგი ლაჰორში ავტომობილების სახელოსნოს მფლობელი იყო.

— სულ ორჯერ მყავს ნანახი, — თქვა ერთხელ ჰასინამ, — ორივე ჯერზე პირღია ჭამდა.

— ლობიო, გოგონებო. ხომ გახსოვთ? — თქვა ჰასინამ, ცელქმა ღიმილმა გაუელვა და ლაილას ხელკავი გამოსდო, — სანამ, რა თქმა უნდა, ახალგაზრდა, მომხიბლავი, ცალფეხა პრინცი არ მოგაკითხავს. მაშინ...

ლაილამ იდაყვი გაითავისუფლა. თარიყის შესახებ ასეთი რამ სხვას რომ ეთქვა, განაწყენდებოდა. მაგრამ მან იცოდა, რომ ჰასინა ღვარძლიანი არ იყო. მხოლოდ იხუმრა და სხვა არაფერი. თან მისი ხუმრობა არავინ აიტაცა, ყოველ შემთხვევაში, მისი თანდასწრებით.

— ადამიანებზე ასე არ უნდა ილაპარაკო! — უსაყვედურა გითიმ.

— მაინც ვინ არიან ეს ადამიანები?

— ადამიანები, რომლებიც ომში დაშავდნენ, — სერიოზულად თქვა გითიმ, აშკარად ჰასინას არასერიოზული საქციელის საპასუხოდ.

— მგონი, მოლა გითი თარიყით არის გატაცებული. გული მიგრძნობდა! მაგრამ მან უკვე გამოთქვა თავისი აზრი, არ იცოდი? ასე არ არის, ლაილა?

— სულაც არ ვარ გატაცებული!

გოგონები ლაილას დაშორდნენ. თავიანთი ქუჩისკენ რომ შეუხვიეს, ისევ კამათობდნენ.

ბოლო სამი სახლი ლაილამ მარტომ გაიარა. თავის ქუჩას რომ დაადგა, შენიშნა, ლურჯი „ბენცი“ კვლავაც რაშიდისა და მარიამის სახლის წინ იყო გაჩერებული. ყავისფერ კოსტიუმში გამოწყობილი ხანდაზმული მამაკაცი მანქანის ძარასთან იდგა, ხელჯოხს ეყრდნობოდა და სახლისკენ იყურებოდა.

ამ დროს ლაილას უკნიდან შემოესმა:

— ჰეი, ქერათმიანო, შემომხედე!

ლაილა მიბრუნდა. სახეში თოფის ლულა ჰქონდა დამიზნებული.

## 17

თოფი წითელი იყო, სასხლეტის დამცავი რკალი კი — ღია მწვანე. იარაღის უკან ხადიმის გაკრეჭილი სახე გამოჩნდა. თარიყის მსგავსად, ხადიმიც თერთმეტი წლის იყო, მსუქანი, მაღალი, მეტისმეტად დაბრეცილკბილებიანი. მამამისი დეჰ მაზანგში ყასბად მუშაობდა, ამიტომ დროდადრო ხადიმი გამვლელებს ხბოს შიგნეულს უშენდა ხოლმე. ზოგჯერ, თუკი თარიყი ახლომახლო არ ეგულებოდა, ხადიმი ლაილას შესვენებისას სკოლის ეზოში უთვალთვალებდა, ქურდულად მიეპარებოდა და შეჰყვირებდა. ერთხელ მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა, — ყვითელთმიანო, როგორი მშვენიერი ხარ. მინდა ცოლად შეგირთო.

ახლა კი თოფს უღერებდა, — ნუ გეშინია, — უთხრა ლაილას, — არ გაისვრის. ყოველ შემთხვევაში, შენს თმაზე არა.

— ამას ნუ აკეთებ! გაფრთხილებ.

— რას იზამ? — ჰკითხა მან, — შენს ხეიბარს მომიგზავნი? „ოჰ, თარიყ-ჯან. ოჰ, შინ დაბრუნდი და გადამარჩინე ამ ბადმაშისაგან(ბადმაში — ბანდიტი, თავზე ხელაღებული. )!“

ლაილამ უკან დაიხია, მაგრამ ხადიმი უკვე სასხლეტს ეჯაჯგურებოდა. ერთიმეორის მიყოლებით, თბილი წყლის სუსტი ნაკადი ლაილამ ჯერ თმაში, შემდეგ კი, როდესაც სახეზე ხელი აიფარა, ხელისგულზეც იგრძნო.

ახლა უკვე სხვა ბიჭებიც გამოვიდნენ სამალავიდან, იცინოდნენ და ხორხოცებდნენ.

შეურაცხყოფილ ლაილას ქუჩაში გაგონილი სიტყვები პირზე მოადგა. მათი მნიშვნელობა ბუნდოვნად ესმოდა, მაგრამ დაუოკებელი მრისხანებით აღსავსე გოგონამ სიტყვებს გასაქანი მისცა.

— დედაშენს მამალი გულზე არ დაადგეს!

— დედაშენივით შეშლილი მაინც არ არის, — აუღელვებლად უპასუხა ხადიმმა, — არც მამაჩემია „დედიკოს ბიჭი“! უი, მართლა, შენს ხელებს რატომ არ დაყნოსავ?

დანარჩენი ბიჭებიც აყვნენ:

— ხელები დაყნოსე! ხელები დაყნოსე!

ლაილა ასეც მოიქცა, მაგრამ სანამ ამას გააკეთებდა, უკვე იცოდა, ხადიმი რასაც გულისხმობდა. გოგონამ ხმამაღლა წამოიკივლა. ბიჭებმა კიდევ უფრო ხმამაღალი ყვირილი ატეხეს.

ლაილა მიბრუნდა და ატირებული შინ გაიქცა.

ჭიდან წყალი ამოიღო, სააბაზანოში ტაშტი აავსო და ტანსაცმელი გაიძრო. თმა გაიქაფა, თმის ძირებს თითებით გაშმაგებით ისრესდა. რამდენჯერმე გაიფიქრა, გულისრევა ამიტყდებაო. სახესა და კისერს დაწითლებამდე, საპნიანი ღრუბლით გამალებით იხეხავდა, თან ზლუქუნებდა და კანკალებდა.

თარიყი მის გვერდით რომ ყოფილიყო, ეს ხომ არ მოხდებოდა?! — ფიქრობდა ლაილა და თან სუფთა პერანგსა და შარვალს იცვამდა. ხადიმი ასე მოქცევას ვერ გაუბედავდა. დედას მისთვის სკოლაში რომ მიეკითხა, ვერც მაშინ გაეკარებოდა. ზოგჯერ ლაილა იმასაც ფიქრობდა, დედამ ჩემი გაჩენით თავი საერთოდ რატომ შეიწუხაო. იმ ადამიანებისთვის, ვინც მთელი თავისი სითბო და სიყვარული უფროს შვილებს გაუნაწილა, კიდევ ერთი შვილის ყოლის უფლება არ უნდა მიეცათ. ეს ხომ

უსამართლობა იყო. ლაილა ბრაზმა მოიცვა, თავის ოთახში შევიდა და საწოლზე პირქვე დაემხო.

როდესაც მღელვარებამ გადაუარა, დერეფანში გამოვიდა, დედის ოთახისკენ აიღო გეზი და კარზე დააკაკუნა. კიდევ უფრო პატარა, ლაილა ამ კართან საათობით მჯდარა. ხმადაბლა აკაკუნებდა და დედამისის სახელს იმეორებდა და იმეორებდა: დედიკო, დედიკო, დედიკო... თითქოს ჯადოს გაუვნებელყოფას მაგიური ჰანგებით შეძლებდა. მაგრამ დედა კარს არასდროს აღებდა. არც ახლა გაუღია. ლაილამ სახელური გადაატრიალა და ოთახში შევიდა.

ზოგჯერ დედა კარგ ხასიათზე იყო. საწოლიდან თვალებგაბრწყინებული და ხალისიანი დგებოდა. დაქანებული ქვედა ტუჩი ღიმილისას ზევით ეწეოდა. ბანაობდა, სუფთა ტანსაცმელს იცვამდა და წამწამებს იღებავდა. ლაილას ნებას რთავდა, რომ მისთვის თმა დაევარცხნა, რაც გოგონას ძალიან სიამოვნებდა, და საყურეებიც გაეკეთებინა. საყიდლებზე მანდაის ბაზარში ერთად მიდიოდნენ. „გველებსა და კიბეებს“(იგულისხმება აღმოსავლური, ზოგი ვერსიით ინდური, საბავშვო თამაში, რომელსაც ასუჯრიან დაფაზე კამათლებით თამაშობენ. ) ათამაშებდა, შემდეგ კი შავი შოკოლადის ფილის ნათალ ბურბუშელას ერთად მიირთმევდნენ. ეს ის იშვიათი გამონაკლისი იყო, რაშიც მათი გემოვნება ერთმანეთისას ემთხვეოდა. დედიკოსთან გატარებულ მხიარულ დღეებში ლაილას ყველაზე მეტად ის მომენტი უყვარდა, როდესაც მამა შინ ბრუნდებოდა, ის და ფარიბა კი დაფიდან თავს აწევდნენ და ბაბის ყავისფერი კბილებით გაუცინებდნენ. ოთახში კმაყოფილების გრძნობა მატულობდა და ლაილას თვალწინ წამიერად გაიელვებდა ცოტაოდენი სინაზე, რომანტიკა, რაც მის მშობლებს იმ დროს აკავშირებდათ, მათი სახლი ხალხმრავალი, ხმაურიანი და მხიარული რომ იყო.

ასეთ სასიამოვნო დღეებში დედა აცხობდა და მეზობლის ქალებს ჩაისა და ნამცხვარზე ეპატიჟებოდა. სანამ ფარიბა სუფრას შლიდა, ფინჯნებს, ხელსახოცებსა და საუკეთესო თეფშებს აწყობდა, ლაილა თასებს აპრიალებდა. მოგვიანებით, გოგონა მისაღებ

ოთახში, მაგიდასთან თავის ადგილს იკავებდა და ქალების ხმაურიან საუბარში ჩართვას ცდილობდა. ისინი ჩაის მიირთმევდნენ და დედას ნამცხვარს უქებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი საუბრის საშუალება არასდროს ეძლეოდა, ლაილას იქ ჯდომა და მოსმენა მაინც უყვარდა, რადგან ასეთი შეკრებების დროს იშვიათ სიამოვნებას იღებდა: დედა ბაბიზე სიყვარულით საუბრობდა.

— ჩინებული პედაგოგი იყო, —ამბობდა ფარიბა, — სტუდენტებს უყვარდათ. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა ლექტორების მსგავსად, მათ სახაზავით არ სცემდა. პატივს სცემდნენ, ხომ გესმით, იმიტომ რომ სტუდენტებს თვითონაც პატივისცემით ეპყრობოდა. გასაოცარი იყო.

დედა სიამოვნებით ყვებოდა ხოლმე, როგორ სთხოვა ბაბიმ ხელი.

— მე თექვსმეტი წლის ვიყავი, ის — ცხრამეტის. ფანჯშირში ჩვენი ოჯახები კარის მეზობლები იყვნენ. მისით გატაცებული, ჰამშირებო, სახლებს შორის კედელზე გადავცოცდებოდი, და მამამისის ხეხილის ბაღში ვთამაშობდით. ჰაქიმს ყოველთვის ეშინოდა, რომ ვინმე დაგვინახავდა და მამაჩემი გატყეპდა. სულ ამბობდა, „მამაშენისგან მომხვდება“. „ბიძაშვილო, რა ხდება? ჩემს ხელს ითხოვ, თუ მაიძულებ, რომ მე მოვიდე როგორც ხასთეგარი?“ — რაღაც ამდაგვარი ვუთხარი. მისი სახე უნდა გენახათ!

ქალები და ლაილა იცინოდნენ, ფარიბა კი ტაშს შემოკრავდა.

გოგონა ამ ამბებს ისმენდა და იცოდა, რომ ერთ დროს, დედა ბაბიზე მუდამ სიყვარულით საუბრობდა. ეს მაშინ, როცა მის მშობლებს ცალ-ცალკე ოთახებში არ ეძინათ. ლაილას ის დრო ენატრებოდა.

დედას ამბები მისი ხელის თხოვნაზე, ყოველ მიზეზგარეშე, მაჭანკლობით გრძელდებოდა. როდესაც ავღანეთი საბჭოთა ბატონობისგან გათავისუფლდებოდა და ბიჭები შინ დაბრუნდებოდნენ, საცოლეები დასჭირდებოდათ. ამდენად, ქალები რიგრიგობით განიხილავდნენ აჰმადისა და ნურისთვის შესაფერის ან შეუფერებელ, მეზობლად მცხოვრებ ყველა გოგონას. როცა საუბარი მის ძმებს ეხებოდა, ლაილა თავს გარიყულად გრძნობდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ქალები ყველასთვის საყვარელ ფილმს განიხილავდნენ, რომელიც მხოლოდ

მას არ ჰქონდა ნანახი. გოგონა მხოლოდ ორი წლის იყო, აჰმადი და ნური ქაბულიდან ფანჯშირის ჩრდილოეთით რომ გაემგზავრნენ, რათა აჰმად შაჰ მასუდის ძალებს შეერთებოდნენ და ჯიჰადის წინააღმდეგ ებრძოლათ. ლაილას ძმები თითქმის არ ახსოვდა. მოელვარე მედალიონი წარწერით „ალაჰ“ აჰმადის კისერზე და ნურის ერთ-ერთი ყურიდან ამოზრდილი შავი თმის გროვა — მის მეხსიერებას მხოლოდ ესღა შემორჩენოდა.

— აზიტაზე რას იტყვით?

— ხალიჩების მწარმოებლის ქალიშვილზე? — იკითხა დედამ და დამცინავი აღშფოთებით ნიკაპი მოისრისა, — მას ხომ ჰაქიმზე დიდი ულვაში აქვს!

— მაშინ ანაჰიტა. გავიგეთ, რომ ზარღუნაში, თავის ჯგუფში საუკეთესოა.

— მაგ გოგოს კბილები თუ გინახავთ? საფლავის ქვებს მიუგავს. ტუჩებს მიღმა კი სასაფლაოს ეზოს მალავს.

— დებ ვაჰიდებზე რა აზრის ხარ?

— იმ ორ ჯუჯაზე? არა, არამც და არა. ოღონდ ჩემი ვაჟებისთვის არა, ჩემი სულთნებისთვის — არა. ისინი უკეთესს იმსახურებენ.

ლაქლაქი გრძელდებოდა, ლაილას კი ფიქრები იტაცებდა და მუდამ თარიყთან მიჰყავდა.

დედას მოყვითალო ფარდები გადაეფარებინა. ჩაბნელებულ ოთახში სხვადასხვაგვარი სუნი — ძილის, გასარეცხი თეთრეულის, ოფლის, ჭუჭყიანი წინდების, სუნამოს არომატის, წინა ღამიდან შემორჩენილი ყორმასი — ერთმანეთს შერეოდა. ლაილა თვალის შეჩვევას ელოდა და შემდეგ ოთახში შედიოდა. ამ შემთხვევაშიც კი, იატაკზე მიმოფანტული ტანსაცმელი ფეხებში ებლანდებოდა.

გოგონამ ფარდები გადასწია. საწოლის ფეხთან ძველი ლითონის დასაკეცი სკამი იდგა. ლაილა მასზე ჩამოჯდა და დედამისის უმოძრაო, საბანშემოხვეულ სხეულს დააკვირდა.

დედას ოთახის კედლები აჰმადისა და ნურის ფოტოებით იყო დაფარული. საითაც არ უნდა გაეხედა, ლაილას ყველა მხრიდან ორი

უცნობი უღიმოდა. ერთგან ნური სამთვლიან ველოსიპედზე იჯდა; აჰმადი ლოცვას კითხულობდა, პოზირებდა მზის საათის წინ, რომელიც ბაბიმ და მან მაშინ ააშენეს, თორმეტი წლის რომ იყო. ამ ფოტოზე კი ერთმანეთს ზურგებით მიყრდნობილი ლაილას ძმები მათი ეზოს ძველი მსხლის ხის ქვეშ ისხდნენ.

გოგონა დედას საწოლის ქვეშიდან გამოშვერილ აჰმადის ფეხსაცმლის ყუთს ხედავდა. დროდადრო ფარიბა ლაილას მასში შენახულ ძველ ბროშურებსა და გაზეთებიდან ამოჭრილ, დაჭმუჭნილ ფურცლებს აჩვენებდა ხოლმე. აჰმადს ისინი ამბოხებულთა ჯგუფებსა და პაკისტანის წინააღმდეგობრივი ორგანიზაციების შტაბებში შეეგროვებინა. გოგონას ახსოვდა, რომ ერთ-ერთ ფოტოზე თეთრ, გრძელ პალტოში გამოწყობილი კაცი იყო, რომელიც ჯოხზე წამოცმულ კანფეტს პატარა ცალფეხა ბიჭს აწვდიდა. ფოტოს ქვეშ მინაწერი იუწყებოდა: „ბავშვები საბჭოთა სახმელეთო დანაღმვითი კამპანიის გამიზნული მსხვერპლი არიან“. სტატიაში ეწერა, რომ საბჭოელები ფეთქებად ნივთიერებებს ხშირად ბრჭყვიალა ფერებით შეღებილ სათამაშოებში მალავდნენ. თუკი ბავშვი მას ხელში აიღებდა, სათამაშო ფეთქდებოდა და თითებს ან მთლიან ხელს წააწყვეტდა. მაშინ დაზარალებულის მამა ჯიჰადთან შეერთებას ვერ შეძლებდა, შინ დარჩებოდა და შვილზე იზრუნებდა. აჰმადის ყუთში კიდევ ერთი სტატია იყო, სადაც ახალ-

გაზრდა მოჯაჰედი ჰყვებოდა, რომ საბჭოელებმა მის სოფელში გაზი გაუშვეს, მოსახლეობას კანი დაუწვეს და დააბრმავესო. როგორც ამბობდა, თავისი თვალით დაინახა, მისი დედა და და გაზის ნაკადს რომ გაურბოდნენ და თან სისხლს ახველებდნენ.

— დედა.

ამოზნექილი ადგილი ოდნავ შეირხა და კვნესა აღმოხდა.

— ადექი, დედა. უკვე სამი საათია.

ლაილას კიდევ ერთი ოხვრა შემოესმა. შემდეგ დედამისის ხელი ზედაპირზე წყალქვეშა პერისკოპივით გამოჩნდა და ისევ დაეშვა. ამჯერად, კიდევ უფრო შესამჩნევად შეირხა. საბნის შრიალი გაისმა და მისი ნაკეცები ერთმანეთზე დაეფინა. ნელ-ნელა და ნაწილ-ნაწილ დედაც

გამოჩნდა: ჯერ მოუწესრიგებელი თმა, შემდეგ თეთრი, დამანჭული სახე; გაცრეცილი, სინათლისთვის თვალის ასარიდებლად მოჭუტული თვალები; ხელი, რომელსაც სასთუმლის თავთან აფათურებდა. ქალი ბუზღუნით წამოიწია და ზეწარი ქვევით ჩამოუცურდა. თვალის გასახელად დედას დიდი ძალისხმევა დასჭირდა, სინათლეს მოერიდა და თავი მკერდთან ჩამოუვარდა.

— სკოლაში რა ხდებოდა? — წაიბუტბუტა.

ისევ დაიწყო სავალდებულო შეკითხვები და ფორმალური პასუხები. ორივე თავს იკატუნებდა. ძველი, დამღლელი ცეკვის გულგრილ პარტნიორებს ჰგავდნენ.

— სკოლაში ყველაფერი რიგზეა, — უპასუხა ლაილამ.

— რამე ისწავლე?

— როგორც ყოველთვის.

— ჭამე?

— კი.

— კარგია.

დედამ თავი კვლავ წამოსწია და ფანჯრისკენ გაიხედა. შეკრთა და ქუთუთოები აუთრთოლდა. სახის მარჯვენა ნაწილი დაწითლებოდა და იმავე მხარეს, თმაც დატკეპნოდა.

— თავი მტკივა.

— გინდა, ასპირინს მოგიტან?

დედამ საფეთქლები დაიზილა, — შეიძლება, მაგრამ მოგვიანებით. მამაშენი სახლშია?

— ჯერ მხოლოდ სამი საათია.

— ხო, მართალი ხარ. უკვე მითხარი, — დაამთქნარა ფარიბამ, — ახლა სიზმარს ვხედავდი, — მისი ხმა ზეწარზე ღამის პერანგის შეხებისას გამოწვეულ შრიალზე ოდნავ უფრო ხმამაღლა გაისმა, — სანამ შემოხვიდოდი. მაგრამ უკვე აღარ მახსოვს. ასეთი რამ დაგმართნია?

— ეს ყველას მოსდის, დედა.

— რა უცნაური შეგრძნებაა.

— უნდა გითხრა, რომ სანამ შენ გეძინა, ერთმა ბიჭმა წყლის თოფით თმაში შარდი შემასხა.

— რა შეგასხა? ეგ რას ნიშნავს? ვწუხვარ.

— შარდი.

— ეს ხომ... ეს ხომ საშინელებაა! ღმერთო ჩემო, როგორ ვწუხვარ. ჩემო საბრალოვ. დილით, უპირველესად, მას ან დედამისს დაველაპარაკები. ხო, ვფიქრობ, ასე აჯობებს.

— მაგრამ მე არ მითქვამს, ეს ვინ ჩაიდინა.

— ხო, რა თქმა უნდა, ვინ იყო?

— რა მნიშვნელობა აქვს?

— გაბრაზებული ხარ.

— შენ ხომ უნდა წამოგეყვანე სკოლიდან.

— მართალია, — დაიყიყინა დედამ. მაგრამ ლაილა ვერ მიხვდა, ეს პასუხი იყო თუ არა. დედამ თმის გასინჯვა დაუწყო. გოგონასთვის ცხოვრების უდიდეს საიდუმლოდ დარჩა, როგორ გადაურჩა ამ ყველაფერს ისე, რომ კვერცხივით არ გამელოტდა. — იმაზე რას იტყვი... რა ჰქვია შენს მეგობარს? თარიყი? ხო, ის სად იყო?

— ერთი კვირით წავიდა.

— ოჰ, — დედამ ცხვირით ამოიოხრა, — დაიბანე?

— კი.

— ანუ სუფთა ხარ, — დედამ მზერა ფანჯარაზე გადაიტანა. — სუფთა ხარ და ყველაფერი კარგადაა.

ლაილა წამოდგა, — ახლა საშინაო დავალებები უნდა მოვამზადო.

— რა თქმა უნდა. ჩემო საყვარელო, სანამ წახვალ, ფარდები ჩამოაფარე, — უთხრა დედამ მიკნავებული ხმით, თან თეთრეულის ქვეშ იძირებოდა.

ლაილა ფარდების ჩამოსაფარებლად რომ მივიდა, ქუჩაში მიმავალ მანქანას მოჰკრა თვალი, რომელმაც მტვრის კორიანტელი დააყენა. ჰერათის სანომრე ნიშნებიანი ლურჯი „ბენცი“ იქაურობას ტოვებდა. სანამ მანქანა მოსახვევში არ გაუჩინარდა და მისი უკანა ფანჯარა მზეზე არ აელვარდა, გოგონას თვალი არ მოუშორებია.

— ხვალ არ დამავიწყდება, — ზურგს უკან დედამისის ხმა მოესმა, — გპირდები.

— გუშინაც ასე თქვი.

— შენ არ იცი, ლაილა.

— რა არ ვიცი? — მობრუნდა გოგონა და დედას შეხედა, — რა არ ვიცი?

დედამ ხელი მკერდთან ამოაცურა და მსუბუქად შეეხო, — აი, აქ. აქ რა ხდება. — შემდეგ კი ძალაგამოცლილი მტევანი ისევ ქვევით ჩამოუცურდა, — შენ უბრალოდ არ იცი.

## 18

ერთი კვირა გავიდა, მაგრამ თარიღი არსად ჩანდა. ერთ კვირას მეორე მიჰყვა. დროის გასაყვანად ლაილამ შირმა შეაკეთა, რასაც ბაბიმ თავი აქამდე ვერაფრით მოაბა. მამას წიგნები ქვევით ჩამოიტანა, მტვრისგან გაასუფთავა და ანბანურად დაალაგა. შემდეგ კი ჰასინასთან, გითისთან და გითის დედა ნილასთან ერთად, რომელიც მკერავი იყო და ზოგჯერ ლაილას დედასთან ერთადაც კერავდა, ქუჩეიე მორყჰაზე წავიდა. გასული კვირების განმავლობაში გოგონამ ირწმუნა, რომ ყველა იმ სიძნელეს შორის, რასთან შეხვედრაც ადამიანს უწევს, არაფერია იმაზე რთული, ვიდრე ერთი შეხედვით უბრალო რამ — ლოდინი.

ამასობაში კიდევ ერთმა კვირამ გაიარა.

ლაილა საშინელმა ფიქრებმა შეიპყრო.

აღარასდროს დაბრუნდება. მისი მშობლები სამუდამოდ გადასახლდნენ; ღაზნიში გამგზავრება მხოლოდ საბაბი, უფროსების გეგმა იყო, რათა მათი ამაღელვებელი გამოთხოვება თავიდან აერიდებინათ.

იქნებ ისევ დანაღმულ ადგილას აღმოჩნდა, როგორც 1981 წელს. მაშინ ხუთი წლის იყო და მშობლებმა სამხრეთ ღაზნიში უკა-

ნასკნელად წაიყვანეს. ეს ლაილას მესამე დაბადების დღიდან მოკლე ხანში მოხდა. თარიყი მაშინ იღბლიანი გამოდგა, მხოლოდ ფეხი დაკარგა; გაუმართლა, რომ გადარჩა.

ამ ფიქრებით იყო მოცული ლაილა.

ერთ ღამეს გოგონამ ქუჩიდან მკრთალი ნათება შენიშნა. რაღაც წრიპინისა თუ ქოშინის მსგავსი აღმოხდა. საწოლის ქვეშიდან სასწრაფოდ გამოაცურა თავისი შუქურა, მაგრამ ვერაფრით აამუშავა, ხელის გულზე ირტყამდა და აჯანჯღარებდა, თან დამჯდარ ბატარეებს სწყევლიდა. თუმცა ამას უკვე აღარანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ის დაბრუნდა. გოგონა საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, შვებისგან გაბრუებულიყო და ყვითელი შუქის ციმციმს მიშტერებოდა.

მეორე დღეს, როდესაც ლაილა თარიყის სახლისკენ გაემართა, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს ხადიმი და მისი მეგობრები შენიშნა. ბიჭი ჩაცუცქულიყო, ჯოხით ტალახში რაღაცას ხატავდა. ლაილა რომ შენიშნა, ჯოხი გადააგდო და ხელის თითები გაიქნ-გამოიქნია. რაღაც ჩაილაპარაკა, რასაც მოგუდული სიცილი მოჰყვა. ლაილამ თავი დახარა და სწრაფად ჩაიარა.

— ეს რა გიქნია?! — წამოიძახა გოგონამ, როდესაც ღია კარში თარიყი გამოჩნდა. მხოლოდ შემდეგ გაახსენდა, რომ მისი ბიძა დალაქი იყო.

თარიყმა ახლად გადაპარსულ თავზე ხელი სწრაფად გადაისვა და გაიღიმა; თეთრი, ოდნავ უსწორმასწორო კბილები გამოაჩინა.

— მოგწონს?

— ისე გამოიყურები, თითქოს სამხედრო სამსახურში გაგიწვიეს.

— გინდა შეეხო? — ჰკითხა გოგონას და თავი დახარა.

პაწაწინა, ახალამოსულმა, უხეშმა თმამ ლაილას ხელისგული სასიამოვნოდ დაუფხაჭნა. თარიყი იმ ბიჭებს არ ჰგავდა, ვისი თმაც კონუსის ფორმის თავის ქალას და მომრავლებულ კოპებს მალავდა. მისი თავი უზადოდ მრგვალი და გლუვი იყო.

ბიჭი რომ გასწორდა, ლაილამ დაინახა, ლოყები და შუბლი მზეზე ჰქონდა დამწვარი.

— ამდენ ხანს რატომ დარჩი? — ჰკითხა გოგონამ.

— ბიძაჩემი ავად იყო. მოდი, შიგნით შემოდი.

თარიყმა იგი დერეფნის გავლით მისაღებ ოთახში შეიყვანა. ამ სახლში ლაილას ყველაფერი უყვარდა — ძველი გაცვეთილი ხალიჩა საერთო ოთახში, სხვადასხვა ქსოვილისგან შეკერილი დივანი, თარიყის ცხოვრებისთვის ჩვეული ქაოსი: დედამისის ქსოვილის რულონები, ძაფის კოჭებში ჩარჭობილი საკერავი ნემსები, ძველი ჟურნალები, კუთხეში მიდგმული აკორდეონის ოდნავ გახსნილი ყუთი.

— ვინ არის? — თარიყის დედა სამზარეულოდან იძახდა.

— ლაილა, — უპასუხა ბიჭმა.

თარიყმა გოგონას სკამი გამოუწია. მისაღები ოთახი კარგად იყო განათებული, ორი ფანჯარა ეზოში გადიოდა. ფანჯრის რაფაზე ეწყო ცარიელი ქილები, რომლებშიც თარიყის დედა ბადრიჯანს ამწნილებდა და სტაფილოს ჯემს ამზადებდა.

— ჩვენი არუსი(არუსი — პატარძალი, რძალი.), ჩვენი რძალი? — იკითხა მამამისმა და ოთახში შემოვიდა. იგი დურგალი იყო, სამოც წელს გადაცილებული გამხდარი, ჭაღარა კაცი. წინა კბილებს შორის ღრეჩო ჰქონდა და თვალებმოჭუტული იმ ადამიანს წააგავდა, ცხოვრების უმეტესი ნაწილი გარეთ რომ აქვს გატარებული. მკლავები გაშალა და ლაილაც ჩაეხუტა, მისი სასიამოვნო და ნაცნობი ნახერხის სუნი შეიგრძნო. ერთმანეთს ლოყაზე სამჯერ აკოცეს.

— ასე კიდევ თუ დაუძახებ, აქ აღარ მოვა, — თქვა თარიყის დედამ და ჩაიარა. ლანგრით მოზრდილი თასი, ჩამჩა და ოთხი პატარა თასი შემოიტანა. ლანგარი მაგიდაზე დადო.

— ყურადღებას ნუ მიაქცევ ამ მოხუც კაცს, — თქვა და ლაილას სახე ხელებში მოიქცია, — შენი ნახვა მიხარია, ძვირფასო. მოდი, დაჯექი. წყალში დამბალი ჩირი მოგიტანეთ.

ღია ფერის, დაუმუშავებელი ხის უზარმაზარი მაგიდა, მისივე სკამებით თარიყის მამის დამზადებული იყო. მაგიდას ჭაობისფერი ვინილის გადასაფარებელი ფარავდა. მასზე მოიისფრო ნახევარმთვარეები და ვარსკვლავები იყო გამოსახული. მისაღები ოთახის კედლის უმეტესი ნაწილი თარიყის სხვადასხვა ასაკში გადაღებული

ფოტოებით გაევსოთ. ზოგიერთ ადრეულ ფოტოზე ბიჭს ჯერ კიდევ ორი ფეხი ჰქონდა.

— გავიგე, თქვენი ძმა ავად ყოფილა, — უთხრა ლაილამ თარიყის მამას და კოვზი ღრმად ჩაყო თასში,სადაც ქიშმიში, ფსტა და გარგარი იყო დამბალი.

კაცმა სიგარეტს მოუკიდა, — დიახ, მაგრამ ახლა უკეთ არის, შოქრ-ე ხოდა(შოქრ-ე ხოდა — მადლობა ღმერთს.), უფლის წყალობით.

— გულის შეტევა. უკვე მეორედ, — თქვა თარიყის დედამ და მეუღლეს საყვედურით გადახედა.

კაცმა კვამლი გამოუშვა და ლაილას თვალი ჩაუკრა. გოგონას უცებ თავში აზრად მოუვიდა, რომ თარიყის მშობლები ბიჭს ბებია-ბაბუად უფრო ერგებოდნენ. შვილის გაჩენისას ქალი ორმოც წელს იქნებოდა გადაცილებული.

— მამა როგორ არის, ძვირფასო? — ჰკითხა თარიყის დედამ გოგონას, თან ხილის თასს ზემოდან დაჰყურებდა. რაც ლაილა ამ ქალს იცნობდა, იგი მუდამ პარიკს ატარებდა. დროთა განმავლობაში პარიკმა გახუნებული იისფერი მიიღო. დღეს წარბებამდე ჰქონდა ჩამოფხატული და ბაკებზე ჭაღარა თმა მოუჩანდა, ზოგჯერ კი პარიკი შუბლზე, ზევით ჰქონდა აწეული. თუმცა, ლაილას აზრით, ქალი მასში შესაბრალისად არასდროს გამოიყურებოდა. პარიკის მიღმა გოგონა მშვიდ, თავდაჯერებულ სახეს, ჭკვიან თვალებსა და სასიამოვნო, აუჩქარებელ მანერებს ხედავდა.

— კარგად არის, — მიუგო ლაილამ, — რა თქმა უნდა, ისევ „სილოშია“. თავს კარგად გრძნობს.

— დედა?

— ხან როგორ, ხან როგორ. ძველებურად.

— ხო, — დაფიქრებით თქვა ქალმა და კოვზი თასში ჩაყო, — ალბათ, როგორი რთულია დედისთვის შვილებისგან მოშორებით ყოფნა.

— სადილზე დარჩები? — ჰკითხა თარიყმა.

— უნდა დარჩე, — ჩაერია დედამისი, — შორვას(შორვა — ბოსტნეულის წვნიანი.) ვაკეთებ.

— არ მინდა მოზაჰემი(მოზაჰემი — შემაწუხებელი, ხელის შემშლელი.) ვიყო.

— მოზაჰემი? — გაიკვირვა თარიყის დედამ, — სულ რამდენიმე კვირით წავედით და უკვე უცხოებივით გვექცევი?

— კარგი, დავრჩები, — დაიმორცხვა ლაილამ, სახეზე სიწითლემ გადაურბინა და გაიღიმა.

— მაშინ, გადაწყვეტილია.

სინამდვილეში, ლაილას თარიყის სახლში უყვარდა ჭამა, თავისთან კი — არა. თარიყთან მარტო არავინ მიირთმევდა, მაგიდას ყოველთვის მთელი ოჯახი მიუსხდებოდა. ლაილას მოსწონდა იისფერი პლასტმასის ჭიქები, რომლებსაც იყენებდნენ და მეოთხედი ლიმონი, მუდამ წყლის დოქში რომ ეგდო. მოსწონდა, როგორ იწყებდნენ სადილს ერთი თასი ახალი მაწვნით, როგორ აწურავდნენ ყველაფერს მჟავე ფორთოხალს, მაწონსაც კი, და როგორ უწყინრად ეხუმრებოდნენ ერთმანეთს.

სუფრასთან მუდამ საუბრობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ თარიყი და მისი მშობლები ეთნიკური პუშტუნები იყვნენ, ლაილას სტუმრობისას, მისი ხათრით სპარსულად ლაპარაკობდნენ, თუმცა ლაილას მეტ-ნაკლებად ესმოდა სკოლაში ნასწავლი მათი მშობლიური პუშტუ. ბაბი ამბობდა, რომ უმცირესობაში მყოფ ტაჯიკებსა და ავღანეთის უდიდეს ეთნიკურ ჯგუფს — თარიყის ხალხს შორის დაძაბული ურთიერთობა იყო.

— ტაჯიკები თავს ყოველთვის შეურაცხყოფილად გრძნობდნენ, — ამბობდა ბაბი, — პუშტუნი მეფეები ქვეყანას თითქმის ორას ორმოცდაათი წლის განმავლობაში მართავდნენ, ლაილა, ტაჯიკები კი მხოლოდ ცხრა თვე, 1929 წელს.

— და შენ, — ჰკითხა გოგონამ, — შენ თავს შეურაცხყოფილად გრძნობ, მამა?

ბაბიმ სათვალე პერანგის კიდით გაწმინდა, — ჩემი აზრით, მთელი ეს საუბრები, რომ მე ტაჯიკი ვარ, შენ პუშტუნი, ის კი — ჰაზარა და უზბეკი, სისულელეა, და თან ძალიან სახიფათო სისულელე. ჩვენ

ყველანი ავღანელები ვართ და მხოლოდ ეს არის მნიშვნელოვანი. მაგრამ როდესაც ერთი ჯგუფი მეორეს ამდენი ხნის განმავლობაში მართავს... სიძულვილიც ჩნდება და დაპირისპირებაც. ასეა. და ყოველთვის ასე იყო.

შესაძლოა ბაბი სიმართლეს ამბობდა, მაგრამ თარიყის სახლში ლაილას მსგავსი რამ არასდროს უგრძნია. მის ოჯახთან ერთად დროს ყოველვის ბუნებრივად, ლაღად ატარებდა, მიუხედავად ტომობრივი და ენობრივი განსხვავებებისა, ან პირადი ბრაზისა და არაკეთილგანწყობილებისა. ეს მუხტი ლაილას სახლშიც მოჰყვებოდა.

— ბანქოს თამაშზე რა აზრის ხართ? — იკითხა თარიყმა.

— კარგია, ზევით ადით, — უთხრა დედამისმა, თან გამკიცხავად იქნევდა ხელს ქმრის მიერ დაყენებული კვამლის გასაფანტად, — მე შორვას მივხედავ.

თარიყის ოთახის შუაგულში ბავშვები მუცლებზე გაწვნენ და მორიგეობით არიგებდნენ ბანქოს ფანჯფარის(ფანჯფარი — ბანქოს ერთ-ერთი სახეობა ავღანეთში, რომელსაც ორი კაცი თამაშობს ხუთ-ხუთი კარტით. ეს თამაში ჰგავს ჩვენში ცნობილ რუსულ „დურაკას“. ) სათამაშოდ. ბიჭი ჰაერში ველოსიპედის მოძრაობებს აკეთებდა და თან უყვებოდა თავის მგზავრობაზე, ატმის ნერგებზე, რომლის დარგვაშიც ბიძიას დაეხმარა; გველზე, ბაღში რომ დაიჭირა.

ამ ოთახში ლაილა და თარიყი საშინაო დავალებებს ამზადებდნენ, კარტით კოშკებს აგებდნენ და ერთმანეთის სასაცილო პორტრეტებს ხატავდნენ. თუ წვიმდა, ფანჯრის რაფებს ეყრდნობოდნენ; თბილ, შუშხუნა „ფანტას“ სვამდნენ და ფანჯრის მინაზე ჩამონადენ წვიმის პაწაწინა წვეთებს უყურებდნენ.

— კარგი. აი, ერთი, — თქვა ლაილამ და კარტის დასტა აურია, — მთელ მსოფლიოს უვლის და მაინც კუთხეში რჩება. რა არის?

— მოითმინე,— თარიყი წამოიწია და ფეხის პროთეზი შემოატრიალა. სახე შეეცვალა, თავის მხარეს გადაწვა და იდაყვს დაეყრდნო, — ის ბალიში მომაწოდე, — უთხრა გოგონას და ბალიში ფეხქვეშ ამოიდო, — აი, ასე. ახლა უკეთესია.

ლაილას კარგად ახსოვდა, მისი ამპუტირებული ფეხი პირველად როდის ნახა. მაშინ ექვსი წლის იყო. ერთი თითი გოგონამ მარცხენა მუხლის ქვეშ, დაჭიმულ და გაპრიალებულ კანზე დაადო. თითებით მომცრო, გამაგრებული კოშტები იგრძნო. თარიყის თქმით, ისინი ძვლის განშტოებები იყო, რომელიც ზოგჯერ ამპუტაციის შემდეგ იზრდება. ლაილამ ჰკითხა, მოჭრილი ფეხი თუ გტკივაო. მან კი უპასუხა, დღის ბოლოს, როდესაც მისივდება და ფეხი პროთეზს ისევე ვეღარ ერგება, როგორც თითი სათითეს, მტკივნეული ხდებაო. „ზოგჯერ გადამეყვლიფება ხოლმე. განსაკუთრებით სიცხეში. მაშინ მაყრის და ბებერები მიჩნდება, მაგრამ დედას კრემი აქვს, რომელიც მშველის. არც ისე ცუდია“.

ლაილას ტირილი წასკდა.

„რატომ ტირი? — ჰკითხა და ფეხი სწრაფად დაიფარა, — შენ თვითონ მთხოვე, მეჩვენებინა, შე გერიანოქ(გერიანოქი — პატარა მტირალა.), შე მტირალა! რომ მცოდნოდა, ღრიალს მორთავდი, საერთოდ არ გაჩვენებდი“.

— საფოსტო მარკა, — თქვა ბიჭმა.

— რა?

— გამოცანის პასუხია საფოსტო მარკა. სადილის შემდეგ ზოოპარკში წავიდეთ.

— პასუხი იცოდი, ხომ?

— სულაც არა.

— მატყუარა ხარ.

— შენ კი — შურიანი.

— რისი უნდა მშურდეს?

— ჩემი მამაკაცური გონიერების.

— შენი მამაკაცური გონიერების? მართლა? ერთი მითხარი, ჭადრაკში ყოველთვის მოგებული ვინ რჩება?

— გაგებინებ, — გაიცინა თარიყმა. ორივემ იცოდა, რომ ტყუოდა.

— და მათემატიკაში ვინ ჩაიჭრა? დახმარების სათხოვნელად ვინ მოვიდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემზე ერთი საფეხურით წინაა?

— ორი კლასით წინაც ვიქნებოდი, ეს მათემატიკა თავს რომ არ მაბეზრებდეს.

— მგონი, არც გეოგრაფია გეხატება გულზე.

— შენ რა იცი? ახლა მოკეტე. მივდივართ ზოოპარკში, თუ არა?

ლაილამ გაიღიმა, — მივდივართ.

— ძალიან კარგი.

— მომენატრე.

უეცრად სიჩუმემ დაისადგურა. შემდეგ კი თარიყი ნახევრად გაღიმებული, ნახევრად კი დამანჭული, ზიზღის გამომხატველი გამომეტყველებით შემობრუნდა, — რა გჭირს?

ლაილა თავისთვის ფიქრობდა, ორი ან სამი დღის უნახავებს, მას, ჰასინასა და გითის, ეს სიტყვები ერთმანეთისთვის რამდენჯერ უთქვამთ, — „მომენატრე, ჰასინა. — ოჰ, მეც მომენატრე“. თარიყის დამანჭული სახის დანახვისას ლაილა მიხვდა, რომ ამ საკითხში ბიჭები გოგონებისგან განსხვავდებიან. მეგობრობისგან წარმოდგენებს არ დგამენ. ამგვარი საუბრებისადმი ლტოლვას, მის საჭიროებას ვერ გრძნობენ. ლაილამ ივარაუდა, რომ მისი ძმებიც თარიყივით მოიქცეოდნენ; მიხვდა, რომ ბიჭები მეგობრობას მზესავით ეპყრობოდნენ: მის არსებობას უდავოდ აღიარებდნენ; მისი სიკაშკაშისგან სიამოვნებას იღებდნენ, მაგრამ თვალს არ უსწორებდნენ.

— შენი გაბრაზება მინდოდა, — უთხრა გოგონამ.

თარიყმა ალმაცერად გახედა და უპასუხა, — გამოგივიდა.

თუმცა ლაილას მოეჩვენა, რომ ბიჭს სახე შეურბილდა და ლოყებზე რუჯი მაშინვე გაუმუქდა.

გოგონა მისთვის ამ ამბის მოყოლას არ აპირებდა. სინამდვილეში, ხვდებოდა, რომ ეს კარგი აზრი არ იყო. ვიღაც აუცილებლად დაზარალდებოდა, რადგან თარიყი ამას გულგრილად არ შეხვდებოდა. მაგრამ მოგვიანებით, ქუჩაში, ავტობუსის გაჩერებისკენ რომ ეშვებოდნენ, ლაილამ კედელზე გადმოყუდებული ხადიმი კიდევ ერთხელ დაინახა. მეგობრებით იყო გარშემორტყმული, ცერა თითები ქამრის ყულფებზე ჰქონდა გამოდებული. ლაილას უტიფრად გაეკრიჭა.

ამიტომ გოგონამ გადაწყვიტა, თარიყისთვის ყველაფერი მოეყოლა. მთელი ამბავი პირიდან ისე ამოუფრინდა, რომ შეჩერება ვერ შეძლო.

— რა ქნა?

გოგონამ ხელახლა უამბო.

ხადიმზე მიუთითა, — ამან? ეს იყო? დარწმუნებული ხარ?

— სრულიად.

თარიყმა კბილები გააკრაჭუნა და პუშტუს ენაზე რაღაც ისე ჩაიბუტბუტა, რომ ლაილამ მის სიტყვებს ყური ვერ მოკრა.

— აქ დამელოდე, — ამჯერად სპარსულად მიმართა.

— თარიყ, არ გინდა.

ბიჭი უკვე ქუჩაზე გადადიოდა.

ხადიმმა იგი პირველმა დაინახა. სახიდან ღიმილი გაუქრა და კედელს მოსცილდა. ცერები ქამრის ყულფებიდან გამოაცურა, წელში გაიმართა და გათვითცნობიერებული მუქარის გამომხატველი იერი მიიღო. დანარჩენებმაც მის გამომეტყველებას მიბაძეს.

ლაილამ ინატრა, ნეტავ, არაფერი მეთქვაო. ერთმანეთს რომ დატაკებოდნენ? რამდენი იყვნენ, ათი? თერთმეტი? თორმეტი? რამე რომ დაეშავებინათ?

თარიყი ხადიმისა და მისი ბანდისგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით გაჩერდა. ერთი წუთი საქმის გარჩევას მოუნდნენ და ლაილამაც გაიფიქრა, იქნებ აზრი შეიცვალონო. თარიყი ძირს რომ დაიხარა, გოგონამ წარმოიდგინა, ალბათ თავს მოაჩვენებს, თითქოს ფეხსაცმლის ზონარი შეეხსნა და ჩემთან დაბრუნდებაო. მაგრამ თარიყმა ხელები აამოძრავა და ლაილაც ყველაფერს მიხვდა.

თარიყი წელში რომ გაიმართა და ცალ ფეხზე დადგა, განზრახვას დანარჩენებიც მიუხვდნენ. როცა ბიჭი ხადიმისკენ ხტუნვა-ხტუნვით წავიდა და უკვე თავს უნდა დასხმოდა, მოხსნილი ფეხის პროთეზი მხარს ზემოთ ხმალივით ჰქონდა აღმართული.

ბიჭები სასწრაფოდ განზე გადგნენ და თარიყს ხადიმისკენ გზა გაუხსნეს.

შემდეგ ყველაფერი მტვერში გაეხვა; იყო მუშტების ტრიალი, წიხლების რტყმა და წკმუტუნი.

ხადიმს ლაილა მეტად აღარ შეუწუხებია.

სხვა ღამეების მსგავსად, ლაილამ იმ ღამესაც სადილზე მაგიდა მხოლოდ ორი ადამიანისთვის გააწყო. დედამ თქვა, რომ არ შიოდა. თუმცა როცა შიოდა, მაშინაც, ბაბის დაბრუნებამდე საჭმლის თეფშით თავის ოთახში შეტანა წესად იქცია. იმ დროს, როდესაც ბაბი და ლაილა სადილობდნენ, ფარიბას, როგორც წესი, ეძინა, ან ეღვიძა და უბრალოდ ლოგინში იწვა.

სააბაზანოდან გამოსულ ბაბის ფქვილისგან გადათეთრებული თმა გასუფთავებული და დავარცხნილი ჰქონდა.

— დღეს რა გვაქვს, ლაილა?

— დარჩენილი აში.

— საინტერესოდ ჟღერს, — თქვა კაცმა და პირსახოცი დაკეცა, რომლითაც თმა შეიმშრალა. — ამაღამ რაზე ვმუშაობთ? წილადების მიმატებაზე?

— ამჯერად, წილადების გარდაქმნაზე შერეულ რიცხვებად.

— ხო, მართალი ხარ.

ყოველღამე, სადილის შემდეგ, ბაბი ლაილას საშინაო დავალების შესრულებაში ეხმარებოდა და თავადაც აძლევდა დავალებებს. ამას იმისთვის აკეთებდა, რომ გოგონას ერთი ან ორი კლასის პროგრამა წინასწარ სცოდნოდა, და არა იმიტომ, რომ არ აღიარებდა იმ პროგრამას, რომელსაც სკოლა ადგენდა, ან ეწინააღმდეგებოდა პროპაგანდას, რომ ისინი ამ ყველაფერს მაინც ასწავლიდნენ. სინამდვილეში, ერთადერთი, რაშიც ბაბი კომუნისტებს ემხრობოდა, ბედის ირონიით, განათლების სისტემის გარდაქმნა ან მცდელობის სურვილი მაინც იყო. სფერო, საიდან იგი გამოაძევეს. უფრო ზუსტად კი, საქმე ქალთა განათლებას ეხებოდა. მთავრობამ წიგნიერების გაკვეთილები ყველა ქალისთვის დააფინანსა. ბაბის თქმით, ქაბულის უნივერსიტეტში სტუდენტების თითქმის ორი მესამედი უკვე მდედრობითი სქესის იყო. ისინი სწავლობდნენ სამართალმცოდნეობას, მედიცინას, ინჟინერიას.

— ამ ქვეყანაში ქალები ყოველთვის ძლიერები იყვნენ, ლაილა, მაგრამ ახლა, კომუნისტების ეპოქაში, სავარაუდოდ, კიდევ უფრო თავისუფალი არიან. ადრინდელზე მეტი უფლება აქვთ, — თქვა ბაბიმ და ამჯერადაც ხმას დაუწია, რადგან იცოდა, რომ კომუნისტების უმნიშვნელოდ დადებით კონტექსტში მოხსენიების დროსაც კი, დედა ძალიან ღიზიანდებოდა, — მაგრამ ეს სიმართლეა, — განაგრძობდა ბაბი, — ავღანელი ქალებისთვის კარგი დრო დადგა. და ეს უპირატესობა უნდა გამოიყენო, ლაილა. თუმცა ქალთა თავისუფლების ხსენებაც კი ერთ-ერთი მიზეზთაგანია, რის გამოც იქ მაშინვე იარაღს ჰკიდებენ ხელს, — თქვა ბაბიმ და თავი ნაღვლიანად გაიქნია.

როდესაც თქვა „იქ“, ქაბული არ უგულისხმია, რადგან ეს ქალაქი ყოველთვის უფრო ლიბერალური და პროგრესული იყო. ქაბულში ქალები უნივერსიტეტებში სწავლობდნენ, სკოლებს ხელმძღვანელობდნენ, მთავრობაში ოფისებს მართავდნენ. არა, ბაბი სხვადასხვა ტომით დასახლებულ მხარეებს გულისხმობდა, განსაკუთრებით კი პუშტუნთა რეგიონებს, ქვეყნის სამხრეთით ან აღმოსავლეთით, პაკისტანის საზღვართან ახლოს, სადაც ქალებს ქუჩებში თვალს იშვიათად თუ მოკრავდი და მაშინაც მხოლოდ ბურკაში გამოწყობილს და აუცილებლად მამაკაცის თანხლებით. ბაბი ისეთ რეგიონებს გულისხმობდა, სადაც უძველესი ტომობრივი კანონებით მცხოვრები მამაკაცები კომუნისტების, მათ მიერ ქალთა გათავისუფლების, იძულების წესით გათხოვების აკრძალვის, გოგონების გათხოვების მინიმალურ ასაკად თექვსმეტი წლის დაწესების შესახებ გამოცემული ბრძანებების წინააღმდეგ ჯანყდებოდნენ. მისი თქმით, იქ მამაკაცები მთავრობისა და უღმერთოთა დარიგებებს, რომ ქალიშვილებისთვის სახლიდან გასვლის ნება დაერთოთ, სკოლაში, შემდეგ კი მამაკაცების გვერდით სამუშაოდ გაეშვათ, მათი საუკუნოვანი ტრადიციების შეურაცხყოფად მიიჩნევდნენ.

— ღმერთო, მოსალოდნელი საფრთხე აგვარიდე! — ბაბის სარკასტულად საუბარი უყვარდა. შემდეგ ამოიოხრებდა და იტყოდა, —

ლაილა, ჩემო საყვარელო, ერთადერთი მტერი, რომლის დამარცხებაც ავღანელს არ შეუძლია, საკუთარი თავია.

ბაბი მაგიდასთან დაჯდა და აშის თასში პური ჩაალბო.

ლაილამ გადაწყვიტა, რომ სანამ წილადებზე გადავიდოდნენ, სადილობისას მამასთვის თარიყისა და ხადიმის ამბავი მოეყოლა. მაგრამ საშუალება არ მიეცა. ზუსტად ამ დროს კარზე კაკუნი გაისმა და კარის მეორე მხარეს გამოჩნდა უცნობი, რომელმაც ახალი ამბავი მოიტანა.

## 19

შენს მშობლებთან მინდა დალაპარაკება, დოხთარ-ჯან, — უთხრა კარის ზღურბლთან მდგომმა უცნობმა კაცმა ლაილას. ზორბა ტანი, ნათელი, თუმცა უხეში სახე ჰქონდა. კარტოფილისფერი პალტო ეცვა და თავზე ყავისფერი შალის ფაქოლი(ფაქოლი — ავღანური ქუდის სახეობა, რომელსაც უმეტესად პუშტუნები ატარებენ. განსაკუთრებით ცნობილი გახდა საბჭოთა ოკუპაციის დროს. ) ეხურა.

— ვინ ბრძანდებით?

ლაილამ მხარზე ბაბის ხელი იგრძნო და კაცმა გოგონა კარიდან ნაზად გასწია.

— ზემოთ რატომ არ ადიხარ, ლაილა? მიდი.

კიბისკენ რომ დაიძრა, გოგონამ სტუმრის სიტყვებს მოჰკრა ყური, უცნობს ფანჯშირიდან ახალი ამბები მოეტანა. ახლა უკვე დედაც ოთახში იყო. ცალი ხელი პირზე ჰქონდა აფარებული და მზერა ბაბიდან ფაქოლიან კაცზე სწრაფად გადაჰქონდა.

ლაილა კიბის თავიდან იჭყიტებოდა. აკვირდებოდა უცნობს, რომელიც მის მშობლებთან ერთად იჯდა. კაცი მათკენ გადაიხარა და რამდენიმე სიტყვა გადაუჩურჩულა. ბაბი უეცრად გაფითრდა, სახე კიდევ უფრო უთეთრდებოდა და საკუთარ ხელებს დაჰყურებდა. დედა კი კიოდა, კიოდა და თმას იგლეჯდა.

მეორე დილას, ფათიჰას(ფათიჰა — ყურანის პირველი სურა ალ-ფათიჰა („გამხსნელი“), რომელიც შვიდი მუხლისგან შედგება. იკითხება ნამაზისა და ღვთისმსახურების დროს, აგრეთვე, სამგლოვიარო თავყრილობებსა და გარდაცვლილის საფლავზე. აქ: სამგლოვიარო ცერემონია, რომელზეც, ტრადიციულად, ეს სურა იკითხება.) დღეს, მეზობლის ქალების ჯგუფი მათ სახლს შეესია და დაკრძალვის შემდეგ გასამართი ხათმის(ხათმი — სამგლოვიარო ცერემონია, რომელსაც გარდაცვლილის გამო მართავენ.) სადილის სამზადისს შეუდგნენ. ფარიბა მთელი დილა დივანზე იჯდა, თითებით ცხვირსახოცს აწვალებდა, სახე დასიებოდა. ორი ქალი ცხვირის სრუტუნით დასტრიალებდა თავს და მორიგეობით ხელზე ფრთხილად ეფერებოდნენ, თითქოს მსოფლიოში უიშვიათესი და ყველაზე ნაზი თოჯინა ყოფილიყოს, ფარიბა კი მათ არსებობას ვერც კი ამჩნევდა.

ლაილამ დედის წინ მუხლი მოიყარა და ხელები მოჰკიდა, — დედიკო.

ქალმა თავი ძირს დახარა და თვალები აახამხამა.

— ჩვენ მივხედავთ, ლაილა-ჯან, — ერთ-ერთმა ქალმა მედიდურად უთხრა გოგონას. ლაილა დაკრძალვებზე ადრეც იყო ნამყოფი და ასეთი ქალებიც ჰყავდა ნანახი. ქალები, რომლებიც აღტაცებით აკეთებდნენ ყველაფერს, რაც გარდაცვალებასთან იყო დაკავშირებული; ოფიციალური ნუგეშისმცემელები, რომლებიც არავის მისცემდნენ უფლებას, უნებართვოდ შეჭრილიყვნენ მათ მიერვე დაწესებულ ფუნქციებში.

— ყველაფერს მივხედავთ. შენ წადი, გოგონა, და რამით დაკავდი. დედას თავი დაანებე.

გამოძევებული ლაილა თავს უსარგებლოდ გრძნობდა. ერთი ოთახიდან მეორეში შედიოდა. ცოტა ხნით სამზარეულოსთან დაფაჩუნობდა. უჩვეულოდ მშვიდი ჰასინა დედასთან ერთად მოვიდა. მათ უკან გითიც მოჰყვა, ისიც დედის თანხლებით. როდესაც გითიმ ლაილა შენიშნა, მისკენ გაეშურა, თავისი გამხდარი მკლავები შემოხ-

ვია და ძალიან დიდხანს, საოცრად ძლიერად ჩაიკრა გულში. რომ გასწორდა, თვალებში ცრემლები ჰქონდა დაგუბებული.

— ძალიან ვწუხვარ, ლაილა, — უთხრა გოგონამ. მეგობარმა მადლობა გადაუხადა. სამივე გარეთ, ბაღში ისხდნენ, სანამ ერთ-ერთმა ქალმა არ დაავალა, რომ ჭიქები და ერთმანეთზე დაწყობილი თეფშები მაგიდასთან მიეტანათ.

ბაბიც უაზროდ სცემდა ბოლთას, თითქოს საქმეს ეძებდა.

— არ მომეკაროს! — ეს ერთადერთი იყო, რაც იმ დილას დედამ წარმოთქვა.

ბოლოს ბაბი დერეფანში, დასაკეც სკამზე მარტო ჩამოჯდა, ეულად და დაჩიავებულად გამოიყურებოდა. ერთ-ერთმა ქალმა უთხრა, შუა გზაში ზიხარო. მანაც მოუბოდიშა და თავის სამუშაო ოთახში გაუჩინარდა.

ნაშუადღევს მამაკაცები ქართე სეში, იმ დარბაზში წავიდნენ, ბაბიმ ფათიჰასთვის რომ დაიქირავა. ქალები სახლში დაბრუნდნენ. ლაილამ ადგილი დედას გვერდზე, მისაღები ოთახის შესასვლელთან დაიკავა, სადაც, ჩვეულებისამებრ, გარდაცვლილის ოჯახის წევრები სხდებოდნენ. ჭირისუფლებმა ფეხსაცმელი კართან გაიხადეს, თავს უკრავდნენ ოთახში შემოსულ ნაცნობებს, რომლებიც მისამძიმრების შემდეგ, კედელთან მიდგმულ დასაკეც სკამებზე სხდებოდნენ. ლაილამ ვაჯმა შენიშნა, მოხუცებული ბებიაქალი, რომელმაც დედამისი ამშობიარა. თარიყის დედასაც მოჰკრა თვალი, პარიკზე შავი შარფი ჰქონდა შემოხვეული. გოგონას თავი დაუკრა და ნელა, ნაღვლიანად, მომუწული ტუჩებით გაუღიმა.

მაგნიტოფონიდან კაცის ცხვირისმიერი ხმა ისმოდა, რომელიც ყურანიდან მუხლს მღერით კითხულობდა. შიგადაშიგ ქალები ოხრავდნენ, მოძრაობდნენ და სრუტუნებდნენ. ჩახველება, ჩურჩული და, პერიოდულად, თეატრალიზებული, მწუხარე ქვითინი გაისმოდა.

ოთახში რაშიდის ცოლი, მარიამი შემოვიდა. შავი ჰიჯაბი ეცვა. თმის კულულები უნებლიედ შუბლზე ჩამოშლოდა. ლაილას მოპირდაპირედ, სკამზე ჩამოჯდა.

გოგონას გვერდით, დედა წინ და უკან ირხეოდა. ლაილამ დედა-მისის ხელი კალთაში მოიქცია და ფერება დაუწყო, მაგრამ ქალმა ეს ვერც კი შენიშნა.

— წყალი ხომ არ გინდა, დედიკო? — ყურში ჩასჩურჩულა გოგონამ, — გწყურია?

მაგრამ ფარიბას პასუხი არ გაუცია. არაფერს აკეთებდა, მხოლოდ წინ და უკან ირხეოდა და შორეული, უსიცოცხლო მზერით ხალიჩას მიშტერებოდა.

ახლაც და შემდეგაც, დედიკოს გვერდით მჯდომი ლაილას მეხსიერებაში ოთახში მყოფთა ჩამქრალი, მწუხარე გამოხედვები, მოულოდნელად თავს დატეხილი უბედურება, რომელმაც მის ოჯახსასეთი ძლიერი დარტყმა მიაყენა, სამუდამოდ აღიბეჭდა. შესაძლებლობები გაქრა. იმედები დაიმსხვრა.

მაგრამ ამ გრძნობამ დიდხანს არ გასტანა. ძნელი იყო, მართლა ძალიან ძნელი იყო დედის დანაკარგის გათავისება; დამწუხრება, იმ ადამიანების სიკვდილზე დარდი, რომლებზეც, როგორც ცოცხლებზე, არც არასდროს უფიქრია. აჰმადი და ნური მისთვის ყოველთვის მხოლოდ გადმოცემები და წარმოდგენები, იგავ-არაკების გმირები, ან ისტორიის წიგნებში ამოკითხული მეფეები იყვნენ.

ლაილასთვის რეალური მხოლოდ თარიყი იყო, სისხლი და ხორცი. მან ასწავლა ლაილას პუშტუს ენაზე გინება, მას უყვარდა სამყურას დამარილებული ფოთლები, ის იღუშებოდა და ღეჭვისას ხმადაბალ, კვნესისმაგვარ ხმას გამოსცემდა, მას მარცხენა ლავიწის ქვეშ, ამოყირავებული მანდოლინას ფორმის თანდაყოლილი ლაქა ჰქონდა.

ამიტომ დედიკოს გვერდით იჯდა და აჰმადსა და ნურს მხოლოდ მოვალეობის გრძნობის გამო გლოვობდა, თუმცა ლაილას გულში, მისი ნამდვილი ძმა ცოცხალი და საღ-სალამათი იყო.

## 20

ავადმყოფობა, რომელიც დარჩენილი დღეების განმავლობაში დედას თან სდევდა, დაიწყო. გულმკერდის, თავისა და სახსრების ტკივილები, ღამით ოფლიანობა, ყურებში პარალიზების გამომწვევი წუილი, შესიებული ადგილები, რომლებსაც მის გარდა ვერავინ პოულობდა... ბაბიმ ცოლი ექიმთან წაიყვანა, სისხლისა და შარდის ანალიზები გაუკეთეს, რენტგენი გადაუღეს, თუმცა ავადმყოფობის ფიზიკური სიმპტომი ვერ აღმოუჩინეს.

დედა, უმეტესწილად, იწვა. შავები ეცვა. თმას ტუჩის ქვეშ ხალზე იხვევდა. როდესაც ეღვიძა, გოგონა ხედავდა, როგორ ბორიალებდა სახლში. ბოლოს ყოველთვის ლაილას ოთახში შედიოდა, თითქოს აქ, სადაც ოდესღაც ბიჭებს ეძინათ, გაზებს უშვებდნენ და ბალიშებით ჩხუბობდნენ, ხშირად თუ შემოვიდოდა, ადრე თუ გვიან, ისინიც გამოჩნდებოდნენ. არადა ოთახში მხოლოდ მათ არყოფნას აწყდებოდა. და ლაილას. როგორც გოგონას სჯეროდა, ფარიბასთვის ეს ერთი და იგივე რამ იყო.

ყოველდღიური ხუთგზის ნამაზი არასდროს ავიწყდებოდა. თითოეული ნამაზის დასრულების შემდეგ თავს დაბლა ხრიდა, ხელებს სახის წინ იშვერდა, ხელის გულებს ზევით აღმართავდა და ღმერთს მოჯაჰედების გამარჯვებას ბუტბუტით შესთხოვდა. საოჯახო საქმეები ლაილას სულ უფრო მეტად და მეტად დააწვა. სახლზე თავად თუ არ იზრუნებდა, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ბრინჯის გახსნილი ტომრები, ლობიოს თუნუქის ქილები და ჭუჭყიანი ჭურჭელი ყველგან მიმოფანტული დახვდებოდა. გოგონა დედამისს კაბებს ურეცხავდა და თეთრეულს უცვლიდა; დიდი გაჭირვებით იყოლიებდა, რომ ებანავა და ეჭამა. ბაბის პერანგებსაც თავად აუთოებდა და მის შარვლებსაც კეცავდა. მზარეულობაშიც სულ უფრო მეტად გაიწაფა.

ზოგჯერ, საოჯახო საქმეების მოგვარების შემდეგ, ლაილა დედიკოს საწოლში შეუძვრებოდა. მკლავებს შემოხვევდა, მის თითებს თავისას გადააჭდობდა და სახეს მის თმაში ჩამალავდა. დედა შეირხეოდა და

რაღაცას ჩაიბუტბუტებდა. მაშინვე ბიჭების შესახებ ამბების მოყოლას იწყებდა.

ერთ დღეს, როდესაც დედა-შვილი ასე იწვა, ფარიბამ ლაპარაკი წამოიწყო:

— აჰმადს მეთაურობა უნდოდა. საამისო ქარიზმაც ჰქონდა. მასზე სამჯერ უფროსები პატივისცემით უსმენდნენ, ლაილა. ეს უნდა გენახა. ნური კი, ოჰ, ჩემი ნური. იგი გამუდმებით ქვიშის ხიდების მონახაზებს აკეთებდა. იცი? არქიტექტორობა სურდა. ქაბულის საკუთარი დიზაინის მიხედვით გარდაქმნას აპირებდა. ახლა კი ორივე შაჰიდები(შაჰიდი — მოწამეობრივად, გმირულად დაღუპული. ) არიან, ჩემი ბიჭები, ორივე ეწამა.

ლაილა იწვა და ფარიბას უსმენდა; ოცნებობდა, დედიკოს შეენიშნა, რომ ის, არა შაჰიდი, არამედ ცოცხალი, იქვე, მის გვერდით იყო, და რომ მას იმედები და მომავალი ჰქონდა. მაგრამ გოგონამ იცოდა, მისი მომავალი თავისი ძმების წარსულს ვერასდროს დაუპირისპირდებოდა. მათ ლაილას ცხოვრება დაჩრდილეს. თავისი სიკვდილით გოგონას უკვალოდ გააქრობდნენ. დედა ახლა მათი ცხოვრების მუზეუმის მცველი იყო, ლაილა კი — უბრალო მნახველი, მათ შესახებ არსებული მითების საცავი; ეტრატი, რომელზეც დედა მის ვაჟებზე არსებულ ლეგენდებს წერდა.

— შიკრიკმა თქვა, რომ როდესაც ბიჭების ცხედრები ბანაკში დააბრუნეს, აჰმად შაჰ მასუდი მათ დაკრძალვას პირადად ზედამხედველობდა; მათ საფლავთან ლოცვაც კი აღავლინა. შენი ძმები ისეთი მამაცი ახალგაზრდები იყვნენ, ლაილა, რომ თავად მეთაური მასუდი, ფანჯშირის ლომი, ღმერთმა დალოცოს მისი სახელი, ზედამხედველობდა მათ დაკრძალვას.

დედა ზურგზე დაწვა. ლაილამაც მდებარეობა შეიცვალა და თავი დედას გულმკერდზე დაადო.

— ზოგჯერ, — განაგრძო ფარიბამ ჩახლეჩილი ხმით, — დერეფნის საათის წიკწიკს ვუსმენ. შემდეგ ვფიქრობ ამ წიკწიკზე, ყველა იმ წუთზე, საათზე, დღეზე, კვირაზე, თვესა თუ წელზე, რომელიც წინ მე-

ლის; მთელ იმ დროზე, რომელიც მათ გარეშე უნდა გავატარო, და სუნთქვა მიჭირს; თითქოს ვიღაც გულზე ფეხს მაჭერს, ლაილა. ძალა აღარ მყოფნის. იმდენად ვუძლურდები, რომ მინდა სადმე ჩავიკეცო.

— ნეტავ, რამის გაკეთება შემეძლოს, — თქვა ლაილამ და ზუსტად ამასვე გულისხმობდა, მაგრამ მისი სიტყვები იმდენად უხეშად, გულგრილად ჟღერდა, როგორც გულკეთილი უცნობის ნუგეშისცემა.

— შენ კარგი შვილი ხარ, — უთხრა დედამ ღრმად ამოოხვრის შემდეგ, — მაგრამ მე კარგი დედობა ვერ გაგიწიე.

— ასე ნუ ამბობ.

— არა, ეს სიმართლეა. ვიცი და ძალიან ვწუხვარ, ჩემო საყვარელო.

— დედიკო.

— ხო.

ლაილა წამოჯდა და დედას დახედა. ქალს თმაში ჭაღარა გამორეოდა. და ლაილა შეშფოთდა, რადგან მუდამ სრული ფარიბა ძლიერ გამხდარიყო. ლოყებზე ავადმყოფური, ფერწასული იერი დაჰკრავდა. კოფთა მხრებზე ჩამოვარდნოდა, კისერსა და საყელოს შორის კი ღრმა ნაპრალი მოუჩანდა. ლაილას არაერთხელ შეუნიშნავს, როგორ უცურავდა დედას თითიდან საქორწინო ბეჭედი.

— შენთვის რაღაცის კითხვა მინდოდა.

— გისმენ.

— შენ არ... — ლაილამ დაიწყო.

გოგონა ამ თემაზე ჰასინას ესაუბრა. მისივე რჩევით, მთელი შუშა ასპირინი წყალსადენში ჩაყარეს, სამზარეულოს დანები და ქაბაბის ბასრი შამფურები ტახტის ქვეშ, ხალიჩის დაბლა დამალეს. ჰასინა ეზოში თოკსაც გადააწყდა, ხოლო როდესაც ბაბიმ სამართებლებს ვეღარსად მიაგნო, ლაილას მამისთვის თავისი შიშის გამხელა მოუხდა. კაცი დივანის კუთხეში ჩამოჯდა და ხელები მუხლებს შორის მოიქცია. ლაილა მისგან გამხნევებას ელოდა, მაგრამ პასუხად მხოლოდ შეცბუნებული, დაცარიელებული მზერა მიიღო.

— შენ არ უნდა... დედიკო, მე ამის გამო ვდარდობ.

— ამაზე იმ ღამესვე დავიწყე ფიქრი, ახალი ამბავი რომ შეგვატყობინეს, — უპასუხა დედამ, — არ მოგატყუებ, სიკვდილზე მას მერეც გამუდმებით ვფიქრობდი. მაგრამ არა. არ იდარდო, ლაილა. მინდა, რომ ჩემი ვაჟების ოცნებების ახდენას მოვესწრო. იმ დღეს მოვესწრო, როდესაც საბჭოელები შინ შერცხვენილები, მოჯაჰედები კი — ქაბულში გამარჯვებულები დაბრუნდებიან. მინდა ავღანეთის გათავისუფლების დღეს მოვესწრო, და მაშინ ამას ბიჭებიც დაინახავენ, ყველაფერს ჩემი თვალებით ნახავენ.

დედას მალე ჩაეძინა, ლაილა კი აბობოქრებულ, ერთმანეთის საპირისპირო ემოციებს ებრძოდა: დარწმუნდა, რომ დედას სიცოცხლის გაგრძელება სურდა, მაგრამ გული სტკიოდა, რომ ამ სურვილის მიზეზი თავად არ იყო. დედის გულში იგი ვერასდროს დატოვებდა იმ კვალს, რაც მისმა ძმებმა დატოვეს. ფარიბას გული გაცრეცილ ზღვის ნაპირს ჰგავდა, საიდანაც ლაილას ნაკვალევს სამუდამოდ წაშლიდა მწუხარების აზვირთებული ტალღები; ზვირთები, რომელიც ძლიერდებოდა და გრგვინავდა, ძლიერდებოდა და გრგვინავდა.

## 21

მძღოლმა ტაქსი გზის პირას გააჩერა და საბჭოთა ჯიპებისა და ჯავშანმანქანების კიდევ ერთი გრძელი ავტოკოლონა გაატარა. თარიყი წინა სავარძელზე მჯდომი მძღოლისკენ გადაიხარა და წამოიყვირა, — Пожалуйста((რუს.) გეთაყვა.)! Пожалуйста!

ჯიპმა სიგნალი მისცა და თარიყმაც, საპასუხოდ, დაუსტვინა; სახე უბრწყინავდა და ხელს მხიარულად უქნევდა. — მშვენიერი ზარბაზნებია! — წამოიყვირა ბიჭმა, — ზღაპრული ჯიპები! ზღაპრული არმია! აფსუს, რომ შურდულებით შეიარაღებული გლეხების წინააღმდეგ ბრძოლაზე ცდებიან!

ავტოკოლონამ ჩაიარა. მძღოლი გზას დაუბრუნდა.

— რამდენი დარჩა? — იკითხა ლაილამ.

— ყველაზე დიდი ერთი საათი, — მიუგო მძღოლმა, — თუ ავტოკოლონები ან საკონტროლო პუნქტები არ შეგვაფერხებს.

ლაილა, ბაბი და თარიყი ერთი დღით გაემგზავრნენ. ჰასინასაც სურდა მათთან ერთად წამოსვლა, მამამისსაც სთხოვა, მაგრამ მან ნება არ დართო. ეს მოგზაურობა ბაბის იდეა იყო. მიუხედავად იმისა, რომ თავისი ხელფასით ამის ორგანიზება ძლივს მოახერხა, ერთი დღით მძღოლი მაინც იქირავა. დანიშნულების ადგილის შესახებ ლაილას არაფერი გაუმხილა, მხოლოდ ის უთხრა, რომ ამ მოგზაურობით მის განათლებაში წვლილს შეიტანდა.

დილის ხუთი საათიდან გზაში იყვნენ. ლაილას ფანჯრიდან გადაშლილი პეიზაჟი დათოვლილი მწვერვალებიდან უდაბნოებით, კანიონებითა და მზისგან გადამწვარი, გაშიშვლებული კლდეებით იცვლებოდა. გზად ჩალით დახურულ ტალახის სახლებსა და ხორბლის შეკვრებით მოფენილ მდელოებს ჩაუარეს. ლაილამ დამრეც, მტვრიან მინდვრებში, აქა-იქ ქუჩების, მომთაბარე ტომების შავი კარვები შენიშნა. გზაზე ხშირად ხვდებოდათ გადამწვარი საბჭოთა ტანკებისა და დამსხვრეული შვეულმფრენების ნარჩენები. გოგონა ფიქრობდა, რომ ეს აჰმადისა და ნურის ავღანეთი იყო. ამ პროვინციებში, ყველაფრის მიუხედავად, ომი კვლავ გრძელდებოდა. მაგრამ ქაბულში არა. იქ, უმეტესწილად, მშვიდობამ დაისადგურა. რომ არა ქვემეხების შემთხვევითი აფეთქებები, საბჭოთა ჯარისკაცები, რომლებიც ტროტუარებზე ეწეოდნენ, და მუდმივად ქუჩებში მოსიარულე საბჭოთა ჯიპები, ომი მხოლოდ მონაჭორიაო, იფიქრებდი.

დილით ადრე კიდევ ორი საკონტროლო პუნქტი გაიარეს და ხეობაში შევიდნენ. ბაბის ლაილა თავისი ფანჯრისკენ მოეხმო და შორს უძველესი, მზეზე გახუნებული წითელი კედლების წყებას უჩვენებდა.

— ამ ადგილს შაჰრ-ე ზოჰაქი ჰქვია, წითელი ქალაქი. ციხესიმაგრედ იყენებდნენ. უცხოელი დამპყრობლებისგან ხეობის დასაცავად დაახლოებით ცხრაასი წლის წინ ააშენეს. მეცამეტე საუკუნის ბოლოს მას

ჩინგიზ-ხანის შვილიშვილი დაესხა თავს, თუმცა იგი მოკლეს. შემდეგ კი ჩინგიზ-ხანმა ქალაქი მიწასთან თავად გაასწორა.

— ჩემო პატარა მეგობრებო, ასეთია ჩვენი ქვეყნის ისტორია, სხვადასხვა დამპყრობელი ერთიმეორის მიყოლებით, — თქვა მძღოლმა და ფანჯრიდან სიგარეტი გადააფერფლა. — მაკედონელები, სასანიდები, არაბები, მონღოლები. ახლა კი საბჭოელები. მაგრამ ჩვენ თითქოს ამ კედლებს ვგავართ — დაზიანებულს, მაგრამ მაინც მყარად მდგარს. რას ნახავთ მასზე უკეთესს?! ხომ მართალს ვამბობ, ბარადარ(ბარადარი — ძმა.)?

— ნამდვილად, — დაემოწმა ბაბი.

ნახევარი საათის შემდეგ მძღოლმა მანქანა გააჩერა.

— მოდით. თქვენ, ორივე. გადმოდით და შეხედეთ!

ბავშვები ტაქსიდან გადმოვიდნენ. ბაბიმ ხელით ანიშნა:

— აი, იქ არიან. შეხედეთ!

თარიყი მძიმედ სუნთქავდა. ლაილაც. გოგონა მიხვდა, კიდევ ასი წელიც რომ ეცოცხლა, ასეთ დიდებულს ვეღარაფერს ნახავდა.

ბუდას ორი უზარმაზარი ფიგურა ჰაერში იმდენად მაღლა ლივლივებდა, მიუხედავად იმისა, რომ გოგონას ფოტოებზე უკვე ნანახი ჰქონდა, ასეთ სიდიადეს მაინც ვერაფრით წარმოიდგენდა. ლაილა თავისთვის ფიქრობდა, რომ მზისგან გახუნებულ კლდეში გამოკვეთილი ფიგურები ზემოდან მასაც, ალბათ, ზუსტად ისევე დაჰყურებდნენ, როგორც ორი ათასი წლის წინ ხეობის გავლით აბრეშუმის გზისკენ მიმავალ ქარავნებს. ორივე მხარეს ჩაკიდებული ნიშების გასწვრივ ქარაფები ურიცხვი გამოქვაბულით იყო დასერილი.

— თავი ერთი ციცქნა მგონია, — თქვა თარიყმა.

— გინდა, აცოცდე? — ჰკითხა ბაბიმ.

— ქანდაკებაზე? — გაიოცა ლაილამ, — შეიძლება?

ბაბიმ გაუღიმა და ხელი გაუწოდა, — წამოდი.

თარიყისთვის ცოცვა რთული აღმოჩნდა. ლაილასა და ბაბის ეყრდნობოდა, ისინი კი დაკლაკნილ, ვიწრო, მკრთალად განათებულ კიბეზე ნელა მიიწევდნენ წინ. გზად იდუმალ გამოქვაბულებსა და

გვირაბებს ხვდებოდნენ, რომელთაც ქარაფები ყველა მხრიდან დაესეერათ.

— ფრთხილად დააბიჯეთ, — თქვა ბაბიმ. მისმა ხმამ ძლიერი ექო გამოსცა. — მიწას სახიფათო ზედაპირი აქვს.

კიბის ზოგიერთი ადგილი მოღიავებულიყო და მის ქვევით ბუდას ღრმული მოჩანდა.

— ბავშვებო, დაბლა არ დაიხედოთ. მხოლოდ წინ იყურეთ.

ზევით რომ აცოცდნენ, ბაბიმ თქვა, ერთ დროს ბამიანი სწრაფად განვითარებადი ბუდისტური ცენტრი იყო, სანამ მეცხრე საუკუნეში არაბთა ისლამური მმართველობის ქვეშ არ აღმოჩნდაო. ქვიშაქვის ქარაფები ბუდისტი ბერების სახლი იყო — მათ იქ გამოქვაბულები გამოკვეთეს, რომელთაც საცხოვრებლად ან დაქანცული პილიგრიმების თავშესაფრად იყენებდნენ. ბაბის თქმით, ბერებმა გამოქვაბულების კედლები და ჭერი ულამაზესი ფრესკებით მოხატეს.

— ზოგიერთი მოსაზრებით, — განაგრძობდა იგი, — ამ გამოქვაბულებში ხუთი ათასი განდეგილი ბერი ცხოვრობდა.

ბოლომდე რომ ავიდნენ, თარიყი ძლივსღა სუნთქავდა. ბაბიც ქოშინებდა, მაგრამ თვალები აღტაცებისგან უციმციმებდა.

— თავზე ვდგავართ, — თქვა მან, თან შუბლი ცხვირსახოცით მოიწმინდა, — აქ თავშესაფარია, საიდანაც გადახედვა შეგვიძლია.

კლდოვან შვერილამდე ფრთხილად მისული, ერთმანეთის გვერდიგვერდ მდგომი ლაილა, ბაბი და თარიყი ხეობას ზემოდან დაჰყურებდნენ.

— ამას შეხედეთ! — წამოიძახა ლაილამ.

ბაბის გაეღიმა.

ბამიანის ხეობა მიწათმოქმედებისთვის განკუთვნილი აბიბინებული მინდვრებით იყო მოფენილი. ბაბიმ თქვა, რომ ის, რაც ზემოდან მწვანედ მოჩანდა, ზამთრის ხორბალი, იონჯა და კარტოფილი იყო. ვერხვებით შემოსაზღვრულ მინდვრებს ღელეები და სარწყავი არხები ჯვარედინად კვეთდა. მათ ნაპირებთან პაწაწინა სილუეტები ჩანდა — ქალები ჩაცუცქულიყვნენ და სარეცხს რეცხავდნენ. ბაბიმ ბრინჯისა და ქერის

ყანებით მოფარდაგებულ ფერდობებზე მიუთითა. შემოდგომა იდგა და ლაილა კარგად არჩევდა ტალახის აგურით აშენებული საცხოვრებელი სახლების სახურავზე მოფუსფუსე, მოელვარე კიტელებში გამოწყობილ ხალხს, მოსავალს გასაშრობად რომ ამზადებდნენ. ქალაქიდან მომავალ მთავარ გზასაც ზოლად ვერხვის ხეები მიუყვებოდა. ქუჩის ორივე მხარეს პატარა მაღაზიები, ჩაიხანები და სადალაქოები იყო განლაგებული. სოფლის, მდინარისა და ნაკადულების მიღმა ლაილამ მოტიტვლებული, ჭუჭყიანი, ყავისფერი ბორცვები, კიდევ უფრო მოშორებით კი ავღანეთის ყველაზე შორეულ მხარეში დათოვლილი ჰინდუქუში დაინახა.

ამ ყველაფერს უზადო, მოკრიალებული ლურჯი ცა დაჰყურებდა.

— რა სიმშვიდეა, — ღრმად ჩაისუნთქა ლაილამ. პატარა ცხვრებსა და ცხენებს ხედავდა, მაგრამ მათი ბღავილისა და ჭიხვინის ხმა არ სწვდებოდა.

— ეს ადგილი ჩემთვის ყოველთვის სიმშვიდესა და სიმყუდროვეს უკავშირდება, — თქვა ბაბიმ, — მსურდა, ეს თქვენც გამოგეცადათ. ამას გარდა, ბავშვებო, მინდოდა, თქვენი ქვეყნის მემკვიდრეობა გენახათ, მისი მდიდარი წარსულის შესახებ გცოდნოდათ. იცით, ზოგიერთი რამ მე შემიძლია გასწავლოთ, ზოგსაც წიგნებიდან შეიტყობთ, მაგრამ არსებობს ისეთი რამ, რაც, უბრალოდ, უნდა ნახოთ და შეიგრძნოთ.

— შეხედეთ, — თქვა თარიყმა.

თვალი შავარდენს გააყოლეს, რომელიც სოფლის თავზე ირაოს ნარნარით ხაზავდა.

— დედა აქ ოდესმე მოგიყვანია? — ჰკითხა ლაილამ მამას.

— როგორ არა, ბევრჯერ. სანამ ბიჭები დაიბადებოდნენ. შემდეგაც. მაშინ დედაშენი მეტისმეტად გამბედავი და... ისეთი ენერგიული იყო! — სიცოცხლით სავსე და ყველაზე ბედნიერი ადამიანი, ვისაც კი ოდესმე შევხვედრივარ, — თქვა და მოგონებებმა ღიმილი მოჰგვარა, — მისი სიცილი. ლაილა, გეფიცები, ცოლად მაგ სიცილის

გამო შევირთე. სიცილი, რომელიც ისე განგაიარაღებდა, წინააღმდეგობას ვერ გაუწევდი.

— მე იმ გამოქვაბულებს დავათვალიერებ, — თქვა თარიყმა.

— ფრთხილად იყავი, — მიუგო ბაბიმ.

— ფრთხილად ვიქნები, ქაქა-ჯან, — თარიყის ხმა უკან ექოს სახით დაბრუნდა.

ლაილა ქვევით, მოშორებით, სამ კაცს დაჰყურებდა, რომლებიც ღობესთან მიბმული ძროხის შორიახლოს საუბრობდნენ. მათ გარშემო ხეები მოყავისფრო და ნარინჯისფერი, ხასხასა წითელი გამხდარიყო.

— შენც იცი, რომ ბიჭები მეც მენატრებიან, — თქვა ბაბიმ. თვალები ოდნავ აუწყლიანდა. ნიკაპი აუკანკალდა, — შეიძლება მე ვერ... დედაშენი, მისი სიხარულიც და მწუხარებაც უკიდეგანოა. ვერც ერთი ემოციის დაფარვას ვერ ახერხებს. არც არასდროს გამოსდიოდა. ვფიქრობ, მე განსხვავებული ვარ. მე მიდრეკილი ვარ... მაგრამ ამ ამბავმა, ბიჭების სიკვდილმა მეც გამტეხა. ისინი მეც მენატრებიან. დღე არ გადის, რომ... ძალიან რთულია, ლაილა. ისეთი რთულია, — ცერა და საჩვენებელი თითები თვალის შიდა კიდეებზე მოისვა. ლაპარაკის წამოწყება ისევ რომ სცადა, ხმა აუთრთოლდა. ტუჩები მოკუმა და გაჩერდა. ღრმად ჩაისუნთქა და გოგონას შეხედა, — მაგრამ მიხარია, რომ შენ მყავხარ. ღმერთს შენ გამო ყოველდღე მადლობას ვწირავ. ყოველდღე! ზოგჯერ, როცა დედაშენს მძიმე დღეები აქვს, მგონია, რომ ჩემთვის შენ ყველაფერი ხარ, ლაილა.

გოგონა მამას მიუახლოვდა და ლოყა მკერდზე მიადო. ბაბი ოდნავ შეცბუნებული ჩანდა. დედასგან განსხვავებით, სიყვარულს ფიზიკურად იგი იშვიათად გამოხატავდა. ლაილას თავზე სწრაფად აკოცა და ტლანქად მოხვია ხელი. ცოტა ხანს ასე გაირინდნენ, ზემოდან დაჰყურებდნენ ბამიანის ხეობას.

— მიუხედავად იმისა, რომ ეს მიწა ასე ძალიან მიყვარს, მის დატოვებაზე მაინც ვფიქრობ, — გააგრძელა ბაბიმ.

— სად უნდა წახვიდე?

— ნებისმიერ ადგილას, სადაც დავიწყებას შევძლებ. უპირველესად, პაკისტანზე ვფიქრობ. ერთი ან ორი წლით. ჩვენი საბუთების მოწესრიგებას დაველოდები.

— და მერე?

— მერე, სამყარო დიდია. შესაძლოა, ამერიკაში გავემგზავროთ. სადმე ზღვასთან ახლოს. კალიფორნიის მსგავს ადგილას.

ბაბიმ თქვა, ამერიკელები კეთილშობილი ხალხიაო. ცოტა ხნით, სანამ ფეხზე დავდგებით, ფულითა და საკვებითაც დაგვეხმარებიანო.

— სამუშაოს მოვძებნიდი და რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც საკმარის თანხას დავაგროვებდით, პატარა ავღანურ რესტორანს გავხსნიდით. არაფერი განსაკუთრებული, მხოლოდ პატარა, მოკრძალებული ადგილი იქნება, რამდენიმე მაგიდითა და ხალიჩით. კედლებზე ქაბულის ფოტოების დაკიდებაც შეიძლება. ამერიკელებს ავღანური კერძების გემოს გავასინჯებთ. და დედაშენის მზარეულობა მთელ ქუჩაზე რიგს დააყენებს. შენ, რა თქმა უნდა, სკოლაში სიარულს განაგრძობ. იცი ჩემი დამოკიდებულება ამასთან დაკავშირებით. შენთვის კარგი განათლების მოცემა, საშუალო სკოლის, შემდეგ კი კოლეჯის დამთავრება ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანია. მაგრამ თავისუფალ დროს, თუ მოისურვებ, შეგიძლია მოგვეხმარო კიდეც, შეკვეთები მიიღო, დოქები წყლით აავსო, და სხვა მსგავსი საქმეებით დაკავდე.

ბაბიმ თქვა, რომ რესტორანში დაბადების დღეებს, ნიშნობის ცერემონიალებსა და საახალწლო წვეულებებს მოაწყობდნენ; ომს გამოქცეული დანარჩენი ავღანელებისთვისაც თავშეყრის ადგილი გახდებოდა. გვიან ღამით, როდესაც ყველა წავიდოდა და რესტორანი დასუფთავდებოდა, ცარიელი მაგიდების შუაგულში ჩაის სამნი მიუსხდებოდნენ, დაღლილები, მაგრამ თავიანთი იღბლიანობით კმაყოფილები.

ბაბიმ საუბარი რომ დაასრულა, ორივენი გაჩუმდნენ. კარგად იცოდნენ, რომ დედა არსად წავიდოდა. სანამ აჰმადი და ნური ცოც-

ხლები იყვნენ, ავღანეთის დატოვება მისთვის წარმოუდგენელი იყო. ახლა კი, როდესაც ისინი შაჰიდები გახდნენ, ბარგის ჩალაგება და გაქცევა უარესი შეურაცხყოფა, ღალატი, მისი ვაჟების თავგანწირვის უგულებელყოფა იქნებოდა.

ლაილამ ნათლად წარმოიდგინა დედის სიტყვები: „ეს როგორ გაიფიქრე?! ბიძაშვილო, მათი სიკვდილი შენთვის არაფერს ნიშნავს? ერთადერთი ნუგეში იმის ცოდნაა, რომ მე მათი სისხლით დანამულ მიწაზე დავაბიჯებ. არც იფიქრო! არასდროს!“

გოგონამ იცოდა, მიუხედავად იმისა, რომ ფარიბა უკვე მეუღლის მოვალეობას დიდი ხანია აღარ ასრულებდა, ლაილასთვის მაინც დედა იყო და მამაც ვერასდროს შეძლებდა მის გარეშე გამგზავრებას. ფარიბას გამო იგი ზუსტად ისევე მოისვრიდა თავის ოცნებებს, როგორც ფქვილის ნამცეცებს იბერტყავდა ხოლმე პალტოდან, სამსახურიდან შინ დაბრუნებული. ასე რომ, რაც არ უნდა მომხდარიყო, აქ დარჩებოდნენ. ომის დამთავრებამდეც და ომის შემდეგაც.

ლაილას გაახსენდა, ერთხელ დედამ ბაბის უთხრა, რომ ცოლად გაჰყვა ადამიანს, რომელსაც მრწამსი არ გააჩნდა. თუმცა დედას არ ესმოდა, რომ, თუკი სარკეში ჩაიხედავდა, ბაბის ცხოვრების უცვლელ მრწამსს სწორედ იქ დაინახავდა.

მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც მოხარშული კვერცხი, კარტოფილი და პური მიირთვეს, თარიყმა ხის ქვეშ, მოჩუხჩუხე ნაკადულის ნაპირზე ჩათვლიმა. თავისი პალტო ფაქიზად ბალიშივით გადაეხვია, გადაჯვარედინებული ხელები კი გულმკერდზე დაეწყო. მძღოლი სოფელში ნუშის საყიდლად წავიდა. ბაბი მსხვილი აკაციის ძირში ჩამომჯდარიყო და რბილყდიან წიგნს კითხულობდა. ლაილას ეს წიგნი კარგად ახსოვდა. ერთხელ მამამ წაუკითხა. მასში მოხუცი მეთევზის — სანტიაგოს ამბავი იყო მოთხრობილი, რომელმაც უზარმაზარი თევზი დაიჭირა, მაგრამ როდესაც თავისი ნავით ნაპირამდე უსაფრთხოდ მიაღწია, ჯილდოდ მიღებული თევზისგან აღარაფერი შერჩენოდა; ზვიგენებმა მთლიანად ნაფლეთებად უქციეს.

ლაილა ნაკადულის პირას იჯდა, ფეხები ცივ წყალში ჩაეწყო. მის თავს ზემოთ კოღოები ბზუოდნენ და კანადური ვერხვის თესლები ჰაერში დაფარფატებდნენ. ნემსიყლაპიები შორიახლო ზუზუნებდნენ. ლაილა აკვირდებოდა, როგორ ელვარებდა მზის შუქზე იისფრად, შემდეგ მწვანედ და ნარინჯისფრად მათი ფრთები, როდესაც ბალახის ერთი ღეროდან მეორეზე ბზუილით დახტოდნენ. ნაკადულის გაღმა ადგილობრივი ჰაზარა ბიჭები ძროხის გამომშრალ ნაკელს აგროვებდნენ და ზურგზე მიბმულ ჯუთის ტომრებში ყრიდნენ. სადღაც ვირი ყროყინებდა. იქვე გენერატორი ახმაურდა.

ლაილა ბაბის პატარა ოცნებაზე ისევ დაფიქრდა. სადმე ზღვასთან ახლოს...

იყო რაღაც, რაც იქ, ბუდას თავზე, გოგონას მამისთვის არ გაუმხელია. არსებობდა მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც მოხარული იყო, რომ წასვლას ვერ შეძლებდნენ. მოენატრებოდა გითი და მისი თან დაღრეჯილი და თან სერიოზული სახე; ჰასინა, თავისი ბოროტი სიცილითა და თავზე ხელაღებული მასხრობით. მაგრამ უმთავრესი მიზეზი მაინც ის იყო, რომ ლაილას ძალიან კარგად ახსოვდა, თარიყის ღაზნიში წასვლის შემდეგ, მის გარეშე გატარებული ოთხი საშინელი კვირა: დრო მაშინ უსაშველოდ გაიწელა, მოლოდინისგან თავს მოუსვენრად გრძნობდა, წონასწორობას კარგავდა. მასთან სამუდამოდ განშორებას როგორღა შეეგუებოდა?

შესაძლოა, უაზრობა იყო ლაილას სურვილი, რომ ამ ადამიანის გვერდით ეცხოვრა ქვეყანაში, სადაც ტყვიამ მისი ძმები ნაფლეთებად აქცია. მაგრამ გოგონას მაშინვე გაახსენდა, მის გამო როგორ დაესხა თარიყი თავს ხადიმს, და ყველაფერი თავის ადგილას დადგა.

ექვსი თვის შემდეგ, 1988 წლის აპრილში, ბაბი შინ მნიშვნელოვანი ამბით დაბრუნდა.

— შეთანხმებას ხელი მოაწერეს! — თქვა მან, — ჟენევაში. ოფიციალური დოკუმენტია! მიდიან. ცხრა თვეში ავღანეთში საბჭოელები აღარ იქნებიან!

დედა საწოლზე წამომჯდარიყო. მხრები აიჩეჩა.

— მაგრამ კომუნისტური რეჟიმი ხომ რჩება?! — თქვა მან, — ნაჯიბულა საბჭოელების მარიონეტი პრეზიდენტია. ის არსად მიდის. არა, ბრძოლა გაგრძელდება. ეს დასასრული არ არის.

— ნაჯიბულა დიდხანს ვერ დარჩება, — მიუგო ბაბიმ.

— ისინი მიდიან, დედიკო! ნამდვილად მიდიან!

— თუ გსურთ, თქვენ ორმა იზეიმეთ. მაგრამ მე იქამდე ვერ მოვისვენებ,სანამ მოჯაჰედები გამარჯვების აღლუმს აქ, ქაბულში არ გამართავენ!

ამ სიტყვების შემდეგ ისევ დაწვა და საბანი გადაიფარა.

## 22

1989 წლის იანვარი

1989 წლის იანვრის ერთ ცივ, ღრუბლიან დილას, ლაილას მეთერთმეტე დაბადების დღემდე სამი თვით ადრე, ის, მისი მშობლები და ჰასინა ქალაქში დარჩენილი უკანასკნელი საბჭოთა ავტოკოლონის სანახავად წავიდნენ. მაყურებელი მთავარი ქუჩის ორივე მხარეს, სამხედრო კლუბთან, ვაზირ აქბარ ხანთან(ვაზირ აქბარ ხანი — მდიდრებით დასახლებული უბანი ქაბულის ცენტრში, რომელსაც ეს სახელი ავღანელი პოლიტიკური მოღვაწისა და მეომრის — აქბარ ხანის (1816-1845) პატივსაცემად ეწოდა.) ახლოს შეკრებილიყო; ჭყაპში იდგნენ და ტანკების, ჯავშნიანი სატვირთო ავტომობილებისა და ჯიპების მწკრივს შესცქეროდნენ. აკვირდებოდნენ, როგორ დაფარფატებდნენ მსუბუქი თოვლის ფანტელები მათი ფარების თვალისმომჭრელ შუქზე. აქეთ-იქიდან ქირქილი და დამცინავი რეპლიკები ისმოდა. ავღანელი ჯარის-

კაცები ხალხს გზასთან ახლოს არ უშვებდნენ. დროდადრო გასაფრთხილებლად ჰაერში ისროდნენ.

დედამ აჰმადისა და ნურის ფოტოები თავს ზემოთ ასწია. ეს ის ფოტო იყო, ბიჭები მსხლის ხის ქვეშ ერთმანეთთან ზურგებმიბჯენილი რომ ისხდნენ. მის მსგავსად სხვა ქალებსაც ეჭირათ თავიანთი შაჰიდი ქმრების, ვაჟების, ძმების ფოტოები.

ლაილასა და ჰასინას მხარზე ვიღაც შეეხო. თარიყი იყო.

— ეს საიდან მოიტანე? — წამოიძახა ჰასინამ.

— ვიფიქრე, შემთხვევის შესაბამისად ჩავიცვამ-თქო, — თქვა თარიყმა. უზარმაზარი რუსული ბეწვის ქუდი ეხურა, რომლის ყურებიც ძირს ჰქონდა ჩამოშვებული. — როგორ გამოვიყურები?

— სასაცილოდ, — გაიცინა ლაილამ.

— იდეაც ესაა.

— შენს მშობლებთან ერთად აქ ასე ჩაცმული მოხვედი?

— ისინი სახლში არიან, — უპასუხა ბიჭმა.

გასულ შემოდგომაზე თარიყის ბიძა, რომელიც ღაზნიში ცხოვრობდა, გულის შეტევით გარდაიცვალა. რამდენიმე კვირის შემდეგ გულის შეტევა თარიყის მამამაც გადაიტანა, დასუსტდა და გადაიღალა, შიში დასჩემდა, დეპრესიის პერიოდი კი ზოგჯერ კვირები უგრძელდებოდა. ლაილას გაუხარდა ასეთი თარიყის ნახვა, ისევ ძველ თარიყს დამსგავსებოდა. მამამისის ავადმყოფობის შემდეგ რამდენიმე კვირა ლაილა ხედავდა, რომ ბიჭი უხასიათოდ იყო და მოქუფრული დადიოდა.

სანამ ლაილას მშობლები საბჭოელებს უყურებდნენ, ლაილა, თარიყი და ჰასინა გამოიპარნენ. თარიყმა ქუჩის გამყიდველისგან სამივესთვის იყიდა თითო თეფში მოხარშული ლობიო, რომელსაც თავზე ქინძის სქელი ჩატნი(ჩატნი — (ინდ.) მოტკბო-მომჟავო საწებელი, რომელსაც სხვადასხვა არომატული მცენარისა და სუნელებისგან ამზადებენ. ჩატნის მრავალი სახეობა არსებობს. ) ჰქონდა მოსხმული. უახლოესი ხალიჩების მაღაზიის საჩრდილობლის ქვეშ მიირთვეს, შემდეგ კი ჰასინა თავისი ოჯახის მოსაძებნად გაეშურა.

ავტობუსით შინ რომ ბრუნდებოდნენ, თარიყი და ლაილა მშობლების უკან დასხდნენ. დედა ფანჯარასთან იჯდა, ფანჯრიდან სივრცეს გაჰყურებდა, ფოტო მკერდზე ჰქონდა მიხუტებული. მის გვერდით მოკალათებული ბაბი აუღელვებლად უსმენდა მამაკაცის მსჯელობას, რომ საბჭოელებს თუნდაც დაეტოვებინათ იქაურობა, ნაჯიბულას ქაბულში იარაღს მაინც გაუგზავნიდნენ.

— ის ხომ მათი მარიონეტია?! მისი მეშვეობით ომს გააგრძელებენ. შემიძლია სანაძლეო დაგიდოთ!

რიგებს შორის გასასვლელში მამაკაცს ვიღაც დაეთანხმა.

დედა მეტისმეტად გრძელ ლოცვას სულმოუთქმელად ბუტბუტებდა, სანამ სუნთქვა არ შეეკრა და იძულებული არ გახდა, რომ შეესვენა. შემდეგ კი ბოლო რამდენიმე სიტყვა მაღალ ტონალობაში წამოიკივლა.

ლაილა და თარიყი იმავე დღეს, მოგვიანებით კინოთეატრ „პარკში“ წავიდნენ და სპარსულად დუბლირებულ საბჭოთა ფილმზე აღმოჩნდნენ, რომელიც მეტისმეტად კომიკურად ჟღერდა. მოქმედება სავაჭრო გემზე ხდებოდა. კაპიტნის პირველი თანაშემწე კაპიტნის ქალიშვილს, ალიონას, გაუმიჯნურდა. შემდეგ დაიწყო საშინელი შტორმი, ჭექა-ქუხილი და წვიმა. აბობოქრებული ზღვა გემს აქეთ-იქით ანარცხებდა. ერთ-ერთმა სასოწარკვეთილმა მეზღვაურმა რაღაც წამოიყვირა. წარმოუდგენლად მშვიდი ავღანური ხმა კი ამ დროს თარგმნიდა: „ძვირფასო სერ, თოკს ხომ ვერ მომაწვდიდით?“

ამ სიტყვებზე თარიყს ხითხითი აუტყდა. და მალე სიცილს ვერც ერთი უხერხებდა ვერაფერს. როდესაც ბიჭი დაიქანცებოდა, გოგონა ფრუტუნებდა და ასე მიდიოდნენ მორიგ რაუნდზე. ორი რიგით წინ მჯდომი კაცი შემობრუნდა და ბავშვებს სიჩუმისკენ მოუწოდა.

ფილმის ბოლოსკენ ქორწილის სცენა იყო. კაპიტანი საბოლოოდ დათმობაზე წავიდა და ალიონას პირველ თანაშემწეზე გათხოვების ნება დართო. ახალდაქორწინებულები ერთმანეთს უღიმოდნენ. გარშემო ყველა არაყს სვამდა.

— არასდროს დავქორწინდები, — ჩურჩულით თქვა თარიყმა.

— არც მე, — გამოეხმაურა ლაილა, მაგრამ მხოლოდ ერთწამიანი ნერვიული ყოყმანის შემდეგ. აღელდა, რადგან მის ხმაში იმედგაცრუება გაისმა. გულაჩქარებულმა, მეტი დამაჯერებლობისთვის, დაამატა, — არასდროს.

— ქორწილი სისულელეა.

— აურზაური.

— ფულის ტყუილად ფლანგვა.

— და რისთვის?

— ტანსაცმლისთვის, რომელსაც მეტად აღარასდროს ჩაიცვამ.

— ჰო!

— თუკი ოდესმე მაინც დავქორწინდები, — განაგრძო თარიყმა, — საქორწინო სცენაზე ადგილი უნდა გამოყონ სამი ადამიანისთვის — ჩემთვის, პატარძლისთვის და მესამე პირისთვის, რომელიც საფეთქელთან იარაღს მომაბჯენს.

წინა რიგში მჯდომმა კაცმა კიდევ ერთი გამაფრთხილებელი მზერა სტყორცნა.

ეკრანზე ახალშეუღლებული ალიონა და მისი ქმარი ერთმანეთს ტუჩებით გადაჭდობოდნენ.

კოცნის კადრის ყურებისას ლაილას უცნაური გრძნობა დაეუფლა. როცა მის გვერდით მჯდომი თარიყიც გაშეშდა და გაირინდა, იგრძნო, რომ გულმა ბაგაბუგი დაუწყო, სისხლი ყურებში მოაწვა. კოცნა გაგრძელდა. ლაილამ აუცილებელ საჭიროებად მიიჩნია, არც შერხეულიყო და არც ეხმაურა. მიხვდა, რომ თარიყი ცალი თვალით ეკრანზე კოცნას უყურებდა, მეორეთი კი ლაილას, რომელსაც თვალი მისკენ გაურბოდა. ნუთუ თარიყი მის სუნთქვას აყურადებდა? ალბათ აკვირდებოდა, როგორ მოძრაობდა ჰაერი ლაილას ნესტოებში, ჩასაფრებული ელოდა მისი სუნთქვის გახშირებას, რაც გოგონას გრძნობებს გაამჟღავნებდა.

ნეტავ, თარიყის კოცნისას რა გრძნობა დაეუფლებოდა, საკუთარ ტუჩებზე მისი ტუჩების ზემოთ ამოზრდილ ღინღლს რომ შეიგრძნობდა?

ბიჭი სკამზე აწრიალდა და დაძაბული ხმით თქვა, — იცოდი, რომ, თუ ციმბირში წვინტლი ძირს ჩამოვარდება, სანამ მიწაზე დაეცემა, ჰაერშივე მწვანე ყინულის ლოლუად გადაიქცევა?

ორივეს გაეცინა, მაგრამ ცოტა ხნით და ნერვიულად. როდესაც ფილმი დასრულდა და გარეთ გამოვიდნენ, ლაილამ შვებით ამოისუნთქა, რადგან დაბინდებულიყო და თარიყისთვის თვალის გასწორება დღის შუქზე არ მოუწევდა.

## 23

1992 წლის აპრილი

სამი წელი გავიდა.

ამასობაში თარიყის მამამ კიდევ რამდენიმე გულის შეტევა გადაიტანა. მარცხენა ხელს ვეღარ ხმარობდა და ენის ბორძიკი დაეწყო, რაც აღელვებისას უფრო მეტად ეტყობოდა.

თარიყს ფეხის პროთეზი ისევ დაუპატარავდა და წითელმა ჯვარმა ახალი მისცა, თუმცა მანამდე ექვსი თვე მოუხდა ლოდინი.

როგორც ჰასინა შიშობდა, მისმა ოჯახმა იგი ლაჰორში წაიყვანა და მისსავე ბიძაშვილს, ავტომობილების სახელოსნოს მფლობელს მიათხოვა. იმ დილას, როდესაც ჰასინა წაიყვანეს, ლაილა და გითი მის სახლში გამოსამშვიდობებლად მივიდნენ. გოგონამ მეგობრებს ამცნო, რომ ბიძაშვილმა, ანუ მომავალმა ქმარმა, გერმანიაში მათი საცხოვრებლად გადასვლისთვის საჭირო პროცედურებზე ზრუნვა უკვე დაიწყო. იქ მისი ძმები ცხოვრობდნენ და ჰასინა ფიქრობდა, რომ სადღაც ერთ წელიწადში, თვითონაც უკვე ფრანკფურტში იქნებოდნენ. მოგვიანებით ერთმანეთს გადახვეულმა მეგობრებმა სამ ხმაში იტირეს. გითის მწუხარებას ვერაფერი აქარვებდა. ჰასინა ლაილამ ბოლოს მაშინ ნახა, როდესაც გოგონას მამამისი სავსე ტაქსის უკანა სავარძელზე დაჯდომაში ეხმარებოდა.

საბჭოთა კავშირი გასაოცარი სისწრაფით დაიშალა. ლაილა ამჩნევდა, რომ ყოველი რამდენიმე კვირის შემდეგ ბაბი შინ კიდევ ერთი რესპუბლიკის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების ამბით ბრუნდებოდა. ლიტვა. ესტონეთი. უკრაინა. საბჭოთა დროშა კრემლზეც კი დაუშვეს. დაიბადა რუსეთის რესპუბლიკა.

ქაბულში ნაჯიბულამ ტაქტიკა შეცვალა. ყველანაირად ცდილობდა, თავგამოდებულ მუსლიმად წარმოჩენილიყო.

— ეს ძალიან ცოტაა და თან ძალიან დაგვიანებული, — ამბობდა ბაბი. — არ შეიძლება, ერთ დღეს „ხადს“ ხელმძღვანელობდე, მეორე დღეს კი მეჩეთში ლოცულობდე იმ ადამიანებთან ერთად, რომელთა ნათესავებსაც აწამებდი და კლავდი.

როგორც კი ქაბულში მოსალოდნელი დაძაბულობა იგრძნო, ნაჯიბულამ მოჯაჰედებთან შეთანხმების მიღწევა სცადა, თუმცა მათ თავი აარიდეს.

დედამ საწოლიდან წამოიძახა:

— ასე უნდა!

ქალი სადღესასწაულო მსვლელობის მოლოდინში ფხიზლობდა და მოჯაჰედებისთვის ლოცულობდა, თავისი ვაჟიშვილების მტრების დაცემას ელოდა.

საბოლოოდ ასეც მოხდა 1992 წლის აპრილში, იმ წელს, როდესაც ლაილა თოთხმეტის გახდა.

ბოლოს და ბოლოს, ნაჯიბულა დანებდა. მას თავშესაფარი ქალაქის სამხრეთით, დარ-ოლ-ამანის სასახლესთან ახლოს, გაეროს სამხედრო ტყვეთა დროებით ბანაკში მისცეს.

ჯიჰადი დასრულდა. ყველა კომუნისტური რეჟიმი, რომლის ხელშიც კი, ლაილას დაბადების შემდეგ, ძალაუფლება იყო, დამარცხდა. დედას გმირებმა, აჰმადისა და ნურის ძმებმა ბრძოლა მოიგეს. ახლა კი ათწლეულზე მეტი ხნის თავგანწირვის, ოჯახების დატოვების, მთებში გახიზვნისა და ავღანეთის სუვერენიტეტისთვის ბრძოლის შემდეგ დაღლილი მოჯაჰედები ქაბულისკენ მოემართებოდნენ.

დედამ ყველა მათგანის სახელი იცოდა.

ერთ-ერთი დოსთუმი იყო, დიდებული უზბეკი სარდალი, ჯომბეშ-ე მელის ფრაქციის ხელმძღვანელი, რომელიც მტკიცე ერთგულე-ბით გამოირჩეოდა; ემოციური, პირქუში გოლბოდინ ჰექმათი-არი(გოლბოდინ ჰექმათიარი — ავღანეთის ყოფილი პრემიერ-მინის-ტრი, საველე მეთაური, ავღანეთის ისლამური პარტიის — ჰეზბ-ე ესლა-მის დამფუძნებელი და ლიდერი.), ჰეზბ-ე ესლამის ფრაქციის ლიდერი, პუშტუნი, რომელიც საინჟინრო საქმეს სწავლობდა და ერთხელ მაოის-ტი სტუდენტი შემოაკვდა; რაბანი, ჯამიათ-ე-ესლამის ტაჯიკი ლიდერი, რომელმაც ისლამი ქაბულის უნივერსიტეტში, მონარქიის პერიოდში, შეისწავლა. საიაფი, არაბული ფესვების მქონე პუშტუნი ფაღმანიდან, ჩასკვნილი მუსლიმი და ეთეჰად-ე ესლამის ფრაქციის მეთაური; აბ-დულ ალი მაზარი, ჰეზბ-ე ვაჰდათის ფრაქციის ლიდერი, თანამოძმე ჰა-ზარებში ბაბა მაზარის სახელით ცნობილი, ღრმა შიიტურ-ირანული ფესვებით.

და, რაღა თქმა უნდა, დედას გმირი, რაბანის მოკავშირე, თავშეკა-ვებული, ქარიზმატული ტაჯიკი სარდალი აჰმად შაჰ მასუდი, ფანჯშირის ლომი. მისი პოსტერი ქალს ოთახში ჰქონდა გამოკრული. მასუდის წარმოსადეგი, ჩაფიქრებული სახე, აზიდული წარბები და ფაქოლის გვერდულად ტარების მანერა, ქაბულში საყოველთაოდ ცნობილი გახ-და. მისი ემოციით აღსავსე თვალები ბილბორდებიდან, კედლებიდან, მაღაზიების ვიტრინებიდან, ტაქსის ანტენებზე დამაგრებული პატარა დროშებიდან დაჟინებით იმზირებოდა.

დედა ამ დღისკენ ისწრაფოდა. ამდენი წლის მოლოდინმა ხორცი შეისხა.

როგორც იქნა, ბოლო მოეღო ლოცვაში გათენებულ ღამეებსა და მისი ვაჟებიც განსასვენებელს ჰპოვებდნენ.

ნაჯიბულამ კაპიტულაცია რომ გამოაცხადა, დედა ლოგინიდან ხე-ლახლა დაბადებულივით წამოდგა. აჰმადისა და ნურის მოწამეობრივი სიკვდილიდან ხუთი წლის შემდეგ, იმ დღეს პირველად გაიხადა შავი. ლურჯი, თეთრწინწკლებიანი სელის კაბა ჩაიცვა. ფანჯრები დაწმინდა,

იატაკი დაგავა, სახლი გაანიავა და ხანგრძლივი აბაზანა მიიღო. მხიარული ხმა ჰქონდა.

— წვეულების ამბავი მოგვარებულია, — გამოაცხადა ქალმა. ლაილა მეზობლების დასაპატიჟებლად გაგზავნა, — უთხარი, რომ ხვალ დიდი საუზმე გვექნება.

დედა სამზარეულოში შევიდა, გარშემო მიმოიხედა, ხელები ტუჩებზე აიფარა და ქალიშვილს მეგობრულად უსაყვედურა, — ლაილა, ჩემი სამზარეულოსთვის რა გიქნია? არაფერი თავის ადგილას აღარ დევს.

ქვაბებისა და ტაფების გადალაგება დაიწყო, თეატრალურად მოძრაობდა, თითქოს თავისი ტერიტორიის დაბრუნებაზე ხელახლა აცხადებდა პრეტენზიას. ლაილა განზე იდგა. ასე ამჯობინა. დედა ეიფორიული შეტევის დროსაც კი ისეთივე დაუცხრომელი იყო, როგორიც გამძვინვარებისას. ქალი მთელი შემართებით შეუდგა მზარეულობას: აშის სუპი მარცვალი ლობიოთი და ხმელი კამით; ქუფთა(ქუფთა — გუფთა.) და მაწონმოსხმული, პიტნის ფოთლებით გაფორმებული მანთუ(მანთუ — ავღანური ტრადიციული კერძი, რომელიც გატარებული ხორცით, ცომით, მუხუდოთი, ხახვით, ნივრით, ქინძითა და სხვადასხვა სანელებლით მზადდება.) მოამზადა, რომელსაც ოხშივარი ასდიოდა.

— წარბებს იქნი, — უთხრა დედამ გოგონას, თან ბრინჯის შესანახ ქერელის ტომარას სამზარეულოს დახლზე ხსნიდა.

— მხოლოდ ოდნავ, — უპასუხა ლაილამ.

დედამ ბრინჯი ტომრიდან დიდ, შავ, წყლიან ქვაბში გადმოყარა. სახელოები აიკაპიწა და მორევა დაიწყო.

— თარიყი როგორ არის?

— მამა ჰყავდა ავად, — მიუგო ლაილამ.

— ახლა რამდენი წლისაა?

— არ ვიცი, ალბათ სამოცის.

— თარიყს ვგულისხმობდი.

— ოჰ, თექვსმეტის.

— კარგი ბიჭია. არ მეთანხმები?

ლაილამ მხრები აიჩეჩა.

— თუმცა რაღა ბიჭია, თექვსმეტი წლის. უკვე კაცია, ასე არ არის?

— დედა, რის თქმას ცდილობ?

— არაფრის, — თქვა ქალმა და გულუბრყვილოდ გაიღიმა. — არაფრის, მხოლოდ ის, რომ შენ... არა, არაფერი. ჯობს არაფერი ვთქვა.

— ვხედავ, რომ რაღაცის თქმას ცდილობ, — მიუგო ამ შემოვლითი, შემპარავი ბრალდებით გაღიზიანებულმა ლაილამ.

— კარგი, — დედამ ხელები ქვაბის კიდეზე შემოაწყო. ქალის მიერ ნათქვამ „კარგი“-ში და მისი ხელების მოძრაობაში იყო რაღაც არაბუნებრივი. ლაილა შიშით დაელოდა დედის სიტყვით გამოსვლას, რომელიც წინასწარ მომზადებულს ჰგავდა.

— როდესაც ბავშვები იყავით, მაშინ სულ სხვა რამე იყო. ამით არაფერი შავდებოდა, შესანიშნავიც კი იყო. მაგრამ ახლა შევნიშნე, რომ უკვე ბიუსჰალტერს ატარებ, ლაილა.

გოგონა გაოგნდა.

— და, სხვათა შორის, ბიუსჰალტერთან დაკავშირებით შეგეძლო ჩემთვის გეთქვა. არ ვიცოდი. იმედგაცრუებული ვარ, რომ მე არ მითხარი! — იგრძნო რა თავისი უპირატესობა, დედა შეტევაზე გადავიდა. — ნებისმიერ შემთხვევაში, მთავარი პრობლემა მე ან ბიუსჰალტერი კი არა, არამედ შენი და თარიყის ურთიერთობაა. ის ბიჭია და თავის რეპუტაციაზე სულ არ დარდობს. მაგრამ შენ? გოგონას რეპუტაცია, განსაკუთრებით შენისთანა ლამაზი გოგონასი, დელიკატური საკითხია, ლაილა. პატიოსანი სახელი მაინასავითაა(შოშიას სახეობა.), ხელს ოდნავ შეუშვებ თუ არა, მაშინვე გაგიფრინდება.

— იმაზე რაღას იტყვი, თავად ბაბისთან ერთად კედლებზე რომ დაცოცავდი და ხეხილის ბაღებში მალულად დაიპარებოდი? — უპასუხა ძალების სწრაფად აღდგენით კმაყოფილმა ლაილამ.

— ჩვენ ბიძაშვილები ვიყავით და დავქორწინდით. ამ ბიჭმა ხელი გთხოვა?

— ის ჩემი მეგობარია, რაფიყი(რაფიყი — ამხანაგი, მეგობარი. ). ჩვენ შორის არაფერი ხდება, — უპასუხა ლაილამ, მაგრამ მის ხმაში თავდაცვა უფრო იგრძნობოდა, ვიდრე დამაჯერებლობა. — ჩემთვის ძმასავითაა, — განაგრძო გოგონამ დედისთვის კვალის ასარევად. მაგრამ თავის შეცდომას მანამდე მიხვდა, სანამ ქალს სახეზე ღრუბელი გადაურბენდა და მოიღუშებოდა.

— მაგრამ ის შენი ძმა არ არის, — კატეგორიულად მიუგო დედამ. — მაგ დურგლის ცალფეხა ბიჭს შენს ძმებს ვერ შეადარებ. მათ არავინ ჰგავს.

— მე არ მითქვამს, რომ ის... ამას არ ვგულისხმობდი.

დედამ ჰაერი ცხვირით ღრმად შეისუნთქა და კბილები ერთმანეთს მაგრად დააჭირა.

— ნებისმიერ შემთხვევაში, — ქალმა საუბარი რამდენიმე წუთის წინანდელი მოკრძალებული წინდახედულების გარეშე განაგრძო, — იმის ახსნას ვცდილობ, რომ თუ ფრთხილად არ იქნები, ხალხი იჭორავებს.

ლაილას სურდა, რომ რაღაც ეთქვა. თუმცა დედის სიტყვები რეალობას მოკლებული არ იყო. გოგონამ იცოდა, ქუჩაში თარიყთან ერთად გულუბრყვილო, ლაღი ანცობის დრო გასულიყო. იმ დღიდან, როცა კი ბიჭთან ერთად ქუჩაში ხალხის დასანახად გაივლიდა, ლაილას უცნაური გრძნობა ეუფლებოდა. მხოლოდ ახლა დაფიქრდა იმაზე, რასაც აქამდე ვერ აცნობიერებდა. მათ უყურებდნენ, გულდასმით აკვირდებოდნენ, ჩურჩულებდნენ. ამ ყველაფერს მაინც არ მიაქცევდა ყურადღებას, რომ არა ერთი უმთავრესი გარემოება: მას თარიყი შეუყვარდა, უიმედოდ და თავდავიწყებით. მასთან სიახლოვისას ყველაზე სამარცხვინო ფიქრები იპყრობდა; წარმოიდგენდა, როგორ იყო ბიჭის გამხდარი, შიშველი სხეული მასთან გადახლართული. ღამით ლოგინში განმარტოებული კი ნათლად ხედავდა, როგორ უკოცნიდა თარიყი მუცელს; გრძნობდა ბიჭის ხელების სიმხურვალეს, მისი ტუჩების სინაზეს კისერზე, გულმკერდზე, ზურგზე და კიდევ უფრო ქვევით. ამ ყველაფერზე ფიქრისას, დანა-

შაულის გრძნობა იპყრობდა. თუმცა, ამავდროულად, სითბოც ეღვრებოდა, რომელიც მუცლიდან ზევით მიიწევდა, სანამ სახეს ვარდისფრად არ აუელვარებდა.

არა. დედა მართალი იყო. მან უფრო მეტი იცოდა. ლაილა ეჭვობდა, ყველა თუ არა, მეზობლების უმეტესობა მასსა და თარიყზე უკვე ჭორაობდა. ლაილა მათ სახეებზე ამჩნევდა ეშმაკურ ღიმილს, ესმოდა მეზობლების ჩურჩული, თითქოს ის და თარიყი უკვე წყვილი ყოფილიყვნენ. ერთ დღეს ბიჭთან ერთად ქუჩაში სეირნობდა და მეწაღე რაშიდსა და მის ბურკაში გამოწყობილ მეუღლეს, მარიამს გადააწყდნენ. რაშიდმა ხალისიანად მიაძახა, — ლაილა და მაჯნუნი არ არიან? — მეთორმეტე საუკუნის პოპულარული რომანტიკული პოემის სიყვარულში ხელმოცარულ გმირებს შეადარა. როგორც ბაბი ამბობდა, ნიზამის პოემა „რომეო და ჯულიეტას“ სპარსული ვერსია იყო, თუმცა მან უიღბლო შეყვარებულების ამბავი შექსპირზე ოთხი საუკუნით ადრე დაწერა.

დედა მართალი იყო.

მაგრამ ლაილა ღიზიანდებოდა, რადგან დედას ჩარევის უფლება არ დაემსახურებინა. სულ სხვა საქმე იქნებოდა, ამ საკითხს ბაბი თუ წამოჭრიდა. მაგრამ დედა? მთელი ამ წლების განმარტოების, ოთახში გამოკეტვისა და ლაილას ცხოვრებისადმი გულგრილობის შემდეგ... უსამართლობა იყო! გოგონას შეგრძნება ჰქონდა, რომ ამ ქვაბებსა და ქოთნებს არაფრით აღემატებოდა; დედამ ის ჯერ დაივიწყა და მხოლოდ მაშინ მოიკითხა, როცა ამის ხასიათზე თავად მოვიდა.

მაგრამ ეს დიდი დღე იყო, თითოეული მათგანისთვის განსაკუთრებული დღე. და ამ ყველაფრის გაფუჭება დასანანი იქნებოდა. სწორედ ამიტომ ლაილამ ქალის სიტყვები უბრალოდ გაატარა.

— მესმის, რასაც გულისხმობ, — მიუგო გოგონამ.

— ძალიან კარგი! — თქვა დედამ, — მაშინ ყველაფერი გადაწყვეტილია. ჰაქიმი სად არის? სად არის ჩემი პატარა, საყვარელი ქმარი?

კაშკაშა, უღრუბლო დღე იყო. სწორედ წვეულებისთვის შესაფერისი. მამაკაცები ეზოში მორყეულ დასაკეც სკამებზე ისხდნენ. ჩაის სვამდნენ, ეწეოდნენ და მხიარულად, ხმამაღლა საუბრობდნენ მოჯაჰედე-

ბის გეგმაზე. ლაილამ ბაბისგან შეიტყო მისი მონახაზი: ავღანეთს ახლა ავღანეთის ისლამური სახელმწიფო ეწოდებოდა. ისლამური ჯიჰადის საბჭო, რომელიც ფეშავარში რამდენიმე მოჯაჰედურმა დაჯგუფებამ ჩამოაყალიბა, ორი თვის განმავლობაში სებღათოლა მოჯადადის მიერ წარმართულ მოვლენებს ზედამხედველობას გაუწევდა. ამას მოჰყვებოდა რაბანის საბჭოს ოთხთვიანი მმართველობა. ამ ექვს თვეში ჩატარდებოდა ლოია ჯირგა — მეთაურებისა და უხუცესების გაფართოებული საბჭო, რომელიც დროებით მმართველობას ორი წლის ვადით შექმნიდა და დემოკრატიული არჩევნებიც ჩატარდებოდა.

ერთ-ერთი მამაკაცი შამფურზე წამოცმულ, თვითნაკეთ მაყალზე აშიშხინებულ ბატკანს უნიავებდა. ბაბი და თარიყის მამა ძველი მსხლის ხის ჩრდილქვეშ ჭადრაკს თამაშობდნენ. ყურადღების დაძაბვისგან სახეები შეჭმუხნოდათ. თარიყიც დაფას მისჯდომოდა, მატჩის მიმდინარეობას თვალყურს ადევნებდა, თან ცალი ყური მომიჯნავე მაგიდისკენ ჰქონდა, სადაც პოლიტიკური პოლემიკა გაემართათ.

ქალები მისაღებ ოთახში, დერეფანსა და სამზარეულოში შეკრებილიყვნენ. მუსაიფობდნენ, თან ბავშვები ხელში აჰყავდათ და თეძოების უმნიშვნელო რხევით აქეთ-იქით ოსტატურად აქანავებდნენ. ბავშვები მთელ სახლში დასდევდნენ ერთმანეთს. მაგნიტოფონიდან ოსტატ სარაჰანგის(იგულისხმება მოჰამად ჰოსეინ სარაჰანგი — ცნობილი ავღანელი მუსიკოსი, რომელიც ინდური კლასიკური სტილით მღეროდა.) ყაზალების ხმა იღვრებოდა.

ლაილა სამზარეულოში იყო, გითისთან ერთად გრაფინში დუღს(დუღი — წყალში გახსნილი მაწონი, რომელსაც გამაგრილებელ სასმელად იყენებენ.) ამზადებდა. გითი უკვე აღარც ადრინდელივით მორცხვი იყო და აღარც სერიოზული. რამდენიმე თვის განმავლობაში მუდმივად პირქუში გამომეტყველება წარბებიდან ჩამოშორდა. ამ დღეებში სულ უფრო ხშირად იცინოდა გულღიად, ლაილა კი ამას მის კეკლუცობას მიაწერდა. დაემშვიდობა მოსაწყენ

„ცხენის კუდს“, თმა გაიზარდა და ზოლებად წითლად შეიღება. საბოლოოდ ლაილამ შეიტყო, რომ ამ გარდაქმნის სტიმულის მიმცემი თვრამეტი წლის ყმაწვილი იყო, რომლის ყურადღების მიპყრობაც გოგონამ მოახერხა. ბიჭს საბირი ერქვა და იგი გითის ძმის საფეხბურთო გუნდის მეკარე იყო.

— ოჰ, მას ისეთი მიმზიდველი ღიმილი და ხშირი, ხშირი შავი თმა აქვს! — უთხრა გოგონამ ლაილას. რა თქმა უნდა, არავინ იცოდა, რომ მათ ერთმანეთი მოსწონდათ. გითი ბიჭს უკვე ორჯერ შეხვედროდა ჩაის დასალევად პატარა ჩაის სახლში თაიმანიში, ქალაქის მეორე მხარეს, მხოლოდ თხუთმეტი წუთით.

— ლაილა, ჩემი ხელის თხოვნას აპირებს! შესაძლოა, ამ ზაფხულსვე. წარმოგიდგენია?!. გეფიცები, მასზე ფიქრს თავიდან ვერ ვიშორებ...

— სკოლას რას უპირებ? — ჰკითხა ლაილამ. გითიმ თავი უკან გადახარა და მეგობარს ისე შეხედა, თითქოს ეუბნებოდა, „ჩვენ ორივემ ხომ კარგად ვიცით“.

— ოცი წლისები რომ გავხდებით, — ამბობდა ხოლმე ჰასინა, — მე და გითის უკვე ოთხი ან ხუთი შვილი გვეყოლება. მაგრამ შენ, ლაილა, მნიშვნელოვანი ადამიანი გახდები! შენით ვიამაყებთ. ვიცი, ერთ დღეს გაზეთს გადავშლი და პირველ გვერდზე შენს ფოტოს აღმოვაჩენ.

ახლა გითი ლაილას გვერდით იდგა, კიტრს ჭრიდა და სახეზე ეტყობოდა, რომ ოცნებებით სადღაც შორს იყო.

დედიკოც იქვე იდგა, თავის ბრწყინვალე საზაფხულო კაბაში გამოწყობილი, მოხარშულ კვერცხებს ასუფთავებდა ბებიაქალ ვაჯმასთან და თარიყის დედასთან ერთად.

— ვაპირებ, რომ გენერალ მასუდს აჰმადისა და ნურის ფოტო ვაჩვენო, — ეუბნებოდა დედა ვაჯმას, ის კი თავს უქნევდა და ცდილობდა, ინტერესი და გულწრფელობა გამოეხატა.

— იგი პირადად ზედამხედველობდა მათ დაკრძალვას. საფლავთან ლოცვაც კი წარმოთქვა. ამ ფორმით მადლიერებას გამოვხატავ მისი გულისხმიერებისთვის, — თქვა დედამ და კიდევ ერთი კვერცხი გატეხა,

— მსმენია, რომ გონიერი, პატივსაცემი კაცია. ვფიქრობ, ჩემს საქციელსდააფასებს.

მათ გარშემო ქალები ტრიალებდნენ, შემოდიოდნენ და გადიოდნენ სამზარეულოდან, თასებით ყორმა, თეფშებით მასთავა(მასთავა — კერძი, რომელიც ბატკნის ხორცის ფარშით, გატარებული ბრინჯით, ნივრითა და მაწვნით მზადდება. ), პური გაჰქონდათ და ამ ყველაფერს მისაღები ოთახის იატაკზე გაშლილ სუფრაზე აწყობდნენ.

პერიოდულად თარიყი შემოისეირნებდა ხოლმე. ხან რას წაავლებდა ხელს და ხან რას აწაპნიდა ქალებს.

— მამაკაცები არ დაიშვებიან! — მკაცრად უთხრა გითიმ.

— სასწრაფოდ გარეთ, გარეთ! — დაიყვირა ვაჯმამ.

თარიყს ეღიმებოდა ქალების უწყინარ მცდელობაზე, რომ ბიჭი გარეთ გაესტუმრებინათ. როგორც ჩანს, სიამოვნებდა ქალებისთვის დამახასიათებელი ატმოსფერო, საიდანაც მონდომებით აძევებდნენ, ის კი ჯიუტად არ მიდიოდა.

ლაილა ყველანაირად ცდილობდა, თარიყისთვის არ შეეხედა და დამსწრე საზოგადოებისთვის უფრო მეტი ჭორის აგორების საბაბი არ მიეცა. ამიტომ თვალები დახარა და ბიჭისთვის სიტყვაც კი არ უთქვამს. თუმცა რამდენიმე დღის წინ ნანახი სიზმარი გაახსენდა, მათი სახეები რბილი მწვანე პირბადის ქვეშ სარკეში ერთად ჩანდა. თმიდან ბრინჯის მარცვლები სცვიოდა და სარკიდან სხლტებოდა.

თარიყი დასაგემოვნებლად კარტოფილთან ერთად მომზადებულ ხბოს ხორცის ნაჭერს მისწვდა.

— ჰო ბაჩა!(ჰო ბაჩა! — ეი, ბიჭო!) — გითიმ ხელი ჩასცხო. მაგრამ თარიყი არ დანებდა და სიცილი ატეხა.

იგი ახლა ლაილაზე მთელი ფუტით მაღალი იყო. პირს იპარსავდა. გამხდარი, უფრო კუთხოვანი სახე ჰქონდა. მხრები გაუფართოვდა. თარიყს ნაკეცებიანი შარვლების, შავი, მბზინავი, მოკასინის მსგავსი მსუბუქი ფეხსაცმლისა და მოკლემკლავიანი პერანგების ტარება უყვარდა, რომელშიც მისი ახლად დაკუნთული მკლავები იკვეთებოდა, ეზოში ძველი, დაჟანგული ჰანტელების აწევით რომ

დაიყენა. ქათინაურებს ვერ აუდიოდა. მოგვიანებით, ანცი მოპაექრის გამომეტყველება მიიღო. საუბრისას თავს გვერდით განზრახ ხრიდა და სიცილისას ცალ წარბს ზევით წევდა. თმა გაიზარდა და ჩამოშვებული კულულების ხშირად და უმიზეზოდ ქნევა დასჩემდა. მავნებლური ჩაღიმებაც რაღაც ახალი იყო.

როდესაც თარიყი საბოლოოდ გააძევეს სამზარეულოდან, ბიჭის დედამ შენიშნა, როგორ გააპარა ლაილამ მზერა მისი შვილისკენ. ლაილას გული ამოუვარდა და თვალების დამნაშავესავით ცეცება დაიწყო. თუმცა გოგონამ თავი სწრაფადვე აიყვანა ხელში და დაჭრილი კიტრის მარილიან, წყლით გაზავებულ მაწონში ჩაყრა დაიწყო. იმას კი ვერ მიხვდა, რომ თარიყის დედა მალულად აკვირდებოდა და სიამოვნებისგან შეუმჩნევლად იღიმოდა.

მამაკაცებმა თეფშები და ჭიქები გაივსეს და ეზოში გავიდნენ. ამის შემდეგ ქალები და ბავშვები იატაკზე გაშლილ სუფრას შემოუსხდნენ და ჭამა დაიწყეს.

როდესაც მსუყე სუფრა მოასუფთავეს და თეფშები სამზარეულოში გაიტანეს, ჩაის მომზადებასთან დაკავშირებული აურზაური დასრულდა და ისიც დაიმახსოვრეს, ვის მწვანე სურდა და ვის — შავი ჩაი, თარიყმა ლაილას თავით რაღაც ანიშნა და კარში გაუჩინარდა.

ლაილამ ხუთი წუთი მოიცადა და შემდეგ თავადაც უკან გაჰყვა.

ბიჭი ქუჩაში, სამი სახლის იქით იპოვა, ვიწრო ხეივნის შესასვლელის კედელს მიყრდნობოდა. ოსტატ ავალმირის ძველ სიმღერას ღიღინებდა პუშტუზე.

Da ze ma ziba watan,

da ze ma dada watan.(ეს ჩვენი ლამაზი სამშობლოა,

)

თარიყი ეწეოდა. ეს მისი კიდევ ერთი ახალი ჩვევა იყო, რომელიც იმ ბიჭებისგან შეიძინა, რომელთა გარემოცვაშიც ლაილა მას ბოლო დღეებში ხშირად ხედავდა. გოგონა თარიყის ახალ მეგობრებს ვერ იტანდა. ყველას ერთნაირად ეცვა, ნაკეციანი შარვლები და ვიწრო მაისურები, მათ მკლავებსა და გულმკერდს რომ გამოკვეთდა. ძალიან

ბევრი ოდეკოლონი ესხათ და ყველა მათგანი ეწეოდა. სამეზობლოში თავმომწონედ, ჯგუფებად დადიოდნენ, ხუმრობდნენ, ხმამაღლა იცინოდნენ, ზოგჯერ გოგონებსაც ეძახდნენ ერთნაირად სულელური, თვითკმაყოფილი სიცილით. თარიყის ერთ-ერთი მეგობარი, სილვესტერ სტალონესთან მსგავსების გამო, დაჟინებით მოითხოვდა, მისთვის რემბო დაეძახათ.

— დედაშენმა რომ მოწევის ამბავი იცოდეს, მოგკლავდა, — უთხრა ლაილამ, თან აქეთ-იქით მიმოიხედა, სანამ ხეივანში მალულად შეიპარებოდა.

— მაგრამ არ იცის, — მიუგო ბიჭმა და სიღრმეში შეიწია, ლაილასთვის ადგილი რომ დაეთმო.

— ეს სიტუაცია შეიძლება შეიცვალოს.

— თქმას ვინ აპირებს? შენ?

ლაილამ ფეხი მიწას დაკრა, — შენი საიდუმლო ქარს უთხარი, მაგრამ მის გაცემაში ხეებს ნუ დაადანაშაულებ.

თარიყმა გაიღიმა და ცალი წარბი აწია, — ეგ ვინ თქვა?

— ხალილ ჯიბრანმა.(ჯიბრან ხალილ ჯიბრანი (1883-1931) — ლიბანური წარმოშობის ამერიკელი მწერალი.)

— რა თავმომწონე ხარ.

— სიგარეტი მომეცი.

ბიჭმა თავი გაიქნია და მკლავები გადაიჯვარედინა. მის რეპერტუარში ეს პოზაც ახალი იყო: ზურგით კედელს მიყრდნობოდა, ხელები გადაეჯვარედინებინა, პირის კუთხიდან სიგარეტი გადმოეშვირა და ჯანმრთელი ფეხი სასხვათაშორისოდ მოეხარა.

— რატომაც არა?

— შენთვის ცუდია, — მიუგო მან.

— და შენთვის არ არის ცუდი?

— ამას გოგონების გამო ვაკეთებ.

— რომელი გოგონების?

თარიყმა ხელოვნურად გაიცინა, — ისინი ფიქრობენ, რომ მოწევა სექსუალურია.

— არ არის.

— არა?

— გარწმუნებ.

— სექსუალური არ არის?

— ხილასავით(ხილა — ბრიყვი, ყეყეჩი, სულელი.), სულელურად გამოიყურები.

— გულს მტკენ.

— ხოდა, ვინ გოგონები?

— ეჭვიანობ.

— მხოლოდ ზრდილობის გამო გკითხე.

— ჩვენ ერთად არ უნდა დაგვინახონ, — მიუგო ბიჭმა, კიდევ ერთი ნაფაზი გააკეთა და თვალები მოჭუტა. — სანაძლეოს დავდებ, ახლა ჩვენზე საუბრობენ.

ლაილას ყურში დედის ხმა მკაფიოდ ჩაესმა: „წარმოიდგინე, რომ ხელში მაინა გყავს. ხელს ოდნავ შეუშვებ თუ არა, მაშინვე გაგიფრინდება“. დანაშაულის გრძნობამ გოგონა მარწუხებში მოაქცია. მაგრამ თარიყის მიერ წარმოთქმული „ჩვენ“-ისგან გაბედნიერებულმა ლაილამ დედის ხმა უმალ ჩაახშო. როგორ ამაღელვებლად, შეთქმულის მიერ წარმოთქმულივით ჟღერდა მისგან ეს სიტყვა! და როგორი წამახალისებელი იყო თარიყისგან ამის მოსმენა, თითქოს სხვათა შორის, ბუნებრივად. „ჩვენ“. ეს მათი კავშირის აღიარებას, თანდათან ჩამოყალიბებას ნიშნავდა.

— და რას ამბობენ?

— რომ ჩვენ კანოეთი ვცურავთ ცოდვის მდინარეში, — თქვა მან. — და თან თავხედობის ნამცხვარსაც მივირთმევთ.

— ბოროტების რიქშასაც(რიქშა — მსუბუქი ორთვლიანი ეტლი, რომლის ხელნებშიც შებმულია ადამიანი; იყენებენ მგზავრების გადასაყვანად.) ვმართავთ? — საუბარში ჩაება ლაილა.

— აკრძალულ ყორმას ვაკეთებთ.

ორივემ გაიცინა. თარიყმა აღნიშნა, რომ ლაილას გრძელი თმა უხდებოდა.

„ოღონდაც არ გავწითლდე!“ — გაიფიქრა ლაილამ. — თემა შეცვალე?

— რომელი თემა?

— ქარაფშუტა გოგონებზე, რომლებიც ფიქრობენ, რომ სექსუალური ხარ.

— შენ თვითონაც ხომ იცი.

— რა ვიცი?

— რომ ჩემთვის მხოლოდ შენ არსებობ.

ლაილას კინაღამ გული წაუვიდა. სურდა, თარიყის სახეზე რამე ამოეკითხა, მაგრამ ამაოდ: მხიარული, სულელურად გაკრეჭილი, შიგადაშიგ მოჭუტული, ნახევრად უიმედო მზერით მისჩერებოდა. მისი ჭკვიანური გამოხედვა დაცინვასა და გულწრფელობას შორის ოქროს შუალედი იყო.

თარიყმა სიგარეტი თავისი ჯანსაღი ფეხის ქუსლით გასრისა. — აბა, რას ფიქრობ ამ ყველაფერზე?

— წვეულებაზე?

— ახლა ვინ არის სულელი? მოჯაჰედებს ვგულისხმობ, ლაილა. ისინი ქაბულისკენ მოემართებიან.

— ოჰ.

ის-ის იყო ლაილამ იარაღისა და ეგოს გამაღიზიანებელი კავშირის შესახებ ბაბის მონაყოლის გამეორება დაიწყო, რომ სახლიდან აყალმაყალის, ხმამაღალი ლაპარაკისა და ყვირილის ხმა შემოესმა.

ლაილა გაიქცა. თარიყი კოჭლობით დაედევნა.

ეზოში ხელჩართული ჩხუბი გაჩაღებულიყო, რომლის შუაგულშიც ორი კაცი იღრინებოდა, მიწაზე გორავდა და დანას ატრიალებდა. ლაილამ ერთ-ერთი მათგანი ამოიცნო, მაგიდასთან მჯდომი მამაკაცი, რომელიც პოლიტიკურ საკითხებს განიხილავდა; მეორე კი — ცოტა ხნის წინ შამფურზე წამოცმულ ქაბაბს უნიავებდა. რამდენიმე მამაკაცი მათ გაშველებას ცდილობდა. ბაბი მათ შორის არ იყო, კედელთან იდგა თარიყის მამასთან ერთად, რომელიც ყვიროდა.

ლაილამ აღელვებული ადამიანების წამოძახილებიდან ფრაგმენტები დაიჭირა და ერთმანეთს დაუკავშირა: პუშტუნმა ყმაწვილმა, პოლიტიკით დაინტერესებულთა მაგიდიდან აჰმად შაჰ მასუდს 1980-იან წლებში საბჭოელებთან „გარიგების“ გამო მოღალატე უწოდა. ქაბაბის შამფურებიანმა ტაჯიკმა ეს შეურაცხყოფად მიიღო და კაცს მისი სიტყვების უკან წაღება მოსთხოვა. პუშტუნმა ამაზე უარი განაცხადა. ტაჯიკმა კი მიუგო, მასუდს თავი დავანებოთ და შენი და საბჭოთა ჯარისკაცებს ნამდვილად „აძლევდაო“. ამ სიტყვების შემდეგ ცემა-ტყეპა ატყდა. ვიღაცამ დანა მოიქნია; თუმცა ვერ გაირკვა, ვინ.

თავზარდაცემულმა ლაილამ დაინახა, რომ თარიყი შეტაკების ეპიცენტრში აღმოჩნდა. ისიც შენიშნა, ზოგიერთი გამშველებელი მუშტებს რომ არ იშურებდა; მოეჩვენა, თითქოს მეორე დანასაც მოჰკრა თვალი.

იმავე საღამოს, მოგვიანებით, ლაილა იხსენებდა, როგორ ენარცხებოდნენ კაცები ერთმანეთზე მუშტების ქნევითა და ყვირილით. ამ ზედახორას შუაგულში კი სახედამანჭული თარიყი მოქცეულიყო. თმა გაჩეჩვოდა, ფეხი მოღრეცოდა და ცდილობდა, როგორმე თავი დაეღწია.

გამაოგნებელი იყო, როგორ სწრაფად ჩამოიშალა ყველაფერი.

მეთაურთა საბჭო ნაჩქარევად ჩამოყალიბდა. საბჭომ პრეზიდენტად რაბანი აირჩია. სხვა ფრაქციები ნეპოტიზმს გმობდნენ. მასუდი ხალხს მშვიდობისა და მოთმინებისკენ მოუწოდებდა.

გაძევებული ჰექმათიარი მძვინვარებდა. ჩაგვრისა და იგნორირების ხანგრძლივი გამოცდილების მქონე ჰაზარები ბობოქრობდნენ.

ყველა მხრიდან შეურაცხყოფა გაისმოდა. თითს იშვერდნენ. ბრალდებებს არ იშურებდნენ. გაცხარებული ადამიანები შეხვედრებს შლიდნენ და კარს იჯახუნებდნენ. ქალაქს სუნთქვა შეკვროდა. მთებში „კალაშნიკოვები“ სრულ მზადყოფნაში იყო.

კბილებამდე შეიარაღებული მოჯაჰედები, რომლებიც ახლა საერთო მტერს ისაკლისებდნენ, მტერს უკვე ერთმანეთში ხედავდნენ.

ბოლოს და ბოლოს, ქაბულის ჯერიც დადგა.

და როდესაც ქაბულში ჭურვების წვიმა წამოვიდა, ხალხი თავშესაფრის საძებნად გაიქცა. დედაც ასე მოიქცა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშ-

ვნელობით. ისევ შავად შეიმოსა, თავის ოთახში შეიკეტა, ფარდები დაუშვა და თავზე საბანი გადაიფარა.

## 24

ეს სტვენა, — უთხრა ლაილამ თარიყს, — ეს წყეული სტვენა ყველაფერზე მეტად მძულს!

თარიყმა მრავალმნიშვნელოვნად დაუქნია თავი.

მოგვიანებით ლაილა მიხვდა, რომ სტვენის ხმა კი არ სძულდა, არამედ ის მცირე შუალედი, მისი დაწყებიდან დარტყმით რომ სრულდებოდა; ის ხანმოკლე, მაგრამ უსასრულო მონაკვეთი; გაურკვევლობა და მოლოდინი, იმგვარი შეგრძნება, განსასჯელს რომ ეუფლება განაჩენის გამოცხადებისას.

როგორც წესი, დაბომბვა მაშინ იწყებოდა, როდესაც ის და ბაბი სადილობდნენ. მამა-შვილი თავს სწრაფად წევდა ზევით და სტვენის ხმას აყურადებდა; ჩანგლები ჰაერში უშეშდებოდათ, ჭამას ვეღარ აგრძელებდნენ. ლაილა თავიანთი სახეების ნახევრად განათებულ ანარეკლს ჩაბნელებულ, შავ ფანჯარაში ხედავდა. მათი ჩრდილები კი კედელზე გაშეშებულიყო. ისევ სტვენის ხმა. შემდეგ აფეთქება. საბედნიეროდ — მათგან მოშორებით. შეეძლოთ შვებით ამოესუნთქათ, რადგან ამჯერად გადარჩნენ; მაგრამ სადღაც სხვაგან მოთქმის ხმა გაისმოდა და კვამლის სულის შემხუთველი ღრუბელი ჩამოწოლილიყო; შიშველი ხელებით ნანგრევებიდან დები, ძმები, შვილიშვილები გამოჰყავდათ.

გადარჩენის აგონიას იმათზე ფიქრი ცვლიდა, ვისაც მათგან განსხვავებით არ გაუმართლა. ყოველი ჭურვის აფეთქების შემდეგ ლაილა ქუჩაში ლოცვის ბუტბუტით გარბოდა, დარწმუნებული, რომ ამჯერად თარიყი იქნებოდა ნანგრევებიდან და კვამლიდან გამოსაყვანი.

ღამით ლაილა ლოგინში იწვა და მის ფანჯარაში არეკლილ უეცარ თეთრ ნათებას აკვირდებოდა. ავტომატების ჟღარუნს ყურს უგდებდა და გონებაში ჭურვების გულისგამაწვრილებელ ხმას ითვლიდა; სახლი ზანზარებდა და ჭერიდან ნამსხვრევები ცვიოდა. ზოგჯერ, ღამით, აფეთქებული ჭურვები ისე ანათებდა, რომ წიგნის წაკითხვასაც კი მოახერხებდი. დაძინება შეუძლებელი იყო. მაგრამ თუ მაინც ჩაეძინებოდა, ლაილა სიზმარში ცეცხლსა და დანაწევრებულ კიდურებს ხედავდა, დაჭრილთა კვნესა ჩაესმოდა.

შვება არც დილას მოჰქონდა. მუეძინი ყველას ნამაზზე იხმობდა; მოჯაჰედები იარაღს დებდნენ, პირით დასავლეთისკენ ბრუნდებოდნენ და ლოცვას აღავლენდნენ. შემდეგ ხალიჩებს ახვევდნენ, იარაღს გადატენიდნენ და მთებიდან ქაბულის მიმართულებით ცეცხლს ხსნიდნენ, ქაბულიდან კი მთების მიმართულებით ისროდნენ. ლაილა და დანარჩენი ქალაქი ისეთივე უმწეო იყო, როგორც მოხუცი სანტიაგო, ზვიგენებმა ჯილდოდ მიღებული თევზი ნაფლეთებად რომ უქციეს.

სადაც არ უნდა წასულიყო, ლაილა ყველგან მასუდის ხალხს აწყდებოდა; ქუჩებში დაძრწოდნენ და ყოველ რამდენიმე ასეულ იარდში მანქანებს შესამოწმებლად აჩერებდნენ. ჯარისკაცის სამოსსა და საყოველთაოდ გავრცელებულ ფაქოლებში გამოწყობილები, ტანკებზე ისხდნენ და ეწეოდნენ. სილით სავსე ტომრებს ამოფარებულები, გამვლელებს ზვერავდნენ.

ლაილა გარეთ ხშირად აღარ გადიოდა. მაგრამ თუ მოუწევდა, ყოველთვის თარიყთან ერთად. ბიჭიც აღტაცებული იყო თავისი რაინდული მოვალეობით.

— იარაღი ვიყიდე, — უთხრა ერთ დღეს ლაილას, როდესაც გოგონას ეზოში, მსხლის ხის ძირში მიწაზე ისხდნენ. იარაღი უჩვენა და დასძინა, „ბერეტას“ ფირმისაა, ნახევრად ავტომატურიო. მაგრამ ლაილასთვის ის მხოლოდ შავი, მომაკვდინებელი ნივთი იყო.

— არ მომწონს, — მიუგო გოგონამ. — იარაღი მაშინებს.

თარიყმა მჭიდი ხელში შეათამაშა.

— გასულ კვირას ქართე სეში ერთ-ერთ სახლში სამი გვამი აღმოაჩინეს, — თქვა მან. — გაიგე? დები. სამივე გააუპატიურეს და ყელი გამოჭრეს. ვიღაცამ თითებიდან ბეჭდები მოაკვნიტა. ხელებზე ნაკბილარები აღმოუჩინეს.

— ამ საშინელებების მოსმენა არ მსურს.

— შენთვის განწყობის გაფუჭება არც მიფიქრია, — მიუგო თარიყმა, — მაგრამ, უბრალოდ... ვფიქრობ, უმჯობესია იარაღი თან ვატარო.

ახლა მას ლაილა ქუჩაში უნდა დაეცვა. თუკი რაიმეს გაიგებდა, მაშინვე გოგონას ატყობინებდა. თარიყი უყვებოდა, რომ პარტიზანები სროლის ხელოვნებას აუმჯობესებდნენ და ნაძლევზე მოსახლეობას ალალბედზე ესროდნენ. კაცი, ქალი, ბავშვი — შეეძლოთ ნებისმიერი ამოეღოთ მიზანში. მანქანებს ყუმბარებს უშენდნენ, მაგრამ რატომღაც ტაქსებს არ ერჩოდნენ, ამიტომ მანქანები ყველამ ყვითლად გადაღება.

თარიყი უყვებოდა ქაბულის შიგნით არსებული სახიფათო, ცვალებადი საზღვრების შესახებ. ლაილამ ბიჭისგან შეიტყო, რომ მაგალითად, ეს გზა მარცხნივ, აკაციის მეორე ხემდე, ერთ-ერთ საველე მეთაურს ეკუთვნოდა; მომდევნო ოთხი კვარტალი, რომელიც დანგრეული აფთიაქის გვერდით საცხობით სრულდებოდა, სხვა მეთაურის სექტორს წარმოადგენდა; და თუკი ქუჩას გადაკვეთდა და დასავლეთისკენ ნახევარ მილს გაივლიდა, კიდევ ერთი მეთაურის კუთვნილ ტერიტორიაზე აღმოჩნდებოდა და ამდენად, სნაიპერების სამიზნეც გახდებოდა. დედას გმირებს ახლა სწორედ ასე ეძახდნენ — მეთაურები. ლაილას გაგონილი ჰქონდა, რომ მათ თოფანგდარებსაც(თოფანგდარი — (სიტყვ. — თოფიანი) მსროლელი. ), მსროლელებსაც უწოდებდნენ. სხვები ჯერ კიდევ მოჯაჰედებად მოიხსენიებდნენ და თან სახეზე დამცინავი ღიმილი დასთამაშებდათ. ამ სიტყვას ისეთი ზიზღითა და სიძულვილით წარმოთქვამდნენ, თითქოს რაღაც შეურაცხმყოფელი ყოფილიყო.

თარიყმა მჭიდი პისტოლეტში ხმაურით ჩადო.

— ნუთუ არის ეს შენში? — ჰკითხა ლაილამ.

— რას გულისხმობ?

— ამ ნივთის გამოყენების სურვილი, ვინმეს მოკვლა.

თარიყმა იარაღი შარვალში, წელთან ჩააცურა. შემდეგ კი ისეთი რამ თქვა, რაც საზარელთან ერთად, სასიამოვნოც იყო.

— შენ გამო, — მიუგო ბიჭმა, — ლაილა, შენ გამო მზად ვარ, მოვკლა კიდეც·

იგი გოგონასთან ახლოს მიჩოჩდა და ხელი ხელზე შეახო, შემდეგ კიდევ ერთხელ მოუჭირა. ცოტა ხანში თარიყის თითები გაუბედავად შეცურდა ლაილას თითებს შორის. გოგონამ უფლება მისცა. და როდესაც უეცრად ბიჭი მისკენ გადმოიხარა და მის ტუჩებს დაეწაფა, ლაილას არც მაშინ გაუწევია წინააღმდეგობა.

იმ წუთას დედას შეგონებები რეპუტაციასა და მაინას შესახებ ლაილასთვის არა მხოლოდ უმნიშვნელო, აბსურდულიც კი გახდა. მთელი ამ მკვლელობებისა და ძარცვის, შემზარავი ამბების ფონზე, ხის ქვეშ თარიყის კოცნა რა უწყინარი რამ იყო! — ერთი უმნიშვნელო, ადვილად მისატევებელი ცდუნება. ასე რომ, თარიყს კოცნის უფლება მისცა, ხოლო როდესაც ბიჭი უკან გაიწია, ამჯერად ლაილა გადაიხარა მისკენ და თავადაც აკოცა; გული ყელში ებჯინებოდა, სახესა და მუცელზე ისეთი ჟრუანტელი უვლიდა, თითქოს ალმური ასდიოდა.

1992 წლის ივნისში დასავლეთ ქაბულში ინტენსიური შეტაკებები დაიწყო ვაჰდათების დაჯგუფების ჰაზარებსა და პუშტუნთა ძალებს შორის, რომელთაც საიაფი მეთაურობდა. აფეთქებების შედეგად დაწყდა ელექტროენერგიის ხაზები, მთლიანად განადგურდა მაღაზიები და სახლები. ლაილამ ყური მოჰკრა, რომ პუშტუნი მებრძოლები ჰაზარათა ოჯახებს თავს ესხმოდნენ, სახლებში უცვივდებოდნენ და ყველას ხოცავდნენ; ჰაზარები კი, შურისძიების ნიშნად, პუშტუნ მოსახლეობას იტაცებდნენ, გოგონებს ნამუსს ხდიდნენ, პუშტუნ მეზობლებს ჭურვებს ესროდნენ და განურჩევლად ხოცავდნენ. ყოველდღე პოულობდნენ ხეებზე მიბმულ გვამებს, ზოგჯერ დამწვარსაც კი. უმეტეს შემთხვევაში თავის არეში ესროდნენ, თვალებს თხრიდნენ და ენას აჭრიდნენ.

ბაბიმ კიდევ ერთხელ სცადა, დედა დაეყოლიებინა, რომ ქაბულიდან წასულიყვნენ.

— ყველაფერს მოაგვარებენ, — ამბობდა ქალი. — ეს შეტაკებები დროებითია. დასხდებიან და მოილაპარაკებენ.

— ფარიბა, ერთადერთი, რაც ამ ხალხმა იცის, ომია, — ეუბნებოდა ბაბი. — მათ ცალ ხელში რძის ბოთლითა და მეორეში იარაღით ისწავლეს სიარული.

— როგორ ბედავ? — დაიყვირა დედამ, — შენ ჯიჰადში მონაწილეობდი? ყველაფერზე, რაც გაგაჩნდა, უარი თქვი და სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდე? მოჯაჰედები რომ არა, საბჭოელების მსახურები გავხდებოდით. ეს კარგად დაიმახსოვრე. ახლა კი მათ ღალატს მთავაზობ?!

— ღალატი რა შუაშია, ფარიბა.

— მაშინ შენ წადი. წაიყვანე ქალიშვილი და გაიქეცი. ღია ბარათი გამომიგზავნე. მაგრამ მშვიდობა ძალიან ახლოსაა და მე ვაპირებ, რომ დაველოდო.

ქუჩაში სიარული იმდენად სახიფათო გახდა, რომ ბაბიმ ლაილა სკოლიდან დაუფიქრებლად გამოიყვანა.

ქალიშვილის განათლება საკუთარ თავზე აიღო. ყოველდღე, მზის ჩასვლის შემდეგ, როდესაც ჰექმათიარი ქალაქის სამხრეთი გარეუბნიდან ჭურვებს მასუდისკენ ისროდა, ლაილა მამის სამუშაო ოთახში შედიოდა და ბაბისთან ერთად ჰაფეზის ყაზალებსა და თავისი საყვარელი ავღანელი პოეტის, ოსთად ხალილოლა ხალილის შემოქმედებას განიხილავდა; ბაბი კვადრატული განტოლების ამოხსნას ასწავლიდა, აჩვენებდა, როგორ დაეშალა მრავალწევრა მარტივ მამრავლებად; როგორ დაეტანა გრაფიკზე პარამეტრები. ბაბი ამ დროს სრულიად იცვლებოდა. თავის სტიქიაში, თავის წიგნებს შორის, ლაილას უფრო მაღალი ეჩვენებოდა. მისი ხმა მშვიდი და ხმამაღალი ჩანდა; თვალებსაც ისე ხშირად აღარ ახამხამებდა. ლაილას ახლა ნათლად წარმოუდგა ადრინდელი ბაბი, ხელის რო-

გორი მოხდენილი მოძრაობით ასუფთავებდა დაფას, როგორი მამობრივი და მზრუნველი იყო თავისი სტუდენტებისადმი.

მაგრამ მუდმივად დაბნეულ ლაილას ყურადღების მოკრება უჭირდა.

— რას უდრის პირამიდის ფართობი? — ეკითხებოდა ბაბი, ლაილას კი მხოლოდ თარიყის სავსე ტუჩებზე, მისი სუნთქვის სიმხურვალეზე, მის თაფლისფერ თვალებში საკუთარ ანარეკლზე ფიქრი შეეძლო. ხის ძირში კოცნის შემდეგ ერთმანეთს კიდევ ორჯერ აკოცეს, უფრო ხანგრძლივად, მეტი ვნებით და, როგორც თავად ლაილა ფიქრობდა, ნაკლებ მოუქნელად. ორივეჯერ გოგონა მალულად შეხვდა თარიყს იმ ჩაბნელებულ ხეივანში, სადაც ლაილას დედის წვეულების დღეს ბიჭი სიგარეტს ეწოდა. მეორე კოცნისას, მან თარიყს უფლება მისცა, მის მკერდსაც შეხებოდა.

— ლაილა?

— დიახ, ბაბი.

— პირამიდა. ფართობი. სად დაფრინავ?

— მაპატიე, ბაბი. მე... მოდი, ვნახოთ. პირამიდა. პირამიდა. ფუძის ფართობის ერთი მესამედი სიმაღლის ტოლია.

ბაბიმ დაბნეულმა დაუქნია თავი, თან გოგონას მიშტერებოდა. ლაილა კი თარიყის ხელზე ფიქრობდა, იმ ხელზე, გოგონას მკერდზე რომ უჭერდა და წელზე ეფერებოდა, სანამ ქალ-ვაჟი ერთმანეთს კოცნიდა და კოცნიდა.

ივნისის ერთ დღეს, ორ თანაკლასელთან ერთად გითი სკოლიდან შინ ბრუნდებოდა. მისი სახლიდან სამი შენობის მოშორებით გოგონებს ბრმად ნასროლი ჭურვი მოხვდათ. მოგვიანებით ლაილამ შეიტყო, რომ იმ საშინელ დღეს ნილა, გითის დედა იმ ქუჩაზე, სადაც მისი შვილი მოკლეს, ზევით-ქვევით დარბოდა, თავისი ქალიშვილის სხეულის ნაფლეთებს წინსაფარში აგროვებდა და ისტერიულად კიოდა. გითის ჯერაც ნეილონის წინდაამოცმული მარჯვენა ფეხი და იისფერი კედი სახლის სახურავზე მხოლოდ ორი კვირის შემდეგ იპოვეს.

ამ შემთხვევიდან მეორე დღეს, გითის ფათიჰაზე, ლაილა გაოგნებული იჯდა მოქვითინე ქალებით სავსე ოთახში. პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ვიღაც, ვისაც ლაილა იცნობდა, ვინც მისთვის ძალიან ახლობელი იყო და უყვარდა, გარდაიცვალა. ვერაფრით ურიგდებოდა იმ ამოუხსნელ რეალობას, რომ გითი ცოცხალი აღარ იყო. გითი, რომელთანაც ლაილა კლასში საიდუმლო ბარათებს ცვლიდა, ვისაც ფრჩხილებს უღებავდა, ნიკაპიდან პინცეტით თმას აცლიდა... გითი, რომელიც მეკარე საბირზე აპირებდა გათხოვებას. გოგონა მკვდარი იყო, მკვდარი! ნაფლეთებად იქცა. ბოლოს და ბოლოს, ლაილამ მეგობრის დატირება შეძლო. ცრემლი, რომელიც საკუთარი ძმების დაკრძალვისას ვერ ჩამოუვარდა, ახლა ღვარად მოსდიოდა.

## 25

ლაილა ძლივს მოძრაობდა, თითქოს ყველა სახსარი გაქვავებოდა. ხვდებოდა, რომ მას ელაპარაკებოდნენ, მაგრამ ისეთი რამ ესმოდა, რისი გაგონებაც არ სურდა. სიტყვებს უაზროდ უგდებდა ყურს. თარიყი საუბრობდა, ლაილას კი ეჩვენებოდა, რომ მისი ცხოვრება იმ თოკზე ეკიდა, რომლის ძაფებიც განცალკევებულიყო და ის-ის იყო გაწყდებოდა.

1992 წლის აგვისტოს ცხელი, ნესტიანი ნაშუადღევი იყო. ქალვაჟი ლაილას მისაღებ ოთახში იჯდა. დედას მთელი დღე მუცელი სტკიოდა და, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წუთის წინ ჰექმათირი სამხრეთიდან ჭურვებს ისროდა, ბაბიმ იგი ექიმთან მაინც წაიყვანა. თარიყი ახლა იქ იყო, დივანზე ლაილას წინ იჯდა, იატაკს დასჩერებოდა და ხელები მუხლებს შორის მოექცია.

ეუბნებოდა, რომ მიდიოდა.

განა სამეზობლოდან ან ქაბულიდან, არამედ — ავღანეთიდან.

მიდიოდა.

ლაილას თვალთ დაუბნელდა.

— სად? სად მიდიხარ?

— ჯერ პაკისტანში. ფეშავარში. შემდეგ არ ვიცი. შეიძლება ინდოეთში, ან ირანში.

— რამდენი ხანია?

— არ ვიცი.

— ვგულისხმობ, რამდენი ხანია, რაც ამის შესახებ იცი?

— რამდენიმე დღეა. შენთვის თქმას ვაპირებდი, ლაილა. გეფიცები, მაგრამ ვერ შევძელი. ვიცოდი, ეს შენზე როგორ იმოქმედებდა.

— როდის?

— ხვალ.

— ხვალ?

— ლაილა, შემომხედე.

— ხვალ.

— მხოლოდ მამაჩემის გამო. მისი გული ამდენ ომსა და სიკვდილს ვეღარ გაუძლებს.

ლაილამ სახე ხელებში ჩარგო, შეძრწუნებულს მღელვარებისგან სუნთქვა ეკვროდა.

„ეს მოსალოდნელიც იყო“, — ფიქრობდა თავისთვის. თითქმის ყველამ, ვისაც კი იცნობდა, ბარგი ჩაალაგა და აქაურობა დატოვა. ჯერ ოთხი თვეც არ გასულიყო, რაც მოჯაჰედების დაჯგუფებებს შორის ომი ატყდა, ლაილა კი ქუჩაში უკვე ვეღარავის სცნობდა. ჰასინას ოჯახმა მაისში თეირანს მიაშურა. იმავე თვეს ვაჯმა და მისი გვარიც ისლამაბადში გადაბარგდა. გითის მშობლები და მისი და-ძმა ივნისში წავიდნენ, გითის სიკვდილის შემდეგ მალევე. ლაილამ არ იცოდა მათი ადგილსამყოფელი. ხმა გავრცელდა, თითქოს ქალაქ მეშჰედში, ირანში დაიდეს ბინა. მოსახლეობის წასვლის შემდეგ მათი სახლები ცარიელი რამდენიმე დღე რჩებოდა, შემდეგ კი ან მებრძოლები იკავებდნენ, ან სრულიად უცხო ადამიანები.

ყველა გარბოდა. და ახლა თარიყის ჯერიც დადგა.

— დედაჩემიც აღარ არის ახალგაზრდა, — განაგრძობდა ბიჭი. — მუდმივად შიშში ცხოვრობენ... ლაილა, შემომხედე.

— ჩემთვის უნდა გეთქვა.

— გთხოვ, შემომხედე!

ლაილას ჯერ ოხვრა აღმოხდა; შემდეგ კივილი. მერე კი ტირილი დაიწყო და როდესაც თარიყი მიუახლოვდა, რომ ცერა თითით ცრემლები მოეწმინდა, გოგონამ მისი ხელი უხეშად მოიშორა. ეგოისტური და უგუნური საქციელი იყო, მაგრამ ლაილა გაცეცხლებული იყო იმის გამო, რომ თარიყი მიდიოდა. თარიყს, რომელიც მისი ნაწილი იყო, რომლის ჩრდილიც ლაილას ყველა მოგონებაში თან სდევდა, როგორ შეეძლო მისი მიტოვება? ბიჭს სილა გააწნა. შემდეგ კიდევ ერთხელ და თმაში ჩააფრინდა. თარიყი იძულებული გახდა ხელი მაჯებში წაევლო. ბიჭი რაღაცას ეუბნებოდა, მაგრამ ლაილას აზრი ვერ გამოჰქონდა. წყნარად, კეთილგონივრულად ელაპარაკებოდა. ბოლოს მათი სახეები ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდა, და ლაილამ ტუჩებზე კვლავაც იგრძნო თარიყის სუნთქვის სიმხურვალე.

და როდესაც უეცრად ბიჭი მისკენ გადაიხარა, ლაილა დანებდა.

მომდევნო დღეებისა და კვირების განმავლობაში გოგონა გაშმაგებით ცდილობდა, რომ მეხსიერებაში შეენახა ყველაფერი, რაც შემდეგ მოხდა. ხელოვნების მოყვარულის მსგავსად, რომელიც ცეცხლმოკიდებული მუზეუმიდან გამორბის, ლაილასაც სურდა, ხელი ჩაევლო ყველაფრისთვის, რასაც კი მოასწრებდა, გადაერჩინა ყოველი დეტალი — შემოხედვა, ჩურჩული, კვნესა. მაგრამ დრო დაუნდობელია, და ყველაფრის მეხსიერებაში ჩაბეჭდვა ვერ შეძლო. თუმცა ახსოვდა: პირველი მოულოდნელი მწვავე ტკივილი ქვედატანში; მზის სხივი, რომელიც ხალიჩას ირიბად ეცემოდა; თავისი ქუსლები ბიჭის გაყინულ პროთეზს რომ ეხებოდა, რომელიც, ნაჩქარევად მოხსნილი, იქვე იდო. ლაილას ხელები ბიჭის იდაყვებზე ჰქონდა მოჭიდებული. გადმობრუნებული მანდოლინას ფორმის ლაქა, ლავიწის ქვეშ რომ ჰქონდა, წითლად აუელვარდა. თარიყის

სახე გოგონას ზემოდან დაჰყურებდა; შავი კულულები ჩამოშლოდა და ლაილას ტუჩებსა და ნიკაპზე უღიტინებდა; ახსოვდა ძლიერი შიშის გრძნობა, რომ ვინმე დაინახავდა; საკუთარი სიმამაცის, გამბედაობის მიმართ ურწმუნოება; ტკივილში გადახლართული უცნაური და თან ენით აღუწერელი სიამოვნება; თარიყის სახე, რომელზეც იმდენი რამ იყო გამოხატული: შიში, სინაზე, მიტევების თხოვნა, შეცბუნება, მაგრამ ყველაზე მეტად — დაუოკებელი სურვილი.

ამის შემდეგ დაიწყო სიგიჟე. პერანგები, ქამრები სასწრაფოდ შეიკრეს, თმა თითებით მოიწესრიგეს და დასხდნენ. ერთმანეთის გვერდიგვერდ დასხდნენ, ერთმანეთის სურნელს შეიგრძნობდნენ. სახე ორივეს ვარდისფრად აღაჟღაჟებოდა, გაოგნებული იყვნენ, სიტყვას ვერ ამბობდნენ იმ აღმაშფოთებელ დანაშაულზე, რომელიც ეს-ეს იყო მოხდა. ეს რა ჩაიდინეს?!

ლაილამ ხალიჩაზე სამი წვეთი სისხლი შენიშნა, საკუთარი სისხლი და წარმოიდგინა, როგორ დასხდებოდნენ მოგვიანებით მისი მშობლები ამავე ხალიჩაზე, და ყურადღებასაც კი არმიაქცევდნენ დანაშაულს, რომელიც მან ჩაიდინა. შერცხვა და თავი დამნაშავედ იგრძნო. ზედა სართულზე საათი ლაილასთვის წარმოუდგენლად ხმამაღლა წიკწიკებდა. თითქოს მოსამართლე ჩაქუჩს აბრახუნებდა მისთვის განაჩენის გამოტანის ნიშნად.

შემდეგ თარიყმა უთხრა:

— ჩემთან ერთად წამოდი.

ერთი წუთით ლაილამ თითქმის დაიჯერა, რომ ეს შესაძლებელი იყო. წარმოიდგინა, რომ თვითონ, თარიყი და თარიყის მშობლები ერთად მიდიოდნენ, ჩანთებს ალაგებდნენ, ავტობუსში სხდებოდნენ და უკან ტოვებდნენ მთელ ამ ძალადობას; მიდიოდნენ სიკეთის ან სირთულეების საძებნად, მაგრამ რაც არ უნდა მომხდარიყო, ყველაფერს ერთად გადაიტანდნენ. უნუგეშო იზოლირება, მომაკვდინებელი მარტოობა, რომელიც გოგონას ელოდა, აღარ დაემუქრებოდა.

შეეძლო წასულიყო. ერთად იქნებოდნენ.

ასეთი დღეები წინ კიდევ მრავლად ექნებოდათ.

— ლაილა, მინდა, ცოლად მოგიყვანო!

მას შემდეგ, რაც იატაკზე ისხდნენ, გოგონამ მხოლოდ ახლა შეხედა თარიყს თვალებში. მის სახეს ეძებდა. ამჯერად, იგი არ ხუმრობდა. თავდაჯერებული იყო. გულუბრყვილო, მაგრამ მტკიცე გამომეტყველება ჰქონდა.

— თარიყ.

— ცოლად გამომყევი, ლაილა. დღეს. შეგვიძლია დღესვე დავქორწინდეთ!

კიდევ რაღაცებს ეუბნებოდა მეჩეთში წასვლაზე, მოლას მოძებნაზე, მოწმეებზე, სწრაფ ნექაჰზე...

მაგრამ ლაილა ფიქრობდა დედაზე, რომელიც მოჯაჰედებივით ჯიუტი და უკომპრომისო იყო; ვითარებაზე, რომელმაც იგი სიძულვილითა და სასოწარკვეთილებით აავსო; ფიქრობდა ბაბიზე, რომელიც უკვე დიდი ხანია დანებდა და ასე შესაბრალისად ეწინააღმდეგებოდა დედას.

„ზოგჯერ... მგონია, რომ ჩემთვის შენ ყველაფერი ხარ, ლაილა“.

ეს იყო მისი ცხოვრება, გარდაუვალი რეალობა.

— ქაქა ჰაქიმს შენს ხელს ვთხოვ. ვიცი, რომ დაგვლოცავს, ლაილა.

მართალი იყო. ბაბი ასეც მოიქცეოდა. მაგრამ ეს მას გაანადგურებდა.

თარიყი არ ჩერდებოდა. ხან ჩურჩულებდა, ხან ხმამაღლა ყვიროდა, ემუდარებოდა, მის დარწმუნებას ცდილობდა; თვალებში იმედის ნაპერწკალი ხან გაუჩნდებოდა, ხან კი ისევ გაუქრებოდა.

— არ შემიძლია, — უპასუხა ლაილამ.

— ამას ნუ ამბობ. მე შენ მიყვარხარ.

— ძალიან ვწუხვარ.

— მიყვარხარ.

რამდენი ხანი ელოდა ლაილა ამ სიტყვებს. რამდენჯერ უოცნებია მათ გაგონებაზე. და აი, ისინიც, როგორც იქნა, წარმოთქვეს, მაგრამ ბედის ირონიით ყველაფერი თავზე დაემსხვრა.

— მამაჩემს ვერ დავტოვებ, — თქვა ლაილამ. — მე ერთადერთი ვარ, ვინც მას დარჩა. ვერც მისი გული გადაიტანს ამ დარტყმას.

თარიყმა იცოდა. დარწმუნებული იყო, რომ საკუთარ ვალდებულებებს ლაილაც ისევე ვერ გაექცეოდა, როგორც თვითონ. მაგრამ მაინც ეევედრებოდა, გოგონა უარზე იყო, ის ჯიუტად სთავაზობდა, ლაილა კი ბოდიშს უხდიდა და ცრემლებად იღვრებოდა.

ბოლოს ლაილამ თარიყი სახლიდან გაუშვა.

კართან პირობა ჩამოართვა, რომ გამომშვიდობების გარეშე წავიდოდა. ლაილამ კარი მიხურა და ზურგით მიეყრდნო. ცახცახებდა, როცა თარიყმა კარს მუშტები დაუშინა. ცალი ხელი მუცელზე მჭიდროდ შემოეჭდო, მეორეს კი პირზე იფარებდა. გარედან ბიჭის ყვირილის ხმა ისმოდა, ჰპირდებოდა, რომ დაბრუნდებოდა, მის წასაყვანად დაბრუნდებოდა. გოგონა კართან მანამდე იდგა, სანამ თარიყი არ დაიღალა და დანებდა. აქედან აყურადებდა, ვიდრე მისი არეული ნაბიჯების ხმა მიწყდებოდა, ვიდრე ყველაფერი დამშვიდდებოდა. მთებიდან სროლის ხმაც აღარ ისმოდა. ლაილა კი თავისი გულის ბაგაბუგს მუცელში, თვალებში, ძვლებშიც კი გრძნობდა.

## 26

წელიწადის ყველაზე მცხუნვარე დღე იყო. მთებმა მწველი სიცხე მოიმწყვდია და ქალაქი კვამლისგან გაგუდულს დაემსგავსა. ელექტროენერგია რამდენიმე დღის წინ გაითიშა. ბედის ირონიით, მთელ ქაბულში არც ერთი ელექტროვენტილატორი არ მუშაობდა.

ლაილა კვლავაც მისაღები ოთახის დივანზე იწვა. ბლუზა ოფლში დასველებოდა. თითოეული ამოსუნთქვა ცხვირის წვერს უწვავდა. ესმოდა, რომ მშობლები ფარიბას ოთახში საუბრობდნენ. ისევე როგორც ორი ღამის წინ, წუხელაც უეცრად გამოეღვიძა და მათი ხმა ქვედა სართულიდან შემოესმა. მას შემდეგ, რაც ტყვიამ მათ ჭიშკარს ახალი ნახვრეტი დაამჩნია, ბაბი და ფარიბა ყოველდღე ლაპარაკობდნენ.

არტილერიის გუგუნი ჯერ შორიდან აღწევდა, შემდეგ კი სროლის გაბმული ხმა უფრო ახლოდან გაისმა.

ლაილაც შინაგან ბრძოლაში იყო: ერთი მხრივ, დანაშაულის გრძნობა აწუხებდა, რასაც სირცხვილიც თან ერთვოდა, მეორე მხრივ კი სწამდა, რომ რაც მან და თარიყმა ჩაიდინეს, არა თუ ცოდვა, არამედ რაღაც ბუნებრივი, სასიამოვნო, მშვენიერი და გარდაუვალიც კი იყო, თან იმითაც წახალისებული, რომ შესაძლოა, მათ ერთმანეთი ვეღარასდროს ენახათ.

ლაილამ დივანზე გვერდი იცვალა, რაღაცის გახსენებას ცდილობდა: ერთ მომენტში, როდესაც იატაკზე იწვნენ, თარიყი შუბლით მისკენ დაიხარა. შემდეგ ქოშინით უთხრა: „ხომ არ გტკენ?“ თუ „გტკივა?“

ლაილას ვერ გადაეწყვიტა, რა ჰკითხა ბიჭმა.

„ხომ არ გტკენ?“

„გტკივა?“

მისი წასვლიდან ჯერ მხოლოდ ორი კვირა გასულიყო, მკაფიო მოგონებებს კი დრო ნელ-ნელა აფერმკრთალებდა. ლაილა ამ პროცესთან შეწინააღმდეგებას ცდილობდა. როგორ მითხრა? — საკუთარ თავს ეკითხებოდა. უეცრად გააცნობიერა, რომ ამას მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

ლაილამ თვალები დახუჭა. ცდილობდა, ფიქრებისთვის თავი მოეყარა.

მაგრამ დრო გადიოდა და გოგონა თანდათან გონების ამ ვარჯიშმაც გადაღალა. სულ უფრო მეტად დამქანცველი გახდა დეტალების გახსენება, მტვრის ჩამობერტყვა, იმ ყველაფრის ხელახლა გაცოცხლება, რაც უკვე დიდი ხნის წინ მომკვდარიყო. წლების შემდეგ, ალბათ, დადგებოდა დღე, როდესაც ლაილა თავის დანაკარგზე ასე ძლიერ აღარ იდარდებდა. დადგებოდა დღე, როდესაც მისი სახის ნაკვთები მეხსიერებიდან წაეშლებოდა, ქუჩაში დედა შვილს თარიყს დაუძახებდა და ამ სახელის გაგონებაზე გული არ შეუტოკდე-

ბოდა; გაივლიდა ახლანდელი მონატრებაც, ამპუტირებული კიდურის უწყვეტ, წარმოსახვით ტკივილს რომ ჰგავდა.

მხოლოდ იმ ძალიან იშვიათ, ბანალურ შემთხვევებს თუ არ გავითვალისწინებთ, უკვე ზრდასრულ ლაილას მოგონებებს რომ გაუცოცხლებდა: პერანგის უთოობა ან ხელის კვრა ბავშვებისათვის საქანელაზე, ცხელ დღეს ფეხებქვეშ ხალიჩის სიმხურვალის შეგრძნება ან უცნობის შუბლის მოყვანილობა. ის ნაშუადღევი უეცრად უკან ბრუნდებოდა: თავისი სპონტანურობით, მათი გასაოცარი წინდაუხედაობით, მოუქნელობით, აქტით გამოწვეული ტკივილით, მისგან მიღებული სიამოვნებით, სევდითა და ერთმანეთში გადახლართული სხეულების სიმხურვალით.

ეს ყველაფერი ნიაღვრად მოედინებოდა და სუნთქვას უკრავდა.

მაგრამ ცოტა ხანში ლაილა მშვიდდებოდა. მღელვარება ცხრებოდა. ემოციებისგან დაცლილი, აუხსნელი მოუსვენრობის გარდა, ვეღარაფერს გრძნობდა.

როგორც იქნა, გადაწყვიტა, ბიჭმა ჰკითხა: „ხომ არ გტკენ?“ დიახ, სწორედ ასე იყო! ლაილას გაუხარდა, რომ ჯერ კიდევ ახსოვდა.

დერეფანში ბაბი გამოჩნდა, კიბის თავში იდგა, მას ეძახდა და სთხოვდა, სასწრაფოდ ზემოთ ასულიყო.

— თანახმაა! — ახარა კაცმა, შეკავებული მღელვარებისგან ხმა უთრთოდა. — მივდივართ, ლაილა! ქაბულიდან ერთად მივდივართ!

დედიკოს ოთახში სამივენი საწოლზე ისხდნენ. ჰექმათიარისა და მასუდის ძალები გაუჩერებლად იბრძოდნენ და რეაქტიული ჭურვები ცაში წუილით დაქროდა. ლაილამ იცოდა, რომ ქალაქის რომელიღაც კუთხეში იმ წუთას ვიღაც მოკვდა, შავი კვამლის ღრუბელი დანგრეული შენობების თავზე ჩამოწვა და ირგვლივ მტვრის კორიანტელი დააყენა. მეორე დილით ყველგან გვამები იქნებოდა. ზოგიერთს იქვე დატოვებდნენ, ზოგიერთს — არა. შემდეგ კი ქაბულელი ძაღლები, რომელთაც უკვე გაეგოთ ადამიანის ხორცის გემო, ნადიმს გამართავდნენ.

მიუხედავად ამისა, ლაილას ამ ქუჩების შემორბენა ეწადა. ძლივ-ძლივობით ახერხებდა საკუთარი ბედნიერების დაფარვას. უჭირდა,

მშვიდად მჯდარიყო და სიხარულისგან არ წამოეკივლა. ბაბიმ თქვა, რომ თავდაპირველად, ვიზების მისაღებად, პაკისტანში ჩავიდოდნენ. თარიყიც ხომ პაკისტანში გაემგზავრა! მისი წასვლიდან ჯერ მხოლოდ ჩვიდმეტი დღე გასულიყო! ლაილას ზუსტად გამოეთვალა. დედას რომ ჩვიდმეტი დღის წინ მიეღო გადაწყვეტილება, შესაძლოა, ერთადაც წასულიყვნენ და ახლა თარიყთან იქნებოდა! მაგრამ ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ის, დედიკო და ბაბი ფეშავარში მიდიოდნენ, იქ კი თარიყსა და მის მშობლებს აუცილებლად მოძებნიდნენ, აუცილებლად! საჭირო დოკუმენტებს ერთად მოამზადებდნენ. მერე... მერე ვინ იცის? ევროპა? ამერიკა? შესაძლოა, ბაბი ხომ ყოველთვის ამბობდა, სადმე ზღვასთან ახლოსო...

ნახევრად მიწოლილი ფარიბა საწოლის თავს მიყრდნობოდა. თვალები შეშუპებოდა. თითებით თმას აწვალებდა.

სამი დღის წინ ლაილა ჰაერზე გარეთ გავიდა. ჭიშკარს მიყრდნობილს უეცრად გრიალი შემოესმა, მარჯვენა ყურთან რაღაცამ ჩაუქროლა და პაწაწინა ხის ნამსხვრევებმა თვალწინ გაუელვა. გითის სიკვდილის, ათასობით აფეთქებისა და ქაბულში უთვალავი ჭურვის ჩამოგდების შემდეგ, მათ ჭიშკარსაც გაუჩნდა ნახვრეტი. ტყვიამ, რომელმაც ლაილას თავიდან სამი თითის მოშორებით ჩაიქროლა, დედა გამოაფხიზლა; დაანახა, რომ ერთმა ომმა მისი ორი შვილი უკვე შეიწირა; მესამე კი, შესაძლოა, ამ უკანასკნელის მსხვერპლი გამხდარიყო.

ოთახის კედლიდან აჰმადი და ნური იღიმოდნენ. ლაილა აკვირდებოდა დედიკოს თვალებს, რომელსაც დამნაშავის მზერა ერთი ფოტოდან მეორეზე გადაჰქონდა. თითქოს მათგან ნებართვას, კურთხევას ელოდა; თითქოს პატიებას სთხოვდა.

— აქ აღარაფერი დაგვრჩენია, — თქვა ბაბიმ. — ვაჟებმა დაგვტოვეს, მაგრამ ლაილა ხომ გვყავს?!. ერთმანეთი ხომ გვყავს, ფარიბა? ახალი ცხოვრება უნდა დავიწყოთ!

ბაბი საწოლს მიუახლოვდა. როდესაც დაიხარა და ქალის ხელს დასწვდა, ფარიბა არ შეწინააღმდეგებია. სახეზე ეტყობოდა, რომ

ნებდებოდა, ბედს ემორჩილებოდა. ხელები ერთმანეთს მსუბუქად ჩასჭიდეს, შემდეგ გადაეხვივნენ და მშვიდად ირწეოდნენ. დედამ სახე ქმრის კისერში ჩარგო, ხელით მის პერანგს ჩაეჭიდა.

აღელვებულმა ლაილამ იმ ღამეს დაძინება ვერ შეძლო. საწოლში იწვა და თვალისმომჭრელი სტაფილოსფერი და ყვითელი ჩრდილებით განათებულ ჰორიზონტს გაჰყურებდა. თუმცა, მიუხედავად შინაგანი მღელვარებისა და გარეთ საარტილერიო ცეცხლის გრიალისა, რაღაც მომენტში მაინც ჩაეძინა.

სიზმარი ნახა. ვიწრო ნაპირზე წყნარად ისხდნენ. გრილი, მოქუფრული დღე იყო, მაგრამ თარიყის გვერდით, მხრებზე მოსხმული პლედით, ლაილა თავს თბილად გრძნობდა. ქარისგან აბურდული პალმის ხეების ძირში, დაბალი, უსწორმასწორო, თეთრად შეღებილი ღობის იქით, გაჩერებულ მანქანებს ხედავდა. ქარი თვალებს უწყლიანებდა და ფეხსაცმელს სილაში უმალავდა; ქვიშის დიუნის ქიმიდან მოგლეჯილ, ერთმანეთში გადახლართულ ბალახს ძირს ანარცხებდა. ლაილა და თარიყი შორიდან გემების რწევას უმზერდნენ. მათ გარშემო თოლიები ხმამაღლა კიოდნენ და ჰაერში დაფარფატებდნენ. ქარპირა ფერდობიდან ქარმა ქვიშის კიდევ ერთ ტალღას წამოუქროლა. მელოდიასავით ხმა ისმოდა, ლაილა კი ბიჭს მომღერალი ქვიშის შესახებ ბაბის მიერ წლების წინ მონათხრობს უყვებოდა.

თარიყი წარბებს ისრესდა და სილის მარცვლებისგან ისუფთავებდა. ბიჭის თითზე გოგონამ მოციმციმე რგოლი შენიშნა. მისი ბეჭდის იდენტური იყო. ოქროსი, მთლიანად ლაბირინთისებრი ორნამენტებით დატვიფრული.

— მართალია, — უთხრა თარიყს, — ეს მარცვლებს შორის ხახუნის ძალაა. მოუსმინე.

ბიჭი წარბშეჭმუხნილი აყურადებდა. ელოდნენ. სიოს ქროლვისას კვნესის ხმა, ძლიერი ქარის დაბერვისას კი მკვეთრად გამოხატული ზლუქუნი შემოესმათ.

ბაბიმ თქვა, რომ მხოლოდ აუცილებელ ნივთებს წაიღებდნენ. დანარჩენს გაყიდდნენ.

— სანამ ფეშავარში სამუშაოს ვიპოვი, თავს გაგვატანინებს.

მომდევნო ორი დღის განმავლობაში გასაყიდ ნივთებს თავი მოუყარეს და დიდ ფუთებად შეკრეს.

ლაილამ ძველი ბლუზები, ფეხსაცმელები, წიგნები, სათამაშოები გვერდით გადააწყო. საწოლის ქვეშ შეიხედა და პატარა ყვითელი შუშის ძროხა იპოვა, რომელიც ჰასინამ მეხუთე კლასის დამთავრების შემდეგ არდადეგებზე აჩუქა; იქვე იყო გითის საჩუქარიც — გასაღების საკიდი მინიატიურული ფეხბურთის ბურთი; პატარა ხის ზებრა გორგოლაჭებზე; კერამიკის ასტრონავტი, რომელიც მან და თარიყმა თხრილში იპოვეს. მაშინ ლაილა ექვსი წლის იყო, ბიჭი კი — რვის. გოგონას გაახსენდა, რომ წაკამათდნენ კიდეც იმაზე, თუ რომელმა შენიშნა ასტრონავტი პირველად.

დედაც თავის ნივთებს აგროვებდა. უხალისოდ მოძრაობდა, უსიცოცხლო, უმიზნო მზერა ჰქონდა. ძვირფასი თეფშები, ხელსახოცები, ძვირფასეულობა, გარდა საქორწილო ბეჭდისა, და ძველი ტანსაცმლის უმეტესობა გვერდით გადააწყო.

— ამას არ ყიდი, არა? — ჰკითხა ლაილამ, დედიკოს საქორწილო კაბა ჰაერში ასწია, მისი ბოლო კალთაზე დაეფინა. დეკოლტეზე მიმაგრებულ მაქმანებსა და ბაფთებს, სახელოზე ხელით მიბნეულ მარცვლისოდენა მარგალიტებს შეეხო.

დედამ მხრები აიჩეჩა, ქალიშვილს კაბა გამოსტაცა და ტანსაცმლის გროვისკენ უხეშად მოისროლა. თითქოს ლეიკოპლასტირი ხელის ერთი მოძრაობით უხეშად მოიგლიჯაო, თავისთვის გაიფიქრა ლაილამ.

ყველაზე მტკივნეული ამოცანის წინაშე ბაბი აღმოჩნდა.

ლაილამ დაინახა, როგორ იდგა დასევდიანებული მამა თავის სამუშაო ოთახში და თაროებს ყურადღებით ათვალიერებდა. მეორადი მაისური ეცვა, სან-ფრანცისკოს წითელი ხიდის გამოსახულებით. წყლის თავზე თეთრი, სქელი ნისლი ჩამოწოლილიყო და ხიდის კოშკურები დაეფარა.

— ძველი ხუმრობა იცი? — უეცრად ჰკითხა კაცმა. — უკაცრიელ კუნძულზე ხარ და შეგიძლია თან მხოლოდ ხუთი წიგნი იქონიო. რომლებს აირჩევდი? ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ ამ არჩევანის წინაშე აღმოვჩნდებოდი.

— ხელახლა შევაგროვებთ, ბაბი, — ლაილამ მისი დამშვიდება სცადა.

— ჰმ, — ნაღვლიანად გაიღიმა მამამ, — დაუჯერებელია, რომ ქაბულიდან მივდივარ. სკოლაში აქ დავდიოდი, პირველი სამუშაო აქ ვიშოვე, მამაც ამ ქალაქში გავხდი. უცნაური შეგრძნება მეუფლება, როცა წარმოვიდგენ, რომ მალე სხვა ქალაქის ცის ქვეშ უნდა დავიძინო.

— ჩემთვისაც უცნაურია, — ჩაილაპარაკა გოგონამ.

— ეს ლექსი ქაბულის შესახებ მთელი დღეა თავში მიტრიალებს. საებ თაბრიზიმ(საებ თაბრიზი — მეჩვიდმეტე საუკუნის სპარსელი ლირიკოსი.) დაწერა, მგონი, მეჩვიდმეტე საუკუნეში. ადრე მთელი ლექსი ზეპირად ვიცოდი, მაგრამ ახლა მხოლოდ ორი სტრიქონიღა მახსოვს:

ვინ მოსთვლის მოციმციმე მთვარეებს, ქალაქის სახურავებს რომ დაჰნათის,

ან ათას მოელვარე მზეს, მის კედლებს თავშეფარებულს.

ლაილამ თავი ასწია და დაინახა, რომ ბაბი ტიროდა. გოგონა მამას წელზე შემოეხვია.

— ოჰ, ბაბი... ჩვენ დავბრუნდებით! ომი დამთავრდება და ქაბულში დავბრუნდებით, ინშაალლა. აი, ნახავ!

მესამე დილას ლაილა ფუთების ეზოში გაზიდვას და ჭიშკართან მოგროვებას შეუდგა. შემდეგ ტაქსის გააჩერებდნენ და ყველაფერს ლომბარდში წაიღებდნენ.

ლაილა სახლსა და ეზოს შორის წრიალებდა, წინ და უკან დარბოდა, ტანსაცმელსა და ჭურჭელს დაატარებდა, ყუთებით ბაბის წიგნები გამოჰქონდა. როდესაც შუადღისთვის ჭიშკართან დაგროვილი ნივთები წელამდე მისწვდა, წესით, უკვე საშინლად დაქანცული უნდა ყოფილიყო. მაგრამ იცოდა, რომ თითოეული მოძრაობა თარიყის ნახვის ბედნიერებას აახლოებდა, ამიტომ უფრო ენერგიულად ირჯებოდა.

— დიდი ტაქსი დაგვჭირდება.

ლაილამ აიხედა. საძინებლიდან დედა იძახდა. ფანჯრიდან გადმომდგარიყო და იდაყვები რაფაზე დაეყრდნო. კაშკაშა და თბილი მზე მის მონაცრისფრო თმას და წვრილ, გაცრეცილ სახეს ანათებდა. დედას ისევ ის ლურჯი კაბა ეცვა, რაც ოთხი თვის წინ გამართულ წვეულებაზე. ახალგაზრდული კაბა მაშინ მის ახალგაზრდულ იერს უსვამდა ხაზს, მაგრამ ახლა ლაილას ეგონა, რომ მკლავებგალეულ მოხუცს უყურებდა, ჩაცვენილი საფეთქლები და დაღლილობისგან ჩაშავებული, უაზრო თვალები რომ ჰქონდა. ის რადიკალურად განსხვავდებოდა იმ სრული, მრგვალსახიანი ქალისგან, ხორკლიანი საქორწილო ფოტოებიდან გაცისკროვნებული რომ ასხივებდა.

— ორი დიდი ტაქსი, — თქვა ლაილამ.

გოგონა ბაბისაც ხედავდა, მისაღებ ოთახში წიგნებით სავსე ყუთებს ერთმანეთზე რომ აწყობდა.

— რომ დაამთავრებ, შემოგვიერთდი, — მიმართა დედამ. — წავიხემსოთ. მოხარშული კვერცხი და მორჩენილი ლობიო გვაქვს.

— მე ძალიან მიყვარს, — თქვა ლაილამ.

უეცრად თავისი სიზმარი გაახსენდა. ის და თარიყი დალიანდაგებულ საბანზე ისხდნენ. ოკეანე. ქარი. ქვიშის დიუნები.

ახლა მომღერალი ქვიშის ჟღერადობის აღდგენას ცდილობდა.

ლაილა შეჩერდა. მიწის ნაპრალიდან ნაცრისფერი ხვლიკი ამოძვრა. თავს აქეთ-იქით სწრაფად ამოძრავებდა და თვალებს ახამხამებდა. მალევე ქვის ქვეშ გაუჩინარდა.

გოგონამ ისევ სანაპირო წარმოიდგინა. მელოდია მკაფიოდ ესმოდა. ხმა სულ უფრო მატულობდა. ყურთასმენა წაუღო. სხვა ყველაფერი გადაფარა. თოლიები ახლა ბუმბულით დაფარულ მიმებს წააგავდნენ, ნისკარტებს ხმაურით ამოძრავებდნენ, აქაფებული ტალღები გრგვინავდა და შხეფები აქეთ-იქით იფანტებოდა, თუმცა დგაფუნის ხმა არ ესმოდა. ქვიშა ისევ მღეროდა. მკვეთრ ხმებს გამოსცემდა. წკარუნის მსგავსი ხმა იყო?

არა, ეს წკარუნი არ იყო. უფრო სტვენას ჰგავდა.

ლაილას წიგნი ფეხებთან დაუვარდა. ცას ახედა. ცალი ხელით თვალები მოიჩრდილა.

უეცრად ძლიერი გრუხუნი გაისმა.

მის უკან რაღაც თეთრად განათდა.

ფეხქვეშ მიწა შეზანზარდა.

რაღაც ცხელი და მძლავრი ლაილას უკნიდან ხმაურით შეენარცხა, სანდლებიდან ამოაგდო და ჰაერში აიტაცა. ახლა სადღაც მიფრინავდა, ჰაერში იკლაკნებოდა და ტრიალებდა. ჯერ ცა დაინახა, შემდეგ — მიწა, მერე ისევ ცა და ისევ მიწა. ხის უზარმაზარი ცეცხლმოკიდებული ნაფოტი, შუშის ნამსხვრევები უკან სწრაფად მიჰყვებოდა. ლაილას მოეჩვენა, რომ თითოეული ნივთი მის გარშემო დაფრინავდა, ტრიალებდა და მზის სხივების მოხვედრისას ყველგან პაწაწინა, ლამაზი ცისარტყელები ჩნდებოდა.

გოგონა კედელს შეენარცხა და მიწაზე დაეცა. სახე და მკლავები ტალახით, კენჭებითა და შუშის ნამსხვრევებით დაფარვოდა. მოზრდილი ხორცის სისხლიანი მასა, რომელიც იქვე მიწაზე ეგდო და ყრუ ხმას გამოსცემდა, ბოლო იყო, რაც ლაილამ დაინახა. მასზე სქელ ნისლში ჩაძირული წითელი ხიდის ნაფლეთი მოსჩანდა.

გარშემო სილუეტები მოძრაობენ. ჭერიდან ფლუორესცენციური სინათლე ანათებს. შემდეგ ქალის სახე ჩნდება და ზემოდან დაჰყურებს.

ლაილა თანდათან სიბნელეს უბრუნდება.

კიდევ ერთი სახე. ამჯერად მამაკაცის. რაღაცნაირი ბრტყელი და მოშვებულნაკვთებიანი. ტუჩებს უხმაუროდ ამოძრავებს. ლაილას ყურებში მხოლოდ წუილი ესმის.

კაცი ხელს უქნევს. იღუშება. ტუჩებს ისევ ამოძრავებს.

სტკივა. სუნთქვისას საშინელ ტკივილს გრძნობს. ყველაფერი სტკივა.

ჭიქა წყალი. ვარდისფერი აბი.

ისევ სიბნელეში იძირება.

ქალი კვლავ ჩნდება. გრძელი სახე და ვიწრო თვალები აქვს. რაღაცას ამბობს. ლაილას ყურში კვლავაც მხოლოდ წუილი ესმის. სიტყვებს

ისე აღიქვამს, თითქოს ქალის პირიდან შავი ბლანტი სიროფივით იღვრება.

გულმკერდი სტკივა. მკლავები და ფეხები სტკივა.

მის გარშემო სილუეტები მოძრაობენ.

თარიყი სად არის?

მასთან რატომ არ არის?

ისევ სიბნელე. ვარსკვლავებით მოჭედილი ცა.

ლაილა და ბაბი სადღაც მაღლა არიან. ბაბი გოგონას ქერის მინდვრებს უჩვენებს. გენერატორი ირთვება.

გრძელსახიანი ქალი თავზე ადგას.

სუნთქვისას ტკივილს გრძნობს.

სადღაც აკორდეონი უკრავს.

ისევ ვარდისფერი აბი. შემდეგ ხანგრძლივი დუმილი. ირგვლივ ყოვლისმომცველი სიჩუმე ისადგურებს.

## მესამე ნაწილი

## 27

მარიამი

იცი, მე ვინ ვარ?

გოგონამ თვალები აამოძრავა.

— გახსოვს, რა მოხდა?

ლაილას ტუჩები აუცახცახდა. თვალები დახუჭა. ნერწყვი ჩაყლაპა. მარცხენა ლოყას ხელით ოდნავ შეეხო. რაღაც წარმოთქვა.

მარიამი მისკენ უფრო ახლოს დაიხარა.

— ამ ყურში არ მესმის, — ჩურჩულით ჩაილაპარაკა გოგონამ.

პირველი კვირის განმავლობაში, იმ ვარდისფერი აბების წყალობით, რომლის საფასურიც საავადმყოფოში რაშიდმა გადაიხა-

და, ლაილას ცოტა, მაგრამ მაინც ეძინა. ხანდახან გაურკვევლად ლაპარაკობდა, წამოიყვირებდა, იძახდა სახელებს, რომელიც მარიამისთვის უცნობი იყო. ძილში ტიროდა, ფორიაქობდა, საბანს იხდიდა, და მარიამს მისი დამშვიდება უწევდა. ზოგჯერ გოგონას დაუსრულებლად გული ერეოდა და რაც კი ეჭამა, ყველაფერს უკან იღებდა.

როცა აგზნებული არ იყო, საბანს გადაიფარებდა ხოლმე და მხოლოდ ორი პირქუში თვალი მოუჩანდა; მარიამისა და რაშიდის კითხვებს იქიდან ჩურჩულით, მოკლედ პასუხობდა. საჭმელს რომ აძალებდნენ, პატარა ბავშვივით გაჯიუტდებოდა და თავს აქეთ-იქით იქნევდა. როდესაც მარიამი კოვზით უახლოვდებოდა, გოგონა უდრეკი ხდებოდა. მაგრამ მაინც ადვილად იღლებოდა და ბოლოს და ბოლოს, მათ დაჟინებულ მოთხოვნას ემორჩილებოდა. ამ მორჩილებას ტირილის ხანგრძლივი შეტევა მოსდევდა.

რაშიდი და მარიამი გოგონას სახესა და კისერზე, მხრის ჭრილობაზე, ხელზე — მაჯიდან იდაყვამდე — და ფეხების ქვედა ნაწილზე ანტიბიოტიკებით დამზადებულ მალამოს უსვამდნენ, შემდეგ დოლბანდით უხვევდნენ, რომელთაც მარიამი რეცხავდა და ხელახლა ახვევდა; პირღებინებისას გოგონას თმას სახიდან უწევდა.

— აქ რამდენ ხანს უნდა დარჩეს? — ჰკითხა მან რაშიდს.

— სანამ უკეთ არ გახდება. შეხედე. ახლა სიარულის თავი არ აქვს. საბრალო.

ლაილა რაშიდმა იპოვა და ნანგრევებიდან გამოიყვანა.

— ბედად შინ ვიყავი, — უთხრა მან გოგონას. კაცი მარიამის გვერდით, ლაილას საწოლთან ახლოს იჯდა. — გაგიმართლა. ჩემი ხელით გამოგიყვანე. ამხელა ლითონის ნატეხი გქონდა ჩასობილი, — გოგონასთვის ზომის საჩვენებლად ცერა და საჩვენებელი თითები გაშალა, მარიამის აზრით, ალბათ ორჯერ მეტად, ვიდრე სინამდვილეში იყო. — ამხელა. მხარში გქონდა ჩარჭობილი. ნამდვილად ისე ღრმად იყო ჩასული, ვიფიქრე, მის ამოსაღებად ბრტყელტუჩა დამჭირდება-მეთქი. მაგრამ ახლა უკეთ ხარ. ძალიან მალე ნაუ სოჩა(ნაუ სოჩა — ახალი და სუფთა; ხალასი.) იქნები, ახალივით.

რაშიდმა ჰაქიმის წიგნების მცირე ნაწილიც გადაარჩინა.

— უმეტესობა ფერფლად იქცა. ვშიშობ, დანარჩენი მოიპარეს.

პირველი კვირის განმავლობაში კაცი მარიამს გოგონას მოვლაში ეხმარებოდა. ერთ დღეს სამსახურიდან შინ ახალი საბნითა და ბალიშით დაბრუნდა. მეორე დღეს კი — წამლის ბოთლით.

— ვიტამინებია, — თქვა მან.

სწორედ რაშიდმა ამცნო ლაილას, რომ თარიყის სახლს დაეპატრონნენ.

— საიაფის ერთ-ერთმა სარდალმა თავის სამ კაცს საჩუქრად უძღვნა. საჩუქრად, წარმოგიდგენია?

სამი „კაცი“ სინამდვილეში გარუჯული, ახალგაზრდა ბიჭები იყვნენ. სახლთან რომ ჩაივლიდა, მარიამი მათ უნიფორმებში გამოწყობილებს, თარიყის სახლის წინა კართან ჩაცუცქულებს ხედავდა. კარტს თამაშობდნენ და ეწეოდნენ, „კალაშნიკოვები“ კედელთან ჰქონდათ მიყუდებული. მათგან ერთ-ერთი, დაკუნთული და თვითკმაყოფილი, დამცინავი მანერებით რომ გამოირჩეოდა, ლიდერი იყო. ყველაზე ახალგაზრდა კი, ამავდროულად, ყველაზე წყნარიც აღმოჩნდა. როგორც ჩანს, თავისი მეგობრებისგან განსხვავებით, ჯერ კიდევ არ ჰქონდა შესისხლხორცებული დაუსჯელობის განცდა. როცა კი მარიამი ჩაივლიდა, ყოველთვის უღიმოდა, თავს უკრავდა და „სალამს“ ეუბნებოდა. ამ დროს ბიჭის ზედაპირული თვითკმაყოფილება სადღაც ქრებოდა და მარიამი მასში ჯერ კიდევ შერჩენილი თავმდაბლობის უეცარ გამოვლინებას ამჩნევდა.

ერთ დილას სახლს ჭურვი დაეცა. მოგვიანებით ხმა გავრცელდა, ისინი ჰაზარა ვაჰდათებმა ააფეთქესო. რამდენიმე ხნის განმავლობაში მეზობლები ბიჭების სხეულის ნაფლეთებს სხვადასხვა ადგილას პოულობდნენ.

— საქმე აქეთკენ მიდიოდა, — დაასკვნა რაშიდმა.

მარიამის აზრით, გოგონა გამორჩეულად იღბლიანი აღმოჩნდა, რადგან თუ გავითვალისწინებთ, რომ ჭურვმა მისი სახლი მთლიანად ფერფლად აქცია, ლაილამ შედარებით მსუბუქი დაზიანებები

მიიღო. თანდათან გოგონა უკეთ ხდებოდა. უფრო მეტს ჭამდა, თმის დავარცხნაც დაიწყო. თვითონ ბანაობდა. საჭმელად ქვედა სართულზე ჩადიოდა და მარიამთან და რაშიდთან ერთად მიირთმევდა.

მაგრამ უნებლიედ მოგონებები წამოუტივტივდებოდა ხოლმე, უეცრად სამარისებური სიჩუმე დაისადგურებდა და ლაილაც მოიღუშებოდა. ხან წონასწორობას ინარჩუნებდა, ხან კი ისევ სასოწარკვეთაში ვარდებოდა. ფერმიხდილი იყო, კაეშანი ეძალებოდა და ღამის კოშმარები აწუხებდა. გული ერეოდა.

ზოგჯერ სინანულის განცდა ეუფლებოდა.

— მე აქ არ უნდა ვიყო, — თქვა მან ერთ დღეს.

მარიამი ზეწარს ცვლიდა. გოგონა იატაკზე დამჯდარიყო და იქიდან შეჰყურებდა. დალილავებული მუხლები გულმკერდთან მიეხუტებინა.

— მამას ყუთების გარეთ გამოტანა უნდოდა. წიგნების ყუთების. მითხრა, რომ ჩემთვის ძალიან მძიმე იყო. მაგრამ არ დავაცადე. ყველაფრის გაკეთება თავად მინდოდა. როცა ეს მოხდა, მეც სახლში უნდა ვყოფილიყავი.

მარიამმა ზეწარი საწოლზე ხმაურით გადააფარა. გოგონას ქერა კულულებს, მოხდენილ კისერსა და მწვანე თვალებს, მაღალ ღაწვებსა და მოზრდილ ტუჩებს აკვირდებოდა. მარიამს ახსოვდა, რომ როდესაც ლაილა პატარა იყო, ქუჩაში ხშირად ხედავდა, როგორ მისდევდა დედას ბარბაცით თონესკენ. მიმავალ გზას რომ მიუყვებოდნენ, როგორ ჰყავდა კისერზე შემოსმული უმცროს ძმას, ყურებიდან ბღუჯა თმა რომ მოუჩანდა; როგორ ისროდა სათამაშო ბურთულებს დურგლის ბიჭთან ერთად.

ახლა კი გოგონა თითქოს ელოდა, რომ მარიამი კეთილგონიერებას გამოიჩენდა და გასამხნევებლად რაიმეს ეტყოდა. მაგრამ მარიამს რისი შეთავაზება შეეძლო? როგორ უნდა გაემხნევებინა? ნანას დაკრძალვის დღე კარგად ახსოვდა. ისიც ახსოვდა, მოლა ფაეზულას მიერ ყურანიდან ამოკითხული ციტატები რომ ვერ ანუგეშებდა: „კურთხეულია იგი, ვის ხელშიცაა მეუფება და იგია შემძლე ყოველივესი. რომელმან შექმნა სიკვდილი და სიცოცხლე, რათა გამოეცადეთ, რომელი

თქვენგანი უმჯობესია საქმით“; ან როდესაც მარიამი საკუთარ ბრალეულობაზე საუბრობდა, მოლა კი პასუხობდა, — „ეს ფიქრები კარგს არაფერს მოგიტანს, ძვირფასო მარიამ. გაგანადგურებს. შენ არ ხარ დამნაშავე. შენ არ ხარ დამნაშავე!“

რით უნდა ენუგეშებინა ლაილა? მისი ტვირთი როგორ შეემსუბუქებინა?

მაგრამ მარიამმა სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო, რადგან გოგონას უეცრად სახე დაემანჭა, იატაკზე ოთხზე დადგა და გაიძახოდა, გული მერევაო.

— მოიცადე, ტაშტს მოვიტან! ოღონდ იატაკზე არა! ახლახან გავწმინდე... ოჰ. ოჰ. ო, ხოდაია(ხოდაია! — ო, ღმერთო!), ღმერთო!..

მას შემდეგ, რაც აფეთქებამ ლაილას მშობლების სიცოცხლე შეიწირა, დაახლოებით ერთი თვე გასულიყო. ერთ დღეს კარზე მამაკაცმა დააკაკუნა. მარიამმა გაუღო. კაცმა უთხრა, რომ ლაილას ნახვა სურდა.

— შენთან არიან, — დაუძახა მარიამმა.

გოგონამ თავი ბალიშიდან წამოსწია.

— ამბობს, რომ აბდულ შარიფია.

— ასეთს არავის ვიცნობ.

— არ ვიცი, შენი ნახვა სურს. ქვევით უნდა ჩამოხვიდე და დაელაპარაკო.

## 28

ლაილა

ლაილა აბდულ შარიფის პირდაპირ იჯდა. სტუმარი გამხდარი კაცი იყო, პატარა თავი და დიდი ცხვირი ჰქონდა, რომელიც ისეთივე ღრმულებით დაფარვოდა, როგორითაც ნაყვავილარი ლოყები. მოკლედ გაკრეჭილი ყავისფერი თმა მის თავზე სანემსე ბალიშში ჩასობილ ნემსებს წააგავდა.

— უნდა მაპატიო, ჰამშირა, — თქვა მან და მოშვებული საყელო გაისწორა, თან წარბებს ცხვირსახოცით მსუბუქად შეეხო. — ვშიშობ, ჯერ ბოლომდე ვერ გამოვჯანმრთელდი. კიდევ ხუთი დღე უნდა ვსვა ის, რა ჰქვია... სულფანილამიდის აბები.

ლაილა ისე დაჯდა, რომ ჯანსაღი მარჯვენა ყური კაცთან უფრო ახლოს ჰქონოდა.

— ჩემი მშობლების მეგობარი იყავით?

— არა, არა, — სწრაფად მიუგო აბდულ შარიფმა. — მომიტევე, — თითი ასწია და მარიამის მორთმეული წყალი მოსვა.

— ვფიქრობ, მოყოლა თავიდან უნდა დავიწყო, — ცხვირსახოცით ტუჩებს, შემდეგ კი ისევ წარბებს ფრთხილად შეეხო. — ბიზნესმენი ვარ. ტანსაცმლის მაღაზიებს ვფლობ, ძირითადად, მამაკაცის ტანსაცმლის. ჩაპანები, შლაპები, თომბანები(თომბანი — განიერი შარვალი. ), კოსტიუმები, ჰალსტუხები და ამ ტიპის საქონელი მაქვს. ჩემი ორი მაღაზია ქაბულშია, შარ-ე-ნაუსა და თაიმანიში, თუმცა ისინი ახლახან გავყიდე; ორი კი — პაკისტანში, ფეშავარში. საწყობიც მანდვე მაქვს. მოკლედ, ბევრს ვმოგზაურობ, სულ აქეთ-იქით დავდივარ. ეს კი ჩვენს დროში, — ჩაიხითხითა დაღლილმა, — შეიძლება ითქვას, თავგადასავალია.

— ბოლო დროს საქმეზე ფეშავარში ვიყავი. შეკვეთები მივიღე, ინვენტარიზაცია ჩავატარე და სხვა მსგავსი საქმეები მოვაგვარე. ოჯახიც მოვინახულე. ალჰამდულილლაჰ(ალჰამდულილლაჰ — (არაბ.) მადლობა ღმერთს.), სამი ქალიშვილი მყავს. მას შემდეგ, რაც მოჯაჰედები ერთმანეთს დაერივნენ, ისინი მეუღლესთან ერთად ფეშავარში გავუშვი. სულ არ მინდა მათი სახელები შაჰიდთა სიაში აღმოჩნდეს. გულწრფელად გითხრათ, არც ჩემი. ინშაალლა, მალე მეც ოჯახთან ერთად ვიქნები.

— მოკლედ, ორი კვირის წინ, ოთხშაბათს ქაბულში უნდა ვყოფილიყავი. ბედად, ავად გავხდი. ამ ამბების მოყოლით თავს აღარ მოგაბეზრებ, ჰამშირა. იმის თქმაც საკმარისია, რომ როდესაც ჩემი საქმეების მოსაგვარებლად წავედი, ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ დამსხვრეული შუშის ნატეხებზე დავდიოდი. ამას თვით ჰექმათიარსაც არ ვუსურ-

ვებ. ჩემმა ცოლმა, ნადია-ჯანმა, ალაჰმა დალოცოს, მთხოვა, ექიმთან წავსულიყავი. მაგრამ ვიფიქრე, ასპირინითა და ბევრი წყლით ტკივილს გავუმკლავდებოდი. ნადია-ჯანმა დაიჟინა, მაგრამ მეც გავჯიუტდი. ხომ გაგიგონია გამოთქმა, „ჯიუტ ვირს ჯიუტი მენახირე სჭირდებაო“. ვშიშობ, ჩემს შემთხვევაში ვირმა გაიმარჯვა და ეს ვირი მე ვიყავი.

კაცმა დარჩენილი წყალი დალია და ცარიელი ჭიქა მარიამს გაუწოდა:

— თუ მეტისმეტი ზაჰმათი(ზაჰმათი — შეწუხება.) არ იქნება...

მარიამმა ჭიქა გამოართვა და წყლის მოსატანად წავიდა.

— ალბათ ზედმეტია იმის თქმა, რომ მისთვის უნდა დამეჯერებინა. ყოველთვის გონიერი იყო, ალაჰმა დღეგრძელობა მისცეს. როდესაც საავადმყოფოში მივედი, სიცხისგან ვიწვოდი და ბიდის(ბიდი — ტირიფი.) ხესავით ვცახცახებდი. ფეხზე ძლივს ვიდექი. ექიმმა მითხრა, რომ სისხლი მქონდა მოწამლული და ჩემს ცოლს დაქვრივებამდე მხოლოდ ორი-სამი დღეღა აშორებდა.

— ინტენსიური თერაპიის ბლოკში მომათავსეს, რომელიც, ვფიქრობ, განსაკუთრებით მძიმე ავადმყოფებისთვის იყო განკუთვნილი. ოჰ, თაშაქორ! — კაცმა მარიამს ჭიქა გამოართვა და პალტოს ჯიბიდან მოზრდილი თეთრი აბი ამოაცურა. — მაინც რამხელაა!..

ლაილა უყურებდა, როგორ გადაყლაპა სტუმარმა წამალი. მიხვდა, რომ სუნთქვა გაუხშირდა, ფეხები დაუმძიმდა, თითქოს ზედ გირები დაჰკიდესო. გოგონა თავს იმშვიდებდა, ჯერ ხომ ცუდი არაფერი უთქვამსო. მაგრამ ყველაფრის შესაცვლელად სულ ერთი წამი იყო საჭირო. უნდოდა ამდგარიყო და გასულიყო, სანამ ისეთ რამეს გაიგებდა, რისი მოსმენაც არ სურდა.

აბდულ შარიფმა ჭიქა მაგიდაზე დადგა.

— სწორედ იქ შევხვდი შენს მეგობარს, მოჰამად თარიყ ვალიზაის.

ლაილას გული აუჩქარდა. თარიყი საავადმყოფოში იწვა? ინტენსიური თერაპიის ბლოკში? განსაკუთრებით მძიმე პაციენტების განყოფილებაში?

პირი გაუშრა. აწრიალდა. თავი წინასწარ უნდა შეემზადებინა. ასე თუ არ მოიქცეოდა, შიშობდა, რომ ჭკუიდან შეიშლებოდა. ამიტომ საავადმყოფოებიდან და ინტენსიური თერაპიის ბლოკებიდან ყურადღება იმაზე გადაიტანა, რომ თარიყის სრული სახელი დღეს პირველად მოისმინა მას მერე, რაც წლების წინ სპარსული ენის შემსწავლელ ზამთრის კურსებზე ერთად ჩაეწერნენ. ზარის დარეკვის შემდეგ მასწავლებელმა სია ამოიკითხა და მისი სახელი — მოჰამად თარიყ ვალიზაი წარმოთქვა. ლაილას მაშინ ბიჭის სრული სახელი სასაცილოდ ოფიციალური მოეჩვენა.

— მისი ამბავი ერთ-ერთი ექთნისგან შევიტყვე, — განაგრძო აბდულ შარიფმა, თან გულმკერდზე მუშტს ირტყამდა, თითქოს წამლის აბს გასასვლელის მოძებნაში ეხმარებოდა. — ფეშავარში ყოფნისას ურდუში(პაკისტანის ერთ-ერთი სახელმწიფო ენა.) საკმაოდ გავიწაფე. ამიტომ ასე თუ ისე გავიგე, რომ შენი მეგობარი ლტოლვილებით სავსე სატვირთო მანქანაში იმყოფებოდა და ოცდასამ ადამიანთან ერთად ფეშავარისკენ მიემგზავრებოდა. საზღვართან ახლოს ჯვარედინ სროლაში მოხვედრილან. სატვირთოს ჭურვი დაეცა, სავარაუდოდ — შემთხვევითი. თუმცა, ვინ იცის!.. მგზავრთაგან მხოლოდ ექვსი გადარჩა, და ყველა ამ ბლოკში მოათავსეს. სამი მათგანი ოცდაოთხ საათში გარდაიცვალა. ორი გოგონა, როგორც ვიცი, დები, უვნებლები გადარჩნენ და მაშინვე გაწერეს. დარჩა თქვენი მეგობარი, ბატონი ვალიზაი. მე რომ მივედი, საავადმყოფოში უკვე სამი კვირა ჰქონდა გატარებული.

ანუ ცოცხალი იყო. მაგრამ მძიმედ დაშავდა? ნეტავ, რამდენად მძიმედ? რადგან ინტენსიური თერაპიის ბლოკში მოათავსეს, ალბათ, საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იყო. ლაილამ იგრძნო, რომ ოფლმა დაასხა, ალმური მოეკიდა. ცდილობდა ყურადღება სხვა თემაზე გადაეტანა, რამე სასიამოვნოზე, მაგალითად, თარიყთან და ბაბისთან ერთად ბამიანში მოგზაურობაზე ეფიქრა. მაგრამ ნაცვლად ამისა, თვალწინ

თარიყის მშობლები დაუდგა: სატვირთო მანქანაში გამომწყვდეული თარიყის დედა სასოწარკვეთილი ყვიროდა, კვამლში შვილს დაეძებდა და ეძახდა, მკლავებსა და გულმკერდზე ცეცხლი ედებოდა, თავის ქალაზე პარიკი ადნებოდა...

ლაილამ რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქა.

— ჩემ გვერდით საწოლში იწვა. კედლები არ იყო, ერთმანეთისგან მხოლოდ ფარდა გვყოფდა. ასე რომ, ძალიან კარგად ვხედავდი.

აბდულ შარიფმა უეცრად საქორწინო ბეჭდის წვალება დაიწყო. ახლა უფრო ნელა საუბრობდა.

— შენი მეგობარი ძალიან, ძალიან მძიმედ იყო დაშავებული. ყველგან რეზინის მილები ეყენა. თავდაპირველად, — კაცმა ჩაახველა, — თავდაპირველად მეგონა, რომ ორივე ფეხი ამ შემთხვევის დროს დაკარგა, მაგრამ შემდეგ ექთანმა ამიხსნა, რომ მხოლოდ მარჯვენა; მარცხენა ფეხი ადრინდელი დანაკარგი იყო. შინაგანი დაზიანებებიც ჰქონდა. ოპერაცია სამჯერ ჩაუტარეს. ნაწლავის გარკვეული ნაწილები ამოკვეთეს, ყველაფერი აღარც მახსოვს. დამწვარიც იყო, საკმაოდ მძიმედ. მოკლედ, რაც გითხარი, ისიც საკმარისია. შენი კოშმარებიც გეყოფა, ჰამშირა. მე აღარ დაგიმატებ.

ახლა ბიჭს არც ერთი ფეხი აღარ ჰქონდა. მხოლოდ ტორსიღა დარჩა ორი ჯირკის ამარა. თარიყი ფეხების გარეშე... ლაილამ გაიფიქრა, რომ გული წაუვიდოდა; სასოწარკვეთილი წინდახედულად, მთელი ძალისხმევით შეეცადა ტვინის ხვეულები ამ ოთახიდან, ფანჯრიდან, ამ კაცისგან, ქუჩებისგან, ქალაქიდან, მისი ბანიანი სახლებისგან და ბაზრისგან, ვიწრო ქუჩების ლაბირინთებისგან მოშორებით მიემართა.

— თითქმის სულ მორფს აძლევდნენ. მაგრამ იყო მომენტები, როდესაც წამალი ზემოქმედებას წყვეტდა. მაშინ თარიყი ტკივილს განიცდიდა, თუმცა ნათელ გონებაზე იყო. ამ დროს ბიჭს ჩემი საწოლიდან ვესაუბრებოდი. მოვუყევი, ვინ ვიყავი, საიდან ჩამოვედი. ვფიქრობ, გაუხარდა, რომ მის გვერდით ჰამვათანი იწვა.

— ძირითადად, მე ვლაპარაკობდი. მას საუბარი უჭირდა. ხმა ჩახლეჩილი ჰქონდა და, ვფიქრობ, ტუჩების მოძრაობისასაც ტკივილს განიცდიდა. ვუყვებოდი ჩემი ქალიშვილების, ფეშავარში ჩვენი სახლისა და ვერანდის შესახებ, რომელსაც მე და ჩემი ძმა სახლის უკანა მხარეს ვაშენებთ. ისიც ვუთხარი, რომ ქაბულში მაღაზიები გავყიდე, მაგრამ საჭირო დოკუმენტების მოსაწესრიგებლად უკან დაბრუნებას ვაპირებდი. მნიშვნელოვანი არაფერი იყო, მაგრამ ამ ამბების მოსმენით ერთობოდა. ყოველ შემთხვევაში, ვიმედოვნებ, რომ ასე იყო.

— იშვიათად თვითონაც ლაპარაკობდა. თუმცა ნახევარჯერ მისი სიტყვები არ მესმოდა, აზრი მაინც გამომქონდა. მიყვებოდა იმ ადგილზე, სადაც ცხოვრობდა; ბიძაზე, რომელიც ღაზნიში ჰყავდა; დედის მზარეულობისა და მამის დურგლობის ნიჭზე; თავად რომ აკორდეონზე უკრავდა....

— მაგრამ, უმეტესწილად, შენზე საუბრობდა, ჰამშირა. ამბობდა, რომ შენ... მოიცა, ზუსტად გავიხსენო —... მისი ყველაზე ადრეული მოგონება ხარ. ჰო, სწორედ ასე ამბობდა! შენ მისთვის ძალიან ძვირფასი იყავი. ბალე(ბალე — დიახ.), ეს ერთი შეხედვითაც ჩანდა. მაგრამ უხაროდა, რომ ახლა მის გვერდით არ იყავი. თქვა, არ მინდა, ამ მდგომარეობაში მნახოსო.

ლაილას ფეხები ისევ დაუმძიმდა და იატაკს მჭიდროდ მიეკრო. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მის სხეულში არსებული სისხლი მთლიანად ფეხებში დაუგუბდა. მაგრამ გონებით მაღალი სიჩქარით მოძრავი რეაქტიული რაკეტასავით გასცდა ქაბულს, კლდოვან ყავისფერ გორაკებს, სალბის ბუჩქებით ალაგ-ალაგ დაფარულ უდაბნოებს, დაკბილული წითელი კლდეების კანიონებსა და დათოვლილ მთებს...

— როდესაც გაიგო, რომ ქაბულში მოვემგზავრებოდი, მთხოვა, მომეძებნე და გადმომეცა, რომ გამუდმებით შენზე ფიქრობს და ენატრები. პირობა მივეცი. ხომ გესმის, თარიყი ძალიან მომეწონა. წესიერი ბიჭი ჩანდა.

აბდულ შარიფმა ცხვირსახოცით ოფლი მოიწმინდა.

— ერთ ღამეს გამომეღვიძა, — განაგრძო კაცმა, თან ისევ საქორწინო ბეჭდის წვალება დაიწყო, — მგონი, ღამე იყო, იქ ამის განსაზღვრა ძნელია. ფანჯრებიც კი არ არის. წარმოდგენა არ გაქვს, მზე როდის ამოდის ან ჩადის. მოკლედ, გამეღვიძა და ჩემ გვერდით საწოლთან რაღაც არეულობა შევნიშნე. თავადაც წამლებით ვიყავი გაბრუებული, გამუდმებით ძილ-ბურანში მყოფი ვერ ვარკვევდი, რა იყო რეალობა და რა — სიზმარი. მხოლოდ ის მახსოვს, რომ ექიმები მისი საწოლის გარშემო შეჯგუფულიყვნენ, ხან რას ითხოვდნენ და ხან — რას, განგაშის სიგნალები ისმოდა, გარშემო ყველგან „შპრიცები“ ეყარა.

— დილით საწოლი ცარიელი დამხვდა. მისი ამბავი ექთანს ვკითხე. მითხრა, ვაჟკაცურად იბრძოდაო.

ლაილამ ბუნდოვნად იგრძნო, რომ სტუმარს თავს უკრავდა. იცოდა, რა თქმა უნდა, იცოდა! როგორც კი ამ კაცის პირისპირ დაჯდა, მაშინვე მიხვდა, რა ამბის მოსატანად მოსულიყო!..

— იცი, თავდაპირველად ვიფიქრე, რომ გამოგიგონა, — უთხრა კაცმა ლაილას. — მეგონა, მორფის ზემოქმედების ქვეშ ბოდავდა. ალბათ მინდოდა, იმედი მქონოდა, რომ არ არსებობდი. ცუდი ამბების სიმძიმის ზიდვა ყოველთვის მზარავდა. მაგრამ მაინც შევპირდი. თან როგორც უკვე გითხარი, თარიყი ძალიან შემიყვარდა. აქ რამდენიმე დღის წინ ჩამოვედი. შენი ამბავი გამოვიკითხე, მეზობლებს ვესაუბრე. ამ სახლში მომასწავლეს. ისიც მითხრეს, რაც შენს მშობლებს შეემთხვა. ეს რომ გავიგე, გავბრუნდი. შენთვის სიმართლის თქმა გადავიფიქრე. გადავწყვიტე, რომ ეს უკვე მეტისმეტი იქნებოდა. ალბათ ნებისმიერისთვის.

აბდულ შარიფი მაგიდას მიუახლოვდა და გოგონას ხელი მუხლზე დაადო.

— მაგრამ ბოლოს მაინც დავბრუნდი. საბოლოოდ, ვფიქრობ, ენდომებოდა, რომ გცოდნოდა. მე ამის მჯერა. ძალიან ვწუხვარ! გისურვებ, რომ...

ლაილა კაცს აღარ უსმენდა. ის დღე გაახსენდა, ფანჯშირიდან მათთან უცნობი რომ მოვიდა და აჰმადისა და ნურის სიკვდილის ამბავი შეატყობინა. გაახსენდა ბაბის გადაფითრებული სახე, როგორ მოიცელა დივანზე; ამ ამბის გაგონებისას დედიკომ ხელი პირზე აიფარა. იმ დღეს ქალი ლაილას თვალწინ განადგურდა. გოგონა ძალიან შეშინდა, მაგრამ თავად გულწრფელი წუხილი არ უგრძნია. დედამისის საზარელი დანაკარგი ვერ გაითავისა. ახლა კიდევ ერთმა უცნობმა მოიტანა კიდევ ერთი სიკვდილის ამბავი. სკამზე მარტო იჯდა. ნუთუ განგება სამაგიეროს უხდიდა, სჯიდა იმ გულგრილობის გამო, რომლითაც დედამისის უბედურებას შეხვდა?!.

გოგონას ახსოვდა, დედა ძირს როგორ დაეცა, როგორ კიოდა და თმას იგლეჯდა. მაგრამ თავად ასე არ შეეძლო. ვერ მოძრაობდა. ერთ კუნთსაც კი ვერ ატოკებდა.

სკამზე მიჯაჭვულს ხელები მუხლებზე უძრავად ეწყო, უაზროდ იყურებოდა და გონებით კვლავაც სადღაც დაფრინავდა. იქამდე იფრინა, სანამ თავი სასიამოვნო და უსაფრთხო ადგილს არ შეაფარა; ქერის მინდვრები გადამწვანებულიყო, იქვე ანკარა მდინარე მოედინებოდა და ჰაერში ვერხვის ათასობით ბამბისებური თესლი დაფრიალებდა. აკაციის ხის ქვეშ ბაბი წიგნს კითხულობდა, გულზე ხელებგადაჯვარედინებული თარიყი იქვე თვლემდა. ლაილა ფეხებს ნაკადულში აჭყაპუნებდა და თავი სასიამოვნო ოცნებებით ჰქონდა გამოჭედილი. უძველესი ღმერთები კი მზით გახუნებული კლდიდან გოგონას ფხიზელ მზერას არ აშორებდნენ.

## 29

### მარიამი

ძალიან ვწუხვარ! — უთხრა გოგონას რაშიდმა, თან მარიამს მასთავა და ხორცის ბურთულები ისე გამოართვა, რომ ქალისთვის ზედაც არ შეუხედავს. — ვიცი, რომ ძალიან ახლო... მეგობრები იყავით. ბავშვობი-

დან დროს სულ ერთად ატარებდით. საშინელი ამბავია!.. ძალიან ბევრი ავღანელი მამაკაცი იღუპება ამგვარად.

რაშიდს გოგონასთვის თვალი არ მოუწყვეტია, თან გაღიზიანებულმა ცოლს ხელით რაღაც ანიშნა და მანაც ხელსახოცი უმალ მიაწოდა.

წლების განმავლობაში მარიამი აკვირდებოდა, როგორ ჭამდა მისი ქმარი, როგორ უთრთოდა კუნთები საფეთქლებზე, ცალი ხელით როგორ ამზადებდა მკვრივ, პატარა ბრინჯის ბურთულებს, მეორე ხელის ზურგით კი პირიდან ქონს იწმენდდა და პირის კუთხეებზე შერჩენილ ბრინჯის მარცვლებს იცილებდა. წლების განმავლობაში თავაუღებლად, უხმოდ ჭამდა, მარიამს თავისი სიჩუმით კიცხავდა, ცოლისთვის ამით თითქოს განაჩენი გამოჰქონდა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პურის ან წყლის დამატება სჭირდებოდა, ბრალმდებლის ხმით, უკმაყოფილოდ წაიბურტყუნებდა.

ახლა კი კოვზით მიირთმევდა. ხელსახოცსაც ხმარობდა. როდესაც წყალს ითხოვდა, ლოთფანს(ლოთფან — (არაბ.-სპარს.) გეთაყვა.) ამბობდა. ენერგიულად და უწყვეტად საუბრობდა.

— მე თუ მკითხავთ, ამერიკელებს შეიარაღება ჰექმათიარისთვის არ უნდა მიეცათ. ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ ოთხმოციანებში მთელი იარაღი მას გადასცა საბჭოელებთან საბრძოლველად. ისინი წავიდნენ, მაგრამ შეიარაღება ჰექმათიარს დარჩა და ახლა იგი შენი მშობლების მსგავს უდანაშაულო ადამიანებს მოუტრიალდა. თან ამას ჯიჰადის სახელით აკეთებს. რა სიყალბეა! რა საერთო აქვს ჯიჰადს ქალებისა და ბავშვების ხოცვასთან? უკეთესი იქნებოდა, ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს იარაღი გენერალი მასუდისთვის გადაეცა.

მარიამმა წარბები თავისდაუნებურად აზიდა. გენერალი მასუდი? რაშიდი აღშფოთებით სწორედ მასუდზე არ საუბრობდა? ამბობდა, იგი მოღალატე და კომუნისტიაო. მაგრამ რაც არ უნდა იყოს, მასუდი მაინც ტაჯიკი იყო. ისევე როგორც რაშიდი და თვითონ ლაილაც.

— ის ჭკვიანი კაცია. პატივსაცემი ავღანელი. და, რაც მთავარია, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებით გულწრფელად არის დაინტერესებული.

რაშიდმა მხრები აიჩეჩა და ამოიოხრა.

— ამერიკას ჩვენი ამბავი საერთოდ არ აინტერესებს. რაში ენაღვლებათ, რომ პუშტუნები, ჰაზარები, ტაჯიკები და უზბეკები ერთმანეთს ხოცავენ? რამდენ ამერიკელს შეუძლია, ეს ხალხი ერთმანეთისგან განასხვავოს? გეუბნებით, მაგ ქვეყნის დახმარების იმედი ნუ გაქვთ!.. რაც საბჭოელები აღარ არიან, მათთვის უსარგებლოები გავხდით. ჩვენი მისია შევასრულეთ. ამერიკისთვის ავღანეთი ქანარ-ე აბია(ქენარ-ე აბი — საპირფარეშო, ტუალეტი.), განავლით სავსე ორმო. ბოდიშს ვიხდი გამოთქმისთვის, მაგრამ ეს რეალობაა. შენ რას ფიქრობ, ლაილა-ჯან?

გოგონამ გაურკვევლად წაიბუტბუტა რაღაც და ხორცის ბურთულა ისევ ჯამში ჩააგდო.

რაშიდმა ლაილას თავი შეფიქრიანებული გამომეტყველებით ისე დაუქნია, თითქოს მის ნათქვამზე ჭკვიანური აქამდე არაფერი მოესმინა. მარიამი შებრუნდა.

— მე და მამაშენი, ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს, ასე ვმსჯელობდით ხოლმე. ეს, რა თქმა უნდა, შენს დაბადებამდე. ვსაუბრობდით პოლიტიკაზე, რასაკვირველია, წიგნებზეც. არა, მარიამ? შენ გემახსოვრება.

მარიამმა პასუხის გაცემისგან თავის ასარიდებლად წყალი მოსვა.

— მოკლედ, იმედი მაქვს, პოლიტიკის განხილვით თავი არ შეგაწყინე.

მოგვიანებით, როდესაც მარიამი სამზარეულოში თეფშებს საპნიან წყალში ალბობდა, მუცელში ძლიერი სპაზმები იგრძნო. განა რაშიდის ნათქვამი იყო პრობლემა, ან მისი უტიფარი სიცრუე, ყალბი თანაგრძნობა, ან ის ფაქტი, რომ გოგონას ნანგრევებიდან გამოყვანის შემდეგ მარიამს არც კი გაჰკარებია. დადგმული წარმოდგენა იყო ამაზრზენი! მისი ცბიერი და, ამავდროულად, უბადრუკი მცდელობა, ლაილაზე შთაბეჭდილება მოეხდინა, გოგონა მოეხიბლა.

მარიამს ეჭვები გაუმყარდა. თავის ტკივილისაგან უცებ თვალთ დაუბნელდა — შეძრწუნებულმა გააცნობიერა, რომ ქმრის არშიყის მოწმე გამხდარიყო.

ბოლოს და ბოლოს, ქალმა გამბედაობა მოიკრიბა და რაშიდის ოთახს მიაშურა.

კაცმა სიგარეტს მოუკიდა და უეცრად თქვა:

— რატომაც არა?!

საკუთარ მარცხში მარიამი მაშინ საბოლოოდ დარწმუნდა. აქამდე მაინც ფიქრობდა, იმედოვნებდა, რომ კაცი ყველაფერს უარყოფდა, გაოცებული თავს მოიკატუნებდა, აღშფოთდებოდა, ეტყოდა, რას ხლართავო. მაშინ ქალი უპირატესობას მოიპოვებდა, მის დანამუსებას შეეცდებოდა, მაგრამ ქმრის მშვიდმა აღიარებამ, აუღელვებელმა ტონალობამ მარიამს გამბედაობა წაართვა.

— დაჯექი, — უთხრა მან. რაშიდი საწოლზე იწვა, ზურგით კედელს მიყრდნობოდა. ჩასკვნილი, გრძელი ფეხები ლეიბზე გაეფარჩხა. — დაჯექი, სანამ გული წაგივა და თავს გაიტეხავ.

მარიამმა იგრძნო, როგორ დაეშვა ლოგინის გვერდით მდგარ გასაშლელ სკამზე.

— საფერფლეს მომაწოდებ? — ჰკითხა კაცმა.

მარიამმა მორჩილად შეასრულა მისი დავალება.

რაშიდი სამოცის ან მეტის იქნებოდა, თუმცა ქმრის ზუსტი ასაკი მარიამმა კი არა, თავად რაშიდმაც არ იცოდა. თმა გაუჭაღარავდა, მაგრამ ადრინდელივით ხშირი და უხეში დარჩა. ქუთუთოებზე კანი დაეღარა, კისერზე კი დაუნაოჭდა და გაუუხეშდა. ლოყები უფრო მეტად ჩამოეკიდა. დილაობით ბეჭებში ოდნავ მოხრილი დგებოდა. მაგრამ ჯერაც ჩასკვნილი მხრები, მსხვილი ტორსი, ძლიერი მკლავები, და ისეთი გასიებული ღიპი ჰქონდა, რომ მისი ოთახში შემოსვლისას პირველად სხეულის სწორედ ეს ნაწილი მოგხვდებოდა თვალში.

მარიამი ფიქრობდა, რომ მთლიანობაში რაშიდმა წლებს მასზე ბევრად უკეთ გაუძლო.

— ეს სიტუაცია უნდა დავაკანონოთ, — სერიოზული ხმით თქვა მან, თან საფერფლის ღიპზე მოთავსებას ცდილობდა. გაღიმებულს ტუჩების გარშემო ნაოჭები გაუჩნდა. — ხალხი რას იტყვის? სირცხვილი არ არის, გასათხოვარი ქალი რომ აქ ცხოვრობს? ეს როგორც ჩემს, ისე მის რეპუტაციაზეც იმოქმედებს. ნუ, რა თქმა უნდა, შენსაზეც.

— თვრამეტი წლის განმავლობაში შენთვის არაფერი მითხოვია. — უთხრა მარიამმა, — საერთოდ არაფერი! ახლა გთხოვ.

კაცმა კვამლი შეისუნთქა, შემდეგ კი გარეთ ნელა გამოუშვა.

— ის აქ უბრალოდ ასე ვერ დარჩება, თუ ამას გულისხმობ. მის გამოკვებას, ჩაცმას, მისთვის თავშესაფრის მიცემას ვერ გავაგრძელებ. წითელი ჯვრის წარმომადგენელი ხომ არ ვარ, მარიამ?

— აბა, როგორ?

— რა როგორ? რა? ფიქრობ, რომ ძალიან ახალგაზრდაა?

— სულ რაღაც თოთხმეტი წლისაა. ჯერ ისევ ბავშვია!

— შენ თხუთმეტის იყავი, გახსოვს? დედაჩემმა თოთხმეტი წლისამ გამაჩინა. ცამეტი წლის გათხოვდა.

— არა, მე არ მინდა! — თქვა ზიზღისა და უმწეობისგან გახევებულმა მარიამმა.

— შენ არავინ გეკითხება! ჩვენ თვითონ გადავწყვეტთ.

— მე ასაკოვანი ვარ.

— ის ძალიან ახალგაზრდაა, შენ ასაკოვანი ხარ. რა სისულელეებს ლაპარაკობ.

— მე ძალიან დავბერდი იმისთვის, რომ ასეთი რამ გამიკეთო, — თქვა მარიამმა და კაბას ისე ჩაებღაუჭა, რომ ხელები აუკანკალდა. — ამდენი წლის შემდეგ ამბაყად(ამბაყი — ერთი კაცის ცოლები ერთმანეთის მიმართ.) უნდა მაქციო?!

— ნუ აზვიადებ! ჩვეულებრივი ამბავია და შენ ეს კარგად იცი. ჩემს მეგობრებს ორი, სამი, ხუთი ცოლიც კი ჰყავთ. მამაშენს სამი ჰყავდა. გარდა ამისა, ჩემს ადგილას ნებისმიერი კაცი ამას დიდი ხნის წინ გააკეთებდა. თავადაც ხვდები, რომ მართალი ვარ.

— ამის უფლებას არ მოგცემ!

ამაზე რაშიდმა ნაღვლიანად ჩაიცინა.

— მეორე გზაც არსებობს, — თქვა მან და ერთი ფეხის გული მეორის დაკოჟრებული ქუსლით მოიფხანა. — შეუძლია აქაურობა დატოვოს. მე არ შევაჩერებ. მაგრამ ვეჭვობ, შორს წავიდეს. არც წყალი ექნება, არც საჭმელი, არც ერთი რუპია ჯიბეში, გარშემო ჭურვები დაფრინავს. როგორ ფიქრობ, რამდენი დღე გაძლებს, სანამ არ გაიტაცებენ, ნამუსს არ ახდიან ან ყელგამოჭრილს სადმე გზისპირა თხრილში არ ჩააგდებენ? მაქსიმუმ სამ დღეს?

კაცმა ჩაახველა და ზურგს უკან ბალიში გაისწორა.

— გზებზე ძალიან საშიშია. დამიჯერე, მარიამ. თითოეული მოსახვევი მეძებარი ძაღლებითა და ბანდიტებითაა სავსე. არ მგონია, ამის შანსი არსებობდეს, მაგრამ, ვთქვათ, რომ სასწაული მოხდა და გოგონამ ფეშავარამდე ჩააღწია. იქ რა ელოდება? ლტოლვილთა ბანაკი წარმოდგენილი გაქვს?

რაშიდმა მარიამს კვამლის სვეტებს მიღმა გახედა.

— ხალხს მუყაოს ნაგლეჯების ქვეშ სძინავს. ტუბერკულოზი, დიზენტერია, შიმშილი, ბოროტმოქმედება. ეს ყველაფერი ზამთრის დადგომამდე. შემდეგ მოყინავს. ფილტვების ანთება. და ეს ბანაკები ლოლუებივით გაყინული ადამიანების სასაფლაოდ იქცევა.

— რა თქმა უნდა, — რაშიდმა ხელი მხიარულად შეათამაშა, — მას შეუძლია თბილად მოკალათდეს ფეშავარის ერთ-ერთ საროსკიპოში. მსმენია, რომ იქ ეს ბიზნესი ყვავის. გოგონა ისეთი ლამაზია, მისი პატრონი ცოტა ფულს არ იშოვის.

კაცმა საფერფლე ტუმბოზე დადო და ფეხები საწოლის კიდეზე გადმოჰკიდა.

— მისმინე, — რაშიდმა ცოლს შემრიგებლური ტონით მიმართა, — ვიცოდი, რომ ეს ამბავი არ მოგეწონებოდა. არც გადანაშაულებ, მაგრამ ასე აჯობებს. თავად დარწმუნდები. ამ ამბავს სხვა კუთხით შეხედე, მარიამ. შენ სახლში დამხმარეს გაძლევ, მას კი — თავშესაფარს, სახლს და ქმარს. ისეთი დრო დადგა, რომ ქალს ქმარი სჭირდება. არ შეგინიშნავს, ქვრივებს ქუჩებში რომ სძინავთ? ამ შესაძ-

ლებლობისთვის ისინი თავს მოიკლავდნენ. თუ დაფიქრდები, ეს... ჩემი მხრიდან ეს დიდსულოვანი საქციელია.

რაშიდმა გაიღიმა.

— მედალსაც კი ვიმსახურებ!

მოგვიანებით, სიბნელეში, მარიამმა გოგონას ყველაფერი უამბო.

ლაილას ხმა დიდხანს არ ამოუღია.

— დილით პასუხს ელოდება, — უთხრა ქალმა.

— შემიძლია, ახლავე ვუპასუხო, — მიუგო გოგონამ. — თანახმა ვარ.

## 30

ლაილა

მეორე დღეს ლაილა საწოლიდან არ ამდგარა. როდესაც დილით რაშიდმა ოთახში თავი შემოყო და უთხრა, რომ დალაქთან მიდიოდა, გოგონას საბანი თავზე ეხურა. გვიან ნაშუადღევს კაცი შინ დაბრუნდა, ლაილას თავისი ახალი ვარცხნილობა, კრემისფერზოლებიანი ახალი ლურჯი კოსტიუმი და მისთვის ნაყიდი საქორწინო ბეჭედი აჩვენა. გოგონა ჯერ კიდევ ლოგინში იჯდა.

რაშიდი მის საწოლზე ჩამოჯდა. ჯერ ბაფთა, შემდეგ კი ყუთი ნელ-ნელა გახსნა და ბეჭედი ფრთხილად ამოიღო. როგორც აღმოჩნდა, მის საყიდლად მარიამის ძველი საქორწინო ბეჭდის გაყიდვა მოუხდა.

— მისთვის სულერთია. მერწმუნე. ვერც კი შენიშნავს.

ლაილა საწოლის შორეული კუთხისკენ გაიწია. ქვევიდან მარიამის ხმა ესმოდა, ქალი უთოს აშიშინებდა.

— მაინც არასდროს ეკეთა, — განაგრძო რაშიდმა.

— არ მინდა, — სუსტი ხმით მიუგო ლაილამ. — არ მომწონს. შეგიძ-ლია უკან წაიღო.

— უკან წავიღო?! — ერთი წამით კაცს გაღიზიანება დაეტყო, მაგრამ მაშინვე დამშვიდდა. გაიღიმა. — ფულის დამატება მომიხდა. ეს უკეთესი ბეჭედია, ოცდაორკარატიანი ოქროსგან დამზადებული. გრძნობ, რო-

გორი მძიმეა? მიდი, გამომართვი. არა? — ყუთი დახურა. — ყვავილებზე რას იტყვი? კარგი იქნებოდა. ყვავილები გიყვარს? რომელი ყვავილი გიყვარს? ზიზილა? ტიტები? იასამნები?.. არ გიყვარს ყვავილები? კარგი! არც კი ვიცი, როგორ გასიამოვნო!.. დეჰ მაზანგში ერთ მკერავს ვიცნობ. შეგვიძლია ხვალ წავიდეთ. კაბისთვის ზომებს აგიღებს.

უარის ნიშნად ლაილამ თავი გააქნია.

რაშიდმა წარბები აზიდა.

— მე მხოლოდ ის მინდა... — დაიწყო ლაილამ. რაშიდმა გოგონას ხელი კისერზე დაადო. გოგონა მოულოდნელობისგან შეკრთა. მისი შეხებისას ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს მაისურის გარეშე ჩაცმული სველი შალის პულოვერი წიწკნიდა.

— გისმენ.

— მე მხოლოდ ის მინდა, რომ ეს ყველაფერი სწრაფად მოგვარდეს.

რაშიდმა პირი დააღო, შემდეგ კი ყვითელი კბილები გამოაჩინა.

— როგორი მონდომებული ხარ!

აბდულ შარიფის სტუმრობამდე ლაილას პაკისტანში გამგზავრება ჰქონდა გადაწყვეტილი. მას შემდეგაც, რაც კაცმა ყველაფერი უამბო, გოგონა ისევ აქაურობის დატოვებაზე და სადმე შორს გადახვეწაზე ფიქრობდა. უნდოდა, მოშორებოდა ქალაქს, სადაც თითოეული ქუჩის შესახვევი ხაფანგი იყო, თითოეულ ხეივანში კი უბედურების აჩრდილი იმალებოდა. უნდა გაერისკა.

მაგრამ, უეცრად აღმოაჩინა, რომ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა.

გული საშინლად ერეოდა.

მკერდი დასკდომაზე ჰქონდა.

მთელ ამ მღელვარებას ისიც დაერთო, რომ ციკლი გადაუცდა.

ლაილამ საკუთარი თავი ლტოლვილთა ბანაკში წარმოიდგინა. ქარი ტლაშუნით აფრიალებდა ტრიალ მინდორზე ჩამწკრივებულ ათასობით პლასტმასით დაფარულ კარავს. ერთ-ერთი ასეთი ხელნაკეთი კარვის ქვეშ თავისი ბავშვი, თარიყის შვილი შენიშნა. სა-

ფეთქლები ჩაცვენოდა, ყბები მოდუნებოდა, კანი აჭრელებოდა და მოლურჯო-მონაცრისფრო ელფერი დაჰკრავდა. წარმოიდგინა, როგორ ბანდნენ უცნობები მის გამხდარ სხეულს, მოყავისფრო-მოყვითალო სუდარაში ახვევდნენ და ჭუჭყიან ორმოში მტაცებელთა იმედგაცრუებული მზერის თანხლებით დებდნენ.

ახლა როგორღა გაიქცეოდა?

ლაილამ მის ცხოვრებაში მყოფ ხალხს სევდანარევი მზერა გადაავლო. აჰმადი და ნური დაიღუპნენ. ჰასინა იქ აღარ იყო. გითი გარდაიცვალა. დედა და მამაც დაიხოცნენ. ახლა კი თარიყი...

მაგრამ საოცრების ძალით წინა ცხოვრებიდან რაღაც მაინც შემორჩა. მისი უკანასკნელი დამაკავშირებელი იმ ძველ ლაილასთან, რომელიც სრულიად მარტოსული ჯერ არ გამხდარიყო. თარიყის ნაწილი მასში კვლავაც ცოცხლობდა, პატარა მკლავები და ნახევრად გამჭვირვალე ხელები ეზრდებოდა.

საფრთხეში როგორ უნდა ჩაეგდო ის ერთადერთი არსება, რომელიც თარიყისგან, თავისი წინა ცხოვრებიდან დარჩა?

გადაწყვეტილება სწრაფად მიიღო. თარიყისა და მისი ერთად ყოფნის შემდეგ უკვე ექვსი კვირა გასულიყო. ცოტა ხანიც და რაშიდი დაეჭვდებოდა.

იცოდა, რომ ასე მოქცევა სულმდაბლობა და უსირცხვილობა, მარიამისთვის ამის გაკეთება კი უსამართლობა იყო. და მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი ჯერ თუთის ნაყოფის ოდენაც არ იქნებოდა, ლაილა უკვე აცნობიერებდა, დედებს რამხელა მსხვერპლის გაღება უწევდათ. ზნეობრიობაზე უარის თქმა მისი პირველი მსხვერპლი იყო.

გოგონამ ხელი მუცელზე დაიდო და თვალები დახუჭა.

უხმაურო ცერემონია ლაილას შემდგომში ნაგლეჯებად და ფრაგმენტებად ახსენდებოდა. რაშიდის კოსტიუმის კრემისფერი ზოლები. მისი თმის აეროზოლის მძაფრი სუნი. ხორხის ზემოთ გაპარსვისას მიყენებული ნაჭდევი. მისი თამბაქოსგან დალაქავებული თითების უხეში ბალიშები, რომელთა შეხებაც ლაილამ თითზე ბეჭდის წამოცმისას იგრძნო. კალამი, რომელიც არ წერდა. სხვა კალმის ძებნა. კონტრაქტი.

ხელის მოწერა, რაშიდის — თავდაჯერებული, მისი კი აკანკალებული ხელით ნაწერი. სარკეში რაშიდის ამოქნილი წარბები.

სადღაც იქვე მარიამი იდგა. გამკიცხავად. გოგონას მისთვის თვალის გასწორების რცხვენოდა.

იმ ღამეს ლაილა თავის გაყინულ თეთრეულში იწვა და უყურებდა, როგორ უშვებდა კაცი ფარდებს. სანამ რაშიდის ხელი მისი პერანგის ღილებს შეეხებოდა და შარვლის ზონარს მოქაჩავდა, გოგონა უკვე კანკალებდა. რაშიდი აღგზნებული იყო. თითებით მოუქნელად ცდილობდა პერანგისა და ქამრის შეხსნას. ლაილამ სრულად დაინახა მისი ჩაზნექილი გულმკერდი, გამობზეკილი ღიპი, ცენტრში წვრილი ლურჯი არტერია, თეთრი ბღუჯა თმა მკერდზე, მხრებზე და მკლავების ზედა ნაწილზე. გოგონა ხედავდა, რაშიდი თვალებით რომ ჭამდა.

— ღმერთო, დამეხმარე, მგონი, მიყვარხარ! — უთხრა კაცმა. კბილებაკაწკაწებულმა ლაილამ შუქის ჩაქრობა სთხოვა.

მოგვიანებით, როდესაც დარწმუნდა, რომ რაშიდს ეძინა, გოგონამ ლეიბის ქვეშიდან ფრთხილად გამოიღო წინასწარ დამალული დანა. საჩვენებელი თითის ბალიშში იჩხვლიტა. შემდეგ საბანი ასწია და გაჭრილი თითი ზეწარზე, იმ ადგილას მოუსვა, სადაც ცოტა ხნის წინ ის და რაშიდი ერთად იწვნენ.

## 31

### მარიამი

მარიამისთვის ლაილა დღისით ჭრიალა საწოლის ზამბარასთან, მის თავს ზემოთ ფეხის ბაკუნთან, აბაზანაში წყლის შხაპუნთან, ან ზედა სართულზე, საძინებელში ჭიქაზე კოვზის შეხებით გამოწვეულ წკრიალთან ასოცირდებოდა. ისინი ერთმანეთს მხოლოდ ხანდახან თუ ხვდებოდნენ: კიბეზე ბუნდოვანი ტალღა გაიელვებდა, საფეხუ-

რებზე სწრაფად მოძრაობისა და სანდლების ქუსლებზე ტყაპუნის ხმა ისმოდა.

მაგრამ ერთმანეთთან პირისპირ შეჯახება გარდაუვალი იყო. მარიამი ხან კიბეზე, ხან კი ვიწრო დერეფანში, სამზარეულოში ან ეზოდან შემოსულ ლაილას გვერდს ვერ აუვლიდა. ასეთი შეხვედრებისას მათ შორის უხერხული დაძაბულობა გაიელვებდა. გოგონა კაბას სწრაფად დასწვდებოდა, ერთი-ორი სიტყვით მოიბოდიშებდა და ისე ჩქარა გაუჩინარდებოდა, რომ მარიამი მის ალეწილ სახეს მხოლოდ ფარულად თუ შეავლებდა ხოლმე თვალს. ზოგჯერ ლაილასგან რაშიდის სურნელი იგრძნობოდა. გოგონას კანზე მისი ოფლის, თამბაქოს, ვნების სუნი ასდიოდა. მარიამის ცხოვრებაში, მისდა საბედნიეროდ, სექსისთვის ადგილი უკვე კარგა ხანია აღარ იყო. ცოლქმრული ცხოვრების ეს ვალდებულება დიდხანს არ გაგრძელებულა და ახლა მასზე ფიქრიც კი გულს ურევდა.

საღამოობით ქალები ერთმანეთისთვის თავის არიდებას ვეღარ ახერხებდნენ. რაშიდი დაჟინებით მოითხოვდა, რომ მთელ ოჯახს ერთად ევახშმა.

— რას ჰგავს თქვენი საქციელი? — თქვა მან ერთხელ, თან ხელით ძვლისგან ხორცის გაცალკევებას ცდილობდა. კოვზი და ჩანგალი ლაილაზე დაქორწინებიდან ერთი კვირის შემდეგ ხმარებიდან ისევ ამოიღეს. — ცოლად ორი ქანდაკება ხომ არ მოვიყვანე? მიდი, გაფ ბეზან(გაფ ბეზან — ისაუბრე.), მარიამ! დაელაპარაკე ლაილას. სადაა შენი მანერები?!

კაცმა ძვლიდან ტვინი გამოწოვა და გოგონას მიუბრუნდა:

— მარიამი არ დაადანაშაულო. მშვიდია, უტყვი. მაგრამ ნამდვილად კეთილია, ვალლაჰ(ვალლაჰ — (არაბ.) ღმერთმანი, ალაჰს ვფიცავ.)! როდესაც ადამიანს ბევრი არაფერი აქვს სათქმელი, შეიძლება სიტყვაძუნწი გახდეს. მე და შენ ქალაქელები ვართ, მაგრამ ის დეჰათია(დეჰათი — სოფლელი.), სოფლელი გოგო. თუმცა მთლად სოფლელიც არ არის. სოფლის გარეთ ტალახით აშენებულ ქოლბაში გაიზარდა. იქ მამამისმა დაასახლა. სხვათა შორის, მარაიმ, ლაილას უთხარი, ჰარამი

რომ ხარ? ასეა, მაგრამ თავისი ღირსებებიც აქვს, რომელიც გასათვალისწინებელია. თავადაც ნახავ, ლაილა-ჯან. მარიამი მტკიცე ხასიათით გამოირჩევა, თან მშრომელია, პრეტენზიებს არ გამოთქვამს. ასე ვიტყოდი: მანქანას რომ შევადარო, „ვოლგა“ იქნებოდა.

მარიამი ახლა ოცდაცამეტი წლის ქალი იყო, მაგრამ ამ სიტყვის, ჰარამის გაგონება კვლავაც გულს სტკენდა; თავს პარაზიტად, ტარაკნად გრძნობდა. ახსოვდა, როგორ ჩაავლო ნანამ მაჯებში ხელი და შეაჯანჯღარა, — შე პატარა, მოუქნელო ჰარამო! ეს არის ჩემი ჯილდო იმ ყველაფრისთვის, რაც გადავიტანე? საგვარეულო ნივთი როგორ გატეხე, შე პატარა, მოუქნელო ჰარამო!

— შენ, — უთხრა რაშიდმა გოგონას, — შენ „ბენცს“ შეგადარებდი. პირველი კლასის ბრენდს, მბზინავ „ბენცს“. მაგრამ... – გაქონილი საჩვენებელი თითი კაცმა ზევით ასწია, – მაგრამ „ბენცის“ მიმართ განსაკუთრებული მზრუნველობის გამოჩენაა საჭირო!.. მისი სილამაზე და შემქმნელის ოსტატობა უნდა დააფასო. ავტომობილებზე ამდენი საუბრის გამო ვიღაც იფიქრებს, რომ გიჟი ვარ, დივანა(დივანა — გიჟი.). იმას კი არ ვამბობ, რომ მანქანები ხართ. უბრალოდ, ზუსტი შედარება გამომივიდა.

რაშიდმა საჭმელად გამზადებული ბრინჯის ბურთულა უკან დააბრუნა. თეფშის თავზე ხელები უმოძრაოდ გააჩერა და საზრიანი, ჩაფიქრებული გამომეტყველებით თავი ძირს დახარა.

– მიცვალებულებს აუგად არ იხსენებენ, მით უმეტეს შაჰიდებს. და ამას რომ ვამბობ, მათდამი უპატივცემულობა თავში აზრადაც არ მომსვლია, მაგრამ ერთგვარი... ეჭვი მაქვს. შენი მშობლები, ალაჰმა მიუტევოს და დაუმკვიდროს მათ სასუფეველი... მოკლედ, მაპატიე, მაგრამ შენი მშობლები ძალიან ბევრის უფლებას გაძლევდნენ!..

მარიამის თვალს არ გამოჰპარვია, როგორი სიძულვილით სავსე მზერა მიაპყრო გოგონამ რაშიდს, მაგრამ კაცს თავი დაეხარა და არაფერი შეუნიშნავს.

– თუმცა ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. ახლა შენი ქმარი ვარ, რაც მავალდებულებს, რომ არა მხოლოდ შენი, არამედ ჩვენი ღირსება დავიცვა. დიახ, ჩვენი ნანგი და ნამუსი. ქმრის მოვალეობა ეს არის. და ამაზე მე ვიზრუნებ. შენ დედოფალი ხარ, მალიქა(მალიქა — დედოფალი.), და ეს სახლი შენი სამფლობელოა. რაც არ უნდა დაგჭირდეს, მარიამს ეტყვი და ის ყველაფერს გაგიკეთებს. ასე არ არის, მარიამ? რასაც გულით მოიწადინებ, ყველაფერს აგისრულებ. აი, ასეთი ქმარი ვარ. სანაცვლოდ მხოლოდ ძალიან მარტივ რამეს ვითხოვ. ეცადე, სახლიდან ჩემ გარეშე არ გახვიდე. სულ ეს არის. რთული შესასრულებელია? თუ წასული ვიქნები და რაღაც გადაუდებლად დაგჭირდება, გადაუდებელში განსაკუთრებულ საჭიროებას ვგულისხობ, და მე ვერ დამელოდები, მარიამს დაავალე და იგი ყველაფერს გაგიკეთებს. განსხვავება შენიშნე? მართლაც, „ვოლგასა“ და „ბენცს“ ერთნაირად ხომ არ მართავენ?!. ეს სისულელე იქნებოდა, არა? ჰო, კიდევ მინდა გთხოვო, როდესაც გარეთ ერთად გავალთ, ბურკა ჩაიცვი. ბუნებრივია, ამას შენივე უსაფრთხოებისთვის ვამბობ. ასე აჯობებს. ქალაქში ახლა იმდენი გარყვნილი კაცი დაიარება! ისეთი სულმდაბალი ზრახვები ამოძრავებთ, გათხოვილ ქალებსაც კი ღირსებას ულახავენ. მოკლედ, სულ ეს არის.

რაშიდმა ჩაახველა.

– ჩემს არყოფნაში მარიამი ჩემი თვალი და ყური იქნება, – თქვა და მარიამს წუთით ისეთი მკაცრი მზერა სტყორცნა, ქალმა თითქოს საფეთქლებზე ლითონის წვეტის ჩხვლეტა იგრძნო. – განა არ გენდობი. პირიქით. გულწრფელად რომ გითხრა, შენს ასაკთან შედარებით ბევრად გონიერად მიგიჩნევ. მაგრამ ჯერ დოხთარ-ე ჯავანი(დოხთარ-ე ჯავანი — ყმაწვილი ქალი.) ხარ, ლაილა-ჯან, ახალგაზრდა ქალი. ახალგაზრდა ქალებმა შესაძლოა საბედისწერო არჩევანი გააკეთონ. მათ ცუღლუტობისკენ მიუწევთ გული. ნებისმიერ შემთხვევაში, მარიამი პასუხისმგებელი იქნება. და თუკი რაიმე შეცდომას...

რაშიდი საუბარს განაგრძობდა. მარიამი კი იჯდა და ცალი თვალით გოგონას აკვირდებოდა, რომელსაც რაშიდის მოთხოვნები და შეხედულებები თავზე ქაბულს თავსდატეხილი ჭურვებივით აწვიმდა.

ერთ დღეს მარიამი მისაღებ ოთახში სარეცხის თოკიდან ჩამოხსნილ რაშიდის პერანგებს კეცავდა. არც კი შეუმჩნევია, გოგონა თავზე როგორ წამოადგა, მაგრამ როდესაც პერანგები აიღო და მობრუნდა, ლაილა კარში იდგა და ხელები ჩაის ჭიქისთვის შემოეხვია.

– შენი შეშინება არც მიფიქრია, – უთხრა გოგონამ, – მაპატიე.

მარიამმა მხოლოდ თვალი შეავლო.

მზე გოგონას სახეს, მის დიდ მწვანე თვალებსა და აზიდულ წარბებს, მაღალ ღაწვებსა და, მარიამის თხელი და უსახური წამწამებისგან განსხვავებით, მიმზიდველ ხშირ წამწამებს უნათებდა. დაუვარცხნელი ოქროსფერი თმა შუაზე ჰქონდა გაყოფილი.

ლაილა დაძაბულობისგან ისე ჩაბღაუჭებოდა ჭიქას და მხრები ისეთი დაჭიმული ჰქონდა, რომ მარიამი მაშინვე მიხვდა, გოგონა რაღაცაზე ნერვიულობდა. ქალმა წარმოიდგინა, მასთან მოსვლამდე რამდენი ხანი იჯდა საწოლზე და გამბედაობას როგორ იკრებდა.

– ფოთლებმა ცვენა დაიწყო, – გოგონამ გულღია საუბრის წამოწყება სცადა. – შენიშნე? შემოდგომა ჩემი საყვარელი წელიწადის დროა. ბაღებში დამწვარი ფოთლების სურნელი მიყვარს. დედაჩემს გაზაფხული უყვარდა. დედაჩემს იცნობდი?

– არც ისე კარგად.

გოგონამ ხელი ყურთან მიიტანა, – უკაცრავად, ვერ გავიგე.

მარიამმა ხმას აუწია, – ვთქვი, რომ დედაშენს არ ვიცნობდი.

– ოჰ.

– რამე გინდა?

– მარიამ-ჯან, უბრალოდ მინდოდა... რაც რაშიდმა იმ ღამეს თქვა...

– ამაზე თავადაც მსურდა შენთან დალაპარაკება, – სიტყვა შეაწყვეტინა მარიამმა.

– დიახ, თუ შეიძლება, – მონდომებით უთხრა გოგონამ. წინ ერთი ნაბიჯი გადადგა. ეტყობოდა, რომ გულზე მოეშვა.

გარეთ მოლაღური ჭიკჭიკებდა. ვიღაც ორთვალას ექაჩებოდა. მარიამს მისი ანჯამების ჭრიალი, რკინის თვლების ასხლტომის ხმა

და რახარუხი ესმოდა. საკმაოდ ახლოს ისროდნენ. ერთ გასროლას კიდევ სამი მოჰყვა და შემდეგ მიჩუმდა.

– შენი მოსამსახურე არ გავხდები! არავითარ შემთხვევაში.

ლაილა მოულოდნელად შეკრთა, – არა, რა თქმა უნდა, არა!

– შესაძლოა, შენ სასახლის მალიქა, მე კი დეჰათი ვიყო, მაგრამ შენს ბრძანებებს არ შევასრულებ! შეგიძლია მასთან მიჩივლო და თუ უნდა ყელი გამომჭრას, მაგრამ ამას არ დავუშვებ! გესმის? შენი მოსამსახურე არასდროს გავხდები!

– არა! ამას არც ვითხოვ.

– და თუ ფიქრობ, რომ შენს სილამაზეს ჩემს თავიდან მოსაცილებლად გამოიყენებ, ძალიან ცდები. აქ პირველი მე ვიყავი და გარეთ ვერავინ გამიძახებს! უფლებას არ მოგცემ, აქედან მომისროლო.

– ეს ჩემი მიზანი არ არის, – სუსტი ხმით უპასუხა ლაილამ.

– როგორც ვხედავ, ჭრილობები უკვე მოგიშუშდა! ასე რომ, უკვე შეგვიძლია, სახლის საქმეები გავინაწილოთ.

გოგონა სწრაფად უქნევდა თავს. ჭიქიდან ჩაი გადმოეღვარა, მაგრამ არც კი შეუნიშნავს.

– დიახ, კიდევ ერთი მიზეზი, რისთვისაც ქვევით ჩამოვედი — მინდოდა მადლობა მეთქვა შენი მზრუნველობისთვის.

– იცი? – დაუფიქრებლად მიუგო მარიამმა, – რომ მცოდნოდა, ქმარს წამართმევდი, არც გამოგკვებავდი, არც დაგბანდი და არც მოგივლიდი.

— წაგართმევდი?..

— მოკლედ, მე კვლავაც სადილს მოვამზადებ და ჭურჭელს გავრეცხავ. შენ სარეცხს დარეცხავ და დაგვი. დანარჩენს მორიგეობით გავაკეთებთ. და კიდევ ერთი, შენთან ამხანაგობა არაფერში მჭირდება. არც მინდა. მარტო ყოფნა მსურს. ასე ვიცხოვრებთ: მარტო მამყოფებ და სამაგიეროდ, ჩემს კეთილგანწობასაც დაიმსახურებ. აი, ჩვენი წესებიც.

სათქმელი რომ დაასრულა, მარიამს გული გამალებით უცემდა და პირი უშრებოდა. ქალი აქამდე ასე არავის დალაპარაკებია, თავისი მოთხოვნები ასეთი დამაჯერებლობით არავისთან წამოუყენებია. წე-

სით ამ ამბავს უნდა გაემხნევებინა. მაგრამ განადგურებულ ლაილას თვალები ცრემლით ავსებოდა და კმაყოფილების შეგრძნებაც მარიამისთვის ბოლოს რაღაცნაირად უფერული და მიუღებელი აღმოჩნდა.

ქალმა ლაილას პერანგები გაუწოდა.

— ალმარიში(ალმარი – გარდერობი, კარადა.) შეინახე, საკუჭნაოში არ დადო. რაშიდს უყვარს, როცა თეთრები ზედაუჯრაში აწყვია, დანარჩენები კი – შუაში, წინდებთან ერთად.

გოგონამ ჭიქა იატაკზე დადო და პერანგების ასაღებად ხელისგულები გაუწოდა.

– ამ ყველაფრის გამო ძალიან ვწუხვარ, – ჩაილაპარაკა მან.

– უნდა წუხდე, – მიუგო მარიამმა, – ნამდვილად უნდა წუხდე!

## 32

ლაილა

ლაილას მათ სახლში გამართული ერთი წლის წინანდელი თაყრილობა გაახსენდა. მაშინ დედა თავს ჯერ კიდევ კარგად გრძნობდა. ქალები ბაღში ისხდნენ და ვაჯმას მიერ ეზოში ახალდაკრეფილ თუთას ლანგრიდან მიირთმევდნენ. თუთის მსხვილი ნაყოფებიდან ზოგი თეთრი იყო, ზოგი მოვარდისფრო, ზოგი კი ისეთივე მუქი იისფერი, როგორც უამრავი წვრილი კაპილარი ვაჯმას ცხვირზე.

– იცით, მისი ვაჟი როგორ დაიღუპა? – თქვა ლოყებჩაცვენილმა ვაჯმამ და კიდევ ერთი სავსე მუჭა თუთა პირში ენერგიულად ჩაიყარა.

– დაიხრჩო, არა? – უპასუხა ნილამ, გითის დედამ. – ყარღას ტბაში, თუ არ ვცდები.

– მაგრამ იცოდით, რომ რაშიდი... – ვაჯმამ თითი ასწია, შემდეგ თავის ქნევა და ენერგიულად ღეჭვა დაიწყო. დაიცადა, სანამ თუთას გადაყლაპავდა და განაგრძო, – იცოდით, რომ შარაბს(შარაბი —

ღვინო.) სვამდა? იმ დღესაც უგონოდ დამთვრალა... მართლა! შუადღისათვის, თურმე, სავარძლამდე ძლივს მიეღწია და მის ყურთან რომც გაგესროლა, თვალსაც კი არ დაახამხამებდა.

ლაილას ახსოვდა, ვაჯმამ პირზე ხელი როგორ აიფარა, დააბოყინა, შემდეგ კი ენით რამდენიმე შემორჩენილი კბილი გაისუფთავა.

– დანარჩენი წარმოიდგინეთ: ბიჭი ტბისკენ შეუმჩნევლად წავიდა. მოგვიანებით შენიშნეს, რომ წყალზე პირქვე ტივტივებდა. ხალხი მისაშველებლად გაეშუარა, ზოგი ბიჭის გამოფხიზლებას ცდილობდა, ზოგი კი – მამამისის. ვიღაცამ ბიჭს ხელოვნური სუნთქვაც კი ჩაუტარა. მაგრამ ყველამ ნახა, რომ აზრი არ ჰქონდა — ბავშვი ცოცხალი აღარ იყო.

ლაილას ახსოვდა, როგორ აღმართა ვაჯმამ თითი და ხმა სიბრალულით აუთრთოლდა, – ამიტომაც კრძალავს შარაბს წმინდა ყურანი. მთვრალის ცოდვებზე პასუხისგება მუდამ ფხიზელს უწევს.

მას შემდეგ, რაც რაშიდს ბავშვის შესახებ ამცნო, ლაილას თავში სულ ეს ამბავი უტრიალებდა. კაცი მაშინვე ველოსიპედს შემოახტა, მეჩეთისკენ გაეშურა და ალაჰს თავისი ბიჭი შეავედრა.

იმ ღამეს, ვახშმის დროს, ლაილა აკვირდებოდა, როგორ აწვალებდა ხორცის ნაჭერს მარიამი. გოგონა იქ იყო, როდესაც რაშიდმა ქალს ახალი ამბავი ხმამაღალი, დრამატული ხმით ამცნო. ასეთი მხიარული სისასტიკის მოწმე ლაილა არასდროს გამხდარა. სიახლის გაგონებაზე მარიამის წამწამები შეირხა, სახეს კი სიწითლემ გადაუარა. ქალი უგუნებოდ იჯდა, გაუბედურებული ჩანდა.

რაშიდი რადიოს მოსასმენად ზევით ავიდა, ლაილა კი მარიამს სუფრის ალაგებაში მიეხმარა.

– თუკი აქამდე „ბენცი“ იყავი, წარმოდგენაც არ მინდა, ახლა რა გახდები, – ჩაილაპარაკა მარიამმა, თან ბრინჯის მარცვლებსა და პურის ნამცეცებს აგროვებდა.

ლაილამ დაუფიქრებელ ტაქტიკას მიმართა:

– მატარებელი? შესაძლოა, გიგანტური აერობუსი.

მარიამი უმალ წელში გაიმართა.

– იმედი მაქვს, არ გგონია, რომ ეს მდგომარეობა საოჯახო საქმისგან გაგათავისუფლებს.

ლაილამ პასუხის გასაცემად პირი გააღო, მაგრამ იქვე გაახსენდა, რომ მთელ ამ ამბავში მარიამი ერთადერთი უდანაშაულო მხარე იყო. მარიამიც და ბავშვიც. მოგვიანებით, საწოლში, ლაილა მწარედ აქვითინდა.

რაშიდი მიზეზით დაინტერესდა. ავად იყო? ბავშვის გამო დარდობდა? ბავშვს სჭირდა რამე? მარიამი ცუდად ექცეოდა?

– ეს არის ხომ მიზეზი?

– არა.

– ვალლაჰი-ბილლაჰი, ახლავე ქვევით ჩავალ და ჭკუას ვასწავლი. თავს რის უფლებას აძლევს, ეგ ჰარამი!.. შენ როგორ...

– არა!

რაშიდი უკვე ლოგინიდან დგებოდა, ლაილა კი მკლავზე ექაჩებოდა და მის საწოლში დაბრუნებას ცდილობდა.

– არა, არა! მარიამი კარგად მექცევა. სულ ერთი წუთი მჭირდება და კარგად გავხდები.

კაცი ლაილას წინ დაჯდა, კისერზე ხელს უსვამდა და ეჩურჩულებოდა. ზურგზე ფრთხილად ეფერებოდა, ხელს ხან ქვევით, ხან კი ზევით აცურებდა. გოგონასკენ დაიხარა და ერთმანეთზე მიჯრილი კბილები გამოაჩინა.

– მოდი ვნახოთ, – ჩაიკრუტუნა კაცმა, — თუ შევძლებ, რომ თავი უკეთ გაგრძნობინო.

იმ ხეებს, რომლებიც შეშისთვის ჯერაც არ მოეჭრათ, დალაქავებული ყვითელი და სპილენძისფერი ფოთლები სცვიოდა. შემდეგ ქარი ამოვარდა, სიცივე და სუსხი ქალაქში ერთბაშად შეიჭრა. უკანასკნელი ფოთლებიც ჩამოცვივდა და გაშიშვლებული ხეები ყავისფერი გორაკების ფონზე აჩრდილებივით გამოჩნდა. ზამთრის პირველი თოვლი მსუბუქად წამოვიდა. ისე დადნა, რომ არც კი დაუდია. შემდეგ გზები მოიყინა, თოვლი სახურავებზე გროვებად დახვავდა, ყინულით მოხატული ფანჯრები ნახევრად დაფარა. თოვლთან ერ-

თად ფრანებიც გამოჩნდა, ერთ დროს ქაბულის ზამთრის ცის მბრძანებლები, ახლა კი სხვის ტერიტორიაზე, იქ, სადაც ჭურვებს ისროდნენ და რეაქტიული თვითმფრინავებით იბრძოდნენ, უკანონოდ შეჭრილი ობიექტები.

რაშიდი შინ ომის სიახლეებით ბრუნდებოდა. ლაილას უკვე თავგზა აბნეოდა იმ ამბებისგან, რომლებსაც ქმარი ასეთი მონდომებით უხსნიდა.

– საიაფი ჰაზარებს ებრძვის, – ამბობდა კაცი, – ჰაზარები კი მასუდს უდგანან კრიჭაში. თავის მხრივ იგი, რა თქმა უნდა, უპირისპირდება ჰექმათიარს, რომელსაც პაკისტანელები უჭერენ მხარს. მასუდი და ჰექმათიარი მოსისხლე მტრები არიან. საიაფი მასუდის მხარესაა. ჰექმათიარი კი ახლა ჰაზარებს ეხმარება.

რაც შეეხება არაპროგნოზირებად უზბეკ გენერალ დოსთუმს, როგორც რაშიდი ამბობდა, მის გეგმებს წინასწარ ვერავინ განჭვრეტდა. დოსთუმი 1980-იან წლებში საბჭოელების წინააღმდეგ მოჯაჰედებთან ერთად იბრძოდა, მაგრამ მათ უღალატა და საბჭოელების წასვლის შემდეგ ნაჯიბულას კომუნისტური რეჟიმის მარიონეტი გახდა. სანამ კიდევ ერთხელ გადავიდოდა მოწინააღმდეგის ბანაკში, ორდენიც კი მიიღო თავად ნაჯიბულასგან. როგორც რაშიდმა თქვა, ახლა დოსთუმი მასუდს ეხმარებოდა.

ქაბული, უფრო ზუსტად კი დასავლეთ ქაბული, ულმობელ საარტილერიო ცეცხლში მოექცა. შავი კვამლი სწრაფად ვრცელდებოდა თოვლით შემოსილ შენობებზე. საელჩოები და სკოლები დაიხურა. რაშიდის თქმით, საავადმყოფოების მოსაცდელებში დაჭრილები სისხლისგან იცლებოდნენ. საოპერაციოებში ამპუტაციას ანესთეზიის გარეშე აკეთებდნენ.

– მაგრამ შენ არ იდარდო, – უთხრა მან. – ჩემთან უსაფრთხოდ ხარ, ჩემო ყვავილო, ჩემო გოლ(გოლი — ყვავილი.). თუკი ვინმე შეეცდება, რომ რაიმე გავნოს, ღვიძლს ამოვაცლი და შევაჭმევ, იცოდე!

იმ ზამთარს ლაილას გარშემო თითქოს ყრუ კედლები აღიმართა. ენატრებოდა თავისი ბავშვობის ფართოდ გახსნილი ცა; ის დღეები,

ბუზქაშის(ბუზქაში — (სიტყვ. „თხის გადათრევა“) ავღანელთა ეროვნული ჯგუფური თამაში. ცხენოსანმა მოთამაშეებმა მოწინააღმდეგეს უნდა დაასწრონ მიწიდან დაკლული თხის (ხბოს და მისთ.) აღება და წინასწარ განსაზღვრულ ადგილას მიტანა. ) ტურნირებზე ბაბისთან ერთად, საყიდლებზე კი დედასთან ერთად მადაიში რომ დადიოდა; ქუჩებში თავისუფლად სირბილი და გითისთან და ჰასინასთან ერთად ბიჭებზე ჭორაობა რომ შეეძლო; თარიყთან ერთად გატარებული დღეები ენატრებოდა: მასთან ერთად მდინარის ნაპირას ჯდომა, გამოცანების გამოცნობა, კანფეტების ჭამა და მზის ჩასვლით ტკბობა.

მაგრამ თარიყზე ფიქრი მტკივნეული იყო. სანამ ლაილა მოგონებებს გაექცეოდა, თავის წარმოსახვაში უკვე სახლიდან მოშორებით საწოლზე მიჯაჭვულ, მილებით დახვრეტილ მის დამწვარ სხეულს წარმოიდგენდა. ნაღველი, რომელიც იმ დღეებში მუცელს სწვავდა, ღრმა მწუხარება, რომელიც მოძრაობის უნარს ართმევდა, ლაილას გულიდან ამოსდიოდა. ფეხებში ძალა ეკარგებოდა და უსათუოდ რამეს უნდა დაყრდნობოდა.

გოგონამ 1992 წლის ზამთარი სახლის დასუფთავებაში, მისი და რაშიდის საძინებლის სტაფილოსფერი კედლების ხეხვასა და ტანსაცმლის გარეთ, სპილენძის ლაგანში(ლაგანი – ტაშტი.) რეცხვაში გაატარა. ზოგჯერ მისი სული თითქოს სხეულს ტოვებდა და საკუთარ თავს ზემოდან დაჰყურებდა. ხედავდა ლაგანის კიდესთან ჩაცუცქული, სახელოებაკაპიწებული, აწითლებული ხელებით რაშიდის საცვლებს როგორ რეცხავდა. ასეთ დროს თავს საშინლად მარტოსულად გრძნობდა ჩაძირული გემის ერთადერთი, გადარჩენილი, წყლით გარშემორტყმული მგზავრივით, რომელიც ხმელეთს ვერსად ხედავდა.

როდესაც გარეთ ისე ციოდა, რომ გასვლა შეუძლებელი იყო, ლაილა სახლში ბოლთას სცემდა, სეირნობდა, ფრჩხილს კედელს აყოლებდა, დერეფანს მიუყვებოდა, შემდეგ უკან ბრუნდებოდა, საფეხურებით ქვევით ჩადიოდა, ისევ ზევით ამოდიოდა, სახედაუბანე-

ლი და თმადაუვარცხნელი დაბორიალებდა. ამასობაში მარიამს გადაეყრებოდა, რომელიც გოგონას პირქუშ მზერას შეავლებდა და მყისვე ბულგარული წიწაკის დაჭრასა და ხორცისთვის ქონის მოცილებას მიუბრუნდებოდა. ოთახში გამანადგურებელი სიჩუმე ისადგურებდა და ლაილა ნათლად ხედავდა უსიტყვო მტრობას, რომელიც მარიამისგან გახურებული ასფალტიდან ასხლეტილი სიმხურვალის ტალღებივით ასხივებდა. გოგონა თავის ოთახში ბრუნდებოდა, საწოლზე ჩამოჯდებოდა და მოფარფატე თოვლის ფიფქებს აშტერდებოდა.

ერთ დღეს რაშიდმა ლაილა თავის ფეხსაცმლის მაღაზიაში წაიყვანა.

როდესაც გარეთ ერთად გადიოდნენ, რაშიდი ცოლს გვერდით მიჰყვებოდა, ცალი ხელით მის იდაყვს იყო ჩაჭიდებული. ლაილა ქუჩაში თავს უხერხულად გრძნობდა, მისი თვალები ამ შეზღუდვას ვერ ეგუებოდა, ბურკას ბადიდან გარკვევით ვერ ხედავდა, ფეხები მის ბოლოებში ებლანდებოდა, მუდმივად იმის შიში ჰქონდა, რომ რაღაცას ფეხს წამოჰკრავდა და დაეცემოდა, რომელიმე ღრმულში ფეხი ჩაუვარდებოდა და კოჭს მოიტეხდა. თუმცა ანონიმურობა, რომელსაც ბურკა უზრუნველყოფდა, გარკვეულწილად, გოგონას კომფორტის შეგრძნებასაც ჰგვრიდა. ასე შემოსილს ვერავინ იცნობდა, თუნდაც შემთხვევით ძველ ნაცნობს გადაჰყროდა. „ასე როგორ დაეცი, შენი შთამბეჭდავი მისწრაფებები და ოცნებები როგორ დაამსხვრიე?!.“ – ამ სიტყვების ამოკითხვა არ მოუწევდა შემხვედრთა გაოცებული თვალებიდან, არც მათ სიბრალულს და არც აღტაცებას დაიმსახურებდა.

რაშიდის მაღაზია იმაზე უფრო დიდი და განათებული აღმოჩნდა, ვიდრე ლაილას წარმოედგინა. კაცმა გოგონა ხალხით გადაჭედილ ოთახში თავისი სამუშაო სკამის უკან დასვა. სკამის თავი ფეხსაცმლის ლანჩებითა და უსარგებლო, მორჩენილი ტყავის ნაჭრებით იყო სავსე. რაშიდმა გოგონას ჩაქუჩები და ზუმფარის თვლის მუშაობა აჩვენა. კაცი სიამაყით, ხმამაღლა საუბრობდა. ზოგჯერ ლაილას მუცელს ეხებოდა, პერანგის ზემოდან კი არა, მის ქვეშ და რაშიდის ცივი და უხეში თითები გოგონას გამობერილ კანს ხის გამხმარი ქერქივით ეხახუნებოდა. ლა-

ილას კარგად ახსოვდა თარიყის ხელები, რბილი, მაგრამ ამავ-დროულად ძლიერი. მტევნის უკანა მხარე ვენებით ჰქონდა დაღა-რული, რასაც ლაილა ყოველთვის მამაკაცურობის ნიშნად მიიჩნევ-და.

– როგორ სწრაფად იბერები, – უთხრა რაშიდმა. – დიდი ბიჭი და-იბადება! ჩემი ვაჟი ფალავანი იქნება! მამასავით.

ლაილამ მუცელი პერანგითდაიფარა. როცა რაშიდი ასე ლაპა-რაკობდა, გოგონა შიშით ძრწოდა ხოლმე.

– მარიამთან საქმეები როგორ მიდის?

ლაილამ უპასუხა, რომ ყველაფერი რიგზე იყო.

– კარგია, ძალიან კარგი.

არ გაუმხილა, რომ პირველი ნამდვილი ბრძოლა უკვე გადაიტა-ნეს.

ეს რამდენიმე დღის წინ მოხდა. ლაილა სამზარეულოში შევიდა და დაინახა, რომ მარიამი უჯრებს ექაჩებოდა, შემდეგ კი ბრახუნით ხურავდა. ქალმა უთხრა, რომ ბრინჯის მოსარევ გრძელ ხის კოვზს ეძებდა.

–სად დადე? – ჰკითხა მან და შემობრუნდა, რომ ლაილასთვის სახეში შეეხედა.

– მე? – ჩაილაპარაკა ლაილამ. – ხელიც არ მიხლია. აქ თითქმის არ შემოვდივარ.

– შევნიშნე.

– მე მაბრალებ? შენ არ ისურვე ასე? მითხარი, რომ სადილს თა-ვად მოამზადებდი, მაგრამ თუ რამის შეცვლა გინდა...

– ანუ მეუბნები, რომ ფეხი აიდგა და გაიქცა? ტყაპ, ტყაპ, ტყაპ... ასეა, ხომ, დიგე(დიგე? — ასეა, არა?)?

– იმის თქმა მინდოდა, რომ... – დაიწყო ლაილამ, თან სურდა, სიმშვიდე შეენარჩუნებინა. როგორც წესი, ცდილობდა, მარიამის დაცინვა და თითის გამოშვერა გადაეყლაპა. – იმის თქმა მინდოდა, რომ იქნებ ადგილი შეუცვალე?

– ადგილი შევუცვალე? – მარიამმა უჯრა უხეშად გამოაღო. შიგნით კოვზები და დანები აზრიალდა. – რამდენი ხანია, რაც აქ ხარ? რამდენიმე თვე? მე ამ სახლში უკვე ცხრამეტი წელია ვცხოვრობ, დოხთარ. იმ კოვზს ამ უჯრაში ჯერ კიდევ შენს დაბადებამდე ვინახავდი!

– მიუხედავად ამისა, – ლაილა უკვე წონასწორობას კარგავდა, – შესაძლებელია, რომ კოვზი სხვა ადგილას შეინახე და აღარ გახსოვს.

– ან შესაძლებელია, რომ შენ გადამალე ჩემი ნერვების მოსაშლელად.

– რა საშინელი ქალი ხარ, შე საცოდავო! – მიახალა ლაილამ.

მარიამი მოულოდნელობისგან შეკრთა, შემდეგ გონს მოეგო და ტუჩები მოკუმა. — შენ კი კახპა ხარ. კახპა და დოზდი(დოზდი — ქურდი.). ქურდი კახპა! აი, შენ ვინ ხარ!

ამას მოჰყვა ყვირილი, ქოთნების სროლა. ერთმანეთს ისეთი სახელები უწოდეს, რომ გახსენებისას ლაილა წითლდებოდა ხოლმე. მას შემდეგ ერთმანეთისთვის ხმა არ გაუციათ. გოგონა გაოგნებული იყო, ასე ადვილად წყობილებიდან როგორ გამოვიდა, მაგრამ სიმართლე რომ ითქვას, ეს მოსწონდა კიდეც. მოსწონდა, რომ მარიამს უყვირა, წყევლა; მოსწონდა, რომ ჰყავდა ობიექტი, რომელზეც მთელ თავის ჯავრს იყრიდა.

ლაილა თავისთვის ფიქრობდა, ნეტავ, მარიამიც იმავეს თუ განიცდისო?

ამ შემთხვევის შემდეგ გოგონამ ზევით აირბინა და რაშიდის საწოლზე დაემხო. ქვევიდან ჯერ კიდევ ისმოდა მარიამის ყვირილი, – ლაფი დაგასხი, ლაფი დაგასხი!

ლაილა საწოლზე იწვა და ბალიშში თავჩარგული ქვითინებდა. უეცრად, სახლის აფეთქებისა და მას მერე გამოვლილი საშინელი დღეების შემდეგ პირველად, მშობლების მონატრება შემოაწვა ძლიერად. ისევ იწვა, მუჭში ზეწარი მოექცია, მაგრამ უცებ სუნთქვა შეეკრა. სწრაფად წამოჯდა, ხელები მუცელზე მოისვა.

ბავშვი პირველად გაინძრა.

33

მარიამი

1993 წლის გაზაფხულის ერთ ადრიან დილას მარიამი მისაღები ოთახის ფანჯარასთან იდგა და უყურებდა, როგორ გადიოდა ლაილა სახლიდან რაშიდის თანხლებით. გოგონა გაჭირვებით მოძრაობდა, წელში მოხრილიყო, ცალი ხელი ფრთხილად შეევლო დაჭიმული მუცლისათვის, რომლის ფორმაც მკაფიოდ გამოკვეთილიყო მის ბურკაში. რაშიდი აღელვებული და მეტისმეტად ყურადღებიანი ჩანდა, ქალი იდაყვით ეჭირა, ეზოში გზას უჩვენებდა მოძრაობის მარეგულირებელი პოლიციელივით. კაცმა ხელით ანიშნა, აქ დამელოდეო, ჭიშკრისკენ გაიქცა, შემდეგ კი გოგონა თავისკენ მოიხმო, ცალი ფეხით ეზოს ღია კარს აკავებდა. როდესაც ლაილა მიუახლოვდა, კაცმა ხელი ჩასჭიდა და კარში გასვლაში დაეხმარა. მარიამმა თითქმის გაიგონა მისი სიტყვები, – ფრთხილად გადმოაბიჯე, აი, აქ, ჩემო ყვავილო, ჩემო გოლ.

შინ მომდევნო საღამოს დაბრუნდნენ.

მარიამმა დაინახა, რომ რაშიდი ეზოში პირველი შემოვიდა. კარი, რომელსაც ნაჩქარევად შეუშვა ხელი, გოგონას კინაღამ სახეში მოხვდა. კაცმა ეზო რამდენიმე სწრაფი ნაბიჯით გადმოჭრა. მარიამმა მის სახეზე ჩრდილები შენიშნა, სიბნელე ბინდის სპილენძისფერ შუქს უსვამდა ხაზს. სახლში შემოსულმა პალტო გაიხადა და დივანზე მიაგდო. მარიამს სწრაფად ჩაუქროლა და მკვახედ მიაძახა, – მშია, ვახშამი მოამზადე!

სახლის კარი გაიღო. დერეფნიდან მარიამმა ლაილა შენიშნა, მარცხენა ხელში გახვეული ფუთა ეჭირა. ერთი ფეხი ზღურბლს გარეთ, მეორე კი შიგნით ჰქონდა, თავი კარის უეცარი დახურვისგან რომ დაეცვა. შეყოვნებული გოგონა ბუზღუნებდა და ცდილობდა, ქაღალდის იმ ჩანთას დასწვდომოდა, კარის გაღებისას ძირს რომ

დაედო. ამდენი წვალებისგან სახე დამანჭვოდა. თავი ასწია და მარიამი დაინახა.

მარიამი შებრუნდა და სამზარეულოში რაშიდისთვის ვახშმის გასათბობად გაეშურა.

– ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ვიღაც ყურში სახრახნისს მასობს, – თქვა რაშიდმა და თვალები მოისრისა. იგი მარიამის კართან იდგა, თვალები დასიებოდა, თომბანი ოდნავ ჰქონდა შეკრული, თეთრი თმა აქეთ-იქით უწესრიგოდ გაჩეჩვოდა. — ამ ტირილის ატანა აღარ შეიძლია!

ქვევით გოგონა ბავშვით ხელში ბოლთას სცემდა და მისი სიმღერით დამშვიდებას ცდილობდა.

— ორი თვეა ღამით რიგიანად არ მძინებია, — დაიწუწუნა რაშიდმა. — ოთახში კანალიზაციის სუნი დგას. განავლით მოსვრილი ტანსაცმელი ყველგან ყრია. გასულ ღამეს ერთ-ერთს დავაბიჯე კიდეც!

მარიამს გულში კმაყოფილებისგან ჩაეცინა და ფარული სიამოვნება იგრძნო.

— გარეთ გაიყვანე! — მხარს ზემოდან დაიყვირა რაშიდმა. — გარეთ ვერ გაიყვან?

სიმღერის ხმა სულ ცოტა ხნით შეწყდა, — ფილტვების ანთება დაემართება!

— ზაფხულია!

— რა თქვი?

რაშიდმა კბილები დაკრიჭა და ხმას აუწია, — გითხარი, რომ გარეთ თბილა!

— გარეთ ვერ გავიყვან!

სიმღერა განახლდა.

— გეფიცები, ზოგჯერ მინდა, რომ ეს არსება ყუთში ჩავსვა და მოსესავით, ქაბულის მდინარეს გავატანო!

მარიამს არასდროს გაუგონია, რომ რაშიდს ქალიშვილისთვის ცოლის დარქმეული სახელი, აზიზა, დაეძახა. მუდამ როგორც „ბავშვს“, ან, უკიდურესი გაღიზიანებისას, „იმ არსებას“ უწოდებდა.

ზოგჯერ ღამით მარიამი ჩუმად უგდებდა ყურს მათ კამათს. კართან ფეხაკრეფით მიიპარებოდა, უსმენდა ბავშვთან დაკავშირებულ უკმაყოფილებას მისი დაუსრულებელი ტირილის, სუნის, ფეხებში აბლანდული სათამაშოების შესახებ; ლაილას მთელი ყურადღება შვილზე გადავიდა, რომელიც მუდმივად კვებას, ამობოყინებას, გამოცვლას, გასეირნებას, ხელში აყვანას ითხოვდა. თან გოგონა რაშიდს მკაცრად საყვედურობდა ოთახში მოწევის და იმის გამო, რომ ბავშვს მათთან დაძინების უფლებას არ აძლევდა.

სხვა თემებზეც კამათობდნენ, მაგრამ ხმადაბლა.

— ექიმმა თქვა, ექვსი კვირაო!

— ჯერ არა, რაშიდ... არა! გამიშვი! შეწყვიტე!

— ორი თვე ხომ გავიდა!..

— ჩუუ, ბავშვს გააღვიძებ, — შემდეგ უფრო მკაცრად, — ხოშ შოდი?(ხოშ შოდი? — გაიხარე?) ახლა ბედნიერი ხარ?

მარიამი თავის ოთახში უჩუმრად ბრუნდებოდა.

— ვერ დაგვეხმარები? — ჰკითხა რაშიდმა. — რაღაცის გაკეთება ხომ შეგიძლია?

— მე ბავშვებისა რა ვიცი? — მიუგო მარიამმა.

— რაშიდ! შეგიძლია ბოთლი მომიტანო? — დაიძახა ლაილამ, — ალმარზე დევს. აზიზა არ ჭამს, ისევ ბოთლით უნდა ვცადო.

ბავშვმა კივილს უმატა და ისეთი ხმა გაისმა, თითქოს ცულით ხორცის ნაჭერი ჩამოჭრესო. რაშიდმა თვალები დახუჭა.

— ეს არსება მთავარსარდალია! ჰექმათიარია. გეუბნები, ლაილამ გოლბოდინ ჰექმათიარი გააჩინა!

მარიამი აკვირდებოდა, რომ გოგონას დღეები ბავშვის გამოკვებაში, რწევაში, ხტუნაობასა და სეირნობაში გადიოდა. მაშინაც კი, როდესაც ბავშვი თვლემდა, ლაილას დასვრილი სახვევები უნდა გაერეცხა და სადეზინფექციო ხსნარით სავსე სათლში ჩაელბო, რომლის ყიდვაც რაშიდს დაჟინებით მოსთხოვა. ზუმფარის ქაღალდით ფრჩხილებს იქლიბავდა, ბავშვის ყოველდღიურ ტანსაცმელსა და პიჟამებს რეცხავდა და გასაშრობად ფენდა. ეს ტანსაცმელი, ისევე

როგორც ბავშვთან დაკავშირებული სხვა საკითხები, გამუდმებით უთანხმოების საბაბი ხდებოდა.

— ამათ რას უწუნებ?! — კითხულობდა რაშიდი.

— ბიჭის ტანსაცმელია! ბაჩასთვის(ბაჩა —ბიჭი.) განკუთვნილი.

— მისთვის რა მნიშვნელობა აქვს? ამ ტანსაცმელში დიდი ფული გადავიხადე! და კიდევ ერთი, შენი ტონი არ მომწონს! ეს გაფრთხილებად მიიღე.

ყოველკვირა ლაილა უსათუოდ ახურებდა ლითონის მაყალს, შიგ ერთ მწიკვ გარეული ტეგანის თესლს ყრიდა და ესფანდის(ესფანდი — მარიამსაკმელა, რომელსაც აკმევენ ავი თვალისგან დასაცავად.) კვამლს ავი სულებისგან დასაცავად თავისი შვილის გარშემო შემოატარებდა.

მარიამი იქანცებოდა გოგონას დაუშრეტელი ენთუზიაზმის ყურებით და მხოლოდ საკუთარ თავს თუ გამოუტყდებოდა, რომ მისით აღფრთოვანებული იყო. აღტაცებაში მოჰყავდა ლაილას სიყვარულით ანთებულ თვალებს, რომლებიც დილითაც კი, თეთრად გათენებული ღამის შემდეგ, მის ფერმკრთალ სახეზე მაინც არ ქრებოდა. ლაილა გულიანად იცინოდა, როდესაც მისი ქალიშვილი გაზებს უშვებდა. ბავშვის ქცევაში უმცირეს ცვლილებასაც კი აღფრთოვანებაში მოჰყავდა და ამას საჯაროდ გამოხატავდა.

– შეხედე, ცდილობს ჟღარუნას მისწვდეს! როგორი ჭკვიანი მყავს!

– პრესას უნდა ვაცნობოთ! – პასუხობდა რაშიდი.

ასეთი წარმოდგენები ყოველღამე იმართებოდა. როდესაც ლაილა ქმრისგან დაჟინებით მოითხოვდა, რომ შვილის ქცევებს დაკვირვებოდა, რაშიდი ნიკაპს მაღლა სწევდა და გაღიზიანებულ, ალმაცერ მზერას სტყორცნიდა ლურჯი ვენებით დაფარული, მოკაუჭებული ცხვირის ზემოდან.

– შეხედე! შეხედე, როგორ იცინის, როცა თითებს ვუტკაცუნებ! აი, ხედავ? დაინახე?

რაშიდი ჩაიბუზღუნებდა და თავის თეფშს მიუბრუნდებოდა. მარიამს კარგად ახსოვდა, ცოტა ხნის წინ კაცი მის სიახლოვეს ლაილას უბრა-

ლო ყოფნითაც როგორ იმუხტებოდა. ყველაფერი, რასაც გოგონა ამბობოდა, სიამოვნებას ანიჭებდა და ხიბლავდა, თეფშიდან თავს აწევინებდა და თანხმობის ნიშნად თავს აკვრევინებდა.

ლაილას მიერ ქმრის კეთილგანწყობის დაკარგვას მარიამი უნდა გაეხარებინა, მისი რეაბილიტაცია მოეხდინა. უცნაური იყო, მაგრამ ასე არ მოხდა. თავისდა გასაკვირად, მარიამმა გააცნობიერა, რომ გოგონა ებრალებოდა.

სადილობისას ლაილა ბავშვთან დაკავშირებულ წუხილს გარშემომყოფებს უზიარებდა. ყველაზე მეტად პნევმონიის ეშინოდა, და უმცირესი ხველებაც კი საგონებელში აგდებდა. შემდეგი იყო დიზენტერია, რომლის აჩრდილიც ყოველი ფაღარათისას თავს დასტრიალებდა. ნებისმიერი გამონაყარი ჩუტყვავილა ან წითელა ეგონა.

– მასზე ასეთი მიჯაჭვული არ უნდა იყო! – უთხრა რაშიდმა ერთ ღამეს.

– რას გულისხმობ?

– წუხელ რადიოში „ამერიკის ხმას“ ვუსმენდი. საინტერესო სტატისტიკას მოვკარი ყური. თქვეს, რომ ავღანეთში ყოველი ოთხიდან ერთი ბავშვი ხუთ წლამდე კვდება. ასე გადმოსცეს. რა მოხდა? რა? სად მიდიხარ? დაბრუნდი. ამ წუთას უკან დაბრუნდი!

დაბნეულმა კაცმა მარიამს გახედა. – რა დაემართა?!.

იმ ღამეს, როდესაც კინკლაობა ისევ განახლდა, მარიამი უკვე ლოგინში იწვა. ზაფხულის ცხელი, ჩახუთული ღამე იყო, ქაბულის სარათანისათვის(სარათანი — კირჩხიბი. კირჩხიბის თვეში იგულისხმება ამ ზოდიაქოს შესაბამისი პერიოდი (20 ივნისი-22 ივლისი).) დამახასიათებელი. მარიამმა ფანჯარა გააღო, შემდეგ ისევ დახურა, რადგან ჰაერი ოდნავაც არ იძვროდა. სამაგიეროდ, ოთახი კოღოებით გაივსო. გრძნობდა, მიწას, ყავისფერ ხორბალს, საკარმიდამო შენობის დამტვრეულ ფიცრებს, კედლებსა და მის ოთახს ოხშივარი როგორ ასდიოდა.

როგორც წესი, კამათი რამდენიმე წუთში მთავრდებოდა, მაგრამ ნახევარი საათი გავიდა და ხმაური არა თუ შეწყდა, უფრო გაძლიერდა კიდეც. რაშიდი ყვიროდა. მის ფონზე გოგონას გაუბედავი, მკივანა ხმა ისმოდა. მალევე ბავშვმა ტირილი მორთო.

შემდეგ მათი კარი მთელი ძალით გაიღო. დილით მარიამმა შენიშნა, რომ კარის მრგვალი სახელურის გამოსახულება დერეფნის კედელს დამჩნეოდა. ქალი საწოლში იჯდა, როდესაც მისი ოთახის კარი ხმაურით გაიღო და რაშიდი შემოვარდა.

კაცს თეთრი ქვედა საცვალი და იღლიებთან ოფლისგან ყვითლად დალაქავებული მაისური, ფეხზე კი ფლოსტები ეცვა. ხელში ლაილასთან ნექაჰის დროს შეძენილი ყავისფერი ტყავის ქამარი ეჭირა და მის დახვრეტილ ბოლოს მუშტზე იხვევდა.

– ეს შენ ჩაიდინე. ვიცი, რომ ასეა! – დაუღრინა რაშიდმა ქალს.

მარიამი საწოლიდან სწრაფად წამოდგა და უკან დახევა დაიწყო. მკლავები ინსტინქტურად მკერდზე გადაიჯვარედინა და იმ ადგილის დაფარვა სცადა, სადაც ქმარი ყველაზე ხშირად პირველ დარტყმას აყენებდა.

– რაზე ლაპარაკობ? – ენის ბორძიკით ჰკითხა ქალმა.

– ახლოს არ მიკარებს! შენ ასწავლი მას ჩემთან ასე მოქცევას!

წლების განმავლობაში მარიამი შეეგუა ქმრის ზიზღსა და ბრალდებებს, მასხრად აგდებასა და დატუქსვას. მაგრამ მისდამი შიში ვერაფრით გადალახა. ამდენი წელი გავიდა და როდესაც რაშიდს ამ მდგომარეობაში ხედავდა, მის დამცინავ ღიმილს, ქამრის მუშტზე გადახვევას, ტყავის ჭრიალსა და მისი ჩასისხლიანებული თვალების ბრიალს უყურებდა, კვლავაც შიშით კანკალებდა. მარიამი გააფთრებული ვეფხვის გალიაში გამომწყვდეულ თხას ჰგავდა. ლაილა უკვე ოთახში იყო, თვალები გაფართოებოდა, სახე დაბრეცოდა.

– უნდა მცოდნოდა, რომ მას გარყვნიდი! – მარიამს შეაფურთხა და ქამრის აქეთ-იქით ქნევა დაიწყო. საკუთარ ბარძაყზე ამოწმებდა. ბალთა ხმამაღლა ჟღარუნებდა.

– შეწყვიტე! ბას! – დაიყვირა გოგონამ. – რაშიდ, ეს არ გააკეთო!

– შენს ოთახში დაბრუნდი!

მარიამმა კიდევ ერთხელ დაიხია უკან.

– არა! ეს არ გააკეთო!

– ახლავე!

რაშიდმა ქამარი კვლავ აღმართა და ამჯერად მარიამს დაუშინა.

შემდეგ გასაოცარი რამ მოხდა: გოგონა უეცრად წინ გაიჭრა. კაცის მკლავს ორივე ხელით ჩააფრინდა და მისი ძირს დაგდება სცადა. თუმცა მხოლოდ ჩამოეკიდა. ერთადერთი ქმრის მოძრაობის შესუსტება შეძლო.

– შემეშვი! – დაუყვირა რაშიდმა.

– შენ გაიმარჯვე! გაიმარჯვე! ეს არ გააკეთო! გთხოვ, რაშიდ, ოღონდ ცემა არა! გთხოვ, არ ქნა!

ერთმანეთს ებრძოდნენ. გოგონა ზედ ეკიდებოდა, თავის დანაშაულს აღიარებდა. რაშიდი მის თავიდან მოცილებას ცდილობდა, თან მარიამს თვალს არ აშორებდა, რომელიც იმდენად გაოგნებული იყო, რომ ვერაფრის გაკეთებას ახერხებდა.

ბოლოს მარიამი მიხვდა, რომ ცემა აღარ ემუქრებოდა, ყოველ შემთხვევაში იმ ღამით მაინც. რაშიდი თავისი მოსაზრების სისწორეში დარწმუნდა. მკლავებაღმართული და მკერდგამოზნექილი იქ კიდევ რამდენიმე წუთი გაჩერდა, წარბებზე ოფლი უბზინავდა. თანდათან ხელი დაუშვა. გოგონას ფეხები უკვე იატაკს ეხებოდა, მაგრამ ქმარს მაინც არ ეშვებოდა, თითქოს ბოლომდე არ ენდობოდა. კაცმა ხელი გამოქაჩა, რომ ლაილას ბორკილებისგან გათავისუფლებულიყო.

– ამას არ შეგარჩენ! – დაიღრიალა მან და ქამარი მხარზე გადაიგდო, – ამას არც ერთს არ შეგარჩენთ! ჩემს სახლში აჰმაყად(აჰმაყი – სულელი. ), სულელად არ ვიქცევი!

მარიამს ბოლო მომაკვდინებელი მზერა სტყორცნა და გოგონას ზურგს გასვლისას ხელი უხეშად უბიძგა.

როდესაც მათი კარის მოხურვის ხმაც გაიგონა, მარიამი ისევ საწოლზე აცოცდა და თავი ბალიშებში ჩარგო. დაიცადა, სანამ კანკალი გადაუვლიდა.

იმ ღამეს მარიამს სამჯერ გამოეღვიძა. პირველად რაკეტების გრუხუნმა დააფრთხო, რომელიც დასავლეთიდან, ქართეჩარის მხრიდან მოდიოდა. მეორედ ქვედა სართულზე ბავშვის ტირილმა დაუფრთხო ძილი. გოგონა მის დამშვიდებას ცდილობდა, რძის ბოთლზე კოვზის რაკარუკის ხმა ისმოდა. საბოლოოდ, წყურვილმა გამოაღვიძა და ლოგინიდან წამოდგა.

ქვევით რომ ჩავიდა, მისაღები ოთახი ჩაბნელებული დახვდა. მთვარის შუქი ფანჯრიდან ზოლად იჭრებოდა. მარიამს საიდანღაც ბუზის ბზუილი შემოესმა. კუთხეში თუჯის ღუმლის კონტურები მოჩანდა, მისი გამოშვერილი მილი კედლთან მახვილ კუთხეს ქმნიდა.

სამზარეულოსკენ მიმავალმა მარიამმა ფეხი კინაღამ რაღაცას წამოსდო. ძირს კონტური შენიშნა. დააკვირდა და იატაკზე გაშლილ საბანზე ლაილა და მისი შვილი ამოიცნო.

გოგონას ეძინა და ხვრინავდა. ბავშვს ეღვიძა. მარიამმა მაგიდაზე ნავთის ლამპა აანთო და ქვევით დაიხარა. სინათლეზე ბავშვს ასე ახლოდან პირველად შეხედა, მუქი ფერის თმა, ხშირწამწამებიანი თაფლისფერი თვალები, ვარდისფერი ლოყები და ბროწეულის ფერი ტუჩები ჰქონდა.

მარიამს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს ბავშვი აკვირდებოდა. ზურგზე იწვა, თავს აქეთ-იქით ამოძრავებდა, მარიამს გულდასმით ათვალიერებდა და სიამოვნება, შეცბუნება და ეჭვი თითქოს სახეზე ერთდროულად გამოხატვოდა. მარიამი ფიქრობდა, ნეტავ, ჩემი სახე ხომ არ აშინებსო, მაგრამ შემდეგ ბავშვმა ბედნიერებისგან დაიჭყივლა და ქალი მიხვდა, რომ დადებითი შეფასება დაიმსახურა.

– ჩუუ, – ჩაიჩურჩულა მარიამმა, – დედას გააღვიძებ. კიდევ კარგი, ცალ ყურში არ ესმის.

ბავშვს ხელი მუშტად მოეკუმა. ხან ზევით სწევდა, ხან ქვევით, ხან კი პირისკენ გაიქანებდა. პირში მუჭამოქცეული პატარა მარიამს უღიმოდა, ნერწყვის ბუშტუკები ტუჩებზე უბზინავდა.

– შენ თავს შეხედე, ბიჭივით რომ გამოწყობილხარ! თან ასე შეფუთნულხარ ამ სიცხეში. რა გასაკვირია, რომ ვერ იძინებ!

მარიამმა ბავშვს საბანი გადახადა, და შეშფოთებულმა მის ქვეშ კიდევ ერთი აღმოაჩინა. ბავშვმა შვებით ამოისუნთქა. ხელები ჩიტივით ააფართხალა.

– ასე უკეთესია?

მარიამი უკან გაწევას აპირებდა, როცა ბავშვმა ხელი მის ნეკს წაავლო. თბილი და რბილი, დორბლისგან დანესტიანებული პაწაწინა თითები გარშემო მჭიდროდ შემოაჭდო.

– აღუ, – გაისმა ბავშვის ხმა.

– კარგი, ოღონდ ახლა გამიშვი.

პატარა ხელს არ უშვებდა და ფეხებს იქნევდა.

მარიამმა თითი გაითავისუფლა. ბავშვმა გაუღიმა და აღუღუნდა. მუშტი კვლავაც პირისკენ გაიქანა.

– ასე რამ გაგახარა? ჰა? ვის უცინი? არც ისეთი ჭკვიანი ხარ, როგორიც დედაშენს ჰგონიხარ. მამაშენი პირუტყვია, დედაშენი კი – სულელი. ეს რომ იცოდე, არ გაიცინებდი. არავითარ შემთხვევაში. ახლა დაიძინე. მიდი, დაიძინე.

მარიამი ფეხზე წამოდგა და რამდენიმე ნაბიჯიც არ ჰქონდა გადადგმული, რომ ბავშვის ხმა შემოესმა. ქალი მიხვდა, რომ პატარა გოგონა სატირლად ემზადებოდა.

– რა მოხდა? ჩემგან რა გინდა?

უკბილო ბავშვმა გაუღიმა.

მარიამმა ამოიოხრა. ძირს დაჯდა და თავისი თითი სათამაშოდ მისცა. უყურებდა, ბავშვი როგორ წრიპინებდა, თავის ფუმფულა ფეხებს ბარძაყებში როგორ ხრიდა და წიხლებს ჰაერში როგორ იქნევდა. მარიამი ასე იჯდა მანამ, სანამ ბავშვმა მოძრაობა არ შეწყვიტა და მთქნარება არ დაიწყო.

გარეთ ჯაფარა უდარდელად გალობდა. ათასში ერთხელ, როდესაც მგალობლები აფრინდებოდნენ, მარიამი მთვარის შუქზე მათი ფრთების ლურჯ ნათებას ხედავდა. მიუხედავად იმისა, რომ წყურვილისგან ყელი გამშრალი ჰქონდა და ფეხებიც დაბუჟებოდა, თითი ბავშვის მუჭიდან ფრთხილად მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ გაითავისუფლა და ფეხზე წამოდგა.

## 34

ლაილა

ლაილასთვის ყველაზე დიდი ბედნიერება აზიზას გვერდით წოლა იყო. სახე იმდენად ახლოს მიჰქონდა, რომ გარკვევით ხედავდა, ბავშვის მოზრდილი თვალის გუგები როგორ ფართოვდებოდა და პატარავდებოდა. ლაილას უყვარდა აზიზას სასიამოვნო, რბილ კანზე, თითებზე გაჩენილ ფოსოებში, იდაყვებთან ქონის ნაკეცებში თითის გადასმა. ზოგჯერ შვილს მკერდზე იწვენდა და ჩურჩულით უყვებოდა თარიყზე, მამაზე, რომელიც აზიზასთვის ბოლომდე უცნობად დარჩებოდა, რომლის სახესაც აზიზა ვერასდროს ნახავდა. ლაილა გოგონას უყვებოდა გამოცანების გამოცნობის მის საოცარ უნარზე, მის ხრიკებსა და სიცელქეზე, გულიან სიცილზე.

– ულამაზესი წამწამები ჰქონდა, შენსავით. საყვარელი ნიკაპი, საუცხოო ცხვირი და მრგვალი შუბლი. ძალიან სიმპათიური მამა გყავდა, აზიზა! არაჩვეულებრივი იყო! შენსავით არაჩვეულებრივი.

ლაილა ფრთხილობდა, რომ თარიყი სახელით არასდროს მოეხსენიებინა.

ხანდახან რაშიდი აზიზას უცნაურად შეხედავდა ხოლმე. ერთ ღამეს, როდესაც კაცი საძინებლის იატაკზე იჯდა და კოჟრებს იცლიდა, სასხვათაშორისოდ იკითხა:

– თქვენ ორს შორის რა ხდებოდა?

ლაილამ კაცს ეჭვის თვალით შეხედა, თითქოს შეკითხვის არსს ვერ ჩასწვდა.

– ლაილა და მაჯნუნი. შენ და ის იაქლანგა(იაქლანგა — ცალი ფეხით კოჭლი, ცალფეხა.), ხეიბარი. თქვენ შორის რა ხდებოდა?

– ჩემი მეგობარი იყო, – უპასუხა ქალმა სიფრთხილით, ისე, რომ ხმაში ცვლილება არ დასტყობოდა. თან ბოთლს საქმიანად ანჯღრევდა, – ისედაც ხომ იცი.

– მე რა ვიცი? – რაშიდმა ნათალი კანი ფანჯრის რაფაზე დაახვავა და საწოლზე გაიშხლართა. ზამბარებმა ხმამაღლა გაიჭრიალა. კაცმა ფეხები აქეთ-იქით გაშალა და უბე მოქაჩა. – და როგორც... მეგობრებს, რამე უმართებულო ხომ არ ჩაგიდენიათ?

– უმართებულო?

რაშიდმა გულგრილად გაიღიმა, მაგრამ ლაილა მის ცივ და გამჭოლ მზერას გრძნობდა.

– მოდი, აბა, ვნახოთ. ოდესმე უკოცნია? ან იქნებ უადგილო ადგილას მოგკიდა ხელი?

ლაილა მოულოდნელობისგან შეკრთა, თუმცა შეეცადა, რომ აღშფოთება გამოეხატა. გულისცემას უკვე ყელში გრძნობდა.

– ის ჩემთვის ძმასავით იყო!

– მოკლედ, მეგობარი იყო თუ ძმა?

– ორივე. ის...

– მაინც რომელი იყო?

– ორივე.

– მაგრამ და-ძმები ხომ ცნობისმოყვარეები არიან. ზოგჯერ ძმა დას თავის სასქესო ორგანოს აჩვენებს, და კი...

– ამ საშინელებების მოსმენისაგან უკვე გული მერევა! – თქვა ლაილამ.

– ანუ არაფერი მომხდარა?

– ამ თემაზე საუბარი აღარ მსურს.

რაშიდმა თავი დახარა, ტუჩები მოკუმა და თავი დააქნია.

– ხომ იცი, რომ ხალხი ჭორაობდა. კარგად მახსოვს. თქვენ ორზე ათას ამბავს ჰყვებოდნენ. მაგრამ შენ ამბობ, რომ თქვენ შორის არაფერი მომხდარა...

ლაილამ თავს ძალა დაატანა, რომ ქმრისთვის თვალი გაესწორებინა. რაშიდი გოგონას თვალებში ჩააშტერდა. ლაილა რძის ბოთლს ისე ჩაფრენოდა, რომ ხელის თითები გათეთრებოდა. თავს ძლივს იკავებდა, რომ არ წატორტმანებულიყო.

იმის წარმოდგენისას, რას მოიმოქმედებდა რაშიდი, თუკი შეიტყობდა, რომ ცოლი ძარცვავდა, ლაილას ტანში ჟრუანტელმა დაუარა. მას შემდეგ, რაც აზიზა დაიბადა, ყოველ კვირას გოგონა მძინარე ქმრის საფულეს მოურიდებლად ჩხრეკდა და ერთდოლარიან ბანკნოტებს აცლიდა. თუ საფულე შეთხელებული დახვდებოდა, მხოლოდ ხუთ ავღანურ ბანკნოტს სჯერდებოდა, ან რაშიდის შიშით საერთოდ არაფერს იღებდა. როცა საფულე ფულით იყო სავსე, ათი, ოცი, ან ზოგჯერ ორმოცი ბანკნოტის ამოცლასაც კი რისკავდა. ფულს თავისი ზამთრის პალტოს სარჩულში გამოკერებულ ქისაში აგროვებდა.

ლაილა მომავალ გაზაფხულზე, ან არაუგვიანეს ზაფხულში, გაქცევას გეგმავდა. იგი იმედოვნებდა, რომ მანამდე ათას ან უფრო მეტ ავღანურ ფულსაც მოაგროვებდა, რომელთაგან ნაწილს ქაბულიდან ფეშავარში მიმავალი ავტობუსის ბილეთში გადაიხდიდა. საჭირო დრო რომ მოახლოვდებოდა, თავის საქორწინო ბეჭედს დააგირავებდა. იმავეს უპირებდა სხვა ძვირფასეულობასაც, რომელიც რაშიდისაგან გასულ წელს, ანუ მაშინ მიეღო, როცა ჯერ კიდევ მისი სახლის მალიქად მიიჩნეოდა.

– ნებისმიერ შემთხვევაში, – თქვა ბოლოს კაცმა, თან თითებით ქამარს აწვალებდა, – ვერაფერში დამადანაშაულებ. მე ქმარი ვარ. ქმრები კი ასეთი საკითხებით ინტერესდებიან. გაუმართლა, რომ მოკვდა. რადგან ახლა სადმე ახლომახლო რომ ყოფილიყო, ვაჩვენებდი... – გამოსცრა კბილებში და თავი გაიქნია.

– რა მოხდება, გარდაცვლილზე აუგი რომ არ თქვა?

– როგორც ვხვდები, ზოგიერთისთვის სიკვდილიც არ არის საკმარისი, – ჩაილაპარაკა მან.

ორი დღის შემდეგ ლაილას დილით გამოეღვიძა და თავისი საძინებლის კართან გულმოდგინედ დაკეცილი ბავშვის ტანსაცმელი დახვდა – პატარა ვარდისფერი, ზედა ნაწილზე თევზებით გაფორმებული კაბა; ლურჯი ყვავილოვანი ორნამენტებით მოქარგული შალის კაბა, შესაფერისი წინდებითა და თათმანებით; სტაფილოსფერწინწკლებიანი ყვითელი პიჟამა და მწვანე ბამბის რეიტუზები, მანჟეტებზე გოფრირებული წინწკლებით.

– ხმები დადის, – საუბარი წამოიწყო რაშიდმა სადილობისას, თან ტუჩებს აწკლაპუნებდა ისე, რომ არც აზიზასთვის შეუხედავს და არცმისი ახალი პიჟამა შეუმჩნევია, – რომ დოსთუმი ჰექმათიარის მხარეს გადასვლას აპირებს. ამ შემთხვევაში მასუდს ორივესთან დაპირისპირება მოუწევს. ჰაზარებიც არ უნდა დაგვავიწყდეს! – კაცმა მარიამის მიერ იმ ზაფხულს მარინადში ჩადებული ბადრიჯანი მოციცქნა, – იმედი ვიქონიოთ, რომ ეს მხოლოდ ჭორია, რადგან თუ სიმართლე გამოდგა, ჩათვალეთ, რომ ახლანდელი ომი, – მან გაქონილი ხელი ჰაერში აიქნია, – ფაღმანში გამართულ პარასკევის პიკნიკად მოგვეჩვენება.

მოგვიანებით კაცმა ცოლზე იერიში მიიტანა, ნახევრად ჩაცმულმა თომბანი მხოლოდ მუხლებამდე ჩაიწია და თავს უსიტყვოდ, ნაჩქარევად მოჰგვარა შვება. როდესაც გაშმაგებული ტორტმანი დასრულდა, ჩამოცოცდა და მაშინვე ძილს მიეცა.

ლაილა საძინებლიდან გამოიპარა და თავს წაადგა სამზარეულოში ჩაცუცქულ მარიამს, რომელიც ორ ცალ კალმახს გულმოდგინედ ასუფთავებდა. ქოთანში ბრინჯი ჩაელბო. სამზარეულოში კვლიავისა და კვამლის, მოშუშული ხახვისა და თევზის სუნი იდგა.

ლაილა კუთხეში დაჯდა და მუხლები თავისი კაბის ბოლოებით დაიფარა.

– გმადლობ! – თქვა მან.

მარიამმა არ შეიმჩნია. პირველი კალმახის გაჭრა დაასრულა და მეორეს დასწვდა. დაკბილული დანით თევზს ფარფლები მოაშორა და კუდიდან ლაყუჩებამდე ოსტატურად დაანაწევრა. ლაილა უყურებდა, როგორ ჩაუყო ქალმა ცერა თითი კალმახს პირში და ხელის ერთი მოძრაობით ლაყუჩები და შიგნეულობა ამოაცალა.

– ულამაზესი ტანსაცმელია!

– აღარაფერში მჭირდებოდა, – ჩაილაპარაკა მარიამმა. თევზი ნაცრისფრად დალაქავებულ, გაწებილ გაზეთზე დააგდო და თავი წააცალა. — რა მნიშვნელობა აქვს, შენი ქალიშვილი გაცვეთს თუ ჩრჩილი შეჭამს?

– თევზის ასე გასუფთავება სად ისწავლე?

– ბავშვობაში პატარა მდინარესთან ვცხოვრობდი. თევზს მე თვითონ ვიჭერდი.

– არასდროს მითევზავია.

– რთული არ არის. მთავარია, ლოდინი შეგეძლოს.

ლაილა უყურებდა, როგორ ჭრიდა ქალი გამოშიგნულ კალმახს მესამედ ნაჭრებად.

– ტანსაცმელი შენ თვითონ შეკერე?

თანხმობის ნიშნად მარიამმა თავი დაუქნია.

– როდის?

ქალმა თევზის ნაჭრები წყლიან თასში ჩაყარა.

– როცა პირველად დავორსულდი, ან შეიძლება მეორე ჯერზე. ეს თვრამეტი-ცხრამეტი წლის წინ იყო. დიდი დრო გავიდა. როგორც უკვე გითხარი, არასდროს დამჭირვებია.

– ნამდვილად კარგი ხაიათი(ხაიათი – მკერავი.) ხარ. იქნებ მეც მასწავლო?

მარიამმა დაჭრილი კალმახი სუფთა თასში ჩააწყო. ხელის თითებიდან წყლის წვეთები სცვიოდა, უეცრად თავი ასწია და ლაილას შეხედა, ისე შეხედა, თითქოს პირველად ხედავდა.

– იმ ღამეს, როდესაც რაშიდმა... აქამდე არასდროს არავინ გამომსარჩლებია! – უთხრა მან.

ლაილა მარიამის ჩაცვენილ ლოყებს დააკვირდა, მისი ქუთუთოები გადაღლილობისგან გაჩენილი ნაკეცებით იყო დაფარული, პირის გარშემო ღრმა ღარები გარს შემოვლებოდა. ამ ყველაფერს თითქოს პირველად ხედავდა. და, ამდენი ხნის შემდეგ პირველად, უკვე მეტოქის სახეს კი არა, ამოუთქმელ მწუხარებას, უსიტყვოდ ატანილ ტვირთს, ბედისწერის მორჩილებასა და გაძლებას უმზერდა. აქ თუ დარჩებოდა, ნუთუ ოცი წლის შემდეგ მისი სახეც მარიამისას დაემსგავსებოდა?

– ამის უფლებას ვერ მივცემდი, – უპასუხა ლაილამ. — ჩემს ოჯახში მსგავსი არაფერი ხდებოდა.

– შენი ოჯახი ახლა აქ არის. ამ აზრს უნდა შეეგუო.

– არა, ცემას ვერასდროს შევეგუები.

– ხომ იცი, რომ შენზეც აღმართავს ხელს, – უთხრა მარიამმა და ჩვარზე ხელი შეიმშრალა. – ეს დროც მალე დადგება. შენ ხომ მას ქალიშვილი გაუჩინე. ამდენად, ჩემზე დიდი დანაშაული მიგიძღვის.

ლაილა ფეხზე წამოდგა.

– გარეთ სუსხია, მაგრამ რას იტყვი, რომ ცოდვილებმა ბაღში თითო ჭიქა ჩაი მივირთვათ?

მარიამმა გოგონას გაოცებული მზერა მიაპყრო.

– არ შემიძლია. ლობიო უნდა დავამტვრიო და დავრეცხო.

– დილით დაგეხმარები.

– თან აქაურობაც მისალაგებელია.

– ერთად გავაკეთებთ. თუ არ ვცდები, ცოტაოდენი ჰალვა დაგვრჩა. ჩაისთან ერთად წარმოუდგენლად გემრიელია!

მარიამმა ჩვარი მაგიდაზე დადო. ლაილა აღელვებული უყურებდა, როგორ ჩამოუშვა ქალმა პერანგის სახელოები, ჰიჯაბი მოირგო და თავისი კულულები შიგნით მოაქცია.

– ჩინელები ამბობენ, რომ უმჯობესია სამი დღე იშიმშილო, ვიდრე ერთი დღე ჩაი არ დალიო.

მარიამმა გაიღიმა.

– კარგი ნათქვამია.

– ასეა.

– მაგრამ დიდხანს ვერ დავრჩები.

– მხოლოდ ერთი ფინჯანი.

ქალები გარეთ გასაშლელ სკამებზე დასხდნენ. საერთო თასიდან ჰალვას თითებით იღებდნენ.

ერთს მეორე ფინჯანი ჩაიც მიჰყვა და როდესაც ლაილამ მარიამს ჰკითხა, მესამესაც ხომ არ მიირთმევო, ქალს უარი არ უთქვამს. შიგადაშიგ მთებიდან სროლის ხმა ისმოდა. ამ დროს მარიამი და ლაილა მთვარისკენ მოსრიალე ღრუბლებს ახედავდნენ ხოლმე, ასევე სეზონის ბოლო ციცინათელებს, სიბნელეში კაშკაშა ყვითელ თაღებს რომ ხაზავდნენ. როდესაც უეცრად გამოღვიძებულმა აზიზამ ტირილი მორთო, და რაშიდმა ლაილა ყვირილით მოიხმო, ბავშვს მიხედეო, ქალებმა ერთმანეთს გადახედეს. ეს გაცნობიერებული მზერა იყო. და ამ წუთიერ, უსიტყვო მზერაში, ლაილამ აღმოაჩინა, რომ ისინი ერთმანეთის მტრები აღარ იყვნენ.

## 35

### მარიამი

იმ ღამის შემდეგ მარიამი და ლაილა საოჯახო საქმეს ერთად აკეთებდნენ. სამზარეულოში ისხდნენ და ცომს ზელდნენ, მწვანე ხახვს ჭრიდნენ, ნიორს კეპავდნენ, კიტრის ნაჭრებს აზიზას სთავაზობდნენ, რომელიც იქვე იჯდა, კოვზებს ერთმანეთს უტყაპუნებდა და სტაფილოებით ერთობოდა. ეზოში ბავშვს მოწნულ საწოლში აწვენდნენ. მას რამდენიმე ხელი ტანისამოსი ეცვა ხოლმე და ყელზე ზამთრის შარფი მოხერხებულად ჰქონდა შემოხვეული. მარიამი და ლაილა თან რეცხავდნენ და თან თვალი პატარა გოგონასკენ ეჭირათ. როცა პერანგებს, შარვლებსა და ბავშვის სახვევებს ჭეჭყავდნენ, ქალის ხელები მოულოდნელად ლაილასას ეჯახებოდა.

მარიამი თანდათან შეეჩვია ამ გაუბედავ, მაგრამ სასიამოვნო მეგობრობას. ლაილასთან ერთად ეზოში სიამოვნებით სვამდა სამ ჭიქა ჩაის, რაც უკვე ღამის რიტუალად ქცეულიყო. ყოველ დილას ქალი მოუთმენლად ელოდა გოგონას შელახული ფლოსტების ტყაპუნის გაგონებას, მის სასაუზმოდ ქვემოთ ჩამოსვლას, აზიზას წკრიალა სიცილს, ბავშვის რვა კიჭის დანახვას და რძის სურნელს მის კანზე. თუ დედა-შვილს ძილი გაუგრძელდებოდათ, მარიამს მოუსვენრობა იპყრობდა. უკვე გარეცხილ ლანგრებს ხელახლა რეცხავდა, მისაღებ ოთახში ბალიშებს თავიდან ალაგებდა, სუფთა ფანჯრის რაფებს კიდევ ერთხელ წმენდდა. სანამ ლაილა სამზარეულოში თეძოზე შემოსმულ აზიზასთან ერთად შემოვიდოდა, ქალი ცდილობდა, როგორმე თავი შეექცია.

დილაობით ბავშვი მარიამს რომ დაინახავდა, თვალები უფართოვდებოდა და დედამისის მკლავებში კრუტუნსა და წრიალს იწყებდა. ხელის კვრით გზას მარიამისკენ იკვალავდა, ითხოვდა, რომ მას აეყვანა და მკლავებს გაშმაგებით ამოძრავებდა, სახეზე თაყვანისცემა ეხატებოდა და მღელვარებისგან ცახცახებდა.

— რა სცენებს აწყობ! — ეტყოდა ლაილა აზიზას და ხელს უშვებდა, მარიამთან მიცოცების საშუალებას აძლევდა, — რა ხდება? დამშვიდდი. ხალა მარიამი არსად გაგექცევა. დეიდაშენი აქ არის. ხედავ? მიდი მასთან.

როგორც კი ქალის მკლავებში აღმოჩნდებოდა, აზიზა თავის ცერა თითს პირში იტაკებდა და სახეს მარიამის კისერში ჩარგავდა.

ქალი ბავშვს დაძაბული აბურთავებდა, სახეზე ნახევრად შეცბუნებული, ნახევრად კი მადლიერების გამომხატველი ღიმილი დასთამაშებდა. ასეთი სასურველი აქამდე არასდროს ყოფილა. ასე გულუბრყვილოდ და უპირობოდ ჯერ არავის ჰყვარებია.

აზიზას მარიამი ცრემლებამდე მიჰყავდა.

— ჩემისთანა მახინჯ დედაბერს ასე როგორ მოეჯაჭვე? — ეჩურჩულებოდა ქალი ბავშვს. — ჰმ! მე ხომ არაფერს წარმოვადგენ, ვერ ხედავ? ერთი ჩვეულებრივი დეჰათი ვარ. შენ რა უნდა მოგცე?

მაგრამ აზიზა კმაყოფილი ლუღლუღებდა და სახეს ქალის კისერში კიდევ უფრო ღრმად რგავდა. ამ დროს მარიამი ჭკუას კარგავდა. თვალები ცრემლებით ევსებოდა. გული ამოვარდნაზე ჰქონდა. ქალი თავადაც გაოცებული იყო, რომ ამდენი წლის ყალბი ცხოვრებისა და წარუმატებელი ურთიერთობების შემდეგ, ამ პატარა არსებასთან პირველი წრფელი კავშირი აღმოაჩინა.

1994 წლის დასაწყისში, იანვრის თვეში დოსთუმმა ისევ მოწინააღმდეგის ბანაკში გადაინაცვლა. იგი გოლბოდინ ჰექმათიარს შეუერთდა, პოზიციები ბალა ჰისართან ახლოს, ძველი ციხესიმაგრის კედლებთან გაიმაგრა და ქალაქს ქუჰ-ე შირდარვაზას მთებიდან დაემუქრა. თავდაცვის სამინისტროსა და პრეზიდენტის სასახლესთან მათ ერთად გაუხსნეს ცეცხლი მასუდისა და რაბანის ძალებს. ქაბულის მდინარის ორივე ნაპირიდან საარტილერიო ჭურვებს ისროდნენ. ქუჩები გვამებით, მინის ნამსხვრევებითა და ლითონის დაჭყლეტილი ნატეხებით გაივსო. გახშირდა მაროდიორობა, ძარცვა, გაუპატიურება, რითაც მშვიდობიანი მოსახლეობის დაშინებასა და სახალხო ლაშქრის მებრძოლების წახალისებას ცდილობდნენ. მარიამი საშინელ ამბებს იგებდა: ქალები გაუპატიურების შიშით სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებდნენ, მამაკაცები კი ღირსების დასაცავად, მებრძოლების მიერ ნამუსახდილ ცოლებსა და ქალიშვილებს საკუთარი ხელით ხოცავდნენ.

აზიზა ნაღმსატყორცნების გრუხუნის ხმაზე კივილს იწყებდა. ყურადღების გადასატანად მარიამი ბრინჯის მარცვლებს იატაკზე ხან სახლის, ხან კი მამლისა და ვარსკვლავის ფორმით უყრიდა და ნებას რთავდა, აქეთ-იქით მიმოეფანტა; პატარა გოგონასთვის სპილოებს ჯალილის მიერ ნასწავლი მეთოდით, ხელისაუღებლად ხატავდა.

რაშიდი ამბობდა, რომ ყოველდღიურად უამრავ მშვიდობიან მოსახლეს ხოცავდნენ. მედიკამენტების მარაგით აღჭურვილ საავადმყოფოებსა და აფთიაქებს ჭურვებს უშენდნენ. სატრანსპორტო საშუალებებს, რომელთაც საგანგებო საკვები გადმოჰქონდათ, ქალაქისკენ მიმავალ გზას უღობავდნენ და რეიდისას ესროდნენ კიდეც. მარიამი ში-

შობდა, რომ ჰერათშიც ასეთივე დაძაბული ვითარება არ ყოფილიყო. აინტერესებდა, მოლა ფაეზულა ისევ ცოცხალი იყო თუ არა, ან ბიბი-ჯო თავისი ვაჟებით, რძლებითა და შვილიშვილებით ამ საფრთხის დაძლევას როგორ ახერხებდა. რა თქმა უნდა, ჯალილზეც ფიქრობდა. ნეტავ, ისიც მარიამივით იმალებოდა? თუ თავის ცოლებსა და შვილებს ხელი მოჰკიდა და ქვეყანა უკვე დატოვა? ქალი იმედოვნებდა, რომ ჯალილმა მთელ ამ საშინელებას თავი დააღწია და უსაფრთხო ადგილს შეეფარა.

ხელჩართულმა ბრძოლამ რაშიდიც კი აიძულა, ერთი კვირა შინ დარჩენილიყო. ეზოს კარი გადარაზა, მახე-ნაღმები დააწყო, სახლის კარიც ჩაკეტა და ზედ დივანი მიადგა. სახლში ბოლთას სცემდა, ეწეოდა, ფანჯრებიდან მიდამოს გულდასმით ათვალიერებდა, იარაღს წმენდდა, შემდეგ კი ტენიდა და ტენიდა. ორჯერ ქუჩაშიგაისროლა კიდეც, რადგან ირწმუნებოდა, შევნიშნე, როგორ ცდილობდა უცნობი კედელზე გადმოცოცებასო.

— მოჯაჰედები პატარა ბიჭებს მათ რიგებში ძალით ერეკებიან, — თქვა კაცმა. — დღისით-მზისით საფეთქელზე იარაღს აბჯენენ და პირდაპირ ქუჩებიდან მიათრევენ. მათი მოწინააღმდეგე სახალხო ლაშქარი ასეთ ბიჭებს იჭერს და სასტიკად აწამებს. მსმენია, რომ ელექტროდენით ხოცავენ, სათესლე ჯირკვლებს ბრტყელტუჩათი აჭრიან. შემდეგ აიძულებენ, საკუთარი სახლებისკენ გაუძღვნენ. ოჯახებში იჭრებიან, მამებს უხოცავენ, დედებსა და დებს ნამუსს ხდიან. — რაშიდმა თოფი თავს ზემოთ მოიქნია, — ერთი ჩემს სახლში შემოჭრა გაბედონ. სათესლე ჯირკვლებს ჩემი ხელით დავაჭრი! თავებს წავაცლი! ხვდებით მაინც, თქვენ ორს როგორ გაგიმართლათ, რომ გვერდით ისეთი მამაკაცი გყავთ, რომელსაც თვით შაითანისაც(შაითანი — ეშმაკი. ) კი არ ეშინია?!. — კაცმა ძირს დაიხედა და ფეხებთან აზიზა შენიშნა, — თავიდან მომწყდი! — დაუყვირა და ბავშვს იარაღი მოუღერა. — ნუ დამსდევ! და ამ მაჯებს ასე ნუ მიტრიალებ. ხელში მაინც არ აგიყვან. მომშორდი! მომშორდი, სანამ ფეხი არ დამიბიჯებია!

აზიზა შეკრთა. ნაწყენი და დაბნეული მარიამისკენ გახოხდა. ქალის კალთაში მოკალათებულმა ცერა თითი პირში ხალისიანად გაიქანა, თან რაშიდს კუშტად და სევდიანად უმზერდა.

ხანდახან მარიამს ბავშვის დამშვიდების სურვილი უჩნდებოდა. მაგრამ მამებს ვერ ირჩევენ, და ქალი ვერაფრით ანუგეშებდა.

ბრძოლები მიწყდა და მარიამმა შვებით ამოისუნთქა. მეტწილად იმიტომ, რომ რაშიდთან ერთად გამოკეტვა აღარ მოუწევდა. მისი უჟმური ხასიათი მთელ ოჯახზე მოქმედებდა. გარდა ამისა, გადატენილ იარაღს აზიზას სიახლოვეს მოუფრთხილებლად იქნევდა.

ზამთრის ერთ დღეს ლაილამ მარიამის თმის დაწვნა მოინდომა.

ქალი მშვიდად იჯდა და სარკეში გოგონას ნატიფი თითების მოძრაობას, მის ყურადღებადაძაბულ სახეს აკვირდებოდა. აზიზა იატაკზე მოკალათებულიყო და ეძინა. იღლიაში მარიამის მიერ მისთვის შეკერილი თოჯინა ამოეჩარა. ქალმა ის ლობიოს მარცვლებით გამოტენა, ჩაის ტილოსგან კაბა შეუკერა, ყელზე კი თასმაზე წამოცმული პატარა ცარიელი ძაფის კოჭები დაჰკიდა.

აზიზამ ძილში გაზები გაუშვა. ლაილამ სიცილი ატეხა და მარიამიც აჰყვა. ისინი სარკეში ერთმანეთის გამომეტყველებაზე იცინოდნენ, თვალები ცრემლებით აევსოთ და ეს მომენტი ისეთი ბუნებრივი, ისეთი ძალდაუტანებელი იყო, რომ უეცრად მარიამმა ჯალილზე, ნანასა და ჯინზე დაიწყო მოყოლა. ლაილას ხელები ქალის მხრებზე ეწყო, თვალები კი სარკეში მარიამის გამოსახულებისთვის მიეჯაჭვა. სიტყვები არტერიიდან მოთქრიალე სისხლივით მოედინებოდა. მარიამმა ბიბი-ჯოს, მოლა ფაეზულას, ჯალილის სახლში დამამცირებელი მოგზაურობის, ნანას თვითმკვლელობის შესახებ უამბო. მოუყვა ჯალილის ცოლებისა და რაშიდთან ნაჩქარევი ნექაჰის, ქაბულში გამგზავრების, მისი ორსულობების, მუდმივი იმედისა და იმედგაცრუების, რაშიდის ძალადობის შესახებ.

ცოტა ხნის შემდეგ ლაილა მარიამის ფეხებთან ჩაცუცქდა. გოგონამ აზიზას თმაში გაბლანდული ბამბის პატარა ბოჭკო უგულისყუროდ მოაცილა.

— მეც მაქვს რაღაც შენთვის სათქმელი, — უთხრა ლაილამ.

იმ ღამეს მარიამს არ სძინებია. საწოლში იჯდა და თოვლის ფიფქებს მიშტერებოდა.

წელიწადის დროები მოდიოდა და მიდიოდა. ქაბულში პრეზიდენტებს ირჩევდნენ და ხოცავდნენ. იმპერია დამარცხდა. ძველი ომები მთავრდებოდა და ახლები იწყებოდა. მაგრამ მარიამს ეს ყველაფერი არც კი შეუნიშნავს, არც კი აინტერესებდა. ეს წლები თავისი გონების შორეულ კუნჭულში გაატარა. მისი სული გახრიოკებულ, ვერან მინდორს ჰგავდა: აღარც სურვილები შერჩენოდა, აღარც ოცნებები. ადგილი მხოლოდ გოდებისა და იმედგაცრუებისთვის დარჩენოდა. არავითარი მომავალი. წარსულმაც მხოლოდ ეს ასწავლა: სიყვარული გამანადგურებელი შეცდომა იყო, მისი თანამონაწილე იმედი კი — ყალბი ილუზია. და როგორც კი ეს ორი შხამიანი ყვავილი გადამწვარ მინდორში გაღვივებას იწყებდა, მარიამი მათ ამოძირკვას მთელი ძალით ცდილობდა. ძირფესვიანად თხრიდა და გაფურჩქვნამდე თხრილში ყრიდა.

მაგრამ ბოლო თვეების განმავლობაში ლაილა და აზიზა, რომელიც მასსავით ჰარამი აღმოჩნდა, მისი სულის ნაწილად იქცნენ. ახლა მათ გარეშე ცხოვრება, რომელზეც აქამდე არასდროს დაუჩივლია, აუტანლად ეჩვენა.

— ამ გაზაფხულზე მე და აზიზა მივდივართ. ჩვენთან ერთად წამოდი, მარიამ!

განვლილმა წლებმა ქალი არ დაინდო. მაგრამ ნუთუ მომავალი უკეთეს ცხოვრებას ჰპირდებოდა? ახალ ცხოვრებას, რომელშიც იქნებ იმ წყალობასაც კი ზიარებოდა, ნანას თქმით, ჰარამი ვერასდროს რომ ეღირსებოდა. ორი ახალი ყვავილი მის წიაღში მოულოდნელად აყვავდა. მარიამი თოვლის ფანტელებს გაჰყურებდა და წარმოსახვაში მოლა ფაეზულას ხედავდა, იგი თასბიჰს მარცვლავდა, მისკენ იხრებოდა და თავისი თბილი, მთრთოლვარე ხმით ეუბნებოდა: „ისინი ხომ ღმერთმა დათესა, მარიამ-ჯო. და შენ

მათზე სწორედ მისი სურვილით ზრუნავ! ეს მისი ნებაა, ჩემო გოგონა“.

## 36

ლაილა

1994 წლის გაზაფხულის იმ დილას, როდესაც დღის შუქმა სიბნელე თანდათან გააუფერულა, ლაილა თითქმის დარწმუნებული იყო, რომ რაშიდმა უკვე ყველაფერი იცოდა, ნებისმიერ მომენტში საწოლიდან გადმოათრევდა და ჰკითხავდა, ნუთუ მართლა ისეთი სულელი გგონივარ, რომ ვერაფერს მივხვდებოდიო? მაგრამ აზანის ხმა გაისმა, დილის მზემ სახლის სახურავები გაანათა, მამლებიც აყივლდნენ და, მისდა გასაოცრად, უჩვეულო არაფერი მომხდარა.

ქმრის ხმა სააბაზანოდან შემოესმა, საპარსს პირსაბანის კიდეზე ფერთხავდა, შემდეგ ქვევით ჩავიდა და ჩაი აიდუღა. ამასობაში გასაღებმაც გაიჩხაკუნა. რაშიდმა ეზო გადაიარა და ველოსიპედს შემოაჯდა.

ლაილა მისაღები ოთახის ფარდებიდან ქმარს გაფაციცებული უთვალთვალებდა. გოგონამ თვალი მიადევნდა, როგორ მართავდა პატარა ველოსიპედს ჯმუხი კაცი, დილის მზე კი ველოსიპედის საჭეს ეცემოდა.

— ლაილა!..

მარიამი შესასვლელში იდგა. გოგონამ ზუსტად იცოდა, რომ არც მას მოუხუჭავს თვალი. ესეც მთელი ღამე ჩემსავით აღტყინებული იყო, ნეტავ? ან მღელვარებისგან გამუდმებით პირი თუ უშრებოდაო? — ფიქრობდა თავისთვის.

— ნახევარ საათში გავალთ, — თქვა ლაილამ.

ქალები ტაქსის უკანა სავარძელზე უხმოდ ისხდნენ. აზიზას, რომელიც მარიამს ეჯდა კალთაში, თავისი თოჯინა ჩაებღუჯა, ქალაქს თვალებგაფართოებული და დაბნეული ათვალიერებდა.

— ონა(ონა — აი!)! — წამოიყვირა მან და ხელით სახტუნელათი მოთამაშე გოგონების ჯგუფისკენ მიანიშნა. — მაიამ! ონა!

საითაც არ უნდა გაეხედა, ლაილას ყველგან რაშიდი ელანდებოდა. ხან ეგონა, რომ გაჭვარტლულფანჯრებიანი სადალაქოდან გამოდიოდა, ხან — ჯიხურიდან, სადაც გნოლებით ვაჭრობდნენ, ან გაქუცული მაღაზიებიდან — იატაკიდან ჭერამდე საბურავებით რომ იყო გამოტენილი.

გოგონა სავარძელში ღრმად ჩაეშვა.

მის გვერდით მარიამი ლოცვას შეუჩერებლად ბუტბუტებდა. ლაილა მისი სახის დანახვას ნატრობდა, მაგრამ ორივე ბურკებში იყვნენ გამოწყობილი, ამიტომ გოგონა ბადედან მხოლოდ ქალის მოელვარე თვალებს ხედავდა.

თუ არ გავითვალისწინებთ წინა დღეს ლომბარდში ხანმოკლე ვიზიტს, სადაც დასკვნითი პროცედურის შესასრულებლად აკანკალებული წავიდა და შუშის დახლს მიღმა თავისი საქორწინო ბეჭედი შეაცურა, რადგან უკან დასახევ გზას ვეღარ ხედავდა, კვირების განმავლობაში ლაილა გარეთ პირველად გამოვიდა.

სახლიდან გაგონილი ბოლოდროინდელი ბრძოლების შედეგები მის გარშემო ცხადად აღბეჭდილიყო — გადახდილსახურავიანი სახლები და ჩამონგრეული კედლების აგურების გროვები; მიწასთან გასწორებული შენობები; დანახშირებული, დაჭყლეტილი მანქანები, რომლებიც ზოგან ერთმანეთზე იყო შემოწყობილი; ყველა შესაძლო კალიბრის ტყვიით დახვრეტილი კედლები; გარშემო მიმობნეული დამსხვრეული მინები... მეჩეთისკენ სამგლოვიარო პროცესია მიემართებოდა, შავებში ჩაცმული მოხუცი ქალი თმას იგლეჯდა. სასაფლაოზე, სადაც ქვის ხიმინჯებიანი საფლავები მოჩანდა, შაჰიდთა დაფლეთილ დროშებს ნიავი არხევდა.

ლაიალა ჩემოდანს იქით ქალიშვილის ფუმფულა მკლავს გადასწვდა და თითებში მოიქცია.

ლაჰორის კარიბჭის ავტოსადგურზე ფოლ-ე მაჰმუდ ხანის მეჩეთთან, აღმოსავლეთ ქაბულში, ავტობუსები გრძელ რიგად ჩამ-

წკრივებულიყო. ჩალმებიანი მამაკაცები მძიმე ფუთებსა და ყუთებს ავტობუსის თავზე აწყობდნენ, ჩემოდნებს თოკებით ამაგრებდნენ. სადგურში განთავსებულ ბილეთების ჯიხურთან კაცები გრძელ რიგში იდგნენ. ბურკაში გამოწყობილი ქალები კი ჯგუფებად შეგროვილიყვნენ და ყბედობდნენ, თავიანთი ნივთები ფეხებთან დაეხვავებინათ. ახალშობილებს ხელში არწევდნენ და ბავშვებს მათგან მოშორებით ანცობის გამო ტუქსავდნენ.

მოჯაჰედი მილიციელები სადგურში პატრულირებდნენ და მოკლე ბრძანებებს იძლეოდნენ. მაღალყელიანი, სამხედრო ფეხსაცმელი და ჭუჭყიანი მწვანე ფორმები ეცვათ, ფაქოლები ეხურათ. ხელში „კალაშნიკოვები“ ეჭირათ.

ლაილას ეჩვენებოდა, რომ დიდი და პატარა მას უმზერდა. სახეში არავის უყურებდა, მაგრამ ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს აქ ყველამ ყველაფერი იცოდა და მათი საქციელის გამო კიცხავდნენ.

— ვინმეს ხედავ? — იკითხა ლაილამ.

მარიამმა აზიზას ხელი მოუნაცვლა. — ვეძებ.

ლაილამ იცოდა, რომ შესაფერისი კაცის პოვნა, რომელიც მათი ოჯახის წევრის როლს მოირგებდა, გეგმის პირველი სარისკო ნაწილი იქნებოდა. თავისუფლება და შესაძლებლობები, რომლითაც ქალები 1978-1992 წლებში სარგებლობდნენ, წარსულს ჩაბარდა. ლაილას კარგად ახსოვდა კომუნისტური მმართველობის ბაბისეული შეფასება, — „ლაილა, ავღანეთში ახლა შესაფერისი დროა ქალად ყოფნისთვის“.

მას შემდეგ, რაც 1992 წლის აპრილში ძალაუფლება ხელში მოჯაჰედებმა ჩაიგდეს, ავღანეთს სახელი შეეცვალა და ავღანეთის ისლამურ სახელმწიფოდ იქცა. რაბანის იურისდიქციაში მოქცეული უმაღლესი სასამართლო მკაცრი კურსის გამტარებელი მოლებით გაივსო. მათ კომუნისტების მიერ გამოცემული ბრძანებები, ქალების უფლებამოსილებით აღჭურვას რომ უზრუნველყოფდა, გააუქმეს და სანაცვლოდ მკაცრ ისლამურ კოდექსზე, შარიათზე დაფუძნებული კანონები მიიღეს, რომელიც ქალებს თავდაუბურავად სიარულს, მამაკაცის გარეშე

მგზავრობას უკრძალავდა და მრუშობას ჩაქოლვით სჯიდა. თუმცა ამ კანონების აღსრულებას რეგულარული ხასიათი არ ჰქონდა.

— ჩვენ მიმართ სადამსჯელო ზომებს უკეთ აამოქმედებდნენ, — უთხრა ლაილამ მარიამს, — ერთმანეთის და ჩვენი ხოცვით ასე დაკავებული რომ არ იყვნენ.

ამ მოგზაურობის მეორე სარისკო ნაწილი რეალურად პაკისტანში ჩასვლის შემდეგ იწყებოდა. თითქმის ორი მილიონი ავღანელი ლტოლვილისგან შეწუხებულმა პაკისტანმა იმ წლის იანვარში ავღანელებისთვის საზღვარი ჩაკეტა. ლაილამ შეიტყო, რომ ქვეყანაში მხოლოდ ვიზის მქონენი დაიშვებოდნენ. მაგრამ საზღვრის მავთულხლართებს შორის ნაპრალები ადრეც იყო და ახლაც, და გოგონამ კარგად იცოდა, რომ ათასობით ავღანელი ამჟამადაც კვეთდა პაკისტანის საზღვარს ქრთამის ან ჰუმანიტარული არხების საშუალებით. გარდა ამისა, იქვე იყვნენ კონტრაბანდისტები, რომელთა დაქირავებაც შესაძლებელი იყო.

— გამოსავალს ადგილზე მოვძებნით, — უთხრა ლაილამ ქალს.

— ამაზე რას იტყვი? — იკითხა მარიამმა და გოგონას ნიკაპით მიანიშნა.

— სანდო არ მგონია.

— და ის?

— ზედმეტად ასაკოვანია. თან ორ კაცთან ერთად არის.

საბოლოოდ, ლაილამ ის იპოვა. კაცი პარკში გრძელ სკამზე პირბადიან ქალთან ერთად იჯდა. კალთაში დაახლოებით აზიზას ასაკის ბავშვს არწევდა. მაღალი და მოხდენილი იყო, წვერიანი, საყელოშეხსნილი პერანგი და ღილებდაწყვეტილი თანამედროვე ნაცრისფერი პალტო ეცვა.

— აქ დამელოდე, — უთხრა გოგონამ მარიამს. ქალი ისევ ლოცვას ბუტბუტებდა.

როდესაც ლაილა ახალგაზრდა კაცს მიუახლოვდა, მან ამოხედა და თვალები ხელით მოიჩრდილა.

— მომიტევე, ძმაო, ფეშავარში მიდიხარ?

— დიახ, — მიუგო თვალმოჭუტულმა.

— ჩვენი დახმარება შეგიძლია? ერთ სამსახურს ხომ ვერ გაგვიწევდი?

კაცმა ბავშვი ცოლს გადააწოდა და ლაილასთან ერთად გვერდით გადგა.

— რა ხდება, ჰამშირა?

კაცის თბილმა თვალებმა და კეთილმა სახემ გოგონას მხნეობა შეჰმატა.

ლაილამ მას წინასწარ მოფიქრებული ამბავი უამბო. უთხრა, რომ ბივა(ბივა — ქვრივი.), ქვრივი იყო, ქაბულში დედისა და ქალიშვილის გარდა აღარავინ დარჩენოდა და ბიძასთან ფეშავარში მიემგზავრებოდა.

— გინდა, რომ ჩემს ოჯახთან ერთად იმგზავრო? — ჰკითხა ახალგაზრდა კაცმა.

— ვიცი, რომ თქვენთვის ზაჰმათია(ზაჰმათი — შეწუხება, გარჯა.). მაგრამ კეთილი ძმის შთაბეჭდილებას ტოვებთ, ამიტომაც...

— ნუ წუხხარ, ჰამშირა. ყველაფერი მესმის. პრობლემა არ არის! თქვენთვის ბილეთებს ვიყიდი.

— გმადლობ, ძმაო! ეს სავაბია(სავაბი — მართებული საქციელი; რელიგიური თვალსაზრისით სწორი საქციელი. ), კეთილშობილური საქციელი. ღმერთი არ დაგივიწყებს!

ლაილამ ბურკას ქვეშ ჯიბიდან კონვერტი ამოაცურა და კაცს გადასცა. კონვერტში ათას ასი ავღანი(ავღანი — ფულის ერთეული ავღანეთში.) იდო, დაახლოებით იმ თანხის ნახევარი, რომელსაც ლაილა წლების განმავლობაში აგროვებდა, დამატებული საქორწინო ბეჭდის საფასური. კაცმა კონვერტი შარვლის ჯიბეში ჩაიცურა.

— აქ დამელოდე.

ლაილა უყურებდა, კაცი სადგურში როგორ შევიდა. ნახევარ საათში უკან დაბრუნდა.

— უმჯობესია თქვენი ბილეთები ჩემთან დარჩეს, — უთხრა მან, — ავტობუსი ერთ საათში, თერთმეტზე გავა. ყველანი ერთად ავალთ. თუ

ვინმე გკითხავს, თუმცა არ მგონია, ვაქილი მქვია. ვიტყვი, რომ ჩემი ბიძაშვილი ხარ.

ლაილამაც თავიანთი სახელები უთხრა.

— დავიმახსოვრებ, — მიუგო კაცმა, — ჩემთან ახლოს იყავით.

ქალები ვაქილისა და მისი ოჯახის გვერდითა სკამზე ჩამოსხდნენ. მზიანი, თბილი დილა იყო. მთებს ზემოთ ცა რამდენიმე გაცრეცილ ღრუბელს ზოლებად დაესერა. მარიამმა აზიზას ცოტაოდენი ფხვიერი ნამცხვარი აჭამა, რომლის წამოღებაც სიჩქარეში მოეხერხებინა. ერთი ცალი ლაილასაც შესთავაზა.

— ლუკმა არ გადამივა, — გაიცინა ლაილამ, — ძალიან ვღელავ!..

— მეც.

— გმადლობ, მარიამ.

— მადლობას რისთვის მიხდი?

— ნამცხვრისთვის. ჩვენთან ერთად წამოსვლისთვის, — უპასუხა გოგონამ. — არ მგონია, ამ ყველაფრის გაკეთება მარტოს მომეხერხებინა.

— მარტოს არც მოგიწევდა.

— ხომ ყველაფერი კარგად იქნება, მარიამ?

ქალმა სკამზე ხელი გააცურა და ლაილას ხელს მოუჭირა.

— ყურანი გვასწავლის, აღმოსავლეთიც და დასავლეთიც ალაჰს ეკუთვნის და საითაც არ უნდა წახვიდე, მხოლოდ ალაჰის განგებით.

— ბოვ(ბოვი — ავტობუსი (ბავშვის ენაზე).)! — წამოიყვირა აზიზამ და ხელით ავტობუსზე მიანიშნა. — მაიამ! ბოვ!

— ვხედავ, აზიზა-ჯო, — უპასუხა მარიამმა. — მართალი ხარ, ავტობუსია. მალე ყველანი ავტობუსით გავემგზავრებით. ოჰ, რამდენ ახალს ნახავ!

ლაილამ გაიღიმა. ის დურგალს აკვირდებოდა, რომელიც თავის მაღაზიაში ფიცრებს ხერხავდა და ხის ბურბუშელას აქეთ-იქით აბნევდა. თვალს აყოლებდა მიმავალ მანქანებს, რომელთა ფანჯრებიც ჭვარტლითა და ჭუჭყით იყო დაფარული; ტროტუარებზე ზანტად

მოგუგუნე ავტობუსებს, გვერდებზე ფარშევანგები, ლომები, ამომავალი მზე, მოელვარე ხანჯლები რომ ჰქონდა მიხატული.

დილის მზის სიმხურვალისგან ლაილას რეტი ესხმოდა. თავდაჯერებული და აღტყინებული იყო. უპატრონო, ყვითელთვალება ძაღლი კოჭლობით მიუახლოვდა. გოგონა გადმოიხარა და ზურგზე მოეფერა.

თერთმეტი საათის დადგომამდე რამდენიმე წუთით ადრე ერთმა კაცმა მგზავრები საყვირით ფეშავარისკენ მიმავალ ავტობუსში ჩასასხდომად მოიხმო. კარი მძლავრი ჰიდრავლიკური შიშინით გაიღო. მგზავრების ტალღა მისკენ გაემართა, ერთმანეთს წინ უხტებოდნენ და სწრაფად ასვლას ლამობდნენ.

ვაქილმა ბავშვი ხელში აიყვანა დალაილას ანიშნა.

— მოვდივართ! — უპასუხა ლაილამ.

ვაქილი წინ მიდიოდა. ავტობუსს რომ მიუახლოვდნენ, გოგონამ ფანჯრის მინებზე მობჯენილი სახეები, ცხვირები და ხელისგულები შენიშნა. ირგვლივ გამცილებლების ყვირილი ისმოდა.

ახალგაზრდა მილიციელი ავტობუსის კართან ბილეთებს ამოწმებდა.

— ბოვ! — დაიყვირა აზიზამ.

ვაქილმა ბილეთები ჯარისკაცს გადასცა, მან შუაზე გადახია და უკან დაუბრუნა. კაცმა თავისი ცოლი პირველი აუშვა. ლაილამ შენიშნა, რომ ვაქილმა და მილიციელმა მზერა გაცვალეს. კაცმა ავტობუსის პირველ საფეხურზე შეაბიჯა, დაიხარა და ჯარისკაცს ყურში რაღაც უჩურჩულა.

მილიციელმა თავი დაუქნია.

ლაილას გული შეეკუმშა.

— თქვენ ორნი, ბავშვთან ერთად, გვერდზე გადექით! — თქვა ჯარისკაცმა.

ლაილამ თავი მოაჩვენა, თითქოს მისი სიტყვები ვერ გაიგონა. კიბეზე ასვლა სცადა, მაგრამ კაცმა მას მხარში ჩაავლო და რიგიდან გამოათრია.

— შენც! — დაუყვირა მარიამს. — გაინძერი! რიგს აფერხებთ.

— რა ხდება, ძმაო? — დაბუჟებული ტუჩებიდან აღმოხდა მარიამს. — ბილეთები გვაქვს. ჩემმა ბიძაშვილმა არ გაჩვენათ?

კაცმა ტუჩებთან თითი მიიტანა და ლაილა გააჩუმა. შემდეგ კი მეორე მცველს ხმადაბლა რაღაც გადაულაპარაკა. ჩამრგვალებულმა ახალგაზრდამ, რომელსაც მარჯვენა ლოყაზე ნაიარევი ემჩნეოდა, თავი დაუკრა.

— გამომყევი, — მიმართა მან ლაილას.

— ჩვენ ამ ავტობუსში უნდა ავიდეთ, — დაიყვირა ლაილამ და მიხვდა, ხმა როგორ უკანკალებდა. — ბილეთები გვაქვს. ასე რატომ გვექცევით?

— ამ ავტობუსში ვერ ახვალ! ამას უნდა შეეგუო. მე გამომყვები. ან იქნებ გსურს, რომ შენმა პატარა გოგონამ ნახოს, აქედან როგორ წაგათრევენ?!

როდესაც ქალები სატვირთო მანქანისკენ წაიყვანეს, ლაილამ თავი მიაბრუნა და ავტობუსის ბოლოში ვაქილის შვილს მოჰკრა თვალი. ბიჭმაც შენიშნა და მხიარულად დაუქნია ხელი.

თორებაზ ხანის ქუჩის გადაკვეთაზე, პოლიციის განყოფილებაში, მათ ცალ-ცალკე, ხალხით სავსე დერეფნის ორ საპირისპირო ბოლოში მიუჩინეს ადგილი. შუაში სამუშაო მაგიდა იდგა, რომელთანაც მამაკაცი სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა და შიგადაშიგ საბეჭდ მანქანაზე აკაკუნებდა. ამ მდგომარეობაში სამი საათი გავიდა. აზიზა ლაილასა და მარიამს შორის ბარბაცით დადიოდა და მაგიდასთან მჯდომი მამაკაცის მიერ ნაჩუქარი ქაღალდის სამაგრით თამაშობდა. ნამცხვარიც გამოილია და ბოლოს ბავშვს მარიამის კალთაში ჩაეძინა.

დაახლოებით სამი საათისთვის ლაილა დასაკითხად გაიყვანეს. მარიამი კი აზიზასთან ერთად დერეფანში დარჩა.

დაკითხვის ოთახში მაგიდასთან მჯდომი მამაკაცი ოცდაათი წლისა იქნებოდა. სამოქალაქო ტანსაცმელი — შავი კოსტიუმი, ჰალსტუხი და შავი მოკასინები ეცვა. მოკლე თმა და გადაბმული

წარბები ჰქონდა, წვერი კი აკურატულად გაეკრიჭა. კაცი ლაილას მიაშტერდა და ფანქრის საშლელიანი ბოლო მაგიდაზე დააკაკუნა.

— ვიცით, რომ... — კაცმა ჩაახველა და პირზე მუშტი ზრდილობიანად მიიფარა, — ერთი ტყუილი დღეს უკვე თქვით, ჰამშირა. პირადად მე გირჩევთ, რომ ასე აღარ მოიქცეთ.

— ბიძაჩემთან მივდიოდით, — უთხრა ლაილამ. — სიმართლე ეს არის.

პოლიციელმა თავი დაუქნია.

— ჰამშირა, დერეფანში დედათქვენი გელოდებათ?

— დიახ.

— მას ჰერათის აქცენტი აქვს. თქვენ კი — არა.

— ის ჰერათში გაიზარდა, მე აქ — ქაბულში დავიბადე.

— აჰ, რა თქმა უნდა. და ქვრივი ხართ, ხომ? თავი, მგონი, ასე გაგვაცანით? ვიზიარებ. და ეს ბიძა, ქაქა, სად ცხოვრობს?

— ფეშავარში.

— ხო, უკვე თქვით, — კაცმა ფანქრის წვერი დანერწყვა და სუფთა ფურცელზე რაღაც მოინიშნა. — ფეშავარში, კონკრეტულად, სად? შეგიძლიათ მითხრათ რის მახლობლად? ქუჩა ან სექტორის ნომერი დამისახელეთ.

ლაილა მთელი ძალით ცდილობდა ყელში მობჯენილი მღელვარების დაფარვას. და დაასახელა ერთადერთი ქუჩა, რომელიც ფეშავარში იცოდა. ჯემრადის ქუჩა მოჯაჰედების პირველ შემოსვლასთან დაკავშირებით დედას მიერ მოწყობილ წვეულებაზე ჰქონდა გაგონილი.

— ო, დიახ. ეს ზუსტად ის ქუჩაა, სადაც სასტუმრო „კონტინენტალ-მარგალიტია“ განთავსებული. ალბათ ბიძათქვენს ერთხელ მაინც უხსენებია.

ლაილამ ეს შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვა და დაუდასტურა, რომ გაგონილი ჰქონდა.

— დიახ, ზუსტად ეგ ქუჩაა.

— ოღონდ სასტუმრო ხაიბერის ქუჩაზე მდებარეობს.

ლაილას დერეფნიდან აზიზას ტირილი შემოესმა.

— ჩემი ქალიშვილი შეშინებულია. შეიძლება შემოვიყვანო, ძმაო?

— უმჯობესია „ოფიცერი“ დამიძახოთ. მასთან ძალიან მალე გახვალ. ბიძათქვენის ტელეფონის ნომერი გაქვთ?

— რა თქმა უნდა. მქონდა. მე... — მიუხედავად იმისა, რომ ბურკა ეცვა, ლაილა კაცის გამომცდელ მზერას თავს მაინც ვერ არიდებდა, — ისეთი აღელვებული ვარ!.. მგონი, დამავიწყდა.

პოლიციელმა ამოიოხრა. ბიძის და მისი ცოლის სახელები, მათი შვილების რაოდენობა, ბავშვების სახელები, სამუშაო ადგილი, ასაკი ჰკითხა. ლაილა აფორიაქდა.

ოფიცერმა ფანქარი მაგიდაზე დადო, თითები ერთმანეთს გადაჭდო და წინ იმ მშობელივით გადმოიხარა, რომელიც თავნება შვილის დამოძღვრას ცდილობს.

— ჰამშირა, ალბათ აცნობიერებთ, რომ გაქცევის მცდელობა ქალისთვის დანაშაულად არის მიჩნეული. ასეთ ბევრ შემთხვევას ვაწყდებით. ქალები მარტო მგზავრობენ და თავს ქვრივებად ასაღებენ. ზოგჯერ სიმართლეს ამბობენ, მაგრამ, როგორც წესი, მათი ნაამბობი სიცრუეა. გაქცევის გამო შეგვიძლია დაგაპატიმროთ. ვიმედოვნებ, რომ ამას აცნობიერებთ.

— გაგვიშვით, ოფიცერო... — ლაილამ მისი სახელი ლაცკანზე ამოიკითხა, — ოფიცერო რაჰმან! თქვენი სახელი ხომ „მოწყალეს“ ნიშნავს?!. გულმოწყალება გამოიჩინეთ... რა მოხდება, რომ ორ საწყალ ქალს წასვლის ნება დართოთ? ჩვენი გათავისუფლებით თქვენ რა დაგიშავდებათ? კრიმინალები ხომ არ ვართ?!.

— არ შემიძლია.

— ძალიან გთხოვთ!..

— ჰამშირა, ეს კანონის საქმეა, — თქვა რაჰმანმა და საკუთარ ხმას სერიოზულობისა და მედიდურობის ელფერი შესძინა. — ჩემი ვალია, წესრიგი დავიცვა.

შეცბუნების მიუხედავად ლაილამ კინაღამ გადაიხარხარა. ოფიცრის თავხედობამ გააოგნა. ამ სიტყვის ხსენებას ბედავდა, მი-

უხედავად იმ ყველაფრისა, რაც მოჯაჰედების დაჯგუფებებმა ჩაიდინეს — მკვლელობები, ძარცვა, გაუპატიურება, წამება, ნგრევა, დაბობმბვა... ისინი არაფრად აგდებდნენ უდანაშაულო ადამიანებს, რომლებიც ჯვარედინ ცეცხლში იმ ათი ათასობით ჭურვის აფეთქების შედეგად იღუპებოდნენ, რომელთაც ერთმანეთს უშენდნენ. „კანონი?!“ — კინაღამ აღმოხდა, მაგრამ ლაილამ ენას კბილი მყისვე დააჭირა და ამის ნაცვლად შენელებულად ესღა უპასუხა:

— შინ თუ დაგვაბრუნებთ, ვერც კი წარმოიდგენთ, რას დაგვმართებს!..

ოფიცერი ძალისხმევას არ იშურებდა, რომ გოგონასთვის თვალი არ მოეცილებინა.

— კაცი თავის სახლში ბატონია.

— მაშინ კანონზე რაღას იტყვით, ოფიცერო რაჰმან? — ბრაზისგან წამოცვენილმა ცრემლებმა ლაილას თვალები აუწვა. — ამ შემთხვევაშიც დაიცავთ წესრიგს?

— ჰამშირა, ჩვენი პოლიტიკა ოჯახურ საკითხებში ჩარევას არ ითვალისწინებს.

— რა თქმა უნდა, არ ითვალისწინებს, თუ ეს კაცის სასარგებლოდ ხდება. და ეს, როგორც თქვენ ამბობთ, „ოჯახური საკითხი“ არ არის? არა?!.

ოფიცერი წამოდგა და პიჯაკი გაისწორა.

— დაკითხვა დასრულებულია. მინდა გითხრათ, ჰამშირა, თავი ცუდ მდგომარეობაში ჩაიგდეთ, ძალიან ცუდ მდგომარეობაში. ახლა კი თუ გარეთ დაიცდით, მინდა დაველაპარაკო თქვენს... ვინც არის.

ლაილამ გააპროტესტა, ყვირილი მორთო. ოფიცერს ორი კაცის დახმარება დასჭირდა, რომ გოგონა ოთახიდან გაეძევებინა.

მარიამის დაკითხვა მხოლოდ რამდენიმე წუთს გაგრძელდა. გარეთ აკანკალებული გამოვიდა.

— იმდენი კითხვა დამაყარა... — თქვა მან, — ძალიან ვწუხვარ, ლაილა-ჯო! შენსავით გონებამახვილი არ ვარ. მის არც ერთ შეკითხვაზე პასუხი არ მქონდა. ძალიან ვწუხვარ...

— მარიამ, შენ რა შუაში ხარ? — სუსტი ხმით თქვა ლაილამ. — ჩემი ბრალია. ყველაფერი ჩემი ბრალია!

შვიდი საათი იყო დაწყებული, როცა პოლიციის მანქანა სახლის წინ გაჩერდა. ლაილა და მარიამი უკანა სავარძელზე ისხდნენ და იცდიდნენ. მათ მოჯაჰედი ჯარისკაცი მეთვალყურეობდა. მძღოლი მანქანიდან გადავიდა, კარზე დააკაკუნა და რაშიდს გამოელაპარაკა. შემდეგ ჯარისკაცს ანიშნა, ქალები მოიყვანეო.

— კეთილი იყოს თქვენი სახლში დაბრუნება, — ირონიულად თქვა წინა სავარძელზე მჯდომმა ჯარისკაცმა და სიგარეტს მოუკიდა.

— შენ, — კაცმა მარიამს მიმართა, — შენ აქ დაიცადე.

მარიამი დივანზე მორჩილად ჩამოჯდა.

— თქვენ ორნი ზევით ადით.

რაშიდმა ლაილას იდაყვში ხელი წაავლო და კიბისკენ უბიძგა. კაცი ისევ იმ ფეხსაცმლით იყო, რითაც სამსახურში წავიდა. ფლოსტებიც კი არ ჩაეცვა, საათიც არ მოეხსნა და პალტოც კი არ გაეხადა. ლაილამ წარმოიდგინა, ერთი საათის ან თუნდაც რამდენიმე წუთის წინ გამძვინვარებული და ეჭვებით შეპყრობილი რაშიდი ოთახიდან ოთახში როგორ დაძრწოდა, კარებს აჯახუნებდა და სუნთქვაშეკრული იწყევლებოდა.

ლაილა უკვე კიბის თავში იდგა, როცა ქმრისკენ შემობრუნდა.

— მას არ უნდოდა ამის გაკეთება, — უთხრა გოგონამ. — მე ვაიძულე. მას წასვლა არ უნდოდა.

ლაილამ ვერ შენიშნა მისკენ მუშტი როდის წამოვიდა. ერთ მომენტში ლაპარაკობდა, მომდევნო წამს კი უკვე ოთხზე იდგა და თვალებგაფართოებული, სახეაწითლებული, ამოსუნთქვას ცდილობდა. თითქოს მთელი სისწრაფით მომავალი მანქანა მკერდის ძვლის დაქანებასა და მუცლის თავს შორის რბილ ადგილას შეეჯახა. უცებ მიხვდა, რომ აზიზა ხელიდან გაუვარდა, ბავშვი ატირდა. კიდევ ერთხელ სცადა ამოსუნთქვა, მაგრამ მხოლოდ ხრინწიანი, მოგუდული ხმა აღმოხდა. პირიდან დორბლი სდიოდა.

მერე მოულოდნელად თმით ითრიეს. დაინახა, როგორ აიყვანა კაცმა აზიზა ხელში, ბავშვს სანდლები გასძვრა და პატარა ფეხებს საცოდავად იქნევდა. ლაილას თმა ბღუჯობით, თვალებიდან კი სიმწრის ცრემლები სცვიოდა. შენიშნა, რომ რაშიდმა მარიამის ოთახის კარი წიხლით შეაღო და აზიზა საწოლისკენ მოისროლა. კაცმა ლაილას თმას ხელი ოდნავ შეუშვა და ფეხსაცმლის წვერი მთელი სიძლიერით მარცხენა დუნდულაზე ამოარტყა. გოგონას სიმწრისგან ღმუილი აღმოხდა. კაცმა კარი მოიჯახუნა დასაკეტი გადაატრიალა.

აზიზა ისევ კიოდა. ლაილა იატაკზე იკრუნჩხებოდა და ძლივს სუნთქავდა. გოგონა ხელებს გაჭირვებით დაეყრდნო და მიხოხდა საწოლისკენ, იქ, სადაც აზიზა ეგულებოდა. ქალიშვილს გაჭირვებით მიუახლოვდა.

ქვედა სართულზე ცემა-ტყეპა გაგრძელდა. ლაილასთვის მეთოდური, ნაცნობი პროცედურების ხმები ისმოდა. არც წყევლა, არც კივილი, არც ვედრება და ზლუქუნი, მხოლოდ სისტემური სქემით ცემა და ცემა — ბუფ, ბუფ! რაღაც მყარი საგანი ხორცს განუწყვეტლივ ეხლებოდა, ტანსაცმლის ფხრეწვისა და კედელზე მინარცხებისას ყრუ ბრახუნი გაისმოდა. ლაილამდე დროდადრო სირბილისა და გამოდევნების, ავეჯის ამოყირავების, ჭურჭლის მსხვრევისა და ისევ ძლიერი დარტყმების ხმები აღწევდა.

ლაილამ აზიზა ხელში აიყვანა. ბავშვმა შარდი ვერ შეიკავა და გოგონამ წინა მხარეს სიმხურვალე იგრძნო.

ბოლოს და ბოლოს, ქვევით სირბილი და დევნა შეწყდა. ახლა ისეთი ხმები ამოდიოდა, თითქოს საკლავ საქონელს ხის ხელკეტს უშენდნენ.

სანამ ხმაური არ მიწყნარდა, ლაილა შვილს ხელში არწევდა. შემდეგ კარის გაღებისა და მიჯახუნების ხმა გაისმა. გოგონამ აზიზა ძირს დააწვინა და ფანჯარაში გაიჭვრიტა. დაინახა, რომ რაშიდს ფეხშიშველა მარიამისთვის ქეჩოში ხელი წაევლო და წელში მოხრილს ეზოში მიათრევდა. კაცს ხელები სისხლიანი ჰქონდა. მარიამსაც ხელებიდან, კისრიდან და ზურგიდან სისხლი სდიოდა. მისი პერანგი თავიდან ბოლომდე დაფხრეწილი იყო.

— ძალიან ვწუხვარ, მარიამ! — ფანჯრიდან დაუძახა ლაილამ.

გოგონა უყურებდა, როგორ უბიძგა რაშიდმა მარიამს ფარდულისკენ. თავადაც შიგნით შეჰყვა და ჩაქუჩი და რამდენიმე ცალი ფიცარი გამოიტანა. ორმაგი კარი ჩაკეტა, ჯიბიდან გასაღები ამოიღო და კარს ბოქლომი დაადო. კარი საგულდაგულოდ შეამოწმა, შემდეგ ფარდულს შემოუარა და კიბე წამოიღო.

რამდენიმე წუთის შემდეგ რაშიდის სახე ლაილას ფანჯარაში გამოჩნდა. პირის კუთხეებში ლურსმნები ჰქონდა გაჩრილი. თმა გაწეწვოდა, წარბებზე სისხლის კვალი ემჩნეოდა. მის დანახვაზე აზიზამ კივილი მორთო და სახე დედამისის უბეში ჩამალა.

კაცმა ფანჯრის ფიცრებით აჭედვა დაიწყო.

გარშემო გაუვალმა და მუდმივმა წყვდიადმა დაისადგურა, არც შრეები ჰქონდა და არც სიმკვრივე. რაშიდმა ფიცრებს შორის დარჩენილი ნაპრალები რაღაცით ამოავსო. კარის ძირში დიდი უძრავი ნივთი დადო ისე, რომ კარის ქვეშიდან სინათლეს არ შემოეღწია. გასაღების ჭუჭრუტანაც რაღაცით ამოქოლა.

ლაილა დროის მიმდინარეობას თვალებით ვეღარ გრძნობდა. ამიტომ ამისთვის ჯანმრთელ ყურს იყენებდა. აზანი და მამლის ყივილი გათენებაზე მიანიშნებდა, სამზარეულოში ჭურჭლის წკრიალი და რადიოს ხმა კი — მოსაღამოებაზე.

პირველ დღეს დედა-შვილი სიბნელეში ერთმანეთს ხელის ცეცებითა და გაჭირვებით ეძებდნენ. ლაილა ვერ ხედავდა აზიზას, რომელიც ხან ტიროდა, ხან კი დახოხავდა.

— აიშე(აიშე — რძე (ბავშვის ენაზე).)!.. — ზლუქუნებდა ბავშვი, — აიშე...

— მალე იქნება, — ლაილას სურდა, ქალიშვილისთვის შუბლზე ეკოცნა, მაგრამ მის ნაცვლად კეფა შერჩა. — რძე მალე გვექნება. ცოტაც მოითმინე. შენ ხომ დედიკოს საყვარელი, მომთმენი გოგო ხარ... დედა აიშეს გიშოვის!

ლაილამ აზიზას რამდენიმე სიმღერა უმღერა.

აზანის ხმა მეორედ გაისმა, მაგრამ რაშიდს მათთვის არც საკვები და არც წყალი არ მიუცია. იმ დღეს საშინელი, სულის შემხუთველი სიცხე ჩამოწვა. ოთახი ჰერმეტულ ქვაბს დაემსგავსა. ლაილამ ტუჩებზე გამომშრალი ენა გადაისვა, თან გარეთ ყოფნაზე, ცივ ანკარა წყალზე ფიქრობდა. აზიზა ისევ ტიროდა და შეშფოთებულმა ლაილამ აღმოაჩინა, რომ როდესაც ქალიშვილს ლოყებს წმენდდა, ხელები არ უსველდებოდა. მან ბავშვს ტანსაცმელი გახადა და შეეცადა, დასანიავებლად რამე ნივთი მოეძებნა. ლაილა აზიზას მიუჯდა და იმდენი უნიავა, რომ თავბრუ დაესხა. მალე ბავშვმა ხოხვა შეწყვიტა. ხან მიიძინებდა, ხან კი გამოიღვიძებდა.

იმ დღეს ლაილამ კედლებს რამდენჯერმე დაუშინა მუშტები, თან ყვიროდა, რომ იქნებ რომელიმე მეზობლისთვის ხმა მიეწვდინა და საშველად ეხმო. მაგრამ მისი ხმა ვერავინ გაიგონა, მხოლოდ ბავშვი დაიფრთხო, რომელმაც მიკნავებული ხმით მორთო ჩხავილი. ლაილა მიწაზე უღონოდ დაეშვა. ასეთ სიცხეში ფარდულში გამოკეტილ, ნაცემ და დასისხლიანებულ მარიამზე ფიქრობდა და თავს იდანაშაულებდა.

რაღაც მომენტში ლაილას ჩაეძინა. მისი სხეული სიცხისგან გამომშრალიყო. სიზმარში ნახა, რომ ის და აზიზა ხალხით სავსე ქუჩაში შემთხვევით თარიყს გადაეყარნენ. ბიჭი სამკერვალოს საჩრდილობლის ქვეშ თეძოებზე იჯდა და ყუთში ლეღვს ახარისხებდა. „ის მამაშენია, — უთხრა ბავშვს ლაილამ, — აი, ის კაცი, ხედავ? ის შენი ნამდვილი მამაა!“

გოგონამ დაუძახა, მაგრამ ქუჩის ხმაურმა ლაილას ხმა შთანთქა. თარიყმა მისი ძახილი ვერ გაიგონა.

ლაილა ჭურვების წუილმა გამოაღვიძა. სადღაც, ცაზე, რომელსაც გოგონა ვეღარ ხედავდა, აფეთქების ტალღამ გადაიარა და ხანგრძლივი, გააფთრებული საარტილერიო ცეცხლის გრუხუნი გაისმა. ლაილამ თვალები დახუჭა. მეორედ დერეფანში რაშიდის მძიმე ნაბიჯების ხმამ გამოაფხიზლა. გოგონა მაშინვე კარსეცა და ბრახუნი ატეხა.

— მხოლოდ ერთი ჭიქა წყალი, რაშიდ! ჩემთვის არ გთხოვ... ბავშვი შეიბრალე! მის ცოდვას ნუ დაიდებ!..

კაცმა უსიტყვოდ ჩაიარა. ლაილა ემუდარებოდა, პატიებას სთხოვდა, პირობას დებდა, იწყევლებოდა. რაშიდმა კარი მიიხურა. ცოტა ხანში ოთახში რადიოს ხმამ შემოაღწია.

მუეძინმა აზანი მესამედ შემოსძახა. კვლავაც საშინლად ცხელოდა. აზიზა კიდევ უფრო უსიცოცხლო გახდა. აღარც ტიროდა და აღარც მოძრაობდა.

ლაილას ყური ბავშვის პირთან მიჰქონდა და ყოველ ჯერზე ძრწოლვით ელოდა, რომ შვილის მისუსტებულ სუნთქვასაც ვეღარ გაიგონებდა. ეს უმარტივესი მოძრაობაც კი გოგონას რეტს ასხამდა. ისევ ჩაეძინა. გაურკვეველ სიზმრებს ნახულობდა. როგორც კი გაეღვიძებოდა, მაშინვე აზიზას ამოწმებდა, მისი ტუჩების გამხმარ ნაპრალებს, კისერთან მისუსტებულ პულსს იგრძნობდა და მაშინვე წვებოდა. სული რომ აქ აღმოხდებოდათ, ლაილა ამაში უკვე დარწმუნებული იყო. მხოლოდ იმას შიშობდა, რომ პატარა, ნორჩ აზიზაზე დიდხანს თვითონ არ ეცოცხლა. ბავშვი კიდევ რამდენ ხანს გაუძლებდა? ამ სიცხეში აზიზა ვერ გადარჩებოდა, ლაილას კი მისი პატარა გაქვავებული სხეულის გვერდით წოლა და საკუთარი სიკვდილის ლოდინი მოუწევდა. ისევ ჩაეძინა. გამოეღვიძა. კიდევ ერთხელ ჩაეძინა. ძილსა და რეალობას შორის ზღვარი წაიშალა.

ამჯერად არც აზანს და არც მამლის ყივილს აღარ გამოუფხიზლებია. რაღაც მძიმე საგნის დაცემის და ბრახუნის ხმა შემოესმა. ოთახი ერთბაშად სინათლით აივსო. თვალი ვერ გაუსწორა. ლაილამ თავი წამოსწია, შეკრთა და თვალებზე ხელი აიფარა. თითებს შორის ნაპრალებიდან გოგონამ მოზრდილი, ბუნდოვანი ოთხკუთხა ფიგურა დალანდა. სილუეტი ამოძრავდა, მასთან მივიდა, გოგონასკენ დაიხარა და ყურში ჩასძახა:

— ამის გაკეთებას კიდევ ერთხელ გაბედავ და წინასწარმეტყველის სახელს ვფიცავ, სადაც არ უნდა იყო, მოგძებნი და ამ განუკითხავ ქვეყანაში ვერც ერთი სასამართლო ჩემს განზრახვაში ხელს ვერ შემიშლის! ჯერ მარიამს გამოვასალმებ სიცოცხლეს, მერე მას

და ბოლოს შენი ჯერიც დადგება. და ამ ყველაფერს შენ თვალწინ გავაკეთებ! გესმის? შენ თვალწინ!

რაშიდი ოთახიდან გავიდა. მაგრამ იქამდე ცოლს ფერდში წიხლი ისეთი ძალით უთავაზა, რომ რამდენიმე დღე ლაილა შარდს სისხლს აყოლებდა.

## 37

მარიამი

1996 წლის სექტემბერი

მარიამისა და ლაილას თავს დატრიალებული ამბებიდან ორწელიწად-ნახევარი გავიდა.

27 სექტემბერს მარიამი ყვირილის, სტვენის, ფოერვერკისა და მუსიკის ხმამ გამოაღვიძა. ქალმა მისაღებ ოთახში ჩაირბინა. ლაილა უკვე ფანჯარასთან იდგა, მხრებზე აზიზა შემოესვა. გოგონა მისკენ შემობრუნდა და გაუღიმა.

— თალიბები აქ არიან, — თქვა.

„თალიბანის“ შესახებ მარიამმა პირველად ორი წლის წინ, 1994 წლის ოქტომბერში გაიგო, როდესაც რაშიდმა ახალი ამბავი მოიტანა, ყანდაარში საველე მეთაურები დაამხეს და ქალაქი აიღესო. „პარტიზანული დაჯგუფება იყო, — თქვა კაცმა, — რომელიც ახალგაზრდა პუშტუნებისგან შედგებოდა. მათი ოჯახები პაკისტანში საბჭოელებთან ბრძოლის დროს გადაიხვეწნენ“. უმეტესობა პაკისტანის საზღვართან, ლტოლვილთა ბანაკებში და პაკისტანის მედრესეში გაიზარდა, სადაც შარიათს მოლები ასწავლიდნენ. მათი ლიდერი საიდუმლოებით მოცული, უწიგნური, ცალთვალა, კარჩაკეტილი მოლა ომარი ყოფილა, რომელიც, როგორც რაშიდმა ირონიულად აღნიშნა, საკუთარ თავს ამირ ალ-მომენინს, „მართლმორწმუნეთა მეთაურს“ უწოდებდა.

— ამ ბიჭებს რიშა(რიშა — ფესვი.), ფესვები არ გააჩნიათ, — თქვა რაშიდმა ისე, რომ არც ერთი ცოლისთვის არ მიუმართავს. ორწელიწად-

ნახევრის წინ დაგეგმილი წარუმატებელი გაქცევის მცდელობის შემდეგ მარიამი მიხვდა, რომ ახლა ქმრის თვალში ორივე მათგანი ერთნაირი, თანაბრად საძულველი გახდა; მისგან მხოლოდ უნდობლობას, ზიზღსა და უპატივცემულობას იმსახურებდნენ. როდესაც რაშიდი საუბრობდა, მარიამს ისეთი შეგრძნება ეუფლებოდა, თითქოს კაცი საკუთარ თავს ან ვინმე უხილავს ელაპარაკებოდა, რომელიც მისგან და ლაილასგან განსხვავებით, რაშიდის შეხედულებებთან ზიარებას იმსახურებდა.

— მათ წარსული არ გააჩნიათ, — განაგრძობდა კაცი, თან ეწეოდა და ჭერს მიშტერებოდა. — არც მსოფლიოს და არც საკუთარი ქვეყნის ისტორიის არაფერი გაეგებათ. მათთან შედარებით მარიამიც კი უნივერსიტეტის პროფესორია. ასეა! მაგრამ გარშემო მიმოიხედეთ. რას ხედავთ? უზნეობას, გაზულუქებულ, კბილებამდე შეიარაღებულ, ჰეროინით გამდიდრებულ მოჯაჰედ მეთაურებს, რომლებიც ჯიჰადს ერთმანეთს უცხადებენ და ხოცავენ ყველას, ვინც კი გზად გადაეღობებათ. თალიბები უმწიკვლოები და პატიოსნები, წესიერი მუსლიმი ბიჭები მაინც არიან! ვალლაჰ, ისინი აქაურობას გაწმენდენ, მშვიდობასა და წესრიგს დაამყარებენ! რძის საყიდლად გასულ ადამიანს მაინც აღარავინ ესვრის, ჭურვების ცვენა დასრულდება! ამაზე დაფიქრდით!

ორი წლის განმავლობაში „თალიბანი“ ქაბულისკენ გზას მოიკვლევდა, ქალაქებს მოჯაჰედებისგან ათავისუფლებდა, დაჯგუფებათა ომებს ბოლოს უღებდა. მათ შეიპყრეს ჰაზარების მეთაური აბდულ-ალი მაზარი და სიკვდილით დასაჯეს. თვეების განმავლობაში იკავებდნენ ქაბულის შემოგარენს, იერიში მიჰქონდათ ქალაქებზე, ჭურვებს უშენდნენ აჰმად შაჰ მასუდს. 1996 წლის სექტემბრის დასაწყისში მათ ჯალალაბადი და სარუბი დაიკავეს.

რაშიდის თქმით, თალიბები, მოჯაჰედებისგან განსხვავებით, ერთიანები იყვნენ.

— დაე, შემოვიდნენ! — თქვა მან, — პირადად მე ვარდის ფურცლებს დავუფენ.

იმ დღეს სახლიდან ოთხივე ერთად გავიდა. რაშიდი მათ ერთი ავტობუსიდან მეორისაკენ მიუძღოდა, რათა ახალ სამყაროს, ახალ ლიდერებს შეგებებოდნენ. მიწასთან გასწორებულ რაიონებში მარიამი ნანგრევებიდან გამოსულ ადამიანთა ლანდებს ხედავდა. დაუძლურებული და კბილებჩაცვენილი მოხუცი ქალი მუჭში მოქცეულ ბრინჯის მარცვლებს გამვლელებს ესროდა და იცინოდა. გაძარცული შენობის ნანგრევების წინ ორი კაცი ერთმანეთს ეხვეოდა. მათ თავს ზემოთ სტვენა, შიშინი, ტკაცანი ისმოდა, სახლის სახურავზე შემომსხდარმა ბიჭებმა ფოიერვერკი გაუშვეს. მაგნიტოფონში ეროვნული ჰიმნი ჩაერთოთ, რომელიც ავტომობილების სიგნალების გადაფარვას ცდილობდა.

— შეხედე, მაიამ! — აზიზამ ბიჭების ჯგუფისკენ მიუთითა, რომელიც ჯადეიე მაივანდზე მირბოდა. ბიჭები მუშტებს ჰაერში იქნევდნენ და თოკზე წამოცმულ ჟანგიან თუნუქის ქილებს მიათრევდნენ. გაჰყვიროდნენ, რომ მასუდმა და რაბანმა ქაბული დატოვეს.

გარშემო ყველა გაიძახდა: ალაჰუ აქბარ!

ჯადეიე მაივანდის ქუჩაზე მარიამმა ფანჯრიდან გადმოკიდებული ზეწარი შენიშნა. მასზე დიდი შავი ასოებით სამი სიტყვა ეწერა: ZENDA BAAD TALIBAN!(გაუმარჯოს „თალიბანს“!)

მსგავსი წარწერები ქალს ყოველი ფეხის ნაბიჯზე ხვდებოდა: ფანჯრის მინებზე, კარებზე, მანქანების ანტენებზე.

პირველი თალიბები მარიამმა იმ დღეს პუშტუნისტანის მოედანზე რაშიდთან, ლაილასა და აზიზასთან ერთად ნახა. უამრავი ადამიანი შეკრებილიყო. კისერწაგრძელებულები მოედნის ცენტრში ლურჯი შადრევნის გარშემო შეგროვილიყვნენ. ზოგიერთს ფუნქციადაკარგული შადრევნის ფსკერი დაეკავებინა. ცდილობდნენ მოედნის ბოლოში, რესტორან „ხაიბართან“ მიმდინარე მოვლენებისთვის თვალი ედევნებინათ.

რაშიდი საკუთარ ძალას მოხერხებულად იყენებდა. მუჯლუგუნებით მაყურებელთა შორის გზას იკვალავდა და ცდილობდა მეგაფონში მოლაპარაკეებს მიახლოებოდა.

აზიზა მათ დანახვაზე აკივლდა და სახე მარიამის ბურკაში ჩამალა.

გამხდარ, წვერიან ახალგაზრდა კაცს შავი ჩალმა ეხურა და ხალხს მეგაფონიდან მიმართავდა. თვითნაკეთ ხარაჩოზე იდგა, თავისუფალ ხელში ყუმბარსატყორცნი ეჭირა. მის გვერდით ორი გასისხლიანებული კაცი შუქნიშნის ბოძებზე თოკებით დაეკიდათ. სამოსი ტანზე ჰქონდათ შემოფლეთილი. დასიებულ სახეებზე მოიისფრო-ლურჯი ფერი დაჰკრავდათ.

— ეს კაცი ვიცი! — თქვა მარიამმა, — აი, ის, მარცხნივ.

მარიამს მის წინ მდგომი ახალგაზრდა ქალი მოუბრუნდა და უთხრა, ეს ნაჯიბულააო. მეორეკაცი კი მისი ძმა იყო. მარიამს კარგად ახსოვდა საბჭოთა პერიოდში ბილბორდებიდან და მაღაზიების ვიტრინებიდან მომზირალი ნაჯიბულას მრგვალი, ულვაშებიანი სახე.

მოგვიანებით ქალმა შეიტყო, რომ თალიბებს ნაჯიბულა დარ-ოლ-ამანის სასახლის სიახლოვეს მდებარე გაეროს შტაბ-ბინის თავშესაფრიდან გამოუთრევიათ. რამდენიმესაათიანი წამების შემდეგ კი ფეხებით სატვირთო მანქანაზე გამობმულ მის უსიცოცხლო სხეულს ქუჩებში დაათრევდნენ.

— მან ძალიან ბევრი მუსლიმი გამოასალმა სიცოცხლეს! — არ ცხრებოდა ახალგაზრდა თალიბი. თავიდან იგი ფარსის ენაზე საუბრობდა, პუშტუს აქცენტით, შემდეგ კი პუშტუზე გადავიდა. დროდადრო ჩერდებოდა და იარაღით გვამებზე მიუთითებდა. — ყველასთვის ცნობილია მის მიერ ჩადენილი არაერთი დანაშაულის შესახებ! იგი კომუნისტია და ქაფერი. აი, როგორ ვექცევით იმ ურწმუნოებს, რომლებიც ისლამის წინაშე სცოდავენ!

რაშიდი დამცინავად იღიმოდა.

აზიზა მარიამის მკლავებში ატირდა.

მომდევნო დღეს ქაბული სატვირთო მანქანებით გაივსო. კბილებამდე შეიარაღებული, შავჩალმიანი წვეროსნებით სავსე წითელი „ტოიოტები“ ხაირ-ხანას, შარ-ე-ნაუს, ქართე ფარვანას, ვაზირ აქბარ ხანისა და თაიმანის ქუჩებში მოძრაობდნენ. თითოეული სატ-

ვირთო მანქანიდან მეგაფონებით განცხადებებს ფარსისა და პუშტუს ენებზე ავრცელებდნენ. იმავეს იუწყებოდა მეჩეთის წვერზე დამაგრებული ხმის გამაძლიერებელიც და რადიოც, რომელსაც ახლა „შარიას ხმა“ ეწოდებოდა. იგივე შეტყობინება დაბეჭდეს კიდეც და ქაღალდები ქუჩებში მიმოაბნიეს. მარიამმა ერთი ასეთი ეზოში იპოვა.

ამიერიდან ჩვენს ვათანს ავღანეთის ისლამური ემირატები ეწოდება. ძალაში შედის შემდეგი კანონები, რომელთა შესრულებაც აუცილებელია:

ყველა მოქალაქე ვალდებულია დღეში ხუთჯერ ილოცოს. ის, ვინც ლოცვისთვის განკუთვნილ დროს სხვა საქმიანობით დაკავდება, გამათრახდება.

ყველა მამაკაცმა წვერი უნდა მოუშვას, ნიკაპიდან ერთი მუშტის სიგრძეზე. ვინც აღნიშნულ წესს არ დაემორჩილება, გამათრახდება.

ყველა ბიჭმა ჩალმით უნდა იაროს. ექვს წლამდე ბიჭები შავ ჩალმას დაიფარებენ, ექვსი წლის ზევით კი — თეთრს. ყველა ბიჭს მუსლიმური სამოსი უნდა ეცვას. პერანგის საყელო ღილებით უნდა იყოს შეკრული.

იკრძალება სიმღერა.

იკრძალება ცეკვა.

იკრძალება აზარტული თამაშები, ბანქო, ჭადრაკი, ფრანის გაშვება.

იკრძალება წიგნების წერა, ფილმების ყურება, სურათების ხატვა.

ისჯება თუთიყუშის ყოლა. თქვენ მათრახი არ აგცდებათ, ფრინველს კი — სიკვდილი.

ქურდობისთვის დაკავებული ხელის მტევნის მოჭრით დაისჯება. ხელმეორე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში კი — ფეხის მოჭრით.

იკრძალება არამუსლიმების მიერ ღვთისმსახურების სახალხოდ, მუსლიმთა დასანახად აღვლენა. ვინც ამ წესს არ დაემორჩილება, გამათრახდება და დაპატიმრდება. მუსლიმის სხვა რწმენაზე გადაბირების მცდელობა სიკვდილით დაისჯება.

ქალების საყურადღებოდ:

დარჩით სახლებში. ქალებისთვის შეუფერებელია უმიზნოდ ქუჩებში ხეტიალი. თუკი გარეთ გახვალთ, თან აუცილებლად მაჰრამი(მაჰრამი

— ახლო (სისხლით) ნათესავი.), მამრობითი სქესის ნათესავი უნდა გახლდეთ. თუკი ქუჩაში მარტო მყოფს დაგიჭერენ, გამათრახების შემდეგ შინ გაგისტუმრებენ.

დაუშვებელია სახის გამოჩენა. გარეთ გასვლისას უნდა ჩაიცვათ ბურკა. ვინც ამ წესს არ დაემორჩილება, რამდენჯერმე გამათრახდება.

იკრძალება კოსმეტიკური საშუალებების გამოყენება.

იკრძალება სამკაულების ხმარება.

იკრძალება გამომწვევი სამოსის ტარება.

იკრძალება საკუთარი ინიციატივით ვინმესთან საუბარი.

იკრძალება მამაკაცისათვის თვალებში შეხედვა.

იკრძალება საჯაროდ სიცილი. კანონის დარღვევის შემთხვევაში გამათრახდებით.

იკრძალება ფრჩხილების შეღებვა. კანონის დარღვევის შემთხვევაში თითს დაკარგავთ.

იკრძალება გოგონების სკოლაში სიარული. ქალთა სკოლები დაუყოვნებლივ დაიხურება.

იკრძალება ქალების მუშაობა.

მრუშობა ჩაქოლვით ისჯება.

მოისმინეთ! მოისმინეთ ყურადღებით და დაემორჩილეთ კანონებს! ალაჰუ აქბარ!

რაშიდმა რადიო გამორთო. ყველანი მისაღები ოთახის იატაკზე ისხდნენ და სადილობდნენ. მას შემდეგ, რაც თოკზე ჩამოკიდებული ნაჯიბულას გვამი ნახეს, ერთ კვირაზე ნაკლები გასულიყო.

— შეუძლებელია, მოსახლეობის ნახევარი აიძულო, რომ სახლებში დაჯდეს და არაფერი აკეთოს! — თქვა ლაილამ.

— რატომაც არა?!. — მიუგო რაშიდმა. პირველი შემთხვევა იყო, როცა მარიამი ქმარს ეთანხმებოდა. განა მას და ლაილას თავადაც ასე არ მოექცა? ლაილა სათქმელს ნამდვილად მიუხვდა.

— სოფელში ხომ არ ვართ?! ქაბულში ვცხოვრობთ. ქალები აქ იურიდიულ და სამედიცინო განათლებას იღებდნენ, მთავრობაში თანამდებობები ეკავათ...

რაშიდმა კბილები დაკრიჭა.

— ისე ლაპარაკობ, როგორც უნივერსიტეტში ნასწავლი კაცის მედიდური ქალიშვილი. როგორი დახვეწილი ხარ! ნამდვილი ტაჯიკი. ნუთუ ფიქრობ, რომ თალიბები რაღაც ახალი, რადიკალური იდეების დანერგვას ცდილობენ? ჩემო გოლ, ოდესმე ქაბულში შენი ძვირფასი ნიჟარის გარდა სადმე გიცხოვრია? ოდესმე ნამდვილი ავღანეთის ნახვა მოგინდომებია? სამხრეთით, აღმოსავლეთით ყოფილხარ? პაკისტანის საზღვართან მცხოვრები ტომები გინახავს? არა? აი, მე მინახავს! და შემიძლია დაგარწმუნო, რომ ამ ქვეყანაში ძალიან ბევრი ადგილია, სადაც მუდამ ამ ან მსგავსი წესებით ცხოვრობდნენ. შენ საიდან უნდა იცოდე?

— ვერ დავიჯერებ, — თქვა ლაილამ. — ეს ხომ არასერიოზულია!

— რაც თალიბებმა ნაჯიბულას დამართეს, ჩემთვის სერიოზულია! — მიუგო რაშიდმა. — არ მეთანხმები?

— ის კომუნისტი იყო! საიდუმლო პოლიციას ხელმძღვანელობდა...

რაშიდმა გადაიხარხარა.

მარიამმა ამ სიცილში მისი პასუხი ამოიკითხა: თალიბებს ქალები კომუნისტ, საზარელი „ხადის“ მეთაურ ნაჯიბულაზე არანაკლებ ეზიზღებოდათ.

## 38

ლაილა

როდესაც თალიბები თავიანთ საქმეს შეუდგნენ, ლაილამ არაერთხელ გაიფიქრა, ამ ყველაფრის ნახვა ბაბის ნამდვილად გაანადგურებდა, კიდევ კარგი, ვერ მოესწროო.

ჯგროდ შეკრებილი კაცები ქაბულის მუზეუმს წერაქვებით მისდგომოდნენ. მოჯაჰედების ძარცვას გადარჩენილი წინარეისლამური ქანდაკებები ნამსხვრევებად ექციათ. თალიბებმა უნივერსიტეტი დახურეს და სტუდენტები სახლში გაისტუმრეს. კედლებიდან ნახატები ჩამოხიეს და ნაკუწებად აქციეს. ტელევიზორის ეკრანები წიხლებით ჩალეწეს. ყურანის გარდა, ყველა წიგნი გროვებად დაყარეს და დაწვეს. წიგნის მაღაზიები დახურეს. ხალილის, ფაჟვაქის, ანსარის, ჰაჯი დეჰყანის, ეშრაყის, ბეთაბის, ჰაფეზის, ჯამის, ნიზამის, რუმის, ხაიამის, ბიდელის ლექსები ცეცხლს მისცეს.

ლაილას საშინელი ამბები ესმოდა. ქუჩებიდან კაცებს მიათრევდნენ, ნამაზის გაცდენაში ადანაშაულებდნენ და მეჩეთებში ერეკებოდნენ. რესტორანი „მარკო პოლო“, წიწილების ქუჩასთან ახლოს, დაკითხვების ცენტრად აქციეს. ზოგჯერ შავად შეღებილი ფანჯრებიდან ყვირილის ხმა გამოდიოდა. „ტოიოტას“ მარკის სატვირთო მანქანებით ყველგან წვეროსანი პატრულები დაეხეტებოდნენ, გაპარსულებს დაეძებდნენ, მათთვის სიფათები რომ დაესისხლიანებინათ.

კინოთეტრებიც დახურეს — „პარკი“, „არიანა“ და „არიუბი“. პროექციის ოთახები გაჩხრიკეს და ფილმის ფირები ცეცხლს მისცეს. ლაილას კარგად ახსოვდა ის დრო, თარიყთან ერთად ამ კინოთეატრებში რომ დადიოდა და ინდურ მელოდრამებს უყურებდა შეყვარებულებზე, რომლებიც ბედის უკუღმართობით ერთმანეთს შორდებოდნენ. ბიჭი სადღაც მიყრუებულ მიწაზე ბედის ანაბარა რჩებოდა, გოგონას კი ძალით ათხოვებდნენ. შემდეგ იყო ცრემლების ღვრა და სიმღერა გულყვითელას მინდვრებში, ოცნება კიდევ ერთხელ შეხვედრაზე. ლაილა ტიროდა, თარიყი კი მის ცრემლებს დასცინოდა.

— წარმომიდგენია მამაჩემის კინოთეატრი რა დღეში ჩააგდეს!.. — თქვა მარიამმა ერთ დღეს. — რა თქმა უნდა, თუ კიდევ არსებობს, ან თუ ის არის ისევ მისი მფლობელი.

ხარაბათი, ქაბულის უძველესი მუსიკალური გეტო დადუმდა. მუსიკოსები გაამათრახეს და დააპატიმრეს. მათი რობაბები(რობაბი — გრძელგრიფიანი სიმებიანი საკრავი.), თამბურები(თამბური — მსხლის ფორმის კორპუსიანი ოთხსიმიანი საკრავი.) და ჰარმონიუმები ფეხქვეშ გათელეს. თალიბებმა თარიყის საყვარელი მომღერლის, აჰმად ზაჰირის(აჰმად ზაჰირი (1946-1979) — პოპულარული ავღანელი მომღერალი და კომპოზიტორი, რომელსაც „ავღანელ ელვისს“ უწოდებდნენ.) საფლავიც კი არ დაინდეს და ტყვიები დაახალეს.

— ის თითქმის ოცი წლის წინ გარდაიცვალა, — უთხრა ლაილამ მარიამს. — განა ერთხელ სიკვდილი საკმარისი არ იყო?!.

„თალიბანს“ რაშიდი დიდად არ შეუწუხებია. მხოლოდ წვერის გაზრდა და მეჩეთში სიარული ევალებოდა და ამასაც პირნათლად ასრულებდა. თალიბებისადმი იგი შემწყნარებლურ, სიყვარულის მსგავს გაოგნებას გამოხატავდა, როგორც მერყევი ხასიათის ბიძაშვილის მიმართ, რომელიც არაპროგნოზირებადი, ხან მხიარული, ხან კი სკანდალური ქმედებებისკენ იყო მიდრეკილი.

ყოველ ოთხშაბათ ღამეს, როდესაც თალიბები დასასჯელების სახელებს აცხადებდნენ, რაშიდი „შარიას ხმას“ უსმენდა. პარასკეობით კი ღაზის სტადიონზე მიდიოდა, „პეპსის“ ყიდულობდა და წარმოდგენით ტკბებოდა. ღამით ლოგინში ლაილას აიძულებდა, მოესმინა მისი მონათხრობი ამ უჩვეულო გასართობის შესახებ, სადაც ადამიანებს ხელებს აჭრიდნენ, ამათრახებდნენ, თავს აცლიდნენ.

— დღეს კაცი ვნახე, რომელმაც თავისი ძმის მკვლელს კისერი გამოსჭრა, — თქვა რაშიდმა ერთ ღამეს, თან პირიდან სიგარეტის ბოლქვები გამოუშვა.

— ველურები არიან!.. — ჩაილაპარაკა ლაილამ.

— ასე ფიქრობ? — მიმართა კაცმა. — ველურები ვისთან შედარებით? საბჭოელებმა მილიონამდე ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს! წარმოდგენა გაქვს, მოჯაჰედებმა მარტო ქაბულში ბოლო ოთხი წლის განმავლობაში რამდენი კაცი მოკლეს?!. ორმოცდაათი ათასი! ასეთი უმნიშვნელოა რამდენიმე ქურდისთვის ხელების მოჭრასთან შედარე-

ბით? თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ! ყურანში ასე წერია. გარდა ამისა, აი, რა მითხარი: ვინმეს რომ აზიზა მოეკლა, შურისძიებას არ მოინდომებდი?

ლაილამ კაცს ზიზღით შეხედა.

— უბრალოდ მაგალითად მოვიყვანე, — აუღელვებლად თქვა კაცმა.

— შენც მათნაირი ხარ.

— აზიზას ძალიან საინტერესო თვალის ფერი აქვს, არა? არც შენსას ჰგავს და არც ჩემსას.

რაშიდი გადმობრუნდა და ლაილას სახეში შეხედა, საჩვენებელი თითის მოკაუჭებული ფრჩხილი გოგონას ბარძაყს ფრთხილად ჩამოუსვა.

— აი, რას გეტყვი, — თქვა მან, — თუ თავში დამარტყამს — არ ვამბობ, რომ ასე მოვიქცევი, მაგრამ ვინ იცის, — უფლება მექნება აზიზა სახლიდან გავაგდო. როგორ მოგეწონება? ან შემიძლია, ერთ დღეს თალიბებთან მივიდე და შენთან დაკავშირებით ჩემი ეჭვები გავანდო. ეს სრულიად საკმარისი იქნება. როგორ ფიქრობ, ვის დაუჯერებენ? ან შენ რას გიზამენ?

ლაილა გვერდზე გაჩოჩდა.

— მაგრამ არ მგონია, ამაზე წავიდე, — თქვა მან, — ნა! სავარაუდოდ, არა. ხომ მიცნობ?

— საზიზღარი არსება ხარ! — წამოიყვირა ლაილამ.

— როგორი ხმამაღალი ნათქვამია, — მიუგო რაშიდმა, — შენში ეს არასდროს მომწონდა. მაშინაც კი, როცა ჯერ კიდევ პატარა გოგონა იყავი და ქუჩაში იმ ხეიბართან ერთად დარბოდი, თავი შენი გონიერებით, წიგნებითა დალექსებით მოგქონდა. მაგრამ ამ ცოდნამ რა სარგებელი მოგიტანა? სახლებში ვინ გამოკეტეს, შენისთანა ჭკუის კოლოფები თუ მე? მე ვარ საზიზღარი არსება? ამ ქალაქში მცხოვრები ქალების ნახევარი ყველაფერს გააკეთებს ჩემნაირი ქმრის საშოვნად. ადამიანსაც კი მოკლავენ!

კაცმა ლაილას ზურგი შეაქცია და კვამლი ჭერს მიაბოლა.

— ხომ მოგწონს მაღალფარდოვანი საუბარი? ერთ სიტყვას გეტყვი: პერსპექტივა. მთელი ძალით ვცდილობ, რომ შენ, ლაილა, პერსპექტივა არ დაკარგო.

გოგონას მთელი ღამე გულს ურევდა ის ფაქტი, რომ რაშიდის მიერ წარმოთქმული თითოეული სიტყვა სიმართლე იყო.

იმ დილას და კიდევ რამდენიმე მომდევნო დილას ლაილას გული მართლა აერია. ეს სიმპტომი მისთვის შემაშფოთებლად ნაცნობი იყო.

ცივი და მოქუფრული დღე იდგა. ლაილა საძინებლის იატაკზე პირაღმა იწვა. მარიამი აზიზასთან ერთად თავის საძინებელში თვლემდა.

ლაილას ხელში მეტალის წვრილი ღერო ეჭირა, რომელიც ბრტყელტუჩას დახმარებით მიგდებული ველოსიპედის ბორბალს ჩამოატეხა. ველოსიპედი იმ ხეივანში ეპოვა, სადაც წლების წინ თარიყს აკოცა. დიდი ხნის განმავლობაში იატაკზე გაუნძრევლად იწვა, კბილებს შორის ჰაერს მთელი ძალით ისრუტავდა, ფეხები აქეთ-იქით ჰქონდა გაშლილი.

აზიზას იმ წამიდან აღმერთებდა, როგორც კი მისი არსებობა იგრძნო. არც ეჭვები ღრღნიდა, არც გაურკვევლობა. როგორი საზარელიც არ უნდა ყოფილიყო, ახლა ლაილა შიშობდა, რომ საკუთარი შვილის შეყვარებას ვერ შეძლებდა. ეს გრძნობა მისთვის არაბუნებრივი იყო. ასე რომ, იატაკზე იწვა, გაოფლიანებულ ხელში გამოსაყენებლად მომზადებული ლითონის ღერო ეჭირა და ფიქრობდა, ნუთუ ოდესმე რაშიდის შვილსაც ისევე შევიყვარებ, როგორც თარიყისასო.

რაღაც ძალამ შეაჩერა.

ეს არც სისხლდენით სიკვდილის შიშით და არც იმაზე ფიქრით იყო გამოწვეული, რა საშინელებაც ახლა უნდა ჩაედინა — თუმცა ნამდვილად სისასტიკედ მიიჩნევდა ამას. გოგონამ ლითონის ღერო ძირს დაადგო. მას არ შეეძლო იმის ჩადენა, რასაც მოჯაჰედები უყოყმანოდ აკეთებდნენ — ომის დროს უდანაშაულო ხალხის სიცოცხლის ხელყოფა. ლაილას ომი რაშიდთან ჰქონდა და ეს ბრძოლა უმწიკვლო ბავშვს არ ეხებოდა. ისედაც საკმარისი სისხლი დაიღვარა. მტრების ჯვარედინ ცეცხლს ისედაც უამრავი უდანაშაულო მსხვერპლი შეეწირა.

39

მარიამი

1997 წლის სექტემბერი

ეს საავადმყოფო ქალებს აღარ იღებს! — დაიყეფა მცველმა. იგი კიბის თავში იდგა და „მალალაის“ საავადმყოფოსთან შეკრებილ ბრბოს კუშტად დაჰყურებდა.

უკმაყოფილო ხალხი ახმაურდა.

— მაგრამ ეს ხომ ქალთა საავადმყოფოა! — წამოიყვირა ქალმა მარიამის ზურგს უკან. სხვებიც დაეთანხმნენ.

მარიამმა აზიზა მეორე ხელში გადაიყვანა, თავისუფალი ხელით კი ლაილას დახმარება სცადა, რომელიც კვნესოდა და ცალი მკლავი რაშიდის კისრისთვის შემოეხვია.

— უკვე აღარ, — თქვა თალიბმა.

— ჩემი ცოლი ბავშვს აჩენს! — დაიყვირა ყველაზე მსუქანმა კაცმა. — გინდა, რომ აქ, ქუჩაში გააჩინოს, ძმაო?!.

იმ წლის იანვარში მარიამმა მოისმინა, რომ კაცებისა და ქალებისთვის ცალ-ცალკე საავადმყოფოები შეიქმნებოდა. მდედრობითი სქესის მთელ პერსონალს ქაბულის საავადმყოფოებიდან დაითხოვდნენ და სამუშაოდ ერთ ცენტრალურ ობიექტზე გადაიყვანდნენ. მაშინ ეს არავინ დაიჯერა. თალიბებსაც აღნიშნული წესი აქამდე სისრულეში არ ჰქონდათ მოყვანილი.

— „ალი აბასის“ საავადმყოფოზე რას გვეტყვით? — დაიყვირა კიდევ ერთმა კაცმა.

მცველმა თავი გააქნია.

— „ვაზირ აქბარ ხანის“?

— მხოლოდ კაცები! — გაიმეორა მან.

— აბა, ჩვენ რა ვქნათ?!.

— „რაბია ბალხიში“ წადით, — მიუგო მცველმა.

ახალგაზრდა ქალი წინ გამოიჭრა.

— იქ უკვე ვიყავი. სუფთა წყალიც კი არა აქვთ, ჟანგბადზე, მედიკამენტებსა და ელექტროენერგიაზე საუბარიც ზედმეტია!.. არაფერი აქვთ!

— სწორედ იქ უნდა წახვიდე, — უპასუხა მცველმა.

ისევ გაისმა ოხვრა, ყვირილი, ერთი-ორი შეურაცხმყოფელი შეძახილი. ვიღაცამ ქვაც კი ისროლა.

თალიბმა „კალაშნიკოვი“ მოიმარჯვა და ჰაერში რამდენჯერმე გაისროლა. მეორემ კი მუქარის ნიშნად მათრახი მოიქნია.

ხალხი მაშინვე დაიშალა.

„რაბია ბალხის“ მოსაცდელი სავსე იყო ბურკაში გამოწყობილი ქალებითა და მათი შვილებით. ჰაერი დაუბანელი ხალხის ფეხისა და ოფლის, შარდის, სიგარეტისა და სადეზინფექციო საშუალებების სუნით იყო გაჟღენთილი. მწყობრიდან გამოსული ჭერის ვენტილატორის ქვეშ ბავშვები ერთმანეთს დასდევდნენ და მთვლემარე მამების გაჭიმულ ფეხებს ახტებოდნენ.

მარიამმა ლაილა ბათქაშჩამოცვენილ კედელთან დასვა, რომლიდანაც ბათქაში ისე გამქალიყო ალაგ-ალაგ, როგორც ზოგიერთი ქვეყანა მსოფლიო რუკიდან.

გოგონა წინ და უკან ირწეოდა და ხელს მუცელზე იჭერდა.

— აუცილებლად გაგსინჯავენ, ლაილა-ჯო. გპირდები.

— იჩქარე! — უთხრა რაშიდმა.

სარეგისტრაციო ფანჯარასთან უამრავი ქალი ირეოდა. ერთმანეთს ხელს ჰკრავდნენ და ექაჩებოდნენ. ზოგიერთს ბავშვი ეჭირა. ზოგი კი ბრბოს გამოეყოფოდა და სამკურნალო ოთახის ორმაგ კარზე მიჰქონდა იერიში. შეიარაღებული თალიბი მცველი მათ გზას უღობავდა და უკან აბრუნებდა.

მარიამიც ხალხის მასას შეერია. წინ მდგომებს ქუსლებს ურტყამდა და უცნობების იდაყვებს, თეძოებსა და ბეჭებს იგერიებდა. ვიღაცამ იდაყვი ნეკნში უთავაზა, თუმცა ვალში არც თავად დარჩენია. სახეში ხელის წავლებაც მოუნდომეს, მაგრამ მარიამმა ის მარჯვედ აირიდა. ქა-

ლი დაწინაურებას ცდილობდა და მის წინ მდგომებს კისერზე, მკლავებსა და იდაყვებზე ებღაუჭებოდა, თმაშიც კი სწვდებოდა. და, როცა იქვე მდგომმა ქალმა დაუსტვინა, მარიამიც არ ჩამორჩა.

მარიამი ხედავდა, დედობა რამხელა მსხვერპლს მოითხოვდა. ყველა დედა თურმე ერთნაირად იქცეოდა. გაახსენდა ნანა, მის მიერ გაღებული მსხვერპლი და დანაღვლიანდა. მას შეეძლო, ბავშვი გაეშვილებინა ან თხრილში გადაეგდო და გაქცეულიყო. მაგრამ ნანა ასე არ მოქცეულა! მან აიტანა ის შეურაცხყოფა, რაც ჰარამის გაჩენას მოჰყვება ხოლმე; თავისებურად, სიყვარულით მოჰკიდა ხელი შვილის აღზრდის უმადურ საქმეს. საბოლოოდ კი მარიამმა მას ჯალილი არჩია. ქალი ისევ ჯიუტად ცდილობდა ბრბოში გზის გაკვლევას და თან ნატრობდა, ნეტავ, ნანასთვის უკეთესი ქალიშვილობა გამეწიაო; მაშინაც ისევე შემძლებოდა დედობის არსის შეცნობა, როგორც ახლა შემიძლიაო.

უეცრად მარიამი თავიდან ფეხებამდე ჭუჭყიან ნაცრისფერ ბურკაში გახვეული ექთნის პირისპირ აღმოჩნდა. იგი ახალგაზრდა ქალს ელაპარაკებოდა, რომელსაც თავთან ბურკა სისხლით გაჟღენთოდა.

— ჩემმა ქალიშვილმა წყლები დაღვარა, მაგრამ ბავშვი მაინც არ გამოდის! — დაიძახა მარიამმა.

— მას ხომ მე ველაპარაკები! — წამოიყვირა გასისხლიანებულმა ქალმა, — შენს რიგს დაელოდე!

ხალხის მთლიანი მასა ხან ერთ, ხან კი მეორე მხარეს ირწეოდა. ზუსტად ისე, როგორც მაღალი ბალახი ქოლბას გარშემო — ველზე სიოს ამოვარდნისას. მარიამის უკან ქალი განწირული ყვიროდა, რომ მისი ქალიშვილი ხიდან ჩამოვარდა და ხელი იდაყვის არეში მოიტეხა. მეორე კი ჩიოდა, განავალს სისხლს ვაყოლებო.

— სიცხე აქვს? — იკითხა ექთანმა. მარიამს ერთი წამი დასჭირდა იმის გასააზრებლად, რომ მას ელაპარაკებოდნენ.

— არა, — უპასუხა მან.

— სისხლდენა?

— არა.

— სად არის?

შემოსილ თავებს ზევით მარიამმა ექთანს იმ ადგილისკენ მიუთითა, სადაც ლაილა რაშიდთან ერთად იცდიდა.

— მივხედავთ.

— რამდენ ხანში? — იყვირა მარიამმა. ამასობაში ვიღაც მხარში ჩაფრენოდადა მის უკან გამოთრევას ცდილობდა.

— არ ვიცი, — უპასუხა ექთანმა. როგორც თქვა, მხოლოდ ორი ექიმი ჰყავდათ და იმ დროს ორივე საოპერაციოში იყო.

— ტკივილები აქვს! — უთხრა მარიამმა.

— მეც! — დაიყვირა თავდასისხლიანებულმა ქალმა, — შენს რიგს დაელოდე!

მარიამს უკან მიათრევდნენ. ექთანს უკვე ვეღარ ხედავდა, წინ მხოლოდ უცნობების მხრები და თავებიღა მოჩანდა. უეცრად ბავშვის რძენარევი ბოყინის სუნი იგრძნო.

— გაასეირნეთ, — დაუყვირა ექთანმა, — და დაელოდეთ!

გარეთ უკვე ბნელოდა, როცა, ბოლოს და ბოლოს, ექთანმა ისინი შიგნით შეიყვანა. სამშობიარო პალატაში რვა საწოლი იდგა. ქალები კვნესოდნენ და იკრუნჩხებოდნენ. მათ თავიდან ბოლომდე დაფარული ექთნები უვლიდნენ. ორი ქალი მშობიარობდა. საწოლებს შორის ფარდები არ იყო. ლაილა ოთახის შორეულ კუთხეში, შავად შეღებილი ფანჯარასთან მდგარ საწოლზე მოათავსეს. იქვე იყო ჟანგიანი და გამომშრალი ნიჟარა. მასზე თოკი იყო გაბმული, სადაც დალაქავებული ქირურგიული ხელთათმანები ეკიდა. ოთახის შუაგულში მარიამმა ალუმინის მაგიდა შენიშნა. ზედა თაროზე გამურული საბანი იყო დაფენილი, ქვედა თარო კი ცარიელი იყო.

ერთ-ერთმა ქალმა მარიამის მზერა დაიჭირა.

— ცოცხლებს ზედა თაროზე აწვენენ, — უთხრა მან დაღლილი ხმით.

ექიმი მუქ ლურჯ ბურკაში გამოწყობილი მომცრო ტანის, მკვირცხლი ქალი იყო. თითოეულ სიტყვას კატეგორიული ტონით წარმოთქვამდა.

— პირველი შვილია, — მისი ნათქვამი შეკითხვას კი არა, განაცხადს უფრო ჰგავდა.

— მეორე, — შეუსწორა მარიამმა.

ლაილამ წამოიკივლა და გვერდზე გადაბრუნდა. თითები მარიამის თითებზე გადაეჭდო.

— პირველი მშობიარობისას გართულებები ჰქონდა?

— არა.

— დედა ხართ?

— დიახ, — უპასუხა მარიამმა.

ექიმმა ბურკას კიდე აიკეცა და ლითონის კონუსისთავიანი ინსტრუმენტი ამოიღო. ლაილას ბურკა აუწია და იარაღის განიერი მხარე მუცელზე დაადო, ვიწრო კი — ყურთან მიიტანა. დაახლოებით ერთი წუთის განმავლობაში უსმენდა, შემდეგ მდებარეობა შეუცვალა, ისევ მოუსმინა, ისევ გადააადგილა.

— ახლა ბავშვი უნდა ვიგრძნო, ჰამშირა.

ქალმა ნიჟარასთან სარჭით დამაგრებული ხელთათმანი მოხსნა და ხელზე მოირგო. ცალი ხელით ლაილას მუცელს დააწვა, მეორე კი შიგნით შეუცურა. ლაილამ ამოიგმინა. როდესაც ექიმი საქმეს მორჩა, ხელთათმანი ექთანს მიაწოდა. ქალმა ხელთათმანი წყალში გაავლო და ისევ თოკზე დაკიდა.

— თქვენს ქალიშვილს საკეისრო სჭირდება. იცით ეს რა არის? საშვილოსნო უნდა გავუჭრათ და ბავშვი გამოვიყვანოთ, რადგან იგი მობრუნებულია.

— არ მესმის, — მიუგო მარიამმა.

— მუცელში ბავშვს ისეთი მდებარეობა აქვს, რომ თავისით ვერ გამოძვრება. საკმაო დრო დავკარგეთ. სასწრაფოდ საოპერაციოში უნდა გადავიყვანოთ, — კიდევ ერთხელ სცადა ახსნა ექიმმა.

ლაილა თანხმობის ნიშნად დაიმანჭა და თავი გვერდზე გადააგდო.

— რაღაც უნდა გითხრათ, — უთხრა ექიმმა მარიამს. იგი ქალთან ახლოს მივიდა, დაიხარა და ხმადაბალი, კონფიდენციალური, შემცბარი ხმით დაიწყო საუბარი.

— რას გეუბნება? — ამოიღმუვლა ლაილამ. — ჩემს შვილს რამე სჭირს?

— მაგრამ ამას როგორ აიტანს? — შეშფოთებით იკითხა მარიამმა.

როგორც ჩანს, ექიმმა ამ შეკითხვით ბრალდებულად იგრძნო თავი და თავდაცვაზე გადავიდა.

— ფიქრობთ, რომ ამას ჩემი სურვილით ვაკეთებ?! — თქვა მან. — როგორ მოვიქცე? არაფერს მაძლევენ, რაც მჭირდება. არც რენტგენი მაქვს, არც ვაკუუმსაქაჩი, არც ჟანგბადი... უბრალო ანტიბიოტიკებიც კი! როდესაც არასამთავრობოები ფულს გვთავაზობენ, თალიბები მათ უკან აბრუნებენ, ან ფულს იმ საავადმყოფოებში ამისამართებენ, სადაც კაცებს ემსახურებიან.

— აბა, ექიმო საჰიბ, ვერაფერს მისცემთ? — იკითხა შეშფოთებულმა მარიამმა.

— რა ხდება? — დაიკვენესა ლაილამ.

— შეგიძლია, წამალი თავად იყიდო, მაგრამ...

— სახელი დამიწერეთ, — წამოიყვირა მარიამმა, — თქვენ მხოლოდ დამიწერეთ! გავიქცევი და მოვიტან!..

ბურკას ქვეშ ქალმა თავი სწრაფად გააქნია.

— დრო არ იცდის, — თქვა მან. — არც ერთ ახლომდებარე აფთიაქს ეგ პრეპარატი არ აქვს. ამიტომ ამ საცობებში ერთი ქუჩიდან მეორეში უნდა ირბინო, იმისი ძალიან მცირე ალბათობით, რომ საერთოდ სადმე იშოვი. თან ახლა თითქმის ცხრის ნახევარია, ამიტომ, სავარაუდოდ, „კომენდანტის საათის“ დარღვევის გამო დაგაპატიმრებენ. წამალი რომც იპოვო, მისი ხელში ჩაგდების შანსი ძალიან მცირეა, რადგან ვინმე შენსავით სასოწარკვეთილს უნდა წაეკიდო. დრო არ გვაქვს. ეს ბავშვი სასწრაფოდ უნდა გამოვიყვანოთ.

— ბოლოს და ბოლოს, მეტყვით რა ხდება? — დაიყვირა ლაილამ. იგი იდაყვებს დაყრდნობოდა და წამოწევას ცდილობდა.

ექიმმა ღრმად ჩაისუნთქა და გოგონას უთხრა, რომ საავადმყოფოს საანესთეზიო საშუალება არ ჰქონდა.

— მაგრამ ოპერაციას თუ გადავდებთ, ბავშვს დაკარგავ.

— მაშინ გამჭერით, რაღას უცდით! — თქვა ლაილამ. ლოგინზე დაენარცხა და ფეხები მოკეცა. — გამჭერით და ჩემი შვილი გამოიყვანეთ!

ძველ, მტვრიან საოპერაციოში ლაილა საოპერაციო მაგიდაზე დააწვინეს. ექიმმა ხელსაბანში ხელები გაიხეხა. გოგონა კანკალებდა. ექთანი მუცელს მოყვითალო-მოყავისფრო სითხეში დასველებული ნაჭრით უმუშავებდა. მისი ყოველი ხელის შეხებისას ლაილა კბილს კბილზე აჭერდა. მეორე ექთანი ოდნავ შეღებულ კართან იდგა და ვიღაცას ფარულად უთვალთვალებდა.

ექიმს ბურკა აღარ ეცვა და მარიამმა მისი ხშირი ვერცხლისფერი თმა დაინახა. ქუთუთოებდამძიმებული თვალები ჰქონდა, პირის კუთხეებში კი გადაღლილობისგან ნაკეცები გასჩენოდა.

— მოითხოვენ, რომ ოპერაციის დროსაც ბურკა გვეცვას, — თქვა ექიმმა და თან თავით კართან მდგომ ექთანზე მიანიშნა. — აქედან უთვალთვალებს. თუ დაინახა, რომ მოდიან, სასწრაფოდ ვიცვამ.

ეს ყველაფერი ისე პრაგმატულად და გულგრილად თქვა, რომ მარიამი მიხვდა — ამ ქალს გულისწყრომამ დიდი ხნის წინ გადაუარა და ახლა იმითაც კმაყოფილი იყო, რომ სამსახური არ დაუკარგავს. თორემ წასართმევს ყოველთვის მოუძებნიდნენ.

ლაილას მხრების გასწვრივ, საწოლის ორივე მხარეს, ვერტიკალური ლითონის ღეროები იყო დამაგრებული. ექთანმა, რომელმაც ლაილას მუცელი დაუმუშავა, მათზე სარჭით ქაღალდი დაამაგრა. იგი გოგონასა და ექიმს შორის ფარდის მოვალეობას ასრულებდა.

მარიამმა ლაილას კეფასთან გადაინაცვლა და თავი დახარა ისე, რომ მისი ლოყა გოგონას ლოყას შეხებოდა. იგი ლაილას კბილების კაწკაწს გრძნობდა. ხელები ერთმანეთისთვის გადაეჭდოთ.

ფარდის მიღმა ქალმა ექიმის ლანდი შენიშნა, რომელიც ლაილას მარცხნიდან, ექთანი კი მარჯვნიდან მიუახლოვდა. გოგონა

დაჭიმული ტუჩებიდან სწრაფ, სისინისმაგვარ ხმებს გამოსცემდა. დაკრეჭილი კბილების ზედაპირზე ნერწყვის ბუშტუკები ტკაცუნით უსკდებოდა.

— გამაგრდი, დაო! — უთხრა ექიმმა და ლაილასკენ დაიხარა.

გოგონას თვალები გაუფართოვდა. პირი გააღო. ამ მდგომარეობაში დიდხანს იყო. კანკალებდა. ყელში იოგები დასჭიმვოდა, სახიდან ოფლი წვეთ-წვეთად სდიოდა, მისი თითები მთელი ძალით უჭერდნენ მარიამისას.

მარიამი აღტაცებული იყო ლაილათი, რადგან მას პირველი ყვირილი მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ აღმოხდა.

## 40

ლაილა

1999 წლის შემოდგომა

ორმოს ამოთხრა მარიამის იდეა იყო. ერთ დილას სამუშაო ხელსაწყოების ფარდულის უკან მან მიწის მომცრო ნაკვეთი შეარჩია.

— აქ გავთხაროთ, — თქვა ქალმა. — შესაფერისი ადგილია.

მიწას მორიგეობით, ნიჩბებით თხრიდნენ და ორმოს გვერდით ახვავებდნენ. ერთი შეხედვით, სამუშაო რთული არ უნდა ყოფილიყო, რადგან არც განიერი და არც ძალიან ღრმა ორმოს გათხრას არ აპირებდნენ. ორი წლის წინ დაწყებული გვალვა დღემდე გრძელდებოდა. მიწა ყველგან გამომშრალი და დამსკდარი იყო. გასულ ზამთარს თითქმის არ უთოვია, მთელი გაზაფხული წვიმის ერთი წვეთიც არ ჩამოვარდნილა. მთელ ქვეყანაში გლეხები თავიანთ უნაყოფო მიწებს ტოვებდნენ, ყველაფერს ყიდდნენ და სოფლიდან სოფელში წყლის საძებნად დაეხეტებოდნენ. ზოგჯერ პაკისტანში ან ირანშიც კი გადადიოდნენ. ბოლოს ქაბულში სახლდებოდნენ, მაგრამ წყლის დონე ქალაქშიც დაბალი იყო და წყალმარჩხი ჭები ბოლომდე ამოშრა. ღრმა ჭებთან კი იმდენ ადამიანს მოეყარა თავი, რომ მარიამსა და ლაილას რიგში საათობით უწევ-

დათ დგომა. მდინარე ქაბული, რომელიც ყოველ გაზაფხულს დიდ-დებოდა ხოლმე, მთლიანად დამშრალიყო. საზოგადოებრივ ტუ-ალეტად ქცეული, სავსე იყო ნაგვითა და ყოველგვარი ნარჩენით.

ქალები ნიჩაბს შეუჩერებლად იქნევდნენ, მაგრამ მზის მცხუნვა-რებისგან გამომშრალი, დამსკდარი და უნაყოფო მიწა კლდესავით გაქვავებულიყო.

მარიამს უკვე ორმოცი წელი შესრულებოდა. აკეცილ თმაში რამ-დენიმე ჭაღარა მოუჩანდა. ყავისფერი, რკალისებური თვალების ქვეშ კანი პატარა ტომსიკებივით ჩამოჰკიდებოდა. ორი წინა კბილი დაეკარგა. ერთი თავისით მოსძვრა, მეორე კი რაშიდმა ჩაუმტვრია, როდესაც ქალს ზალმაი ხელიდან შემთხვევით გაუვარდა. კანი გა-უხეშებული და, ეზოში მზის გულზე მუდმივი ჯდომისგან, გაშავებუ-ლი ჰქონდა. მარიამი და ლაილა ისხდნენ და უყურებდნენ, როგორ დასდევდა ზალმაი თავის დას.

როგორც იქნა, ორმო ამოთხარეს. ახლა იდგნენ და ზემოდან დაჰყურებდნენ.

— გამოდგება, — თქვა მარიამმა.

ზალმაი უკვე ორი წლის პუტკუნა, კულულებიანი ბიჭი იყო. პატა-რა მოყავისფრო თვალები ჰქონდა და რაშიდის მსგავსად, ლოყებზე მუდმივად ვარდისფერი დაჰკრავდა. დაბალი და ნახევარმთვარის ფორმის შუბლიც მამისას მიუგავდა.

როდესაც ლაილა მასთან ერთად მარტო რჩებოდა, ზალმაი ტკბილი, დამჯერი და მხიარული ბავშვი იყო. უყვარდა დედამისის მხრებზე აცოცება, მასთან და აზიზასთან ერთად ეზოში დახუჭობა-ნას თამაში. დაღლილი მშვიდად იჯდა ლაილას კალთაში და მის ნამღერს უსმენდა. ზალმაის საყვარელი სიმღერა „მოლა მოჰამად-ჯან“ იყო. მის გაგონებაზე მუდამ თავის ხორცსავსე ფეხებს იქნევდა. მისამღერს კი ხრინწიანი ხმით ჰყვებოდა ხოლმე:

„მოლა მოჰამად-ჯან, მოდი, მაზარში წავიდეთ,
ჩემო საყვარელო მეგობარო,
ტიტების მინდვრებს ვესტუმროთ“.

ლაილას აბედნიერებდა ზალმაის ნოტიო კოცნა; უყვარდა პატარა, ფუმფულა ცხვირი და ფოსოები ბავშვის იდაყვებზე. სიამოვნებას ანიჭებდა მისი ღიტინი, ბალიშებით გვირაბების გაკეთება და შემდეგ იმის ყურება, ბიჭი როგორ ცოცავდა; საკუთარ მკალვებში ჩაძინებული შვილის ცქერა, ცალი ხელით მუდამ ლაილას ყურს რომ იყო ჩაბღაუჭებული. გოგონას გულ-ღვიძლი ეწვოდა, როცა ის საღამო ახსენდებოდა, იატაკზე გაწოლილი ლითონის ღეროს ფეხებშორის რომ იმიზნებდა. რა ცოტა უკლდა განზრახვის სისრულეში მოყვანას! ახლა ვერც კი წარმოედგინა, ასეთი აზრი თავში როგორ გაივლო. ეს ბიჭი მისთვის წყალობა იყო. ლაილას გულზე მოეშვა, რადგან მისი შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა — ზალმაი მთელი არსებით უყვარდა, ზუსტად ისევე, როგორც აზიზა.

მაგრამ ზალმაი მამას აღმერთებდა. როდესაც რაშიდთან ერთად იყო, სრულიად იცვლებოდა — გამომწვევად ყიყინებდა, უტიფრად იცინოდა, ადვილად ბრაზდებოდა, ბუზღუნებდა, ლაილას დატუქსვის მიუხედავად, მაინც ჯიუტად განაგრძობდა ცელქობას. რაშიდის არყოფნისას ასე არასდროს იქცეოდა.

მამა ყოველთვის ამართლებდა. „როგორი საზრიანია!“ — იტყოდა კაცი. იმავეს ამბობდა ზალმაის დაუდევრობაზე, როდესაც ბიჭუნა სათამაშო ბურთულებს ყლაპავდა ან აფუჭებდა; როდესაც ასანთს ანთებდა ან მამამისის სიგარეტს პირში მოიქცევდა და ღეჭავდა.

ზალმაი რომ დაიბადა, მამის სურვილით, იგი რაშიდისა და ლაილას ლოგინში დააწვინეს. შემდეგ კაცმა ვაჟს ახალი საწოლი უყიდა, რომლის გვერდებსაც ლომები და მიწაზე გართხმული ლეოპარდები ამშვენებდა. რაშიდი უამრავ ფულს ხარჯავდა ზალმაის ტანსაცმელში, ჟღარუნებში, რძის ბოთლებში, ახალ სახვევებში, მიუხედავად იმისა, რომ საკმარისი ფული არ ჰქონდათ და აზიზას ნახმარი ნივთები კვლავაც გამოსადეგი იყო. ერთ დღეს კაცმა სახლში ბატარეებზე მომუშავე სათამაშო მოიტანა, რომელიც ზალმაის საწოლზე დაამაგრა. პატარა შავყვითელა ბზიკი მზესუმზირას ყვავილზე ქანაობდა, ხელის მოჭერისას

კი იგრიხებოდა და წრიპინებდა. როცა ჩართული იყო, მელოდია უკრავდა.

— როგორც მახსოვს, თქვი, რომ საქმე კარგად არ მიგდის, — უთხრა ლაილამ ქმარს.

— მეგობრები მყავს, რომელთაგანაც ვსესხულობ, — აგდებულად უპასუხა რაშიდმა.

— ვალებს როგორ გაისტუმრებ?

— ყველაფერი გამოსწორდება! მუდამ ასეა. შეხედე, მოსწონს! ხედავ?

უკანასკნელ ხანებში ლაილა შვილს იშვიათად ხედავდა. რაშიდს იგი თავის მაღაზიაში მიჰყავდა. უფლებას აძლევდა, თავისი სამუშაო მაგიდის ქვეშ ეხოხა, ძველი კაუჩუკის ლანჩებითა და უსარგებლო ტყავის ნაკუწებით ეთამაშა. რაშიდი რკინის ლურსმნებს ჩაასობდა, ზუმფარიან საპრიალებელ ჩარხს ჩართავდა და თან ბავშვს თვალს არ აცილებდა. ხანდახან ზალმაი ფეხსაცმლის თაროს გადააყირავებდა, მაგრამ კაცი მხოლოდ დაყვავებით, ღიმილით საყვედურობდა. თუ კიდევ ერთხელ გაიმეორებდა, რაშიდი ჩაქუჩს დებდა, ბავშვს მაგიდაზე სვამდა და ტკბილად ესაუბრებოდა.

ზალმაისთან მისი მოთმინება უსაზღვრო და დაუშრეტელი იყო.

საღამოს მამა-შვილი შინ ერთად ბრუნდებოდა. კაცს ვაჟი მხრებზე ჰყავდა შემოსმული. ორივეს წებოსა და ტყავის სუნი ასდიოდა. ეშმაკურად იღიმოდნენ იმ ადამიანებივით, რომელთაც საერთო საიდუმლო აერთიანებთ. თითქოს ჩაბნელებულ მაღაზიაში მთელი დღე ფეხსაცმელებს კი არ კერავდნენ, არამედ საიდუმლო შეთქმულების დაგეგმვით იყვნენ დაკავებული. სადილობისას ზალმაის მამის გვერდით ჯდომა უყვარდა. სანამ მარიამი, ლაილა და აზიზა სუფრას შლიდნენ, მამა-შვილი მხოლოდ მათთვის განკუთვნილი თამაშებით ერთობოდა. ერთმანეთს გულმკერდში თითს ატაკებდნენ, პურის ნამცეცებს ესროდნენ, ხითხითებდნენ, ჩურჩულებდნენ ისე, რომ სხვებს არ გაეგონათ. ლაილა თუ დაელაპარაკებოდა, დაუპატიჟებელ სტუმარს რაშიდი უკმაყოფილოდ ახედავდა. თუ დედა ბავ-

შვის აყვანას მოინდომებდა, ან თვითონ ზალმაი გაიწევდა მისკენ, კაცი ცოლს მაშინვე ბღვერას უწყებდა.

ლაილა გულნატკენი გაბრუნდებოდა ხოლმე.

ზალმაი ორი წლის იყო, როდესაც ერთ ღამეს რაშიდი შინ ტელევიზორითა და ვიდეომაგნიტოფონით დაბრუნდა. თბილი, სასიამოვნო დღე იყო, მაგრამ საღამოს აგრილდა და ცივი ღამე დგებოდა. ცაზე არც ერთი ვარსკვლავი არ მოჩანდა.

კაცმა ნივთები მისაღები ოთახის მაგიდაზე დააწყო. როგორც თქვა, შავ ბაზარზე ეყიდა.

— ისევ ისესხე? — ჰკითხა ლაილამ.

— ეს „მაგნავოქსია“.

ოთახში აზიზა შემოვიდა. ტელევიზორი დაინახა და მისკენ გაექანა.

— ფრთხილად, აზიზა-ჯო, — უთხრა მარიამმა. — არ შეეხო.

აზიზას ლაილასავით ღია ფერის თმა ჰქონდა. სიცილისას დედასავით ეჩხვლიტებოდა ლოყები. აზიზა ნაზ, გულჩათხრობილ გოგონად ქცეულიყო, რომლის ქცევებიც ექვსი წლის ბავშვისას ნამდვილად არ ჰგავდა. ლაილას აოცებდა ქალიშვილის საუბრის მანერა — რიტმი, დაფიქრებული პაუზები და ინტონაციები. ისეთი სერიოზული ხმა ჰქონდა, რომ ვერაფრით იფიქრებდი, ასეთ პატარა გოგონას თუ ეკუთვნოდა. აზიზამ საკუთარი ინიციატივით აიღო თავის თავზე ყოველდღე ზალმაის გაღვიძება და დაძინება, მისი ჩაცმა, გამოკვება, თმის დავარცხნა. გაწონასწორებულად, მოთმინებითა და დაყვავებით ეთამაშებოდა ცვალებადი ხასიათის მქონე ძმას, გაბრაზებისას კი უფროსივით მხოლოდ თავს გაიქნევდა ხოლმე.

აზიზამ თითი ტელევიზორის ღილაკს მიაჭირა. რაშიდმა გოგონას ბრაზით შეხედა, მაჯაში ხელი წაავლო, მაგიდასთან უხეშად დასვა და უთხრა:

— ეს ზალმაის ტელევიზორია!

აზიზა მარიამისკენ გაიქცა და კალთაში ჩაუჯდა. ისინი განუყრელნი იყვნენ. ლაილას ნებართვით, მარიამი პატარა გოგონას ყურანიდან სტროფებს ასწავლიდა. მანაც უკვე ზეპირად იცოდა სურა „იხლასი“(იხ-

ლასი — ყურანის 112-ე სურა („სიწრფელე“). ), „ფათიჰა“ და დილის ლოცვის ოთხი რაქათი(რაქათი — მუსლიმთა ხუთჯერადი ლოცვისას აუცილებელი ფორმულებისა და მოძრაობების კომპლექსი. რაქათების რაოდენობა გან-

სხვავებულია იმის მიხედვით, თუ დღის რომელ მონაკვეთში სრულდება ლოცვა. ).

— სულ ეს არის, მისთვის რისი მიცემაც შემიძლია, — ეუბნებოდა მარიამი ლაილას, — ეს ცოდნა, ეს ლოცვები. ჩემი ჭეშმარიტი ქონება მხოლოდ ეს არის.

ოთახში ზალმაიც შემოვიდა. რაშიდი ისე მოუთმენლად ელოდა შვილის რეაქციას, როგორც ქუჩის ილუზიონისტები — გამვლელებს მარტივი ხრიკების გაკეთებისას. ბიჭმა ტელევიზორის სადენი მოქაჩა, ყველა ღილაკს თითი დააჭირა, ხელისგულები ეკრანს დაუტყაპუნა. როდესაც ტელევიზორს მოშორდა, მისი კვალი შუშიდან თანდათან გაქრა. კაცი სიამაყით უყურებდა შვილს, რომელიც ხელებს ტელევიზორის ეკრანს შეუჩერებლად უტყაპუნებდა.

თალიბებმა ტელევიზორები აკრძალეს. ვიდეოკასეტები სახალხოდ დალეწეს, ფირები დაგლიჯეს და ღობეებს შემოახვიეს. სატელიტური თეფშები გარე განათების ბოძებზე დაკიდეს. მაგრამ რაშიდი ამბობდა, რომ აკრძალული ნივთების შოვნაც შესაძლებელი იყო.

— ხვალ ვეცდები მულტფილმების ვიდეოფირები მოვძებნო, — თქვა მან. — რთული არ იქნება. შავ ბაზარზე ყველაფრის ყიდვაა შესაძლებელი.

— მაშინ იქნებ ახალი ჭაც გვიყიდო, — უთხრა ლაილამ. პასუხის ნაცვლად რაშიდმა ცოლს მხოლოდ აგდებულად შეხედა.

გვალვის გამო ჩაიზე კვლავაც უარის თქმა უწევდათ. კიდევ ერთი სადილის შემდეგ, რომელზეც მხოლოდ უბრალო თეთრი ბრინჯი ჰქონდათ, რაშიდმა სიგარეტი გააბოლა და ლაილას თავისი გადაწყვეტილების შესახებ ამცნო.

— არა, — თქვა ლაილამ.

— შენ არც გეკითხები, — მიუგო ქმარმა.

— არ მაინტერესებს, მეკითხები თუ არა.

— დაინტერესდებოდი, რეალური მდგომარეობა რომ იცოდე.

რაშიდმა უთხრა, რომ ძალიან ბევრი მეგობრის ვალი დაიდო და მაღაზიის შემოსავალი ხუთი სულის შესანახად საკმარისი აღარ იყო.

— აქამდე არ გითხარი, შენი განერვიულება არ მინდოდა. გარდა ამისა, — თქვა მან, — შენ თვითონვე გაგიკვირდება, დღის განმავლობაში იმდენს შოულობენ.

ლაილამ კვლავაც სასტიკი უარი უთხრა. ცოლ-ქმარი მისაღებ ოთახში ისხდნენ. მარიამი კი ბავშვებთან ერთად სამზარეულოში იყო. ლაილას ჭურჭლის წკარუნი, ზალმაის ხმამაღალი სიცილი და აზიზას მშვიდი საუბარი ესმოდა.

— იქაურობა სავსეა ასეთი ბავშვებით, მასზე უმცროსებითაც კი, — თქვა რაშიდმა. — ქაბულში ახლა ყველა ასე იქცევა.

— არ მაინტერესებს, სხვები როგორ ექცევიან საკუთარ შვილებს!

— თვალს არ მოვაშორებ, — თქვა მოთმინებადაკარგულმა რაშიდმა. — უსაფრთხო კუთხეა. ქუჩის გადაღმა მეჩეთია.

— უფლებას არ მოგცემ, ჩემი ქალიშვილი ქუჩის მათხოვრად აქციო! — წამოიყვირა ლაილამ.

თავისი მსხვილთითება ტორით რაშიდმა ცოლს ისეთი სილა გააწნა, რომ ხმა მთელ სახლში გაისმა. ლაილამ თავი ძლივს შეიკავა. სამზარეულოში სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა გაისუსა. შემდეგ კი აფორიაქებული ნაბიჯების ხმა გაისმა და მარიამი ბავშვებთან ერთად ოთახში შემოვარდა. თვალები გაფართოებოდათ და მზერა რაშიდიდან ლაილაზე გადაჰქონდათ.

ლაილამ თავი ვეღარ შეიკავა და ქმარს მუშტი უთავაზა.

თავის ცხოვრებაში ვიღაცას ხელი პირველად დაარტყა, თუ არ გავითვალისწინებთ მისი და თარიყის ბავშვურ თამაშობებს, ერთმანეთს ხუმრობით რომ უტყაპუნებდნენ. მაგრამ ის უფრო ხელის მოთათუნება იყო, ვიდრე მუშტები, მორიდებული გამოხატულება მღელვარებისა, ერთდროულად შემაცბუნებელიცა და სასიამოვნოც. ბავშვები იმ კუნთს

უმიზნებდნენ, რომელსაც თარიყი პროფესიონალივით დელტისე-ბურს(კუნთი, რომელიც ბეჭის მრგვალი კონტურის ფორმირებას უზ-რუნველყოფს.) უწოდებდა.

ლაილა თავისი მუშტის მომრგვალებულ რკალს დაშტერებოდა, რომელიც ჰაერში მოულოდნელად გაიჭრა და სახსრებით რაშიდის გაუპარსავ, უხეშ კანს შეეხო. ისეთი ხმა იყო, თითქოს ძირს ბრინჯის ტომარა დავარდა. გოგონამ მთელი ძალით დაარტყა. მოულოდნე-ლობისგან კაცი ორი ნაბიჯით უკან წაბარბაცდა.

ოთახის მეორე ბოლოდან მძიმე სუნთქვა და წივილ-კივილი გა-ისმა. ლაილა ვერ ხვდებოდა, ვინ რა ხმას გამოსცემდა. იმ მომენტში ისეთი გაოგნებული იყო, რომ ამაზე ვერც იფიქრებდა და ვერც იდარდებდა. გონებაში იმის გაცნობიერებას ცდილობდა, რაც მისმა ხელმა ჩაიდინა. როცა, მისდა გასაკვირად, რაშიდი ოთახიდან მშვი-დად გავიდა, ფიქრობდა, წესით ახლა უნდა გავიღიმო ან ვიცინოო. ლაილას უეცრად მოეჩვენა, რომ მისი, აზიზას, მარიამის ცხოვრება-ში მომხდარი ამდენი უსიამოვნება სადღაც უკვალოდ გაუჩინარდა. ზუსტად ისე, როგორც ზალმაის ხელისგულების ნაკვალევი ტელე-ვიზორის ეკრანიდან. გაიფიქრა, ამ საოცარი წამისთვის, რომელიც მათ ტანჯვას ბოლოს მოუღებდა, ყველაფერი ღირდა, რაც აქამდე გადავიტანეთო.

ლაილამ რაშიდის ოთახში დაბრუნება ვერ შენიშნა, სანამ კაცმა ხელი კისერში არ სტაცა, სანამ ფეხზე არ წამოაგდო და კედელს არ მიანარცხა.

მისი დამცინავი სახე ახლა წარმოუდგენლად დიდი ჩანდა. ლა-ილამ შენიშნა, რომ ასაკის მატებასთან ერთად, ქმარს სახე კიდევ უფრო დასიებოდა. ცხვირზე უამრავი სისხლძარღვის წვრილი ზო-ლი დამჩნეოდა. რაშიდს ხმა არ ამოუღია. ან სიტყვები რა საჭიროა, როცა შენი რევოლვერის ლულა ცოლის პირში გაქვს დამიზნებუ-ლი?!.

ეზოში ორმოს რეიდების გამო თხრიდნენ. რეიდები ტარდებოდა ყოველთვიურად, ხან კი ყოველკვირეულად. მოგვიანებით ყოველ-

დღიურზეც კი გადავიდნენ. თალიბები, ძირითადად, ნივთების ჩამორთმევით იყვნენ დაკავებული, ზოგს პანღურს ამოჰკრავდნენ, ერთი-ორს კეფაში ძლიერად წამოარტყამდნენ. მაგრამ ზოგჯერ სახალხო ცემატყეპასაც მართავდნენ.

— ფრთხილად! — თქვა მარიამმა და ჩაიმუხლა. ქალები პლასტმასის სახვევში შეფუთული ტელევიზორის ორმოში ჩადებას ცდილობდნენ. — აი, ასე.

ზემოდან მიწა დააყარეს და ორმო მთლიანად ამოავსეს. შემდეგ დაუდევრად მიყარ-მოყარეს, რომ საეჭვოდ არ გამოჩენილიყო.

— ესეც ასე! — თქვა მარიამმა და ხელები კაბაზე შეიწმინდა.

შეთანხმდნენ, რომ როდესაც ყველაფერი მიწყნარდებოდა და ერთი, ორი ან თუნდაც ექვსი თვის შემდეგ თალიბები რეიდების ჩატარებას მოეშვებოდნენ, ისევ ამოთხრიდნენ და ტელევიზორს ამოიღებდნენ.

ლაილამ სიზმარი ნახა. ის და მარიამი ფარდულის უკან იყვნენ და ისევ თხრიდნენ. მაგრამ ამჯერად მიწაში აზიზას ჩაწვენას ცდილობდნენ. პატარა გოგონა სუნთქვისგან დაორთქლილ პლასტმასის გარსში იყო მოქცეული. ლაილა კარგად ხედავდა მის შეშინებულ თვალებს, გათეთრებულ ხელისგულებს, რომლებითაც გარსის გარღვევას ცდილობდა. აზიზა ემუდარებოდა. ლაილას კი მისი ყვირილის ხმა არ ესმოდა. მხოლოდ ერთხელ ჩასძახა ქალიშვილს: „ეს დროებითია. რეიდების გამო ვშიშობ, ხომ იცი, ჩემო ძვირფასო? რეიდები როგორც კი დასრულდება, დედიკო და ხალა მარიამი აქედან ამოგიყვანენ. გპირდები, ჩემო საყვარელო! შემდეგ ერთად ვითამაშებთ. ყველაფერს ვითამაშებთ, რასაც კი მოინდომებ!“

როდესაც პლასტმასის გარსს მიწის პირველი ბელტები დაეცა, ლაილამ ხელში ნიჩაბი, პირში კი მიწის გემო იგრძნო და აკანკალებულს გამოეღვიძა. სულს ძლივს ითქვამდა.

41

მარიამი

2000 წლის ზაფხული გვალვის მესამე და ყველაზე მძიმე წელი აღმოჩნდა.

ჰელმანდის, ზაბოლისა და ყანდაარის სოფლების მოსახლეობა მომთაბარე თემებად იქცა. ადამიანები მუდმივად გადაადგილდებოდნენ, თავიანთი საქონლისთვის წყალსა და გამწვანებულ საძოვრებს დაეძებდნენ. როდესაც ვერაფერს პოულობდნენ და თხები, ცხვრები და ძროხებიც ეხოცებოდათ, ქაბულისკენ მოემართებოდნენ. გეზს ქარე არიანას გორაკის ფერდობებისკენ იღებდნენ და მოუწყობელ, დროებით ქოხებში თხუთმეტი ან ოცნი ერთად ცხოვრობდნენ.

იმ ზაფხულს ყველა „ტიტანიკით“ იყო შეპყრობილი. მარიამი და აზიზა ერთმანეთს ხელებს გადააჭდობდნენ, ტრიალებდნენ და ხითხითებდნენ. აზიზა დაჟინებით მოითხოვდა, რომ ჯეკი ყოფილიყო.

— ჩუმად, აზიზა-ჯო.

— ჯეკი! აბა, გაიმეორე ჩემი სახელი, ხალა მარიამ. მიდი! ჯეკი!

— მამას გააღვიძებ და გაგიბრაზდება.

— ჯეკი! შენ კი როუზი ხარ.

ზურგზე გაწოლილი მარიამი ნებდებოდა და თანხმდებოდა როუზად ყოფნას.

— კარგი, შენ ჯეკი იქნები, — საბოლოო დათმობაზე მიდიოდა ქალი, — სამაგიეროდ, ახალგაზრდა კვდები, მე კი ღრმა სიბერემდე მივაღწევ.

— ჰო, მაგრამ მე გმირულად ვიღუპები! — ეუბნებოდა აზიზა, — რაც შეგეხება შენ, როუზ, მთელ შენს უბადრუკ ცხოვრებას ჩემზე ოცნებაში გალევ!

შემდეგ გოგონა მარიამს გულმკერდზე გადააჯდებოდა და გამოუცხადებდა, ახლა კოცნის დროაო. ქალი თავს აქეთ-იქით აქნევდა, აზიზა კი თავისი გაბედული ქცევით აღფრთოვანებული ხითხითებდა.

ზოგჯერ ზალმაი ოთახში აუჩქარებლად შემოდიოდა და მათ თამაშს თვალს ადევნებდა.

— მე ვინ ვიქნები? — გულუბრყვილოდ კითხულობდა ბიჭი.

— შეგიძლია აისბერგი იყო, — პასუხობდა აზიზა.

იმ ზაფხულს ქაბულს „ტიტანიკის“ ვირუსი შეეყარა. ხალხი პაკისტანიდან კონტრაბანდული გზით შემოტანილ ფილმის პირატულ ასლებს შოულობდა, რომლებიც ზოგს საცვლებში დამალული გადმოეტანა. კომენდანტის საათის შემდეგ ყველა თავ-თავის სახლში იკეტებოდა, სინათლეს აქრობდა, ხმას უწევდა და ჯეკისა, როუზის და დაღუპული გემის სხვა მგზავრების გამო ცრემლებს ღვრიდა. როდესაც ელექტროენერგია ჰქონდათ, მარიამი, ლაილა და ბავშვებიც ამ ფილმს მიუსხდებოდნენ. ფარდულის უკან ჩაფლული ტელევიზორი არაერთხელ ამოთხარეს, ღამით სინათლეს აქრობდნენ და ფანჯრებზე საბნებს ამაგრებდნენ.

გვალვისგან დამშრალი მდინარე ქაბულის კალაპოტი ბაზრობად იქცა. მალე მზისგან გამომშრალ ღრმულში მწკრივად ჩალაგებულ ურიკებზე გასაყიდად გამოჩნდა ხალიჩა „ტიტანიკი“, ტანსაცმელი „ტიტანიკი“, დეზოდორანტი, კბილის პასტა, სუნამო „ტიტანიკი“, ფაქორა(ფაქორა — ინდური, ბურთულის ფორმის ღვეზელი ნაირ-ნაირი შიგთავსით (ბოსტნეული, ხორცი, თევზი). ) „ტიტანიკი“ და თვით ბურკაც კი. რომელიღაც ჭკუასუსტმა მათხოვარმა საკუთარ თავს „ტიტანიკის მათხოვარი“ უწოდა.

შეიქმნა „ტიტანიკის ქალაქი“.

— მთავარი სიმღერაა, — ამბობდნენ ერთნი.

— არა! ზღვა, ფუფუნება, გემი...

— სექსი, — ჩურჩულებდნენ აქა-იქ.

— ლეო, — დარცხვენით ამბობდა აზიზა, — მთავარი ლეოა!

— ყველას ჯეკი სჭირდება, — ეუბნებოდა ლაილა მარიამს, — ყველა ელოდება, რომ ჯეკი უბედურებისგან დაიხსნის. მაგრამ ჯეკი აღარ არის. ჯეკი არ დაბრუნდება. ის მკვდარია!

ზაფხულის ბოლოს ქსოვილებით მოვაჭრეს ისე ჩაეძინა, რომ სიგარეტის ჩაქრობა დაავიწყდა. თავად კი გადარჩა, მაგრამ მისი მაღაზია მთლიანად დაიწვა. ცეცხლი მომიჯნავე ქსოვილის, მეორადი ტანსაცმლის, ავეჯის მაღაზიებსა და საცხობს გადაედო.

მოგვიანებით რაშიდს უთხრეს, ქარს რომ დასავლეთის ნაცვლად აღმოსავლეთისკენ დაებერა, შენი მაღაზია, რომელიც ამ კორპუსის კუთხეში იყო განთავსებული, შესაძლოა გადარჩენილიყოო.

ყველაფერი გაყიდეს.

მარიამის ნივთებით დაიწყეს, შემდეგ ლაილასაზე გადავიდნენ. გაყიდეს აზიზას ბავშვობის ტანსაცმელი, მისი რამდენიმე სათამაშო, რომელიც თავის დროზე ლაილამ რაშიდს იძულებით აყიდინა. აზიზა მოვლენებს მორჩილად ადევნებდა თვალს. რაშიდის საათის ჯერიც დადგა, მისი ტრანზისტორზე მომუშავე რადიოს, ორი ცალი ჰალსტუხის, ფეხსაცმელების, დაბოლოს, საქორწილო ბეჭდისაც. გაყიდეს დივანი, მაგიდა, ხალიჩა, სკამები. როდესაც რაშიდმა გასაყიდად ტელევიზორიც წაიღო, ზალმაიმ სცენები მოაწყო.

ხანძრის შემდეგ კაცი მთელ დღეებს სახლში ატარებდა. ხან აზიზას წამოარტყამდა, ხან მარიამს ჰკრავდა წიხლს, ნივთებს აქეთ-იქით ისროდა. ლაილათი მუდმივად უკმაყოფილო იყო. არ მოსწონდა მისი სუნი, ჩაცმის სტილი, ვარცხნილობა, გაყვითლებული კბილები.

— რა დაგემართა? — ეუბნებოდა კაცი, — ცოლად ფარი(ფარი — ფერია; ლამაზმანი. ) მოვიყვანე, ხელში კი ვიღაც ალქაჯი შემრჩა. თანდათან მარიამს ემსგავსები!

რაშიდი სამუშაოდ ჰაჯი იაყუბის მოედანთან ახლოს მდებარე საქაბაბეში მოეწყო. მაგრამ მალევე კლიენტთან უთანხმოება მოუვიდა, რომელიც ამტკიცებდა, რომ რაშიდმა პური მაგიდაზე უხეშად დაუგდო. ატყდა ლანძღვა-გინება, კაცმა კლიენტს მაიმუნის სახიანი უზბეკი უწოდა. ჩხუბში იარაღიც გამოჩნდა, მოწინააღმდეგემ კი შამ-

ფურს სტაცა ხელი. რაშიდის მტკიცებით, შამფური მას ეჭირა, თუმცა მარიამს ეეჭვებოდა.

შემდეგ თაიმანის რესტორნიდან გამოაგდეს, რადგან კლიენტები დაგვიანებული მომსახურების გამო უჩიოდნენ. რაშიდი კი ყველაფერს მზარეულს აბრალებდა, ზანტი და ზარმაციაო.

— სავარაუდოდ, თვლემდი! — უთხრა ლაილამ.

— არ გააღიზიანო, ლაილა-ჯო, — სთხოვა მარიამმა.

— გაფრთხილებ, ქალო! — დაემუქრა რაშიდი.

— ან ეწეოდი!.. — არ ცხრებოდა ლაილა.

— ღმერთს გეფიცები!

— კუზიანს სამარე თუ გაასწორებს!

უეცრად რაშიდი ლაილას თავს დააცხრა, ძირს დაანარცხა, მკერდში და მუცელში მთელი ძალით ურტყამდა, თმას აგლეჯდა და კედელზე ანარცხებდა. აზიზა კიოდა და კაცს პერანგზე ექაჩებოდა. ზალმაიც ყვიროდა, ცდილობდა რაშიდი დედამისისგან მოეშორებინა. კაცმა ბავშვები გვერდზე გასწია, ლაილა ძირს დააგდო და წიხლებით შესდგა. მარიამი გოგონას გადაეფარა. რაშიდი ახლა მარიამს ურტყამდა. ურტყამდა უკანასკნელი ძალების ამოწურვამდე, პირიდან დორბლი სცვიოდა, თვალები კი ბოროტი განზრახვისაგან უელავდა.

— გეფიცები, ლაილა, იძულებულს გამხდი, რომ მოგკლა! — თქვა კაცმა ქოშინით და სახლიდან გავარდა.

ფული გამოილია და შიმშილმა ყველაფერი მოიცვა. მარიამი გაოცებული იყო, მათ ცხოვრებაში შიმშილთან ბრძოლამ როგორ სწრაფად დაიკავა გადამწყვეტი ადგილი.

თუნდაც ხორცითა და სოუსით შეუნელებელი, თეთრი, უბრალოდ მოხარშული ბრინჯიც კი იშვიათობად იქცა. სულ უფრო ხშირად რჩებოდნენ სადილისა და ვახშმის გარეშე. რაშიდს შინ ზოგჯერ თუნუქის ქილით სარდინი და გამხმარი პური მოჰქონდა, რომელსაც ნახერხის გემო ჰქონდა; ხან კი, ხელების მოჭრის რისკის ფასად, კალათით მოპარული ვაშლი; კაცი სურსათის მაღაზიაში ფრთხილად იჯიბავდა დაკონსერვებულ რავიოლის, რომელსაც სახლში ხუთ ნაწილად ყოფდნენ.

ყველაზე დიდი პორცია, რა თქმა უნდა, ზალმაის ხვდებოდა. როცა სხვა არაფერი ჰქონდათ, სადილად უმ, მარილმოყრილ თალგამს, სალათის რბილ ფურცლებსა და გაშავებულ ბანანს ჭამდნენ.

შიმშილით სიკვდილი მოულოდნელად აშკარა შესაძლებლობად იქცა. ზოგი ამ დროის დადგომას აღარც ელოდებოდა. მარიამმა გაიგო, რომ მეზობლის ქვრივმა გამხმარი, ვირთხის საწამლავში ამოვლებული პური მიწაზე დადო და შვიდ შვილს გაუნაწილა. თავისთვის კი ყველაზე დიდი ნაჭერი გადაინახა.

აზიზას კანქვეშ ნეკნები დაეტყო და ლოყები ჩაუცვივდა. წვივები დაუთხელდა და სახეზე ბაცი ჩაის ფერი დაედო. როდესაც მარიამს გოგონა ხელში აჰყავდა, მის გამოშვერილ თეძოს ძვალს გრძნობდა. ზალმაი თითქმის მუდმივად თვლემდა, თვალები ხან დახუჭული ჰქონდა, ხან კი გაჭირვებით ახელდა. ძალაგამოლეული მამამისის კალთაში მიეგდებოდა, როცა ძალა ჰყოფნიდა, ჭირვეულობდა; იშვითად და ცოტა ხნით იძინებდა. ფეხზე წამოდგომისას მარიამს თვალები უჭრელდებოდა, თავბრუ ეხვეოდა და ყურებში გამუდმებით წუილი ესმოდა. გაახსენდა, რომ რამადანისას მოლა ფაეზულა შიმშილის შესახებ ამ სიტყვებს ეუბნებოდა: „ყველაზე უიღბლო ადამიანიც კი შეძლებს ძილს, მაგრამ მშიერი — ვერც ერთ შემთხვევაში!“

— შვილები დამეხოცებიან! — თქვა ლაილამ, — ჩემ თვალწინ...

— არა! — მიუგო მარიამმა, — არ დავუშვებ. ყველაფერი კარგად იქნება, ლაილა-ჯო. ვიცი, რაც უნდა გავაკეთო.

ერთ მცხუნვარე დღეს მარიამმა ბურკა ჩაიცვა და რაშიდთან ერთად სასტუმრო „ინტერკონტინენტალში“ წავიდა. ავტობუსით მგზავრობა წარმოუდგენელ ფუფუნებად ქცეულიყო. ციცაბო გორაკის წვერამდე ფეხით რომ მიაღწიეს, ქალი უკვე ძალაგამოცლილი იყო. ფერდობზე ასვლისას თავბრუ ესხმოდა და სულის მოსათქმელად ორჯერ შეჩერდა.

სასტუმროს შესასვლელში რაშიდი ერთ-ერთ შვეიცარს მიესალმა და გადაეხვია. კაცს ბორდოსფერი კოსტიუმი ეცვა და ღია კეპი ეხურა. ერთმანეთს მეგობრულად გამოელაპარაკნენ. რაშიდმა

შვეიცარს ხელკავი გამოსდო და მარიამისკენ მიანიშნა. ქალს წუთით ორივემ შეავლო მზერა. მარიამს შვეიცარი საიდანღაც ეცნო.

კაცი შიგნით შევიდა. ქალი რაშიდთან ერთად გარეთ იცდიდა. ამ ადგილიდან პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ხაირ-ხანას ძველი რაიონისა და მაზარისკენ მიმავალი გზის ხედი იშლებოდა. სამხრეთით მარიამი დიდი ხნის მიტოვებულ პურის ქარხანას — „სილოს“ ხედავდა. მისი ღია ყვითელი ფერის ფასადზე ნატყვიარების ღრმულებს პირი დაეფჩინა. უფრო მოშორებით დარ-ოლ-ამანის სასახლის ნანგრევები მოჩანდა, სადაც დიდი ხნის წინ რაშიდმა იგი პიკნიკზე წაიყვანა. ეს მოგონება უკვე იმ წარსულის ნაშთად ქცეულიყო, რომელიც თითქოს მარიამს არც კი გადახდენოდა.

ქალი ცდილობდა, ყურადღება ამ ობიექტებზე გადაეტანა, რადგან შიშობდა, რომ სხვაგვარად გონება გაეფანტებოდა და გამბედაობას დაკარგავდა.

ყოველ ხუთ წუთში სასტუმროს შესასვლელთან „ჯიპები“ და ტაქსები ჩერდებოდნენ. შვეიცარი მაშინვე სტუმრების შესაგებებლად გარბოდა. მხოლოდ კაცები იყვნენ, შეიარაღებულები, წვეროსნები, ჩალმიანები. ყველა ერთნაირი თვითდარწმუნებული, მუქარის შემცველი იერით გადმოდიოდა მანქანიდან. სანამ სასტუმროს კარში გაუჩინარდებოდნენ, მარიამმა რამდენიმეს საუბარს მოჰკრა ყური. ზოგიერთი სპარსულად ან პუშტუზე საუბრობდა, მაგრამ აქა-იქ ურდუ და არაბულიც გაისმოდა.

— შეხედეთ, ჩვენი ნამდვილი ბატონები, — ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა რაშიდმა. — პაკისტანელი და არაბი ისლამისტები. თალიბები მხოლოდ მარიონეტები არიან. აი, დიდი მოთამაშეები, რომლებიც ავღანეთზე ფსონებს ჩამოდიან.

რაშიდის თქმით, ხმები დადიოდა, რომ თალიბები მათ მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ბანაკების მოწყობის უფლებას აძლევდნენ. იქ კი ახალგაზრდებს თვითმკვლელ ტერორისტებად და ჯიჰადის მებრძოლებად წვრთნიდნენ.

— ამდენ ხანს სად დაიკარგა? — იკითხა მარიამმა.

რაშიდმა გადააფურთხა და ფურთხს ფეხით მიწა მიაყარა.

ერთი საათის შემდეგ უკვე შიგნით იყვნენ. მარიამი და რაშიდი შვეიცარს უკან მიჰყვებოდნენ. მოპირკეთებულ იატაკზე ფეხების ტყაპუნით სასიამოვნოდ აგრილებულ ვესტიბიულში შევიდნენ. ტყავის სკამებზე ორი კაცი იჯდა. შუაში იარაღი ეწყოთ და პატარა მაგიდა ედგათ, ჩაის წრუპავდნენ და სიროფში ამოვლებულ, შაქარმობნეულ ჯალების(ჯალები — შაქრის სიროფში ამოვლებული შემწვარი ცომის რგოლები. ) რგოლებს მიირთმევდნენ. ქალს უცებ აზიზა გაახსენდა, რადგან გოგონას ჯალები ძალიან უყვარდა, და მზერა მაშინვე სხვა მხარეს გადაიტანა.

შვეიცარმა ისინი აივანზე გაიყვანა. ჯიბიდან მომცრო, შავი, უსადენო ტელეფონი და ფურცლის ნაგლეჯი ამოაცურა, სადაც ნომერი იყო მიჯღაბნილი. როგორც რაშიდს უთხრა, ტელეფონი მის ხელმძღვანელს ეკუთვნოდა.

— მხოლოდ ხუთი წუთი გაქვთ, — უთხრა მან.

— თაშაქორ, — მიუგო რაშიდმა, — შენი მოვალე ვარ!

შვეიცარმა თავი დაუკრა და წავიდა. კაცმა ნომერი აკრიფა და ტელეფონი მარიამს მიაწოდა.

როგორც კი ყურმილში ზარის წრიპინა ხმა გაისმა, ქალს გონება დაებინდა. ის დრო გაახსენდა, ცამეტი წლის წინ, 1987 წლის გაზაფხულზე, ჯალილი უკანასკნელად რომ ნახა. კაცი მის სახლთან, ჰერათის სანომრე ნიშნებიანი ლურჯი „ბენცის“ წინ, ხელჯოხზე დაყრდნობილი იდგა და მარიამს რამდენიმე საათი ელოდა; მის სახელს იძახდა, ზუსტად ისე, როგორც ოდესღაც ჯალილის სახლთან ატუზული მარიამი უხმობდა მამას. ქალმა ფარდა მხოლოდ ერთხელ, ოდნავ გადასწია და ჯალილს თვალი სულ ერთი წამით მოჰკრა, მაგრამ ეს ერთი წამიც საკმარისი აღმოჩნდა ყველაფრის შესამჩნევად — თმა გაჭაღარავებოდა, მხრებში მოხრილიყო, სათვალე ეკეთა, განუყრელი წითელი ჰალსტუხი და გულის ჯიბეში სამკუთხედად დაკეცილი ცხვირსახოცი იმ დღესაც ამშვენებდა. და როგორ გამხდარი-

ყო! იმაზე მეტად, ვიდრე მარიამს ახსოვდა. მუქი ყავისფერი პალტო მხრებზე ეკიდა, შარვალი კოჭებამდე სწვდებოდა.

შვილს ჯალილმაც მოჰკრა თვალი. მათი მზერა წამით გადააწყდა ერთმანეთს, ზუსტად მაშინდელივით, ოღონდ ახლა ფარდის უკან მარიამი იმალებოდა. ქალი ფანჯარას სწრაფად მოსცილდა, საწოლზე ჩამოჯდა და მის წასვლას დაელოდა.

მარიამი იმ წერილზე ფიქრობდა, ჯალილმა რომ დაუტოვა. რამდენიმე დღე ბალიშის ქვეშ ინახავდა, ხელში ატრიალებდა, მაგრამ საბოლოოდ გაუხსნელად დაანაკუწა.

ახლა აქ იდგა და ამდენი წლის შემდეგ მას ურეკავდა. ნანობდა თავის სულელურ, ახალგაზრდულ სიამაყეს. სახლში უნდა შემოეშვა. ამით რა დაშავდებოდა? მოესმინა, რისი თქმა სურდა. ის ხომ მამამისი იყო! მართალია, კარგი მამა ვერ გამოდგა, მაგრამ ახლანდელი გადასახედიდან რა უბრალო, რა ადვილად მისატევებელი ჩანდა მისი ცოდვები რაშიდის ბოროტებასთან, ადამიანების სისასტიკესა და ძალადობასთან შედარებით!..

ნანობდა, რომ წერილი დახია.

უეცრად ტელეფონში მამაკაცის სერიოზულმა ხმამ ამცნო, რომ იგი ჰერათის მერის ოფისს უკავშირდებოდა.

მარიამმა ჩაახველა.

— სალამ, ძმაო! ერთ ადამიანს ვეძებ, რომელიც ჰერათში ცხოვრობს. უფრო სწორად, დიდი ხნის წინ ცხოვრობდა. ჯალილ ხანი ჰქვია. შარ-ე-ნაუში სახლი ჰქონდა და კინოთეატრს ფლობდა. მისი ადგილსამყოფელი ხომ არ იცით?

კაცს ხმაში გაღიზიანება დაეტყო.

— მერის ოფისში ამის გამო რეკავ?!

— სხვას ვის მივმართო? — უპასუხა მარიამმა. — მომიტევე, ძმაო. ვიცი, რომ უამრავი საზრუნავი გაქვს, მაგრამ ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია, სიკვდილ-სიცოცხლის! ამიტომაც ვრეკავ.

— ასეთს არავის ვიცნობ. კინოთეატრი კი წლების წინ დაიხურა.

— იქნებ მანდ ვინმე იცნობდეს?

— აქ ეგეთი არავინაა.

მარიამმა სიმწრით თვალები დახუჭა.

— გემუდარები, ძმაო! საქმე ბავშვებს ეხება, პატარა ბავშვებს!..

კაცმა ღრმად ამოიოხრა.

— იქნებ ვინმე იყოს... — არ ნებდებოდა მარიამი.

— ყარაული, მთელი ცხოვრება აქ გაატარა.

— დიახ, მას ჰკითხეთ.

— კარგი, ხვალ დარეკეთ.

— ხვალ არ შემიძლია. ტელეფონი სულ ხუთი წუთით მათხოვეს. მე.....

უეცრად ყურმილში ჩხაკუნი გაისმა და მარიამმა იფიქრა, რომ გაუთიშეს. შემდეგ რაღაც საუბარი, მანქანების სიგნალის, ვენტილატორისა და ნაბიჯების ხმა შემოესმა. ქალმა ტელეფონი მეორე ყურთან გადაიტანა და თვალები დახუჭა.

უეცრად თვალწინ მოღიმარი ჯალილი დაუდგა. ჯიბიდან რაღაცის ამოღებას ცდილობდა.

— აჰ, რა თქმა უნდა. ნუღარ გავწელავთ.

პაწაწინა მონეტებით აწყობილი ფოთლის ფორმის კულონზე მთვარე და ვარსკვლავები იყო ჩამოკიდებული.

— გაიკეთე, მარიამ-ჯო.

— აბა, რას იტყვი?

— დედოფალს ჰგავხარ!

რამდენიმე წუთი გავიდა. შემდეგ ისევ გაისმა ნაბიჯების ხმა, ჭრიალი და ჩხაკუნი.

— იცნობს.

— მართლა?

— ასე ამბობს.

— სად არის? — სულმოუთქმელად ჰკითხა მარიამმა. — ამ კაცმა ჯალილ ხანის ადგილსამყოფელი იცის?

დუმილი ჩამოვარდა.

— ამბობს, რომ იგი 1987 წელს გარდაიცვალა.

მარიამს გული შეეკუმშა. ასეთ შესაძლებლობას, რა თქმა უნდა, უშვებდა,რადგან ჯალილი იმ დროისთვის უკვე სამოცდაათს დიდი ხნის გადაცილებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ...

1987 წელი.

— მაშინ კვდებოდა. ჰერათიდან ამხელა გზა ჩემთან გამოსამშვიდობებლად გამოიარა!..

მარიამმა აივნის ბოლოსკენ გადაინაცვლა. იქიდან სასტუმროს ერთ დროს ცნობილი საცურაო აუზი მოჩანდა, რომელიც ახლა ცარიელი და გაოხრებული იყო. ყველგან ნატყვიარები ემჩნეოდა, ჩამოცვენილი კაფელი ძირს ეყარა. ჩოგბურთის მოედანიც განადგურებულიყო, დაფლეთილი ბადე მოედნის შუაგულში გველის გამოცვლილი ტყავივით ეგდო.

— ახლა უნდა გავთიშო, — ქალს მეორე მხრიდან ხმა მოესმა.

— შეწუხებისთვის ბოდიშს გიხდით, — მიუგო უხმოდ ატირებულმა მარიამმა. უეცრად თვალწინ ჯალილი დაუდგა. ხელს უქნევდა, მდინარის გადმოსალახად ქვიდან ქვაზე ხტებოდა, ჯიბეები საჩუქრებით ჰქონდა გამოტენილი. გოგონა ყოველდღე ღმერთს ევედრებოდა, რომ მამასთან მეტი დროის გატარების საშუალება ებოძებინა. — გმადლობთ, — თქვა მარიამმა, მაგრამ კაცს უკვე აღარ ესმოდა.

რაშიდი უყურებდა. მარიამმა თავი გაიქნია.

— გამოუსადეგარი! — თქვა და ქალს ხელიდან ტელეფონი გამოსტაცა. — გინდ ქალიშვილი, გინდ მამა!

ვესტიბიულში რაშიდი ენერგიული ნაბიჯებით ყავის მაგიდისკენ გაემართა. სავარძლები უკვე ცარიელი იყო. კაცმა ჯიბეები დარჩენილი ჯალების რგოლებით გაივსო და ზალმაის წაუღო.

## 42

### ლაილა

აზიზამ ქაღალდის ჩანთაში თავისი ყვავილებიანი პერანგი, მოკლე წინდის ერთადერთი წყვილი, შეუხამებელი შალის ხელთათმანები, ძველი, ვარსკვლავებითა და კომეტებით მოხატული გოგრისფერი საბანი, გაბზარული პლასტმასის ფინჯანი, ბანანი და კამათლების გასაგორებელი დაფა ჩააწყო. 2001 წლის აპრილის გრილი დილა იყო. ცოტა ხანში ლაილას ოცდასამი წელი შეუსრულდებოდა. ცა ნაცრისფერი გამხდარიყო, ნოტიო, ცივი ქარი წინა კარს გამუდმებით აბრახუნებდა.

რამდენიმე დღის წინ ხმა გავრცელდა, რომ აჰმად შაჰ მასუდი საფრანგეთში გაემგზავრა და ევროპის პარლამენტს დახმარება სთხოვა. ახლა ის უკვე თავის მშობლიურ ჩრდილოეთში იმყოფებოდა და ჩრდილო ალიანსს ხელმძღვანელობდა, რომელიც „თალიბანის“ წინააღმდეგ მებრძოლ ერთადერთ ოპოზიციურ დაჯგუფებას წარმოადგენდა. ევროპაში ჩასულმა მასუდმა დასავლეთი ავღანეთში არსებული ტერორისტული ბანაკების შესახებ გააფრთხილა და ამერიკის შეერთებულ შტატებს „თალიბანის“ წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების აღმოჩენა სთხოვა.

— თუ პრეზიდენტი ბუში არ დაგვეხმარება, — უთქვამს მას, — ეს ტერორისტები ამერიკას და ევროპასაც ძალიან მალე დააზარალებენ.

ამ მოვლენებამდე ერთი თვით ადრე ლაილამ შეიტყო, რომ ბამიანში თალიბებს ბუდას უზარმაზარი ქანდაკება ნაპრალებში ჩაყრილი ტროტილით აეფეთქებინათ, რადგან მას კერპად და ცოდვად მიიჩნევდნენ. ამ ამბავმა ამერიკიდან ჩინეთამდე საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. სხვადასხვა მთავრობის წარმომადგენლები, ისტორიკოსები და არქეოლოგები მსოფლიოს ყველა კუთხიდან მიმართვის წერილებს წერდნენ, სთხოვდნენ თალიბებს, არ გაენადგურებინათ ავღანეთის ორი უდიდესი ისტორიული არტეფაქტი. მაგრამ მათ უკან არ დაიხიეს და ფეთქებადი ნივთიერებები ორი ათასი წლის ბუდას ქანდაკებაშიც ჩაამონტაჟეს. ყოველი აფეთქებისას სულ „ალაჰუ აქბარს“ გაიძახოდნენ და მტვრის კვამლში გახვეული

ქანდაკების ხელის ან ფეხის დაკარგვას სიხარულის შეძახილებით ხვდებოდნენ. ლაილას კარგად ახსოვდა, როგორ იდგა შორეულ 1987 წელს ბაბისთან და თარიყთან ერთად ამ ორი ბუდადან უფრო დიდის თავზე. მათი მზის შუქით განათებულ სახეებს სიო ელამუნებოდა. თვალს ადევნებდნენ შევარდენს, რომელიც ხევის თავზე წრეზე დაფრინავდა. მაგრამ ახლა ქანდაკების განადგურების ამბავი ლაილამ გულგრილად მიიღო. ბუდაზე როგორღა უნდა ედარდა, როდესაც მისი ცხოვრებაც მტვრად ქცეულიყო?

სანამ რაშიდი წასაყვანად მიაკითხავდა, ლაილა მისაღები ოთახის კუთხეში იატაკზე იჯდა. ხმას არ იღებდა, სახე გაქვავებოდა, კულულები მხრებზე უწესრიგოდ ეყარა. როგორ ღრმადაც არ უნდა ესუნთქა, ფილტვები საკმარისი ჟანგბადით მაინც ვერ ევსებოდა.

ქართე სესკენ გაემართნენ. ზალმაი რაშიდს ეჭირა, აზიზას ხელი მარიამისთვის ჩაევლო და გვერდით სწრაფად მისდევდა. ქარი გოგონას კისერზე შემოხვეულ ჭუჭყიან შარფსა და კაბის არშიას უფრიალებდა. აზიზას სახე გაქვავებოდა, თითქოს თითოეული ნაბიჯის გადადგმისას სულ უფრო კარგად ხვდებოდა, როგორ ატყუებდნენ. ლაილამ ქალიშვილისთვის სიმართლის სათქმელად ძალა ვერ მოიკრიბა, ამიტომ უთხრა, რომ სპეციალურ სკოლაში მიჰყავდა, სადაც ბავშვები ჭამდნენ და ეძინათ, თუმცა სკოლის შემდეგ შინ არ ბრუნდებოდნენ. აზიზა ლაილას ახლაც იმავე კითხვებს აყრიდა, რასაც მთელი ამ დღეების განმავლობაში. მოსწავლეებს ცალ-ცალკე ოთახებში ეძინათ თუ ყველას ერთ დიდ ოთახში? მეგობრებს გაიჩენდა თუ არა? დარწმუნებული იყო, რომ მასწავლებლები კარგად მოეპყრობოდნენ?

და მთავარი კითხვა: „იქ რამდენ ხანს უნდა დავრჩე?“

დაბალი ბარაკებისგან ორი კორპუსის მოშორებით გაჩერდნენ.

— მე და ზალმაი აქ დაგიცდით, — თქვა რაშიდმა. — ჰო, სანამ დამვიწყებია...

კაცმა ჯიბიდან საღეჭი რეზინა ამოიღო, საჩუქარი განშორებისას, და აზიზას მკაცრი, დიდსულოვანი იერით გადასცა. გოგონამ გამოართვა და მადლობა ჩუმი ხმით გადაუხადა. ლაილა გააოცა აზიზას კეთილგან-

წყობამ, მიტევების უნარმა. ქალს თვალებში ცრემლები ჩაუდგა, გული შეეკუმშა და მწუხარებით აივსო, რადგან იმ საღამოს აზიზა მასთან ერთად აღარ დაიძინებდა, მკერდზე ქალიშვილის სიფრიფანა მკლავების სიმძიმეს, ნეკნებზე კი მისი თავის მოყვანილობას ვეღარ იგრძნობდა, აზიზას სუნთქვა კისერს აღარ გაუთბობდა, მისი ქუსლები მუცელზე აღარ მოედებოდა.

როდესაც გოგონამ გზა განაგრძო, ზალმაიმ ყვირილი ატეხა: „ზიზა! ზიზა!“ ბიჭი მამამისის მკლავებში ცმუკავდა და წიხლებს იქნევდა, თავის დას ეძახდა, სანამ მისი ყურადღება ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მეარღნის მაიმუნმა არ მიიპყრო.

უკანასკნელი ორი კორპუსი მხოლოდ მარიამმა, ლაილამ და აზიზამ გაიარეს. შენობას რომ მიუახლოვდნენ, ლაილამ მისი ჩამსხვრეული ფასადი, ჩაზნექილი სახურავი შენიშნა; ფანჯრის მინების ნაცვლად, ჩარჩოზე ხის ფიცრები იყო მილურსმული, საქანელა დახავსებულ კედელზე დაემაგრებინათ.

კართან გაჩერდნენ და ლაილამ ქალიშვილს ადრე ნათქვამი სიტყვები კიდევ ერთხელ გაუმეორა.

— მამაზე თუ გკითხავენ, რა უნდა უპასუხო?

— რომ იგი მოჯაჰედებმა მოკლეს, — მიუგო აზიზამ. მის ხმაში სიფრთხილე იგრძნობოდა.

— ყოჩაღ! გესმის, აზიზა.

— ეს განსაკუთრებული სკოლაა, — განაგრძო გოგონამ. ახლა როდესაც უკვე აქ იყვნენ და შენობა რეალობად იქცა, აზიზას თავზარი დაეცა, ქვედა ტუჩი აუთრთოლდა. ლაილამ მის თვალებზე მომდგარი ცრემლები შენიშნა, რომელთა შეკავებასაც მთელი ძალითცდილობდა. — სიმართლეს თუ ვიტყვით, — გოგონა გაცრეცილი, სუნთქვაშეკრული ხმით ცდილობდა წინადადების დასრულებას, — არ მიმიღებენ. ეს ხომ განსაკუთრებული სკოლაა... სახლში მინდა!..

— შენს სანახავად ხშირად მოვალ, — სიტყვებს თავი ძლივს მოუყარა ლაილამ, — გპირდები!

— მეც! — თქვა მარიამმა, — შენთან მოვალთ, აზიზა-ჯო და ერთად ვითამაშებთ, როგორც ადრე. აქ მხოლოდ დროებით დარჩები, სანამ მამაშენი სამსახურს იპოვის.

— გაჭმევენ, — ხმის კანკალით უთხრა ლაილამ. უხაროდა, რომ ბურკა ეცვა და აზიზა მის განადგურებულ სახეს ვერ ხედავდა. — აქ მშიერი არ იქნები. ბრინჯი, პური და წყალი აქვთ, შესაძლოა, ხილიც.

— მაგრამ აქ შენ არ იქნები, და არც ხალა მარიამი!..

— შენს სანახავად ხშირად მოვალ, — უთხრა ლაილამ. — ყოველდღე ვივლი. შემომხედე, აზიზა. მოვალ და გნახავ. მე ხომ დედაშენი ვარ. რადაც არ უნდა დამიჯდეს, მაინც მოვალ და გნახავ!

ობოლთა თავშესაფრის დირექტორი მხრებში მოხრილი, მკერდშეზნექილი კაცი იყო. სასიამოვნო სახე ნაოჭებით ჰქონდა დაღარული. თავზე თმა აქა-იქ შერჩენოდა, აბურძგნილი წვერი და ცერცვისხელა თვალები ჰქონდა. ზამანი ერქვა. არახჩინი ეხურა. მის სათვალეს მარცხენა ლინზა ჩამტვრეოდა.

თავისი კაბინეტისკენ რომ გაუძღვა, გზად მარიამსა და ლაილას მათი და აზიზას სახელები, გოგონას ასაკი ჰკითხა. ოდნავ განათებული დერეფანი გაიარეს. ფეხშიშველა ბავშვები კედლებს ეკვროდნენ და სტუმრებს აკვირდებოდნენ. ზოგს თმა გაწეწილი ჰქონდა, დანარჩენებს კი საერთოდ გადაპარსული. იდაყვებთან გაცვეთილი სვიტრები, მუხლებთან გამოხეული დაძონძილი ჯინსები, საიზოლაციო ლენტით დაკემსილი ქურთუკები ეცვათ. ლაილას საპნისა და ჰიგიენური პუდრის, ამიაკისა და შარდის სუნი ეცა. აზიზაზე დარდობდა, რომელიც უკვე ზლუქუნებდა.

ქალმა თვალი ეზოს შეავლო: სარეველათი დაფარული მიწის ნაკვეთი, მორყეული საქანელა, ძველი საბურავები, ჩაფუშული კალათბურთის ბურთი მოხვდა თვალში. ცარიელ ოთახებს ჩაუარეს, ფანჯრები პლასტმასის ფირფიტებით იყო დაფარული. ერთ-ერთ ასეთ ოთახში პატარა ბიჭუნა დაბორიალობდა. იგი ლაილას იდაყვზე ჩაებღაუჭა და მის მკლავებამდე აბობღებას ცდილობდა. მომვლელმა ქალმა, რომელიც

იქვე შარდის გუბეს წმენდდა, იატაკის საწმენდი ძირს დადო და ბიჭი ქალს მოაცილა.

როგორც ერთი შეხედვით ჩანდა, ზამანი ობლებს ალერსიანად ეპ-ყრობოდა. გვერდზე ჩავლისას, ზოგიერთს თავზე ხელი მოუთათუნა, ერთი-ორი გულითადი სიტყვა უთხრა, თმა მოურიდებლად აუჩეჩა. ბავ-შვები კაცს კმაყოფილებით ხვდებოდნენ. ლაილამ გაიფიქრა, რომ თითოეული მათგანი მისი მოწონების დამსახურებას ცდილობდა.

ზამანმა სტუმრები თავის კაბინეტში შეიყვანა. ოთახში სამი და-საკეცი სკამი იდგა, სამუშაო მაგიდაზე ქაღალდის დასტები დაუდევ-რად იყო მიმოფანტული.

— ჰერათიდან ხართ? — ზამანმა მარიამს მიმართა. — თქვენი აქ-ცენტით მივხვდი.

კაცი სკამზე უკან გადაიხარა და ხელები მუცელზე შემოიწყო.

— ჩემი ცოლისძმაც იქ ცხოვრობდა, — თქვა მან. მის უბრალო ჟეს-ტებშიც კი დაღლილობა გამოსჭვიოდა. მიუხედავად იმისა, რომ ოდ-ნავ იღიმოდა, ლაილამ გაიფიქრა, შინაგანად რაღაც აწუხებს, მისი კარგი გუნება-განწყობილების მიღმა იმედგაცრუება და მარცხი იმა-ლებაო.

— მინის ოსტატი იყო, — განაგრძობდა ზამანი. — ეს ულამაზესი მწვანე ნეფრიტის გედები მისი ნახელავია. მზის შუქზე თუ დაიჭერთ, ისე ბრწყინავს, თითქოს შუშა წვრილი ძვირფასი ქვებით იყოს სავსე. იქ ოდესმე დაბრუნებულხართ?

მარიამმა უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია.

— მე თვითონ ყანდაარიდან ვარ. ყანდაარში ხომ არ ხართ ნამ-ყოფი, ჰამშირა? არა? მშვენიერი ადგილია. საოცარი ბაღებით. და თქვენ ყურძენი უნდა ნახოთ! ყურძენი! მომაჯადოებელი გემო აქვს.

კართან რამდენიმე ბავშვი შეკრებილიყო და ოთახში იჭყიტებო-და. ზამანმა ისინი პუშტუს ენაზე წარმოთქმული რამდენიმე სიტყვით მშვიდად გაისტუმრა.

— რა თქმა უნდა, ჰერათიც ძალიან მიყვარს. ის ხომ მხატვრებისა და მწერლების, სუფიებისა და მისტიციზმის ქალაქია. ალბათ გაგო-

ნილი გაქვთ ძველი ხუმრობა, ჰერათში ფეხს ისე ვერ გაშლი, პოეტს რომ არ წამოჰკრაო.

აზიზა ლაილას გვერდით იდგა და ფრუტუნებდა. ზამანმა გაითამაშა, ვითომ სუნთქვა შეეკრა.

— აჰ, შეხედეთ. ხომ გაგაცინე, პატარა ჰამშირა?! როგორც წესი, ეს ყველაზე რთული ნაწილია. თავიდან ვწუხდი, ვფიქრობდი, წიწილასავით კრიახი ან ვირივით ყროყინი დამჭირდებოდა, მაგრამ უკვე იცინი. თან როგორ გიხდება!

კაცმა მომვლელი ქალი იხმო, რომ აზიზასთვის ცოტა ხნით ყურადღება მიექცია. გოგონა მარიამს კალთაში ჩაუხტა და მიეკრო.

— აზიზა-ჯო, მოდი ცოტა ხნით გარეთ გავიდეთ, — უთხრა მარიამმა. — დედა ქაქა ზამანს უნდა დაელაპარაკოს. მხოლოდ ერთი წუთით. წამოდი.

როდესაც მარტო დარჩნენ, ზამანმა ქალს აზიზას შესახებ ყველაფერი გამოჰკითხა — დაბადების თარიღი, ავადმყოფობის ისტორია, ჰქონდა თუ არა რაიმეს მიმართ ალერგია. დაინტერესდა გოგონას მამით. ლაილას უცნაური შეგრძნება დაეუფლა, რადგან თითქოს ცრუობდა, მაგრამ, სინამდვილეში, კაცს სრულ სიმართლეს ეუბნებოდა. ზამანი უსმენდა, მისიგამომეტყველებით ვერ მიხვდებოდი, ქალის სიტყვები ირწმუნა თუ არა. როგორც თავად თქვა, თავშესაფარს პატიოსნების პრინციპზე დაყრდნობით მართავდა. რადგან ჰამშირა ამბობს, რომ ქმარი გარდაცვლილი ჰყავს და თავად შვილებზე ზრუნვა არ შეუძლია, დამატებით კითხვები აღარ მაქვსო.

ლაილამ ტირილი დაიწყო.

ზამანმა კალამი მაგიდაზე დადო.

— ძალიან მრცხვენია!.. — ჩახრინწული ხმით თქვა ლაილამ და ხელისგული პირზე აიფარა.

— შემომხედეთ, ჰამშირა.

— დედამ შვილი როგორ უნდა მიატოვოს?!.

— შემომხედეთ.

ლაილამ თავი ასწია და კაცს თვალებში შეხედა.

— თქვენ არაფერ შუაში ხართ. ჩემი გესმით? თქვენი ბრალი არ არის. ყველაფერში ის მხეცები, ვაჰშიები(ვაჰში — ველური.) არიან დამნაშავენი. როგორც პუშტუნს, მრცხვენია მათ გამო! მათ ჩემი ხალხის სახელი შეურაცხყვეს. მხოლოდ თქვენ არ ხართ ამ დღეში, ჰამშირა. აქ ძალიან ბევრი თქვენნაირი დედა მოდის. საკუთარი შვილების გამოკვება არ შეუძლიათ, რადგან თალიბები გარეთ გასვლისა და საარსებო წყაროს მოძიების უფლებას არ აძლევენ. ამიტომ თავს ნუ იდანაშაულებთ. არც არავინ დაგადანაშაულებთ. ყველას გვესმის. მე თქვენი მესმის, ჰამშირა.

ლაილამ ცრემლები ბურკათი მოიწმინდა.

— რაც შეეხება ამ ადგილს, — ზამანმა ამოიოხრა და ხელი ჰაერში გაიქნია, — თავადაც ხედავთ, რომ საშინელი მდგომარეობაა. მუდმივად უსახსრობას ვუჩივით და გაჭირვებულები სხვადასხვა ხერხს მივმართავთ. „თალიბანისგან“ თითქმის საერთოდ ვერ ვიღებთ დახმარებას ან მხოლოდ ძალიან მცირედს. თუმცა თავს როგორღაც ვართმევთ. იმას ვაკეთებთ, რაც გვევალება. ალაჰი მოწყალეა, არ გაგვწირავს და სანამ ის გვეხმარება, აზიზას ყოველთვის ექნება საკვები და ჩასაცმელი. ამას გპირდებით.

ლაილამ თავი დაუქნია.

— შევთანხმდით? — კაცმა გულღიად გაუღიმა, — ძალიან გთხოვთ, არ იტიროთ! თქვენი ცრემლები ბავშვს არ დაანახოთ.

ლაილამ თვალები კიდევ ერთხელ შეიმშრალა.

— ღმერთმა დაგლოცოთ, — ჩაილაპარაკა მან ჩახრინწული ხმით, — ღმერთმა დაგლოცოთ, ძმაო.

დამშვიდობებისას ყველაფერი ზუსტად ისე მოხდა, რისაც ლაილას ეშინოდა.

აზიზა პანიკას მიეცა.

შინ რომ ბრუნდებოდნენ, მარიამზე მიყრდნობილ ლაილას მთელი გზა გოგონას გამკივანი ხმა ჩაესმოდა. წარმოსახვაში ხედავდა ზამანის კოტიტა, დაკოჟრებულ ხელებს, რომელიც აზიზასთვის მკლავზე შემოეხვია და ცდილობდა, თავიდან ნაზად, შემდეგ უფრო

მეტი ძალით, გოგონა ლაილასთვის მოეშორებინა. ზამანის მკლავებში მოქცეული აზიზა ფეხებს იქნევდა, როცა ის სწრაფი ნაბიჯებით დერეფნის მოსახვევში გაუჩინარდა. ლაილას შვილის კივილი ყურში ჩაესმოდა და მიწის გასკდომას ნატრობდა. თვითონაც დერეფანში მირბოდა, თავაჩქინდრული და აღმუვლებული.

— მისი სურნელი მცემს, — უთხრა ლაილამ მარიამს, შინ რომ დაბრუნდნენ. მარიამის მხარს ზემოდან უჩინარ სივრცეს გაჰყურებდა; თითქოს ეზოს, კედლებისა და მწეველის ფურთხივით ყავისფერ მთებს მიღმა იცქირებოდა. — ის სურნელი მცემს, ძილის დროს რომ ასდის. შენც გრძნობ?

— ოჰ, ლაილა-ჯო, — უთხრა მარიამმა. — არ გინდა!.. ეს რას მოგიტანს?

თავდაპირველად რაშიდი ლაილასადმი შემწყნარებლობას იჩენდა და მას, მარიამსა და ზალმაის ობოლთა თავშესაფარში დაჰყვებოდა. მაგრამ ცოლის დასანახად მუდამ შეწუხებულ სახეს იღებდა; აჩვენებდა, რომ მის გამო ასეთი სიძნელის გადალახვა უწევდა, სიარულისას ფეხები და ზურგი სტკიოდა და ამ ყველაფრისგან საშინლად წუხდებოდა.

— ახალგაზრდა აღარ ვარ. — ამბობდა კაცი, — ვიცი, რომ ჩემზე სულ არ დარდობ... შენი ნება რომ იყოს, მიწაშიც ჩამდებდი! მაგრამ ასე არაა, ლაილა. შენს ჭკუაზე ვერ ივლი!

ობოლთა თავშესაფრამდე ორი კორპუსის აქეთ ერთმანეთს შორდებოდნენ და იგი თხუთმეტ წუთზე მეტს არასდროს უცდიდა.

— ერთ წუთსაც თუ დაიგვიანებთ, — აფრთხილებდა რაშიდი, — აღარ დაგელოდებით.

ლაილა ემუდარებოდა, სთხოვდა მოწყალება გაეღო და აზიზასთან მეტი დროის გატარების საშუალება მიეცა მისთვის და მარიამისთვის, რომელიც გოგონასთან განშორებას სასოწარკვეთილებაში ჩაეგო. თუმცა ამ მწუხარებას არავისთან ამჟღავნებდა. ზალმაიც დარდობდა, დას ყოველდღე კითხულობდა, უგუნებობა დასჩემდა და ზოგჯერ ჩაბჟირებამდე ტიროდა.

ხანდახან ობოლთა თავშესაფრისკენ მიმავალი რაშიდი შეჩერდებოდა და წუწუნს იწყებდა, ფეხები გადამეყვლიფაო. შემდეგ მიბრუნდებოდა და სახლისკენ გრძელი, თანაბარი ნაბიჯებით გაეშურებოდა, სულაც არ კოჭლობდა. ან ქათამივით კრიახს დაიწყებდა და ჩიოდა:

— ეს ჩემი ფილტვები, ლაილა... ჰაერი არ მყოფნის!.. იქნებ ხვალ ან ზეგ თავი უკეთ ვიგრძნო. ვნახოთ...

იმითაც კი არ წუხდებოდა, რომ თავი მოეკატუნებინა, თითქოს სუნთქვა მართლა უჭირდა. ხშირად, როგორც კი შინისკენ გაბრუნდებოდა, სიგარეტს უკიდებდა. ლაილასაც სხვა გზა არ რჩებოდა, უკან უნდა გაჰყოლოდა. აღშფოთებულ, გაშმაგებულ ქალს უმწეობისა და უსუსურობისაგან კანკალი ეწყებოდა.

ერთ დღესაც რაშიდმა ცოლს უთხრა, რომ თავშესაფარში მეტად აღარ გაჰყვებოდა.

— მთელი დღე ქუჩა-ქუჩა ხეტიალით და სამსახურის ძებნით ძალიან ვიღლები!.. — განაცხადა მან.

— მაშინ თავად წავალ, — მიუგო ლაილამ, — ვერ შემაჩერებ, რაშიდ. გესმის? რაც გინდა, ის მიქენი, თავშესაფარში მაინც წავალ!

— როგორც გინდა, ისე მოიქეცი. მაგრამ თალიბებს სად გაექცევი?! მერე არ თქვა, რომ არ გაგაფრთხილე.

— მეც შენთან ერთად მოვდივარ! — წამოხტა მარიამი.

მაგრამ ლაილამ ნება არ დართო.

— შენ ზალმაისთან უნდა დარჩე. თუ გზად გაგვაჩერებენ... არ მინდა, რომ ბავშვმა ეს ნახოს.

ასე უეცრად იქცა აზიზასთან მისასვლელი გზების ძიება ლაილას ცხოვრების მთავარ ამოცანად. ნახევარჯერ თავშესაფრამდე ვერ აღწევდა ხოლმე. როგორც კი ქუჩაში თალიბები შენიშნავდნენ, კითხვებს აყრიდნენ: „რა გქვია? სად მიდიხარ? მარტო რატომ ხარ? შენი მაჰრამი სად არის?“ შემდეგ კი სახლში ისტუმრებდნენ. თუ გაუმართლებდა, მხოლოდ სიტყვიერად კიცხავდნენ ან პანღურს ამოჰკრავდნენ და ხელისკვრით იცილებდნენ თავიდან. სხვა შემთხვევაში, ხან

ხის ხელკეტი, წკეპლა, შოლტი, სილა ან ხშირად მუშტებიც კი ხვდებოდა.

ერთ დღეს ახალგაზრდა თალიბმა ლაილა რადიოს ანტენით სცემა. საქმეს რომ მორჩა, საკონტროლო დარტყმა კისერში მიაყენა და უთხრა:

— კიდევ თუ გადამეყრები, იმდენს გცემ, სანამ შენი ძვლებიდან დედის რძე არ გამოჟონავს!

ამჯერად ლაილა სახლში დაბრუნდა. მუცელზე დაწვა. თავი საბრალო, სულელი ცხოველი ეგონა. სიმწრისგან ოხრავდა, როცა მარიამი მისი დასისხლიანებული სხეულიდან ნოტიო სამოსის მოცილებას ცდილობდა. მაგრამ, როგორც წესი, ლაილა არ ნებდებოდა. თავს აჩვენებდა, თითქოს შინ ბრუნდებოდა, სინამდვილეში კი გვერდითი ქუჩებიდან სხვა გზების მოძებნას ცდილობდა. ხშირ შემთხვევაში მაინც გამოიჭერდნენ ხოლმე, დღეში ორჯერ, სამჯერ, ზოგჯერ ოთხჯერაც კი. ისევ კითხვებს უსვამდნენ, მკაცრად ტუქსავდნენ, შოლტს მოუღერებდნენ, ანტენას ჰაერში მოიქნევდნენ და დასისხლიანებული ლაილა შინ მძიმე ნაბიჯებით ბრუნდებოდა ისე, რომ აზიზას ვერც კი ნახულობდა. მალევე ლაილამ ბურკას ქვეშ რამდენიმე ფენა სვიტრის ჩაცმა დაიწყო, სიცხეშიც კი, ცემისგან თავი რომ დაეცვა.

მაგრამ ის ჯილდო, რასაც „თალიბანისგან“ თავის დაღწევის შემდეგ იღებდა, ქალს ყველაფრად უღირდა. საბოლოოდ მას შეეძლო შვილთან საათები გაეტარებინა.

სხვა ბავშვებთან და სტუმრად მისულ დედებთან ერთად ეზოში, საქანელასთან ახლოს ისხდნენ. გოგონა გასული კვირის ამბებს უყვებოდა.

აზიზამ უთხრა, რომ ქაქა ზამანმა განიზრახა, ყოველდღე მათთვის რაღაც ესწავლებინა — წერა-კითხვა, გეოგრაფია, ცოტა ისტორია და მეცნიერება, ცოტ-ცოტა რამ მცენარეებისა და ცხოველების შესახებ.

— მაგრამ ამ დროს ფარდებს ვაფარებთ, — თქვა აზიზამ, — თალიბებმა რომ არ დაგვინახონ. ქაქა ზამანს ნემსები და ძაფის გორგლები მომ-

ზადებული აქვს. თუ თალიბები შემოწმებაზე მოვლენ, წიგნებს დავმალავთ და საქსოვს დავავლებთ ხელს.

ერთ დღეს, როდესაც ლაილა ქალიშვილის მოსანახულებლად თავშესაფარში მივიდა, შუახნის ქალი შენიშნა. ბურკა გადაწეული ჰქონდა. სამ ბიჭთან და ერთ გოგონასთან ერთად იყო. ლაილამ მისი სახის გამოკვეთილი ნაკვთები, ხშირი წარბები, ჩავარდნილი პირი და რუხი თმა იცნო. ახსოვდა მისი თავსაფარი, შავი ქვედაბოლო, უკმეხი ხმა, კეფაზე დახვეული გიშრისფერი თმა, რომლის ქვეშაც კისერზე მოკლე, უხეში ბუსუსები მოუჩანდა. გაიხსენა, რომ იგი ქალ სტუდენტებს თავზე მოხვევას უკრძალავდა; ამბობდა, რომ ქალები და მამაკაცები თანასწორები იყვნენ და არ არსებობდა მიზეზი, რატომაც ქალებს თავდაბურულებს უნდა ევლოთ, თუკი მამაკაცები ასევე არ იქცეოდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ ხალა რანგმალმა ამოიხედა და ლაილას მზერა დაიჭირა, მაგრამ მოხუცმა მასწავლებელმა იგი ვერ იცნო.

— დედამიწის ქერქს ბზარები აქვს, — თქვა აზიზამ, — მათ ნასხლეტები ეწოდება.

თბილი საღამო იყო, 2001 წლის ივნისი, პარასკევი დღე. ოთხივე — ლაილა, ზალმაი, მარიამი და აზიზა ობოლთა თავშესაფრის უკან ისხდნენ. ამჯერად რაშიდმა გამონაკლისი დაუშვა, რაც იშვიათად ხდებოდა, და მათთან ერთად წამოვიდა. ქუჩის ბოლოში, ავტობუსის გაჩერებასთან იცდიდა.

ფეხშიშველა ბავშვები მათ გარშემო დატანტალებდნენ. გაბრტყელებულ ფეხბურთის ბურთს ფეხს ურტყამდნენ და უხალისოდ დასდევდნენ უკან.

— ნასხლეტის ორივე მხარეს ქანების ფენებია, რაც დედამიწის ქერქს წარმოქმნის, — განაგრძო აზიზამ.

აზიზას თმა გადაწეული ჰქონდა, დაწნული და კეფაზე კოხტად დამაგრებული. ლაილას შეშურდა იმ ადამიანის, ვინც ალბათ მისი ქალიშვილის უკან იჯდა ხოლმე, როცა თმას თითებით უყოფდა, და სთხოვდა წყნარად მჯდარიყო.

ამბავს რომ ჰყვებოდა, აზიზა ხელებს შლიდა, ხელისგულებს ისრესდა. ზალმაი კი დას დიდი ინტერესით აკვირდებოდა.

— მათ კექკონიკური ბაქნები ეწოდება, ჰო?

— ტექტონიკური, — შეუსწორა ლაილამ. ქალს საუბარი უჭირდა. თითოეული სიტყვის წარმოთქმისას ზურგი და კისერი სტკიოდა, ყბები გადაყვლეფილი, ტუჩები დასიებული ჰქონდა, ენა კი საღეჭი კბილის ადგილას წარმოქმნილ სიცარიელეში ნელა მოძრაობდა. ორი დღის წინ კბილი რაშიდის წყალობით დაკარგა. სანამ მშობლები დაეღუპებოდა და მისი ცხოვრება თავდაყირა დადგებოდა, ლაილა ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ ცოცხალ არსებას შეეძლო აეტანა უმოწყალო, სისტემატური ცემა და ცხოვრება მაინც ჩვეულ რიტმში გაეგრძელებინა.

— მართალი ხარ. და ამ ბაქნების ხახუნისას თავისუფლდება ენერგია, რომელიც დედამიწის ზედაპირამდე აღწევს და მიწისძვრას იწვევს.

— როგორი გონიერი ხარ! — უთხრა მარიამმა, — შენს სულელ ხალაზე ბევრად გონიერი.

აზიზას სახე გაუბრწყინდა და გაიბადრა.

— სულელი სულაც არ ხარ, ხალა მარიამ. ხოდა, ქაქა ზამანი ამბობს, რომ ზოგჯერ ქანების გადაადგილება სიღრმეში ინტენსიურად და მძლავრად ხდება, მაგრამ ზედაპირზე მხოლოდ სუსტ ბიძგებს ვგრძნობთ. მხოლოდ სუსტ ბიძგებს.

წინა სტუმრობისას გოგონა ატმოსფეროში გაფანტულ ატომებზე საუბრობდა, რომელიც ცას ლურჯად აფერადებდა.

— რომ არა ატმოსფერო, — განაგრძობდა აზიზა, აქოშინებული, — ცა ლურჯი კი არა, კუპრივით შავი, მზე კი სიბნელეში მოელვარე დიდი ზომის ვარსკვლავი იქნებოდა.

— აზიზა ახლა მაინც არ წამოვა სახლში? — იკითხა ზალმაიმ.

— მალე წამოვა, ჩემო ძვირფასო, — მიუგო ლაილამ, — ძალიან მალე.

ქალმა ბიჭს თვალი მიადევნა, მამამისივით დადიოდა, წინ გადახრილი და ტერფებშებრუნებული. ბავშვი საქანელასთან მივიდა, ცარიელ

დასაჯდომს ხელი ჰკრა, ბეტონზე ჩამოჯდა და ნაპრალიდან სარეველა ამოგლიჯა.

— დედიკო, იცოდი, რომ ფოთლებიდან წყალი ორთქლდება? ისევე როგორც თოკზე გაფენილი სარეცხიდან. სწორედ ამის გამო იწოვს ხე წყალს ნიადაგიდან, ფესვებში გაივლის და იქიდან ხის ტანს, ტოტებსა და ფოთლებს მიეწოდება. ამას ტრანსპირაცია ჰქვია.

ლაილა არაერთხელ დაფიქრებულა იმაზე, რა მოხდებოდა, თუკი თალიბები ქაქა ზამანის საიდუმლო გაკვეთილების შესახებ შეიტყობდნენ.

როდესაც დედამისი თავშესაფარს სტუმრობდა, აზიზა ომახიანი, წკრიალა ხმით განუწყვეტლივ ლაპარაკობდა. ერთი საკითხიდან მეორეზე მოულოდნელად გადადიოდა, ხელებს გამუდმებით ნერვიულად ამოძრავებდა, რაც მისთვის სულაც არ იყო დამახასიათებელი. ახლებურად იცინოდა, ეს მთლად სიცილიც არ იყო, უფრო მხნეობის მოსაკრებად ნერვიულ შესვენებებს წააგავდა.

ლაილამ ქალიშვილში სხვა ცვლილებებიც შენიშნა. აზიზას ფრჩხილებქვეშ ჭუჭყი დაგროვებოდა. როდესაც მიხვდა, რომ დედამ დაინახა, გოგონამ ხელები სასწრაფოდ დამალა. თუკი მათ სიახლოვეს რომელიმე ბავშვი ტიროდა, ცხვირიდან ცინგლი სდიოდა ან ტიტლიკანა, ჭუჭყისგან გაზეთილი თმით დარბოდა, აზიზას ქუთოთები აუთრთოლდებოდა და ყურადღების გადასატანად სასწრაფოდ საუბარს იწყებდა. იმ მასპინძელივით იქცეოდა, სტუმრების წინაშე ბინძური სახლისა და მოუწესრიგებელი ბავშვების გამო თავს უხერხულად რომ გრძნობს.

როდესაც ეკითხებოდნენ, თავს როგორ გრძნობდა, ბუნდოვნად, მაგრამ მხნედ პასუხობდა.

— ჩემზე ნუ ღელავთ, კარგად ვარ, ხალა.

— ბავშვები ხომ არ გაბრაზებენ?

— არა, დედიკო. ყველა ძალიან კარგად მექცევა.

— საჭმელს ჭამ? როგორ გძინავს?

— კიდეც ვჭამ და კიდეც მძინავს. გუშინ ბატკანი გვქონდა. თუ ეგ გასულ კვირას იყო.

როდესაც გოგონა ასე საუბრობდა, ლაილა ხედავდა, რამდენი საერთო ჰქონდა მის ქალიშვილს მარიამთან.

აზიზას ენის ბორძიკით დაეწყო ლაპარაკი. პირველმა მარიამმა მიაქცია ამას ყურადღება. ოდნავ შესამჩნევი, თუმცა აშკარა იყო, განსაკუთრებით იმ სიტყვების წარმოთქმისას, რომელიც „ტ“ ასოზე იწყებოდა. ლაილამ ზამანს მაშინვე კითხვები დააყარა, მაგრამ კაცმა წარბები შეკრა და უპასუხა, მეგონა გოგონა ყოველთვის ასე ლაპარაკობდაო.

პარასკევ შუადღეს აზიზა თავშესაფრიდან მცირე დროით გასასეირნებლად წამოიყვანეს. რაშიდი მათ ავტობუსის გაჩერებასთან ელოდა. როდესაც ზალმაიმ მამა შენიშნა, აღტაცებისგან წამოიყვირა და ლაილას მკლავებიდან თავი დაიხსნა. აზიზა რაშიდს თავშეკავებულად მიესალმა.

კაცმა თქვა, რომ უნდა ეჩქარათ, რადგან ორ საათში სამსახურში ბრუნდებოდა. სულ რაღაც ერთი კვირა იყო, რაც „ინტერკონტინენტალში“ შვეიცრად მოწყობილიყო. კვირაში ექვსი დღე, შუადღიდან რვა საათამდე, რაშიდი მანქანების კარებს ხსნიდა, ბარგს დაატარებდა, შვაბრით შემთხვევით დაღვრილ სითხეს წმენდდა. ზოგჯერ, დღის ბოლოს მზარეული ბუფეტის მსგავსი რესტორნიდან შინ ნარჩენების შეუმჩნევლად წაღების ნებას რთავდა. ეს იყო ზეთიანი, ცივი ხორცის ბურთულები, შემწვარი ქათმის ფრთები, გამხმარი და გამომშრალი პურის ქერქი, მაკარონის ნიჟარები, გაქვავებული ბრინჯი. რაშიდი ლაილას ჰპირდებოდა, რომ ერთხელაც, როდესაც ცოტა ფულს მოაგროვებდა, აზიზას შინ დააბრუნებდა.

კაცს ფორმა ეცვა — ბორდოსფერი პოლიესთერის კოსტიუმი, თეთრი პერანგი, ჰალსტუხი, და ქუდი, რომელიც ჭაღარა თმაზე მჭიდროდ ჰქონდა ჩამოცმული. ამ ფორმაში გამოწყობილი რაშიდი სხვა ადამიანად გარდაქმნილიყო. დაუცველი, საცოდავად თავგზააბნეული და უწყინარი ჩანდა. თითქოს ცხოვრებისგან მიყენებული დამცირება ყო-

ველგვარი წინააღმდეგობის გარეშე მიეღო. ამ მორჩილების გამო საბრალოც იყო და მომხიბლავიც.

ავტობუსით „ტიტანიკის ქალაქში“ მივიდნენ. მდინარის ამომშრალ კალაპოტს შეუდგნენ. ორივე ნაპირზე სახელდახელოდ შეკოწიწებული ფარდულები ჩაემწკრივებინათ. როდესაც კიბეებზე დაეშვნენ, ხიდთან ახლოს, ამწეზე, ყურებმოჭრილი, ფეხშიშველა კაცის გვამი შენიშნეს. თოკზე კონწიალობდა და თავი ჩამოვარდნოდა. მდინარის კალაპოტში შეერივნენ მყიდველების ჯგროს, ფულის გადამცვლელებს, თავმობეზრებულ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს,სიგარეტის გამყიდველებს, თავიდან ბოლომდე დაფარულ ქალებს, რომლებიც ხალხს ანტიბიოტიკების ყალბ რეცეპტებს დაჟინებით სთავაზობდნენ და მათ შესავსებად ფულს ითხოვდნენ. მათრახებით შეიარაღებული თალიბები ნასვარს(ნასვარი — ნოტიო, წვრილად დაფქული საყნოსი თამბაქო, რომელსაც ავღანეთში მოიხმარდნენ.) ღეჭავდნენ და „ტიტანიკის ქალაქს“ ფხიზლად აკონტროლებდნენ, ვინმე მოურიდებლად ხომ არ იცინოდა, ვინმეს სახე ხომ არ გამოეჩინა.

ზალმაიმ სათამაშოების ჯიხურიდან, რომელიც ფუსთინების დახლსა და ხელოვნური ყვავილების სადგამს შორის იყო განთავსებული, რეზინის, ყვითელი და ლურჯი ხვეულებიანი კალათბურთის ბურთი გამოაძვრინა.

— შენც აიღე რამე, — უთხრა რაშიდმა აზიზას.

აზიზა შეყოვნდა, შეცბუნებისგან გაშეშდა.

— სწრაფად. ერთ საათში სამსახურში უნდა დავბრუნდე.

აზიზამ საღეჭი რეზინების გასაყიდი სათამაშო აპარატი შეარჩია. მონეტას რომ ჩააგდებდი, საღეჭი რეზინის ბურთულა ჩამოვარდებოდა, შემდეგ კი იმავე მონეტას ნახვრეტიდან იღებდი.

როდესაც გამყიდველმა სათამაშო დააფასა, რაშიდმა წარბები აზიდა, გაცხარებული ვაჭრობა გამართა, ბოლოს კი, თითქოს დამნაშავე აზიზა ყოფილიყო, გაღიზიანებულმა უთხრა გოგონას:

— ახლავე დააბრუნე! ორივეს ვერ ვიყიდი!

უკანა გზაზე, რაც უფრო მეტად უახლოვდებოდნენ თავშესაფარს, აზიზა მით უფრო ნაღვლიანდებოდა. ხელებს აღარ იქნევდა, სახე მოეღუშა. ყოველ ჯერზე ასე ხდებოდა. ახლა ლაილას ჯერი იყო, რომ მარიამთან ერთად ემოქმედა, საუბარი დაეწყო, ნერვიულად ეცინა, მელანქოლია ფუჭი ოხუნჯობით გაექარვებინა. რაშიდი ავტობუსში ავიდა და სამსახურში წავიდა. ლაილა აკვირდებოდა, როგორ უქნევდა აზიზა ხელს, როგორ ითრევდა ფეხს თავშესაფრისკენ მიმავალ გზაზე. ქალი მის ენის ბორძიკსა და იმ სიტყვებზე ფიქრობდა, გოგონამ ნაპრალებისა და მძლავრი შეჯახებების შესახებ რომ უთხრა, ზოგჯერ ზედაპირზე მხოლოდ სუსტ ბიძგებს ვგრძნობთო.

— ეი, შენ, მოუსვი აქედან! — დაიყვირა ზალმაიმ.

— ჩუმად, — გასძახა მარიამმა, — ვის უყვირი?

— აი, იქ კაცია! — მიანიშნა ბიჭმა.

ლაილამ თვალი ბავშვის თითს გააყოლა. ვიღაც გულხელდაკრეფილი კაცი იდგა და ეზოს კარს მიყრდნობოდა. როდესაც მისკენ მიმავალი ქალები შენიშნა, თავი მოაბრუნა, მკლავები ჩამოუშვა და მათკენ რამდენიმე ნაბიჯი კოჭლობით გადმოდგა.

ლაილა შეჩერდა.

გულმკერდიდან საშინელი ხმა ამოუვიდა. მუხლები აუკანკალდა. უეცრად მოუნდა, რომ მარიამის მკლავს, მხარს, მაჯას ან რაიმეს ჩასჭიდებოდა. მაგრამ ასე არ მოქცეულა. ვერ გაბედა. ერთი კუნთიც კი ვერ აამოძრავა. სუნთქვა შეეკრა, თვალის დახამხამებისაც შეეშინდა, რადგან ეგონა, რომ ის, რასაც ახლა ხედავდა, შორიდან მოციმციმე მირაჟი იყო; ილუზია, რომელიც უმალ გაქრებოდა. ლაილა გაუნძრევლად იდგა და თარიყს მიშტერებოდა. ბოლოს და ბოლოს, ჰაერი რომ არ ეყო და ხმაურით ჩაისუნთქა, თვალები რომ აეწვა და რამდენჯერმე დაახამხამა, მისდა გასაკვირად ის ისევ იქ იდგა. თარიყი იქ იდგა!

ლაილამ ერთი ნაბიჯის გადადგმა გაბედა, შემდეგ კიდევ ერთის, კიდევ ერთის და ბოლოს მისკენ გაიქცა.

43

მარიამი

ზალმაი ჭირვეულობდა. ზედა სართულზე, მარიამის ოთახში იყვნენ. ბავშვი თავისი ახალი რეზინის ბურთით თამაშობდა, ხან იატაკზე კენწლავდა, ხან კი კედელს ურტყამდა. მარიამმა სთხოვა, ასე არ მოქცეულიყო, მაგრამ იგი ქალს თვალებში უტიფრად უყურებდა და ბურთით თამაშს მაინც განაგრძობდა. იცოდა, რომ მასთან ყველაფერი გაუვიდოდა. ცოტა ხანი ერთმანეთს სათამაშო მანქანას უგორებდნენ. სასწრაფო დახმარების მანქანას გვერდებზე წითელი წარწერები ჰქონდა.

ცოტა ხნის წინ, როდესაც კართან თარიყს შეხვდნენ, ბიჭმა ბურთი მკერდზე მიიკრო და ცერა თითი პირში იტაკა. ასე მხოლოდ მაშინ იქცეოდა, როცა რაღაც აშფოთებდა. თარიყს ეჭვის თვალით უყურებდა.

— ვინ არის ეს კაცი? — იკითხა მან. — არ მომწონს!

მარიამი აპირებდა აეხსნა, რომ ის და ლაილა ერთად გაიზარდნენ, მაგრამ ზალმაიმ ყური არც კი დაუგდო და უთხრა, სასწრაფო დახმარების მანაქანა გამომიგორეო. ქალი ასეც მოიქცა, მაგრამ ბიჭუნამ ახლა კალათბურთის ბურთი მოინდომა.

— ჩემი ბურთი სად არის? — თქვა მან. — სად არის ბაბა-ჯანის ნაყიდი ბურთი? სად? ბურთი მინდა! მინდა! — ზალმაი ხმას უწევდა, რომელიც თითოეული სიტყვის წარმოთქმისას სულ უფრო მჭახე უხდებოდა.

— სადღაც აქ იყო, — მიუგო მარიამმა. ბიჭმა ტირილი მორთო.

— არა, დაიკარგა! ვიცი. ვიცი, რომ დაიკარგა! სად არის, სად?!

— აი, აქ ყოფილა, — თქვა ქალმა და ბურთი კარადის ქვეშიდან გამოაძვრინა. მაგრამ ზალმაი ღრიალებდა, მუშტებს იქნევდა და ტიროდა.

— ეს ის ბურთი არ არის! ჩემი ბურთი დაიკარგა, ეს სხვა ბურთია! სად არის ჩემი ნამდვილი ბურთი? სად? სად?!.

იქამდე იყვირა, სანამ მასთან ლაილა არ ავიდა, ხელში არ აიყვანა, არ დაარწია და თითები შავ კულულებში არ შეუცურა; სველი ლოყები შეუმშრალა და ყურში საალერსო სიტყვები ჩასჩურჩულა.

მარიამი ოთახთან იცდიდა. კიბის თავიდან მხოლოდ თარიყის გრძელ ფეხებს ხედავდა, ერთი ნამდვილი იყო, მეორე კი — პროთეზი. კაცს ხაკისფერი შარვალი ეცვა და ფეხები მისაღები ოთახის ნოხით დაუფარავ იატაკზე გაეჭიმა. მარიამს უეცრად გონება გაუნათდა. მიხვდა, რატომ ეცნო „კონტინენტალის“ შვეიცარი, როდესაც ის და რაშიდი სასტუმროში ჯალილთან დასარეკად მივიდნენ. კაცს ახლა ქუდი ეხურა და სათვალე ეკეთა, თან უკვე ცხრა წელი გასულიყო. მაგრამ ქალს ნათლად გაახსენდა ის კაცი, ქვედა სართულზე რომ იჯდა, ოფლს ცხვირსახოცით იწმენდდა და წყალს თხოულობდა. ყველაფერი ცხადი გახდა! მისი სულფანილამიდის აბებიც ალბათ ამ ფანდის ნაწილი იყო. ნეტავ, რომელმა მოიფიქრა ეს ტყუილი, ვინ დაწერა სცენარის დეტალები და რამდენი გადაუხადა რაშიდმა აბდულ შარიფს, თუკი მას ნამდვილად ასე ერქვა, რომ ლაილა თარიყის სიკვდილის ამბით გაენადგურებინა?

## 44

ლაილა

კამერაში ერთ კაცთან ერთად ვიჯექი, — თქვა თარიყმა. — მისი ბიძაშვილი ფლამინგოების ხატვის გამო საჯაროდ გაამათრახეს. თალიბების აზრით, მხატვარს უპატიებელი დანაშაული ჩაედინა! ესკიზების უზარმაზარი ალბომი ჰქონდა, ზეთის საღებავით შესრულებულ ნახატებზე ფრინველები წყალში იდგნენ, მზეს ეფიცხებოდნენ ან ჩამავალი მზის ფონზე დაფრინავდნენ.

— ფლამინგოები, — გაიმეორა ლაილამ და თარიყს შეხედა. კედელთან მჯდომს ჯანმრთელი ფეხი მუხლში მოეხარა. უცბად ლაილას ძალიან მოუნდა კიდევ შეხებოდა, ზუსტად ისევე, როგორც ცოტა ხნის წინ ეკვროდა ჭიშკართან. ახლა უკვე იმის გახსენებაც კი რცხვენოდა, როგორ

მიირბინა მასთან, კისერზე როგორ ჩამოეკიდა, მის გულმკერდზე მიკრული როგორ ქვითინებდა და თან თარიყის სახელს განუწყვეტლივ, ბუტბუტით იმეორებდა. ძლიერი სურვილით იყო შეპყრობილი და თავს მაშინ ვერაფერს უხერხებდა. ამჯერადაც მთელი გულით სურდა, კიდევ ერთხელ შეხებოდა, დარწმუნებულიყო, რომ არ ესიზმრებოდა, რომ მის წინაშე ნამდვილი თარიყი იდგა და არა მისი აჩრდილი.

— ნამდვილად, — თქვა კაცმა, — ფლამინგოები. როდესაც თალიბებმა ნახატები აღმოაჩინეს, ყველაზე მეტად ფრინველების გრძელი, შიშველი ფეხების გამო აღშფოთდნენ. ჩემი მეგობრის ბიძაშვილს ქვედა კიდურები შეუკრეს და ფეხისგულები შოლტით სულ დაუსისხლიანეს. შემდეგ არჩევანის წინაშე დააყენეს: ამ ნახატებს ან სათანადოდ გადააკეთებ, ან ერთიანად გავანადგურებთო. ასე რომ, კაცმა ხელში ფუნჯი აიღო და ფრინველებს შარვლები მიუხატა. ასე გაჩნდა ისლამური ფლამინგოები.

ლაილას გაეცინა, მაგრამ უმალ თავი შეიკავა. თავისი გაყვითლებული, ჩამტვრეული კბილების, ჩამომჭკნარი სახისა და დასიებული ტუჩების გამო მოერიდა. ნატრობდა, სახის დაბანვის ან თმის დავარცხნის საშუალება მქონდესო.

— მაგრამ მოგებული მაინც მხატვარი დარჩა, — განაგრძო თარიყმა. — შარვლები აკვარელით მიახატა და თალიბების წასვლის შემდეგ საღებავს უბრალოდ წყლით ჩამორეცხავს. მართლაც...

კაცმა გაიღიმა. ლაილამ შენიშნა, რომ წინა კბილი მასაც აკლდა, მაგრამ თვალი უმალ აარიდა და მზერა მის ხელებზე გადაიტანა. თარიყს ფაქოლი ეხურა, სალაშქრო, ყელიანი ფეხსაცმელი ეცვა და შავი შალის სვიტრი ხაკისფერ შარვალში ჩაეტანებინა. ოდნავ იღიმოდა, თავს ნელა იქნევდა. სიტყვა „მართლაც“ ლაილას მისგან აქამდე არასდროს სმენოდა. მსჯელობისას ადრე არც ხელების ამგვარი განლაგება სჩვეოდა, თითებს კარვის ფორმას რომ აძლევდა და ფეხებზე იდებდა. როგორ მოწიფულივით საუბრობდა! მოწიფული ადამიანისთვის დამახასიათებელ ჟესტებს იყენებდა. ან რა გასაკვირი

უნდა ყოფილიყო ეს უკვე ზრდასრული, ოცდახუთი წლის მამაკაცისგან? მაღალი, წვერიანი თარიყი იმაზე უფრო გამხდარი ჩანდა, ვიდრე ლაილას მოგონებებში; დინჯი ქცევები და დაღლილი ღიმილი ჰქონდა; მისი ძლიერი, ნაჯაფი ხელები ვენებს დაესერა. სახე გამხდარი და ლამაზი შერჩენოდა, თუმცა არა ადრინდელივით თეთრი. კისერსა და სახეზე მზე მოკიდებოდა. გახუნებული წარბები ხანგრძლივი, დამქანცველი მგზავრობიდან დაბრუნებული მოგზაურისას მიუგავდა. ფაქოლი უკან გადაეწია და ლაილა კარგად ხედავდა, რომ თავზე თმა შეთხელებოდა. თაფლისფერი თვალები ჩაქრობოდა და გაღიავებოდა. თუმცა, შესაძლოა, ქალს ოთახში შემოჭრილი სინათლე ატყუებდა.

ლაილას თარიყის დედა გაახსენდა, მისი აუჩქარებელი მანერები, ჭკვიანური ღიმილი, მკრთალი იისფერი პარიკი. და სარკასტული იუმორის მქონე მამა, მოჭუტული თვალებით რომ იცოდა გამოხედვა. ცოტა ხნის წინ, როდესაც კართან ატირებულმა ლაილამ კაცს უთხრა, მეგონა შენ და შენს მშობლებს რაღაც შეგემთხვათო, თარიყმა მხოლოდ თავი გაიქნია. ამიტომ ქალმა ისინი კიდევ ერთხელ მოიკითხა, თუმცა თავისი შეკითხვა უმალ ინანა, რადგან კაცმა თავი ჩარგო და წუხილით თქვა, რომ ისინი ცოცხლები აღარ იყვნენ.

— ძალიან ვწუხვარ!

— ხო, მეც. აი, — თქვა მან, ჯიბიდან ქაღალდის პატარა პარკი ამოაცურა და ქალს გაუწოდა. — ეს შენ ალიონასგან, საუკეთესო სურვილებით.

პარკში ყველის ნაჭერი იდო.

— ალიონა. რა ლამაზი სახელია... — ლაილამ სცადა, რომ მომდევნო სიტყვები თრთოლვის გარეშე წარმოეთქვა, — შენი ცოლია?

— არა, ჩემი თხაა, — უპასუხა მან და მოლოდინით გაუღიმა, აინტერესებდა, ეს სახელი ქალს რამეს გაახსენებდა თუ არა.

ლაილას გაახსენდა. საბჭოთა ფილმი. ალიონა კაპიტნის ქალიშვილი იყო. გოგონა, რომელსაც კაპიტნის პირველი თანაშემწე შეუყვარდა. ფილმი იმ დღეს ნახეს, თარიყი, ლაილა და ჰასინა ქაბულიდან მი-

მავალ საბჭოთა ტანკებსა და „ჯიპებს“ რომ ადევნებდნენ თვალს. მაშინ ბიჭს სასაცილო რუსული ბეწვის ქუდი ეხურა.

— იძულებული ვარ, ბოძზე მივაბა, — თქვა თარიყმა. — თან გარშემო ღობე ავუშენე. მგლების გამო ვშიშობ. მთის ძირას ვცხოვრობ, იქიდან კი დაახლოებით მეოთხედი მილის მოშორებით ტყეა, ძირითადად ფიჭვის, ნაძვისა და კედრის. როგორც წესი, მგლები ტყეს არ ტოვებენ, მაგრამ უმეთვალყურეოდ მოსეირნე თხის კიკინმა, შესაძლოა, მგელი ტყიდანაც კი გამოიტყუოს. ღობე ამიტომაც შემოვავლე და თან ბოძზეც მივაბი.

ლაილა დაინტერესდა, რომელი მთის ძირში ცხოვრობდათარიყი.

— პირ პანჯალის, პაკისტანშია, — მიუგო მან. — იმ ადგილს, სადაც მე ვცხოვრობ, მარი ჰქვია. საზაფხულო კურორტია, ისლამაბადიდან ნახევარი საათის სავალზე, მთიანი და მწვანეში ჩაფლული. ზღვის დონიდან საკმაოდ მაღლაა, ამიტომ ზაფხულშიც კი გრილა. ტურისტებისთვის სამოთხეა. სამთო ბაზა რავალპინდში განთავსებული სამხედრო შტაბის ახლოს ბრიტანელებს გაუშენებიათ ვიქტორიანელებისთვის, სიცხის დროს თავი რომ შეეფარებინათ. კოლონიური პერიოდის კვალი აქა-იქ ჯერ კიდევ შეიმჩნევა — უძველესი ჩაიხანა, თუნუქის სახურავიანი ბუნგალოები, კოტეჯებს რომ ეძახიან. მთავარ ქუჩას მოლი ეწოდება. იქ ფოსტა, ბაზარი, რამდენიმე რესტორანი და მაღაზიებია გახსნილი, სადაც შეღებილ შუშასა და ხელით ნაქსოვ ხალიჩებს ტურისტებს უფრო ძვირად სთავაზობენ. უცნაური ის არის, რომ მოლზე ცალმხრივი მოძრაობაა. ერთი კვირა ერთი მიმართულებით მოძრაობ, მეორე კვირას კი — საწინააღმდეგო მიმართულებით. ადგილობრივები ამბობენ, რომ ირლანდიაში ზოგიერთ ადგილას დღესაც ამ ტიპის მოძრაობაა. ეგ არ ვიცი, მაგრამ ადგილი მართლაც ულამაზესია! ხალხი უბრალო ცხოვრებით ცხოვრობს და იქ თავს კარგად ვგრძნობ.

— შენს თხასთან, ალიონასთან ერთად.

ლაილა შეეცადა, რომ ამ ხუმრობით საუბრის თემა ფარულად გადაეტანა იმ საკითხზე, რომელიც ასე აინტერესებდა, თარიყთან ერთად ვინ ზრუნავდა ალიონაზე. მაგრამ კაცმა თანხმობის ნიშნად მხოლოდ თავი დაუკრა.

— მეც ძალიან ვწუხვარ შენი მშობლების გამო, — უთხრა მან.

— უკვე გაიგე?

— მეზობლებს ვესაუბრე, — თქვა თარიყმა. ერთი წამით სიჩუმე ჩამოვარდა და ლაილამ წარმოიდგინა, კიდევ რისი მოყოლა შეეძლოთ მეზობლებს. — ვეღარავინ ვიცანი.

— ყველა წავიდა. შენი ნაცნობებიდან აღარავინ დარჩა.

— ქაბულსაც ვეღარ ვცნობ.

— ვერც მე, — უპასუხა ლაილამ, — მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი არასდროს დამიტოვებია.

— დედიკოს ახალი მეგობარი ჰყავს! — თქვა ზალმაიმ იმავე ღამეს, სადილობისას, თარიყის წასვლის შემდეგ. — კაცი.

— რას მეუბნები?! — გამოცოცხლდა რაშიდი.

თარიყმა მოწევის ნებართვა ითხოვა.

თარიყი და მისი მშობლები ცოტა ხნით ფეშავართან ახლოს, ნასირ ბაღის ლტოლვილთა ბანაკში გაჩერებულან. იმ დროს იქ თურმე უკვე სამოცი ათასი ავღანელი ცხოვრობდა.

— ეს ბანაკი ისეთი ცუდი არ იყო, როგორიც ჯალოზაი, — თქვა მან, — როგორც ვხვდები, ის ცივი ომის დროს დასავლეთმა იმისთვის შექმნა, რომ მსოფლიოსთვის დაემტკიცებინა, ავღანეთზე მხოლოდ თვალი კი არ გვიჭირავს, ასეთ თავშესაფრებსაც ვუშენებთო. მაგრამ ეს საბჭოთა ომის დროს იყო, — განაგრძო თარიყმა, — ჯიჰადისა და მსოფლიო დაინტერესების დროს, როცა გულუხვად გვაფინანსებდნენ და მარგარეტ ტეთჩერიც ხშირად გვსტუმრობდა. დანარჩენი შენც კი იცი, ლაილა. ომის შემდეგ საბჭოთა კავშირი დაიშალა და ავღანეთიდან დასავლეთის ხალხი გავიდა. აღარავის ვჭირდებოდით, ავღანეთში ფული ამოიწურა. ახლა ნასირ ბაღი აღარაფერია კარვების, მტვრისა და ღია კო-

ლექტორების გარდა. როდესაც იქ ჩავედით, ხელში ჯოხები და ბრეზენტი მოგვაჩეჩეს და გვითხრეს, კარავი თავად გამართეთო.

თარიყმა თურმე იქ ერთი წელი დაჰყო. ახლა ყველაფერი ყავისფრად აგონდებოდა — კარვები, ხალხი, ძაღლები, ფაფა.

ბიჭი ყოველდღე ფოთლებშემოძარცულ ხეზე ძვრებოდა, ტოტს გადააჯდებოდა და მზეზე წამოწოლილ ლტოლვილებს, მათ ჭრილობებსა და ამპუტირებულ კიდურებს უყურებდა. გაძვალტყავებული ბავშვები თუნუქის ტოლჩებით წყალსა და ხორბლის ფქვილის ტომრებს დაათრევდნენ, თუმცა ამ ფქვილისგან პური რატომღაც არ ცხვებოდა; ცეცხლის დასანთებად ძაღლის მოსაქმებულს აგროვებდნენ, ბლაგვი დანებით ხისგან სათამაშო აკ-47-ს ჭრიდნენ. ლტოლვილების ქალაქში ქარი კარვების ბრეზენტს ძლიერად არხევდა, გამხმარ სარეველას აქეთ-იქით ფანტავდა, თიხით აშენებული ქოხების სახურავებიდან ფრანებს აფრიალებდა.

— უამრავი ბავშვი დაიღუპა დიზენტერიისგან, ტუბერკულოზისა და შიმშილისგან. უმეტესწილად, დიზენტერია ავლებდა მუსრს. ღმერთო ჩემო, ლაილა, იმდენი ბავშვის დაკრძალვას შევესწარი! ამაზე უარესს ადამიანი ვერაფერს ნახავს...

თარიყმა ფეხი ფეხზე გადაიდო. ცოტა ხნით ისევ სიჩუმემ დაისადგურა.

— მამამ პირველი ზამთარიც კი ვერ გადაიტანა, — თქვა მან, — დედას ფილტვების ანთება დაემართა და კინაღამ მოკვდა. ვერც გადარჩებოდა, რომ არა იქაური ექიმი, რომელმაც სამგზავრო ვაგონი მობილურ საავადმყოფოდ აქცია. ყოველღამე სიცხიანს ეღვიძებოდა, ჟანგისფერ ნახველს იღებდა. ექიმთან უზარმაზარი რიგები იდგა. რიგში ყველა კანკალებდა, კვნესოდა, ახველებდა, ზოგიერთს ფეხებს შორის განავალი გასდიოდა, დანარჩენები ძალაგამოცლილები, მშივრები იყვნენ. ექიმი კეთილშობილი კაცი აღმოჩნდა. დედას უმკურნალა, აბები მისცა და იმ ზამთარს სიცოცხლე შეუნარჩუნა.

ზუსტად იმ ზამთარს მიიმწყვდია თურმე თარიყმა ერთ-ერთი იქაური ბავშვი კუთხეში.

— თორმეტი ან ცამეტი წლის იქნებოდა, — თქვა მან მშვიდად, — ყელთან შუშის ნატეხი მივაბჯინე და საბანი წავართვი. დედასთვის მინდოდა.

დედის ავადმყოფობის შემდეგ თარიყმა პირობა დადო, რომ მომავალ ზამთარს ამ ბანაკში აღარ გაატარებდნენ. იმუშავებდა, ფულს გადაინახავდა და ფეშავარში იქირავებდასახლს, სადაც გათბობა და სუფთა წყალი იქნებოდა. გაზაფხულზე სამუშაოს ძებნას შეუდგა. დროდადრო დილაობით ბანაკში სატვირთო მანქანა მოდიოდა და რამდენიმე ბიჭი მიჰყავდა მინდორში ლოდების გადასაზიდად ან ხეხილის ბაღში ვაშლის საკრეფად, მცირეოდენი ფულის, ზოგჯერ კი საბნის ან წყვილი ფეხსაცმლის სანაცვლოდ. მაგრამ თარიყი არავის უნდოდა.

— ფეხზე დამხედავდნენ თუ არა, ყველაფერი დამთავრებული იყო!

სხვა ტიპის სამუშაოც იყო. თხრილების ამოთხრა, ქოხების აშენება, წყლის ზიდვა, საპირფარეშოს გასუფთავება. ახალგაზრდა მამაკაცები სამუშაოსთვის იბრძოდნენ და თარიყი მუდამ განზე რჩებოდა. 1993 წლის შემოდგომაზე იგი ერთ-ერთი მაღაზიის მფლობელს შეხვდა.

— მან ავტობუსის ბილეთი და მისამართი მომცა. ლაჰორში მაღაზიის მფლობელის მეგობრისთვის პალტო უნდა მიმეტანა, სანაცვლოდ ცოტაოდენ ფულს მივიღებდი. ლაჰორის რკინიგზის სადგურთან ახლომდებარე ქუჩა იყო.

— წინასწარ ვიცოდი. რა თქმა უნდა, ვიცოდი, — თქვა თარიყმა, — გამაფრთხილა, თუ დაგიჭერენ, არაფერი წამოგცდეს, თორემ დედაშენის ადგილსამყოფელი ვიციო. მაგრამ ზამთარი ახლოვდებოდა და ამ ფულის ხელიდან გაშვება არ შემეძლო.

— რამდენად შორს შეტოპე? — ჰკითხა ლაილამ.

— არც ისე შორს, — თქვა თარიყმა და გაიცინა. მის ხმაში მობოდიშება და დარცხვენა გამოსჭვიოდა. — ავტობუსამდეც კი ვერ მივედი. მეგონა, რომ უსაფრთხოდ ვიყავი. მაგრამ, შესაძლოა, ვიღაცამ ჩამიშვა. ვიღაც ყურში ფანქარგარჭობილი ბიჭი დამხვდა, რომელიც ამ ამბავს გა-

ნაგებდა. მან თქვა: კი, კი, მას შეიძლება ჰქონდეს! რაღაც უკვე გადაუხადეს კიდეცო. როგორც კი პოლიციელმა პალტოს დანა შეახო, ნაკერებიდან მთელ ქუჩაზე ჰაშიში მიმოიფანტა, — ამ სიტყვების წარმოთქმისას თარიყმა კიდევ ერთხელ გაიცინა, ხმამაღლა და ნერვიულად. ლაილას გაახსენდა, როგორ იცინოდა იგი ზუსტად ასე პატარაობისას, თავისი შეშფოთება ან რაიმე უგუნური და სამარცხვინო საქციელი რომ დაეფარა.

— კოჭლობს, — თქვა ზალმაიმ.

— მე ვისაც ვფიქრობ, ის არის?

— უბრალოდ გვესტუმრა, — ჩაერია მარიამი.

— მოკეტე! — დაიყვირა რაშიდმა და თითი ჰაერში აღმართა. შემდეგ კი ისევ ლაილას მიუბრუნდა. — ეს რა მესმის? ლაილა და მაჯნუნი ისევ ერთად არიან?! ისე, როგორც ძველ, კარგ დროს. — კაცს სახე გაუქვავდა, — ანუ სახლში შემოუშვი, ჩემს სახლში! აქ ჩემს ვაჟთან ერთად იყო!

— შენ გამასულელე, მომატყუე! — კბილებში გამოსცრა ლაილამ. — ის კაცი პირისპირ დამისვი და... იცოდი, თუ მეცოდინებოდა, რომ ცოცხალია, აქ არ დავრჩებოდი!

— შენ არ მომატყუე? — დაიღრიალა რაშიდმა. — გეგონა, ვერ მივხვდებოდი? შენი ჰარამის შესახებ ვერ შევიტყობდი? სულელი გგონივარ, შე კახპა?

თარიყი რაც უფრო მეტს საუბრობდა, ლაილას სულ უფრო მეტად ეშინოდა იმ წუთის, როცა კაცი ლაპარაკს შეწყვეტდა, სიჩუმე დაისადგურებდა და უკვე მას მოუწევდა საუბრის წამოწყება, იმის ახსნა, რა და როგორ მოხდა, რაც თარიყმა ალბათ ისედაც იცოდა. ყოველი პაუზისას ქალი მხნეობას კარგავდა, კაცს თვალს არიდებდა და მის ხელებს აჩერდებოდა, ამ წლების განმავლობაში უხეში, მუქი ფერის თმით რომ დაფარვოდა.

თარიყს ციხის წლებზე ბევრი არ უსაუბრია, მხოლოდ ის აღნიშნა, რომ იქ ურდუს ენა ისწავლა. როდესაც ლაილამ დამატებით კითხვები დაუსვა, თავი სწრაფად გაიქნია და ამ ჟესტმა ლაილას ცხადად

წარმოადგენინა დაჟანგული ცხაური და დაუბანელი სხეულები, მოძალადე კაცები და ხალხით გადაჭედილი დერეფნები, დაობებული საკნების დამპალი ჭერი; მის სახეზე ამოიკითხა, რომ ეს იყო დამამცირებელი, დამაკნინებელი და სასოწარკვეთის მომგვრელი ადგილი.

თარიყმა თქვა, რომ დაპატიმრების შემდეგ დედამ მისი ნახვა სცადა.

— სამჯერ მოვიდა, მაგრამ ჩემამდე ერთხელაც ვერ მოაღწია. წერილებს ვწერდი, თუმცა ვეჭვობ, არც კი მიუღია. შენც გწერდი.

— მართლა?

— ოჰ, ტომებად, — თქვა მან. — შენს მეგობარ რუმის ჩემი შემოქმედების შეშურდებოდა! — თარიყმა ისევ გაიცინა, ამჯერად უფრო ხმაურიანად, თითქოს თავისი გამბედაობა აშინებდა და თან ამ ამბის გამხელით დაბნეულიყო.

ზედა სართულზე ზალმაიმ ღრიალი მორთო.

— როგორც ძველ, კარგ დროს! — გაიმეორა რაშიდმა. — თქვენ ორნი! დარწმუნებული ვარ, შენი სახეც დაანახე!

— კი! — წამოიყვირა ზალმაიმ, შემდეგ კი ლაილას მიმართა, — ასე არ იყო, დედიკო? დაგინახე!

— შენს ვაჟს გულზე არ ვეხატები, — თქვა თარიყმა, როცა ლაილა ზედა სართულიდან ჩამოვიდა.

— ვწუხვარ, — მიუგო ქალმა, — ასე არ არის. ის უბრალოდ... ყურადღებას ნუ მიაქცევ.

შემდეგ საუბრის თემა სწრაფად შეცვალა, რადგან თავი დამნაშავედ იგრძნო ზალმაის გამო. ის ხომ ბავშვი იყო, პატარა ბიჭუნა, რომელსაც მამა სიგიჟემდე უყვარდა, და მისი ინსტინქტური ზიზღი უცნობისადმი გასაგები და გამართლებულიც კი იყო.

„გწერდი! წერილებს ტომებად გწერდი...“

— რამდენი ხანია, რაც მარიში ცხოვრობ?

— წელიწადზე ნაკლები, — მიუგო თარიყმა.

ციხეში ერთ ხნიერ, პაკისტანელ კაცთან დამეგობრებულა, სალიმთან. ოდესღაც თურმე მინდვრის ჰოკეის თამაშობდა. ციხეში წლები გა-

ეტარებინა. უშიშროების სამსახურის პოლიციელის დაჭრის გამო ათი წელი ჰქონდა მისჯილი.

— სალიმის მსგავსი კაცები ყველა ციხეში არიან, — თქვა თარიყმა. — მოხერხებაც რომ აქვს და კავშირებიც, სისტემას რომ ამუშავებს და გამოსავალს ყოველთვის პოულობს, მისგან გამორჩენასაც შეიძლება ელოდო და საფრთხესაც. სალიმმა შეძლო, რომ დედაჩემის ამბავი გაეკითხა. სწორედ მან მამცნო მისი გარდაცვალების შესახებ თბილი, მამობრივი ხმით... პაკისტანის ციხეში შვიდი წელი დავყავი, მაგრამ მაინც ადვილად გამოვძვერი. გამიმართლა. მოსამართლეს, რომელიც ჩემს საქმეს განიხილავდა, ძმა ჰყავდა. იგი ავღანელ ქალზე იყო დაქორწინებული. შესაძლოა, ამის გამო შემიწყალა. ზუსტად არ ვიცი.

როდესაც 2000 წლის ზამთარში თარიყმა სასჯელი ბოლომდე მოიხადა, სალიმმა მას თავისი ძმის, საიდის, მისამართი და ტელეფონის ნომერი მისცა.

— მითხრა, რომ საიდი მარიში პატარა სასტუმროს მფლობელი იყო, — განაგრძო თარყიმა. — სასტუმრო ტურისტებისთვის განკუთვნილი ოცი ნომრისა და ვესტიბიულისგან შედგებოდა. დამაბარა, რომ ჩახვალ, უთხარი, რომ მე გაგგზავნეო.

ავტობუსიდან ფეხი ჩამოდგა თუ არა, თარიყს მარი თურმე იმ წამსვე მოეწონა. გარშემო დათოვლილი ფიჭვები და სუსხიანი, სუფთა, ჰაერი იყო; დარაბებიანი ხის კოტეჯების საკვამურებიდან თეთრი კვამლი მიიკლაკნებოდა.

თარიყმა საიდის კარზე დააკაკუნა და გაიფიქრა, რომ ეს იყო ადგილი, სადაც სიღატაკის არა გაეგებოდათ რა, არც გასაჭირისა და მწუხარების შესახებ ჰქონდათ წარმოდგენა. სულ სხვა სამყაროში აღმოჩენილიყო.

— საკუთარ თავს ვუთხარი, აქ მართლა შეიძლება ადამიანმა წარმატებას მიაღწიოს-მეთქი!

თარიყი შვეიცარად აიყვანეს, მაგრამ სასტუმროში, როგორც ხელმარჯვე ადამიანს, ყველანაირ საქმეს ავალებდნენ. მზარეული

ხანდაზმული, დარბაისელი ქვრივი იყო, სახელად ადიბა. მისი და თარიყის ქოხები სასტუმროსგან განცალკევებით იდგა. ქოხებსა და შენობას შორიშორს მდგარი ნუშის ხეები, გრძელი სკამი და პირამიდის ფორმის ქვის შადრევანი ჰყოფდა, საიდანაც მთელი ზაფხული წყალი მორაკრაკებდა. ლაილამ წარმოიდგინა, როგორ იჯდა ხოლმე თარიყი თავის ქოხში, საწოლზე, და ფანჯრიდან ფოთლოვან სამყაროს გაჰყურებდა.

კაცმა მეპატრონის კეთილგანწყობა დაიმსახურა და საიდმა იგი სრულ სამუშაოზე გადაიყვანა. უფასო ლანჩი დაუნიშნა, შალის ქურქი მისცა და ახალი პროთეზიც მოარგო. მის გულკეთილობას თარიყი აუტირებია კიდეც. თავისი პირველი ხელფასით ქალაქში წასულა და ალიონა შეუძენია.

— საოცრად თეთრი ბეწვი აქვს, — ღიმილით თქვა თარიყმა. — ზოგჯერ, როდესაც დილას ფანჯრიდან თოვლით გადაპენტილ გარემოს ვუყურებ, მხოლოდ მისი ორი თვალი და დინგი ჩანს.

ლაილამ თავი დაუქნია. ისევ სიჩუმემ დაისადგურა. ზალმაიმ კედლებზე ბურთის ბრახუნი ატეხა.

— მკვდარი მეგონე, — თქვა ლაილამ.

— ვიცი. უკვე მითხარი.

ქალს ხმა გაებზარა. ჩაახველა და გამბედაობის მოკრება სცადა.

— ის კაცი, რომელმაც შენი ამბავი მოიტანა, ისეთი გულწრფელი ჩანდა... დავუჯერე, თარიყ. ნეტავ, ასე არ მომხდარიყო, მაგრამ დავუჯერე! შემდეგ თავი ისე მარტოსულად ვიგრძენი, შიშმა ამიტანა. სხვა შემთხვევაში, რაშიდს ცოლად არ გავყვებოდი. არასდროს!..

— არ გინდა, — ნაზად უთხრა თარიყმა და ქალს თვალი აარიდა. მის ხმაში არც ფარული საყვედური და არც ბრალდება არ იგრძნობოდა. არც არაფერში ადანაშაულებდა.

— მინდა, თარიყ. რადგან არსებობდა სერიოზული მიზეზი, რის გამოც ამ ქორწინებას დავთანხმდი. არის რაღაც, რაც უნდა იცოდე. უფრო სწორად, ვიღაც. აუცილებლად უნდა გითხრა.

— შენც იმ კაცთან ერთად იჯექი და ესაუბრებოდი? — ჰკითხა რაშიდმა ზალმაის.

ბავშვმა არ უპასუხა. ლაილამ მის თვალებში ყოყმანი და გაურკვევლობა შენიშნა, თითქოს ის-ის იყო გააცნობიერა, რომ რაღაც იმაზე სერიოზული გაამხილა, ვიდრე თავად ეგონა.

— შენ გეკითხები, ბიჭო.

ზალმაიმ ენა გადაყლაპა. მზერა ხან დედაზე და ხან მამაზე გადაჰქონდა.

— ზევით ვიყავი და მარიამს ვეთამაშებოდი.

— ამ დროს დედაშენი სად იყო?

ზალმაიმ ლაილას მობოდიშებით შეხედა, უკვე ცრემლები ახრჩობდა.

— ყველაფერი რიგზეა, ზალმაი, — უთხრა დედამ, — სიმართლე თქვი.

— ის... ის ქვევით იყო და იმ კაცს ელაპარაკებოდა, — ჩაიბუტბუტა ბიჭუნამ.

— გასაგებია, — თქვა რაშიდმა, — აი, მესმის გუნდური მუშაობა!

წასვლისას თარიყმა თქვა:

— მასთან შეხვედრა მინდა. აუცილებლად უნდა ვნახო!

— ამ ამბავს მე მოვაგვარებ, — შეპირდა ლაილა.

— აზიზა. აზიზა, — კაცმა გაიღიმა, თითქოს ცდილობდა, ეს სახელი კარგად შეეგრძნო. როდესაც „აზიზას“ რაშიდი წარმოთქვამდა, ლაილას მუდამ გულის ამრევად, ვულგარულად ეჩვენებოდა. — აზიზა. ლამაზი სახელია!

— თვითონაც ლამაზია. თავადაც ნახავ.

— წუთებს დავითვლი.

მათი ბოლო შეხვედრიდან ათი წელი გასულიყო. ლაილას თვალწინ დაუდგა ხეივანში ერთად გატარებული თითოეული წუთი, მათი საიდუმლო კოცნაც. ფიქრობდა, ნეტავ, ახლა რა თვალით შემომხედაო? მისთვის ისევ მიმზიდველი ვარ თუ არა? ან იქნებ დასუსტებულ, შესაბრალის ქალად ვეჩვენე, რომელიც საზარელი მოხუცი-

ვით ჩამომჭკნარა და ფეხების ფრატუნით დადისო. უკვე ათი წელი გასულიყო. მაგრამ როდესაც თარიყთან ერთად მზის შუქზე იდგა, ერთი წამით მოეჩვენა, რომ ეს წლები არც არასდროს ყოფილა. მისი მშობლების სიკვდილი, რაშიდთან ქორწინება, მკვლელობები, „თალიბანი“, ცემა, შიმშილი, თავისი შვილებიც კი — ეს ყველაფერი სიზმარს, უცნაურ შემოვლით გზას, მათ ბოლო შეხვედრასა და ამ საღამოს შორის არსებულ ინტერლუდიას დაემსგავსა.

შემდეგ თარიყს სახე ეცვალა, დასერიოზულდა. ეს გამომეტყველება ქალს კარგად ახსოვდა. ზუსტად ასეთივე სახე ჰქონდა იმ დღეს, როდესაც ჯერ კიდევ ბავშვები იყვნენ, ფეხი მოიხსნა და ხადიმს გამოუდგა. თარიყი ხელით მისი ქვედა ტუჩის კუთხეს შეეხო.

— მისი ნახელავია, არა? — თქვა მან ცივად.

თარიყის შეხებისას ლაილას იმ საღამოს სიგიჟე გაახსენდა, როდესაც აზიზა ჩაისახა. როცა ბიჭის თეძოების კუნთები თანაბრად ირხეოდა, კისერზე მის სუნთქვას გრძნობდა. თარიყი მკერდზე მჭიდროდ ეკვროდა, ხელები ერთმანეთზე ჰქონდათ გადაჭდობილი.

— ნეტავ, ჩემთან ერთად წამეყვანე!.. — ჩურჩულით თქვა თარიყმა.

ლაილამ თავი დახარა. მთელი ძალით ცდილობდა, არ ატირებულიყო.

— ვიცი, რომ გათხოვილი ქალი და დედა ხარ. მე კი ამდენი წლის შემდეგ, უეცრად გამოგეცხადე. ალბათ ჩემი საქციელი არც მართებულია და არც სამართლიანი, მაგრამ შენს სანახავად იმხელა გზა გამოვიარე და... ეჰ, ლაილა, ნეტავ არასდროს მიმეტოვებინე!..

— არ გინდა, — ხრინწიანი ხმით ჩაილაპარაკა ქალმა.

— მთელი მონდომებით უნდა მეცადა შენი დაყოლიება. შანსი ხელიდან არ უნდა გამეშვა და შენზე მექორწინა. მაშინ ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა.

— ამას ნუ ამბობ, გთხოვ! გული მტკივა.

მან თავი დაუქნია, ლაილასკენ ნაბიჯი გადადგა, შემდეგ კი უკან დაიხია.

— არ მსურს თავს რამე მოგახვიო, ან შენი ცხოვრება თავდაყირა დავაყენო. თუ გინდა, რომ წავიდე, თუ გინდა, რომ პაკისტანში დავბრუნდე, მხოლოდ ერთი სიტყვა მითხარი, ლაილა. მითხარი და მაშინვე შეგეშვები. მეტად აღარ შეგაწუხებ.

— არა! — წამოიყვირა ქალმა. უეცრად მიხვდა, რომ მის მკლავს ჩაბღაუჭებოდა. ხელი სწრაფად შეუშვა, — არა, არ წახვიდე, თარიყ. არა! გთხოვ, დარჩი.

თარიყმა თავი დაუკრა.

— რაშიდი შუადღიდან რვა საათამდე მუშაობს. ხვალ ნაშუადღევს მოდი. აზიზასთან წაგიყვან.

— ხომ იცი, მისი არ მეშინია.

— ვიცი. ხვალ ნაშუადღევს მოდი.

— შემდეგ რა იქნება?

— შემდეგ... არ ვიცი. უნდა მოვიფიქრო. ეს...

— ვიცი, ვიცი, — უთხრა თარიყმა. — ყველაფერი მესმის. ძალიან ვწუხვარ. ბევრი რამის გამო ვწუხვარ.

— ნუ წუხხარ. შენ შემპირდი, რომ დაბრუნდებოდი, და პირობა შეასრულე.

თარიყს თვალები აუწყლიანდა.

— შენი ნახვა ისე მიხარია, ლაილა!..

აკანკალებულმა ქალმა მიმავალ კაცს თვალი გააყოლა. თავისთვის ფიქრობდა, თურმე რამდენს მწერდაო, და ტანში ჟრუანტელმა კიდევ ერთხელ დაუარა, როგორც რაღაც სევდიანმა, დამამძიმებელმა დინებამ. მაგრამ ძლიერი სურვილით შეპყობილი ლაილა დაუფიქრებლად მიიწევდა იმ იმედისკენ, რომლის ნაპერწკალი მასში მაინც კიაფობდა.

## 45

### მარიამი

მე ზევით ვიყავი და მარიამთან ერთად ვთამაშობდი, — თქვა ზალმაიმ.

— დედაშენი?

— ის... ის ქვევით იყო და იმ კაცს ელაპარაკებოდა.

— გასაგებია, — თქვა რაშიდმა. — აი, მესმის გუნდური მუშაობა!

მარიამმა შენიშნა, რომ კაცს სახე მოუდუნდა, მოეშვა. შუბლიდან ნაოჭები გაუქრა. თვალებში ეჭვი და უნდობლობა ჩაუდგა. წელში გაიმართა, რამდენიმე წამით ჩაფიქრდა. გემის კაპიტანს ჰგავდა, რომელსაც ის-ის იყო მის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების შესახებ აცნობეს, ახლა კი დრო გაჰყავდა, რომ შემდგომი ნაბიჯები გაეთვალა.

რაშიდმა თავი ასწია.

მარიამმა რაღაცის თქმა სცადა, მაგრამ კაცმა ხელი აღმართა და ისე, რომ მისთვის არც კი შეუხედავს, თქვა:

— უკვე ძალიან გვიანია, მარიამ.

— შენ ზევით ადი, ბიჭო! — ცივი მბრძანებლური ტონით მიმართა ზალმაის.

ბავშვის სახეზე მარიამმა განგაში შენიშნა. თვალებს აქეთ-იქით ნერვიულად აცეცებდა. გააცნობიერა, რომ მისი ბავშვური თამაში რაღაც სერიოზული უსიამოვნების მიზეზი გახდა. ჯერ მარიამს, შემდეგ კი დედას დარდიანი, სინანულით აღსავსე მზერა მიაპყრო.

— ახლავე! — თქვა რაშიდმა მბრძანებლური ხმით.

ზალმაის ხელი იდაყვში წაავლო და ბიჭიც მორჩილად გაჰყვა ზედა სართულზე.

მარიამი და ლაილა გახევებულები იდგნენ. იატაკს დასჩერებოდნენ, თითქოს ერთმანეთისთვის შეხედვა რაშიდის იმ შეხედულების გაზიარება იქნებოდა, რომ მაშინ, როცა ის კარში იდგა და ბარგს დაათრევდა, მის ზურგს უკან, მის საკუთარ სახლში, მისი ვაჟის თანდასწრებით ბინძურ შეთქმულებას უწყობდნენ. სრული სიჩუმე სუფევდა, მხოლოდ ზედა სართულიდან ისმოდა ფეხის ნაბიჯების ხმა, ერთი — მძიმე და ავისმომასწავებელი, მეორე — უფრო მსუბუქი და ტყაპუნა. შემდეგ საუბრის ხმა შემოესმათ, თუმცა სიტყვების გარჩევა რთული იყო, წრი-

პინა ხმით წარმოთქმულ მუდარას მკვახე პასუხი მოჰყვა, შემდეგ კარი მიჯახუნდა და გასაღები გადატრიალდა. ახლა მხოლოდ ერთი ადამიანის აჩქარებული ნაბიჯების ხმაღა ისმოდა.

რაშიდი კიბეზე ბრაგაბრუგით ჩამოვიდა. მარიამმა დაინახა, როგორ ჩაიდო ჯიბეში გასაღები; შენიშნა მისი ქამარი, დახვრეტილი ბოლო კაცს ხელზე მჭიდროდ შემოეხვია. თითბრის ბალთა კი კიბის საფეხურებს ენარცხებოდა.

მარიამი რაშიდის შეჩერებას შეეცადა, მაგრამ კაცმა ხელი ჰკრა და გვერდით ჩაუქროლა. ლაილას ქამარი უსიტყვოდ გადაუჭირა. ეს ისეთი სისწრაფით გააკეთა, რომ ქალს უკან დახევის ან იერიშის მოგერიების დროც არ ჰქონდა. ლაილა ხელით საფეთქლებს შეეხო, ჯერ სისხლიან თითებს შეხედა გაოცებით, შემდეგ კი — რაშიდს. თითქოს თვალებს არ უჯერებდა, მაგრამ განცვიფრების წამები ზიზღმა უმალ შეცვალა.

რაშიდმა ქამარი კიდევ ერთხელ მოიქნია.

ამჯერად, ლაილამ სახე იდაყვით დაიფარა და ქამარს ხელი ჩაავლო. თუმცა ქმარმა სწრაფად გამოსტაცა და ქალს ისევ მოუქნია. ლაილამ ოთახის გარშემო დაიწყო სირბილი. მარიამი რაშიდს ემუდარებოდა, მაგრამ კაცი ლაილას გზას უღობავდა და ქამარს გამეტებით უქნევდა. ერთ მომენტში ლაილა დაიხარა და დარტყმა აიცილა; დრო იხელთა, უცებ კაცს მივარდა და ყურთან მუშტი მოუქნია. რაშიდმა გინება ატეხა და ცოლს კიდევ უფრო უმოწყალოდ ეცა. დაიჭირა, კედელზე მიანარცხა და ქამარი რამდენჯერმე გადაუჭირა. ბალთას ხან მკერდზე, ხან მხრებზე, სახეზე აფარებულ იდაყვზე, თითებზე უმიზნებდა. ქალი სულ მთლად დასისხლიანებულიყო.

მარიამს უკვე თვლა აერია, რამდენჯერ გაიტყლაშუნა ქამარმა, რამდენი მუდარის სიტყვა წამოიყვირა, რამდენჯერ დაარტყა წრე ერთმანეთში გადახლართულ კბილებს, მუშტებსა და ქამარს, სანამ აღმოაჩენდა, რომ ფრჩხილებით რაშიდის სახეს ჩაფრენოდა და მის ყბებში ღრმად ჩასობას ცდილობდა, თმით ქაჩავდა და შუბლს უკაწ-

რავდა. გაოგნებულმა და ამავდროულად კმაყოფილებით აღსავსემ გააცნობიერა, რომ ამ ყველაფერს საკუთარი თითებით სჩადიოდა.

რაშიდი ლაილას შეეშვა და მარიამს მიუბრუნდა. თავდაპირველად ქალს თითქოს ვერც კი ამჩნევდა, შემდეგ თვალები მოჭუტა, მარიამს ინტერესით დააკვირდა. მის გამოხედვაში შეცბუნება და ელდა, შემდეგ კი გაკიცხვა და იმედგაცრუებაც გამოსჭვიოდა.

მარიამს ის დრო გაახსენდა, რაშიდის თვალები პირველად საქორწილო ვუალის ქვეშ, სარკეში რომ დაინახა. მათი მზერა სარკემ აირეკლა და ერთმანეთს შეხვდა, კაცის — გულგრილი, მისი კი — მორჩილი, დამთმობი, თითქმის შემრიგებლური.

დიახ, შემრიგებლური.

ახლა მარიამმა იმავე თვალებში ამოიკითხა, როგორი სულელი აღმოჩნდა.

„მოღალატე ცოლი ვიყავი? — ეკითხებოდა საკუთარ თავს. — თავმომწონე, ნამუსგარეცხილი ქალი? სამარცხვინო? ვულგარული?“ — განა ოდესმე ქმრისთვის ზიანი მიუყენებია? მისი ბოროტებისა და მუდმივი მუქარის გამართლება რითი შეიძლებოდა? ავადმყოფობისას არ პატრონობდა? მას და მის მეგობრებს არ უმასპინძლდებოდა? არ ურეცხავდა?

ამ კაცს არ შესწირა თავისი ახალგაზრდობა?

მისი სულმდაბალი საქციელი ოდესმე დაუმსახურებია?

რაშიდმა ხელი გაუშვა და ქამარი ძირს ხმაურით დაეცა. მარიამისკენ შიშველი ხელებით გაიწია. როგორც ჩანს, ზოგიერთი საქმე მხოლოდ შიშველი ხელებით უნდა მოგვარებულიყო.

მაგრამ როგორცკი კაცი თავს დაესხა, მარიამმა მის უკან ლაილა შენიშნა. ქალმა იატაკიდან რაღაც აიღო. ხელი ზევით აღმართა და რაშიდის სახისკენ სწრაფად დაუშვა. შუშა დაიმსხვრა. ჭიქის ნამსხვრევები იატაკზე დაცვივდა. ლაილას ხელები სისხლიანი ჰქონდა, რაშიდის ლოყის ღია ჭრილობიდან სისხლი მოსჩქეფდა და კისერსა და პერანგზე ჩამოსდიოდა. კაცი შებრუნდა, კბილებს აღრჭიალებდა და თვალები უელავდა.

რაშიდი და ლაილა ძირს დაენარცხნენ, აქეთ-იქით აწყდებოდნენ. ბოლოს კაცი ზემოდან მოექცა, ქალს ყელზე ხელებს უჭერდა.

მარიამი ბრჭყალებით ეცა. მკერდზე ურტყამდა, ზედ ენარცხებოდა. ლაილას კაცის მარწუხებისგან დახსნას ცდილობდა. თითებზე კბენდა, მაგრამ რაშიდი ისე ძლიერად უჭერდა, მარიამი მიხვდა, რომ მას საქმის ბოლომდე მიყვანა განეზრახა — ქალის დახრჩობა უნდოდა და ვეღარაფერი შეაჩერებდა.

მარიამმა უკან დაიხია და ოთახიდან გაიქცა. ზედა სართულზე ზალმაი პატარა ხელისგულებს ჩაკეტილ კარს უბრახუნებდა. მარიამმა დერეფანი გაირბინა, სახლის კარი გააღო და ეზოში გავარდა. ხელსაწყოების ფარდულში ნიჩაბს დასწვდა.

რაშიდმა ქალის ოთახში დაბრუნება ვერ შენიშნა. ჯერ კიდევ ლაილას ზემოდან მოქცეოდა, გაფართოებული თვალებით გაშმაგებული იყურებოდა, ხელები ისევ ქალის ყელზე ჰქონდა შემოჭდობილი. ლაილას სახე გალურჯებოდა და თვალები გადაბრუნებოდა. მარიამმა შენიშნა, რომ ქალს უკვე წინააღმდეგობის გაწევის თავიც აღარ ჰქონდა.

„მისი მოკვლა განიზრახა, — გაიფიქრა მარიამმა, — ნამდვილად ასე მოიქცევა!“

მაგრამ მარიამი ამას არ დაუშვებდა. რაშიდმა მას ოცდაშვიდწლიანი ქორწინების განმავლობაში იმდენი რამ წაართვა, რომ ლაილას თავს აღარ დაუთმობდა.

ქალი ფეხებზე მყარად დადგა და ნიჩბის სახელურს ხელები მაგრად ჩასჭიდა. მაღლა აღმართა და კაცს სახელით მიმართა. უნდოდა, მისთვის შეეხედა.

— რაშიდ! — დაუყვირა და ნიჩაბი მოუქნია. საფეთქელთან დაუმიზნა. დარტყმის ძალამ კაცი გვერდით გადააგდო.

რაშიდმა თავზე ხელი მოისვა. ჯერ თითებზე დააკვირდა სისხლის კვალს, შემდეგ კი მარიამს შეხედა. ქალს მოეჩვენა, რომ ქმარი მოლბა; იფიქრა, იქნებ თავში ჩარტყმამ მის გონებაზეც იმოქმედა და რამე შეიგნოო. შესაძლოა, ჩემს სახეზე ისეთი რამ ამოიკითხა,

რამაც აზრი უცვალაო. იქნებ კაცმა ამდენწლიანი თანაცხოვრების შემდეგ ცოლის თავგანწირვის, თავდადების კვალი შენიშნა? დაინახა, რას იტანდა მისგან — მუდმივ დამცირებას, ძალადობას, დადანაშაულებასა და სულმდაბლობას. ნუთუ კაცის თვალებში პატივისცემამ, სინანულმა გაიელვა?

მაგრამ ცოტა ხანში რაშიდს ზედა ტუჩი დაეგრიხა და დამცინავად გაიღიმა. მარიამი მაშინვე მიხვდა, რომ ეს საქმე ბოლომდე უნდა მიეყვანა. ახლა თუ ქმარს ცოცხალს დატოვებდა, იგი მაშინვე იარაღს დასტაცებდა ხელს. მხოლოდ მარიამის მოკვლას არ დასჯერდებოდა, თორემ ნიჩაბს ახლავე ძირს დააგდებდა. რაშიდი არც ლაილას დაინდობდა. მის თვალებში ორივეს საიქიოს გასტუმრების წადილი ამოიკითხა.

ამიტომ მარიამმა ნიჩაბი კიდევ ერთხელ აღმართა, უკან მთელი მონდომებით გადასწია, ისე, რომ ნიჩბის წვერი ქალის ზურგს შეეხო. შემდეგ ბასრი ნაპირი ქვევით მიმართა და სწორედ იმ წამს გააცნობიერა, რომ საკუთარი ცხოვრების კურსს თავად პირველად განსაზღვრავდა.

მარიამმა რაშიდს ნიჩაბი მოუქნია. და ამ დარტყმამ მთელი მისი უბედურება დაიტია.

## 46

ლაილა

თამბაქოსგან გაყვითლებული, კბილებდაკრეჭილი სახე ლაილას ზემოდან ავისმომასწავებელი მზერით დაჰყურებდა. ქალი ვერც კი აცნობიერებდა, რომ ამ სახის უკან მარიამი იდგა. თავს ზემოთ ჭერზე ობის მუქი ფერის ლაქები ისე მიმოფანტულიყო, როგორც მელნის შხეფები კაბაზე. ბათქაშში გაჩენილი ბზარი ხან გულგრილი ღიმილის, ხან კი შეჭმუხნილი წარბების ფორმას იღებდა, გააჩნია ოთახის რომელი ბოლოდან შეხედავდი. რამდენჯერ ჩამოუწმენდია ლაილას აბლაბუდები ცოცხზე წამოცმული ჩვრით ამ ჭერიდან. მან და მარიამმა იგი სამჯერ

გადაღებეს. უეცრად ღიმილი სადღაც გაქრა და ბზარმა დამცინავი გამომეტყველება მიიღო. ისიც თანდათან გაბუნდოვანდა. ჭერი დაპატარავდა, ხან ზევით იწევდა, ხან კი სახესთან ახლოს მოდიოდა. ბოლოს საფოსტო მარკისოდენა გახდა, თეთრი და კაშკაშა, მის გარშემო კი ყველაფერი უკუნმა მოიცვა. სიბნელეში რაშიდის სახე ერთ პატარა მანათობელ ლაქად იქცა.

ცოტა ხანში ლაილას წინ თვალისმომჭრელი შუქი კაშკაშა ვერცხლისფერი ვარსკვლავებივით აციმციმდა. უჩვეულო გეომეტრიულმა ფიგურებმა გაუელვა. ზოგს მატლის ფორმა ჰქონდა, ზოგს — კვერცხის. ზევით-ქვევით, აქეთ-იქით მოძრაობდნენ, ერთმანეთში დნებოდნენ, შემდეგ ისევ ცალკევდებოდნენ, სხვა ფორმას იღებდნენ, ფერმკრთალდებოდნენ და სიბნელეს უერთდებოდნენ.

ლაილას ყრუ და შორეული ხმები ესმოდა.

თვალწინ შვილების სახეები გაუელვებდა ხოლმე. აზიზა შეშფოთებული, დამძიმებული და გულჩათხრობილი ჩანდა. მთრთოლვარე ზალმაი კი მამას აღტაცებით შეჰყურებდა.

— ნუთუ ყველაფერი ასე დამთავდება? — გაიფიქრა ლაილამ. — რა უბადრუკი დასასრულია!

მაგრამ თანდათან სიბნელე გაიფანტა. ქალი თითქოს ჰაერში აიწია. ნელ-ნელა ჭერი თავის ადგილს დაუბრუნდა, გაიშალა. ახლა ლაილა ბზარს ისევ ხედავდა, მას კვლავაც უსიცოცხლო ღიმილის ფორმა მიეღო.

ვიღაცამ შეანჯღრია.

— კარგად ხარ? მიპასუხე! თავს როგორ გრძნობ? — თავზე მარიამი წამოდგომოდა. დაკაწრულ სახეზე ძლიერი მწუხარება აღბეჭდვოდა.

ლაილა შეეცადა ჩაესუნთქა. ყელი დაეწვა. კიდევ ერთხელ სცადა. მაგრამ ამჯერად მხოლოდ ყელი კი არა, მთელი გულმკერდი ჩაეწვა. ხველება დააწყებინა. ქშინავდა, გაძნელებით სუნთქავდა. ჯანმრთელ ყურში წუილი ჩაესმა.

რომ წამოჯდა, ლაილამ უპირველესად თვალი რაშიდს მოჰკრა. ზურგზე იწვა, უაზროდ იყურებოდა, პირი დაეფჩინა. ნიკაპზე ღია ვარდისფერი დუჟი გადმოსვლოდა. შარვლის წინა მხარე სველი ჰქონდა. ქალმა მზერა მისი შუბლისკენ გააპარა. შემდეგ თვალი ნიჩაბს მოჰკრა და ამოიგმინა.

— ოჰ, — აკანკალებული ხმით აღმოხდა ლაილას. — ოჰ, მარიამ.

ლაილა ბოლთას სცემდა, კვნესოდა და ხელებს ისრესდა. მარიამი რაშიდთან ახლოს მშვიდად ჩამომჯდარიყო, ხელები კალთაში ეწყო, არ მოძრაობდა, ხმას არ იღებდა.

ლაილას პირი უშრებოდა, ენის ბორძიკით ლაპარაკობდა და კანკალებდა. ცდილობდა, რაშიდისკენ არ გაეხედა, რომ მისი დამანჭული სახე, გახელილი თვალები და ლავიწის ღრუში დაგროვილი სისხლი არ დაენახა.

გარეთ ბინდდებოდა, ჩრდილები გამუქებულიყო. ასეთ შუქზე მარიამის სახე თხელი და დაღრეჯილი მოჩანდა, მაგრამ აღელვებულს ან შეშინებულს არ ჰგავდა. თითქოს მხოლოდ ფიქრებს წაეღო, თან იმდენად, რომ, როდესაც ნიკაპზე ბუზი დააჯდა, ყურადღება არც კი მიუქცევია. ქვედა ტუჩი წინ გამოსწეოდა ზუსტად ისე, როგორც ჩაფიქრებისას სჩვეოდა.

ქალმა, როგორც იქნა, ხმა ამოიღო:

— დაჯექი, ლაილა-ჯო.

ლაილა დაემორჩილა.

— აქედან უნდა გავიტანოთ. ზალმაიმ არ უნდა ნახოს.

სანამ ზეწარში გაახვევდნენ, მარიამმა რაშიდს ჯიბიდან საძინებლის გასაღები ამოაცალა. ლაილა კაცის ფეხებს დასწვდა, მარიამმა მკლავებქვეშ წაავლო ხელი. მიცვალებულის აწევა სცადეს, მაგრამ ძალიან მძიმე აღმოჩნდა. ამიტომ ბოლოს მისი გათრევა გადაწყვიტეს. სახლიდან ეზოში რომ გადიოდნენ, რაშიდის ფეხი კარის ჩარჩოში გაიჭედა. უკან დაიხიეს და კიდევ ერთხელ სცადეს. ზედა სართულზე რაღაც ბრახუნით დაენარცხა. ლაილას ფეხებში ძალა გამოეცალა. რაშიდს ხელი გაუშვა და მიწაზე მოცელილივით დაეცა, ქვითინებდა და თან კანკა-

ლებდა. მარიამი თავზე დაადგა, დოინჯი შემოირტყა და უთხრა, რომ ძალა უნდა მოეკრიბა, რადგან ვეღარაფერს შეცვლიდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ლაილა ფეხზე წამოდგა და ცრემლები შეიმშრალა. რაშიდის ცხედარი პირდაპირ ხელსაწყოების ფარდულში შეათრიეს და სამუშაო სკამის უკან დატოვეს. სკამზე კაცის ხერხი, ლურსმნები, საჭრეთელი, ჩაქუჩი და ცილინდრის ფორმის კუნძი იდო. მისგან რაშიდს ზალმაისთვის რაღაც უნდა გამოეთალა, მაგრამ არ დასცალდა. ქალები სახლში დაბრუნდნენ. მარიამმა ხელები დაიბანა და თმაზე სველი ხელი გადაისვა. ღრმად ჩაისუნთქა და ამოისუნთქა.

— ახლა შენს ჭრილობებს მივხედოთ. თავიდან ბოლომდე დასერილი ხარ, ლაილა-ჯო.

— მოსაფიქრებლად დრო მჭირდება, — თქვა მარიამმა, — აზრებს თავი უნდა მოვუყარო და გეგმა დავსახო. რაღაც გზა უნდა არსებობდეს, გამოსავალი უნდა ვიპოვო.

— აქედან უნდა გავიქცეთ! დარჩენა არ შეიძლება, — ჩახლეჩილი ხმით ჩაილაპარაკა ლაილამ. უეცრად ყურში ის ხმა ჩაესმა, რომელიც რაშიდის თავმა ნიჩბის მოხვედრისას გამოსცა. შეძრწუნებული მთელი სხეულით წინ გადაიხარა. ნაღველი ყელშიმოებჯინა.

მარიამი მოთმინებით ელოდა, ლაილა უკეთ როდის გახდებოდა. შემდეგ ქალი ძირს დააწვინა და თავი კალთაში ჩაადებინა. დაამშვიდა, ყველაფერი კარგად იქნება, არ ინერვიულოო.

— აქედან წავალთ, ლაილა. ყველა ერთად — ჩვენ, ბავშვები, თარიყი. ამ სახლს, სასტიკ ქალაქს და სულით დაცემულ ქვეყანას მოვშორდებით, — ამბობდა მარიამი და ლაილას თმაზე ხელს უსვამდა, — განცალკევებულ და უსაფრთხო ადგილას დავბინავდებით. იქ, სადაც ვერავინ გვიპოვის, სადაც წარსულს დავივიწყებთ და მყუდრო თავშესაფარს ვიპოვით. გარშემო ბევრი ხე იქნება, ძალიან ბევრი ხე. რომელიმე უცხო ქალაქის განაპირას, პატარა სახლში ვიცხოვრებთ ან შორეულ სოფელში, სადაც ვიწრო, მოუკირწყლავი გზებია, რომელსაც ხეხილისა და ბუჩქების რიგები მიუყვება. იქნებ მდელოსაკენ მიმავალი ბილიკიც იყოს, სადაც ბავშვები ითამაშებენ, ან

ხრეშიანი გზა, რომელიც ანკარა, ლურჯ, ლერწმებით მოფენილ ტბასთან მიგვიყვანს. ტბაში უამრავი კალმახი იქნება. ცხვრებსა და წიწილებს მოვაშენებთ, პურს ერთად გამოვაცხობთ, ბავშვებს კითხვას ვასწავლით. ახალ, მშვიდობიან, განდეგილ ცხოვრებას დავიწყებთ. უბრალო კეთილდღეობას დავჯერდებით, აქამდე გადატანილ უბედურებას დავივიწყებთ და დამსახურებულ ბედნიერებას ვეწევით.

მარიამი იმედისმომცემად ჩურჩულებდა. ხვდებოდა, რომ მათი ყოფა სირთულეებით იქნებოდა აღსავსე, მაგრამ სასიამოვნო სირთულეებით, რომლითაც იამაყებდნენ, დააფასებდნენ, როგორც საგვარეულო რელიკვიას. მარიამის თბილი, დედობრივი ხმა ლაილას ამშვიდებდა. გამოსავალი არსებობდა, დილისთვის მარიამი ყველაფერს მოიფიქრებდა და იქნებ ხვალ ამ დროს აქედან უკვე შორს ყოფილიყვნენ, ახალ ცხოვრებას შეუდგებოდნენ, უხვი შესაძლებლობებითა და სიხარულით, მისაღები სირთულეებით. ლაილა მადლიერი იყო, რომ მარიამი მასზე ზრუნავდა, ორივეს მაგივრად ფიქრობდა, რადგან თვითონ, აფორიაქებული, აზრებს თავს ვერ უყრიდა.

მარიამი ფეხზე წამოდგა.

— ვაჟიშვილს უნდა მიხედო! — ასეთი შეწუხებული გამომეტყველება ლაილას მის სახეზე ჯერ არასდროს ენახა.

ზალმაი სიბნელეში საწოლზე რაშიდის ადგილას მოკუნტულიყო. ლაილა გვერდზე მიუწვა და ბავშვს საბანი გადააფარა.

— გძინავს?

ისე, რომ სახეც არ მოუბრუნებია, ბავშვმა დაიკრუსუნა:

— როგორ დავიძინებ, როცა ბაბა-ჯანს ბაბალუსგან თავის დასაცავად ლოცვები არ წაუკითხავს.

— ამაღამ მე რომ წაგიკითხო?

— შენ მამასავით ვერ წამიკითხავ.

ლაილამ ბავშვს მხარზე ხელი მოუჭირა, კისერში აკოცა.

— მაინც ვცდი.

— ბაბა-ჯანი სად არის?

— წავიდა, — მიუგო ლაილამ და ყელში ბურთი გაეჩხირა.

აი, პირველი საზარელი ტყუილი. რამდენჯერ უნდა ეცრუა? ფიქრობდა შეშფოთებული. ზალმაი რამდენჯერ უნდა მოეტყუებინა? ლაილას ახსენდებოდა, როგორი აღტაცებით ეგებებოდა ბიჭი შინ დაბრუნებულ რაშიდს. კაციც მკლავებში ხელს წაავლებდა და წრეზე ატრიალებდა. შემდეგ კი ერთად ხითხითებდნენ, როცა ზალმაი მთვრალივით ბარბაცს იწყებდა. მათი თამაშები ახსენდებოდა, მათი ხმაურიანი სიცილი და საიდუმლო გამოხედვები.

ლაილას გულზე დარდი შემოაწვა.

— სად წავიდა?

— არ ვიცი, საყვარელო.

— როდის დაბრუნდება? საჩუქარს ხომ მომიტანს?

ქალმა ზაილმაისთან ერთად ლოცვა წაიკითხა. „ბისმი ლ-ლაჰი რ-რაჰმანი რ-რაჰიმ“(„სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა“. ამ ფორმულით იწყება ყურანის ყველა სურა.) ოცდაერთჯერ გაიმეორა — თითოეული შვიდი თითის სამ-სამი სახსრისთვის. ლაილა უყურებდა, როგორ მოამრგვალა ბიჭმა ხელები, სული შეუბერა, შუბლზე მიიდო და შემდეგ ხელებით ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს რაღაცას თავიდან იშორებდა; თან ჩურჩულებდა:

— ბაბალუ, წადი, ზალმაის არ გაეკარო, შენთან საქმე არ აქვს. ბაბალუ, წადი აქედან!

ლოცვის ბოლოს „ალაჰუ აქბარ“ სამჯერ გაიმეორეს. გვიან ღამით ლაილა ყრუ ხმამ გამოაღვიძა.

— ბაბა-ჯანი ჩემ გამო წავიდა? იმის გამო, რაც შენზე და იმ კაცზე ვთქვი? — ბუტბუტებდა ბიჭი.

ქალი მისკენ გადაიხარა. აპირებდა, დაემშვიდებინა:

— შენ არაფერ შუაში ხარ, ზალმაი. არა, შენი ბრალი არ არის!

მაგრამ ბიჭს ეძინა და მშვიდად სუნთქავდა.

ლაილა დასაძინებლად გონებადაბინდული და დანაღვლიანებული დაწვა, რაციონალური განსჯის უნარი წართმეოდა. დილას კი, როდესაც მუეძინის ხმამ გამოაღვიძა, საღი გონება დაბრუნებოდა.

ქალი წამოჯდა და ცოტა ხნით მძინარე შვილს დააკვირდა. ბავშვს მუშტი ნიკაპის ქვეშ ამოედო. ლაილამ წარმოიდგინა, როგორ იპარებოდა შუაღამისას მარიამი მათ ოთახში, დახედავდა, თან გონებაში გეგმებს აწყობდა.

ლაილა ლოგინიდან გამოძვრა. ფეხზე დადგომა ძალიან გაუჭირდა. სხეულის ყველა ნაწილი სტკიოდა — კისერი, მხრები, ზურგი, მკლავები, ბარძაყები, ყველგან რაშიდის ქამრის კვალი ემჩნეოდა. ტკივილისგან სახე დაემანჭა და ოთახი უჩუმრად დატოვა.

მარიამის ოთახს მუქი ნაცრისფერი ტონალობა დაჰკრავდა. ასეთ განათებას ლაილა ყოველთვის მამლის ყივილთან და დაცვარულ ბალახის ღეროსთან აკავშირებდა. მარიამი კუთხეში მიმჯდარიყო. ფანჯარასთან სალოცავი ხალიჩა გაეშალა. ლაილაც ფრთხილად დაეშვა ძირს და გვერდით მიუჯდა.

— ამ დილითვე აზიზას სანახავად უნდა წახვიდე, — უთხრა მარიამმა.

— მესმის, რასაც გულისხმობ.

— ფეხით არ წახვიდე. ავტობუსით წადი და ხალხს შეერიე. ტაქსი ზედმეტად თვალშისაცემი იქნება. მარტო ქალს აუცილებლად გაგაჩერებენ.

— წუხელ რასაც შემპირდი...

ლაილამ სიტყვა ვერ დაასრულა. ხეები, ტბა, უცნობი სოფელი. მიხვდა, რომ ეს ყველაფერი ილუზია იყო. მის დასამშვიდებლად მოგონილი საამური ტყუილი.

— ყველაფერი სიმართლე იყო, — თქვა მარიამმა, — შენთვის ვგეგმავდი, ლაილა-ჯო.

— უშენოდ არაფერი მინდა! — ჩახლეჩილი ხმით წამოიძახა ქალმა.

მარიამმა უღონოდ გაიღიმა.

— მინდა, რომ ყველაფერი ზუსტად ისე იყოს, როგორც თავად თქვი, მარიამ. ყველა ერთად ვიქნებით — მე, შენ, ბავშვები. თარიყს წასასვლელი აქვს პაკისტანში. შეგვიძლია, ცოტა ხანი იქ დავიმალოთ, სანამ ყველაფერი არ ჩაწყნარდება.

— შეუძლებელია, — მოთმინებით მიუგო მარიამმა, როგორც მშობელმა დამყოლ, მაგრამ მოტყუებულ ბავშვს.

— ერთმანეთზე ვიზრუნებთ, — ლაილას სიტყვები ყელში ეჩხირებოდა, თვალები ცრემლებით ავსებოდა, — შენ თვითონ არ თქვი? არა, მე ვიზრუნებ შენზე.

— ოჰ, ლაილა-ჯო.

აღშფოთებული ლაილა არ ჩერდებოდა. თითქოს მასთან გარიგების დადებას ცდილობდა. რას აღარ ჰპირდებოდა.

— სახლს მე დავალაგებ, სადილსაც მოვამზადებ. შენ არაფრის გაკეთება არ მოგიხდება. მხოლოდ დაისვენებ, დაიძინებ, ბაღს გააშენებ. რასაც მოისურვებ, ყველაფერს გიშოვი. ოღონდ ასე არ მომექცე, მარიამ. არ მიმატოვო. აზიზას გული არ ატკინო.

— პურის ქურდსაც კი ხელებს აჭრიან, — თქვა მარიამმა, — როგორ ფიქრობ, რას მოიმოქმედებენ, როდესაც მოკლულ ქმარს და ორ გაუჩინარებულ ცოლს აღმოაჩენენ?

— ვერავინ გაიგებს! — სულმოუთქმელად მიუგო ლაილამ, — ვერ გვიპოვიან!

— ადრე თუ გვიან მოგვაგნებენ. ისინი ხომ ბრწყინვალე მეძებრები არიან, — მარიამი ხმადაბლა, სიფრთხილით საუბრობდა. მისი სიტყვების ფონზე ლაილას დაპირებები წარმოუდგენელი, შეთხზული, სულელური ჩანდა.

— მარიამ, გთხოვ!..

— თუ გვიპოვეს, მხოლოდ მე კი არ დამსჯიან, შენ და თარიყსაც არ დაგინდობენ. ჩემ გამო გამუდმებით გაქცევა და დამალვა მოგიხდებათ. როგორ ფიქრობ, რომ დაგიჭირონ, შენს შვილებს რა ბედი ელით?

ლაილას თვალები ცრემლებით აევსო.

— მათზე ვინ იზრუნებს? — არ ცხრებოდა მარიამი, — „თალიბანი“? შენ ხომ დედა ხარ, ლაილა-ჯო. ჰოდა, როგორც დედამ, ისე განსაჯე.

— არ შემიძლია.

— სხვა გამოსავალი არ გაქვს.

— უსამართლობაა! — ხრინწიანი ხმით ჩაილაპარაკა ლაილამ.

— ასეა საჭირო. მოდი აქ. მოდი და დაწექი.

ქალი მასთან მიცოცდა და მარიამს თავი კალთაში ჩაუდო. ერთად გატარებული დღეები გაახსენდა, როცა ერთმანეთს თმას უწნავდნენ, მარიამი კი, მადლიერების გრძნობით აღსავსე, მოთმინებით ისმენდა ხოლმე მის უცაბედ ფიქრებსა და ჩვეულებრივ ამბებს. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს განსაკუთრებული პატივი დასდეს, გული რომ გადაუშალეს.

— სამართლიანია, — თქვა მარიამმა. — ჩვენი ქმარი მე მოვკალი. შენს ვაჟს მამა მე წავართვი. გაქცევა მართებული არ იქნება. არ შემიძლია. თუნდაც ვერასდროს მოგვაგნონ, ვერასდროს... — ტუჩები აუთრთოლდა, — შენი შვილის ცოდვას ვერსად გავექცევი. თვალებში როგორ შევხედო? როგორ უნდა გავბედო, ლაილა-ჯო?

მარიამმა თითებით ლაილას დაუმორჩილებელი კულულის გაშლა სცადა.

— ჩემთვის ყველაფერი აქ მთავრდება. სხვა არც არაფერი მინდა. ყველაფერი, რასაც ბავშვობაში ვნატრობდი, შენ უკვე მომეცი. შენ და შენმა შვილებმა იმდენი სიხარული და ბედნიერება მომანიჭეთ!.. ყველაფერი რიგზეა, ლაილა-ჯო. ყველაფერი კარგადაა. ნუ დარდობ.

ლაილას მტკიცე არგუმენტები არ ჰქონდა, მაგრამ მაინც უთავბოლოდ, არათანმიმდევრულად, ბავშვურად ლაპარაკობდა ხილის ხეებზე, რომელსაც მარიამი დარგავდა; წიწილებზე, რომლებსაც გაზრდიდა; პატარა სახლებზე უცნობ ქალაქებში, კალმახით სავსე ტბასთან სეირნობაზე. ბოლოს, როდესაც სიტყვები გამოელია, ლაილა სწორედ ისე დანებდა, როგორც ბავშვი, ფარ-ხმალს რომ ყრის უფროსების მტკიცე ლოგიკის წინაშე. მწარედ აქვითინდა, მოიკუნტა და სახე მარიამის კალთაში ჩარგო, რათა მისი სითბო ბოლოჯერ შეეგრძნო.

იმავე დილას მარიამმა ზალმაის სადილი მოუმზადა — პური და ლეღვის ჩირი. აზიზასთვისაც მოუყარა თავი ცოტაოდენ ჩირს და ცხოველების ფორმის ნამცხვრებს. ყველაფერი ქაღალდის პარკში ჩააწყო და ლაილას გადასცა.

— აზიზას ჩემ ნაცვლად აკოცე, — უთხრა მან. — გადაეცი, რომ ჩემი თვალის ნურია(ნური — სინათლე, შუქი. ) და ჩემი გულის სულთანი. აუცილებლად გადაეცი!..

ლაილამ თავი დაუქნია, დანა პირს არ უხსნიდა.

— ავტობუსით წადი და თავი დახრილი გქონდეს.

— კიდევ როდის გნახავ, მარიამ? სანამ ჩვენებას მისცემ, მინდა რომ გნახო. ყველას მოვუყვები, რაც მოხდა! ავუხსნი, რომ შენ დამნაშავე არ ხარ, რომ სხვა გზა არ გქონდა! გაგვიგებენ, არა, მარიამ? გაგვიგებენ.

მარიამმა ალერსიანად შეხედა. შემდეგ ზალმაისკენ დაიხარა. ბიჭს წითელი მაისური, დახეული შარვალი და კოვბოის მოკლეყელიანი ფეხსაცმელი ეცვა, რომელიც რაშიდმა მანდაიში უყიდა. ორივე ხელით თავისი ახალი კალათბურთის ბურთი ჩაებღუჯა. მარიამმა ლოყაზეაკოცა.

— შენ ხომ კარგი და ძლიერი ბიჭი ხარ, — უთხრა ქალმა. — დედა არ გააბრაზო. — მარიამმა ბავშვის სახე ხელებში მოიქცია. ბიჭმა უკან დაიხია, მაგრამ ქალმა ხელი არ გაუშვა. — ძალიან ვწუხვარ, ზალმაი-ჯო. დამიჯერე, მართლა ძალიან ვწუხვარ, რომ ასეთი ტკივილი მოგაყენე.

ლაილამ ზალმაის ხელი ჩასჭიდა და გზას გაუდგნენ. სანამ კუთხეში გადაუხვევდნენ, ლაილა შემობრუნდა, უკან მიიხედა და მარიამი კართან შენიშნა. ქალს თავზე თეთრი შარფი მოეხვია, მუქი ლურჯი ღილებიანი სვიტრი და თეთრი ბამბის შარვალი ეცვა. შუბლზე ჭაღარა თმა ჩამოშლოდა. მზის სხივები მის სახესა და მხრებს ეცემოდა. მარიამმა ხელი გულთბილად დაუქნია.

ლაილა და ზალმაი ქუჩის კუთხეში გაუჩინარდნენ. მას შემდეგ ლაილას მარიამი აღარასდროს უნახავს.

## 47

მარიამი

ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ამდენი წლის შემდეგ კვლავ ქოლბაში დააბრუნეს.

ველაიათის ქალთა საპატიმროს ერთფეროვანი, ოთხკუთხა შენობა შარ-ე-ნაუსთან ახლოს, წიწილების ქუჩაზე მდებარეობდა. ის დიდი კომპლექსის შუა ნაწილში იყო განთავსებული, დანარჩენი შენობები კი მამაკაც პატიმრებს ეთმობოდა. ბოქლომით ჩაკეტილი კარი მარიამსა და დანარჩენ ქალებს გარშემომყოფი კაცებისგან აცალკევებდა. ქალმა ხუთი კამერა დათვალა. ეს იყო ცარიელი ოთახები, ჭუჭყიანი, აქერცლილი კედლებითა და პატარა სარკმლებით, რომელიც შიდა ეზოს გადაჰყურებდა. მიუხედავად იმისა, რომ საკნების კარები ღია იყო და ქალებს გარეთ გამოსვლა და ეზოში გასეირნება არ ეკრძალებოდათ, სარკმლები მაინც გისოსებით იყო დაფარული. ფანჯრებს ფარდა არ ჰქონდა ჩამოფარებული, ამდენად ეზოში მოხეტიალე თალიბ მცველებს საკნის შიდა სივრცის დანახვა თავისუფლად შეეძლოთ. ზოგიერთი ქალი ჩიოდა, მცველები სარკმლებთან ეწევიან, თან შიგნით თავიანთი ანთებული თვალებითა და ავხორცული ღიმილით იყურებიან და ჩვენზე ერთმანეთში უხამსად ხუმრობენო. ამის გამო, ქალების უმეტესობა ბურკას მთელი დღის განმავლობაში ატარებდა და მხოლოდ მზის ჩასვლის შემდეგ თუ იხდიდნენ, როდესაც მთავარი ალაყაფის კარი ჩაიკეტებოდა და მცველები თავიანთ პოსტებს დაუბრუნდებოდნენ.

ღამით ის საკანი, რომელსაც მარიამი ხუთ ქალთან და ოთხ ბავშვთან იყოფდა, სრულად ბნელდებოდა. თუკი ელექტროენერგია მიეწოდებოდათ, ქალები დაბალ, ბრტყელმკერდიან, შავთმიან, კულულებიან გოგონას, ნაღმას, ხელში აიტაცებდნენ და ჭერისკენ ასწევდნენ. ისიც ჩამოცვენილი ბათქაშიდან გამოშვერილ მავთულს ელექტრონათურის ძირზე წრედის შესაკვრელად ახვევდა.

საკუჭნაოს ზომის ტუალეტებში ცემენტის იატაკი დამსკდარიყო. მიწაში ამოთხრილი მცირე ზომის ოთხკუთხა ღრმული ფეკალიით ამოვსებულიყო და მის თავზე ბუზები ბზუილით დაფრინავდნენ. ციხის შუაგულში ღია, ოთხკუთხედის ფორმის ეზოში ჭა იყო გათხრილი, რო-

მელსაც დრენაჟი არ ჰქონდა. ამიტომ ეზო ხშირად იტბორებოდა და წყალს საშინელი გემო ჰქონდა. სარეცხის თოკებზე გარეცხილი წინდები და პირსახოცები ჩაემწკრივებინათ. პატიმრები აქვე ხვდებოდნენ მნახველებს, ხარშავდნენ მათი ოჯახის წევრების მიერ მოტანილ ბრინჯს, რადგან ციხე მათ კვებას არ უზრუნველყოფდა. ეზო ბავშვების სათამაშო მოედანიც იყო. მარიამმა შეიტყო, რომ მათი უმეტესობა ველაიათში დაიბადა და ციხის კედლებს მიღმა სამყარო არასდროს ენახა. ქალი თვალს ადევნებდა, როგორ დასდევდნენ ბავშვები ერთმანეთს და ფეხის ქუსლები ერთიანად ტალახში ჰქონდათ ამოსვრილი; მხიარულად თამაშობდნენ, ისე, რომ ვერც კი გრძნობდნენ ფეკალიის სიმყრალეს, რომლითაც ველაიათი და მათი სხეულებიც გაჟღენთილიყო; საერთოდ არ ახსენდებოდათ თალიბი მცველები, სანამ მათგან სილას არ იგემებდნენ.

მარიამს არავის სტუმრობდა. ციხეში ყოფნისას თალიბი ოფიცრებისადმი ეს მისი ერთადერთი თხოვნა იყო, — არავითარი მნახველები!

მარიამის საკანში მყოფი ქალებიდან ძალადობისთვის სასჯელს არავინ იხდიდა. ძირითადად, მარტივი სამართალდარღვევისთვის, მაგალითად, სახლიდან გაქცევისთვის იყვნენ დაპატიმრებული. სწორედ ამიტომ, მარიამმა სახელი გაითქვა, ქალები მოკრძალებით ეპყრობოდნენ, საკუთარ საბნებს სთავაზობდნენ, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, პირველი ვინ უწილადებდა კუთვნილ საკვებს.

ნაღმა განსაკუთრებით მოწადინებული იყო. ქალს ხელს გადახვევდა და სულ კუდში დასდევდა. გოგონა საკუთარი და სხვების უიღბლო ამბების მოყოლით იქცევდა ხოლმე თავს. მამამისს თურმე მისი ოცდაათი წლით უფროს მკერავზე მითხოვება გადაეწყვიტა.

— გოჰის(გოჰი — ნეხვი.) სუნი ასდიოდა და თითებზე ნაკლები კბილები ჰქონდა, — თქვა ნაღმამ მკერავის შესახებ.

გოგონას ადგილობრივი მოლას ვაჟი უყვარდა და მასთან ერთად უცდია გაქცევა გარდეზში. მაგრამ ქაბულის გასასვლელთან დაიჭირეს და უკან დააბრუნეს. მოლას ვაჟი იმდენ ხანს ამათრახეს,

სანამ ცოდვა არ მოინანია და არ თქვა, რომ ნაღმამ შეაცდინა, თავისი ქალური მომხიბვლელობით მოაჯადოვა; პირობა დადო, რომ თავს კვლავ ყურანის სწავლას მიუძღვნიდა. ასე რომ, იგი გაათავისუფლეს, ნაღმას კი ხუთი წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

აი, ასე მოხვდა ციხეში. მამამისმა დაიფიცა, რომ გათავისუფლებისთანავე დანით დახვდებოდა და ყელს გამოჭრიდა.

ნაღმას ამბის მოსმენისას მარიამს გაახსენდა ძველი დრო, დილის მოციმციმე ვარსკვლავების მკრთალი, მბჟუტავი სინათლე, საფედქოჰის მთების თავზე მიმოფანტული მოვარდისფრო ღრუბლები და ნანას სიტყვები: „ჩრდილოეთისკენ მიმართული კომპასის ისრის მსგავსად, მამაკაცის მბრალმდებელი თითიც ქალისკენ გზას ყოველთვის პოულობს“.

მარიამის სასამართლო პროცესი გასულ კვირას გაიმართა. ადვოკატზე, საჯარო მოსმენაზე, მოწმეთა ჯვარედინ დაკითხვაზე ან აპელაციაზე საუბარიც კი ზედმეტი იყო. მოწმეების გამოძახებაზე მარიამმა უარი განაცხადა. პროცესი სულ რაღაც თხუთმეტ წუთში დასრულდა.

შუაში მჯდომი მოსამართლე, ცივი გარეგნობის, დაუძლურებული თალიბი, დანარჩენების უფროსი იყო. მოყვითალო, ტყავის მსგავსი კანი და ჟღალი, ხვეული წვერი ჰქონდა. სათვალე თვალებს უდიდებდა და კარგად ჩანდა, გუგები როგორ ჩაყვითლებოდა. წვრილი კისერი თავზე წამოცმულ გადახლართულ ჩალმას ძლივს იკავებდა.

— დანაშაულს აღიარებთ, ჰამშირა? — კიდევ ერთხელ იკითხა კაცმა გადაღლილი ხმით.

— ვაღიარებ, — მიუგო მარიამმა.

კაცმა თავი დაუკრა. ან შეიძლება არც დაუკრავს. რთული სათქმელი იყო, რადგან ხელები და თავი ისე უკანკალებდა, მარიამს მოლა ფაეზულა გაახსენდა. მოსამართლე ჩაის მოსმას ამაოდ ცდილობდა. შემდეგ მის მარცხნივ მჯდომ ოთხკუთხამხრებიან კაცს ხელით ანიშნა და მანაც ფინჯანი ტუჩებთან მორიდებით მიუტანა. თალიბმა თვალები ნაზად მოჭუტა და ამ უსიტყვო და მოხდენილი ჟესტით მადლიერება გამოხატა.

კაცი მარიამს არ აფრთხობდა, მისი საუბრის მანერას ვერაგობისა და სინაზის ელფერი ერთდროულად დაჰკრავდა. მშვიდად იღიმოდა. მარიამს ზიზღით არ უყურებდა. მის ხმაში ბრაზი ან ბრალდება არ გამოსჭვიოდა, პირიქით, მცირეოდენ სიბრალულსაც კი შენიშნავდით.

— თქვენს სიტყვებს სრულად აცნობიერებთ? — ჰკითხა მოსამართლის მარჯვნივ მჯდომმა სახეგალეულმა თალიბმა. იგი სამ კაცს შორის ყველაზე ახალგაზრდა იყო. სწრაფად ლაპარაკობდა, მეტისმეტი მედიდურობითა და თავდაჯერებულობით. გაღიზიანდა, რომ მარიამმა პუშტუს ენა არ იცოდა. ქალს თავს იმ განრისხებული ახალგაზრდა კაცივით ესხმოდა, რომელიც თავისი ძალაუფლებით ტკბება; ყველაფერში სამართალდარღვევას ხედავს და სამართლის აღსრულებას მისთვის მემკვიდრეობით მინიჭებულ უფლებად მიიჩნევს.

— ვაცნობიერებ, — მიუგო მარიამმა.

— საოცარია, — თქვა ახალგაზრდა თალიბმა. — ღმერთმა თქვენ — ქალები და ჩვენ — კაცები ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულები შეგვქმნა. ჩვენი ტვინიც სხვადასხვაგვარადაა მოწყობილი. თქვენ ჩვენსავით ვერ აზროვნებთ. ეს დასავლელმა ექიმებმა და მათმა მეცნიერებამაც დაადასტურეს. სწორედ ამიტომ, ორი ქალის ჩვენება ერთი მამაკაცისას უტოლდება.

— ძმაო, ჩემს დანაშაულს ვაღიარებ, — თქვა მარიამმა. — ასე რომ არ მოვქცეულიყავი, მას მოკლავდა, დახრჩობას უპირებდა.

— ასე შენ ამბობ, მაგრამ ქალები ათას რამეს იფიცებენ.

— სიმართლეს ვამბობ.

— მოწმეები გყავს? იმ ამბაყის გარდა.

— არა, — უპასუხა მარიამმა.

— აბა, რა ვქნათ? — კაცმა ხელები გაშალა და ჩაიხითხითა.

მომდევნო სიტყვით დასუსტებული თალიბი გამოვიდა.

— ფეშავარში ექიმი მყავს, — თქვა მან. — ბრწყინვალე პაკისტანელი ახალგაზრდაა. ერთი თვის წინ ვნახე და გასულ კვირას განმეო-

რებით ვესტუმრე. ვთხოვე, ჩემთვის სიმართლე ეთქვა. მანაც არ დამიმალა: სამი თვე დაგრჩა, მოლა საჰიბ, მაგრამ ღვთის ნებით, იქნებ ექვსი თვეც კი იცოცხლოო.

მოლამ მის მარცხნივ მჯდომ ოთხკუთხამხრებიან კაცს თავი ფრთხილად დაუკრა და ისიც კიდევ ერთხელ მიეხმარა, რომ ფინჯნიდან ჩაი მოესვა. მოლამ პირი აკანკალებული ხელის ზურგით შეიმშრალა.

— ამ სამყაროს დატოვებაზე საერთოდ არ ვდარდობ. მით უმეტეს, რომ ჩემი ერთადერთი ვაჟი ხუთი წლის წინ გარდაიცვალა. ცხოვრება ახალ-ახალ მწუხარებას გვიგზავნის მანამ, სანამ მათი ატანა ძალგვიძს. ვფიქრობ, როცა დრო მოვა, აქაურობას მშვიდად განვეშორები. მაგრამ იცი რისი მეშინია, ჰამშირა? ღვთის

წინაშე რომ წარვსდგები და მკითხავს, მოლა, ჩემს ნებას რატომ გადახვედი, ჩემს კანონებს რად არ დაემორჩილეო, თავი რითი ვიმართლო, ჰამშირა? ყველა ჩვენგანის ვალია, რომ ღვთის ნებას დავემორჩილოთ, მისი კანონები აღვასრულოთ. რაც უფრო ახლოა აღსასრული, ჰამშირა, მით უფრო მტკიცეა ჩემი გადაწყვეტილება, როგორი მტკივნეულიც არ უნდა აღმოჩნდეს, დავიცვა მისი სიტყვები.

კაცი ბალიშებზე აწრიალდა და სახე შეეცვალა.

— მჯერა, რომ შენი ქმარი მძიმე ხასიათის კაცი იყო, — განაგრძო მან, თან მარიამს სათვალიდან დაჟინებით მიშტერებოდა, მისი მზერა ერთდროულად პირქუშიც იყო და თანაგრძნობით აღსავსეც. — მაგრამ შემძრა შენმა სასტიკმა ქმედებამ, ჰამშირა. მისი მცირეწლოვანი ვაჟი ზედა სართულზე ტიროდა და შენ კი ამ დროს მამამისს კლავდი. ძალიან დავიღალე და თან მალე ცოცხალიც აღარ ვიქნები. მინდა, გულმოწყალე ვიყო. მინდა, მოგიტევო. მაგრამ როდესაც ღვთის წინაშე წარვსდგები და მკითხავს: მოლა, შენ ვინ მოგცა მისი მიტევების უფლებაო, რა პასუხი გავცე?!.

მისმა თანამოსაუბრეებმა თავი დააქნიეს და აღფრთოვანებით შეხედეს.

— გული მეუბნება, რომ სასტიკი ქალი არ ხარ, ჰამშირა, მაგრამ სასტიკი დანაშაული კი ჩაიდინე. პასუხი უნდა აგო. შარიათში(შარიათი —

მუსლიმთა სჯულისკანონი.) ამასთან დაკავშირებით ყველაფერი ნათლადაა მოცემული. ის ამბობს, რომ იქ უნდა გაგგზავნო, სადაც თავადაც მალე მოვხვდები. ალბათ, გესმის, ჰამშირა?

მარიამმა თავი ჩაღუნა და ხელებს დახედა.

— ყველაფერი ნათელია.

— ალაჰმა შეგინდოს.

სანამ გარეთ გაიყვანდნენ, მარიამს რაღაც დოკუმენტი მიაჩეჩეს. თავისი ჩვენებისა და მოლას განაჩენის ქვეშ ხელი უნდა მოეწერა. სამი თალიბი თავზე დასდგომოდა. მარიამმა თავისი სახელი ასოასოდ დაწერა და ის დრო გაახსენდა, როცა ოცდაშვიდი წლის წინ ჯალილის მაგიდასთან პირველად მოაწერა ხელი, მაშინაც მოლას თანდასწრებით.

მარიამმა ციხეში ათი დღე გაატარა. საკნის სარკმელთან იჯდა და ეზოში იყურებოდა, თვალს ადევნებდა ციხის ცხოვრებას. ზაფხულის ქარი ქაღალდის ნაგლეჯებს გაშმაგებით აფრიალებდა აქეთიქით, ბოლოს კი ციხის კედლებს მიღმა მიაქროლებდა; ეზოში დაგროვილ მტვერს ტორნადოსავით ატრიალებდა, სპირალისებურადსწრაფად ახვევდა. მცველები, პატიმრები, ბავშვები, თავად მარიამიც სახეს იდაყვით იფარავდნენ, მაგრამ მტვერი უკან არ იხევდა. ყურის ნიჟარებსა და ნესტოებს, წამწამებსა და კანის ნაკეცებს, კბილებს შორის ღრიჭოებს ავსებდა. ქარი მხოლოდ შებინდებისას ჩადგებოდა ხოლმე. ღამის სიო ისე გაუბედავად უბერავდა, თითქოს მისი დედმამიშვილის — ქარის მიერ დღის განმავლობაში მიყენებული დანაშაულის გამოსყიდვას ცდილობსო.

ველაიათში მარიამის ყოფნის ბოლო დღეს ნაღმამ ქალს მანდარინი ხელისგულზე დაუდო და თითები მოახვევინა. გოგონას ცრემლები წასკდა.

— შენ ჩემი საუკეთესო მეგობარი ხარ! — უთხრა მან.

მარიამმა უკანასკნელი საათები გისოსებიან სარკმელთან გაატარა. ეზოში პატიმრებს თვალს ადევნებდა. ვიღაც სადილს ამზადებდა, სარკმელში ძირას სუნით გაჟღენთილი ორთქლი და თბილი

ჰაერი ატანდა. ბავშვები დახუჭობანას თამაშობდნენ. ორი პატარა გოგონა მღეროდა. მარიამს სიმღერის ტექსტი გაახსენდა, ჯალილი უმღეროდა, მდინარის პირას ლოდებზე რომ ისხდნენ და თევზაობდნენ ხოლმე:

ბეღურების წყლის ჭურჭელი
დგას ჭუჭყიან ბილიკზე,
ჭიჭყინა ჩამომჯდარა კიდეზე და სვამს,
ფეხი დაუსხლტა და ჩაიძირა წყალში.

გასულ ღამეს მარიამმა არეული სიზმრები ნახა. ვერტიკალურად დამწკრივებული თერთმეტი რიყის ქვა ესიზმრა. ჯალილი ისევ ახალგაზრდა იყო, სანდომიანად იღიმოდა, ნიკაპზე ფოსო და ოფლის წვეთები ემჩნეოდა. მხრებზე პალტო ჰქონდა მოსხმული. ბოლოს და ბოლოს, ქალიშვილის წასაყვანად თავისი მბზინავი შავი „ბიუკ როუდმასტერით“ მოსულიყო. მოლა ფაეზულა კრიალოსანს მარცვლავდა, მარიამთან ერთად მდინარისკენ მისეირნობდა. მათი ჩრდილები წყლის ზედაპირზე დასრიალებდა. ნაპირზე ბალახებში ლურჯი ველური ზამბახები იყო მიმობნეული, მაგრამ სიზმარში ზამბახებს რატომღაც სამყურას სურნელი ასდიოდა. ქოლბას შესასვლელში ნანა დაინახა, მისი სუსტი და შორეული ხმა სადილად იხმობდა. მარიამი კი ცივ, ერთმანეთში გადახლართულ ბალახებში თამაშობდა, სადაც ჭიანჭველები დაცოცავდნენ, ხოჭოები ფაციფუცით მოძრაობდნენ, კალიები კი ერთი ადგილიდან მეორეზე დახტოდნენ. მტვრიან ბილიკზე ურიკა ჭრიალებდა. ძროხების ზანზალაკების ხმა ისმოდა. მთებში ცხვრები ბღაოდნენ.

ღაზის სტადიონისაკენ მარიამი სატვირთო მანქანით წაიყვანეს, რომელიც ასფალტზე გაჩენილ პატარა ორმოებში ვარდებოდა. ბორბლები კენჭებს ისხლეტდა. ჯაყჯაყმა ქალს კუდუსუნი ატკინა. მის პირდაპირ მჯდომი ახალგაზრდა თალიბი თვალს არ აცილებდა.

მარიამი ფიქრობდა, ნუთუ ეს სანდომიანი ახალგაზრდაც ერთ-ერთი მათგანი იქნებაო. კაცს ღრმად ჩამჯდარი, ნათელი თვალები და წაგრძელებული სახე ჰქონდა. გაშავებულფრჩხილიან საჩვენებელ თითს მანქანის კედელს უკაკუნებდა.

— გშია, დედილო? — ჰკითხა მან.

მარიამმა თავი გაიქნია.

— ნამცხვარი მაქვს. კარგია. თუ გშია, მოგცემ. არ მოგერიდოს.

— არა, თაშაქორ, ძმაო!

ახალგაზრდამ თავი დაუქნია, მის მზერაში თანაგრძნობა გამოსჭვიოდა.

— გეშინია?

მარიამს ყელში ბურთი გაეჩხირა. ქალმა ათრთოლებული ხმით უთხრა სიმართლე.

— კი, ძალიან მეშინია...

— მამაჩემის სურათი მაქვს, — თქვა ბიჭმა. — მამა არ მახსოვს. ველოსიპედების ხელოსანი იყო. სულ ეს არის, რაც მის შესახებ ვიცი. არც მისი მოძრაობები მახსოვს, არც სიცილი, არც მისი ხმა, — განზე გაიხედა, შემდეგ მზერა ისევ მარიამს მიაპყრო, — დედა მეუბნებოდა, მამაშენი ყველაზე უშიშარი ადამიანი იყოო. ლომსაც კი ადარებდა. მაგრამ იმ დილას, როდესაც კომუნისტებმა წაიყვანეს, თურმე პატარა ბავშვივით ტიროდა. ამას იმიტომ გიყვები, რომ შიში ნორმალური ამბავია. ამაში სამარცხვინო არაფერია!..

იმ დღეს მარიამმა პირველად იტირა.

ათასობით თვალი მისკენ იყო მიპყრობილი. ხალხით სავსე ტრიბუნებიდან ადამიანები კისრებს იგრძელებდნენ, რომ სტადიონზე მიმდინარე სანახაობისთვის თვალი უკეთ ედევნებინათ. გაუჩერებლად ყაყანებდნენ. როდესაც მარიამი სატვირთო მანქანიდან ჩამოიყვანეს, ჩურჩულმა მთელ სტადიონს გადაუარა. ქალმა უცებ წარმოიდგინა, როგორ დაიწყებდნენ თავების კანტურს, როდესაც მეგაფონში მის დანაშაულს გამოაცხადებდნენ. მაგრამ მარიამს თავი არ აუწევია, ხალხის რეაქციას ვერ ხედავდა. არ იცოდა, კიცხავდნენ თუ თანაუგრძნობდნენ, საყვედურობდნენ თუ ებრალებოდათ.

იმ დილას ქალს შიში დაეუფლა. არ უნდოდა თავი შეერცხვინა, ვედრება და ქვითინი დაეწყო, ყვირილი აეტეხა ან გული არეოდა ან გაპარვოდა. შიშობდა, უკანასკნელ წუთებში ცხოველური ინსტინ-

ქტი არ გამოემჟღავნებინა. მაგრამ როდესაც მანქანიდან ჩამოიყვანეს, ფეხები ემორჩილებოდა და თალიბებს მისი წათრევა არ მოუხდათ. როდესაც იგრძნო, რომ ბარბაცს იწყებდა, ზალმაიზე დაიწყო ფიქრი. როგორც კი გაახსენდა, რომ ბიჭს მისი ცხოვრების მთავარი სიყვარული წაართვა, მამის გაუჩინარებით უდიდესი სულიერი ტრავმა მიაყენა, ფეხებში ძალა ისევ იგრძნო, წინააღმდეგობის გარეშე გაემართა სტადიონისკენ.

შეიარაღებული მამაკაცი მიუახლოვდა და უთხრა, რომ სამხრეთით მდებარე კარის ძელთან მისულიყო. მარიამმა იგრძნო, როგორ დაიძაბა ბრბო მის მოლოდინში. თავი არ აუწევია. მიწას ჩასჩერებოდა, საკუთარ ჩრდილს აკვირდებოდა, რომელსაც კვალდაკვალ ჯალათის ჩრდილი მისდევდა.

პატარ-პატარა გამონათებებს თუ არ ჩავთვლით, მთლიანობაში ცხოვრება მარიამის მიმართ დაუნდობელი გამოდგა. მიუხედავად ამისა, სანამ უკანასკნელ ოც ნაბიჯს გადადგამდა, იგრძნო, რომ ამ ცხოვრების გაგრძელება მთელი გულით ეწადა.ლაილას ნახვას, მისი წკრიალა სიცილის მოსმენას, ვარსკვლავებით განათებული ცის ქვეშ მასთან ერთად ჩაის დალევასა და ჰალვის ჭამას ნატრობდა. დარდობდა, რომ აზიზას გაზრდას ვერ მოესწრებოდა, ვერასდროს ნახავდა იმ მშვენიერ ქალს, ერთ დღესაც აზიზა რომ დადგებოდა; ხელებს ინით ვერ მოუხატავდა და ქორწილში ნუყლს(ნუყლი — მცირე ზომის ერთგვარი ტკბილეული, შაქრის სიროფსა და სანელებლებში ამოვლებული ნუში.) ვერ შეაყრიდა. აზიზას შვილებთან თამაშს ვერ შეძლებდა. განა რა უნდა ყოფილიყო იმაზე სასიამოვნო, ვიდრე სიბერეში მის შვილებთან ერთად თამაში?!

კარის ძელს რომ მიუახლოვდნენ, ვიღაცამ შეჩერება უბრძანა. მარიამი დაემორჩილა. ბურკას ბადიდან ქალმა შენიშნა, როგორ აღმართა „კალაშნიკოვის“ ჩრდილი მამაკაცის ხელების ჩრდილმა.

თავისი ცხოვრების ბოლო წამებში მარიამს იმდენი სურვილი მოეძალა! მაგრამ თვალებს რომ ხუჭავდა, სინანულს ვეღარ გრძნობდა, მთელ სხეულში მხოლოდ უზომო სიმშვიდის შეგრძნებამ დაუარა. ამ

სამყაროს როგორც ერთი სოფლელი ჰარამი, სამწუხარო შემთხვევის შედეგი, როგორც სარეველა, ისე მოევლინა. მაგრამ ცხოვრებას ტოვებდა როგორც ქალი, რომელსაც უყვარდა და რომელიც უყვარდათ. იყო მეგობარი, სხვებზე მზრუნველი, დედა. ბოლოს და ბოლოს, არცთუ უმნიშვნელო ადამიანი. არა, ამგვარი სიკვდილი ცუდი სულაც არ არისო, ფიქრობდა მარიამი. უკანონო საწყისის კანონიერი დასასრული დადგა.

ქალი ბოლო წამებს ითვლიდა, თავში ყურანის სიტყვები უტრიალებდა, რომელსაც ჩუმად ბუტბუტებდა:

„ჭეშმარიტად მან შექმნა სამოთხე და დედამიწა; ღამე ჩაანაცვლა დღით და დღე — ღამით. დაიმორჩილა მზე და მთვარე და თითოეულს დადგენილი ვადა მიანიჭა; იგი ძლევამოსილია, უდიდესი მიმტევებელი“.(ყურანი, სურა 39, აია 7 (5).)

— დაიჩოქე! — გაისმა თალიბის ხმა.

„ღმერთო, მაღალო, მომიტევე შეცოდებანი და შემიწყალე!..“

— აქ დაიჩოქე, ჰამშირა, და თავი დახარე.

უკანასკნელი ბრძანება მარიამმა მორჩილად შეასრულა.

## მეოთხე ნაწილი

### 48

თარიყს თავის ტკივილები აწუხებდა.

ზოგჯერ, როდესაც ღამით ლაილას გამოეღვიძებოდა, კაცი საწოლის კიდეზე იჯდა, მაისური თავზე წამოეცვა და ტკივილისგან აქეთ-იქით ირწეოდა. როგორც თავად ამბობდა, თავის ტკივილები ნასირ ბაღში დაეწყო, ციხეში კი გაუუარესდა. ამის გამო გული ერეოდა, ცალი თვალიდან ხედვა უჭირდა; ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ყასაბი დანას საფეთქელში ასობდა, ტვინამდე რომ მიაღ-

წევდა, შიგ უტრიალებდა, შემდეგ კი მეორე საფეთქელზე გადაინაცვლებდა.

— ისეთი ტკივილია, მზად ვარ, რკინაც კი გავკვნიტო! — სიმწრით ამბობდა თარიყი.

ზოგჯერ ლაილა კაცს შუბლზე სველ ტილოს აფენდა. თარიყი ოდნავ შვებას გრძნობდა. საიდის ექიმის მოცემული მრგვალი თეთრი აბებიც შველოდა ხოლმე. მაგრამ, ხანდახან, თარიყი უძლური იყო. ამ დროს თავს ხელებს შორის მოიქცევდა და სიმწრისგან ღმუოდა, თვალები ჩასისხლიანებული ჰქონდა, ცხვირიდან სითხე მოჟონავდა. ლაილა გვერდით ეჯდა, კისერს უზელდა, მისი ხელი ეჭირა და ქმრის ქორწინების ბეჭდის სიცივეს თავისი ხელისგულით გრძნობდა.

ლაილამ და თარიყმა მარიში ჩასვლის დღეს იქორწინეს. როდესაც თარიყმა გაანდო, ლაილა ცოლად უნდა მოვიყვანოო, საიდმა შვებით ამოისუნთქა, რადგან აღარ მოუწია დელიკატური საკითხის წამოჭრა, დაუქორწინებელი წყვილის სასტუმროში ცხოვრებას რომ შეეხებოდა. ლაილას საიდი სულ სხვაგვარი წარმოედგინა: ლოყებღაჟღაჟა და ცერცვისხელა თვალებიანი. სინამდვილეში კი კაცს ჭაღარაშერეული, ბოლოებაწკეპილი შავი ულვაში და უკან გადავარცხნილი გრძელი, ჭაღარა თმა ჰქონდა. გაწონასწორებული და ზრდილობიანი იყო, დინჯად საუბრობდა და მოხდენილად მოძრაობდა.

ნექაჰის ცერემონიის ჩასატარებლად საიდმა თავისი მეგობარი და მოლა მოიწვია. თარიყის წინააღმდეგობის მიუხედავად, ფულიც თავად გადაიხადა. თარიყი მაშინვე მოლისკენ გაეშურა და შინ ორი სიფრიფანა ქორწინების ბეჭდით დაბრუნდა. გვიან ღამით, მას შემდეგ, რაც ბავშვებმა დაიძინეს, თარიყმა და ლაილამ იქორწინეს.

სარკეში, მწვანე ვუალის ქვეშ, რომელიც წყვილს მოლამ გადააფარა, ლაილას მზერა თარიყისას შეხვდა. იმ დღეს არც ცრემლები ყოფილა, არც ქორწილის დღისთვის დამახასიათებელი ღიმილი, არც ფიცი უკვდავი სიყვარულის დასამტკიცებლად. სიჩუმე იყო, ლაილა სარკეში აკვირდებოდა გამოსახულებებს, სახეებს, რომელთაც წლები დასტყობოდათ. მათ ერთ დროს ახალგაზრდა სახეებს მოშვებული ყვრიმალები

და ნაოჭები ნათლად დამჩნეოდა. თარიყი რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ უეცრად ვუალი გადახადეს და ლაილამ მისი სიტყვები ვერ გაიგონა.

იმ ღამეს ლოგინში, როგორც ცოლ-ქმარი, პირველად იწვნენ. ბავშვებს თავიანთ საწოლებზე ეძინათ და ფშვინავდნენ. პატარაობისას ლაილა და თარიყი მუდამ ენერგიულად, გაშმაგებით საუბრობდნენ, გამუდმებით ერთმანეთს სიტყვას აწყვეტინებდნენ, საყელოზე ქაჩავდნენ, რომ საკუთარი შეხედულებისთვის ხაზი გაესვათ; იცინოდნენ და ერთმანეთის მოხიბვლას ცდილობდნენ. ბავშვობის იმ უდარდელი დღეების შემდეგ იმდენი რამ გადახდათ!.. სათქმელი ბევრი დაუგროვდათ, მაგრამ პირველი ღამის სიდიადემ თითქოს ორივეს ენა წაართვა. ლაილასთვის ისიც საკმარისი იყო, რომ თარიყი გვერდით ჰყავდა, მის სითბოს გრძნობდა, მათი თავები ერთმანეთს ეხებოდა და ხელები გადაჭდობილი ჰქონდათ.

შუაღამისას, წყურვილისგან გამოღვიძებულმა ლაილამ აღმოაჩინა, რომ მისი ხელი თარიყს ისევ ეჭირა, ისევე ჩაფრენოდა, როგორც მოუსვენარი ბავშვი ბუშტზე გამობმულ თოკს.

ლაილას მოსწონდა მარის გრილი, ნისლიანი დილა და თვალისმომჭრელი მწუხრი, ღამით ცის სიკაშკაშე; ნაძვების სიმწვანე და ტოტიდან ტოტზე მოხტუნავე ყავისფერი ციყვები; უეცრად მოვარდნილი კოკისპირული წვიმა, რომელიც მოლზე მოსეირნე მყიდველებს საჩრდილობლების ქვეშ თავის შეფარებას აიძულებდა. მოსწონდა სუვენირების მაღაზიები, ტურისტებისთვის განკუთვნილი სასტუმროები, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ განუწყვეტელი მშენებლობებისა და ინფრასტრუქტურის გაფართობის გამო, რაც, მათი აზრით, მარის ბუნებრივ სილამაზეს შთანთქავდა. ლაილა ვერ ხვდებოდა, ხალხი მშენებლობების გამო რატომ ჩიოდა. ქაბულში ამას ხომ მხოლოდ სიხარულით შეხვდებოდნენ?!

მოსწონდა, რომ სააბაზანო ოთახი ჰქონდათ და არა ეზოს საპირფარეშო; ჭეშმარიტი სააბაზანო თავისი ტუალეტით, რომელიც

ირეცხებოდა, აბაზანითა და ნიჟარით, რომელსაც ცხელი და ცივი წყლის ორი ონკანი ჰქონდა. სიამოვნებდა, დილაობით ალიონას კიკინი რომ აღვიძებდა და მოსწონდა უწყინრად მობუზღუნე მზარეული ადიბა, რომელიც სამზარეულოში ნამდვილ სასწაულებს ახდენდა.

ზოგჯერ ლაილა აკვირდებოდა, როგორ ეძინათ თარიყსა და ბავშვებს, როგორ ბუტბუტებდნენ ძილში... ასეთ წუთებში ქალი ღმერთს მადლობას სწირავდა, ყელში ბურთი ეჩხირებოდა და თვალები ცრემლებით ევსებოდა.

დილაობით ლაილა თარიყს ოთახიდან ოთახში დაჰყვებოდა. კაცს წელზე გასაღებების ჟღარუნა ასხმა დაემაგრებინა და ფანჯრების საწმენდი სპრეი ჯინსის შარვლის საქამრე ყულფზე თავისუფლად ეკიდა. ლაილას ჩვრებითა და სადეზინფექციო ხსნარით სავსე სათლი, უნიტაზის სახეხი და კომოდის საწმენდი ცვილის აეროზოლი მოემარაგებინა. აზიზა დედას კუდში დაჰყვებოდა. გოგონას ცალ ხელში ჯაგრისი, მეორეში კი მარიამის გაკეთებული, ლობიოს მარცვლებით გამოტენილი თოჯინა ეჭირა. ზალმაიც უხალისოდ, უგუნებოდ მიჰყვებოდა მათ კვალს. ყოველთვის რამდენიმე ნაბიჯით უკან რჩებოდა.

ლაილა იატაკებს მტვერსასრუტით ასუფთავებდა, საწოლებს ალაგებდა, მტვერს წმენდდა. თარიყი კისააბაზანოს ნიჟარასა და ავზს რეცხავდა, უნიტაზს ხეხავდა და ლინოლეუმის იატაკს ჯაგრისით ასუფთავებდა; თაროებს სუფთა პირსახოცებით, მინიატიურული შამპუნის ბოთლებითა და ნუშის სურნელიანი საპნებით ამარაგებდა. აზიზამ განაცხადა, ფანჯრებს მე დავწმენდო. თოჯინა მუდამ თან ჰქონდა.

ლაილამ აზიზას თარიყის შესახებ ნექაჰიდან რამდენიმე დღის შემდეგ უამბო.

ქალისთვის გასაოცარი და ამაღელვებელი იყო იმის დანახვა, თუ რამდენი საერთო ჰქონდათ მამა-შვილს. გოგონა მამის დაწყებულ აზრსა და წინადადებას ასრულებდა, თარიყი კი — ქალიშვილისას. სანამ კაცი საჭირო ნივთს მოითხოვდა, აზიზა მანამდე აწვდიდა. სადილობისას, მაგიდასთან მსხდომნი, ერთმანეთს უღიმოდნენ, თითქოს უცხონი

არც არასდროს ყოფილიყვნენ და დიდი ხნის განშორების შემდეგ ერთმანეთს კვლავ შეხვედროდნენ.

როდესაც ლაილა უყვებოდა, ჩაფიქრებული აზიზა ხელებს დასჩერებოდა.

— მომწონს, — თქვა გოგონამ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ.

— მას უყვარხარ.

— ასე თქვა?

— ამას თქმა არ სჭირდება, აზიზა.

— ყველაფერი მომიყევი, დედიკო. მინდა, ვიცოდე.

ლაილა ასეც მოიქცა.

— მამაშენი კარგი ადამიანია. ის საუკეთესოა მათ შორის, ვისაც კი ოდესმე ვიცნობდი.

— რომ მიგვატოვოს? — თქვა აზიზამ.

— არასდროს მიგვატოვებს. შემომხედე, აზიზა. მამაშენი გულს არასდროს გატკენს და არც არასდროს მიგატოვებს.

შვებამ, რომელიც აზიზას სახეზე ამოიკითხა, ლაილას გული შეუკუმშა.

თარიყმა ზალმაის ხის სარწეველა ცხენი მოუტანა, ოთხთვალა აუწყო. ციხის პატიმრებისგან ნასწავლი ხელობა გაიხსენა და ზალმაის ქაღალდისგან სხვადასხვა ცხოველის ფიგურა გაუკეთა. უამრავი ფურცელი დაკეცა, დაჭრა და დააწება, ზოგს ლომის, ზოგს კი კენგურუს, ცხენის, ჩიტის ფორმა მისცა. მაგრამ თარიყის მცდელობებს ზალმაი უცერემონიოდ, ზოგჯერ გესლიანადაც კი უგულებელყოფდა.

— ვირი ხარ! — ყვიროდა ბავშვი, — შენი სათამაშოები არ მჭირდება!

— ზალმაი! — სუნთქვა ეკვროდა ლაილას.

— ყველაფერი რიგზეა, ლაილა, — ამშვიდებდა თარიყი, — ყველაფერი რიგზეა! თავი დაანებე.

— შენ მამაჩემი არ ხარ! ჩემი ნამდვილი მამა საქმეებზეა, აქედან შორს, და როდესაც შინ დაბრუნდება, გცემს! ვერსად გაექცევი, რადგან მას ორი ფეხი აქვს, შენ კი — მხოლოდ ერთი.

ღამით ლაილა ზალმაის გულზე იხუტებდა და ბაბალუსგან დამცავ ლოცვებს უკითხავდა. როდესაც ბიჭი ეკითხებოდა, ქალი მუდამ ცრუობდა; ეუბნებოდა, მამაშენი წავიდა და არ ვიცი, როდის დაბრუნდებაო. სძულდა ამ სიტყვების თქმა; სძულდა საკუთარი თავი იმის გამო, რომ ბავშვს ატყუებდა.

ლაილამ კარგად იცოდა, რომ ამ სამარცხვნო ტყუილის გამეორება ისევ და ისევ მოუწევდა. ზალმაი არ მოეშვებოდა, საქანელაზე მჯდომი თუ შუადღის ძილიდან გამოფხიზლებული გამუდმებით ერთსა და იმავე კითხვას დაუსვამდა. ასე იქნებოდა მაშინაც, როდესაც წამოზრდილი ბიჭუნა ფეხსაცმლის თასმებს თავად შეიკრავდა, სკოლაში დამოუკიდებლად ივლიდა. ლაილა მას კვლავაც ტყუილით გაისტუმრებდა.

ქალმა ისიც იცოდა, რომ ოდესმე ეს შეკითხვები ამოიწურებოდა. თანდათან ზალმაი შეწყვეტდა იმაზე ფიქრს, მამამ რატომ მიატოვა. შუქნიშანთან მხრებში მოხრილ, მძიმედ მიმავალ ან ჩაის სახლის ღია სივრცეში ჩაის ჭიქით მჯდომ მამაკაცში რაშიდი აღარ მოეჩვენებოდა. ერთ დღესაც, როდესაც დაკლაკნილ მდინარეს გაუყვებოდა ან თოვლით დაფარულ მდელოს მიაშტერდებოდა, გააცნობიერებდა, რომ მამის გაუჩინარება მისთვის გახსნილი ჭრილობა აღარ იყო; რომ ეს გრძნობა რაღაც სრულიად განსხვავებული, უმტკივნეულო და ფერმკრთალი, ძველი სიბრძნესავით წმინდა და მისტიკური გამხდარიყო.

ლაილა მარიში ბედნიერი იყო. მაგრამ ეს არ იყო იოლი ბედნიერება — ბედნიერება საფასურის გარეშე.

დასვენების დღეებში თარიყსა და ლაილას ბავშვები მოლზე მიჰყავდათ. ერთმანეთის მიყოლებით ჩამწკრივებულ მაღაზიებში სამკაულები იყიდებოდა, იქვე იყო მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებში აგებული ანგლიკანური ეკლესია. თარიყი მათთვის ქუჩის მოვაჭრეებთან ცხარე ჩაფლი ქაბაბს(ჩაფლი ქაბაბი — მრგვალი და ბრტყელი ფორმის ერთგვარი ქაბაბი, რომელიც საქონლის ხორცისგან მზადდება.) ყიდუ-

ლობდა. ადგილობრივი მოსახლეების, ფიჭური ტელეფონებითა და ციფრული კამერებით აღჭურვილი ევროპელებისა და ვაკე ადგილების სიცხეს გამოქცეულ პენჯაბელების გვერდით ოთხივე ერთად სეირნობდა.

ხანდახან ავტობუსში სხდებოდნენ და ქაშმირ ფოინტში მიემგზავრებოდნენ. იქიდან თარიყი ცოლ-შვილს მდინარე ჯელუმის ხეობას, ფიჭვებით მოფენილ ფერდობებსა და ბარაქიან, დაბურულ გორაკებს აჩვენებდა. როგორც ამბობდნენ, აქ მაიმუნები ჯერ კიდევ ტოტიდან ტოტზე დახტოდნენ. შემდეგ მარიდან ოცდაათი კილომეტრით დაშორებულ, ნეკერჩხლებით შემოსილ ნათჰიაგალის(მთის კურორტი, ქალაქი პაკისტანში.) სტუმრობდნენ. თარიყი ლაილას ხელს ჩასჭიდებდა და ასე სეირნობდნენ ხოლმე დაჩრდილულ გზაზე, რომელიც გუბერნატორის სახლთან მიდიოდა. ძველ ბრიტანულ სასაფლაოსთან ჩერდებოდნენ ან ტაქსით მთის წვერზე ამწვანებული, ნისლში გახვეული ხეობის სანახავად ადიოდნენ.

ზოგჯერ, ასეთი ჯგუფური სეირნობისას, ლაილა თავისი ოჯახის წევრების გამოსახულებას მაღაზიის ვიტრინაში მოჰკრავდა თვალს. მამაკაცი, ქალი, ქალიშვილი და ვაჟი — უცხო თვალისთვის ჩვეულებრივი ოჯახის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ, რომელსაც არც საიდუმლო აწუხებდა, არც ტყუილი და არც სინანულის განცდა.

აზიზას საშინელი კოშმარები კივილით აღვიძებდა. ლაილა გვერდით მიუწვებოდა ხოლმე, ლოყებს სახელოთი უმშრალებდა, ცდილობდა დაემშვიდებინა და ძილი შეებრუნებინა.

თავის სიზმრებში ლაილა მუდამ ქაბულის სახლში იყო, დერეფნის გავლით კიბეზე ადიოდა. მარტო იყო, მაგრამ კარს იქით უთოს რიტმული შიშინი, თეთრეულის შარიშური ესმოდა. ზოგჯერ ქალის ხმადაბალ ღიღინსაც მოჰკრავდა ყურს, ვიღაცა ჰერათულ სიმღერას მღეროდა. მაგრამ ოთახი მუდამ ცარიელი აღმოჩნდებოდა ხოლმე, იქ არავინ ხვდებოდა.

ლაილას აკანკალებულს ეღვიძებოდა. ოფლში ცურავდა, ცრემლებისგან თვალები ეწვოდა. ეს სიზმრები ანადგურებდა.

## 49

სექტემბრის იმ კვირა დღეს ლაილა ზალმაის დასაძინებლად აწვენდა. ბიჭი გაცივებული იყო და უკვე თვლემას იწყებდა, როდესაც მათ ქოხში თარიყი შემოვარდა.

— გაიგე? — წამოიძახა აქოშინებულმა, — მოკლეს! აჰმად შაჰ მასუდი მკვდარია!..

— რას ამბობ?

შესასვლელთან მდგომმა თარიყმა ცოლს ყველაფერი უამბო, რაც იცოდა.

— ამბობენ, ორ ჟურნალისტს ინტერვიუს აძლევდაო. ისინი ამტკიცებდნენ, წარმოშობით მაროკოელი ბელგიელები ვართო. საუბრისას ვიდეოკამერაში ჩამონტაჟებული ბომბი ამოქმედებულა, რომელმაც მასუდი და ერთ-ერთი ჟურნალისტი იმსხვერპლა. მეორემ გაქცევა სცადა, მაგრამ ესროლეს. ვარაუდობენ, რომ ჟურნალისტები „ალ-კაიდას“ წევრები იყვნენ.

ლაილას აჰმად შაჰ მასუდის პლაკატი გაახსენდა, დედამ რომ საძინებლის კედელზე გაიკრა. მასუდი წინ გადმოხრილიყო, ცალი წარბი აეწია და ყურადღების დაძაბვისგან სახე ისე დანაოჭებოდა, თითქოს ვიღაცას მთელი გულისყურით უსმენსო. ლაილას კარგად ახსოვდა, დედა მასუდს როგორ ემადლიერებოდა იმის გამო, რომ მისი შვილების საფლავთან ლოცვა აღავლინა. ამ ამბავს ყველას უყვებოდა. მას შემდეგაც კი, რაც მასუდის დაჯგუფებასა და დანარჩენებს შორის ომი გაჩაღდა, დედა მას არაფერში ადანაშაულებდა. იტყოდა ხოლმე: კარგი ადამიანია! მშვიდობისთვის იბრძვის, ავღანეთის აღდგენა სურს, მაგრამ საშუალებას არ აძლევენო.

მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი ძალიან ცუდად შემოტრიალდა და ქაბული ნანგრევებად იქცა, დედასთვის მასუდი მუდამ ფანჯშირის ლომად რჩებოდა.

ლაილა ასეთი მიმტევებელი არ იყო. მართალია, მასუდის ძალადობრივმა აღსასრულმა არ გაახარა, მაგრამ კარგად ახსოვდა, როგორ ნადგურდებოდა ამ კაცის თვალწინ ის რაიონი, სადაც გოგონა ცხოვრობდა; როგორ გამოჰქონდათ ცხედრები ნანგრევებიდან; ახსოვდა ბავშვების კიდურები, რომელთაც სახლის სახურავებსა და ხის ტოტებზე პოულობდნენ მათი დაკრძალვის შემდგომ დღეებში. გარკვევით ახსოვდა დედამისის სახეც ჭურვის აფეთქებამდე რამდენიმე წამით ადრე. მიუხედავად მცდელობისა, ვერაფრით ივიწყებდა ბაბის თავწაცლილ სხეულს, რომელიც მის სიახლოვეს ეგდო, და მის მაისურს, სადაც სქელ ნისლსა და სისხლს შორის ხიდის კოშკურა მოჩანდა.

— დაკრძალვის ცერემონია იქნება, — თქვა თარიყმა, — დარწმუნებული ვარ! სავარაუდოდ, რავალფინდიში. უამრავი ხალხი მოიყრის თავს.

ზალმაი, რომელიც თარიყის შემოსვლამდე უკვე თვლემდა, წამომჯდარიყო და თვალებს იფშვნეტდა.

ორი დღის შემდეგ, ოთახის დალაგებისას, სასტუმროს ვესტიბიულიდან ხმაური შემოესმათ. თარიყმა იატაკის ჯოხი დააგდო და გარეთ გავარდა. ლაილაც ფეხდაფეხ მიჰყვა. სტუმრების მისაღები მაგიდის მარჯვენა მხარეს, მოსაცდელში, საიდი, კონსიერჟი და რამდენიმე სტუმარი შეკრებილიყვნენ. რამდენიმე სკამისა და ორი ჩალისფერი, ზამშის დივანის წინ ტელევიზორი იდგა, რომელიც „ბიბისის“ უჩვენებდა. ეკრანზე ცათამბჯენი მოჩანდა, რომლის ზედა სართულები შავი კვამლის ბოლქვებში გახვეულიყო. თარიყმა საიდს რაღაც ჰკითხა. კაცმა პასუხის გაცემაც კი ვერ მოასწრო, რომ ეკრანის კუთხიდან მოულოდნელად თვითმფრინავი გამოჩნდა და მეზობლად მდებარე ცათამბჯენს შეასკდა. აფეთქების შედეგად წარმოქმნილმა ცეცხლოვანმა სფერომ ერთბაშად დაჩრდილა ყველა ის აფეთქება, რაც კი ლაილას აქამდე ენახა. ვესტიბიულში შეკრებილებმა ერთობლივად წამოიყვირეს.

დაახლოებით ორ საათში ორივე ცათმბჯენი მთლიანად ჩამოიშალა.

მალე ყველა სატელევიზიო არხი ავღანეთზე, „თალიბანსა“ და ოსამა ბინ ლადენზე საუბრობდა.

— გაიგე თალიბებმა რა თქვეს ბინ ლადენზე? — იკითხა თარიყმა.

აზიზა საწოლზე, მის პირდაპირ იჯდა და დაფას დასცქეროდა. თარიყმა მას ჭადრაკის თამაში ასწავლა. გოგონა იჭმუხნებოდა და ქვედა ტუჩს წინ სწევდა, მამამისის იმ მიმიკას ბაძავდა, რომელსაც კაცი სვლის გაკეთებამდე იყენებდა.

ზალმაი უკეთ გამხდარიყო. ეძინა. ლაილა გულმკერდს „ვიკსით“(ამერიკული წარმოების გაციების საწინააღმდეგო საშუალება.) უზელდა.

— გავიგე, — უპასუხა ცოლმა.

თალიბებმა გამოაცხადეს, რომ ბინ ლადენს არ გადასცემდნენ, რადგან იგი მათი მეჰმანი(მეჰმანი — სტუმარი.), სტუმარი იყო. ავღანეთში მას თავშესაფარი მისცეს, სტუმრის გაძევება კი პაშტუნთა ეთიკის კოდექსს ეწინააღმდეგებოდა. თარიყმა სიმწრით ჩაიცინა. ლაილამ მის ღიმილში პაშტუნების ღირსეული ადათ-წესების, მისი ხალხის თავისებურებების განზრახ დამახინჯებით გამოწვეული აღშფოთება ამოიცნო.

ცათამბჯენებზე თავდასხმიდან რამდენიმე დღის შემდეგ ლაილა და თარიყი კვლავ სასტუმროს ვესტიბიულში იმყოფებოდნენ. ტელევიზორის ეკრანიდან ხალხს ჯორჯ ბუში მიმართავდა. მის ზურგს უკან ამერიკის უზარმაზარი დროშა მოჩანდა. ერთ მომენტში პრეზიდენტს ხმა აუკანკალდა და ლაილას ეგონა, რომ ტირილს დაიწყებდა.

საიდმა ინგლისური იცოდა. დანარჩენებს უთარგმნა, ბუშმა ეს წუთია ომი გამოაცხადაო.

— ვის გამოუცხადა? — იკითხა თარიყმა.

— ჯერჯერობით შენს ქვეყანას.

— შეიძლება ეს არც ისე ცუდი იყოს, — თქვა თარიყმა.

სექსის შემდეგ კაცი ლაილას გვერდით იწვა, თავი მის მკერდზე, ხელები კი მის მუცელზე ედო. თავიდან არაფერი გამოსდიოდათ. თარიყი

გამუდმებით ბოდიშობდა, ლაილა კი მთელი მონდომებით ამხნევებდა. ახლა ფიზიკური სირთულეები წარსულს ჩაბარდა, მაგრამ ყოფითს ვერაფერი მოუხერხეს. ოთახი, რომელსაც შვილებთან იყოფდნენ, ძალიან პატარა იყო. ბავშვებს მათ ქვემოთ, საბავშვო საწოლებზე ეძინათ. ასე რომ, განმარტოების საშუალებაარ ჰქონდათ. უმეტესად, ლაილასა და თარიყს თავშეკავება, ვნებების უსიტყვოდ გამოხატვა უწევდათ. ყოველი შემთხვევისთვის, თუ უეცრად ბავშვები საქმეს შეაწყვეტინებდნენ, მუდამ ჩაცმულები იწვნენ. ფრთხილობდნენ, რომ ზეწრის შარიშური ან საწოლის ზამბარის ჭრიალი აზიზასა და ზალმაის არ გაეგონათ. მაგრამ ლაილასთვის თარიყთან ერთად ყოფნა ამ შიშის გადატანადაც ღირდა. თავს დაცულად გრძნობდა, ხვდებოდა, რომ საიმედო ხელში იყო. შფოთვა, რომ მათი ერთად ყოფნა მხოლოდ ღმერთის დროებითი საჩუქარი იყო, მინელებოდა. ლაილას თარიყთან განშორების შიში

გაუქრა.

— რა იგულისხმე? — ახლაღა ჰკითხა ქალმა.

— ის, რომ, რაც ახლა ჩვენს სამშობლოში ხდება, შეიძლება უკეთესიც იყოს.

— უკეთესი?! — აღშფოთდა ლაილა, — ისევ ბომბები ცვივა, ამჯერად ამერიკული ბომბები. როცა ზეწრებს ვცვლი ან მტვერს ვიღებ, ტელევიზორში ყოველდღე ომის საშინელებას ვხედავ!..

ამერიკელებმა მეთაურებს დამატებითი შეიარაღება გადასცეს, ჩრდილოეთის ალიანსისგან კი „თალიბანის“ გაძევებასა და ბინ ლადენის მოძებნაში დახმარების პირობა მიიღეს.

ლაილა თარიყის სიტყვებმა აღაშფოთა, მისი თავი მკერდიდან უხეშად მოიშორა.

— არც ისე ცუდი? ხალხი იღუპება! ქალები, ბავშვები, მოხუცები ყოველდღე იხოცებიან, სახლები ისევ ინგრევა... და ეს ყველაფერი არც ისე ცუდია?!.

— სუუ, ბავშვებს გააღვიძებ!..

— ეს როგორ თქვი, თარიყ?! — მკვახედ მიუგო ქალმა. — თუნდაც ყარამის ვითომდა შემთხვევითი დაბომბვის შემდეგ ასობით უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა! მათი გვამები თავადაც ხომ ნახე?!

— არა, — თავის მართლება სცადა კაცმა. იდაყვს დაყრდნობილმა ლაილას დახედა. — სწორად ვერ გამიგე. მე ის ვიგულისხმე, რომ...

— მაგრამ შენ ხომ არაფერი გინახავს, — უთხრა ქალმა. მიხვდა, რომ ხმას აუწია, რომ ეს ცოლ-ქმრის პირველი კამათი იყო. — შენ ზუსტად მაშინ წახვედი, როდესაც მოჯაჰედებმა ომი გააჩაღეს. იქ მხოლოდ მე დავრჩი, მე! ომი მე ვნახე! ამ ომში მშობლები დავკარგე, მშობლები, თარიყ! ახლა კი შენ მეუბნები, რომ ომი არც ისე ცუდია!..

— მაპატიე, ლაილა. ძალიან ვწუხვარ, — კაცმა თავი ხელებში ჩარგო, — მართალი ხარ. მაპატიე. მხოლოდ ის ვიგულისხმე, რომ შესაძლოა ამ ომის დასასრულს იმედის ნაპერწკალი გაჩნდეს, პირველად ამდენი ხნის განმავლობაში...

— ამ თემაზე საუბარი აღარ მსურს! — უთხრა ლაილამ და თავადაც გაუკვირდა, ზღვარს როგორ გადავიდა. იცოდა, რომ ქმარს უსამართლოდ მოექცა; განა ომმა მასაც არ წაართვა მშობლები? უეცარმა გაცხარებამ გადაუარა. თარიყი კვლავაც მშვიდად საუბრობდა და როდესაც ლაილა თავისკენ მოზიდა, ქალი დანებდა, კოცნის უფლება მისცა. ლაილამ იცოდა, რომ თარიყი მართალი იყო; იცოდა, რასაც გულისხმობდა. შესაძლოა, ეს ომი გარდაუვალი აუცილებლობა იყო. იქნებ მას შემდეგ, რაც ბუში დაბომბვას შეწყვეტდა, იმედის ნაპერწკალი გაჩენილიყო. მაგრამ თავს ამის აღიარების უფლებას ვერ აძლევდა. ის, რაც ბაბისა და დედას შეემთხვათ, ახლა სხვა ავღანელების ხვედრი გამხდარიყო. რომელიმე გოგონა და ბიჭი შინ დაბრუნდებოდა და ჩამოვარდნილი ჭურვი მასსავით დააობლებდა. ლაილას ამის აღიარება არ შეეძლო. ან როგორ უნდა გახარებოდა? ეს ხომ ფარისევლობა, უზნეობა იქნებოდა?!

იმ ღამეს ზალმაი ხველებამ გამოაღვიძა. სანამ ლაილა წამოიწეოდა, თარიყი ლოგინიდან წამოფრინდა, პროთეზი მოირგო, ზალმაისთნ მიიჭრა და ბავშვი ხელში აიყვანა. ლაილა კაცს საწოლიდან აკ-

ვირდებოდა. მისი სილუეტი სიბნელეში წინ და უკან რიტმულად ირხეოდა. ქალი ზალმაის თავის კონტურს ქმრის მხარზე არჩევდა. ბიჭუნას თარიყისთვის ხელები — კისერზე, ფეხები კი თეძოებზე შემოეხვია.

როდესაც კაცი საწოლში დაბრუნდა, ხმა არც ერთს არ ამოუღია. ლაილა მისკენ გადაბრუნდა და ხელით სახეზე შეეხო. თარიყს ლოყები დასველებოდა.

## 50

ლაილასთვის მარი მშვიდი სავანე იყო. მძიმე სამუშაო არ ჰქონდა. დასვენების დღეებში მას და თარიყს ბავშვები საბაგიროთი ფათრიათას მთაზე აჰყავდათ, ან ფინდი ფოინთში მიდიოდნენ, საიდანაც უღრუბლო დღეებში ისლამაბადი და რავალფინდის ცენტრი მოჩანდა. ბალახზე გადასაფარებელს აფენდნენ და ხორცისა და კიტრის სენდვიჩებს მიირთმევდნენ, ჯანჯაფილის ცივ ლუდს სვამდნენ.

ლაილა თავისი ცხოვრებით კმაყოფილი იყო; რაშიდთან ერთად გატარებულ საშინელ დღეებში ზუსტად ასეთ ცხოვრებაზე ოცნებობდა.

2002 წლის ივლისის ერთ თბილ ღამეს ის და თარიყი ლოგინში იწვნენ და სამშობლოში მიმდინარე ცვლილებს ხმადაბლა განიხილავდნენ. ამ ხნის განმავლობაში ძალიან ბევრი რამ მომხდარიყო. კოალიციურ ძალებს თალიბები ყველა მთავარი ქალაქიდან გაეძევებინათ და პაკისტანის საზღვრებისა და ავღანეთის სამხრეთი და აღმოსავლეთი მთიანეთისკენ გაედევნათ. Iშაფ(Iშაფ — საერთაშორისო უშიშროების დახმარების ძალები.) — საერთაშორისო სამშვიდობო ძალა — ქაბულში გაიგზავნა. ქვეყანას დროებითი პრეზიდენტი — ჰამიდ ქარზაი განაგებდა.

ლაილამ გადაწყვიტა, თავისი ფიქრები თარიყისთვისაც გაენდო.

ერთი წლის წინ ქაბულიდან გამოსაქცევად უკან არაფერზე დაიხევდა. მაგრამ ბოლო თვეების განმავლობაში მშობლიური ქალაქი უსაზღვროდ მოენატრა. მოენატრა შურ-ბაზრის ჟრიამული, ბაბურის ბაღები, წყლის დამტარებელთა ყვირილი, რომლებიც ტიკებს დაათრევდნენ, წიწილების ქუჩის ტანსაცმლითა და ქართე ფარვანის ნესვით მოვაჭრეები.

ლაილასთვის ეს უბრალოდ სამშობლოს მონატრება ან ნოსტალგია არ იყო. შფოთავდა, იტანჯებოდა. ხმები მოსდიოდა, რომ ქაბულში სკოლებს აშენებდნენ, გზებს ხელახლა აგებდნენ, ქალები სამუშაოს უბრუნდებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მარიში თავს კარგად გრძნობდა და ღვთის მადლიერიც იყო, თანდათან გააცნობიერა, რომ აქაური ცხოვრება მისთვის არა მხოლოდ არასაკმარისი, არათანმიმდევრულიც იყო, უფრო მეტიც, უაზროც კი გამხდარიყო. ბაბის ხმა ყურში ხშირად ჩაესმოდა: „ლაილა, რაც არ უნდა მოინდომო, ყველაფერს შეძლებ, დარწმუნებული ვარ! ისიც ვიცი, რომ, როდესაც ომი დასრულდება, შენ ავღანეთს დასჭირდები“.

დედას სიტყვებიც ახსოვდა. ახსოვდა, რა უპასუხა მან ბაბის, როდესაც ქმარმა ავღანეთის დატოვება სთხოვა. „მინდა, ჩემი შვილების ახდენილი ოცნება ვნახო. მინდა, აქ ვიყო, როცა ეს მოხდება, როცა ავღანეთი გათავისუფლდება. და მაშინ ამას ბიჭებიც ნახავენ, ყველაფერს ჩემი თვალებით ნახავენ!“

ლაილას ქაბულში დაბრუნების სურვილი გაუჩნდა. ეს ბაბისა და დედასთვის უნდა გაეკეთებინა. მათ ყველაფერი მისი თვალებით უნდა ენახათ!

გარდა ამისა, იყო კიდევ ერთი დაუძლეველი მიზეზი — მარიამი. „განა იგი ამისთვის მოკვდა? — ეკითხებოდა ლაილა საკუთარ თავს. — განა თავი იმისთვის გაწირა, რომ უცხო ქვეყანაში მოახლე გავმხდარიყავი?!“

შესაძლოა, მარიამისთვის ისიც საკმარისი ყოფილიყო, რომ ლაილა და ბავშვები თავს უსაფრთხოდ და ბედნიერად გრძნობდნენ. მაგრამ ლაილასთვის არ იყო საკმარისი. მას უფრო მეტი სურდა.

— უკან დაბრუნება მინდა, — თქვა ქალმა ერთ ღამეს.

თარიყი საწოლში წამოჯდა და ცოლს დახედა.

ლაილა კიდევ ერთხელ დარწმუნდა, როგორი მიმზიდველი ქმარი ჰყავდა; როგორი სრულყოფილი შუბლის მოხაზულობა, ნატიფი მკლავები და ჭკვიანი თვალები ჰქონდა. თითქმის ერთი წელი გასულიყო, მაგრამ ჯერაც იყო მომენტები, როდესაც ლაილა ვერ იჯერებდა, რომ ერთმანეთი ისევ იპოვეს, რომ თარიყი ნამდვილად მის გვერდით იყო და მისი ქმარი ერქვა.

— უკან? ქაბულში? — ჰკითხა მან.

— მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შენც გინდა.

— აქ უბედური ხარ? მეგონა, შენც და ბავშვებიც ბედნიერები იყავით.

ლაილა წამოჯდა. თარიყმა გვერდით გაიწია და ქალს სივრცე დაუთმო.

— ბედნიერი ვარ, — მიუგო ლაილამ. — რა თქმა უნდა, ბედნიერი ვარ. მაგრამ... მარიში რამდენ ხანს უნდა დავრჩეთ, თარიყ? აქ ხომ ჩვენი სახლი არ არის. ქაბული ჩვენი სამშობლოა და ახლა იქ იმდენი რამ ხდება! ძალიან ბევრი კარგი რამ. მინდა, ამ ყველაფრის ნაწილი გავხდე. მინდა, რაღაც მეც გავაკეთო, ჩემი წვლილი შევიტანო. გესმის?

თარიყმა თავი მძიმედ დაუკრა.

— აი, თურმე რა გსურს. დარწმუნებული ხარ?

— სრულიად დარწმუნებული. უფრო მეტიც, ვგრძნობ, რომ უკან დაბრუნება ჩემი ვალია. ახლა აქ დარჩენა მართებულად არ მიმაჩნია.

თარიყმა ჯერ ხელებზე დაიხედა, შემდეგ კი მზერა ცოლზე გადაიტანა.

— მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში დავბრუნდებით, თუ ეს შენი სურვილიც იქნება.

კაცმა გაიღიმა. შუბლიდან ნაოჭი გაუქრა, და ერთი წამით ისევ ძველი თარიყი გახდა. თარიყი, რომელსაც თავის ტკივილები არ

აწუხებდა, რომელმაც ერთხელ თქვა, ციმბირში ცინგლი მიწაზე დაცემამდე იყინებაო. შესაძლოა, ეს მხოლოდ ლაილას წარმოსახვა იყო, მაგრამ სჯეროდა, რომ ძველი თარიყი კაცში სულ უფრო ხშირად იღვიძებდა.

— ჩემი? — ჩაეკითხა ქმარი, — შენ თუნდაც სამყაროს ბოლომდე გამოგყვები, ლაილა!

ქალმა თარიყი თავისკენ მიიზიდა და ტუჩები დაუკოცნა. არასდროს ისე ძლიერ არ ჰყვარებია, როგორც იმ წუთას.

— გმადლობ, — უთხრა და შუბლი შუბლზე მიადო.

— შინ დავბრუნდეთ.

— მაგრამ, უპირველს ყოვლისა, ჰერათში უნდა ჩავიდე, — თქვა ქალმა.

— ჰერათში?

ლაილამ ყველაფერი აუხსნა.

ორივე ბავშვის დარწმუნება ლაილას ცალ-ცალკე მოუხდა. აზიზამ კანკალი დაიწყო. გოგონა ჯერ ისევ ღამის კოშმარებს ხედავდა; ერთი კვირის წინ ვიღაცამ საქორწილო წვეულებაზე ცაში გაისროლა, აზიზას კი ისე შეეშინდა, რომ კინაღამ ატირდა. ლაილამ ქალიშვილს აუხსნა, რომ, როდესაც ქაბულში დაბრუნდებოდნენ, თალიბები იქ აღარ დახვდებოდნენ, აღარც ბრძოლები იქნებოდა და ობოლთა თავშესაფარშიც არავინ გააგზავნიდა.

— ყველანი ერთად ვიცხოვრებთ. მამაშენი, მე, ზალმაი და, რა თქმა უნდა, შენ, აზიზა. ერთმანეთს არასდროს დავშორდებით. გპირდები! — უთხრა ლაილამ და გაუღიმა. — სანამ ამას შენ თვითონ არ მოისურვებ. სანამ ვინმე ახალგაზრდა კაცი არ შეგიყვარდება და ცოლად არ გაჰყვები.

მარიდან გამგზავრების დღეს ზალმაი დამწუხრებული იყო. მკლავები ალიონას კისერზე შემოეხვია და აღარ უშვებდა.

— დედიკო, ზალმაი თხას ვერაფრით მოვაცილე! — დაიჩივლა აზიზამ.

— შვილო, თხას ავტობუსში ვერ ავიყვანთ, — კიდევ ერთხელ აუხსნა ლაილამ.

მაგრამ სანამ თარიყმა მის წინ არ ჩაიმუხლა და ბავშვს არ შეჰპირდა, რომ ალიონას მსგავს თხას ქაბულში გიყიდიო, ზალმაიმ ცხოველს ხელი არ გაუშვა.

საიდთან გამომშვიდობება გულისამაჩუყებელი გამოდგა. კაცი ყურანით ხელში გასასვლელში იდგა. თარიყი, ლაილა და ბავშვები წმინდა წიგნს სამ-სამჯერ ემთხვივნენ. შემდეგ მან ყურანი ზევით ასწია, ისე, რომ თარიყის ოჯახს მის ქვეშ გაევლო. საიდმა ორი ჩემოდანი თავის მანქანაში ჩადო და ყველანი სადგურზე წაიყვანა. კაცი ბორდიურზე დადგა და მეგობრებს ხელს მანამ უქნევდა, სანამ ავტობუსი ადგილიდან ხმაურით არ დაიძრა.

ლაილამ უკანა ფანჯარაში გაიხედა, საიდს სულ უფრო შორდებოდნენ. ერთი წამით გონებაში ეჭვმა გაუელვა. იქნებ უსაფრთხო მარის დატოვება სისულელე იყო? უნდა დაბრუნებულიყვნენ კი იმ მიწაზე, რომელსაც მისი მშობლები და ძმები შეეწირნენ, სადაც ჭურვების კვამლის სუნი ჯერაც იგრძნობოდა?

მაგრამ მისი ტვინის რომელიღაც მიყრუებული კუნჭულიდან ბაბის ქაბულთან გამოსამშვიდობებელი ოდიდან ეს ორი სტრიქონი ამოუტივტივდა:

ვინ მოსთვლის მოციმციმე მთვარეს,
ქალაქის სახურავებს რომ დაჰნათის,
ან ათას მოელვარე მზეს, მის კედლებს თავშეფარებულს.

ლაილა სავარძელში დაბრუნდა. მისი ფახულა წამწამები ცრემლებს დაენამა. ქაბული ელოდა. ქაბულს იგი სჭირდებოდა. შინ დაბრუნება სწორი გადაწყვეტილება იყო.

მაგრამ იქამდე წინ კიდევ ერთი გამომშვიდობება ელოდა.

ავღანეთის ომმა ქაბულის, ჰერათისა და ყანდაარის დამაკავშირებელი გზები მთლიანად გაანადგურა. ჰერათში გასამგზავრებლად ყველაზე მოკლე მარშრუტი ირანის გავლით, ქალაქ მეშჰედიდან იყო. ლაილას და მის ოჯახს იქ მხოლოდ ერთი ღამის გათევა

მოუხდათ. სასტუმროში დარჩნენ, მეორე დილას კი სხვა ავტობუსს გაჰ-ყვნენ.

მეშჰედი ხალხმრავალი, ხმაურიანი ქალაქი იყო. გზად ლაილა პარკებს, მეჩეთებს, საქაბაბეებს ათვალიერებდა. როდესაც ავტობუსმა მერვე შიიტი იმამის, იმამ რეზას აკლდამას გვერდით ჩაუარა, ლაილამ კისერი წაიგრძელა, რათა მისი ლაპლაპა სახურავისთვის, მინარეთე-ბისთვის, დიდებული ოქროს გუმბათისთვის მოეკრა თვალი, ასე უზა-დოდ და სიყვარულით რომ შემოენახათ. ქალს ბუდას ორი ქანდაკება გაახსენდა. მათ ადგილას ახლა მხოლოდ მტვრის გროვებიღა იქნებო-და, რომელსაც ქარი ბამიანის ხეობაში მიმოაბნევდა.

ირან-ავღანეთის საზღვრამდე მისვლას ავტობუსით ათი საათი სჭირდებოდა. რაც უფრო უახლოვდებოდნენ ავღანეთს, მით უფრო უკაცრიელი და უნაყოფო რაიონები ხვდებოდათ. სანამ ჰერათის საზ-ღვარს გადაკვეთდნენ, გვერდით ავღანელი ლტოლვილების ბანაკს ჩაუარეს. ყვითელი მტვერი, შავი კარვები და ფოლადის ფირფიტების-გან გაკეთებული პატარა კონსტრუქციები ლაქებივით მოჩანდა. ლა-ილა თავის ადგილს დაუბრუნდა და თარიყს ხელი ჩასჭიდა.

ჰერათში ქუჩების უმეტესობა მოკირწყლული იყო. გზას ორივე მხა-რეს მწკრივად სურნელოვანი ნაძვები მიუყვებოდა. მუნიციპალური პარკები, მშენებარე ბიბლიოთეკები და ახლად შეღებილი შენობები დაინახეს. შუქნიშნები მუშაობდა, და რამაც ლაილა ყველაზე მეტად გააოცა, ელექტროენერგია ქალაქს უწყვეტად მიეწოდებოდა. ქალს გა-გონილი ჰქონდა, რომ ჰერათის ფეოდალი მმართველი — საველე მე-თაური ისმაილ-ხანი ქალაქის განახლებას ავღანეთ-ირანის საზღვრი-დან მიღებული საგადასახადო შემოსავლებით ახერხებდა. როგორც ოფიციალური ქაბული ამბობდა, ეს ფული მას კი არა, ცენტრალურ მთავრობას ეკუთვნოდა. სასტუმრო „მოვაფაყისკენ“ მიმავალ გზაზე ტაქსის მძღოლმა ისმაილ-ხანი რომ ახსენა, მის ხმაში მოწიწებამ და შიშმა ერთდროულად გაიელვა.

„მოვაფაყში“ ორი ღამის გათენება დანაზოგის თითქმის მეხუთედი დაუჯდათ. მაგრამ მეშჰედიდან მგზავრობა გრძელი და დამქანცველი

აღმოჩნდა, ბავშვები გადაღლილები იყვნენ. როდესაც ოთახის გასაღებს აძლევდა, სასტუმროში უფროსმა პორტიემ თარიყს უთხრა, რომ „მოვაფაყს“ ბევრი ჟურნალისტი და არასამთავრობო ორგანიზაცია სტუმრობდა.

— აქ ერთხელ ბინ ლადენს ეძინა, — წაიტრაბახა კაცმა.

მათ ნომერში ორი საწოლი იდგა. სააბაზანოში ცივი წყალი მოდიოდა. კედელზე პოეტ ხოჯა აბდულა ანსარის პორტრეტი ეკიდა. ფანჯრიდან ხალხმრავალი ქუჩისა და პარკის ხედი მოჩანდა. პარკში პასტელის ფერებით შეღებილი ბილიკი ყვავილების ხშირ ბუჩქებს შორის მიიკლაკნებოდა. ტელევიზორს მიჩვეულ ბავშვებს იმედი გაუცრუვდათ, ოთახში ტელევიზორი რომ არ დახვდათ, მაგრამ დაღლილებს მალევე ჩაეძინათ. არც მშობლები ჩამორჩენილან. ლაილას თარიყის მკლავზე ღრმად ეძინა, მხოლოდ ერთხელ, შუაღამისას გამოაღვიძა სიზმარმა, რომელიც ვერაფრით გაიხსენა.

მეორე დილას საუზმეზე ჩაი, ახალი პური, კომშის ჯემი და მოხარშული კვერცხი მიირთვეს.

თარიყმა ცოლს ტაქსი გაუჩერა.

— დარწმუნებული ხარ, რომ ჩემი გამოყოლა არ გინდა? — ჰკითხა მან.

აზიზას მამისთვის ხელი ჩაეჭიდა. ზალმაიც იქვე იდგა, მხრით კაცის თეძოს ეყრდნობოდა.

— დარწმუნებული ვარ, — მიუგო ქალმა.

— ვღელავ.

— ყველაფერი კარგად იქნება, — დაამშვიდა ლაილამ. — გპირდები. ბავშვები ბაზარში წაიყვანე და რამე უყიდე.

ტაქსი რომ დაიძრა, ზალმაიმ ტირილი მორთო. ქალმა უკან მიიხედა და დაინახა, რომ ატირებულმა ბიჭუნამ თარიყისკენ გაიწია. ზალმაიმ თარიყის მიღება დაიწყო! ლაილას თან უხაროდა, თან გული ეკუმშებოდა.

— თქვენ ჰერათიდან არ ხართ, არა? — ჰკითხა მძღოლმა.

კაცს მუქი ფერის, მხრებამდე თმა ჰქონდა. ლაილამ აღმოაჩინა, რომ თალიბების წასვლის შემდეგ მათი ჯიბრით ასე ბევრი იქცეოდა. მარცხენა მხარეს მძღოლის ულვაში ნაიარევს შუაზე გაეყო. საქარე მინაზე, თავის მხარეს პატარა გოგონას ფოტო დაემაგრებინა. გოგონას ვარდისფერი ლოყები, შუაზე გაყოფილი თმა და ორი ნაწნავი ჰქონდა.

ლაილამ აუხსნა, რომ ერთი წელი პაკისტანში ცხოვრობდა, ახლა კი ქაბულში, დეჰ მაზანგში ბრუნდებოდა.

საქარე მინიდან ქალი ხედავდა ხელოსნებს, რომლებიც სპილენძის დოქებს თითბრის სახელურებს ადუღებდნენ, უნაგირის ოსტატები ტყავის ნაჭრებს მზეზე გასაშრობად აწყობდნენ.

— დიდი ხანია, რაც აქ ცხოვრობ, ძმაო? — ჰკითხა ლაილამ.

— მთელი ჩემი ცხოვრება. აქ დავიბადე. ყველაფერი ჩემი თვალით ვნახე. ამბოხი გახსოვს?

ქალმა უპასუხა, რომ ახსოვდა, მაგრამ მძღოლმა საუბარი არ შეწყვიტა.

— ეს 1979 წლის მარტში მოხდა, საბჭოელების შემოჭრამდე სადღაც ცხრა თვით ადრე. ჰერათში რამდენიმე საბჭოთა მრჩეველი მოკლეს. საპასუხოდ მათ ტანკები და შვეულმფრენები გამოგზავნეს და აქაურობა მიწასთან გაასწორეს. შენობები და მინარეთები დაანგრიეს, ათასობით ადამიანი დახოცეს. ათასობით ადამიანი! იმ სამ დღეში ორი და დავკარგე. ერთ-ერთი თორმეტი წლის იყო, — კაცმა თითი საქარე მინაზე მიმაგრებულ ფოტოზე დაადო, — აი, ის არის.

— ძალიან ვწუხვარ!.. — უთხრა ლაილამ. ქალი გაოცებული იყო, თითოეული ავღანელის ისტორია სიკვდილით, დანაკარგითა და წარმოუდგენელი მწუხარებით იყო დაღდასმული. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ამ ხალხმა გადარჩენა და ცხოვრების გაგრძელება შეძლო. ლაილა საკუთარ ცხოვრებაზეც დაფიქრდა. უკვირდა, რომ თავადაც გადარჩა, ცოცხალი იყო, ტაქსიში იჯდა და ამ კაცის ნაამბობს ისმენდა.

სოფელ გულ დამანში მხოლოდ რამდენიმე სახლი შემოეღობათ, დანარჩენები თიხითა და ჩალით ნაშენები ქოლბები იყო. გარეთ მზის-

გან გაშავებული მზემოკიდებული ქალები სადილს ამზადებდნენ. სახე ოფლით ჰქონდათ დაფარული, რადგან თვითნაკეთ შეშის მაყალზე შემოდგმულ გაშავებულ ქვაბებს ოხშივარი ასდიოდა. სახედრები ბაგიდან ჭამდნენ. ბავშვებმა წიწილებს თავი მიანებეს და ტაქსის გამოედევნენ. კაცები ქვებით სავსე ურიკებს ეზიდებოდნენ. ყველა გაჩერდა და თვალი მანქანას გააყოლა. მძღოლმა შეუხვია და გვერდით ჩაუარეს სასაფლაოს, რომლის ცენტრშიც ძველი მავზოლეუმი იდგა. მძღოლმა ლაილას უთხრა, აქ სოფლის სუფია დაკრძალულიო.

იქვე იყო ქარის წისქვილიც. მისი უმოქმედო, დაჟანგული ფრთების ჩრდილქვეშ სამი პატარა ბიჭი ჩაცუცქულიყო და ტალახში თამაშობდა. მძღოლმა მანქანა გააჩერა და ფანჯრიდან გადაიხარა. ბიჭებს შორის ყველაზე უფროსმა უპასუხა. მან გზაზე მოშორებით მდებარე სახლისკენ მიუთითა. მძღოლმა მადლობა გადაუხადა და მანქანის ძრავა კვლავ აამუშავა.

ერთ-ერთი შემოღობილი სახლის წინ შეჩერდნენ. ლაილამ გალავნიდან ლეღვის ხეების კენწეროები შენიშნა, ზოგიერთი ტოტი გარეთაც გადმოზნექილიყო.

— დიდხანს არ დავრჩები, — უთხრა ქალმა მძღოლს.

კარი შუახნის მამაკაცმა გაუღო. დაბალი იყო, გამხდარი, მოწითალო-მოყავისფრო თმა ჰქონდა. წვერში ჭაღარა ზოლები დამჩნეოდა. ფირაჰან(ფირაჰანი — პერანგი.)-თომბანზე ზემოდან ჩაპანი ეცვა.

ერთმანეთს მიესალმნენ.

— ეს მოლა ფაეზულას სახლია? — ჰკითხა ლაილამ.

— დიახ, მე მისი ვაჟი ჰამზა ვარ. რით შემიძლია დაგეხმაროთ, ჰამშირა?

— აქ მამათქვენის ძველ მეგობართან, მარიამთან დაკავშირებით ვარ.

ჰამზამ თვალები მოჭუტა. სახეზე დაფიქრება დაეტყო.

— მარიამი...

— ჯალილ-ხანის ქალიშვილი.

მან თვალები კიდევ ერთხელ მოჭუტა, ხელისგული ნიკაპთან მიიდო და სახეზე ღიმილი მოეფინა. ამ დროს ჩამოცვენილი და გაფუჭებული კბილები გამოუჩნდა.

— ოჰ! ოოოოჰ, — გაგრძელებით წარმოთქვა კაცმა. — ოჰ! მარიამი! თქვენ ქალიშვილი ხართ? თავადაც აქ არის? — ჰამზამ კისერი წაიგრძელა, ცდილობდა ქალი ლაილას ზურგსუკან დაენახა. — რამდენი დრო გავიდა! მარიამი აქ არის?

— სამწუხაროდ, გარდაიცვალა.

ჰამზას სახიდან ღიმილი გაუქრა.

ერთი წამით სიჩუმე ჩამოვარდა. კაცი კარის შესასვლელში იდგა და მიწას დასჩერებოდა. სადღაც ვირი ყროყინებდა.

— შემობრძანდით, — ჰამზამ კარი ფართოდ გააღო და ლაილა შიგნით შეიპატიჟა. — გთხოვთ, მობრძანდით.

იატაკზე მძივებით გაწყობილ ბალიშებზე დასხდნენ. ოთახში ცოტა ავეჯი იდგა, იატაკზე ჰერათული ხალიჩა ეგო, კედელზე ჩარჩოში ჩასმული მექას ფოტო ეკიდა, ღია ფანჯრიდან სინათლის სხივები იღვრებოდა. მეორე ოთახიდან ლაილას ქალების ჩურჩული შემოესმა. პატარა ფეხშიშველა ბიჭმა ლანგრით მწვანე ჩაი და ფსტიანი ნუგა — გიაზი მოიტანა და მათ წინ დააწყო. ჰამზამ ბავშვს თავი დაუკრა.

— ჩემი ვაჟია, — თქვა მან.

ბიჭმა ოთახი უხმოდ დატოვა.

— აბა, მომიყევით, — დაღლილი ხმით მიმართა ჰამზამ ქალს.

ლაილამ ყველაფერი უამბო. იმაზე დიდი დრო დასჭირდა, ვიდრე თავად წარმოედგინა. ამბის დასასრულს ქალი სიმშვიდის შენარჩუნებას მთელი ძალით შეეცადა. მარიამზე საუბარი ერთი წლის შემდეგაც ძალიან გაუჭირდა.

ჰამზას ხმა არ ამოუღია. ფინჯანი ნელ-ნელა დადო ლამბაქზე.

— მამაჩემს, ღმერთმა ნათელში ამყოფოს, იგი ძალიან უყვარდა, — თქვა მან ბოლოს. — როდესაც მარიამი დაიბადა, ყურში აზანს უმღეროდა. გოგონას ყოველკვირა სტუმრობდა. ზოგჯერ მეც თან მივყავდი. მი-

სი მასწავლებელიც იყო და მეგობარიც. მამაჩემი გულისხმიერი კაცი იყო. ჯალილ-ხანის მიერ მარიამის გათხოვების ამბავი ძლივს გადაიტანა.

— მამათქვენის გამო ძალიან ვწუხვარ... ღმერთმა გაანათლოს!

ჰამზამ მადლიერების ნიშნად ქალს თავი დაუკრა.

— ღრმა სიბერემდე იცოცხლა. ჯალილ-ხანის გარდაცვალებასაც კი მოესწრო. მამა სოფლის სასაფლაოზე დავკრძალეთ. მარიამის დედის საფლავიც იქვეა. მოლა ფაეზულა ძალიან კარგი ადამიანი იყო, მართლაც სასუფევლისთვის მზადმყოფი.

ლაილამ ფინჯანი დადგა.

— რაღაც მინდა გთხოვოთ.

— რა თქმა უნდა, გისმენთ.

— მაჩვენებთ, მარიამი სად ცხოვრობდა? შეგიძლიათ, იქ მიმიყვანოთ?

მძღოლი დათანხმდა, რომ ქალს კიდევ ცოტა ხანს დალოდებოდა.

ჰამზა და ლაილა სოფლიდან გავიდნენ და ფერდობზე დაუყვნენ გზას, რომელიც გულ დამანს ჰერათთან აკავშირებდა. დაახლოებით თხუთმეტი წუთის შემდეგ მაღალ ბალახში, რომელიც ორივე მხრიდან გზას ესაზღვრებოდა, კაცმა ლაილას ვიწრო ველობი დაანახა.

— ამ გზით უნდა წავიდეთ, — უთხრა მან. — ბილიკი შეგვხვდებათ.

ბილიკი უსწორმასწორო და მიხვეულ-მოხვეული იყო; სხვადასხვა მცენარისა და ბუჩქნარის ჩრდილს სულ მთლად ჩაებნელებინა. ქარი მაღალ ბალახს ლაილას წვივებზე ანარცხებდა. ორივე მხარეს ერთმანეთს სწრაფად ენაცვლებოდა ქარში მოლივლივე მინდვრის ყვავილები, მაღალღეროიანი ყვავილები, რომელთაც გვირგვინის ფურცლების სიმძიმისგან თავი ჩაექინდრათ, ზოგიერთი მიწაზე გართხმულიყო და მარაოსებრი ფოთლები ამშვენებდა. აქა-იქ, დაბალ ბუჩქებს შორის რამდენიმე გაქუცულ ბაიას წამოეყო თავი. ლა-

ილას თავზემოთ — მერცხლების ჭიკჭიკი, ფეხქვეშ კი აბეზარი კალიების ჭრიჭინი ესმოდა.

აღმართზე ორას იარდზე მეტი იარეს. შემდეგ ბილიკი გასწორდა და გაშლილი მიწის მომცრო ნაკვეთი გამოჩნდა. შეჩერდნენ და ცოტა ხანს შეისვენეს. ლაილა შუბლს სახელოთი მსუბუქად შეეხო და კოღოების გუნდი, რომელიც თავს დასტრიალებდა, მოიგერია. ჰორიზონტზე მთები ვიწრო ზოლად მოჩანდა. რამდენიმე კანადურ ვერხვს, ხეტიტას და მისთვის უცნობ, გარეულ ბუჩქს მოჰკრა თვალი.

— აქ ერთ დროს პატარა მდინარე იყო, მაგრამ დიდი ხნის წინ დაშრა. აქ დაგელოდებით. თქვენ მდინარის დამშრალი კალაპოტი გადაკვეთეთ და მთებისკენ იარეთ. მე დაგიცდით, — უთხრა ჰამზამ და ხეტიტას ძირში ქვაზე ჩამოჯდა.

— გზა არ ამებნევა?

— ნუ ნერვიულობთ, არ დაიკარგებით. წადით, ჰამშირა.

ლაილამ მადლობა გადაუხადა. მდინარის კალაპოტი ერთი ქვიდან მეორეზე ხტუნვით გადაკვეთა. ძირს გაზიანი წყლის გატეხილი ბოთლი შენიშნა. იქვე ეყარა დაჟანგული თუნუქის ქილები, ლითონის ჭურჭელი, რომლის თუთიის ხუფიც ნახევრად მიწაში იყო ჩამარხული.

ქალი მთებისკენ გაემართა. მალე მტირალა ტირიფებიც გამოჩნდა. მათი დაშვებული ტოტები ქარის ყოველ დაბერვაზე ირხეოდა. ლაილას გული გამალებით უცემდა. შენიშნა, რომ ტირიფები ზუსტად ისე იყო განლაგებული, როგორც მარიამმა აღუწერა. წრიული ხეივნის შუაგულში ველობი იყო მოქცეული. ლაილამ ფეხს აუჩქარა, თითქმის გარბოდა. უკან მიიხედა, შორიდან ჰამზას მომცრო ფიგურა მოჩანდა. მისი ჩაპანი მკვეთრი ფერის ლაქად დამჩნეოდა ხის ყავისფერ მერქანს. ქალმა უეცრად ქვას ფეხი წამოჰკრა, კინაღამ წაიქცა. მაგრამ გზა სწრაფად განაგრძო. შარვლის ტოტები აწეული ჰქონდა. ტირიფებს რომ მიუახლოვდა, გული უკვე ამოვარდნაზე ჰქონდა.

მარიამის ქოლბა ისევ იქ იდგა.

როდესაც ლაილა ახლოს მივიდა, დაინახა, რომ ერთადერთი ფანჯრის მინა ჩამტვრეული იყო, კარი საერთოდ გამქრალიყო. მარიამის

მონაყოლიდან ახსოვდა, რომ იქვე საქათმე, თონე და ეზოს ტუალეტი უნდა ყოფილიყო. არც ერთი მათგანი აღარ არსებობდა. ლაილა ქოლბას შესასვლელში შეყოვნდა. შიგნიდან ბუზების ბზუილი ისმოდა.

ქალმა მოფუსფუსე ობობას ქსელს გადააბიჯა და ჩაბნელებულ ოთახში შევიდა. ერთი წუთი დასჭირდა, რომ თვალი შეეჩვია. მიმოიხედა და გაიფიქრა, შიდა სივრცე იმაზე პატარა ყოფილა, ვიდრე მე წარმომედგინაო. იატაკისგან მხოლოდ ფიცრების დამპალი, დამტვრეული ნარჩენებიღა შემორჩენილიყო. დანარჩენი, ალბათ, შეშად გამოიყენეს. იატაკი ხმელი ფოთლებით, ბოთლის ნამსხვრევებით, საღეჭი რეზინის გადაყრილი ქაღალდებით, ველური სოკოთი, სიგარეტის ყვითელი ნამწვებით იყო მოფენილი. მაგრამ, ძირითადად, თითქმის ყველაფერს სარეველა მოსდებოდა. ზოგიერთი უტიფრად კედლის ნახევრამდეც კი ასულიყო.

„თხუთმეტი წელი, — გაიფიქრა ლაილამ. — თხუთმეტი წელი აქ იცხოვრა!“

ქალი ძირს დაჯდა, ზურგით კედელს მიეყრდნო. ყური დაუგდო, როგორ არხევდა ქარი ტირიფებს. მთელ ჭერზე ობობას ქსელები იყო მიმოფანტული. ერთ-ერთ კედელზე ვიღაცას საღებავი შეესხურებინა, მაგრამ უმეტესი ნაწილი უკვე ჩამოცლილი იყო. ლაილამ წარწერა ვერ გაარჩია. შემდეგ თანდათან ამოიკითხა, ტექსტი რუსულად ეწერა. ერთ-ერთ კუთხეში მიტოვებული ჩიტის ბუდე შენიშნა, მეორეში ღამურა თავდაყირა ეკიდა.

ლაილამ თვალები დახუჭა და ცოტა ხნით გაირინდა.

პაკისტანში ყოფნისას მარიამის სახის ზოგიერთი დეტალის გახსენება ქალს უკვე უჭირდა. ზოგჯერ, ზუსტად ისე, როცა ენის წვერზე მომდგარ სიტყვას ვერ იხსენებ, ლაილას მარიამის სახე მეხსიერებიდან უსხლტებოდა. მაგრამ ახლა, ამ ადგილას, წარმოსახვაში მარიამის დახატვა ადვილი იყო: ნათელი სხივი მის მზერაში, მოგრძო ნიკაპი, კისერზე გაუხეშებული კანი, თხელი ტუჩები და თავშეკავებული ღიმილი. აქ ლაილას კვლავაც შეეძლო, რომ თავი მარიამის

თბილ კალთაში ჩაედო, მისი წინ და უკან რხევა ეგრძნო, გაეგონა ყურანიდან ქალის მიერ წაკითხული სტრიქონები, რომელიც ვიბრაციით მარიამის სხეულიდან მუხლებს გადაეცემოდა, შემდეგ კი ლაილას ყურთასმენამდე აღწევდა.

უეცრად სარეველა ბალახმა გაუჩინარება დაიწყო, თითქოს ვიღაც მიწიდან ფესვებიანად გლეჯსო. ბოლოს კი ქოლბადან მათი უკანასკნელი ეკლიანი ფოთლებიც გაქრა. მაგიურმა ძალამ ობობას ქსელები და ჩიტის ბუდეები თავისთავად დაშალა, წვრილი ტოტები ძირს სათითაოდ ცვიოდა და ქარს ქოლბადან გარეთ ფრიალით გაჰქონდა. თვალისთვის უხილავმა საშლელმა კედლიდან რუსულად დაწერილი ლოზუნგები წაშალა.

იატაკის ფიცრები თავის ადგილს დაუბრუნდა. ლაილამ დაინახა ბავშვის საწოლი და ხის მაგიდა, ორი ცალი სკამი, კუთხეში მიდგმული თუჯის ღუმელი, კედელზე თაროები, რომელზეც თიხის ქოთნები და ქვაბები, გაშავებული ჩაიდანი, ფინჯნები და კოვზები ეწყო. გარედან ქათმების კრიახი და მდინარის შორეული ჩუხჩუხი შემოესმა.

ახალგაზრდა მარიამი მაგიდასთან ზის და ნავთის ლამპის შუქზე თოჯინას აკეთებს. თან რაღაცას ღიღინებს. გლუვი და ნორჩი სახის კანი აქვს, თმა დაბანილი და უკან გადავარცხნილი. ყველა კბილი თავის ადგილზეა.

ლაილა უყურებს, როგორ აწებებს ძაფის გორგლებს თოჯინას თავზე. რამდენიმე წელიწადში ეს პატარა გოგონა ქალი გახდება. ქალი, რომელიც ცხოვრებისგან ბევრს არაფერს მოითხოვს, სხვებს ტვირთად არასდროს დააწვება, თავის წუხილს, იმედგაცრუებას, ოცნებებს არავის გაანდობს. საბოლოოდ მარიამმა ყველაფერი ისე გადაიტანა, რომ არც კი დაუჩივლია. იმ მდინარის ლოდს ჰგავდა, რომელსაც ძლიერმა ტალღამ დაუნდობლად გადაუარა. მაგრამ მღელვარებამ ღირსება კი არ შეუბღალა, არამედ უფრო აამაღლა. ამ პატარა გოგონას თვალებში, მის გულის სიღრმეში ლაილამ რაღაც ისეთი დაინახა, რაც მასში ვერც რაშიდმა და ვერც თალიბებმა ვერ ჩაკლეს. რაღაც ძლიერი და და-

უმორჩილებელი, როგორც კირქვა. ის, რამაც მარიამი დაღუპა, მაგრამ ლაილა იხსნა.

გოგონამ ზემოთ ამოიხედა. თოჯინა დადო და გაიღიმა.

— ლაილა-ჯო!

ლაილამ თვალები უცებ გაახილა, სული შეეხუთა და მთელი სხეულით წინ გადმოიხარა. ქოლბაში დამფრთხალი ღამურა კედლებს აწყდებოდა. ფანჯრიდან გაფრენამდე, ფრთები ისე მოიქნია, თითქოს წიგნის ფურცლებს აფრიალებენო.

ლაილა ფეხზე წამოდგა, შარვლიდან ხმელი ფოთლები ჩამოიბერტყა და ქოლბადან გამოვიდა. შებინდებულიყო. ქარი ბალახს აშრიალებდა და ტირიფის ტოტებს აჩხაკუნებდა.

სანამ ველობს დატოვებდა, ლაილამ ქოლბას თვალი ბოლოჯერ შეავლო. ეს ხომ ის ადგილი იყო, სადაც მარიამს ეძინა, ჭამდა, ოცნებობდა, სულმოუთქმელად ელოდა ჯალილს. ტირიფის დახრილი ტოტები ქარის ყოველი დაბერვისას უსწორმასწორო კედლებს ეხლებოდა. ყვავი ბრტყელ სახურავზე ჩამომჯდარიყო. რაღაც აკენკა, დაიჩხავლა და გაფრინდა.

— მშვიდობით, მარიამ!..

მოულოდნელად ატირებული ლაილა სირბილით გაიქცა. ჰამზა ისევ ლოდზე იჯდა. ქალი რომ შენიშნა, ფეხზე წამოდგა.

— უკან დავბრუნდეთ, — უთხრა მან, — რაღაც უნდა მოგცეთ.

ლაილა ჰამზას ბაღში ელოდა. პატარა ბიჭუნა, რომელიც ცოტა ხნის წინ სტუმარს ჩაით გაუმასპინძლდა, ლეღვის ხის ქვეშ იდგა, ხელში წიწილა ეჭირა და სტუმარს მშვიდად უყურებდა. ლაილამ ფანჯარაში ორი სახე შენიშნა, ერთი მოხუცებული, მეორე კი — ახალგაზრდა ქალისა. ორივე ჰიჯაბში იყო გამოწყობილი და ფანჯრიდან მორიდებით უთვალთვალებდნენ.

სახლის კარი გაიღო და ჰამზა გამოჩნდა. ხელში ყუთი ეჭირა. ლაილას გადასცა.

— ეს ყუთი ჯალილ-ხანმა მამაჩემს სიკვდილამდე ერთი თვით ადრე დაუტოვა, — უთხრა ჰამზამ. — სთხოვა, მარიამისთვის შეენახა,

სანამ ქალი თავად არ მოითხოვდა. მამაჩემი ორი წელი ინახავდა. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე კი მე ჩამაბარა. მაგრამ იგი... შენც კარგად იცი, რომ არასდროს მოსულა.

ლაილამ ზეთისხილისფერ მწვანე, კალის ოვალურ ყუთს დახედა. ძველ შოკოლადის კოლოფს ჰგავდა. ანჯამებიანი, გახუნებული თავსახური ოქროსფრად იყო მოვარაყებული. გვერდებზე ჟანგი შეპარვოდა. თავსახურის პირზე ორი მომცრო ჩაზნექილი ადგილი ჰქონდა. ლაილამ ყუთის გახსნა სცადა, მაგრამ საკეტი ჩაკეტილი იყო.

— შიგნით რა არის? — იკითხა ქალმა.

ჰამზამ ხელის გულზე გასაღები დაუდო. — მამაჩემს არასდროს გაუხსნია. არც მე. ღვთის ნება ყოფილა, რომ შენთვის გადმომეცა.

ლაილა სასტუმროში დაბრუნდა. თარიყი და ბავშვები ჯერ არ მოსულიყვნენ. საწოლზე ჩამომჯდარს ზარდახშა ხელის გულზე ედო. გახსნა სურდა, მაგრამ თავს ეწინააღმდეგებოდა, ჯალილს რაც არ უნდა განეზრახა, საიდუმლოდ დარჩესო. მაგრამ ბოლოს ცნობისმოყვარეობამ სძლია. გასაღები გადაატრიალა. საკეტი გაჩხაკუნდა და ზარდახშა გაიხსნა.

შიგ სამი ნივთი იდო: კონვერტი, სელის ქისა და ვიდეოკასეტა.

ლაილამ კასეტა აიღო და მისაღებში ჩავიდა. უფროსი პორტიესგან, რომელსაც წინა დღესაც შეხვდა, შეიტყო, რომ სასტუმროში ერთადერთი ვიდეომაგნიტოფონი იყო და ისიც ყველაზე დიდ ნომერში — ლუქსში. იმ მომენტში ლუქსი თავისუფალი აღმოჩნდა, ამიტომ კაცი დათანხმდა, რომ ლაილა შიგნით შეეყვანა. პორტიემ მისაღები ულვაშიან, კოსტიუმში გამოწყობილ ახალგაზრდა მამაკაცს ჩააბარა, რომელიც ფიჭურ ტელეფონზე საუბრობდა.

უფროსი პორტიე ქალს მეორე სართულისკენ გაუძღვა. გრძელი დერეფნის ბოლოში ერთ-ერთ კართან შეჩერდნენ. კაცმა საკეტი გადაატრიალა და ლაილა შიგნით შეუშვა.

ქალმა ტელევიზორი კუთხეში შენიშნა. ლუქსში სხვა აღარაფრისთვის მიუქცევია ყურადღება. ტელევიზორი და ვიდეომაგნიტოფონი ჩართო. კასეტა ჩადო და ღილაკს თითი დააჭირა. რამდენიმე წუთის

განმავლობაში ეკრანზე არაფერი გამოჩენილა. ლაილამ გაიფიქრა, ჯალილს მარიამისთვის ცარიელი კასეტის გადაცემა რაში დასჭირდაო. მაგრამ უეცრად მუსიკის ხმა გაისმა და გამოსახულებაც გამოჩნდა.

ლაილა მოიღუშა. ერთი-ორი წუთი უყურა. შემდეგ კასეტა გააჩერა და წინ სწრაფად გადაახვია. ისევ ჩართო.

მოხუცი კაცი გაოცებული უყურებდა.

ეკრანზე უოლტ დისნეის „პინოკიო“ გადიოდა. ლაილა ვერაფერს მიხვდა.

თარიყი და ბავშვები სასტუმროში ექვსი საათის შემდეგ დაბრუნდნენ. აზიზა ლაილასკენ გაეშურა და თარიყის მიერ ნაყიდი საყურე აჩვენა. ვერცხლის საყურეზე მინანქრით პეპლები იყო გამოსახული. ზალმაის გასაბერი დელფინი ჩაებღუჯა. სათამაშოს დინგზე თუ მოუჭერდი, წრიპინს იწყებდა.

— როგორ ხარ? — ჰკითხა თარიყმა ცოლს და ხელი მხარზე შემოხვია.

— კარგად, — მიუგო ქალმა. — მოგვიანებით მოგიყვები.

საჭმელად ახლომდებარე საქაბაბეში წავიდნენ. მომცრო, კვამლით სავსე, ხმაურიანი ადგილი იყო; მაგიდებზე გაწებილი მუშამბა გადაეფარებინათ. ბატკანი რბილი და წვნიანი იყო, პური — ცხელი. შემდეგ ცოტა ხნით ქუჩაში გაისეირნეს. ჯიხურში თარიყმა ბავშვებს ვარდის წყლის ნაყინები უყიდა. გრძელ სკამზე ჩამოსხდნენ. მწუხრი ჩამომდგარიყო და მათ ზურგს უკან მთების სილუეტი ალისფრად მოჩანდა. ჰაერი თბილი იყო, კედრის სურნელით გაჟღენთილი.

მას შემდეგ, რაც ვიდეოკასეტა ნახა, ლაილა ოთახში დაბრუნდა და კონვერტიც გახსნა. კონვერტში წერილი იდო, ყვითელ, ცალხაზიან ფურცელზე ლურჯი მელნით დაწერილი:

1987 წელი, 13 მაისი

ძვირფასო მარიამ,

ღმერთს ვევედრები, ეს წერილი შენამდე რომ მოაღწევს, ჯანმრთელი და საღ-სალამათი იყო.

როგორც იცი, ერთი თვის წინ ქაბულში შენთან სალაპარაკოდ ჩამოვედი. მაგრამ ჩემი ნახვა არ ისურვე. იმედი გამიცრუვდა, თუმცა ვერ დაგადანაშაულებ. შენ ადგილას, ალბათ, მეც ასე მოვიქცეოდი. შენი კეთილგანწყობა დიდი ხნის წინ დავკარგე და ეს მხოლოდ ჩემი ბრალია. მაგრამ ამ წერილს თუ კითხულობ, მაშინ ის წერილიც წაგიკითხავს, კარის ქვეშ რომ დაგიტოვე. წაიკითხე და ჩემი თხოვნა შეასრულე, მოლა ფაეზულას ესტუმრე. შენი მადლიერი ვარ, მარიამ-ჯო. გმადლობ, რომ რამდენიმე სიტყვის

თქმის უფლება მომეცი.

რითი დავიწყო?

ჩვენი ბოლო საუბრის შემდეგ მამაშენს თავს უამრავი მწუხარება გადახდა. 1979 წლის აჯანყების პირველივე დღეს შენი დედინაცვალი, აფსუნი მოკლეს. იმავე დღეს ბრმა ტყვიამ შენი და, ნილუფარიც იმსხვერპლა. ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ დგებოდა თავდაყირა, სტუმრებზე შთაბეჭდილება რომ მოეხდინა. შენი ძმა ფარადი ჯიჰადს 1980 წელს შეუერთდა. 1982 წელს იგი საბჭოელებმა ჰელმანდის პროვინციასთან მოკლეს. მის ცხედარს ვერ მივაკვლიე. არ ვიცი, შვილები გყავს თუ არა, მარიამ-ჯო, მაგრამ თუ გყავს, ვილოცებ, რომ ისინი ღმერთმა დაიფაროს და აგაცილოს მწუხარება, რომელიც მე გადავიტანე. ახლაც მესიზმრებიან, გარდაცვლილ შვილებს სიზმრებში ვხედავ...

შენც გნახულობ, მარიამ-ჯო. მენატრები. შენი ხმა, შენი სიცილი მენატრება. შენთვის წიგნის კითხვა და ის დრო მენატრება, ერთად რომ ვთევზაობდით. გახსოვს? შენ კარგიქალიშვილი იყავი, მარიამ-ჯო. შენზე რომ ვფიქრობ, სირცხვილისა და სინანულის გრძნობა მეუფლება. დიახ, სინანულის... სინდისი საშინლად მქენჯნის! საშინლად ვნანობ, რომ იმ დღეს, ჰერათში ჩამოსული არ გნახე; ვნანობ, რომ კარი არ გაგიღე და შინ არ შეგიყვანე; ქალიშვილად არ გაღიარე და ეს წლები ცალ-ცალკე გავატარეთ. და ყველაფერი რის გამო? სხვების თვალში რომ არ დავმცირებულიყავი? ჩემს სახელს ჩირქი რომ არ მოსცხებოდა? როგორი უმნიშვნელოა ეს ყველაფერი იმ დანაკარგთან, იმ საშინელ მოვლენებთან შედარებით, რაც ამ წყეული ომის დროს გადამ-

ხდა!.. ახლა, რა თქმა უნდა, ძალიან გვიანია. შესაძლოა, სწორედ ასეთია უგულო ადამიანების სასჯელი, რომლებიც გონს მხოლოდ მაშინ ეგებიან, როცა უკვე ვეღარაფერს ცვლიან. ახლა მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ შენ არაჩვეულებრივი ქალიშვილი იყავი, მარიამ-ჯო, მაგრამ მე შენი ღირსი არასდროს ვყოფილვარ. ახლა მხოლოდ ის შემიძლია, რომ პატიება გთხოვო. შემინდე, მარიამ-ჯო, შემინდე, შემინდე, შემინდე...

მდიდარი აღარ ვარ. კომუნისტებმა მიწები და მაღაზიები ჩამომართვეს. თუმცა არ ვწუწუნებ, ჩემი გაუცნობიერებელი ქმედებების გამო ღმერთმა საკადრისად მაინც არ დამსაჯა. ქაბულში დაბრუნებულმა დარჩენილი მიწა გავყიდე. შენი წილი მემკვიდრეობა ამ კონვერტშია. ბევრი არ არის, მაგრამ რაღაცაში მაინც გამოიყენებ. ფული დოლარზე გადავცვალე, მხოლოდ ღმერთმა თუ იცის, რა ბედი ეწევა ჩვენს გაუფასურებულ ვალუტას.

იმედი მაქვს, არ იფიქრებ, რომ შენგან პატიების ყიდვას ვცდილობ. იმედი მაქვს, შენს თვალში ასეც არ დავცემულვარ. უბრალოდ, დაგვიანებით გაძლევ იმას, რაც შენ დიდი ხნის წინ გეკუთვნოდა. სიცოცხლეში მზრუნველი მამა არ ვყოფილვარ. იქნებ ეს სიკვდილის შემდეგ მაინც შევძლო.

დიახ, სიკვდილი. არ მინდა დეტალებით დაგამძიმო, მაგრამ ჩემი აღსასრული ახლოვდება. ექიმმა მითხრა, რომ სუსტი გული მაქვს. ვფიქრობ, სუსტი ადამიანისთვის ზედგამოჭრილი დასასრულია.

ძვირფასო მარიამ, ვბედავ და იმედს ვიტოვებ, რომ ამ წერილის წაკითხვის შემდეგ ჩემ მიმართ იმაზე მეტ გულმოწყალებას გამოიჩენ, ვიდრე მე — შენ მიმართ და მამაშენის სანახავად მოხვალ. იქნებ ოდესმე კარზე დამიკაკუნო, შანსი მომცე, რომ კარი ამჯერად მაინც გაგიღო, შინ შემოგიპატიჟო და გულში ჩაგიკრა. ვიცი, ეს დიდი ხნის წინ უნდა გამეკეთებინა. ამიტომ იმედის ნაპერწკალი ჩემი გულივით სუსტია. მაგრამ მე მაინც დაგელოდები. იმედს არ დავკარგავ, რომ ოდესმე კარზე დამიკაკუნებ.

ღმერთმა დღეგრძელი გამყოფოს, ჩემო გოგონა! მშვიდი ცხოვრება, უამრავი ჯანმრთელი და ლამაზი შვილი მოგცეს. დაე, მოიპოვო ბედნიერება, მშვიდობა და აღიარება, რასაც ჩემგან ვერ ეღირსე. ღმერთს ებარებოდე.

შენი უღირსი მამა,

ჯალილი

სასტუმროში დაბრუნებულმა ბავშვებმა თამაშით გული მოიოხეს და დასაძინებლად დაწვნენ. ლაილამ თარიყს ყველაფერი დაწვრილებით უამბო და სელის ქისაში ჩადებული ფულიც უჩვენა. ქალმა ტირილი დაიწყო, თარიყმა სახე დაუკოცნა და გულში ჩაიკრა.

## 51

2003 წლის აპრილი

გვალვა დასრულდა. ზამთარში, როგორც იქნა, მუხლამდე თოვლი მოვიდა. ახლა კი მთელი დღეების განმავლობაში წვიმდა. მდინარე ქაბული გაზაფხულზე კიდევ ერთხელ ადიდდა და „ტიტანიკის ქალაქისგან“ კვალიც კი არ დატოვა.

ქუჩები ლაფით ავსებულიყო. ფეხსაცმელები ჭყაპუნობდა, მანქანები ბუქსაობდნენ, ვაშლით დატვირთული სახედრები მძიმედ მოძრაობდნენ, წვიმის გუბეებში დგებოდნენ და ჩლიქებით ტალახს აქეთ-იქით აწუწებდნენ. მაგრამ ტალახის გამო არავინ ჩიოდა, არც „ტიტანიკის ქალაქს“ გლოვობდნენ. ხალხი მხოლოდ იმას ამბობდა, გვინდა, ქაბული ისევ ისეთი გამწვანებული ქალაქი გახდესო.

წინა დღეს ლაილა თავსხმა წვიმაში შვილების თამაშს სამზარეულოს ფანჯრიდან ადევნებდა თვალს, როცა უკანა ეზოში ტყვიისფერი ცის ქვეშ და-ძმა ერთი გუბიდან მეორეში დახტოდა. დეჰ მაზანგში პატარა სახლი იქირავეს, ორი საძინებლით. ეზოში ასკილის ბუჩქებს შორის ბროწეულის ხე იდგა. თარიყმა კედლები შეაკეთა, ბავშვებს სასრიალო აუშენა, საქანელა დაუკიდა, და ზალმაის ახალი თხისთვის ადგილი შე-

მოღობა. ლაილა ხედავდა, როგორ ეცემოდა წვიმის წვეთები ზალმაის მოტიტვლებულ თავს. ბიჭუნას მოთხოვნით, თავი თარიყივით გადაპარსეს, რომელსაც უკვე ბაბალუსგან დამცავი ლოცვების წაკითხვის უფლებაც მიეღო. წვიმამ აზიზას გრძელი თმა სულ მთლად დაუსველა და დაუხვია. თავს რომ იქნევდა, წვეთები ზალმაის ეწუწებოდა.

ბიჭუნა მალე ექვსი წლის გახდებოდა. აზიზა კი უკვე ათისა იყო. გოგონას დაბადების დღე წინა კვირას იზეიმეს. კინოთეატრ „პარკში“ წავიდნენ, სადაც „ტიტანიკის“ ნახვა ქაბულის მოსახლეობას, ბოლოს და ბოლოს, თავისუფლად შეეძლო.

— იჩქარეთ, ბავშვებო, დავაგვიანებთ! — დაიძახა ლაილამ და საუზმე ქაღალდის პარკებში ჩაულაგა. დილის რვა საათი იყო. ლაილა ხუთზე ადგა. დილის ნამაზის შესასრულებლად მას ყოველთვის აზიზა აღვიძებდა. ქალი ხვდებოდა, რომ ლოცვები აზიზას მარიამთან აკავშირებდა. დრო გავიდოდა და მარიამი მისი მეხსიერებიდან ისევე ამოიძირკვებოდა, როგორც ფესვიანად ამოგლეჯილი სარეველა — მიწიდან.

ნამაზის შემდეგ ლაილა საწოლში დაბრუნდა და თარიყის სახლიდან გასვლისას ჯერ კიდევ ეძინა. თუმცა ბუნდოვნად ახსოვდა, რომ კაცმა ლოყაზე აკოცა. თარიყმა მუშაობა ფრანგულ არასამთავრობო ორგანიზაციაში დაიწყო, რომელიც ჭურვის აფეთქებისას გადარჩენილებსა და ამპუტირებულებს პროთეზებით ამარაგებდა.

ზალმაი აზიზას სამზარეულოში დაედევნა.

— რვეულები აიღეთ? ფანქრები? სახელმძღვანელოები?

— ყველაფერი აქ არის, — მიუგო აზიზამ და ზურგჩანთა ასწია. გოგონა ენას თითქმის აღარ უკიდებდა.

— მაშინ წავედით.

ლაილამ ბავშვები სახლიდან გაიყვანა და კარი ჩაკეტა. გარეთ სუსხიანი დილა იყო. აღარ წვიმდა. ლურჯი ცის ჰორიზონტზე ერთი ნაფლეთი ღრუბელიც კი არ მოჩანდა. ქალმა ბავშვებს ხელი ჩასჭიდა და ავტობუსის გაჩერებისკენ გაუდგა გზას. გადატვირთული ქუ-

ჩები სავსე იყო მდორედ მოძრავი რიქშებით, ტაქსებით, „გაეროს“ ავტოფურგონებითა და Iშაფ-ის „ჯიპებით“. ნამძინარევმა ვაჭრებმა მაღაზიების კარები გახსნეს. გამყიდველები საღეჭი რეზინის გროვებსა და სიგარეტის შეკვრებში ჩაკარგულიყვნენ. ქვრივებმა ქუჩის კუთხეებში თავიანთ ადგილებს მიაშურეს და გამვლელ-გამომვლელებს ხურდას სთხოვდნენ.

ლაილა ქაბულში თავს უცნაურად გრძნობდა. ქალაქი შეცვლილიყო. ყოველდღიურად ხედავდა ადამიანებს, რომლებიც ხის ნერგებს რგავდნენ, ძველ სახლებს ღებავდნენ, ახლების ასაშენებლად აგურებს ეზიდებოდნენ; წყლის სადინრებსა და ჭებს თხრიდნენ. ფანჯრის რაფებზე ლაილა მოჯაჰედების ძველ, ცარიელ ჭურვებში ჩარგულ ყვავილებს ხედავდა. ქაბულელები მათ ჭურვის ყვავილებს ეძახდნენ. ცოტა ხნის წინ თარიყმა ლაილა და ბავშვები ბაბურის განახლებულ ბაღში წაიყვანა. ბოლო წლების განმავლობაში ქაბულის ქუჩებში ქალმა პირველად გაიგონა მუსიკის ხმა: რობაბზე და ტაბლზე, დოთარზე(დოთარი — ორსიმიანი საკრავი.), ჰარმონიუმსა და თამბურზე აჰმად ზაჰირის ძველ სიმღერებს უკრავდნენ.

ლაილა ნატრობდა, რომ დედა და ბაბი ცოცხლები ყოფილიყვნენ და ეს ცვლილებები საკუთარი თვალით ენახათ. მაგრამ დანაშაულის გამოსყიდვა, ჯალილის წერილისა არ იყოს, ქაბულსაც დაუგვიანდა.

ლაილა და ბავშვები ავტობუსის გაჩერებასთან მივიდნენ და ის-ის იყო ქუჩის გადაკვეთას აპირებდნენ, რომ უეცრად დაბურულმინებიანმა, შავმა „ლენდ კრუიზერმა“ დიდი სიჩქარით ჩაუქროლათ. მანქანამ ბოლო წამს გვერდით მკვეთრად გადაუხვია და ლაილას სულ ოდნავ ააცილა, ბავშვებს კი წვიმის ჭუჭყიანი წყალი ერთიანად გადაავლო პერანგებზე.

ქალმა შვილებს ხელი ჩასჭიდა და სწრაფად მოქაჩა ბორდიურისკენ. გული ამოვარდნაზე ჰქონდა. „ლენდ კრუიზერმა“ ქუჩაზე ჩაიქროლა, ორჯერ სიგნალი მისცა და მარცხნივ მკვეთრად მოუხვია.

ლაილა უძრავად იდგა, ღრმად სუნთქავდა, ბავშვების მაჯებს ჩაფრენოდა. გაცოფებული იყო. საველე მეთაურები კვლავაც ქაბულში იყ-

ვნენ, მისი მშობლების მკვლელები გალავანშემორტყმულ მდიდრულ სახლებში ცხოვრობდნენ. ზოგი მინისტრად, ზოგი კი მინისტრის მოადგილედ ინიშნებოდა. დაუსჯელად დაქროდნენ მბზინავი, ტყვიაგაუმტარი „ჯიპებით“ იმ ადგილებში, ნაცარტუტად რომ აქციეს! ქალი ამის გაფიქრებაზეც კი ცოფდებოდა.

მაგრამ ლაილამ გადაწყვიტა, რომ ეს ყველაფერი გულთან ახლოს არ მიეტანა. მარიამიც ასე მოიქცეოდა. „რა აზრი აქვს? — იტყოდა იგი უმანკო და საზრიანი ღიმილით. — ამით რას მიაღწევ, ლაილა-ჯო?“ ამიტომლაილა ცდილობდა, ცხოვრება გაეგრძელებინა; საკუთარი თავისთვის; თარიყის, ბავშვების და, რა თქმა უნდა, მარიამის გამო, რომელიც ჯერაც სიზმრებში სტუმრობდა მას, თითქოს იქვე იყო, ერთი ხელის გაწვდენაზე. ლაილაც ცხოვრებას აგრძელებდა. სულ ეს იყო, რისი გაკეთებაც შეეძლო: ითმენდა და იმედს არ კარგავდა.

ზამანი საჯარიმო ტყორცნის ხაზთან იდგა, მუხლები ოდნავ მოეხარა და ბურთს ურტყამდა. გუნდს წვრთნიდა. სპორტულ ფორმებში გამოწყობილი ბიჭები გარს ნახევარწრიულად შემოხვეოდნენ. ლაილა რომ შენიშნა, ბურთი ამოიღლიავა და ხელი დაუქნია. ბიჭებს რაღაც გადაულაპარაკა და ისინიც ქალს ხმამაღლა მიესალმნენ:

— სალამ, მოალიმ საჰიბ!

პასუხად ლაილამაც დაუქნია ხელი.

ობოლთა თავშესაფრის მოედნის გასწვრივ, აღმოსავლეთ კედლის გაყოლებაზე ახალდარგული ვაშლის ხეები იყო ჩამწკრივებული. ლაილა გეგმავდა, რომ როგორც კი სამხრეთ კედლის აღდგენა დასრულდებოდა, ხეები იქაც დაერგო. ეზოში ახალი საქანელა, სასრიალო და საძრომიალო კონსტრუქციები დაემონტაჟებინათ.

ქალმა ეზოში შეაბიჯა.

თავშესაფარი მთლიანად შეეღებათ, როგორც შიდა, ისე გარე ფასადი. თარიყმა და ზამანმა სახურავი შეაკეთეს, კედლები შელესეს, ფანჯრები გამოცვალეს, ბავშვების საძინებლებსა და სათამაშო

ოთახში ხალიჩები დააგეს. გასულ ზამთარს ლაილამ რამდენიმე საბავშვო საწოლი, ახალი ბალიშები და მატყლის საბნები შეიძინა. ზამთრისთვის თუჯის ღუმლები დააყენებინა.

ერთი თვის წინ ინფორმაცია ობოლთა თავშესაფრის აღდგენის შესახებ ქაბულის გაზეთ „ანისში“ დაიბეჭდა. სტატიას ფოტოც ახლდა. ზამანი, თარიყი, ლაილა და მომსახურე პერსონალიდან ერთ-ერთი ბავშვების უკან იდგნენ. როდესაც ლაილამ სტატია ნახა, თავისი ბავშვობის მეგობრები, გითი და ჰასინა გაახსენდა. ერთხელ ჰასინამ უთხრა: „ოცი წლისები რომ გავხდებით, მე და გითის უკვე ოთხი ან ხუთი შვილი გვეყოლება. მაგრამ შენ, ლაილა, შენ სხვა ხარ, მნიშვნელოვანი ადამიანი გახდები! ვიცი, რომ შენით ვიამაყებთ. ერთ დღეს გაზეთს გადავშლი და პირველ გვერდზე შენს ფოტოს გადავაწყდები“.

ფოტო პირველ გვერდზე ვერ მოხვდა, თუმცა, მიუხედავად ამისა, ჰასინას წინასწარმეტყველება ახდა.

ლაილამ ახლაც დერეფნისაკენ გადაუხვია. ჯერაც კარგად ახსოვდა, როგორ მოვიდა აქ ორი წლის წინ მარიამთან ერთად და აზიზა ზამანს ჩააბარა. თვალწინ ედგა, ქალიშვილის თითები მის მაჯებს ძალით როგორ მოაცილეს. ახსოვდა, როგორ გარბოდა დერეფანში და სიმწრით ღმუოდა, მარიამი უკან მოსდევდა, პანიკაში ჩავარდნილი აზიზა კი კიოდა. ახლა დერეფნის კედლები დინოზავრების, მულტფილმების გმირების, ბამიანის ბუდას ქანდაკებების პლაკატებითა და ობლების ნამუშევრებით იყო დაფარული. ნახატების უმრავლესობაზე ტანკები იყო გამოსახული, რომლებიც სადაცაა ქოხებს ზედ გადაუვლიდნენ. იქვე ნახავდით აკ-47 მოღერებულ კაცებს, ლტოლვილთა ბანაკის კარვებს, ჯიჰადის სცენებს...

ქალმა დერეფანში გადაუხვია და საკლასო ოთახთან მომლოდინე ბავშვები დაინახა, რომლებიც მასწავლებელს ცხირსახოცების ქნევით მიესალმნენ. გადაპარსულ თავებზე ქუდები ეხურათ, გალეულები იყვნენ და სახეზე მოყვითალო-მოყავისფრო ფერი დაჰკრავდათ.

როგორც კი მათკენ მიმავალი ლაილა შენიშნეს, სირბილით გამოცვივდნენ, გზად შეეგებნენ და გარს შემოეხვივნენ. ხმამაღლა ესალმე-

ბოდნენ, პატარა ხელებს უთათუნებდნენ, ექაჩებოდნენ, ლაილას მკლავებში მოსახვედრად ერთმანეთს მუჯლუგუნებს ჰკრავდნენ, ხელაწვდილები იდგნენ და მის ყურადღებას ითხოვდნენ. ზოგიერთი დედასაც კი ეძახდა. ლაილა არ ეწინააღმდეგებოდა.

ქალს მთელი დილა დასჭირდა, რომ ბავშვები დაემშვიდებინა, ერთ მწკრივად დაეყენებინა და საკლასო ოთახში შეეყვანა.

თარიყმა და ზამანმა ორი მომიჯნავე ოთახი დაანგრიეს და ეს საკლასო ოთახი ააშენეს. იატაკი ჯერაც დაბზარული იყო და ფილები აკლდა. დროებით წყალგაუმტარი ბრეზენტით იყო დაფარული, მაგრამ თარიყმა პირობა დადო, რომ მალე ფილებსაც დააცემენტებდა და ხალიჩასაც დააგებდა.

კლასის შესასვლელში მართკუთხა დაფა ეკიდა. ზამანმა იგი გააპრიალა და თეთრად შეღება, შემდეგ კი ფუნჯით ლექსის სტროფი დაწერა, რომელიც ერთგვარ პასუხს წარმოადგენდა მათ გასაგონად, ვინც უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ავღანეთისთვის დაპირებული ფულადი დახმარება იგვიანებდა, აღმშენებლობა ნელი ტემპებით მიდიოდა, კორუფცია მძვინვარებდა, თალიბები კი ისევ დაჯგუფებებს ქმნიდნენ და შურის საძიებლად ემზადებოდნენ, მსოფლიო კი ავღანეთს კიდევ ერთხელ დაივიწყებდა. სტრიქონები ზამანის საყვარელი პოეტის, ჰაფეზის ყაზალიდან იყო:

დაუბრუნდება კვლავ იოსები
თავის ქანაანს, ნუ დარდიანობ
და კვლავ წალკოტად გადაიქცევა
სევდის საკანი, ნუ დარდიანობ.
გულო, დაგულო და ნამწუხარო,
დაგიბრუნდება ჟამი ქებული
და ეს გონება ამბოხებული
კვლავ დამშვიდდება, ნუ დარდიანობ.(ვახუშტი კოტეტიშვილის თარგმანი. )

ლაილა საკლასო ოთახში შევიდა. ბავშვები თავიანთ ადგილებს მიუსხდნენ და რვეულები გადაშალეს. გაუჩერებლივ ლაყბობდნენ.

აზიზა გვერდით რიგში მჯდომ გოგონას ესაუბრებოდა. საკლასო ოთახში ქაღალდის თვითმფრინავები დაფრინავდა.

— სპარსულის სახელმძღვანელოები გადაშალეთ, ბავშვებო, — თქვა ლაილამ და თავისი წიგნები მაგიდაზე დააწყო.

ფურცლების შარიშურში ლაილა მოტიტვლებულ ფანჯარას მიუახლოვდა. მოედანზე ბიჭები საჯარიმოდან ტყორცნაში ვარჯიშობდნენ. მათ უკან, მთებიდან, დილის მზე ამოწვერილიყო. მის ნათებას კალათბურთის ფარის რგოლი, საქანელას ჯაჭვები, ზამანის კისერზე ჩამოკიდებული სასტვენი და კაცის ახალი სათვალე ერთიანად აეელვარებინა. ლაილა ხელისგულებით თბილ შუშას მიეყრდნო. თვალები დახუჭა. მზის სხივები ლოყებზე, ქუთუთოებზე, შუბლზე მოელამუნა.

ლაილა წუხდა, რომ ქაბულში დაბრუნებულმა ვერაფრით შეიტყო, თალიბებმა მარიამი სად დამარხეს. მის საფლავზე მისვლა, ყვავილების დატოვება სურდა. მაგრამ ახლა მიხვდა, რომ ამ ყველაფერს მნიშვნელობა დაკარგვოდა. მარიამი მუდამ ახლოს იყო, ამ კედლებში, ახალდარგულ ხეებში, იმ საბნებში, ბავშვებს რომ ათბობდა... ის მათ წიგნებსა და ფანქრებში, მათ სიცილში განსხეულებულიყო; აზიზას წარმოთქმულ ლექსებსა და ჩურჩულით წაკითხულ ლოცვებში დაედო ბინა. მაგრამ, უპირველესად, მარიამს ლაილას გულში ეპოვა ნავსაყუდელი. მის სულს ათასი მოელვარე მზით ანათებდა.

ვიღაცამ დაუძახა. ლაილა მიბრუნდა, თავი ინსტინქტურად ჯანსაღი ყურის მხრიდან დახარა.

აზიზა იყო.

— დედიკო, კარგად ხარ?

ოთახში სიჩუმემ დაისადგურა. ბავშვები ცნობისმოყვარე თვალებით მიშტერებოდნენ.

ლაილა პასუხის გაცემას აპირებდა, მაგრამ უეცრად სუნთქვა შეეკრა. ხელები ჩამოუშვა და იმ ადგილას დაიდო, სადაც წამის წინ რაღაცამ ტალღასავით დაუარა. ცოტა ხნით გაირინდა, მაგრამ სხვა არაფერი უგრძნია.

— დედიკო...

— დიახ, ჩემო საყვარელო, — გაუღიმა ლაილამ. — კარგად ვარ, ძალიან კარგად!

ქალი დაფისკენ მიბრუნდა, თან იმ თამაშზე ფიქრობდა, ოჯახში ყოველღამეულ რიტუალად რომ ექციათ მას შემდეგ, რაც ლაილამ თარიყსა და ბავშვებს ახალი ამბავი ამცნო. ყველა თავისას სთავაზობდა. თარიყს მოჰამადი მოსწონდა. ზალმაის, რომელმაც ცოტა ხნის წინ ნახა „სუპერმენი“, ვერაფრით გაეგო, რატომ არ შეიძლებოდა, რომ ავღანელი ბიჭისთვის კლარკი დაერქმიათ. აზიზას რჩეული ამანი იყო. ლაილას კი ომარი მოსწონდა.

მხოლოდ ბიჭის სახელებს განიხილავდნენ, რადგან თუ გოგონა გაჩნდებოდა, ლაილას მისთვის სახელი უკვე შერჩეული ჰქონდა.